


გორგი ლეონიძე



გამოკვლევი

და

წესილევი



საბჭოთა მწერალი
19 თბილისი 58

„შ ა ჰ ნ ა ვ ა ზ ი ა ნ ი“

1. „შაჰნავაზიანის“ შინაარსი

„შაჰნავაზიანი“ ისტორიული პოემაა, სახოტბო, საკარო პანეგი-რიკული თხზულება, დაწერილი ვახტანგ V—შაჰნავაზის (1620—1675) და მისი შვილის არჩილის (1647—1713)¹ საქებრად, მათი ჭახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა და ვაჟკაცობის ამბების აღწე-რით. პოემის ცენტრი შაჰნავაზია², ამიტომ პოემაც მის სახელს ატარებს: „შაჰნავაზიანი“:

ღმერთო, გიაჯი ისმინო, რომელი თაბორს ზიანი,
ღლეგრძელობაში ახმარე მეფეს შაჰნავაზიანი. 173-1052¹.

მართალია, „შაჰნავაზიანი“ ტიპიური ნიმუშია საკარო პოეზიისა, აღმოსავლური ჰიპერბოლიზმით, ხოტბური რიტორიკით და ყალბი

¹ არჩილი გარდაიცვალა არა 1712 წელს, როგორც ღლემდე იყო დადგენილი, არამედ 1713 წელს, აპრილის 16-ს, როგორც ეს გამოვარკვეე 1928 წელს დონის მონასტრის არქივში (იხ, აგრეთვე И. Зибелин. Описание Дюпекского монастыря, стр. 166—167, 1893 г.).

² მკითხველს უცნაურად ეჩვენება აკად. ნიკო მარის და პროფ. ალ. ხახანა-შვილის გადმოცემა „შაჰნავაზიანის“ შინაარსისა, თითქმის პოემაში აწერილია გი-ორგი XI ცხოვრება და გმირობა (იხ. Н. Марр. Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы. ЖМНП. XII 1899). პოემას ასეთ შინაარსს აწერს ალ. ხახანაშვილიც, რაც მარის ცნობილი წერილიდან უნდა მომ-დინარეობდეს. ხახანაშვილი წერდა: „[ფეშანგი ფაშვიბერტყაძემ] დასწერა პოემა (შაჰნავაზიანი), რომლის გმირად დასახა ქართლის მეფე გიორგი XI (1675—1688; 1691—1695; 1709 წ.)“. შემდეგ ხახანაშვილი, იგონებს რა გიორგი XI გმირო-ბას ყანდაარში და აელანთა წინააღმდეგ, ასკენის: „პოემა ამგვარად წარმოადგენს შესზმას გიორგი მეფის ღვაწლის და მისი გმირული საქციელისა“ (ქართ. სიტყვი-ერების ისტორია, 1919 წ., გვ. 352; Очерки... III, стр. 93, 1901 г.). როგორც ვხედავთ, ორივე მეცნიერის სიტყვით, ჩვენი პოემა გიორგი მეფის ხოტბას წარ-მოადგენს, მაშინ როცა ამ გიორგის (ჯერ კიდევ ბატონიშვილს) პოემის ავტორი უძღვნის მხოლოდ ერთ ტაეპს (211). ეპეი არაა, მარცხ და ხახანაშვილიც უნებლიე შეცდომაში შეიყვანა იმ ამბავმა. რომ გიორგი XI-ც ატარებდა „შაჰნავაზის“ სა-ხელს, ყანისგან ქართლის ტახტის მიღების შემდეგ. არც აკად. მარი, არც პროფ. ხა-ხანაშვილი სპეციალურად არ შეხებიათ ჩვენს პოემას, მხოლოდ გაკერით ახსენებენ მას.

³ მაგალითები მოგვეყვას ჩვენი გამოცემის მიხედვით.

პათოსით აზავებული,—მაგრამ პოემა, როგორც რეალისტური ნაწარმოები, მეტად საინტერესოა. იგი უხვ ცნობებს იძლევა თავისი ეპოქის პოლიტიკურ სინამდვილეზე, სოციალურ, პოლიტიკურ და ყოფითი გარემოს შესახებ.

„შაჰნავაზიანი“ შეიცავს XVII საუკ. ქართლ-კახეთის-იმერეთ-ოდიშის ცხოვრების ცოცხალ სურათებს ანუ თანამედროვის მიერ ჩაწერილს ექვსი წლის (1658—1664) ქრონიკებს.

ამიტომ ჩვენი პოემა, მიუხედავად თავისი განკერძოულობისა, უპირველესად რეალისტური ნაწარმოებია, ხოლო მისი ავტორი, როგორც ერთ-ერთი შემომტანი ახალი ეპოსის—ისტორიული პოემის—ერთგვარი ნოვატორია.

„შაჰნავაზიანი“ პანორამაა XVII საუკუნისა. იგი გვაცნობს ფეოდალური საზოგადოების ზნეობას, ყოფა-ცხოვრებას, ოჯახურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს და საზოგადოებრივი ყოფის სხვა ელემენტებს. აქ მკითხველის თვალწინ გაივლის როგორც გაუთავებელი ომები, ფეოდალური თავდასხმები, სისხლის ღვრა, თვალდათხრა, თავების ქრა, მიცვალებულზე გლოვა-ტირილი, ისე შემაქცევრობა: სხვადასხვა გართობა—ბურთაობა, „ცხენთა დგენა“, როსტევანისებური ნადირობა, დაუსრულებელი „ლხინი, შუება და სიამეც“. მგოსანი იძლევა ფეოდალური მეჯლისების დიდ სურათებს: მოოქროვილ ოთახებში „სმა და გასმევა“, „სწორამდინ ლხინი“, გარიგებული ჭამა, ფერად-ფერადი შექცევა, საკრავთა ქლერანი, დაირაზე თამაში, სამაია, ოქროს კოკები, ჩინური ჭურჭელი, სტავრა და ატლასი.

ჩვენს პოემას ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც იგი წარმოადგენს, ამავე დროს, გალექსილ მატრიანეს. ხოლო პოემაში გაბნეული საზოგადოებრივი ცხოვრების ყოფითი მასალები ერთი-ორად ზრდიან ყურადღებას პოემისადმი, რომელსაც უსათუოდ ერთნაირი ინტერესით მოეკიდებიან ლიტერატორი და ისტორიკოსი.

პოემა იწყება ვახტანგ-შაჰნავაზის გამეფებით (1658 წ.) და თავდება არჩილის კახეთის ტახტზე ასვლით და ამ ტახტზე დამკვიდრებისათვის ბრძოლით კახეთის კანონიერ მემკვიდრე—ერეკლე ბატონიშვილთან¹.

„შაჰნავაზიანი“ დაწერილია რუსთველური ლექსით და წარმოადგენს 60 თავს, 1151 ტაქსს. პოემა შეიცავს: ა) პროზითს პროლოგს, ბ) ლექსითს პროლოგს, გ) პოემის ძირითად ტექსტს.

¹ შემდეგში ერეკლე I (ნახარაღიანი, 1643—1709).

2. „შაჰნავაზიანის“ ხელნაწერის აღწერილობა

„შაჰნავაზიანის“ უნიკალური ეგზემპლარი¹ დაცულია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის (ყოფ. სააზიო მუზეუმის) ხელნაწერთა განყოფილების ბროსესეულ კოლექციაში². (ხელნაწერი № 38).

ხელნაწერის კანის მეორე გვერდზე დაწებებულია ქალაღი შემდეგი წარწერით: 32 (83—28 + 22cm. 7 fol. + 338 pag. 9 fol. 16 lin) G. Phéchang, Histoire en vers de Chah-Navaz l sans commencement ni fin, des blancs pour des illustrations — BAn° 114, v. p. 261. ხელნაწერის ზომა: 28 X 22 cm, სისქე 4 cm.

ხელნაწერი აკინძულია, ყდის მაგივრად, თეთრ ქალაღზე გადაწებული მოღურჯო ქალაღდის კანი აქვს. ტექსტს თავში ჩაკინძული აქვს 7 ფურცელი თეთრი ქალაღი დაუწერელი, ბოღოში კიღევ 9 ფურცელი. ეს ჩაკინძული ქალაღდები საერთო პაგინაციაში შეტანიღი არ არის.

ხელნაწერი 338 გვერდს შეიცავს, თავში და ბოღოში აკღია, საპაგინაციო რიცხვი მხოლოდ recto-ზეა ჩათვღიღი, მაგრამ რიცხვი არ აზის. საპაგინაციო რიცხვები რამდენიმე ადღიღას შეცდოღითაა დასმული. ფანქრით შესრუღებული პაგინაცია მერმინდღელი დროისაა.

ხელნაწერი რამდენიმე ადღიღას დაზიანებულია. მაგალითად, 1; გვერდზე მარცხენა მხრიდან მეორე სტრიქონის დასაწყისიღან თითქმის მთელი სიტყვის ადღიღი ამოგღეჯიღია. მე-7 გვერდის პირვეღი ორი სტრიქონის დასაწყისიც დაზიანებულია. 206-ე გვერდის შემდეგ ეტყობა, რომ ამოგღეჯიღია, თუ მეტი არა, ორი ფურცელი მაინც. 207-ე და 208-ე გვერდების ზემო ნახევრის მარცხენა მხარე მთღად ამოგღეჯიღია. ამოგღეჯიღი ნაწიღი იქვეა ჩადებული, მაგრამ ნაკღოვანია. 137-ე გვერდის ზემო ნახევრიღან ამოგღეჯიღია ადღიღი შუაში სამი სტრიქონის სიგანეზე.

250-ესა და 251-ე გვერდებზე ფურცელში შუა ადღიღას გახეუ-

¹ „შაჰნავაზიანის“ გამოქვეყნება ჯერ კიღევ სტუდენტობაში განუზრახავს განსვენებულ დავით ყიფშიძეს, რომელსაც პღემის პირი გადმოუღია. აქედან უსარგებღია პროფ. კ. კეკელიძეს, როცა (1924 წ.) ის ლიტერატურის ისტორიის კურსში პირვეღად შეეზღ „შაჰნავაზიანს“. ხელნაწერის აღწერიღობა, პღემის შინაარსის გადმოცემა კომენტარებით პირვეღად ეკუთვნის მარი ბროსეს (იხ. Histoire de La Georgie II, I, Addit. VIII, p. 631—614).

² „შაჰნავაზიანის“ ხელნაწერი ინახებოღა სამეგრეღოს უკანასკნელი მთავრის დავით დაღიანის ბიბლიოთეკაში. 1848 წელს მთავარს უჩუქებღია მარი ბროსესთვის, ხოღო უკანასკნელს მეცნ. აკადემიის სააზიო მუზეუმისათვის გადაუცია.

ლია, მაგრამ სიტყვების ამოკითხვა შეიძლება. ასევეა 57-ე და 88-ე გვერდებზე. 250-ესა და 251-ე გვერდს შუა ჩარჩენილია მთელი ფურცლის ქვედა აშია, ასე რომ ეს გვერდიც ამოგლეჯილად უნდა ჩაითვალოს.

ბევრი ფურცლის აშიაზე მიწებებულია ახალი ქალაქები. ხელნაწერის ზოგიერთ (ფურცელზე დაწებებულია ქალაქის ნაჭრები შემდეგში დაზიანებისაგან დასაცავად.

ხელნაწერის აშიაზე მრავალი მინაწერები და წარწერები მოიპოვება. მოგვეყავს ზოგიერთი:

„როდამ დედოფალი ღმერთმა აღ[ღებრძელო]ს¹. (გვ. 97).

„მეთის: შაჰნავაზის: ამბისა: მიმთხვეულმან. თეიმურაზ: ძის: წულის: ძემან: იმა: მეთისა: შაჰნ[ავაზისმან]: (გვ. 183). სიტყვას „თეიმურაზ“ პატარა ჯვარი უზის და ცოტა მოშორებით სხვისი ხელით განმარტებულია: + ე. ი. ანტონ პირველი კ-ზი კ[ათალიკო]ზი.“². (ჩვენი გამოც. გვ. 107).

ქ: დედოფლის: თამარის: (გვ. 315/325)³.

ქ: დედას: ბატონს: შვილი: მარია: (?) გვ. (309).

ქ: დედოფლის: თამარის: კეთილად: სახსენებ[ელო]: (310).

ქ: დედას: ბატონს: დედოფალს: მათი: შვილი: მოვახ[სენებ] (გვ. 67).

ამას გარდა, გამოუცდელი და სრულიად უწიგნურის ხელით ზოგიერთ გვერდზე (59, 68, 93, 96, 308, 319 და სხვ.) მოთავსებულია ლექსები ან ნაწყვეტები, რომელთაც დღეს ჩვენ ვხვდებით ხალხურ ზეპირსიტყვაობაში. მაგალ. (გვ. 68):

ქ: ცის: ქვეშა: დაბად[ებ]ული: თქვენი: ყველა[ხ]: ცუდია: თქვე[ნი]: ლაწვი: და: ბაგენი: ყირმიზი: იაგუნდია:

სამოთხის: სურნელობასა: თქვენთანა: დაუბუღია:

ამდ[ენ]ის: ხნის: უნახავი: ჩემთვინ: სიცოცხლე: ცუდია:

ქ: ბატონო: თქვენი: თვალ: წარბი: მწყაზარს: შავარდენს:

გიგავსო:

ელვარე: პირი: ბროლისა: ცისკარის: მასკვლავს: გიგავსო:

ალვა: ტანი: და: ბეჭ: გვერდი: გიშრის: თმას: დაუფარავსო:

მკლავ: გმირი: ტანათ ლერწამი: ქმარი: ტარიელს: გიგავსო:

¹ როდამ დედოფალი, ვახტანგ-შაჰნავაზის პირველი ცოლი, გარდაიცვალა 1691 წელს, მაშასადამე, ეს მინაწერი 1665—1691 წ. შუა არის შესრულებული.

² ანტონ კათალიკოსი ბერად აღიკვეცა 1739 წელს და ერისკაცობის სახელს „თეიმურაზ“-საც მხოლოდ ამ დრომდის ატარებდა.

³ ვინ არის აქ მოხსენებული დედოფალი თამარ? იგი უნდა იყოს გიორგი XI მეუღლე, დედოფალი თამარ, რომელიც გარდაიცვალა 1684 წელს.

არის ერთსტრიქონიანი ლექსი-ნაწყვეტებიც, როგორცაა, მაგალ., ქ.: ბაგენი: თ[ვ]ალ წარბი: გადაგხატვია: შუბლი: მიგივამს [ქალაღმოსავლეთი] (გვ. 319).

ქ.: ჩემთვის: გებძანა: ტკბილი: მოკითხვა: (გვ. 311).

ბაგენი: ვარდსა: მიგივავს: დაუქცნობელსა: შისივან: (გვ. 317).

ზოგან (367, 311, 41) ჩამოწერილია ქართული ალფაბეტი, დახატულია ჩიტები და სხვ.

მინაწერები XVII—XVIII საუკუნეს ეკუთვნის¹.

3. „შაჰნავაზიანის“ ავტორი

I

ვინ არის „შაჰნავაზიანის“ ავტორი?

პოემის დასასრულს ავტორი გვამცნობს თავის სახელს:

„კელეყავ მიწამან ფეშანგიმ ამა წიგნისა წერასა;

სიტყვად დაგხუანჯე ცთომითა, ვერად ვაუბენ ენასა“ 173/106L.

მაშასადამე, პოეტის სახელი ფეშანგი ყოფილა.

ვინ არის ეს ფეშანგი?

რაკი ჩვენს ავტორი ვახტანგ V ანუ შაჰნავაზის და მისი შვილის არჩილის კარზე იმყოფება, ექვი არაა იგი არის XVII ს. ცნობილი მგოსანი ფეშანგი ფაშვიბერტყაძე², რომლის შესახებ არჩი-

¹ 1928 წ. ჩემ მიერ შედგენილი „შაჰნავაზიანის“ ხელნაწერის აღწერილობის ერთი ადგილი, აკაცი შანიძის თხოვნით, სერგი ჯიქიამ ლენინგრადიდან აღმიდგინა. მას ეკუთვნის ხელნაწერის აღწერილობა მხოლოდ მინაწერებამდის. მეგობრული დახმარებისათვის ორივეს დიდად ვმადლობ.

² XVII ს-ის მანძილზე ჩვენ არ ვიცნობთ სხვა რომელიმე პოეტს „ფეშანგის“ სახელწოდებით. მხოლოდ ზ. ჭიკინაძე ასახელებს ვინმე ფავლენიშვილს, რომელიც თითქოს ფეშანგის სახელს ატარებდა (იხ. ქართ. მწ. ნე-17 საუკ., გვ. 14) და, ამავე დროს, დასძენს: „ამ ფავლენიშვილის სახელი ჩვენ არ ვიცით და არც ისტორიებში (sic!) ჩანს. მაშასადამე, ფეშანგის სახელწოდება ფავლენიშვილისათვის თვით ზ. ჭიკინაძეს მიუყვარება.“

მისივე აზრით, ეს ის ფავლენიშვილია, რომელსაც არჩილ მეფე იხსენიებს: „არჩილ მეფის სიტყვით, ფავლენიშვილა ლექსები უნდა ეწეროს, თუმცა ერთის მხრივ არ აქებს მათ. სხვა რამ ცნობები ფავლენიშვილის ნაწერებისა ჩვენ არ გვინახავს რა“ (იქვე). ცხადია, აქ ზ. ჭიკინაძე გულისხმობს XVII ს. მგოსანს ჯაგლანაშვილ ფავლენიშვილს, რომელსაც არჩილი ასე დასცინოდა:

ჯაგლანაშვილ ფავლენის შვილსა არვინ ათხოვებს ყურსაო,
მას ვერცხლი დაუმსხვრევია და ველარ დაუყურსაო,
სულ მელექსენი შეეყარე, მაგრამ ან ორთა მსურსაო,
რა დაებარალო ჯაგლანაშვილსა, ვერ მიჰყვეს ბედაურსაო. (გვ. 6)

ლი შემდეგს ბიბლიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის („ძველთა და ახალ-
თა საქართველოს მელექსეთა“):

ფეშანგიმ ფაშვიბერტყაძემ ახლა სთქვა ფირმალიანი.
სომხისგან კარგად ჩაადეთ, სიმძიმით ვით ლიტრიანი.
გებრალებოდეს საბრალო ცხვირ მოჭრით თვალცრემლიანი.
მე ვათქმევინე—მარამე ვერა სთქვა მარილიანი¹.

არჩილის ფრაგმენტული ცნობებით ირკვევა, რომ:

- 1) ფეშანგი ტომით სომეხი, ანუ საქართველოს სომეხი ყოფილა;
- 2) გვარად—ფაშვიბერტყაძე;
- 3) ყოფილა ცხვირმოჭრილი;
- 4) 1681 წლის ახლოს (დაახლოებით იმ ხანებში, როცა არჩი-
ლის ხსენებული თხზულება დაიწერა) არჩილის შეკვეთით გაულექ-
სავს პროზაული ნაწარმოები „ამბავი დიდნის ქალაქისა“—„ფირმა-
ლიანის“ სახელწოდებით;
- 5) ფეშანგი ითვლებოდა მდარე პოეტად, რადგან „ფირმალია-
ნი“ მას შთაგონებულად, ოსტატურად ანუ „მარილიანად“ ვერ
უთქვამს.

ბ. ჭიჭინაძე ცდება. „ჯაგლაგას“ ნამდვილი სახელი სრულიადაც არ ყოფილა
ფეშანგი. ჩვენ შეგვიძლია ჯაგლაგას მოღვაწეობის დროსთან ერთად მისი ნამდ-
ვილი სახელიც დავადგინოთ. ასე. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, როცა ქართ-
ლი ყანმა როსტომ მეფეს მისცა, მაშინ როსტომს სხვა ქართველ დიდებულებთან
ერთად სპარსეთიდან ფაველნიშვილები ბახუტა და როინ ჯაგლაგი გამოაყოლოა
(იხ. ფ. გორგიჯანიძე, ისტორია, ხ. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 32). მაშასადამე, არ-
ჩილის მიერ ნახსენები XVII ს. მგოსანი ბ. ჭიჭინაძისავე ნაგულისხმევი ჯაგლაგი
ყოფილა არა ფეშანგი, არამედ როინ ფაველნიშვილი (ფანველიშვილი).

როგორც გორგიჯანიძე გადმოგვცემს, როსტომისაგან გამოგზავნილი როინ
ჯაგლაგი ფაველნიშვილი თეიმურაზ პირველის მომხრეებს დაუჭერიათ, ყენისა
და როსტომის მოწერილი წიგნები წაურთმევიათ და თვით დილომში მყოფ თეი-
მურაზისათვის მიუგვრიათ, „წაიკითხეს და ვისთანაც ეწერა ამ წიგნების ამბავი,
კახთ ყველას შეატყობინეს, რომ ბატონს თეიმურაზს ამისთანა წიგნები ხელშიდ
ჩაუვარდაო. ამ წიგნებზედ ქართველნი დაფრთხენ და აღარაეინ მოვიდა იოთანამ
ამილახორის მეტი“ (გვ. 32). ასეთია ერთი საბედისწერო მომენტი ჯაგლაგა ფა-
ველნიშვილის ცხოვრებიდან. რა დამართა თეიმურაზმა მოლაღატე როინი ჯაგ-
ლაგს, არ ვიცით. დასასრულ, ბ. ჭიჭინაძე გვიამბობს, რომ ფაველნიშვილის პოემა
„ამ ბოლო დროს აღმოჩნდაო, სად—არ მახსოვსო.“ როინ ჯაგლაგა ფაველნიშვი-
ლის არავითარი პოემა დღემდე არ აღმოჩენილა. ბ. ჭიჭინაძეს ამ შემთხვევაში
აღბათ მხედველობაში აქვს XVIII ს. ისტორიული პოემა „გებატანგანი“, რომლის
ავტორი ნართლაც არის ფაველნიშვილი, მწერალი მეთევრამეტე საუთუნისა (1725—
1730).

¹ S—424, გვ. 7.

მეორე ბიბლიოგრაფიულ ცნობას ფეშანგის შესახებ გვაწოდის იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“:

„ფეშანგიშვილს (sic!) ფაშვიბერტყაძეს გაულექსავეს ფირმალიანი წიგნი“¹.

ცხადია, ეს ცნობა არჩილის სიტყვების პერიფრაზს წარმოადგენს. არჩილის შემდეგ რამდენიმე შენიშვნა ფეშანგის შესახებ ეკუთვნის აგრეთვე მარი ბროსეს (იხ. Histoire... p. 607).

არჩილის ცნობას თავისი კომენტარებით იმეორებს ზ. კიკინაძე:

„ფეშანგ ბერტყაძე (sic!) სცხოვრობდა 1648 წლებში; ამას გეტ გვარად ფაშვი ბერტყიაშვილი ჰქონია (?). ჩვენის მოსაზრებით, ამათი გვარის ხალხში განთქმული მეხაშეები (?) უნდა ყოფილიყვნენ. ფეშანგ ბერტყაძე გვარტომობით ქართველი ყოფილა და სარწმუნოებით სომეხის ეკლესიის მალიარებელი. ფეშანგი ბერტყაძეს სცოდნია სპარსული ენა და მწერლობა, სპარსულის ენიდან მას გადმოუთარგმნია მოთხრობა „ფირმალიანი“².

ეს ცნობა აგებულია არჩილის გადმოცემაზე ანდა ავტორის საკუთარი, დაუსაბუთებელი მოსაზრებაა.

სხვა რაიმე ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობები „შაჰნავაზიანისა“ და „ფირმალიანის“ ავტორის შესახებ არ არსებობს. უკეთ, ეს ცნობები მხოლოდ არჩილის ინფორმაციით ამოიწურება, შემდეგ იოანე ბატონიშვილისა და ზაქარია კიკინაძეს რომ გამოუყენებიათ.

ამგვარად, დღემდე არ მოგვეპოვებოდა სრული ცნობა ჩვენი პოემის ავტორის ცხოვრება-მოღვაწეობისა, რის უქონლობაზედაც ჯერ კიდევ მარი ბროსე გაშთქვამდა ნწუხარებას.

ჩვენ ვეცდებით რამდენიმედ შევაგოსთ ეს ხარვეზი და სხვადასხვა წყაროს დახმარებით მიეცეთ მკითხველს ახალი, დამატებითი ცნობები „შაჰნავაზიანის“ ავტორის ვინაობის შესახებ.

II

1) „შაჰნავაზიანი“ დაწერილია სომხის ანუ გაქართველებული სომხის მიერ, რასაც თვით პოემის ტექსტი ამჟღავნებს, სადაც მრავლად გვხვდება ენის თავისებური კონსტრუქციები. მაგალითად:

კახთა მეფემან თეიმურაზ იწყო ლექსებსა წერასა. 5|6
მუშაითობენ, სწავლობენ სიმამაცისა ზენია. 41-228

¹ საისტ. მუხ. ხელნ. № 2134: „მცირე უწყება ძველთა და ახალთა ქართველთა მწერალთათვის“, გვ. 29.

² ქართ. მწერლობა მეჩვიდმეტე საუკუნეში. გვ. 14.

კამს თუ კაცმან გონიერად მას იქმოდეს, სად რა ვარგა. 28/130
ვინც გაიგონოს, ყველამან ეტყოდეს დიდად ქებასა. 56-314
თბილისელთა რა შეიგნეს, მიეგება ყუელამ წინა. 137/874
ჩვენ არა ვკადრებთ, არ უხამთ ყულუხჩისაგან დიდება. 153/920
გაბაანი ხლმისა ცემით გაიარეს შიგან ჯარსა.
ჰკადრა, დიდა კემწიფეო, ვის გივობენ ცათა სწორი. 154/925
შეჰყოლა სითმე ყუაილი, მაჯამ დაუწყო ძგერასა. 159/959

ავტორი ორგან სომხურ ტერმინსაც ხმარობს: ა) „პარონს“,
ნაცვლად „ბატონისა“:

ილხენდენ მასთან ყოფითა, ვითა პარონთა წესადა. 46/256

ბ) სიტყვას „თური“, რაც სომხურად ნიშნავს ხმალს.

ისარი წუიმას ემგზავსა მწარედ ისროდენ თურებსა 131/773.

2) ავტორი ხანგრძლივად ნამყოფია იმერეთში, ახსენებს „ქუ-
თათისის ყოვლაწმინდის სალდარს“ (9/30), დაწვრილებით იცნობს
იმერეთის აშბებს, იმერთა წარჩინებულ სახელმწიფო პირებს, მე-
ფეებს, მთავრებს, კარისკაცებს, ვეზირებს, თაყად-აზნაურთ, მღვდელ-
მთავრებს, იცნობს იმერეთის გეოგრაფიას, ეკონომიურ ვითარებას,
ზნეოპას და სხვ. ამასთანავე იგი აღშფოთებულია იმ მორალური
დაქვეითებით, რაც ასე ახასიათებდა იმ ეპოქის იმერეთის ფეოდა-
ლურ საზოგადოებას;

3) „შაჰნავაზიანის“ ავტორი სახელმწიფო მოღვაწეა, სასახლეს-
თან ახლოს მდგომი პიროვნება, ხშირად, როგორც თანადამხდურმა,
დაწვრილებით იცის არა მხოლოდ სოციალ-პოლიტიკური ვითარე-
ბა ქართლ-კახეთის, ოდიშ-იმერეთისა, არამედ კარის წვრილმანი
ამბებიც. საერთოდ იგი ფაქტების ცენტრში მყოფი ადამიანია;

4) პოეტი არისტოკრატია წრეს, ფეოდალურ ბანაკს არ ეკუთვ-
ნის. იგი უფრო დემოკრატიული წრეების—სავაჭრო ფენების წარ-
მომადგენელია, რომელსაც თავისი ბედი შეუკავშირებია სასახლესთან.
როგორც ერთგული ყმა, აპოლოგეტია აბსოლუტური მონარქიის
და მეფის უფლებისა და აღშფოთებულია ფეოდალური სეპარა-
ტიზმით;

5) შაჰნავაზის ყმობასთან ერთად, ავტორი აგრეთვე ყმაა, „მიწა
და ფერკთა მტუერი“ არჩილისა, რომელიც იმ ხანებისთვის ჯერ
(1661—1663 წ.) იმერეთში მეფობდა, შემდეგ (1663—1675 წ.) —
კახეთში;

6) დასასრულ, ყურადღებას იქცევს ერთი წვრილმანიც: შაჰნა-
ვაზის კარზე მყოფ დიდებულთა შორის პოეტი მხოლოდ ერთ მა-

შინდელ მოღვაწეზე აჩერებს თავის განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს არის იორამ თარხანი (სააკაძე, შვილი დიდმოურავისა). ფეშანგი მას აცალკევებს სხვა პიროვნებათაგან და უძღვნის პოემის ორ თავს (L, LI). მგოსანი უწოდებს მას „ბრძენსა და ჭკუიანს, ყოვლის საქმის მხედარს, სახელოვან მამაცს, პლატონის შესაღარს“, „დარბაისელთა სამკობარს“ და სხვ. დასასრულ, იორამის გარდაცვალებაზე მოტირალ მის ყმებს იორამის „ტკბილ პატრონობასაც“ ათქმევენებს. ერთი სიტყვით, მგოსანი იძლევა იორამის პიროვნების იდეალიზაციას, არჩევს რა მის პიროვნებას მაშინდელ ფეოდალურ არისტოკრატიაში.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ავტორი რაღაც დამოკიდებულებით არის შეკრული იორამ თარხანთან.

ყველა ამ ნიშნის შემდეგ ასეთ პიროვნებად, რომელიც ტომით სომეხი უნდა ყოფილიყო, სამეფო კართან ახლოს მდგომი, იმერეთში ხანგრძლივად ნამყოფი, შემდეგ ქართლში გადმოსული და ქართლ-კახეთის ვითარების კარგი მცოდნე,—ჩვენ მიგვაჩნია იმერეთის მეფის ალექსანდრე III (1639—1660) და შემდეგ ნესტან-დარეჯან დედოფლის და ბაგრატ IV კარის მდივან-მწიგნობარი ფეშანგი, რომელიც 1663 წ. ალექსანდრე მეფის სიკვდილის, ბაგრატ IV დაბრმავებისა და იმერეთში არჩილის გადასვლის შემდეგ მოჩანს ქართლში, ქ. გორის მახლობლად, სადაც წერს იორამ სააკაძის და ქაიხოსრო ჯავახიშვილის დამოყვრების წიგნს და სადაც ის კიდევ ატარებს „იმერელთ მეფის მდივან-მწიგნობრის“ სახელწოდებას (საქ. სიძვ. II, 89; საქ. ც. არქ. სიგ. ფ. № 27—160)¹.

III

ხსენებული ფეშანგი კარის მდივან-მწიგნობრად და აქტიურ სახელმწიფო მოღვაწედ მოჩანს იმერეთში ჯერ კიდევ 1641 წ. თეიმურაზ I მას იმერეთის „მეფის ალექსანდრის მდივნის“ სახელით იხსენიებს (ც. არქ. სიგ. ფ. № 51—261 შემდეგ 1650—1652 წლებში), ალექსანდრე III და თეიმურაზ I დავალებით მოლაპარაკებას აწარმოებს რუსის ელჩებთან—„სტოლნიკ“ ტოლოჩანოვთან და „დიაკ“ იევლევთან.

¹ ამ საბუთს პირველად პროფ. კ. კეკელიძემ მიაქცია ყურადღება, როდესაც თავისი ნაშრომის ერთ შენიშვნაში (ლიტ. ისტ. II, 1924 წ. 346 შენ.) კითხულობს: „ზომ არ არის რაიმე კავშირი ამ ფეშანგისა და ჩვენ ავტორის შორის, რომელიც შეიძლება არჩილის მწიგნობარი იყო იმერეთში და ამიტომ არის აქ წოდებული იმერეთის მეფის მდივანად და მწიგნობრად“.

ფეშანგის მიერ მხურვალე მონაწილეობის მიღება დიპლომატურ მოლაპარაკებაში ხსენებულ ელჩებს დაწვრილებით აქვთ აღწერილი.

ფეშანგი, როგორც მეფის პირადი მდივანი, ელჩებთან მუდმივ მოლაპარაკებაშია. თარჯიმნის პირით (გვ. 94) იგი ერთადერთი გადასმეშია მეფის ყველა სიტყვის, შეკითხვის, მოკითხვისა. როგორც ელჩების მოურნედ დანიშნული, იგი ზრუნავს მათ კვებაზე, ტრანსპორტზე და სხვ. ელჩებისათვის იგი ადგენს იმერეთის გეოგრაფიულ და ეკონომიურ აღწერილობას და, ბოლოს, თავადაც ხელს ურთავს იმერეთის მეფის ალექსანდრე III საფიცრის წიგნს (1651 წ.) რუსეთის მფარველობის მიღებაზე¹.

უქანასკნელად იმერეთიდან რუსეთისაკენ გამგზავრებულ ელჩებს ალექსანდრე მეფის გაგზავნილი ფეშანგი რაჟაში მოეწევა. გადასცემს მათ საჩუქრებს, რომელსაც მეფე რუსეთის ხელმწიფეს უგზავნის საკუთარი ელჩის ხელით: „Того ж числа в вечерни приехал от царя думной ево дьяк Пешенга, привез от царя дары, что посылает в царскому величеству с своим послом с Ломгацею, а сказал, что поехал он вчера от царя перед вечернею. И от Ломгацы Пешенга и присавы и аспауры воротись к царю в Кутатис“ (იქვე, 105).

ფეშანგისათვის, როგორც გავლენიანი კარისკაცისათვის და დიპლომატურ მოლაპარაკებაში მონაწილისათვის, ელჩებს საჩუქრებიც მიურობევიათ: 5 სიასამურის ტყავი, მაუდი და აბრეშუმის ქსოვილი: „Думному дьяку Пешенгею 5 соболей, да сукно же 4. аршина, да дороги, и того на 10 руб. на 16 алтын на 4 де“ (იქვე, 202), როგორც ჩანს, რუსეთის ელჩების ანგარიშიდან (1652 წ. 20 სექტ.).

რა გვარს და რა სოციალურ წრეს ეკუთვნოდა მგოსანი ფეშანგი?

რუსის ელჩები იმერეთის მეფის მდივან-მწიგნობარს (думной дьяк) ყველგან Амирев-ად (ანუ ამირას-ძედ, ამირაშვილად) ახსენებენ (იხ. სტოლნიკ ტოლოჩანოვის... ელჩობა, გვ. 194, 202 და სხვ.). იმ საფიცრის წიგნშიც, რომელიც ალექსანდრე მეფემ რუსის ხელმწიფეს ალექსი მიხეილის ძეს გაუგზავნა (1651 წ. 9 ოქტომ.), ფეშანგი Амирев-ად არის მოხსენებული (იქვე, გვ. 194; საისტორიო მოამბე, 1, 159). ხოლო ერთგან რუსის ელჩები სრულად იხსენებენ ფეშანგის გვარს: „Пешенгея Ондреева сына Хатарова“ (ტოლოჩ.

¹ იხ. სტოლნიკ ტოლოჩანოვის და დიაკ იველვის ელჩობა იმერეთში 1650—1652 წ. მ. პოლიექტოვის რედ., ტფილისი, 1926 წ. შტრ. გვერდები: 42, 43, 51, 54, 55, 60, 74, 81, 82, 85, 87, 88, 91, 92, 94, 96, 98, 99, 100, 101, 103, 104, 105, 114, 143, 144, 162, 164, 165, 166, 169, 171, 172, 176, 177, 180, 184, 194, 195, 202.

მოგზ.). ამის შემდეგ ფეშანგის გვარის დადგენა, რასაკვირველია, აღვილია. ელჩების დამოწმებით, ჩვენ თითქოს ორი გვარი გვაქვს: Амирев-ი და Хатаров-ი. მაგრამ რაკი ერთგან ფეშანგის Ондреев-ი-ად ანუ ანდრიას ძედ იხსენებენ, აშკარა ხდება, რუსებს ფეშანგის მამის არაქრისტიანულ „ამირას“ სახელი ქრისტიანულ „ანდრიად“ (Ондрей) გადაუკეთებიათ და ამნაირად „Амирев“-ი ანუ ამირას ძე, ამირას შვილი ფეშანგის მამის სახელწოდება ყოფილა და არა ფეშანგის გვარი.

ცნობილია, რომ გვარის სანაცვლოდ მამის სახელით წოდებულობა ჩვენში მეტად მიღებული იყო¹, მაშასადამე, ფეშანგისაც მამის თუ პაპის სახელის „ამირას“ წყალობით „ამირაშვილს“ ეძახდნენ. ამირაშვილი კი XVII საუკუნეში შეძლებული ოჯახის გვარია ქ. გორში (იხ. საქ. სიძვ. II გვ. გვ. 90, 317, 323, 324, 341, 369, 487).

რაც შეეხება ფეშანგის ნამდვილ გვარს, ისიც შეგვიძლია დავადგინოთ იმავე ელჩების დამოწმებით. ელჩები მას Хатаров-ად იხსენიებენ, „Хатаров“-ი კი ცნობილი გვარის „ხითარაშვილის“ გადამახინჯებას უნდა წარმოადგენდეს, ხოლო ასეთი გადამახინჯება კი უცხოელის, და კერძოდ რუსი ელჩების მიერ, როგორც გვარების, ისე ქართული გეოგრაფიული სახელებისა, ჩვეულებრივი ამბავია და ადვილად მისახვედრიც. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოემა „შაჰნავაზიანის“ ავტორი ყოფილა ფეშანგ ამირაშვილი, ანუ ამირას ძე ხითარაშვილი; თავის მხრივ კი ამირაშვილის გვარი ხითარაშვილების დიდი გვარის ერთ შტოს წარმოადგენდა XVII ს-ში.

ამირაშვილები, იგივე ხითარაშვილები, ანუ „ხითარაანთ“ გვარი ძველთაგანვე მოსახლეობდა ქ. გორში და მისი წარმომადგენლები ცნობილი იყვნენ სავაქრო საქმეებით (იხ. АКТЫ, I, 54; საქ. სიძვ. III, 422; სიძვ. II, 156). ხსენებული გვარი იმდენად შეძლებულია,

¹ სახელი „ამირა“ ხშირად მოჩანს XVII საუკ. საბუთებში. იხ. მაგ., საქ. სიძვ. II, (266/1651 წ. ქვეშ): ისტორიული საბუთები, IV, გვ. 22 (1635 წ. ქვეშ), იქვე გვ. 43; საამილახვროს დავთარი მე-17 საუკ. მეორე ნახევრისა, ს. კაკაბაძის გამოც. გვ. 21.

გვარი ამირაშვილი—იხ. ქრონიკები, II, 486; საქ. სიძვ. II, 90 (1660 წ. ქ. 369 მოწინავე სადროშოს აღწერის მიხედვით, გლეხნი ამირაშვილები მოსახლეობენ ენაგეთს (გამოც. ე. თაყაიშვილისა, გვ. 53).

² მაგ., ერეკლე I და ვახტანგ VI მდივანი გივი ზურაბის ძე თუმანიშვილი „ზურაბიშვილობით“ იწოდებოდა; მგოსანი და მდივანი სულხან ავთანდილისძე შანშიან მარტიროზიშვილი—თანიაშვილად; XVII საუკუნის პოეტი. ნოდარ ფარსადანის ძე ციციშვილი—„ფარსადანისძედ“ ანუ „ფარსადანიშვილად“ და სხვ.

რომ (1690 წ.) ყმების ყიდვა-გაყიდვასაც კი აწარმოებს (საქ. სიძვ. II, 156, 157), ხოლო ამ გვარის ერთი წარმომადგენელი სწორედ იმ ხანებისათვის ქ. გორის დიდგავლენიან პირად — მამასახლისად ითვლება (იქვე, 156), მაშასადამე, მგოსანი ფეშანგი საეპარო წრეების წარმომადგენელია, ქ. გორის მდიდარი ვაჭრული ოჯახისა¹.

რაც შეეხება ფეშანგის დღემდე ოფიციალურად ცნობილ გვარს — „ფაშვიბერტყაძეს“, როგორც არჩილი უწოდებს, იგი, ალბათ, შერქმეული ირონიით ნაწოდები გვარი უნდა იყოს — აღბეჭდის რაიმე ნიშანდობლივი ფიზიკური თვისებისათვის.

ყოველშემთხვევაში, გვარი „ფაშვიბერტყაძე“ სხვაგან არც ერთ ისტორიულ საბუთში არ იხსენიება.

რაც შეეხება ფეშანგის ეროვნულ წარმოშობას, რუსის ელჩები ფეშანგს გვაცნობენ, როგორც სომეხს: „Пешенгея Овдуреева сына арменина, -ო.

სომეხს უწოდებს არჩილიც:

სომხისაგან კარგათ ჩაგდეთ... და სხვ.

ეჭვი არაა, ფეშანგი დიდი ხნის ასიმილირებული სომეხია ანუ „გაქართველებული“, ქართულ ენაზე, მწერლობაზე და კულტურაზე აღზრდილი.

ამ მხრივ საინტერესოა ის გარემოება, რომ გორში მცხოვრები პოეტის შთამომავალი მოგვარენი — ამირაშვილები XVII ს-ში მართლმადიდებლად მოჩანან. ასე, 1724 და 1727 წლ. საბუთებში იხსენიება გორელი ამირაშვილი მღვდელი ათანასე (საქ. სიძვ. II, 323, 324, 341), ხოლო ამირაშვილი ივანე (იქვე, 369) ერთ საბუთში (წ.კ. №2921) მღვდელ ათანასეს ძმად იხსენიება. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ამირაშვილები „გაქართველდნენ“ და ისიც შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ამირაშვილი-ხითარაშვილების გვარის მხოლოდ ერთი შტო „გაქართველებულა“.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფეშანგიც გორელი მდივნების

¹ შემდეგში ხითარანთ გვარი ეკონომიურად ძლიერ დაცემულა და XVIII ს. პირველ ნახევარში თავად თუმანიშვილებს ყმებადაც კი მიუსაკუთრებიათ (იხ. საქ. სიძვ. III, 456; 1762 წ. დეკემბრის 7-ის განაჩენი თუმანიშვილის გორჯაასის და ისაია გასპარაშვილის დავის გამო, გასპარაშვილი — ერთი შტოა ხითარაშვილ-ამირაშვილებისა (იხ. ზემოთ). მისი დამწყებია მდიდარი ვაჭარი გასპარა ამირაშვილ-ხითარაშვილი (АКТЫ, I, 54).

ხითარაშვილები გლეხებიც ყოფილან, უცხოვრიათ გორის მიდამოებში, სოფ. ყურში (იხ. საამილახვრო დავთარი მე-17 საუკ. მეორე ნახევრისა, ს. კაკაბაძის გამოც., გვ. 3, ტფ. 1925 წ.) და ახალქალაქის ტამალიაში (იხ. ე. თაყაიშვილი მოწინავე სადროშოს სტატისტიკური აღწერილობა, გვ. 15).

ოჯახს ეკუთვნის. ცნობილია, რომ გორი — ძველ საეპარქო ქალაქი. XVI—XVII ს. ს. განთქმული იყო როგორც მდიუნების ქერა. აქედან იყვნენ ცნობილი კარის მდივან-მწიგნობრები ჯანოურალიშვილები (ანუ ფირალიშვილები), მანდენაშვილები, ბეგთაბუჯიშვილები.

ამრიგად, მთელი რიგი მასალების დადანიშტურების შემდეგ იოკვევა, რომ ფეშანგი — ქართლელი, დროებით იმერეთში მყოფი ყოფილა, და არა მკვიდრი იმერი, იმერეთს გაზრდილ-დაბადებული. ეს ჩანს პოემის ტექსტიდანაც, რომელიც სრულიად არ ამხელს იმერულ პროვინციალიზმებს, იმერიზმებს.

სხვათაშორის, ჩვენამდე მოღწეულ თითქმის ყველა საგვარეულო დოკუმენტში (საქ. სიძე., II, 156, 90, 317, 323, 324, 341, 369) ამირაშვილ-ხითარაშვილები მუდამ მკვიდრო ურთიერთობაში მოჩანან ადგილობრივ მებატონე თავად ჯავახიშვილებთან. ხსენებული დოკუმენტებიდან ასეთი შთაბეჭდილება იქნება, თითქოს ამირაშვილ-ხითარაშვილები ჯავახიშვილებთან ტერიტორიულ, ეკონომიურ ან ბატონყმურ ურთიერთობაში არიან.

ამის შემდეგ ცხადი ხდება, თუ იმერეთიდან ჩამოსული ფეშანგი რად იმყოფება ჯავახიშვილთა წრეში, სადაც იგი ქაიხოსრო ჯავახიშვილის და იორამ თარხანის დამოყვრების წიგნს წერს (საქ. სიძე., II, 89).

გასაგები ხდება, აგრეთვე, ხსენებული იორამ თარხანის იდეალიზაცია ფეშანგის პოეზიაში. იორამი დიდი მფლობელი იყო გორის ახლო მიდამოებისა, „სათარხნოსი“. როგორც გავლენიანი პიროვნება, ალბათ, იგი მფარველობდა გორში ვაჰარა ხითარაშვილების ოჯახს ფეოდალური „გაგლეჯისა და დაჯაბრებისაგან“; შეიძლება ჩვენს პოეტსაც უწევდა მეცენატობას, და ამითაც აიხსნებოდეს მისი მოწიწება იორამის პიროვნებისადმი.

IV

როდის და რა მიზეზით გადახვეწილა მგოსანი ფეშანგი იმერეთში?

მრავალ სხვა მოსაზრებასთან ერთად აქ ერთი წვრილმანიც უნდა გავიხსენოთ. თუ მოვიგონებთ ფეშანგის მიერ მოლაპარაკების წარმოებას რუსის ელჩებთან, შევნიშნავთ, რომ ფეშანგი, ალექსანდრე მეფის რწმუნებული, თეიმურაზ I წარმომადგენლობასაც სრულებს (ტოლოჩანოვის ელჩობა, 51, 55), ხოლო 1641 წ. მდიუნობითაც ეწინააღმდეგება (ც. არქ. № 51—262). მართალია, ალექსანდრე მეფე თეიმურაზის სიძე იყო და ამ გარემოებითაც შეიძლება

2. გ. ლიონიძე

აიხსნას ფეშანგის ასეთი სამსახური, მაგრამ შესაძლოა იხიცი ვიფიქროთ, რომ ფეშანგი, როგორც ქართლელი, სხვა გარემოებითაც იყო დაკავშირებული იმერეთში გადახვეწილ ქართლ-ქახეთის მეფე თეიმურაზთან.

როგორც ვიცით, როსტომის მიერ დამარცხებულს და იმერეთში ლტოლვილ თეიმურაზს თან მრავალი ყმა და მსლებელი გადაჰყვა ქართლ-ქახეთიდან; ხომ არ ერია მათ შორის ფეშანგი?

ტოლოჩანოვის აღწერილობიდან ჩანს, თუ იმერეთში ყოფნისას სად ცხოვრობდა ფეშანგი, როცა რუსის ელჩები ტოლოჩანოვი და იეველვი ქუთაისიდან სკანდას მიემგზავრებოდნენ იმერეთის მეფე ალექსანდრესთან წარსადგომად. გზად, სკანდას სიახლოვეს, გაიარეს ფეშანგის სოფელზე: „Да деревню проехали на полугоре, дымного дыма Пешенги“-ო, რომელშიც სამხური ეკლესია მდებარეა, სოფელშიც სამხური მოსახლეობა ყოფილა: „А в деревне капище армянское на воротах колокольня круглая, каменная. Около двери сво и капища ограда каменная. А от армянские деревни версты с два село а в селе церковь каменная во имя Георгия“ (стр. 81).

საკითხავია: რომელ სოფელზე აქვთ ლაპარაკი რუსის ელჩებს? კითხვა ადვილი გასარკვევია. ქუთაისიდან სკანდამდე, სკანდასთან ახლოს სამხური ეკლესიითა და მოსახლეობით ცნობილია სოფელი ჩხარი ანუ ჩხარის სამხური უბანი, და სხვა პატარა პუნქტები, მოვაქრე სამხებით დასახლებული, როგორც ქალატყე და ქალაქი „მცირე ჩიხორი“ (ვახუშტი, 273). მაგრამ, რუსის ელჩების სიტყვით, ფეშანგის სოფელში ყოფილა წმ. გიორგის ეკლესია ქვიტკირისა. ხოლო ეკლესიაში კი ძვირფასი ორარშინიანი ჯვარი, მოკეროვილია და მოვერცხლილი წმ. გიორგის ნაწილებით: „А в церкви у парских дверей крест, аршина в два вышиною, обложен серебром, позолочен. А в том кресте мощи в ковчеге в золотом великомученика Георгия, кость главный череп. А на затворе в ковчеге камень, алмаз не граненой в золоте, в орех грецкой небольшой“ (იქვე, 81): ცხადია, აქ ლაპარაკია ჩხარის წმ. გიორგის ეკლესიაზე, რომელზედაც ვახუშტი ამბობს: „არს აქა [ჩხარს] ეკლესია უგუნბათო, რომელსა შინა ასვენია ჯვარი დიდ ფრიად; მდებარებს მას შინა ბეჟი მთავარ მოწამის წმინდის გიორგისა, მარადის სასწაულთ-მომქმელი“ (გეოგრაფია, 262).

მაშასადამე, ფეშანგს ჩხარში უცხოვრია.

ცნობილია, რომ ჩხარი, როგორც საჯაქრო პუნქტი, ქალაქად ითვლებოდა 1634 წლამდე, როდესაც გამარჯვებულმა ლევან II

დადიანმა იმერეთის მეფე ალექსანდრე III მისი მამის გიორგი მეფის „სახსრად“ ანუ დასახსნელად წაართვა ქ. ჩიხორის ვაჭარნი და ჩხარის სომეხნი და ურიანი¹. მას შემდეგ ვაჭარ სომეხებისაგან დასახლებული ქალაქი ჩხარი იქცა დაბად და, ცხადია, აქ ამის შემდეგ სავაჭრო აღებ-მიცემობაც მთლად მინელდებოდა.

მაგრამ, როგორც ტოლოჩანოვის მოგზაურობიდან ირკვევა, 16 წლის შემდეგაც ჩხარში კიდევ შერჩენილა სომხურ-ვაჭარული მოსახლეობა, რომელიც ისევ მისდევდა თავის ხელობას. შარდენის მოწმობით, ჩხარში ამ დროს (1672 წ.) 50 კომლილა მოსახლეობდა (იხ. Путешествие по Закавказью, стр. 168).

ამრიგად, გორელი ფეშანგი, ჩხარში დაბინავებული, არ სცილდება თავის სოციალურ წრეს, ვაჭართა ფენას, თუმცა იგი თანამდებობით შესამჩნევად ამაღლებულია თავის წრეზე.

რა ხანებში ასრულებდა ფეშანგი მდივნის თანამდებობას იმერეთის სამეფო კარზე?

ცნობილია, რომ XVI—XVII საუკუნეთა მანძილზე იმერეთის მეფის მდივან-მწიგნობარის სახელს შემკვიდრეობით მამიდან შვილზე ასრულებდნენ აზნაური თავაქალაშვილები² (თავაქალაშვილები), ამათგან ალექსანდრე III კარზე მდივნობდნენ — მამუკა (ცნობილი მგოსანი და მხატვარი) და მისი ძმა პაატა; პირველი დატყვევებული იქნა 1634 წელს ლევან დადიანის მიერ, ხოლო მეორე 1640 წლიდან საბუთებში აღარ მოჩანს. მათი მდივნობიდან გარდავლენის შემდეგ, როგორც ჩანს, კარის მდივნობა ჩვენი პოემის ავტორს — ფეშანგი ხითარაშვილს მიუღია და ალექსანდრე მეფის სიკვდილამდე (1660 წ.) მისი მდივან-მწიგნობარი ყოფილა.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცნობთ ფეშანგის ცხოვრების პირველ

¹ ხონის წმ. გიორგის ხატის წარწერაში თვით ლევან დადიანი გვიამბობს: „ავყარეთ ქალაქი ჩხარისა, და ჩავასხით ზუგდიდსა, ავაშენეთ და გავაწყეთ ქალაქი რუხისა“ (ძვ. საქ., II. 451). ასევე მოვითხრობს ლევანი ილორის ხატის წარწერაში: „ავყარეთ სრულობით ქალაქი ჩხარისა და მოვასხით ზუგდიდსა და დავასახლეთ ადგილსა რუხისასა“ (იქვე).

² 1527 წელს იხსენიება მწიგნობარი ზურაბ თავაქალაშვილი (დას. საქართველოს ისტ. საბუთები, ს. კავაბაძის გამოც, I, 10); 1569—1573 წლებში — ალა თავაქალაშვილი (იქვე, 19, 31); 1586 წლ. ხაფილანდრე (იქვე, 34), 1604 წლ. ქვეშასლან (37), რომლის შვილები უნდა ყოფილიყვნენ — მგოსანი მამუკა, „ზაქიანი“ — სამლექსავი — მდივანი ალექსანდრე III და მისი ძმა პაატა, „რომელიც მდივნად მოჩანს 1630—1637 წ. (იქვე, 52; ქრონიკები, II. 452); ხოლო საუკუნის დამლევს — ალექსანდრე IV კარზე თავაქალაშვილი ელიზბარ (იქვე, 80). XVII საუკუნის მეორე ნახევარში თავაქალაშვილების ერთი შტო დასახლებულა ქართლში სოფ. ტინისხიდს (იხ. ცენტრარქივის სივ. ფ. № 73).

პერიოდს; არც ის ვიცი, თუ რა შრომითა და ბრძოლით შეიქმნა. თავისი პოლიტიკური კარიერა „მდივნობისა“. როგორც ცნობილია, სამეფო მდივანი მაშინდელ საზოგადოებაში ცნობილი უნდა ყოფილიყო შესაფერისი კულტურით და სათანადო მოპზადებით. კარის მდივან-მწიგნობარი „წერასწავლული“, „ქარგი და მკოდინარე“ და „კოდნასრული“ ადამიანი უნდა ყოფილიყო, რადგან ამ თვისებებს მოითხოვდა მისგან მდივნობის მრავალფეროვანი სამსახური. აი, მაგ., როგორ გვიხატავს მეფის მდივან-მწიგნობარის მოვალეობას ვახტანგ VI „ამირ-ნასარიანიდან“ ამოღებულ ერთს სენტენციაში:

მდივანს მართებს ენაები იცოდინან დასაწერად, ქონდეს სიტყვა სახემწიფო, შესაკადრი შესაფერად, კოდნისაგან განასრული, სასაქმოში დასაჯერად, სამეჯლიშო ლალობაში, მშენიერი შესამზერად; დადგომა, ჯდომა, წადგომა, თავახა საქებულები, ტურფა მწერალი, წერილი საამოდ სასმენულები; წიგნისა თავი ამოსცნას, ბოლოს სცნას საამებულები, მალე იპოვოს პასუხი საქირო გასაძნელები.¹

მდივანი იყო მეფის მახლობელი მოხელე, „მეფის ხეაშიადის შემნახავი“ (საქ. სიძვ. II, 130), მუდამ გვერდით მყოფი მეფესთან: „სუფრის მიღებამდინ ერთი მდივანიც იდგებოდის: ან წიგნების დაწერა ითქმის, ან სამართალი რამ ჩამოვარდების, ეგების ბატონმბრძანოს რამე“ (დასტურლამა, 54) მდივანს ებარა, აგრეთვე, მეფის ქალაღი და საწერ-ქალამიც² მდივანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო საქმეებში. მდივნობის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე სამეფო სტატისტიკური აღწერის ჩატარება³, „თემის აწერა“ (საქ. სიძვ., III, 567), ოპში დასწრება, დახოცილთა აღრიცხვა, საომარ განკარგულებათა დაწერა⁴, მიმოწერის შედგენა, „საქონლის აწერა“ (საქ. სიძვ., III, 567) და სხვ.

მდივნებისათვის სავალდებულო ყოფილა როგორც „მეჯლიშის“ რიგის კოდნა, ასევე „ბრჭეთ და მოსამართლეთ“ ყოფნა დიდი, საგულისხმეირო საქმის გარჩევის დროს (საქ. სიძვ. II, 51) სადავო

¹ S—171, გვ. 117.

² დ. გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 64.

³ „მდივანი წავა აღწერს და დავთარს დაიჭერს“ (დასტურლამალ ი“ 13, 134).

⁴ „ესენი სწერდენ უსტარს, იერლაყსა, პიტაკსა, ენდალმასა, პატრუტაგსა. როარტაგსა, გუჯართა, სიგელთა, ბრძანებათა, განაჩენთა და სხვათა“ (ვახუშტი, გეოგრ. 11).

საქმეებზე „დასაშველებლად“ (საქ. სიძვ., II, 124, 129) და განჩინების დროს იქ დასწრებაც (იქვე, გვ. 123).

მაგრამ, როგორც ზემომოყვანილი ვახტანგის ლექსიც გვამცნობს. სახელმწიფო საქმიანობის შესრულებასთან ერთად, მდივანი მშვენიერი მქვერმეტყველი („ქადაგი“), იმპროვიზატორი და პოეტიც უნდა ყოფილიყო. ლექსის და პოემის წერა ანუ გადმოღება სახელმწიფო ბრძანების შედგენასთან, მის ლამაზ ხელთან ერთად, კარის მდივან-წწიგნობრივსათვის სავალდებულო მოთხოვნილებად ითვლებოდა. მწიგნობარი, ამავე დროს, იყო კარგი პოეტი, ლიტერატორი, პოეტიკის მცოდნე; მდივანი იგივე პოეტია, კარის სამსახურში აყვანილი, ხოლო მოლექსეობა უპირველესად მდივნების ტრადიციას შეადგენდა.

რასაკვირველია, ასეთი რთული და სპეციალური სამსახური შესაფერისი გაწვრთვნისა და განათლების მიღებას მოითხოვდა. ექვი არაა, მას საშინაო სწავლა უნდა ჰქონდეს მიღებული. თუმცა იგი თავის თავს „უსწავლელს და უშუერს“ (173|1054) უძახის, მაგრამ მას მაინც უნდა ესწავლა მდივნების სპეციალურ სკოლაში, რომელიც ჩვენში უეჭველად უნდა არსებულებოდა (თბილისსა და გორში) და სადაც დანწერლობასთან ერთად სწავლობდნენ ლეთისმეტყველებას და ისტორიას. ექვი არაა, ფეშანგის სამდივნო სკოლაში უნდა მიეღო ლიტერატურული განათლებაც. იგი ზედმიწევნით იცნობს „ვეფხისტყაოსანს“, „ვისრამიანს“, „იოსებ ზილიხანიანს“, „ბარამ ვურიანს“ და სხვ. და თუმცა უსუსურად, იცნობს აგრეთვე საქართველოს ისტორიასაც. თანამედროვე აღმოსავლური ქვეყნების გარდა, მისთვის ცნობილია: „რომი“ (126|741), „საფრანგეთი“ ანუ „ფრანგეთი“ (61|344, 98|578, 172|1045), იცნობს „ფრანგ“-თან¹ ერთად (გვ. 4) „რუს“-საც (4|3, 8|25, 137|809, 143|850) და, რაც მეტად საინტერესოა XVII საუკუნის მწერლობისათვის, ფეშანგი პირველად ხმარობს თავის პოემაში რუსულ ტერმინს, სახელდობრ „სუდარს“ (сударь) ზმნური ფორმით:

დავისიძებ თავადთაგან, ვინ დიდგუართა ისუდარებს. 63|356.

ამნაირად, რუსული ტერმინი ქართულ მხატვრულ მწერლობაში პირველად „შაჰნავაზიანში“ გვხვდება.

¹ რუსის ელჩებს 1651 წ. 27 ივლისს ფეშანგიმ ასეთი ინფორმაცია მიაწოდა ვეროპელების თავდასხმის გამო ოსმალეთზე: „Наступили же на турецкого сатана виввцейские и барабанские, и француские и пных многих земель шемци“-ო (ტოლოჩანოვის ელჩობა. გვ. 164).

ეს სიტყვა ფეშანგის 1650-1652 წ. იმერეთში რუსის ელჩებისაგან უნდა გაეგონა.

ფეშანგის სამღივნო მოღვაწეობიდან იმერეთში ცნობილია მის მიერ იმერეთის სამეფოს გეოგრაფიული და სამეურნეო აწერილობაც, რომელიც 1652 წელს ალექსანდრე მეფის ბრძანებით რუსის ელჩებისათვის გადაუტია, როგორც თვით რუსები გვიაზიბობენ: „Да в послѣ же прислалъ Александръ царь с думнымъ дьякомъ с Пешенгею меретинскаго государства именованымъ городомъ и монастыремъ роспись, а боярамъ своимъ и азнаурамъ и тюфенчею и торговымъ и пашеннымъ людямъ перечневую роспись. И подлинная роспись и с нее переводъ у Мивифора (გვ. 188, ხოლო თვით აღწერილობა: გვ. 184—188).

ფეშანგისავე შედგენილი უნდა იყოს მეორე აღწერილობა „Роспись“-ი, რომელსაც მოსდევს ფეშანგის სტატისტიკური ცნობები იმერეთის თავადთა რიცხვის რაოდენობისა, აზნაურების, მეთოფეების და მთელი იმერეთის მოსახლეობისა; რაც თურმე, ფეშანგის სიტყვით, 1651 წ. სამოც ათასს უდრიდა (იქვე, 114).

ბოლოს, ფეშანგის შეუდგენია იმერეთის მეფის ალექსანდრე III (1651 წ. 9 ოქტ.) საფიცრის წიგნი, როგორც თვით რუსის ელჩები გადმოგვცემენ: „И Александръ царь велелъ думному своему дьяку Пешенгею записатьъ написать по своему языку и прислалъ в послѣ къ Мивифору и в Алексею тое записи смотритъ“ (გვ. 172)-

V

ალექსანდრე III სიკვდილის (1660 წ. 1 მარტი) შემდეგ იმერეთში იწყება მღელვარე ხანა მთელი ათეული წლების მანძილზე, ანარქია. როგორც აგვიწერს არჩილი:

მეფე მოკვდება, ლიხს იქით საქართველოს თან ჩაიტანს;
ალაღდებიან თავადნი, ერთი მეორეს აიტანს;
ერთი მეორის სიკვდილად მოვა ამხანაგს მოიტანს,
ერთმანეთს ხოცა დაუწყეს, თავს აშორებენ მოიტანს.
წარმოდგა მეფე ქართლისა და ვამიყ დადიანიცა.
იმერეთზედა ილაშქრებს, მთიდან აღალდა სვანიცა.

და სხვ.¹

ეს ის დროა, როცა, თანამედროვეთა სიტყვით, იმერეთი იყო „იწროებასა, ოხრებასა, მწუხარებასა შინა, რომ ესე ვითარი არა-

¹ „არჩილიანი“, მაჩიტაძის გამ. 185.

ოდეს მოსულიყო ესრეთი შფოთი და ურვა: ზას აქეთ არავინ ის-
მინოს და არცა ვის სმენოდეს“ (ქრონიკები, II, 481).

ასეთ მღელვარებაში მრავალ კარისკაცს უნდა განეცადა ბედის
სიმწარე, ძნელბედობა. რასაკვირველია, უნდა შეცვლილიყო და აწე-
წილიყო ფეშანგის ცხოვრებაც.

როგორც ერთი საბუთიდან ირკვევა. ალექსანდრეს გარდაცვა-
ლების შემდეგ ფეშანგი ჯერჯერობით ისევ შერჩენილა თავის თა-
ნამდებობას ნესტან-დარეჯან დედოფლის და ბაგრატ IV ერთ-
მეფობაში. ასე, 1660 წ. ფეშანგი მათი ბრძანებით წერს სიგელს,
რომელშიც იგი ისევ იხსენიება „კარის მდივანად“: დაიწერა ბქრძა-
ნე]ბა ესე ქ-კონს ტმც (1660) ხელითა კარისა ჩუენისა მდივ[ნ]ისა ფე-
შანგისითა“ (იხ. ს. ს. მუხ. სიგ. ფ. № 9466), ხოლო 1663 წელს კი,
როგორც ზემოთ ვნახეთ, ფეშანგი მოჩანს ქართლში, სადაც ისევ
„იმერელი მეფის მდივან-მწიგნობრად“ იხსენიება.

რა მიზეზით და როდის გაჩნდა იმერეთის სახელმწიფო მდივანი
გორის მიდამოებში?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფეშანგის ქართლში გადმოსვლა უნდა
მომხდარიყო სწორედ იმ ხანებში, როცა იგი სააკაძე-ჯავახიშვი-
ლების დამოყვრების წიგნს წერს, ე. ი. იმავე 1663 წელს. სა-
ბუთის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ბაგრატის ტახტიდან
გადადგების შემდეგ ფეშანგი; დარჩენილა 1661 წ. იმერეთში გაზეფე-
ბული არჩილის კარზე, ხოლო შემდეგში, 1663 წ., როცა პორტას
მოთხოვნით არჩილი იმერეთიდან ქართლში უკან იქნა გაწვეული
მას, ეტყობა, თან გამოჰყოლია კარის მდივანი ფეშანგიც, როგორც
ერთი მხლებელთაგანი, მით უმეტეს, რომ იგი ქართლელი ყოფი-
ლა, და შეიძლება ამით საშუალებაც კი მიეცა სახლში დაბრუნებისა.

ფეშანგი უნდა ეკუთვნოდეს არჩილის ამაღლის იმ შემადგენლო-
ბას, რომელიც, თვით მგოსნის სიტყვით, ქართლისაკენ გამომზა-
დებულ არჩილს თან გამოჰყვა.

ვის ჰქონდა ნდომა, სიახლე, არჩილისაკენ ვლიდესა,

ჰადრეს; „შენი ვართ მონანი, უშენოდ ცეცხლი გუწუიდესა“ (108/827).

ალბათ თვით მგოსანმაც გამოიჩინა სხვასთან ერთად პატრონის
„ნდომა, სიახლე“ და გადმოჰყვა არჩილს ქართლში.

ამის შემდეგ ჩვენთვის აშკარა ხდება, თუ როგორ გაჩნდა ფე-
შანგი ჯერ ქართლში და შემდეგ კახეთში, სადაც ის შაჰნავაზის
და არჩილის ბრძანებით წერს თავის სახოტბო პოემას „შაჰნავა-
ზიანს“ და თავისთავს არჩილის „მიწა მტურერად“ ახსენებს.

... კსენებასაც არ ღირს ვარ, მიწა და ფერკთა მტურერია 1621/1076.

ფეშანგის შეეძლო არჩილის ყმად და მდივნად ყოფნა ჯერ კიდევ იმერეთში, 1661—1663 წ. ყრმა არჩილის მეფობისას, შეიძლება არჩილმა, თვით პოეტმა, სწორედ მგოსნური ნიჭისთვისაც დაიხსლოვა ფეშანგი?

ასევე 1663 წ., ქართლში ყოფნისას, ფეშანგს შეეძლო „იმერელთ ხელმწიფის მდივან-მწიგნობარის“ სახელწოდება ეტარებინა, რადგან იმერეთიდან წამოსულ არჩილს კახეთის ტახტი ჯერ არ მიეღო და იმ ხანებისათვის ისევე „იმერელთა ხელმწიფედ“ ითვლებოდა.

ინტერესს იწვევს შემდეგი კითხვა: ვაპყვა თუ არა ფეშანგი კახეთის ტახტის მისაღებად სპარსეთში გაწვეულ არჩილს? როგორც თვით პოემიდანვე ჩანს, მამამ, შაჰნავაზმა, „მეფეთა ნაახლები ამალა მისივე წესითა და გარიგებით არჩილს თან წააყოლა“.

მოკლენი გარიგებით იგ მეფეთა ნაახლები,
გარიგეს წასატანლად, სულ დასცალეს ბალახები. 110|639

ხომ არ ერია ამ მოხელეთა შორის მდივანი ფეშანგი?

პოემის ზოგი ადგილი გვაფიქრებინებს, რომ მგოსანი მონაწილეობდა ამ შორეულ ექსპედიციაში, — ისე ნიშანდობლივად და დაწვრილებით გვიამბობს არჩილის მიღებას ყაენის მიერ, თითქმის ფეშანგიც თანადამხდურივით ყაენისაგან არჩილის პატივით მიღების მოწმე ყოფილა.

რა გიამბო მაშინდელი მოპყრობა და ანუ შუება,
მასპინძელთა კელმწიფემან, მთურალმა ბრძანა არ გაშუება,
არჩილ უხის სიახლოვეს. 113|662.
ბევრჯერ მოვიდის ყაენი, არჩილის სადგომს სმიდესა 114|667.

მაგრამ რაკი პოეტი სხვაგანაც ხმარობს მოყოლის ასეთ ხერხს (22|115) მხოლოდ პოეტური ანგარიშით და არა ისტორიული ქეშმარიტების ინტერესით (ვინაიდან ღას არ შეეძლო შაჰნავაზის თანხლება, მაგ., 1658 წ. სპარსეთში), საკითხი ისევე გადაუქრელად უნდა ჩავთვალოთ.

შემდეგ, 1664 წ., როგორც პოემიდან ვტყობილობთ, ფეშანგი თან ახლავს შაჰნავაზს და არჩილს კახეთის იმ ბრძოლაში, რომელიც არჩილს და შაჰნავაზს გაუმართა კახეთის ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ ერეკლე ბატონიშვილმა. „კახეთს ვიახელ მეფესა“, გადმოგვცემს მგოსანი.

მიბრძანა მათად საქებრად ლექსთა თქმა გამოვლილისა-თ 173|1056.

ამ ხანებისათვის იმერეთიდან გადმოხვეწილი ქონება და მამულ-დაკარგული პოეტი, ეტყობა, დიდ ნივთიერ გაქირვებას განიცდის

ამიტომ, რომ მეცენატს ასე გულმოდგინედ სთხოვს პოემის ჰო-
ნორარს:

აწ შემასმინეთ მეფესა, სარჯელი გამიგონოსა,
საუბარი და სიტყუანი ერთმანეთს შეაწონოსა;
წყალობა რამე უბძანოს, მონა არ დააღონოსა;
სულზე მამასწრას რაცა სწადს, საქმე არ დააყონოსა. 173|1056

პოემაში იგი სხვაგანაც ჩივის თავის სიღარიბეს:

იციოთ, სიმდიდრე ვისცა სკირს, ბევრს რასმეს მოაგონებსა,
კელის შემწყვდევთ სივიწრე კაცს მეთად შეაღონებსა,
სიკუდილსა ნატრებს უცილოდ, სამარედ განაგორებსა. 60|342

რა წყალობა დამართეს „მეფეთა“, რა ეფექტი ჰქონდა ფეშან-
გის „შაჰნავაზიანს“, არა ჩანს, ეს კია, რომ ფეშანგის მეცენატი.
თვით მგოსნების არბიტრი არჩილი ჩვენს ავტორს მდარე პოეტად
სთვლიდა¹. ამის მიუხედავად, არჩილს კვლავ შეუკვეთია ფეშანგი-
სათვის „ფირმალიანის“ ანუ „დიფნის, ქალაქის ამბავის“ პროზაუ-
ლი ვერსიის გალექსვა, მაგრამ, არჩილის სიტყვით, ნაწარმოები მდარე
პოეტური ღირსებისა გამომდგარა, მძიმე და უხეში, „სიმძიმით
ვით ლიტრიანი“.

მე ვათქმევინე, მარამე ვერა სთქვა მარილიანი,

ამრიგად, ფეშანგის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენ
ვიციოთ დღემდე მხოლოდ ორი ნაწარმოები: ერთი—„შაჰნავაზიანი“
შემთხვევით მოღწეული ჩვენამდე უნიკალურ ცალად, და მეორე—
„ფირმალიანი“, რომელსაც გასავალი არ ჰქონდა, ვერ განხაურე-
ბულა და რომელიც, ალბათ, ამ მიზეზით ჯერჯერობით დაკარგუ-
ლად უნდა ჩაითვალოს. ორივე ნაწარმოები დაწერილია ქართლ-
კახეთში. ეკვი არაა, „შაჰნავაზიანი“ არ უნდა ყოფილიყო ფეშან-
გის დებიუტი. მგოსანს, ალბათ, ექნებოდა სხვა სახობო ნაწარმოე-
ბიც, რომელსაც ჯერჯერობით ჩვენამდის არ მოუღწევია.

საკითხავია: იმერეთიდან გადმოსვლის შემდეგ ქართლ-კახეთში
ასრულებდა თუ არა ფეშანგი მდივნის თანამდებობას შაჰნავაზისა
და არჩილის კარზე? საყურადღებოა, რომ მხოლოდ ერთხელ იხსენ-
ნიება იგი შაჰნავაზის კარის მდივნად, სახელდობრ 1666 წ. (იხ.

¹ რატომ არ ახსენა არჩილმა ფეშანგის „შაჰნავაზიანი“ თანამედროვე პოე-
ზიის პანთეონში? ალბათ იმიტომ, რომ პოემა პირადად არჩილის ხობას შეი-
ცავდა და ეს გარემოება კი მას უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. ასევე მოე-
რიდა იგი გრძელ საუბარს მეორე პირად მებოტებ პოეტზე—სამეხელ იაკობზე
„სრულად ამისთვის არ ვაქე, რომ იყო ჩემი მკობარი.“

არქ. № 6-90). ხსენებულ სახელოს ამ დროისათვის ასრულებენ: შაველ ყორღანიშვილი¹. შალვა და ბეგთაბეგ მარტიროზიშვილები. სულხან და გიორგი თუმანიშვილები და გორელი ფირალი (ყანდურალიშვილი). როგორც ვიცით, მეფეებს რამდენიმე მდივანი ჰყავდათ. ეტყობა, ფეშანგი მათგან უმრწემესთაგანი და უკანასკნელი იყო. ქართლ-კახეთში კარის მდივნობას მემკვიდრეობით ასრულებდა სამი წარჩინებული გვარი—ყორღანაშვილების, შანშეან მარტიროზიშვილების (ბეგთაბეგიშვილები) და თუმანიშვილებისა, რომელთა წადავებაც მეტად გაუჭირდებოდა ვაჰართა ნაშიერს (როგორც ზემოთ ვნახეთ, მისი გვარეულობა XVIII ს. დასაწყისში მდივან თუმანიშვილებს ყმებადაც კი მიუსაკუთრებიათ).

რომ პოეტს მდივნის თანამდებობა აღრევეც ჰქონია არჩილ-შაჰნავაზის კარზე, იქიდანაც ჩანს, რომ ფეშანგი ჯერ კიდევ 1664 წ. „ახლავს“ მეფეს კახეთში (173|10) და იქ გართულა რაღაც საქმიანობაში. პოემის უკანასკნელ სათაურში, რომელიც დაწერილია არჩილ-შაჰნავაზის ერეკლე ბატონიშვილზე გამარჯვების შემდეგ, მგოსანი გადმოგვცემს:

„აქა ამა უსწოროს კემწიფის გამარჯუება და ყაენთან თავების გაგზავნა ზემოთ დაესწერეთ, მაგრამ საქმისაგან უცალოდ ვიყავით“.

რა საქმისაგან იყო უცალო ჩვენი პოეტი? ცხადია, იგივე მდივნობას გულისხმობს.

სრული სიბნელით არის მოცული ფეშანგის ცხოვრება შაჰნავაზის სიკვდილის შემდეგ (1675 წ.): ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, გადაჰყვა ისიც თუ არა არჩილს იმერეთში, სადაც არჩილი ექვსჯერ გამეფდა? იყო თუ არა არჩილის იმერეთიდან არა ერთი განდევნის მოზიარე? როგორი იყო მისი ბედი საერთოდ არჩილის და მის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის პერიპეტებში?

ცნობილია, რომ იმერეთის ლეგიტიმისტები სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ არჩილის, როგორც იმერეთის ტახტის უზურპატორისა. თანამედროვე იმერი ფეოდალის სიტყვით, არჩილის მეფობაში „იმერეთი ოხერ და უმემკვიდრო“ შეიქნა (ქრონიკები, II, 481) და მხოლოდ არჩილის მეტოქის, მაგრამ კანონიერი მემკვიდრის—ბაგრატის დროს დაიწყო ვითომდა ნორმალური ცხოვრება: „მკვიდრი ბატონი ვიშოვეთ და ქვეყანამ დაწყნარება და დამშვიდება დაიწყესო“ (იქვე).

ბაგრატის გამეფების შემდეგ, რასაკვირველია, არჩილის პარტია

¹ 1664 წ. თებერვალში არჩილის კარის მდივნად მოჩანს ყორღანაშვილი შაველ (თ. ჟორდანიას, ქართლ-კახეთის ეკლ. და მონასტ. ისტ. საბუთები, გვ. 6),

უნუევემო მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო. რადგან არჩილის მომხრეებს იმერეთში მოლაღატეებად თვლიდნენ და ბაგრატიმაც გამეფებისას დაიახლოვა მხოლოდ „ვინც იმერელი კაცი მის ღალატში არ ერია“ (ქრონ. II 480). ვიმეორებთ, არავითარი საბუთები არ მოგვეპოვება ფეშანგის ამ ხანებში ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ აქ გვახსენებდა არჩილის ცნობისამებრ ერთი მომენტი ფეშანგის ცხოვრებიდან, სახელდობრ მისი დასახიჩრება ცხვირის მოჭრით:

გებრალეზოდესთ საბრალო ცხვირმოჭრით თვალცრემლიანი.

როგორც ვიცით, სამეფო მდივნები დიდ პატივში იყვნენ, ანუ „პატივითა უმაღლესნი“ (ვახუშტი, 11), და მათი ფიზიკური დასჯა მხოლოდ მარჯვენა ცერის მოჭრით თუ შეიძლებოდა („მდივანსა ჩვენსა ჩოლოყაშეილსა არა-რაი ეკადროს თვინიერ დიდისა შეცოდებისათვის მეფისა: მარჯვენა ცერი მოეჭრას, ამისგან კიდევ არა-რაი“: ვახუშტი, 11). მაშასადამე, ფეშანგი ასე სასტიკად მხოლოდ სახელმწიფო ღალატისათვის უნდა დაესაჯა რომელიმე მოწინააღმდეგე პარტიას, შეიძლება უდანაშაულო ბრალდებისათვისაც. შესაძლოა, ფეშანგის დასჯა იმერეთში მომხდარიყოს სწორედ იმ „შფოთისა და აოხრების“ დროს, როდესაც არჩილი იმერეთში მეორედ გაბატონდა და შემდეგ ბაგრატიმა ტახტი ისევ დაიბრუნა, სახელდობრ 1675—1680 წლებში. აქი ფეშანგის „თვალცრემლიანობას“ ცხვირის მოჭრის გამო არჩილი 1681 წელს გვიამბობს.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართლში გამეფებულ ანარქიასაც შაჰნავაზის სიკვდილის შემდეგ და გამწვავებულ ურთიერთობას გიორგი VI და ერეკლე ნაზარალიხანს შორის, შესაძლოა ფეშანგის ტრაგედიას ქართლშიც ჰქონოდა ადგილი.

ჩვენ ვიცით სხვა ანალოგიური შემთხვევაც სამეფო მდივნის ფიზიკურად დასჯისა სწორედ ფეშანგის ეპოქაში, სახელდობრ, როცა თეიმურაზ I ხელთ იგდო მისი მოწინააღმდეგის — როსტომ მეფის მდივანი, ცნობილი ბირთველ თუმანიშვილი და ენა „პირში ამოართო“, ე. ი. ენა ამოაჭრევინა¹.

XVII ს. მრისხანე დღეებში ქართველ მეფეებს ხშირად ეძლეოდათ საბაბი თავისი მდივნების დასჯისა, მეფეებს ხშირად „დამასმენელნი“ „ფარულითა შურითა მრავალგზის განაწყრომდენ მეფეს მდივნებზე ენონანების გამოკანდაკებით“ და „უჯეროდ მსახურების“ ამბის მოტანით (საქ. სიძე., II, 100). თვით მდივნებიც თავის მხრივ ხშირად რენეგატობდნენ და თავისი რომელიმე პატრონის შე-

¹ „არჩილიანი“, გვ. 19.

რყეული მდგომარეობის მიზეზით ხშირად გადადიოდნენ მეორე მხარეზე, ერეოდნენ ინტრიგაში და მუხანათობდნენ¹. შესაძლოა ასეთივე უმადურობა გამოიჩინა თავისი მეცენატებისადმი ფეშანგი ხითარაშვილმა, როგორც უკმაყოფილომ, და იქნებ შესაფერის პატივმოკლებულმა შაჰნავაზ არჩილის კარზე?

ეს ეჭვი შეიძლება გავვიძლიეროს, სხვათაშორის, იმ გარემოებაშიც, რომ 1691 წ. I აპრილს ქვეშ ნაზარალიხანის კარის მდივან მწიგნობრად იხსენიება ვინმე ფეშანგიშვილი დავით (საქ. სიძე. I, 180). რაკი მდივანობა მამიდან შეილზე გადადიოდა, შეგვიძლია ვიკითხოთ, ხომ არ არის ხსენებული ფეშანგისშვილი დავით ძე ჩენი პოემის ავტორის ფეშანგისა?

თუ ეს ასეა, ფეშანგიც ამ ხანებისათვის უკვე გარდაცვლილი ყოფილა და მდივნის თანამდებობაც მის შვილს დაუქერია².

ამრიგად, ჩენი პოემის ავტორის ცხოვრება ასე წარმოგვიდგება: ფეშანგი ამირას ძე ხითარაშვილი, იგივე ფაშეიბერტყაძე, უნდა დაბადებულიყო ქ. გორში, შემდეგ თეიმურაზ I და როსტომის მეფობაში ხანგრძლივი ანარქიის დროს უნდა გადახვეწილიყო იმერეთში, სადაც მას მწიგნობრობისა და მდივნობის ნიჭი გამოუჩენია. აქ იმერეთის მეფეს ალექსანდრე III თავისი მდივნის მამუკა თავაქალაშვილის ტყვედ წაყვანის შემდეგ იგი კარის მდივნად მოუწვევია. როგორც ერთგულსა და ნიჭიერ მოსაქმეს, ფეშანგის მეფის ყურადღება [დაუქსახურებია. 1651-52 წლებში ფეშანგი, როგორც ალექსანდრე მეფის მდივანი, მხურვალე მონაწილეო-

¹ ამ შემთხვევაში დამახასიათებელი ფიგურაა ცნობილი კარის მდივანმწიგნობარი გივი თუმანიშვილი. შაჰნავაზის გაზრდილი გივი, 1675 წ. ახლავს მის შვილს გიორგი XI (საქ. სიძე. I, 390), ხოლო 1681 წლ. მის მოწინააღმდეგე ერეკლე ნაზარალიხანს, ვიდრე უკანასკნელის ტახტიდან გადადგებამდე, ე. ი. 1703 წ. (საქ. სიძე. I, 105, 79, 440; II, 153, 107, 189). მაგრამ 1692 წ. ქრისტოშ. 5-ს მას ვხედავთ ისევ გიორგის კარზე (საქ. სიძე. II, 109), შემდეგ იგი ისევ ერეკლესთან ბრუნდება, ხოლო 1700 წ. ახლავს არჩილს S—424), იმავე ხანებში, 1704 წ., ოგი ემსახურება გიორგის და არჩილის ძმას შაჰყულიხანს ანუ ლევანს (საქ. სიძე. I, 82, 444), 1712 წლ. ვახტანგ VI-ს, ლევანის შვილს (საქ. სიძე. II, 246, 303, 1, 137), ხოლო 1018 წ. ახლო ხანებში ვახტანგის მტერს, თუმცა მისივე ძმას—სვიმონ ბატონიშვილს (იქვე, 303).

² საკითხავია, მგოსანი ფეშანგი ხომ არ არის დამწყები გორელ ვაჭართა ფეშანგიშვილების გვარისა, რომელმაც მოგვცა ცნობილი სახალხო მგოსანი მომღერალი (მე-18-19 ს. დასაწყ.) სტეფანე ფეშანგიშვილი ანუ ფერშანგოვი.

სხვათა შორის, საყურადღებოა, რომ თვით 1749 წლისთვის ფეშანგის გვარში არ დაკარგულა მისი და მისი მამის ამირას—ანდრიას სახელი. ამ წლისთვის იხსენიება ვინმე ფეშანგიშვილი ფეშანგ, ანდრიას შვილი, რომელიც გვარის ერთს ახალ განშტოებას—„თაყინანთ“ ხაზს ეკუთვნოდა (ც. არქ. სიძ. ფ, № 129).

ბას იღებს იმერეთში ჩამოსულ რუსის ელჩებთან—სტოლნიკ ტოლოჩანოვთან და დიაკ იევლევეთან—წარმოებულ მოლაპარაკებაში. თავის მხრივ რუსის დესპანებიც კნაყოფილნი არიან ფეშანგის მონაწილეობით და მას ასაჩუქრებენ კიდევაც.

ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ ფეშანგი მდივნობს ბაგრატ IV და ნესტან-დარეჯან დედოფლის კარზე. ბაგრატის გადაგდების შემდეგ მას უნდა ემდივნა ახლად გამეფებულ 14 წლის არჩილის კარზედაც.

ოსმალეთის მოთხოვნით მალე არჩილს ხელს ალბინებენ იმერეთის ტახტზე და თბილისში მამასთან აბრუნებენ. ამაღასთან ერთად არჩილს თან უნდა გამოჰყოლოდა ფეშანგიც. ქართლში ჩამოსვლისთანავე ფეშანგი ჩანს სამშობლო ქალაქ გორში ან მის ახლოს. შემდეგ მდივნად ახლავს შაჰნავაზსა და არჩილს კახეთში, სადაც ისინი ებრძვიან კახეთის ტახტის პრედენდენტს ერეკლე ბატონიშვილს (1665 წ.). ამ ხანებში მეფეთა დავალებით ფეშანგი წერს სახოტბო პოემას „შაჰნავაზიანს“, მდივნად ჩანს აგრეთვე 1666 წელს (იხ. ც. არქ. № 1—26; 6—90).

იმერეთიდან აყრილი მგოსანი ქართლში გადმოსვლისას მძიმე ნივთიერ მდგომარეობას განიცდის და მის გამოკეთებას „შაჰნავაზიანის“ ჰონორარით იმედოვნებს. 1681 წლის ახლოს პოეტი კიდევ წერს პოემას „ფირმალიანს“ არჩილის შეკვეთით.

საქართველოს მაშინდელ გარემოებაში, ფეოდალური დაქსაქსულობის დროს, როცა მეფეები და ფეოდალური პარტიები გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს, სრულიად ადვილი იყო კარის მდივნის ჩარევა რომელიმე მეფის ანუ პარტიის შეთქმულ საქმიანობაში, რის შედეგად იმერეთსა თუ ქართლში ფეშანგი მოწინააღმდეგე ძალას ცხვირის მოკრით დაუსჯია. არჩილის ცნობის, სახელდობრ 1681 წლის, შემდეგ ფეშანგი ისტორიულ საბუთებში აღარ მოჩანს. შესაძლოა იმ დროისათვის იგი კიდევაც მიიცვალა. ყოველშემთხვევაში, ჩვენ არაფერი ვიცით მისი ცხოვრების დასასრულის შესახებ.

4. როდის დაინერა „შაჰნავაზიანი“?

ვიდრე შევუდგებოდეთ საკითხის გარკვევას, თუ როდის არის დაწერილი „შაჰნავაზიანი“, უნდა შევნიშნოთ, რომ პოემა პირველად თავდებოდა არჩილის სპარსეთიდან მობრუნების ამბით და მისი მომდევნო XLIV თავით.

ეს თავი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველში აღწერილია ვახტანგ V სახელმწიფო მიღწევანი, მისი გავლენის განმტკიცება საქართველოს ყოველ კუთხეში, როდესაც თვით „ბედნიერებით სრული“, „საღბინოდ მორთული“ იჯდა თბილისში. მეორე ნაწილს შეადგენს პოემის ერთგვარი აპოთეოზი, ტრადიციული სენტენცია საწუთროს აპოეზაზე და ისტორია თვით პოემის დაწერისა. ბოლოს მოცემულია ჰონორარის თხოვნა მეცენატისადმი. მაშასადამე, პოემა თავდებოდა 1056 ტაეპით და თავი XLIV, პირველი რედაქციის მიხედვით, უნდა ყოფილიყო პოემის დასასრული. შემდეგ პოემას ემატება ჩანართი, შვიდი თავისაგან შემდგარი.

როდის არის დაწერილი პოემა?

ავტორის სიტყვით, „შაჰნავაზიანის“ დაწერა მაშინ შეუკვეთიათ მისთვის, როდესაც შაჰნავაზმა კახეთის ტახტზე დასვა თავისი ძე არჩილი და მასთან ერთად კახეთში ლხინობდნენ ერთი თვის განმავლობაში.

სწორედ მაშინ თან ხლებია მეფეს ჩვენი მგოსანი. აქ შვილის ბედნიერებით გამხიარულებულ ხელმწიფეს უბრძანებია „მათად საქებრად ლექსთაჴთქმა გამოვლილისა“:

კახეთს ვიახელ მეფესა, მზეებრ მცხინარედ ტკბილისა;
მიბრძანა მათად საქებრად ლექსთა თქმა გამოვლილისა;
რაცა მენახა, ვიუბენ, მონამა მათის ჩრდილისა;
ვარდი მოვკრიფე უკვლო, ცვარით ავსილი დილისა. 173/1053.

როგორც ვიცით, კახეთის მეფედ დანიშნული არჩილი სპარსეთიდან მობრუნდა 1664 წ. იანვარში. მაშასადამე, პოემის წერაც და შეკვეთის მიღებაც ამ წელს ეკუთვნის. რაც შეეხება დასრულებას, პოემა უკვე გათავებული ყოფილა იმ დროისათვის, ვიდრე მოხდებოდა კახეთის კანონიერი მემკვიდრის—ბატონიშვილი ერეკლეს თავდასხმა ახლადგამეფებულ არჩილზე და მის სანახავად მოსულ მამაზე¹; როდესაც ერეკლე თავისი თუშებით სასტიკად დამარცხდა. ეს ამბავი კი, როგორც ვიცით, მოხდა 1664 წლის შემოდგომას. მაშასადამე, პოემის I—XLIV თავები დაწერილია 1664 წლის შემოდგომამდის.

რაც შეეხება პოემის ახალ დანართს (LV—LL), იგი დაწერილია ერეკლეს თავდასხმის ხანებში, როგორც უკანასკნელი თავის (XLI) სათაური გვიჩვენებს: „აქა ამ უსწოროს ჳემწიფის გამარჯუება და ყაენთან თავების გაგზავნა ჳემოთ დავსწერეთ, მაგრამ საქმისაგან უცალოდ ვიყავით და გაგზავნის რჩევა და თუშთა ჳედა გა-

¹ ერეკლე 1660 წ. 3 ივნისს გამოვიდა მოსკოვიდან, ხოლო 1666 წ. დამარცხებული დაბრუნდა მოსკოვში.

მარჯუება და თავების გასტუმრება აქ შეიქნა ყუელასი“ (გვ. 189)-
ცხადია, რომ ხსენებული დამატებაც ამ ბრძოლის ხანებშივე, სა-
ხელდობრ, 1664 წ. არის დაწერილი.

ამრიგად, „შაჰნავაზიანი“ სრულად, დამატებითურთ, დაწერი-
ლია 1664 წ.—ერთი წლის განმავლობაში, მაშასადამე, იგი უხნე-
სია 17 წლით „არჩილიანზე“ და დაახლოებით ამავე დროით იოსებ
თბილელის „დიდმოურავიანზე“.

5. პოემისათვის

I

XVII ს. საქართველოს — კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეო-
ბის ქვეყანას — მცირე შესვენების შემდეგ გარეშე თავდასხმებისაგან,
თუმცა ისევ სპარსთა მონობის ქვეშ, ეკონომიური განახლება დაეტყო.

ხანგრძლივ შემოსევათა შემდეგ თბილისი — საქართველოს მეურ-
ნეობის ცენტრი — დაუახლოვდა ირანის ბაზარს. ამ ურთიერთობის
ნიადაგზე ჩვენ ვამჩნევთ სავაჭრო ელემენტების მოლონიერებას თბი-
ლისსა და გორში, ქართლის მაშინდელ ეკონომიურ ცენტრებში.

ბაზრის განვითარებამ, ფულის ტრიალმა და უცხო ქვეყნებთან
კავშირმა რამდენიმედ გაზარდა ჩვენი ფეოდალური ქალაქების მნი-
შენელობა და მათი კულტურული დონე ასწია. ვაჭრობა, მიწათმოქ-
მედება, მეურნეობა ამოძრავდა. იწყებოდა ცხოვრების აღორძინება,
რომელიც რამდენიმე ხნით ისევ შეაჩერა უღმობელმა ისტორიულმა
პირობებმა.

თბილისში ვაჭრობა-აღებ-მიცემობის საქმე რომ საკმაოდ სასურ-
ველ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამ ფაქტს უცხოელი მოგზაუ-
რებიც კი გვიმოწმებენ. თბილისში უცხოელი ვაჭარი უფრო მეტია,
ვიდრე სხვაგან სადმეო (ალბათ, იგულისხმება ამიერკავკასია): ისი-
ნი დიდ ვაჭრობას მისდევენ; ბაზრები და ქარავასლები მშვენივრად
მოწყობილია და ვაჭრობის წესები გარიგებულებიო, — გვიამბობს მა-
შინდელი ფრანგი ნეგოციანტი შარდენი.

მისივე სიტყვით, თბილისში მრავალი უცხო ვაჭარი და სოვდა-
გარი საქმობდა: სომეხი, ბერძენი, ოსმალა, თურქი, სპარსელი, ჰინ-
დო, თათარი, რუსი და ევროპელი. თბილისი, როგორც ნედლე-
ულობის ბაზარი, განთქმული იყო აბრეშუმითა და ღვინით, ისე
როგორც — ტყავეული, ხელთსაქმარი, ენდრო, მატყლი, თაფლი და
ცვილი გაჰქონდათ აქედან აზიისა და ევროპის ქვეყნებში.

ასე, საშინელი პოლიტიკური წინაგანადგურებისა და მეურნეო-

ბის პროლუქციის დაცემის მიუხედავად, XVII ს. ჩვენ მაინც ვხე-
დავთ ალებ-მიცემობის ფარგლების გაფართოებას და თვით გარეშე
ქვეყნებთან კავშირის დაქერის ცდებს. მაგ., ქართველ ვაჭართა ამ-
ხანაგობებს, პარტიზანულ სავაჭრო კომპანიებს აზიის არა ერთ სა-
ვაჭრო ცენტრში უხდებოდათ მოქმედება (მაგ., ისპაჰანი, გილანი,
სტამბოლი, ბრუსა და სხვ. იხ. АКТЫ, I, 27), სადაც ხშირად მსხვილ
სავაჭრო ოპერაციებსაც კი აწარმოებდნენ. განსაკუთრებით საგუ-
ლისხმოა ცდა დასავლეთ ევროპასთან კავშირის დაქერისა. მიუხე-
დავად საქართველოს გამოთიშვისა ღიდი სავაჭრო გზიდან, ქართუ-
ლი სახელმწიფოებრივი წრეები ოცნებობდნენ ამ გზის განახლება-
ზე, და შემთხვევით როდი განუმარტავდა ვახტანგ-შაჰნავაზი თბი-
ლისში მყოფ შარდენს, რომ ინდოეთში მიმავალ ევროპელებს არ
შეუძლიათ საქართველოზე უკეთესი გზა ამოიჩიონო. მისი აზრით,
რაკი ევროპელები ამ გზას ამოიჩიევენ, მომავალში სხვა გზის ძებნა
ალარც კი დასჭირდებათ,—და გულმხურვალედ აცხადებდა: ძა-
ლიან მსურს ევროპელების დასახლება, და თუ ალებ-მიცემობისა-
თვის ჩამოვლენ, ყველა გადასახადისაგან გაავათავისუფლებ და უპი-
რატესობასაც კი მივანიჭებო¹.

ვახტანგის ოცნება ერთგვარი გამომსახველი იყო მოწინავე ელე-
მენტების სწრაფვისა ეკონომიური შეზღუდულობის ჩარჩოების გა-
სარღვევად და ფეოდალური სამეურნეო სისტემის გარდაქმნის მე-
ცადინეობისა.

სამეურნეო ზრდას განსაკუთრებით ხელს უწყობს (1640 წლები-
დან) უკვე ძალმოქაგრებული ცენტრი. სავაჭრო, საქალაქო ელემენ-
ტებს ძლიერ მფარველად ველინება ჯერ კიდევ როსტომ მეფე (1633—
1658), რომელიც ფეოდალურ ანარქიასთან ბრძოლაში თბილისისა
და გორის სავაჭრო წრეებს ეყრდნობა. ის განსაკუთრებულ მფარ-
ველობას უწევს სოკხებს ანუ სავაჭრო ელემენტებს, აძლევს რა შე-

1. ვახტანგ V ასეთი სწრაფვის დამახასიათებელია ფაქტები მის მიერ კარ-
ზე ევროპელების დაახლოებისა. ცნობილია, რომ ის ყოველგვარად ხელს უწყობდა
თბილისში მყოფ პაპის მისიონერებს (მ. თამარაშვილი, ისტ. კათოლიკობისა, 2:4,
227, 228, 229, 246, 247), რომელნიც დას. ევროპის სავაჭრო კაპიტალის მზვერავ-
აგენტების როლს ასრულებდნენ ირკვევა, რომ ვახტანგს კარზე ევროპელი სპეცია-
ლისტებიც ჰყოლია. ასე, მაგალ., „ფოანგის ოსტატებს“ თავისი ხელოვნებით აუ-
შენებიათ მეფისთვის ტფილისის სასახლე („შაჰნავაზიანი“, 35/18ა.). იგივე მეფე
თხოულობდა დას. ევროპიდან სპეციალისტებს, რომელთაც უნდა სცოდნოდათ ინ-
ჟინრობა და მექანიკა,—მტკვარზე იმნაირი წისქვილი უნდა გაეკეთებინათ, რანი-
რიც რომის მდინარეზე ყოფილა (თამარაშვილი, 227); საინტერესოა ის ფაქტიც
რომ თვით სამეგრელოშიც ლევან დადიანს სამსახურში აყვანილი ჰყავდა ფრანგი
ოქრომჭედელი და მესაათე (იქვე, 147).

დავითებს, აქეზებს სანოქედოდ, უძებნებს ქარვასლებს, ნაღებს, სხვათა შორის, ამავე სომეხი ვაჭრებისათვის და შეიქმნა ტიღვე ერთი ახალი სავაჭრო ცენტრი—ქ. ახალქალაქი (გორა-შენი) მეფის ქალაქის“ სახელწოდებით“.

როსტომის მემკვიდრე ვახტანგ V — შაჰნავაზიცი, რომელმაც ქართლ-კახეთი გააერთა და დროებით იმერეთ-ოდიშიც დაიმორჩილა, არა ნაკლები ენერგიით აგრძელებს როსტომის ნაანდერძე პოლიტიკას. სწორედ XVII ს. 60-იანი და 70-იანი წლები (ე. ი. ვახტანგის მეფობის წლები) არის ხანა ეკონომიური წინწაწევისა და სავაჭრო ჯგუფების გაძლიერებისა.² ამ ხანებში, მართალია, ყველა საზოგადოებრივი ფუნქცია ისევ თავადაზნაურობის გამგებლობაშია და ისევ უქანასკნელია ცხოვრების ტონის მიმცემი, ძველი მეურნეობის სისტემაც ისევ მტკიცეა, მაგრამ მაინც ჩვენ საქმე გვაქვს ფეოდალიზმის დეკადანსთან, მისი სხეულის შერყევასთან ახლად ჩასახული სოციალური ელემენტების მიერ.

ამ სოციალ-ეკონომიურ ფონზე ვითარდება ცხოვრება და შემოქმედება „შაჰნავაზიანის“ ავტორისა, რომელიც სავაჭრო წრის წიაღიდან არის გაპოსული. ამავე დროს, იგი კარის მსახურიცაა, კარის მდივან-მწიგნობარი, „გააზნაურებული“, წინწამოწეული. მაგრამ ამ გარემოებით იგი მთლად არ არის დაშორებული თავის სოციალურ წირს, რადგან სამეფო მდივნები, რომელნიც XVII—XVIII-ს. უმთავრესად სომხურ წარმოშობას ეკუთვნოდნენ, კომერციულ ოპე-

¹ როგორც ახალქალაქის ერთი წარწერიდან ირკვევა: „მას ეამსა, ოდეს იჯდა ერან-თურანსა ბედნიერი ყაენი კელმწიფე შაჰ სეფი... სახელითა ლუთისათა, ჩუღნ საქართველოს კელმწიფის შვილმან მეფეთ მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ დედოფალმან მარიამ, კელ ვჰყავით აღშენებად თეძამის პირსა ზედა ქალაქი და სახელი უწოდეთ მეფის ქალაქი და აღვაშენეთ საყდარნი და მონასტერი... ქალაქისა ამის მკუიდრობისათვის მეფისქალაქელთა სომეხთა ჩუენთა სახსოთა ვაჰართა. ჭკ-ს ტ... თუესა აპრილისა კდ...“ (Пл. Исоелиани, Города существовавшие и существующие. Грузия, Тифлис, 1850 г., стр. 27).

ფიქრობთ, როსტომს უნდა განეახლებინა ამ ძველი ქალაქის ერთი უბანი 1673 წ. აქ გზად გამწვლელმა შარდენმა ნახა სრულიად დანგრეული ვრცელი ნაქალაქარი.

² ვახტანგის მიერ ვაჭართა მფარველობით არის გამოწვეული ფეშანგის სიბარული ქვეყნის ეკონომიური წარმატების გამო:

ამ რიგად მორთო ქუეყანა, სიმდიდრით მეტისმეტითა. 34/184
აიგსო თემი ლარითა, არვის ასმია წინასა.
ოქროთ მორთეს ჭურჭელი, არვინ ინდომებს მინასა. 13/53
უცხო თემთაგან მოსულთა (მოგზაურთ) ქება თქუეს, ნატრა ნეტითა, 34/182

რაციებშიც მონაწილეობდნენ, მათ მეურნეობასაც ნაწილობრივ სავაჭრო მეთოდი ახასიათებდა¹.

ასეთია სოციალური ფიზიონომია „დემოკრატიული“ ფენებიდან გამოსული მგონისა, რომელიც ფეოდალური მწერლობის მბრძანებლობის ხანაში ყრუდ ამქლავნებს თავისი კლასის მსოფლმხედველობას საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე გამოხმაურებით.

II

XVI ს. ეკონომიური აღორძინების ხანმოკლე პერიოდს ეკუთვნის „აღორძინების“ მწერლობის ზენიტიც, არჩილის, იოსებ ტფილელის და სულხან ორბელიანის სახელებით განათებული. მათ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან ერთად ამ ეპოქის ლიტერატურულ ინტენსიობას გვიდასტურებენ ის ცხოველი ლიტერატურულ-ბრძოლები და დისპუტებიც, რომელთაც თურმე დიდი რეზონანსი ჰქონდათ:

მინახავს მეღეკებისა შედრაზე დიდი ცილება,
ზოგს მართლა დაიწუნებდენ, ზოგისა იყო ცილება.

როგორც არჩილი გადმოგვცემს, კერძოდ, ეპოქის პოტენციის მაჩვენებელია დაპირისპირება ანუ „შედრა“ რუსთველის და თეიმურაზის არტიკული სახელებისა: „მათ მეღეკსეთა (ე. ი. რუსთველის და თეიმურაზის) შედარება მრავალჯერ მასმოდაო“, — გვიამბობს იგივე არჩილი, ერთი მონაწილეთაგანი ცხარე ლიტერატურული კამათებისა. არჩილზე ადრე პოეტი ნოდარ ციციშვილიც გვიმოწმებს ამ ორი სახელის გარშემო საზოგადოების ორ ბანაცად დაყოფას:

ლექსთა მკითხველთა მეღეკსედ ხან ის [შოთა] აქვს და
ხან ისი [თეიმურაზი].

ამ ეპოქის გაბედული გამოწვევის დამადასტურებელია თეიმურაზის ამაყი ნათქვამიც:

ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა:
მაინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა!

¹ შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ სავაჭრო ქალაქის, ქართლის ახალ-ქალაქის (იხ. ზემოთ) განახლება და ვაჭრებით დასახლება როსტომის დროს თვით როსტომის მდივან-მწიგნობარის მერაბ ყორღანაშვილის ინიციატივით მომხდარა. ასე გადმოგვცემს თვით როსტომის წარწერა: „გვაგონა და მოგვახსენა ქალაქისა... ამის აშენება კარისა ჩუენისა მდივანმან ყორღანაშვილმან მერაბ...“ (Ш. Исселиანი, „Города...“ გვ, 28).

თეიმურაზი ცენტრალური ფიგურა იყო იმ ლიტერატურული წრეებისა, რომელნიც ახალი პოეზიის სასარგებლოდ ამდებდნენ თვით წინა საუკუნეების ტრიუმფატორს—რუსთაველს¹, უპირისპირებდნენ რა მას თავის პოეტურ ფალავანს—თეიმურაზს, ე. ი. ეპოქის ახალ გემოვნებას პოეზიაში.

მწერლობის აღორძინების ხანაში უნდა განახლებულიყო კარის პოეზიაც, რომლის შემოქმედებითი ძაფები დიდ მანძილზე იყო გაწყვეტილი და ისე, როგორც მათიანე „ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულებიყო“. თვით ჩვენი ავტორიც „შენიშნავს ამ ანტრაქტის ხანგრძლიობას:

ჟამნი გარდაკდენ. მეფეთა არვის უბძანეს წერასა.

არცავინ კულჳყო გამოთქმად, ტკბილ საუბართა თქმევასა.

მგოსანი გვიამბობს, რომ საკარო, სამქებრო ნაწარმოები, მეფეთა „ქება დიდება“ (7/15) დიდი ხანია აღარ დაწერილა ანუ არ შეუქვეითათ ზეცენატ მეფეებს კარის მგოსნებისათვის, რადგან არც ხოტბის მოთხოვნილება არსებობდაო:

ან მელექსესა რა რჯიდა, ველად დაეწყო რბენასა;

დაუმადლებლად სიტყუანი სად წარმოეთჳუ ენასა? 5/2.

აქედან ჩანს, რომ არ იყო ხოტბის გამომწვევი ობიექტი—ძლიერი ხელისუფალი, ხოლო დაუფასებლად, „დაუმადლებლად“ ხოტბას რა სტიწული ექნებოდაო. ასე გვიხსნის ფეშანგი წინადროის საკარო პოეზიის კრიზისს, გაძოწვეულს საქართველოს შიშვე პოლიტიკური ვითარებით². ხოლო ფეშანგის დროს კი ეკონომიურ გაძლიერებასთან ერთად საკარო პოეზიაც უნდა აღორძინებულიყო-

¹ არჩილის ცნობით ვიცით, თუ როგორ ეკამათებოდნენ რუსთაველს. უთუოდ ამ გაბედული ბრძოლის ანარეკლია ფეშანგის კადნიერი კრიტიკაც რუსთაველისა (იხ. ქვემოთ). ამის შემდეგ აღარაა საკვირველი ასეთი ფამილარული მიმართვა რუსთაველისადმი ერთი ანონიმისა ოპონენტების ბანაკიდან:

რუსთველო, ახ თუ დრო გაქვს, მიტომ ასეთ ლექსსა სჩმახავ,

ადექ, შილი, ერთად დავსხდეთ, ერთად ვსწეროთ, მაშინ ვნახავ;

ლაგაზივით წამოგწვდები, ეს კი ვიცი, ვერ გამლახავ.—

ამას წინათ შენს დროებში დაგავიწყებ, რაც გინახავს! (ს. ს. № 2055)

² შესაძლოა ვიფიქროთ, რომ კარის პოეზიის განახლება როსტომ მეფის (1533-1658 წ. წ.) დროიდანაც კი იწყებოდეს. ამიტომ არაფერს დაუჯერებელს არ უნდა წარმოადგენდეს ზ. ჭიჭინაძის ცნობა, რომ მას „ძველ [წიგნების] კატალოგში“ შეხვედრია მოხსენებული როსტომ მეფის ქება ლექსად... სტიხათ დაწერილი თანამედროვე პირისაგანო“ (საქართველოს მწერლობა, XVII საუკ., გვ. 40). სხვათაშორის, ჩვენამდე შენახულა ფრაგმენტი მარიამ დედოფლის (როსტომის მეუღლის) „ქებისა“ (იხ. ქრონიკები, II, 452; პრაფ. კ. კველიძე, შვიდი მთიები, გვ. XII).

როგორც საჭირო მხატვრული ავტაცია ძლიერი მეფის ძალა-უფლების განმტკიცებისა. კერძოდ, როსტომისა და შაჰნავაზის სახელმწიფო მმართველობა, ბუნებრივია, თხოულობდა კარის მგოსნური ტრადიციების განახლებას. მით უმეტეს, როსტომის კარზე, რომელმაც, მათიანეს სიტყვით, დაადგინა „მეჩანგე, მგოსანი“ და პატივში აიყვანა. (ცხადია, აქ მათიანე გულისხმობს სპარსელ მგოსანს და სპარსულ საკრავებს). XVII ს. განახლებულ საკარო, „სამქებრო“. პოეზიაში ჯერჯერობით პირველობას ჩემულობს პოემა „შაჰნავაზიანი“, —ამავე დროს ისტორიული პოემის ტანრის ნაწარმოები. იგი ქრონოლოგიურად XVII ს. საკარო პოეზიის პირველი ძეგლია და ამასთანავე დოკუმენტალური პოეტური თხზულება, —პირველი ისტორიული პოემა XVII ს. რომელსაც კი მოუღწევია ჩვენამდე.

სამწუხაროდ, ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით საკარო, მეხოტბე პოეტებზე, რომელთაც სახელოვანი მგოსნური ტრადიცია ჰქონდათ და რომელნიც უპეტესად ხელმწიფის კარის მდივან-მწიგნობართა ოჯახს ეკუთვნოდნენ. ჩვენი აზრით, შეუძლებელია სრული წარმოდგენა ვიკონიოთ ფეოდალურ პოეზიაზე, თუ არ იქნა შესწავლილი და გათვალისწინებული როლი კარის მდივან-მწიგნობრებისა, რომელნიც კარზე, საზოგადოებაში პროფესიონალ მგოსნებად ითვლებოდნენ, რომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ძველთაგანვე იყო ცნობილი. ჩვენში რატომღაც მივიწყებულია და უცნობი ის ფაქტი, რომ ფეოდალური პოეტების დიდი ნაწილი მდივნების წრიდან არის გამოსული.

მეტად საგულისხმოა მდივნების ტრადიციის ხანგრძლიობა ფეოდალურ მწერლობაში. ასე, XVII ს. სამეფო მდივნები უმეტესად მგოსნები არიან (მაგ., მამუკა თავაქალაშვილი, „ზაქიანის“ გამლექსავი, —იმერეთის მეფის ალექსანდრე III კარის მდივან-მწიგნობარი; ბარძიმ ვაჩნაძე, „სამიანის“ გარდმოძლები, —თეიმურაზ I-ის მდივანი; ბეგთაბეგ შანშეან-მარტიროზიშვილი, —პოემა „ამირანდარეჯანიანის“ ავტორი, — გიორგი XI მდივან-მწიგნობარი; იოსებ ტფილელი, ხშირად მდივნობის აღმასრულებელი და სხვ.).

მგოსნობის ტრადიცია მდივანმწიგნობართა ოჯახში XVIII ს-შიც ისევ ძალაშია. აქაც ცნობილი მგოსნები და მწერლები მდივნობით ემსახურებიან სამეფო კარს: ონანა მდივანი (ქობულაშვილი), ყარან (ბეგთაბეგიშვილი), დავით რექტორი, სოლოჰონ ლეონიძე, იმერეთის მდივან-მწიგნობარი ბესიკი და სხვ. თვით გურიის მთავრის მეხოტბე პოეტი პეტრე ჩხატარაისძე — გიორგი გურიელის მდივან-მწიგნობარია.

უნდა აღინიშნოს, რომ მდივან-მწიგნობართა მწერლობა არ იყო.

აქტი თავისუფალი შემოქმედებისა. მათი ფიზიკური, ნივთიერი თუ პოეტური ბედი უმთავრესად დამოკიდებული იყო მეცენატზე, რადგან მეცენატის ბრძანებითა და დაკვეთით წერდნენ. მდივნები ყოველთვის ნზად უნდა ყოფილიყვნენ მუნასიბისთვის, „სააპოდ სასმენელი სიტყვისათვის“ და „ძნელის“ საპოვნელად. მათ უბრძანებდნენ ნზა სიუჟეტების გალექსებას ანუ გარდათქმას (ზააქიანი, ამირანდარეჯანიანი და სხვ.). თვით ტყვეობაში მყოფნი უსიტყვოდ ასრულებდნენ ახალი მეცენატის დაკვეთას. ბარძიმ ვაჩნაძემ, კახეთის მდივანმა და სამეგრელოში ტყვედ ჩაგარდნილმა, მაპუკა თავაქალაშვილის ბედის მოზიარებ, საამიანი ტყვეობაში გალექსა:

ვეპვ, თუ არ ვთქვა, მით უთქვამს. საქმეს უხემდენ საშიშსა,

გვიანობას არჩილი ბარძიმის შესახებ, რომელიც მის ახალ მბრძანებელს ლევან დადიანს შეეძლო მკაცრად დაესაჯა, თუ პოეტი მის დაკვეთას არ შეასრულებდა. ასევე მეცენატის ბრძანებით დაწერა მდივან-წიგნობარმა ფეშანგმა ჩვენი პოემა: „მიბძანა მათად საქებრად ლექსთა თქმა გამოვლილისაო“ 173/1053; „ჩელმწიფეთა ინებეს ცხოვრება მათი და ხელ ჰყო ზონამან ვინმე გალექსუად წიგნისა ამისა“ (გვ. 4).

ფეოდალური მწერლობის ტრადიციით, პროფესიული კარის მგოსნები, იგივე მდივან-მწიგნობარნი,¹ რომელთა ნაწილი XVII ს. დაბალი საეპოქო წრეებიდან იყო გამოსული, არ ეკუთვნოდა ოფიციალური მწერლობის ოჯახს, რომელსაც ქმნიდა ქართული არისტოკრატია. ფეოდალური მწერლობა მათ ყოველთვის ზემოდან დაპ-

¹ ფეშანგის მდივანობას ზედმეტად ამჟღავნებს თვით პოემის ტექსტიც, რომელიც ლაპარაკობს მდივანობის სპეციალურ ტერმინოლოგიაზე. ასე, ავტორი ორჯერ ახსენებს „მცოდნე მწიგნობარს“ 150/833; მდივნის მიერ დაწერილ წიგნს „ბეჭდით, ძაფით“ 100/586, „რაცამს,“—„რაცამი ჰქონდა მობეჭუდით, და დაწერით ვარაყულია“ 115/673; ერთ ალაგას გადმოგვცემს მაშინდელი „საფიცრის წიგნის“ ზეგმას, რიგს: ა) თავში ღვთისმეტყველური წინასიტყვაობა ღვთისა და წმინდანების ხსენებით; ბ) ფიცის შემსრულებელის, „გამათავეს“ დალოცვას და ურჩის დაწვევლას:

მდივანს უბძანა მცოდნესა, საფიცრის გასრულებასა:
სიტყუა უკლებლივ მოირთოს, რიგი ერთმანეთს ებასა,
დამბადებელი ახსენოს, მტკიცედ კელჰყოფდეს ქებასა.
დაწერეს სამარყანდზედა სახელი არსთა მკედისა,
ყოველნი მისნი წმინდანი, სულთათუი მოიმედისა;
გამათავეს სწყალობს, მტყუნასა რისხუგ სცეს ზედი ზედისა. 150/894, 895

ლექსში მოხსენებულია მაშინდელი სამდივანო ძვირფასი ქალღმრთის სახელწოდებულობაც—„სამარყანდი“.

ყურებდა, როგორც პოეზიის ვულგარიზატორებს, უბრალო „მოზა-
ირეებს“. და შემთხვევითი როდია თეიმურაზ პირველის დეკლარა-
ციული განცხადებაც:

ბოლოდ სცნან ყოველთა, არა ვარ მოზირეთა ძმობილი.

ან თეიმურაზ მეორის ირონია:

ვინ არის ჩემზე მეტყველი, შეტყობა დია მსურისა,

არამც რომ დამკვრელი იყოს სტვირისა, კიანურისა!

ზედან ვმღერდეს შაირებს, ნათქვამს ბისტიკას¹ ცრუისა.

ასეთი აზრის იყო არისტოკრატიული მწერლობა სასახლის მო-
შაირებზე, ხოლო უკანასკნელთ თავისი მდგომარეობის მიხედვით
არავეითარი ლიტერატურული პრეტენზიები არა ჰქონდათ, გარდა
„წყალობის“ მიღებისა:

აწ შემასმინეთ მეფესა, სარჯელი გამიგონოსა;

საუბარნი და სიტყუანი ერთმანეთს შეაწონოსა;

წყალობა რამე უბძანოს, მონა არ დააღონოსა;

სულზე მამასწრას, რაცა სწადს, საქმე არ დააყონოსა. 173/1056

და სავალდებულო ბოდიშით უნდა შეემართათ მეცენატისთვის.
რომ, მიუხედავად მთელი პოეტური და სიტყვიერი რესურსების
ამოწურვისა, მათ მაინც ვერ შეძლეს პატრონის რიგისამებრ შემ-
კობა (იხ. 173/1054, 1055).

ერთი სიტყვით, კარის მდივან-მგოსნების პოეზია ნაკარნახევი
იყო „ბრძანებით“ და არა ნათქვამი „თავის ნებით“ (ცხადია, ვგუ-
ლისხმობ დაბალი სავაჭრო ფენებიდან გამოსული და ფეოდალური
წრეების მდივან-მწიგნობრებს და მგოსნებს). სწორედ მათი ასეთი
განსაკუთრებული მდგომარეობის ბრალია, რომ „შაჰნავაზიანის“
ავტორს პოეტების რიგში სულ არ იხსენიებენ—მათ მიერ შედგე-
ნილი პოეტების პანთეონში შემდეგი დროის მწერლები: დავით გუ-
რამიშვილი, ვახტანგ მეექვსე, მამუკა ბარათაშვილი.

მომდევნო თაობამ ულმობელი განაჩენი გამოუტანა კარის მე-
ხოტბეებს, ფარისეველ, ხშირად ვერცხლის მოყვარე მელექსეებს.
რომელთაც ჯერ კიდევ იოსებ ტფილელი, ფეშანგის თანამედროვე-
დასცინოდა:

რომე კაცმა ბევრი რამ თქვას: ხოტბა, ბევრის სიტყვის თბრობა,—

თვისტომს თავსა მოაძაგებს, მას მიხუდების ცუდი შრომა

(„დიდმოურავიანი,“ 74/407).

¹ ბისტიკა resp. პისტიკა—პოეტი; ამ სახელთან დაკავშირებულია ლექსის
მეტრი „ფისტიკაური“.

უარყოფითი აზრისა იყო მათზე არჩილიც, რონელიც სიტყვა „ხოტბას“ უპირისპირებს „მართალს“: „თეინურაზის სახელთა და სარჯელთ ამბავი თვით მნახავთა და თან ნახლთ მის ყმათ ქართველთა და კახთავან მსმენოდა, არა ხოტბა, არამედ მართალიო“. ასე განსაზღვრავს იგი ამ ჟანრს. ასეთი აზრისა იყო კარის მეხოტბე მგოსნებზე ჯერ კიდევ XVII ს. 80-80-იანი წლების ოფიციალური ფეოდალური მწერლობა, რომლისთვისაც მდივან-მგოსანთა ოჯახი ცალკეული ლიტერატურული კასტა იყო. ფეშანგი ამ კასტის წარმომადგენელია.

III

როგორც ვიცით, „შაჰნავაზიანის“ ავტორი წარმოშობით ვაქართა წრეს ეკუთვნის, ქ. გორისა და ჩხარის ვაქართა ჯგუფების წარმომადგენელია. ამ ახლად ჩასახული ჯგუფის პოლიტიკური და მორალური ინტერესები მკრთალად გამოსჭვივის პოემაში.

უპირველესად, მგოსანს უხარია ქვეყნის სამეურნეო აღორძინება, ახალი, სავაქრო ელემენტების გამოჩენა ცხოვრების ასპარეზზე. პოემაში ისმის ერთიმული და „ყრიალი“ „თბილელთა“, resp. თბილისელთა (127/714, 147/874) ანუ „ვაქართა“ (134, 793), „მოქალაქეთა“ (19/96), რომელთა პროცესიები ფიანდაზით და ცერემონიით ეგებებიან მეფეს—მათი საქმიანობის მფარველს:

თბილისს მოვიდა კემწიფე, შეიქნა დიდი ყრიალი,
სიმხიარულე ვაქართა; ჰქონდა ერთობით ზრიალი,
გარდააყრიდენ ოქროსა, კმასა მიჰქონდა გრიალი.
უსუსურს ფეტკუფეშ იგებდენ, თეთრს შოულობდა ძრიალი, 22/113
— თბილისელთა რა შეიგნეს, მიეგება ყუელამ წინა,
ნულლი ჰქადრეს კელმწიფესა, ლუინით ჰქონდა საყე მინა.
— მიულოცევენ, აყრიდენ მარგალიტსა და დრამასა;
შეასხმიდიან ქებასა, თქუეს „ვინ ელირსოს წამასა!“
ენჟეოდინ საქურეტლად... (147/874, 875).

პოემაში მოჩანს ფულის ტრიალითა და ბაზრის განვითარებით გაზრდილი ფეოდალური თბილისი, რომლის ეკონომიური როლი თანდათან შესამჩნევი ხდება ნატურალური მეურნეობის ქვეყანაში:

თბილისს ქალაქი შეამკო, არ ითქმის კაცთა ენითა;
დუქან-ბაზარი გამართა ბალახანითა ზენითა;
ყოფილა უცხოთ თემთავან, აიესო მუდამ დენითა,
ანი ზომა სკირს სიკეთე, ამაზე, რაცა ვთქუნითა! 34/173
რა გიამბო ძვირ საფასო, იშოების თუ რა ლალი,
სიტკობება მრავალ ფერად, გამოისმის თურალალი;

ზოგ დაბმია სასაუბრო, რას იძრაებებს თურაღალი;
ბერი მოვა სავაჭრებლად, მათ შექნია თურაღალი. 34/180
სახლი ვაჭართა ვით გიქო, როგორ მორთუთ აქუს თალარი;
მორკმა, სიმდიდრე ზღუისაებრ, უქრია იმათა ლარი,
თუალ მარგალიტი უზომო, თუ როგორ განათალარი;
მათ რომე სკირდა ლართა ყრა, ვერა ვთქუი ნათალარი. 34/161

ასე აღტაცებული კილოთი აგვიწერს მგოსანი ფეოდალური თბილისის განვითარებას, დუქან-ბაზრების მოწყობას. „უცხო თემთაგან“ მოსიარულე ვაჭრებს, საქონლის სიზრავლეს და ვაჭართა ნივთიერსა და საზოგადოებრივ ყოფას. მას უხარია თავისი წრეების ანუ სავაჭრო ჯგუფების-სიცოცხლიანობა, რაც ცხოვრების გა-მაახლებელ ძალად უნდა გამხდარიყო.

პოემაში თვალნათლივ მოჩანს აგრეთვე მგოსნის კლასობრივ-პოლიტიკური იდეალი: სახელმწიფოს პოლიტიკური გაერთიანება, მთლიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა და აყვავება სამეურნეო თანამშრომლობით; ბრძოლა ფეოდალთა მტაცებლური პარტიების წინააღმდეგ, რომელთაც „საქართველო მოსათხრელად“ (71|414) უნდათ და ეზად არიან დინასტიის წინააღმდეგ, — „ბაგრატიონთა საბრძოლად“ (71|415). პოეტი მომხრეა ცენტრის, აბსოლუტური მონარქიისა, რომლის მიზანია „დააწყნაროს საქართველო“ (148|882), „საქართველო გააერთოს“ (91|535) და კმაყოფილია იმ მიღწევებით, რომელიც მოპოვებული აქვს შაჰნავაზს ფეოდალურ სეპარატიზმთან ბრძოლაში, როცა მან „მტერი ჯღვითა გაიბერტყა“ (145|859) „მტერი გაწყუთა ყოველგნით“ (169|1026):

ახნაურს ტახტსა ვინ მისცემს, ამაღ რომ მისთუი მწარეა. 152/914
უძრწის და მონებს თავადი, ვინ ჰკადრებს გასამწარებსა, 172/1049
თავადი ჰკადრებს სალამსა, უმეფოდ არ დაზმიდესა. 139/827.

უნედესი ხარ ყუელასა, ვინც იყო ტახტოსანია;

გიძრწის და გმონებს ყოველი... 154|927

საქართველო გააერთე, ვინ მამაცობ, ვითა მთუარე. 91/535

ბაგრატიონთა სახელი გასულა ხმელთა კიდესა. 154/925 ¹

¹ თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებულ და განუყოფელ საქართველოს იდეოლოგი მგოსანი ეკონომიური კრიზისის მიერ წარმოშობილ პროვინციულ პარტიკულარიზმსაც ამქალავებს. ფეშანგის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ მას იმერეთში საკმაო ხანს უცხოვრია. ეჭვი არაა, მას სრული წარმოდგენა უნდა ჰქონოდა იმერ ფეოდალთა თავაშვებულობაზე, მათ შორის, მატიანის სიტყვით, არაჩვეულებრივად ყოფილა გაერცელებული ყოველგვარი უწყსობა „კვლა ზღომა-ობრება, უწყალოება, უსამართლოება, სიძვა, განტევება ცოლთა, ცხადად ტყვის სყიდვა და მრავალი უჯერობა იპერთსა ზედა“ (ვახუშტი). იმერეთის ფეოდალების ამორალიზმით აღფიფთებელი ფეშანგი სასტიკად ილაშქრებს მათი ზნეობის წინააღმდეგ, მაგრამ ფეოდალური საზოგადოების ზნედაცემულობა ავტორს

მგოსანი სასახლის სახელით მუქარას უთვლის ფეოდალების სეპარატულ ჯგუფებს, რომელნიც დინასტიის უფლების წინააღმდეგ „ბაგრატიონთ სისხლის დაღურად“ იბრძვიან:

✓ ვეჭვ. ცოცხალი არ მამირჩეს. ვინცა იყო ამის მქნელად, ვინ ურჩია სამესისხლოდ, გუართა ჩემთა საკიცხულად. 52|288.

მგოსნის აპოლოგია ძლიერი მეფისადმი გასაგებია. სავაქრო წრეები, რომელთა ოჯახსაც მგოსანი ეკუთვნოდა, ყოველთვის მომხრენი უნდა ყოფილიყვნენ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებისა. რომელიც უზრუნველყოფდა მათ სოციალურ ცხოვრებას. ცნობილია, რომ ფეოდალურ თავაშვებულობის და ანარქიის მიზეზით ჩვენში ალებ-მიცემობის საქმე მეტად ბრკოლდებოდა. ამ შემთხვევაში პირდაპირ საილუსტრაციაა სწორედ ფეშანგის დროინდელი ქართლის ახალქალაქელ ვაჰართა ჩივილი მესისხლე ფეოდალთა მისამართით: „რასაც მოვიტანთო და დუქანში დავსდებთო სავაქროსო, არა შეგვრჩების რაო, ძალათ გვართმევენო“ (საისტ-საეთნ-მუზეუმის აუწერელი საბუთი). „გასასყიდელის“ „უფასოთ და უსამართლოთ წართმევა“ ჩვენი ფეოდალების მხრივ სრულიად ჩვეულებრივი ამბივი იყო. თუ ასეთი თვითწებობა ხდებოდა შაჰნავაზის დროს (რა დროსაც ეს საბუთი ეკუთვნის)¹, რომელიც ყოველნაირად ხელს უწყობდა და მფარველობდა სავაქრო ელემენტებს, ცხადია, რა „გაგლეჯა და დაჯაბრება“ უნდა გამოეგლო ქართველ ვაჰარს უფრო ანარქიულ ხანაში.

ცხადია, სავაქრო წრეებიდან გამოსული მგოსანი ცენტრის ინტერესებს ემსახურება, რამდენადაც უკანასკნელი მისი სოციალური წრეების კეთილდღეობის დამცველირ. და მგოსანი მიტომ არის სწორედ მომხრე ენერგიული მეფისა, რომელიც ვაჰარის საქმიანობას დაიფარავდა ფეოდალის მტაცებლობისაგან, ალაგმავდა მათ სისასტიკეს, შექმნიდა სამეურნეო მოღვაწეობის თავისუფლებას. სამართალს გაუჩენდა, „სამართალსა ჰკუეთს წესისადო“ 140|835. ფეშანგის და მისი სოციალური წრეების დევიზიც ეს აუცილებელი, კანონიერი გინდ ოფიციალური „სამართალი“ და „სიმართლე“ იყო:

ლუთის სამართალი ვირწმუნოთ, ბეჰათგან განაჩენია (150|899),

ვიწრო, პროვინციული შეხედულებით მთელ იმერეთზე და მის მოსახლეობაზე გადააქვს (იხ. 149|890, 51/277, 51/278, 106/617). ფეშანგის პროვინციალური პართიოტიზმი შენიშნული აქვს კ. კეკელიძეს.

¹ პოემაში დიდი ყურადღება ექცევა „ხნოპას“, „ხნე და საქციელს“ და „ხნობით სრულ“, „სწავლის“ მქონე, „ჰკუიან და გონიერ“ ადამიანებს.

რომელიც მათ საქართველოში ვერ ეპოვათ¹, ტყუილად კი არ ქმნის ფეშანგი ასეთ ილუზიებს შაჰნავაზის მეფობაში: „თემისა და ქუეყნის ჩენილნი და მოურავნი სიმაართლითა იქცეოდინან. ვინცა უსამართლო რამ იკადრის,—თავითგან განაშორიან. ესრეთ მშუილობა შეიქნა, ვითა თხა და მგელი სწორად ძოვდიან, ვერა იკადრის მგელმა თხისა კბენაო“ (გვ. 3).

რაკი იმ დროის პოლიტიკურ სიშევიდემში აღორძინებული სავაქრო ჯგუფების მთავარი მოთხოვნილება თავდაცვა, უფლება და სიმაართლე იყო, ამიტომაც „სიმაართლის“ ღალადების ლოზუნგებზე არა ერთხელ შეგვხვდება პოემაში:

ვინცა ეძებს სიმაართლესა, უსათუოდ ჰპოოს ადრე! 7119

არ დააკლდების სიმაღლე, ვინ გზას მართალსა ვლიდესა. 7120

სიმაართლისა მოიხედე. ვინ სდევს,—საქმე არ წამკდარა. 661378.

ახალი მორალისათვის მებრძოლი მგისანი თავისი ლოზუნგის დასაცავად არა ერთხელ ამხელს პოემაში ფეოდალური საზოგადოების უზნეობას, „უპირო სიტყვას“, „სიცრუეს“, „სიმრუდეს“: „ფიცის ტებას“:

არ გაათავებს განგება. ვის პირი მართლად არ ება;

კამს სძულდეს სიტყუა უპირო. არც ხილოს მისი არება. 621351

არ გაიმართუის კაცთაგან საქმის უყულმა გრებანი;

ნახოს ლუთისაგან გაწყრომით, სიმრუდით ეცეს მეხანი,

გარდაჰკდეს აეთა სანაცულოდ, მიხუდეს თავისა ტებანი, 621354

მახეს გაებას უთუოდ სიცრუის გარდამყოლედი. 221117

რამანც კაცმან ფიცის ტება მოიძებნა მისთუის წესად;

მას სატანა ემოყურების... 701403

ვინ ზენარსა გარდავა, ჩაეარდეს დიდსა ენებასა. 1501894, და სხვა.

სამართალთან ერთად „შაჰნავაზიანის“ ავტორი ეხება ფეოდალური სახელმწიფო აპარატის გარდაქმნას და მეორე მოთხოვნილებად აყენებს „ულირს“, „უსწავლელ“ სახელმწიფო მოხელეების შეცვლას,—„ლირსი“, „ბძენი“, „ზნესრული და პირმართალი“ მოლვაწეებით. პოემაში ეს მეტად მტკივნეული საზოგადოებრივი მოთხოვნილება თითქოს კიდევ განაღებებულია და ვითომდა კარის სამსახურიდან უკვე დაუთხოვიათ მოუწინადებელი, „რეგვენი“, „უწვრთენელი“ სახელმწიფო პირები, რომელთაც არა პირადი დამსა-

¹ ხსენებული საბუთი უთარილოა. საბუთი დაწერილი უნდა იყოს 1664—1675 წლებში, იგი მიმართულია იორამ სააკაძის (გარდ. 1664 წ.) შვილებისადმი.

ხურებით, არამედ მემკვიდრეობით და შთამომავლობით ეკირათ თანამდებობა. და თითქოს თანამდებობიდან გადაყენებულებს არათუ სახელმწიფო საქმიანობაში, თვით ლზინშიც კი აღარ უშვებდნენ:

ლირსი ვინც იყო, იახლა, უღირსთა არ დასმიდეს,
უცოდნელსა და უგბილთა კარშია გამოჰყრიდესა. 1701/1034
ლირსნი სიახლეს დგებიან, უღირსნი გარდა გარემან. 921543

ქუიანი და გონიერი მათ ვეხირი დააყენეს,
საკითხავი კაცი ბქენი ტახტსა წინათ წააყენეს;
უგბილნი და უსწავლელნი არ მიუშუეს, ააყენეს;
იგი დასუეს საკითხავად, სხუანი კარში გააყენეს. 13152

როგორც საისტორიო წყაროებიდან ვიცით, შაჰნავაზის მეფობაში (1658 — 1675) ამ მხრივ არაერთი რადიკალური ცვლილებანი არ მომხდარა, მაგრამ საინტერესოა, რომ მგოსანი მეცენატის მკობაში აკუთვნებს მეფეს ვითომდა უკვე მის მიერ ჩადენილ დამსახურებას და მით აყენებს საკითხს სახელმწიფო აპარატის განკურნებისას, — „უღირსი“, უსამართლო და მზავგრელი მოხელეების შეცვლისას, რომელნიც ვითომდა მეფის სიტყვას ამრუდებენ და ალბათ ვაჟარ-ხელოსანთა საქმიანობასაც ავიწროვებენ. ამრიგად, ფეოდალური სახელმწიფო აპარატის გარდაქმნის მოთხოვნილება, მეტად დროული მაშინდელი საქალაქო ჯგუფებისათვის, პირველად ფეშანგის პოემაშია გამჟღავნებული. და ფეშანგი უსათუოდ თავისი წრეების ინტერესთა და გულისტქმის გამომსახველია.

მაგრამ ამაზე შორს კარის მსახური მგოსანი ვერ მიდის¹. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ „შაჰნავაზიანი“ უპირველესად დინასტიის ისტორიაა და არა ფართო მასების, ყოველდღიური ცხოვრების „წვრიმალ“ ამბავთა აღწერა, რომ მგოსანს უფრო მეტი ტენდენციები გამოემჟღავნებინა თავისი ჯგუფის მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური იდეალებისა.

¹ ამ შემთხვევაში უფრო გაბედული და ნამდვილი მამხილებელი მწერალია ფარსადან გორგიჯანიძე, როგორც ვაჟართა წარმოშობის მოაზროვნე, ის თავის ტირადებში არ ზოგავს მძარცველ მეფეებს და დიდებულთ, მიუხედავად იმისა რომ იგი წერდა კარის ისტორიას, შეიძლება კარის დაკვეთითაც. მაკ., მეტად უშიშარი ნათქვამია XVII ს. მწერლის მიერ: „მდიდარნი და მოძალადენი ძალით რჯიან გლეხთა და უღონოთა და (გლეხთ) ხელით მაკიერი არ შეუძლია. მაგრამ გულამოსკვნით ახებითა და ვაების თქმით და ტირილით ღმერთს უჩივიან; დათმობის მეტი ღონე არსითა აქვს; ნეტარძი ამათია (ე. ი. გლეხთა, — გ. ლ.) თმობისთვისაო“. (გვ. 87); „ყოველნი მეპატრონენი წართმეულის საქონლით გახდილან“ (გვ. 89). კემწიფეთა და მეფეთა და მეპატრონეთა დაერიდენით, ამისთვის რომ თავად ამყენი და მოძალადენი არიან“ (87). იგი სრულიად უშიშრად პერსო-

მართალია, კარის ბრწყინვალეების მადიდებელი მეხოტბე პატრონისადმი დაკმეულ ქებაში, მეფისა და მისი ოჯახის ამბავთა აღწერილობაში კლასების სოციალურ დიფერენციაციასაც გამოგვიხატავს:

თავადთა ცხენთა დგუნა აქუს, მუშათა იწყეს თესანი. 12150

მაგრამ მგოსანი არაფერს გვეუბნება მდიდართა უმცირესობის ბატონობის შესახებ და ღარიბი უპირაველესობის — „უსუსურის“, „დაბალი კაცის“. „მუშათა“ ზეფლებაზე, ვისი მეურნეობა და საქმიანობაც ასე ითვლებოდა ფეოდალური თარეშების დროს. პირიქით, ის ბევრს ლაპარაკობს მონურ შრომაზე დამყარებულ ლხინებსა და „უკუყრაზე“. რასაკვირველია, იმ ეპოქის მწერალს, ისიც კარის მგოსანს, ვერ მოვთხოვთ გაბედულ იდეოლოგიას და აქტიურ ბრძოლას მისი გაშლადნებისათვის, მაგრამ სასახლეში შესულ „გაზნაურებულ“ ვაჭარს, კარისკაცს, ძლიერის თაყვანისმცემელს და ვერცხლის მოყვარე მდივანს არც შეეძლო ფეოდალური წყობილების კრიტიკა, რადგანაც ისიც კარგად იცოდა, რომ:

ვინ კელ ყოს დიდთა ძაგება, ის მოიპოვნებს ისარებს. 631357

ფეშანგიც გამომსახველია ფეოდალური მორალის, რომელიც ასე მტკიცედ იყო მაშინდელს ლიტერატურაში ჩამოყალიბებული:

პატრონ-ყმობა განა ჩვენგან, იცით, ზეცით დასახულა:
როგორც ყმისა სამსახური, ყმა პატრონსგან შენახულა
(იოსებ ტფილელი, „დიდმოურავიანი“ 701338)

ნალურადაც კი გვისახელებს „მომალადე“ მეფეებს — თეიმურაზს და შაჰნავაზს „მე, ფარსადან გორგჯანიძე ვიტყვი ამას, ღმერთი უტყუარია და ამ საქმეზედან მოსჩანს, რომ ბატონს თეიმურაზს მრავალი უბრალო სული მოეთხაროს და მისის საქმით მრავალნი ტყვეთ წაუსხას, მრავალნი უბრალოთ დახოცილიყვნენ, მრავალნი დედანი აეტკირებინოსო“ (გვ. 48); „ძალათა და უსამართლოთ მამისაგან შეგროვებული საქონელი შვილს საკეთილოთ არ გამოადგება. ვითაც შაჰნავაზ მეფის ქონება სულ სხვათაგან ძალათა და უსამართლოთ წართმეულ იყო, — შვილებსაც ამიტომ დაეუღპათო, — ნაძალადეგმან ასრე იცისო“ (გვ. 68). „ნაძალადეგი არვის შერჩებისო“ (გვ. 54), ამბობს სხვაგან ლევიან დადიანზე.

ასე გაბედულად ლაპარაკობს ფარსადანის პირით XVII ს. სავაჭრო საზოგადოება, რომელმაც საკმაოდ განიცადა თავის ზურგზე მდიდართა და კელმწიფეთა „ნაძალადეგობა“ და „რთმევა“. იგი ველარ მალავდა თავის გულისწყრომას, თუმცა იმავე დროს პასიურს, რადგან ღვთის სახელით პირდებოდა რევანშს მჩაგვრელ კლასს: „იესოს ნაძმანები სიტყვები აქ გათავდება, რომ უბძანებია, — რომლისიც საწყვათი მიუწყათ, იმავეთი მოგეწყოსო“ (48).

თუ პოემის შინაარსს დაეაკვირდებით, შევაჩნევთ, რომ პოემას კურტუაზული ელემენტები ახასიათებს: თხრობის დიდი ნაწილი გაუთავებელ მეგლისებს უჭირავს. მგოსანს უყვარს კარის ცერემონიები, სასახლის ბრწყინვალე შეხვედრები, გამოჩენება და „უკუყრა“ — ლხინი, რაც ავტორს ნატურალისტურად აქვს აწერილი:

ლხინი გამართეს, შეიქნა სმა, ლხინი, მეტნი მღვრანი;
 სიმთურალე გახდა კაცთაგან, მიაქუს იქი-აქ რყევანი;
 ღვინომ დალაკა ერთობით, მათში შეიქნა მრღუევანი. 28/144
 თავისმელნი სმენ ღვინოსა, გობითა დაუმალავად;
 უფროსი ერთი დაითრო, შეექნა კარში მლაღავად;
 კალთაში უდგემენ ჩარებსა, ვერ შესმენ დაუძალავად 33/168.
 იყო შეება და უკუყრა, თქართვეარი, პირი მცინარად 13./782.
 ღვინომ დალაკა ყუელანი, არვინ სჩანს ფეკზე მდგომია 168/1019.
 გაუკაცრავდენ პირთაგან, კალთა აივსო, დალუარა 38/208.

გრძელი სუფრების მოლოდინში მგოსანი მუდამ „სალხინოდ მომართულია“:

... გავიშალეთ სუფრა წინა,
 ამას რალა უამეა, სასმლად გქონდეს საესე მინა 81/477,
 ჟამნი გარდაკდენ გლოვისა, აწ მოვრთოთ ნადიმობანი,
 ქაუტი მოვიძროთ გულთაგან, აღარად გუიწყოს სობანი. 161/975
 და სხვა.

ფეშანგი, როგორც კარის მსახური, მეცენატის დაქირავებული მადიდებელი, შენიღბულია, მისი შინაგანი კონცეფცია პესიმისტურია. პოსტსკრიპტუმებში იგი შეუჩნველად ამყლავნებს რელიგიურ-მორალურ დარიგებათა სახით საკუთარ სექსტიკურ მსოფლმხედველობას.

ასეთია მგოსნის ღალადება „ცრუ სოფელის“ და მისი „დაუნდობლობის“ შესახებ:

ცრუმან სოფელმან სიმუხთლით არვინ დაინდო, სად არა 89/521.
 არვინ დაინდო სოფელმან, მუხანათი და ცრუ არსა. 46/252
 ნურვინ ხედავთ საწუთროსა, ჰქონდეს თქუენი სიბრალული;
 ვერ ჯაუფალ მოსათქმელად, რაც მასმია მიჰგან კმნული;
 დაუნდო და მუხანათი, სიავითა დანერგული;
 მიგინდობს და შეგილიზღებს, ბოლოდ შეგქნას დადაგული. 173/1C5A
 სხუანიც გარდახდენ მრავალნი, სახელოანი მეფენი,
 წავიდეს, გავლეს სოფელი, ოკრად დააგდეს სეფენი. 9/34
 უნებლად გავლეს სოფელი, ტახტი დასცალეს მათითა;
 ვერა ირგეს რა, საწუთრომ ბოლოს გაჰკადა დაგითა;

აქ დარჩა მათი საკურკლე, ვის გესმით, თუაღნი ავითა. 9/35
უსიკვდილოდ არვინ დარჩა, სოფლის საქმე იცი კარგა;
მეფენი და კემწიფენი საწუთროთგან გაიბარგა;
აქ დააგდეს დიდებანი, მათთვის სრულად დაიკარგა. 161/971
სოფელსა სკირს ესე გუარი, რაც უქნია მასვე შურება.
სიმაღლითა მოამდაბლა, საღარიბთს უწყო რება;
ვინ ბრძენია, ეს სოფელი მისგან ადულილ გაიშეება. 97/573
ვინ დარჩა კაცი უკუდავი, ან ვინ გაიტანს გუარსა;
თუ ხედავთ, ჩარხი მბრუნავი არ დასწყნარდების, მუნ არსა;
არვინ დაინდო სოფელმან მუხანათი და ცრუ არსა;
მას დარჩა სასუფეველი, ვინცა ვინ ეტყუის უარსა. 46/252
სჯობს საუკუნე, ექებნოს სიმშვიდის ბარგსა ჰჭურიდესა,
თუარამ ბოლოყამ ინანდეს, ამ სოფლის გარდამკიდესა. 7/20

ამ სენტენციებში გამოთქმულია საშუალო საუკუნეების ცნობი-
ლი, ფეოდალური იდეოლოგია ამქვეყნიური ამაოების, „დიდების
სიძულვილის“ შესახებ, თუმცა თვით მქადაგებლები არა ჰრიდებდ-
ნენ ოქროს, ბრძანებულებას და უფლებას.

რასაკვირველია, მგონის რელიგიური განწყობილებაც მკაფიოდ
მოჩანს პოემაში. მისთვისაც, ისევე როგორც, ამავე სოციალური
ფენიდან გამოსული ფარს. გორგიჯანიძისთვის „ღმერთი ჭეშმარიტი
ყოვლის ძლიერის გამქარებელია“, ყოველი მჩაგვრელის მომსპობი,
როგორც იგივე ფარსადან გორგიჯანიძე იტყოდა: „...ღმერთსაც
ასე უბძანებია, ათას და ერთი სახელი მქვიანო, ყოვლისგნითაო,
თავი ჩემი სახელი სამართალი არისო. არას კემწიფეს, არას ძრი-
ელს კაცსაო, არას უღონოსა და საბრალოს გლახას დაჩაგრულთ
ნაძალადევისაო არ შევარჩენო. რა გინდა ვინმე ნამეტნავად მდიდა-
რი იყოსო და ძრიელიო, ჩემთან სუსტი და უღონო და გლახულნი
არიანო დ ორსავე სოფელს მოვჰკითხავო და რისხვით ვაზღვევინე-
ბო“ (ფ. გორგიჯ. ისტ., 48). ბუნებრივია ფეშანგისაგანაც მუდმივი
აგიტაცია „ღვთის შიშის“ მოსაგონებლად“:

ღმერთი უჩნდეს სადიდებლად კორციელი ვინცა ვინა;
მას ვესაე და მას ვიგონებ, ან მის მგტი სხუა რა მინა;
მუდამ შიში, მორიდება, მისი მქონდეს გულსა შინა 42/229.
ულმართო საქმე ვინ ინდომა, ცუდია და ცუდად სცდების. 80/475
ულმართოდ ვინ წაკდა სულდგმული, რაც ოდენ დაიბადება, 65/371
ულმართოდ ვინ ჰპოვა სიმაღლე, ცუდილა დანაყბეგია,
არ ასცილდების წყალობა, ვინ ღუთისა მოიმეგია 107/626.
მას ნუ მისდევ, რაცა ღმერთმან, საქმე ნდობით არ აშენა, 70/410
ვის ღმერთი სწყალობს, ძნელიცა იქნების სულ ადულია. 16/113
ვიცი, ბქენი ამა პირსა არ დამიგმობს, რაცა ვკადრე,
მართებს შიში მოწყალისა... 71/19. და სხვა.

მგოსანი საშუალო საუკუნეების განწყობილებების ადამიანია. მისი მსოფლმხედველობისათვის (ისევე, როგორც ყველა ფეოდალური მწერლისათვის, დაძახასიათებელია პასიური დამორჩილება ბედისადმი, ბედისწერის მიძღვერობა. ფეშანგს სწამს ბედი, განგება-

განგებასა რაცა სწადის, უსათუოდ იგ მოკლების, 53/311
მაშინვე წერდენ ჩენილნი, რომ კაცი დაიბადება;
არ ასიკლდებიან ბძანება, ცუდ იქმნა სხვისა ქადება. 51/276
ბედი უკულმა წასულა; ვის ძალ უც მოსაბრუნებო? 52/291
კარგათ იცით, ნდომით საქმე უჯანგებოდ არ მომკდარა. 66/378
კაცი ნუ სცდების, წერილი, ვის მისცემს, მისკენ ის არებს,
ბედი მას მისცემა, ციერნი, ვის დაუშუენებს ის არებს. 63/357
. . . თუით წერილი არ ამკდები! 67:383.
არ გამოდგეს უჯანგებოდ, რადგან შენად არაუშენა. 70/410
მომავალი საქმე ზენა კაცსა ზედა არ აჰკდების. 80/475
ბრძანებაა, გარდამხდების მამავალი საქმე ზენა. 97/571
არა სცილდების ღმრთისაგან კაცსა ბედი და ა წერა. 112/651

საერთოდ, პოემას ახასიათებს მორალის ტონი, დამოძღვრა; ავტორი ეპიფონემის სახით გვაძლევს რიტორიულ სენტენციებს, მორალურ მცნებებს, იჩენს რა საზოგადოდ რელიგიურ-ფილოსოფიურ ცოდნას მეცენატის წინაშე. თუმცა ფეშანგი თავის თხზულებაში პლატონსაც კი გვისახელებს, მაგრამ იგი, როგორც შინგაზრდილი, ნოარულ ფილოსოფიას უნდა იცნობდეს მხოლოდ, და ისიც გაგონილით. აღსანიშნავია, რომ მას არც საღეთისმეტყველო მწერლობის ერუდიცია ეტყობა; ის არასოდეს არ მიმართავს ბიბლიას, სახარებას ანდა მოციქულთა წიგნს. მართალია, მას არა აქვს ეპოქის ფილოსოფიური ცოდნა, არც ისტორიული წარსულის შეგრძნება, არც ფართო გონებრივი მსოფლმხედველობა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ზას გავვიზიაროს თავისი პრაქტიკული გამოცდილებით საკუთარი დაკვირვებანი სენტენცია-ათორიზმების სახით:

.... სცდებისო სოფელა კაცი ჭკუათ მიუყოლელი,
კამს მოიძებნოს სიწყნარე. არ ცუდად იყოს მრბოლელი. 22/117
კამს თუ კაცმან გონიერად მას იქმოდეს, სად რა ვარგა. 25/130
ქუიშა, გინა მარგალიტი სწორიაო ბძენთა წინა. 42/229
.... სიძუნწვა ნაძრახი, ბძენთაცა ეს იწამესა, 46/251
• ხე მისად მგზავსად ნაყოფსა მოისხამს, აგრე თქმულია. 41/227
ვინ კელი ჰყო სიავესა, იგ არ მორჩა დაუმცდარე. 55/207
ალარ არგებს სინანული, კაცს მოუვა საქმე ავად. 73/427
რალას არგებს კაცს ნაქმარი, მისი მასვე გარდაკდების. 72/419
ვინ კელყოს დიდთა ძაგება, ის მოიპოვნებს ისარებს. 63/357
დავიწყება სჯობს ჭირისა, ქნას სეგდა გარდავლილია, 79/469
თქმულა, თუითონვე გაებას კაცი მახისა მდგმელია. 98/567
ავი კაცი მისად მგზავსად მას ისაქმებს, რაც არ ვარგა, 80/473

მოკმარება კამს მოყურისა, ეგზომ სიკეთედ კმარისა. 87/509
თქმულა, რეგუნნი ბოლოჲამ ბრძენთაგან დაიმშუიდება. 104/605
თქმულა, გამწყრალი სპილოცა სიტკბოთი მოიყუანება. 104/606
კამს პატრონისა სინდაბლე. მიჰყუეს მათსავე ნებასა. 111/645
ყუავი ვარდისა მიჯნური, ვინ ნახა მისი უნარე. 14/893
სცდების ნდომისა მიმყოლი. არ მისცემს შემოქმედია. 107/626
კამს თუ კაცმან განებანი მოიძებნოს მისთვის წესად;
რაც უჯობდეს, მას იქმოდეს, აღარ დარჩეს სულთქმა, კუნესად;
მიჰყუეს ბძენთა საუბარსა, უკეთესთა საქმის მქნესად;
თუარემ მიჰყუეს სირეგუნესა... 143/851.
მოკმარება და სიკეთე კაცზე კაცისგან კიდია. 156/940
მოკმარება კამს მოყურისა, ძუელითგან დანაწესია. 158/952
და სხვა.

პოემაში ავტორი საკმაოდ გვიმხელს რელიგიურ განწყობილებებს. მუდამ „ღვთის შიშს“ ქადაგებს და „ღმერთი უჩანს სადიდებლად“. მაგრამ შესამჩნევია, რომ პოემაში არა ჩანს ხაზგასმით ქრისტიანიზმი, მისი აპოლოგია და იდეალები. ერთი სიტყვით, პოემაში ქრისტიანობა ავტორის სარწმუნოებად არ არის აღიარებული. რასაკვირველია, ზედმეტია ლაპარაკი საეკლესიო ასკეტიზმის იდეებზე. მართალია, ავტორს მოხსენებული ჰყავს: „სუეტი ცხოველი ღუთისაგან ქმნილი“ (108|1022), „მცხეთას ღვთივ აღმართებული საყდარი“ (გვ. 12), „წმინდა სამებისთვის“ არჩილის „წამება“ (8|29), „სარწმუნოებით სავსე“ დავით აღმაშენებელი, რომელმაც „მრავლად აშენა საყდარი“ (9|31), მაგრამ პოემაში, რომელიც გვისახავს XVII ს. ქართულ სინამდვილეს, უგულებელყოფილია რელიგიური ცხოვრების მოვლენები, ქრისტიანული მითოლოგია (თვით სახელი „ქრისტესი“ არც ერთხელ არა გვხვდება). საინტერესოა ერთი დეტალიც: ლექსითს პროლოგში, საქართველოს მეფეთა ცალკეული ღვაწლის შეფასების დროს ავტორი „მცხეთელი მირიანის“ მიღწევად მხოლოდ მის მიერ „ურიცხუი ლაშქარის“ მომრავლებას (8|27) თვლის და ერთი სიტყვითაც არ ეხება მირიანის ოფიციალურ დამსახურებას ფეოდალურ საქართველოში (რომ იგი პირველი ქრისტიანი მეფე იყო, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის დამამყარებელი); ამ ფაქტს ავტორი სრული სიწმინით გვერდს უვლის, მაშინ, როცა არ იფიქრებს „ბაგრატ კურატის“ შედარებით მცირე ღვაწლს — „ქუთათის ყოვლადწმინდის“ შემკობას. სამაგიეროდ, პოემაში გამომკლავებულია ერთგვარი სიმპათია მამადიანობისადმი. მაგ., პატივით არის მოხსენებული „მამპალი“ (40|221), „ალია“ (111|648; 146/896), „მუსაფი“ (40|217; 105|607). საგულისხმოა კიდევ ერთი წვრილმანიც: ავტორი არავითარ სარწმუნოებრივ აღშფოთებას არ გამოთქვამს პოემაში ნახსენებ ორ შე-

მთხვევაზე — არჩილის და კაცია ამირეჯიბის გამაჰმადიანებაზე (162/979, 146/869), პირიქით, პოეტი იწონებს კიდევ მეცენატის მიერ „მუსაფის“ დაუგზობლობასაც (40/217), როცა მას ათქმევინებს:

ღმერთი შემწედ მკავს, ყენი, თვით მამეზმაროს ალია. (111/649)

ერთი სიტყვით, პოემაში ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად არ არის აღიარებული; „შაჰნავაზიანს“ არ ახასიათებს სპეციფიკური ქრისტიანული მორალი. სამაგიეროდ, ავტორი მაჰმადიანობის პატივისმცემელი გამოდის და პოემაში ისიც შეჟღენდება, თუ მგოსნის სინჰათია მაჰმადიანობის რომელი სექტისადღია მიმართული. ავტორი ცხადად ემხრობა შიიზმს, ე. ი. სპარსთა ოფიციალურ აღნსარებლობას. ასე, მაგალ., პოემაში დამცირებულია სუნიზმი, „ომარის“ თაყვანისცემა:

ჩვენ არ ვახსენოთ ომარი, არც მათი გუარიშვილობა! (111/648)

ყიზილბაშთა სწამს მაჰმადი, ვინა ახსენა ომარი? (40/221)

შესაძლოა მაჰმადიანობისადმი პატივის გამოჩენა რელიგიურ შემწყნარებლობადაც მივიჩნიოთ ავტორის მხრივ, ან იქნება ვიფიქროთ, რომ პოემის წერის დროს ავტორს დაუტოვებია ქრისტიანობა და მაჰმადიანობაში გადასულა. მაგრამ ფეშანგი რომ ქრისტიანად დარჩენილა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი მაჰმადიანობას „ზმანებას“ ეძახის (162/979).

მაშ რით აიხსნება ასეთი გაურკვეველობა? საქმე ისაა, რომ მაჰმადის სჯულის პატივით ხსენება პოემაში და ქრისტიანობის სიმპათიებისაგან თავდაქერა აიხსნება იმ გარემოებით, რომ პოემის დაწერის წლებში მაჰმადიანობა ქართლ-კახეთის სასახლის, შაჰნავაზის და შაჰნაზარხანის — არჩილის კარის ოფიციალურ სჯულად ითვლებოდა.

ცნობილია, რომ ზოგიერთი ქართველი მეფე, ფეოდალი და კარის მოხელე ტახტის მისაღებად, პოლიტიკური კარიერისათვის, ყაენისა და ხონთქრის ჯამაგირისა და წყალობის საშოვნელად ხშირად მაჰმადიანობაზე გადადიოდნენ. უმეტესობა, თუმცა გარეგნულად ამ ხანებისათვის თავისი სარწმუნოების დატოვებამ ფეოდალურ არისტოკრატიაში მასიური ხასიათი მიიღო, „არლარა იყო ზრუნვა სულიერი“. რელიგიური გულციეობის დამახასიათებელი ფაქტია, რომ ქართველ დიდებულებს თვით „ზიარება სირცხვილად უჩნდათ“ (ქ. ცხ., II, 54).

¹ ცალკე აღსანიშნავია ფეშანგის კრიტიკა ქართული სამღვდლოებისა, რომელიც აქტიურად ერაოდა სახელმწიფო საქმიანობაში, რითაც ხელს უწყობდა ფეოდალურ ანარქიას. ასე, ცაგერულ და ბოდბელ ეპისკოპოსებს, რომელნიც შაჰნა-

თუ ფეშანგიც ამ „გათათრებულ“ კარის მოხელეთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, ნომინალური მაჰმადიანიც რომ არ ყოფილიყო, მას პოემაში მაინც უნდა გამოესახა მეცენატის ოფიციალური ზნეობა; თუ ვახტანგ-შაჰნავაზი სპარსეთის ვასალი მაჰმადიანობას აღიარებდა, მასასაღამე, კარის მდივან-მწიგნობარს მგოსანსაც შესაფერი პატივით უნდა მოეხსენებინა კარის ოფიციალური აღმსარებლობა და სათანადო ტაქტიც ეხზარა. ამით აიხსნება მის მიერ თავის შეკავება ქრისტიანიზმის ოფიციალური აღიარებისაგან.

როგორც ვხედავთ, კარის კონფესიონალიზმი პოეტის მიერ მტკიცედ დაცულია.

მაგრამ მგოსანი მარტო რელიგიურ ორმაგობას როდი გვიჩვენებს; პოემაში ცხადად მოჩანს პოლიტიკური ოპორტუნუზმიც. ამ ნაწარმოებში, რომელსაც ასე ახასიათებს ცენტრალისტური პატრიოტიკა, თავიდანვე გამომქლავნებულია იდეალიზაციაში გადასული სიმპათიები ერანის მბრძანებელისადმი. ქართველი მგოსანი ყაენს უწოდებს „მოსამართლეს და მოწყალეს“, „უსწორო შვიერს“, „ციერთა პატრონს“, „სრულად ქვეყნის მპყრობელს“,¹ და, თუმცა ყაენის მახვილმა საქართველო ძირიანად მოთხარა, გაერთიანებული საქართველოს მოტრფიალე მგოსანი მაინც ყაენს აღიღებს სამკებრო ლექსით:

ერან-თურანის ხემწიფე სიმაღლით ცისა სწორია;
უძრწის და მონებს ყოველი, ახლოს ვინ, ანუ შორია.
მისის შიშითა მდაბლობენ, მთა ვაკედ განასწორია. 39/215

და, რაც საინტერესოა, მგოსანმა ყაენის დიდებას დაუმორჩილა თავისი ალტაცებული ხოტბის ობიექტიც—„ამა ქვეყნისა მპყრობელი ყოველთა მეფეთა შორის უწარჩინებულესი მეფე შაჰნავაზ“, „რომლისა მგზავსი არა ყოფილა და არცა ხსენებულა“, „რომლისა მგზავსი არა ნახულა ადამითგან დღეთამდე“. და იგი პოემით არა თუ ყაენის ბრძანების პირზეუქცევლად შემსრულებელია, თვით პირმშო შვილსაც კი სპარსეთში უგზავნის, რათა „მქნელი იყოს სამსახურთა, შარიერმა რაცა ბრძანოს!“ (162/653).

ოფიციალურად აქ ისტორიულ ქეშმარიტებასთან გვაქვს საქმე;

ვაზის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობენ, მგოსანი უწოდებს „შმაგს, უკუოს, რეგუნს“ (71/415) და „ჩხუბით საესეს“, რომელიც „საღვთო გზას არ წაველიან“ (178/1079).

¹ ჩვენამდე შენახულა უცნობი ავტორის პოეტური ნაწარმოები „შაჰაბაზის ქება“ (წ. კ. № 110, გვ. 185—193), რომელიც ისევე ქართველი კარის მგოსანს უნდა ეკუთვნოდეს.

ყოველი ზემოთქმული ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება. სწორედ არის გადმოცემული სუზერენის წინაშე დამოკიდებულება შაჰ-ნავაზისა, რომლის ბეჭედზედაც ეწერა: „ქ. ლითთ შაჰაბაზის ფეხთა მტვერი, ძე მეფისა დაფითისა ტომისა, ვახტანგ“ (საქ. სიძვ., II; 131).

ამ ფაქტშივე მშვენიერად მეღაენდება აგრეთვე სასახლის წრეების ქედღადრეკილობა დამპყრობელი სპარსეთის ძლიერების წინაშე. რასაკვირველია, კარის მგოსნის ფეშანგის ხოტბაც ყაენისადმი მიმართული, ფარისეველურია, ისევე, როგორც მაჰმადის სახელის დემონსტრანცია მგოსნის მიერ „სპარსული ცენზურის“ პრიზ-შაშია გატარებული¹, ცხადია, ეს მოვლენა გამოწვეულია პოლიტიკური პირობებით, ფეშანგის ოფიციალური მდგომარეობით ქართლ-კახეთის XVII ს. სამეფო კარზე, რომელიც სპარსეთის ვასალიტეტს წარმოადგენდა.

V

„შაჰნავაზიანის“ მთავარი დამსახურება მის მიერ აღიარებულ რეალისტურ პრინციპებშია (რეალისტური, ცხადია, თავისებური გაგებით). პროლოგში რუსთაველის, სერაპიონისა და თეიმურაზის შესახებ მგოსანი დასძენს:

¹ მაგრამ მათ აქვს უცხონი: ინლა და არაბელია;
ზოგი სხუაც ვინმე ახსენეს, ცუდად ნადირთან (მ)კლელია. 6/8
(მ)ათნი ტკბილნი გონებანი მიკუირს, ვისთუი გარდააგეს!
რამდენ გუარად სიტყუა მკვერი ათქმევინეს ტურთა ბაგეს;
გამოჩხრიკეს დაუკლებლად, კარგ სიტყუათა თუალნი აგეს;
უცხოთათუი საბრძოლელად მიდგეს, ხმალი არ ჩააგეს. 6/9

¹ სპარსული ცენზურა ჩანს თვით XVII ს. საადგილმამულო საბუთებშიც, სადაც ქრისტიანულ, მითოლოგიურ სახელებთან ერთად მაჰმადიანურ საეკლესიო კულტის სახელებიც იხსენიება. ასე, 1697 წ., კარის მდივანის გივი თუმანიშვილის ნასყიდობის სიგელში, რომელიც ამილახერის მდივნის ჯავახიშვილის პაპუნას ხელით არის დაწერილი (და რომელსაც თვით სულხან ორბელიანიც ამტკიცებს თავისი ბეჭედით), „ეხოველმყოფელ პატიოსან ჯვართან“ და „ქრისტეს უბრწუნელ მკლავებთან“ ერთად იხსენიება „ყოველთა მუსურმანთა რაჯულის დამამტკიცებელი მაჰმად ფელამბარი და მურთუხალი და „საუფლო სინაქსართან“ ერთად—„წმინდა ყორანი, ზაბერი, თარათი და ინჯილი“ („საქ. სიძვ.“, II, 115, 116).

ანალოგიურ მოხსენებულობას ვხედავთ აგრეთვე კახეთის გამაჰმადიანებული მეფეების—ნაზარალიხანის, იმამყულიხანის და მაჰმადყულიხანის მიერ გაცემულ სიგელებში.

რას ეხელუყის საქებარად ტარიელ და აეთანდილი?
სად იცნობდეს უცხო. უცხო,—ან რა ნახეს მათგან ქმნილი?
ყუელა ტუილი შეატმანსეს, ყოფილიყო გარდავლილი;
აქეს ვინმე უმეცარი, გაიმწარეს მათთუი ძილი! 6/10

ამნაირად, თავისი ლიტერატურული იდეალების გამგლავნებისას: მგოსანი კანდიერად უბედავს შეკამათებას მწერლობის ოლიმპიელებს. იწუნებს რა მათ შემოქმედებაში ფანტასტიკის ელემენტებს, იგი ილაშქრებს ლიტერატურის ზღაპრულ-ესთეტიკური ტრადიციების წინააღმდეგ, როგორც პრაქტიკული მიზნების ადამიანი.

ფეშანგი თავის პოემაში გვიჩვენებს რეალურ პიროვნებებს, ცოცხალ ადამიანებს, და თან ამაყად გვიცხადებს, რომ მისი პოემის გმირები ძველთაებრ ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის, მისივე თანამედროვე ადამიანები არიან, ხოლო პოემის ამბებიც „მართალი“ არის, მის მიერ ნანახი და არა ტყუილი:

„რაცა მენახა, ვიუბენ“. 173/1053
თუით მინახავს პატრონისა ძალი, სიმხნე, ჯომარდობა,
ხელმწიფობა ცისა სწორად; მუდამ იკვრის დაბდაბ, ნობა,
მტერი ყოლგნით დაიმონა, მათ მიეცა ლახუარ სობა, 6,12
ყუელა ვსწერო, ვერ გაუვალ, მართლად ვიტყუი, არა კორად;
სამამაცო მისგან ქმნილი, რაც მინახავ გმირთა სწორად. 6,13

ამნაირად, ფეშანგი გვევლინება როგორც ნოვატორი, რეალისტური პრინციპების მატარებელი მწერალი. იგი გადმოგვცემს თავისი დროის პოლიტიკური ცხოვრების სინამდვილეს: „მართალი“ და არა—სარაინდო, საზღაპრო ეპოქის ფანტასტიკა, მითოლოგია, ეგზოტიკა, ანუ, როგორც არჩილი იტყოდა: „ზღაპრულთა შაირთა-ტყუილად გასაგონარი“.

რასაკვირველია, ავტორის სიფხიზლე მისი წრეების, მისი სოციალური ოჯახის ცნობისმოყვარეობით და მოთხოვნილებით არის გამოწვეული. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფეშანგის ახალი ლიტერატურული შეხედულება უმთავრესად გამომუშავებულია მაშინდელ სალიტერატურო წრეებში, სადაც ჩვენი ავტორიც ტრიალებდა. ფეშანგის მხატვრულ დეკლარაციაში გამოთქმულია იმ დროის ახალი ლიტერატურული პროგრამა, ახალი პრინციპები, რომელთა შექმნა ერთ პიროვნებას არ ეკუთვნის და, მით უმეტეს, „უსწავლელ და უშუერ“ ფეშანგს.

ამ პრინციპების ჩამოყალიბება გამოიწვია ქვეყნის სამეურნეო ზრდამ, აღებ-მიცემობის განვითარებამ, გარეთ გასვლამ ბურჟუაზიული ელემენტების ჩასახვის ხანაში. ვინ იყვნენ ფეშანგის პრინციპების თანაზიარნი? ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მისივე მეცნა-

ტი არჩილი, რომელიც ოფიციალური ლიდერი იყო XVII ს. მეორე ნახევრის ლიტერატურული მოძრაობისა.¹ მან გაბედულად უარყო აღმოსავლური, სპარსულ საგმირო ეპოსის ფანტასტიკა, უწოდა რა მას „სპარსთა შეტმანნილი ამბავი“ (არჩილიანი, გვ. 22), „სპარსთა ნაპორი“ (გვ. 8), „ზღაპართქმულები ლაყაფი“. ამვე მოტივით მან არ დაინდო თვით ელინური მითოლოგია:

ელენთა სიბრძნე ბევრი აქვთ, ზღაპრული შეტმანნილია.,
ვეელა ზღაპრული ცოდნა აქვსთ მართალთან არ შესართავი...

არჩილმა თავის ლიტერატურულ პრაქტიკაში, ფეშანგის მსგავსად, ბრძოლა გამოუცხადა ლიტერატურის ზღაპრულ-ესთეტიკურ ტრადიციებს და ენერგიულად წამოაყენა დევიზი მართლად, სწორად თქმისა:

- სწორედ უნდა ლექსი ვინ სთქვას!..
- რაც მესმოდა, ან მენახა, ამბავი ვთქვი მე მართლები..
- სიმართლე და კვლავ სიმრუდე...
- მართალია, არ თუ ტყუილი...
- კარგად და მართლა მოგახსენებთო...

ასე ხაზგასმით გვეუბნება თავის პოემის შესახებ, სადაც აწერილია თეიმურაზ პირველის ცხოვრება.

VI

პოემაში ზოგი ისტორიული დეტალი გადასხვაფერებულია და სინამდვილეს არ შეეფერება.

ასე, პოემაში არ არის სისწორით გადმოცემული ვახტანგ-შაპნავაზის პიროვნება მისი მოღვაწეობის პირველ ნახევარში და სრულიად უგულვებელყოფილია ნამდვილი ისტორია მისი ტახტთან მიხედვით. პოემის მიხედვით, ვახტანგი, ჯერ კიდევ ყმაწვილი, ერთხმად იქმნა მეფედ გამორჩეული „სრულიად ქართულთა მიერ“. ისტორიული წყაროებით კი ჩვენ ვიცით, რომ გამეფებისას (1658 წ.) ვახტანგი საკმაოდ ხანში შესული ადამიანი იყო. ვახტანგი სრულიადაც არ ყოფილა ტახტის პირდაპირი მემკვიდრე, არამედ ეკუ-

¹ ამ სკოლის ერთგულ მიმდევრად უნდა ვაღიაროთ პოეტი თეიმურაზ მეორე (1700—1762 წ. წ.), რომელმაც არჩილის გავლენით ეთნოგრაფიული, ყოფითი მასალებიც კი გახადა თავისი პოეტური შთაგონების საგნად; იგი ერთი შეგნებული ავტორია სინამდვილის პრინციპებისა პოეზიაში. იგი ესაყვედურება რუსთველს მისი გმირების ირრეალობას. „თეიმურაზის აზრით, შოთა „დაშვრა ტყუილზედ“ და „თუმცა მართალზედ თქმულიყო“ „ვეფხისტყაოსანი“—უფრო მეტ ღირსებაში შევიდოდაო (S—1512).

თვნოდა მუხრან-ბატონების შტოს, როგორც მუხრანის მაიორატის მპყრობელი. გამეფებამდე ვახტანგ იწოდებოდა „ბახუტა ბეგაღ“ და როსტომის ტახტზე დამტკიცებამდე სპარსთაგან უკმაყოფილოთა ბანაკს ეკუთვნოდა, როგორც თეიმურაზ I-ის მომხრე. შემდეგში ის შეურიგდა სპარსთა ძალაუფლებას და ყოველი გზით მეცადინეობდა, რომ უშვილო როსტომს იგი ქართლის ტახტის მემკვიდრედ დაემტკიცებინა, როგორც დინასტიური ნათესავი. ვახტანგმა ენერგიულად მოჰქიდა ხელი თავის განზრახვას და მომავალ მამობილს ერთგულება არა ერთხელ დაუმტკიცა. მაგ., როდესაც როსტომმა გაილაშქრა შეთქმული ერისთავების წინააღმდეგ ახალგორში, წინა დღეს „ფიცხლავ მუხრან ბატონს ბახუტას წიგნი მისწერა, შენის ლაშქრით გზას დამხვდით“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 41); ამ ბრძოლაში ვახტანგს თავი უსახელებია: „იმ დღეს მუხრანის ბატონის მამაცობის ქება სთქვესო“ (იქვე, 42); შემდეგში როცა თეიმურაზმა თავდასხმა დაუპირა ცხირეთში მდგომ როსტომ მეფეს, ეს ფარული გეგმა როსტომს ვახტანგმა შეატყობინა (ქ. ცხ., II, 48). თეიმურაზი უკუიქცა, „ამას ვახტანგ მუხრანბატონი მიეწია და ავნო დიდი სივლტოლვად“ (იქვე); კიდევ თეიმურაზზე გალაშქრებისას (1648 წ.) როსტომმა თიანეთს ვახტანგი წარავლინა და ეს ბრძოლა თეიმურაზის სრული დამარცხებით გათავდა.

ასეთი სამსახურითა და თავგამოდებით ვახტანგმა მალე მიაღწია საწადელს. როცა როსტომს მოუკლეს ნაშვილები ლუარსაბ ბატონიშვილი და მისმა ძმამ ვახტანგმაც უარი თქვა მემკვიდრეობაზე (1658), როსტომმა იშვილა ვახტანგ მუხრან-ბატონი, რადგან „არლარა-ვინ ჰყავდა უახლოესი ტომი თვისი“; ყანმა ვახტანგი გაამაჰმადიანა, უწოდა „შაჰნავაზ“, დაასაჩუქრა დიდად და წარმოგზავნა ქართლის გამგებლად. ამიერიდან ვახტანგ-შაჰნავაზი მართავდა ქართლის საქმეებს როსტომის მოხუცებულობის გამო და როსტომისაგან გაცემულ წყალობის წიგნებშიც იგი „პირმშო და სასურველ ძედ“, „საყვარელ ძედ“ იხსენიება (ს. ს. სიგ. ფ. № 532; 14665, 14668; საქ. სიძვ., II, 73, 130) და როსტომის ბეჭედთან ერთად სამეფო განკარგულებებს თავისი ბეჭდითაც ამტკიცებს. როსტომის სიკვდილის ხანს ვახტანგმა სძლია ერთს მეტოქესაც, ზაალ არაგვის ერისთავს, რის შემდეგ „ყენმა მოსცა მეფობა ქართლისა, ნიჭი და საგანძურნი როსტომისანი“ (ქ. ცხ., II, 49).

ასეთი ძნელი და გრძელი გზით, არაპირდაპირი მემკვიდრეობით მიაღწია ვახტანგმა ტახტს. პოემაში სრულ იზოლაციაშია მოყოლილი არათუ როსტომის როლი ვახტანგის გამეფებაში, თვით როსტომის სახელიც პოემაში არსად იხსენიება, ალბათ, მგოსნის

აზრით, როგორც დამამცირებელი მოგონება ვახტანგის ახლო წარსულისა.

არასწორ ცნობას გვაწოდის ავტორი შაჰნავაზის მეორე მეუღლის—მარიამ დედოფლის ვინაობის შესახებაც. პოეზით, ვახტანგი ტახტზე ასვლის ხანაში უცოლო, „უჯუფთო“ იყო. მეფის ვეზირები ძლიერ წუხდნენ ამ გარემოებით, „მეფისა ესრეთ უმეჯუფთოდ ყოფას შეიქირებდნენ“ (თავი VI) და ბოლოს ლევან დადიანის¹ ასული დედოფლად უთხოვეს (თ. VII, VIII, IX, X). ისტორიული წყაროებით კი მარიამი იყო მანუჩარ დადიანის, ასული და ლევან დადიანის და, მეორე ცოლი როსტომ მეფისა².

უკანასკნელის სიკვდილზე შემდეგ (1658 წ.) მარიამი ყაენმა დაიბარა თავის ჰარემში, მაგრამ დედოფალმა სიბერის ნიშნად ყაენს თავისი თეთრი თმა გაუგზავნა. მაშინ ყაენმა ვახტანგს უბრძანა შეერთო. „ხოლო ვახტანგს შეუძნდა შერთვა მარიამ დედოფლისა“, რადგან მას ჰყავდა ცოლად როდამ ორბელიშვილი, „სიკეთითა აღმატებული“; „არამედ უღონო ქმნილმან განუტევა როდამ და იქორწინა მარიამსა ზედა“ (ქ. ცხ., II, 50). შეცვლილია კიდევ რამდენიმე ისტორიული ფაქტის დეტალი, რაც თავის დროზე აღნიშნული აქვთ მარი ბროსეს და კ. კეკელიძეს. მათ კრიტიკას აქ ალარ შევუდგებით, რადგან ზოგი ასეთი გადახვევანი და შეუსაბამობანი „შელამაზების“ ნიშნით უფრო გამოწვეულია პოემის სპეციალური სამკებრო ენარით, კარის სპეციალური დაკვეთით, რომლის მოთხოვნისგან გამომდინარეობს ხოტბის საგანი ჰეროიკული, „ციებრ ზებული“ უნდა ყოფილიყო³.

რასაკვირველია, ამავე მიზეზით აიხსნება პოემის პათეტიკური, ჰიპერბოლისტური ტონით მისი გმირების ფიზიკური იდეალიზაცია, ხოტბის ადებტების ფიზიკური და სულიერი მდიდარი თვისებანი,

¹ თუმცა ერთგან ავტორი სიმართლეს ამქლავნებს, რომ მარიამი ლევანის და იყო და არა ასული (31/158).

² მარიამს 1611 წ. დაწინდვას უპირებდნენ ქართლის მეფე ლუარსაბზე (იხ. „არჩილიანი“, გვ. 82. „დიდმოურავიანი“, 18/96), 1621 წ. მისთხოვდა სვიმონ გურიელს, რომელსაც 1625 წ. ძმამ, ლევან დადიანმა პოლიტიკური მოსახრებით უკანვე წაართვა 1636 წ. მარიამი იძულებით, „გუჟუმით“ ლევანმა მოხუცებულ როსტომს მიათხოვა. მარიამი გარდაიცვალა 1683 წელს.

³ ასეთივე „შელამაზებით“ არის დაწერილი ისტორიული პოემა XVIII ს. „ვახტანგიანი“, სადაც, მაგ., ვახტანგ VI-ის სპარსეთში დაქვრა, მისი იქ ძალით გამაჰმადიანება უგულუბელყოფილია, თითქოს ვახტანგი „თვით წაბრძანდა ერანისა. შინჯვა კვრეტად“. პოემაში აგრეთვე არაფერია ნათქვამი ვახტანგის 1724 წ. დამარცხებაზე (თბილისში).

სილამაზე, ძალა და გმირობა, უმთავრესად ვეფხისტყაოსნის უშუალო გავლენით გამოწვეული¹.

„შაჰნავაზიანის“ მთავარი სამკაული ჰიპერბოლაა. ასე, ვახტანგის „მსგავსი არა ნახულა ადამითგან დღეთამდე“ (გვ. 10); ვახტანგის დასახატად ყენმა სეფე მხატვარი წარმოგზავნა, მაგრამ მხატვარი მეფის სახიდან გამოვლენილ „სხივთაგან დაება“, „დიდხანს იყო გაშტერებით“, „თულნი ვერ შედგა სხივთაგან“ და უკან ხელცარიელი გაბრუნდა. ხოლო როცა თვით ვახტანგი ჩავიდა სპარსეთში ყენის სანახავად, „მოვიდა სულად ერანი, უკვირდით მეფის სიმშვენიერე და სისრულე ეგზომ, რომე გაყრა ეძნელებოდათ“ (გვ. 20). ხოლო თბილისში მისი მშვენიერების სანახავად მოდიოდნენ: ინდოელები, არაბნი, ჩინელნი და მაჩინელი, ოსმანნი და ჩითახნი, ფრანგი და ბერძენი, რუსნი და ხაზარნი, ოგსნი და ყიფჩაყნი და „რა ნახიან, მოიძაგიან მათი ქუეყანა“ (გვ. 4) და ღმერთს ხელაპყრობით მადლს მისცემდნენ, „რომელ, ამისებრი ნაყოფი გამოგილია, რომელ ამისებრი არ ნახულა“ (იქვე). ასეთი გადაჭარბებით აგვიწერს კარის მგოსანი მოხუცი მეფის გარეგნობას². ამის შემდეგ გასაგებია თვით დედოფლის შესახებ ასეთი შედარებები:

სულ ცივნი გააკვირვა. თქუეს: რასა იქს მის მეტს მზე რა! 27/141
ზღუთა მეფისა ასულმა სინათლით მზესა დარია. 37/198
მისთა სხივთაგან გამოჭკრთის ციმციმი გასაკმანია. 36/195

„პირმზე“ დედოფლის „დაწვთა ელვარება სინათლითა მზე და მთუარეს სჯობდა“.

ხოტბის ხასიათით არის გამართლებული მგოსნის მიერ დახატული ეროტიკული სცენებიც მოხუც მეფე-დედოფალს შორის:

საწოლს შვიდა ხემწიფე, ნახა მზის მოვანებანი.
შემოუგება ხომგუარად, ვის შვენის მოარებანი 94/553 (იხ აგრეთვე: 95/555)

ასე ამკობდა ერთფეროვანი კარის დაჭირავებული პანეგირისტი

¹ გაზვიადებული ტონი, ეტყობა, ასევე სავალდებულო ყოფილა კარის ისტორიკოსისათვისაც. მაგ., შუგვიძლია დავასახელოთ სენია ჩხეიძე, რომელიც თვით შაჰნავაზის სიკვდილის კარგა ხნის შემდეგ, იმავე შაჰნავაზის შვილიშვილის კარზე მოსამსახურე, ასე აგვიწერს შაჰნავაზ მეფის პიროვნების სიდიადეს: „იყო მეფეთა მეფე ესე სახელდებული, სვე ამაღლებული; ხელმწიფობით სფადარი, ამიღბარობით სპასპეტი, ლაშქარ-პაეროვნებათა ზე აღმატებული, ოთხთავე კიდეთა ქვეყანისათა ზარ-განხდით ხმა განფენილი, ყოველთა მებრძოლთა ზედა დიდად მძლეველი და თვით არ ვისგან ძლეული, თვით მპყრობელი საქართველოსი“ (ქ. ცხ. II, გვ. 13. ჭიჭ. გმც.).

² 1672 წ., შარდენის სიტყვით, შაჰნავაზი უკვე 80 წელს გადაცილებული იყო (Шурденские по Закавказью, გვ. 195).

„ქალს კეკლუცს“, „მნათობს“, სამოცი წლის დედოფალს, რომელიც იმ დროს ყაენის იძულებით მესამედ გათხოვდა.

ასეთივე სპარსული სტილის ჰიპერბოლისტური სამკაულებით ასახულია პოემის ზოგი სხვა გმირებიც. მაგ., არჩილი, ვახტანგის პირმშო; სილამაზის განხორციელება:

...არა გავს ქვეყნიერსა, არის ვინმე ზეციელი.

მის სანახავდაც მოისწრაფვიან იგივე „არაბი, ჰინდი, ჩინელი“, რომელნიც იტყოდნენ:

ან მზე და მთვარე მოსულა, ამას არ უნდა მისანი! 114/665 და სხვ. (174/1062
39/210)

არაჩვეულებრივი ფიზიკური სილამაზით არის დაჯილდოებული ვახტანგის მეორე შვილიც გიორგი (39/211), ლევანი, მასაც „თულსა ვერ შესდგმენ სხივთავან“ და მისი სახის გადაღებაზედაც ისევე ცილობა აქვთ მხატვრებს: „მხატვართა შექმნეს ცილება, მაგრამ ვერავინ სახეველა“ (39/211).

ერთი სიტყვიც, „შაჰნავაზიანში“ მოიპოვება პანეგირისტული ოდების ყველა ელემენტი აღმოსავლურ, სპარსულ სტილზე გადასული მეხოტბეების ყალბი პათოსის ხარკი. მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ ფეშანგის ჰიპერბოლა მხოლოდ გარეგანი, ტექნიკური სამკაულია, ეპოქის სტილის დაცვის აუცილებლობა; და მისი ეფუფიზმი, ამის მიუხედავად, ზაინც შენელებულია.

პოემის ზეიმურ სიტყვაობაში და დამლულ რიტორიკაში, სადაც მგოსანმა გაგვაცნო გმირების სილამაზე, სიბრძნე, ძალა და შემმართველობა, მიუხედავად კარის მგოსნებისათვის ჩვეული აწეული ტონისა, მაინც მოჩანს ფხიზელი, თავდაქერილი და ცხოვრების რეალისტურად ამსახველი მწერალი. პოემის მდიდარ სიტყვიერ შეკაზმულობაში და პათეტიკაში რამდენიმედ შესამჩნევია სიმშრალე, რაციონალობა. მგოსანი ორივე ფეხით დგას რეალურ საფუძველზე და პოემის მთავარი ღირსებაც ის არის, რომ მისი მდიდარი შინაარსი რეალურია, ეპოქის სრულ ისტორიულ სინამდვილეს შეიცავს. ფეშანგი არათუ ღალატობს ფაქტების სინამდვილეს, არამედ მისი რეალიზმი სწორედ ამ ფაქტების დაწვრილებით გადმოცემაში, გეოგრაფიული პუნქტების სწორედ აღნიშვნაში, დეტალების თხრობაში გამოიხატება.

ამგვარად, მგოსანი, რომელსაც ასე ახასიათებს მხატვრული სტიქია პანეგირისტისა, მაინც ორიგინალურია. აბსტრაქტული და სუმბურული შედარებების და ზღაპრების ნაცვლად, მან რეალური

სიუჟეტი აიღო, გალექსა თვის მიერ ნანახი ამბავი, რომელშიც მონაწილეობას თვითვე იღებდა, როგორც კარისკაცი.

ისტორიული პოემის ავტორს ერთი უნდა შეენიშნოთ: მას ნაკლებ აინტერესებს თავისი ქვეყნის ისტორიული წარსული. ლექსითს პროლოგში, ქართველი მეფეების ჩამოთვლის დროს, მის მიერ „კურატის“ (sic!) ხმარება „კუროპალატის“ მაგიერ, ვახტანგ „გურგასალის“ შემდეგ მირიან მეფის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა და თვით ის ორიოდ ზერელე და ზეპირგანავონი ცნობები, რომლებიც მას შესავალში აქვს მოთხრობილი (სტროფები 25—35), საკმაოდ გვარწმუნებს ფეშანგის ისტორიული ერუდიციის უმწეობაში. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ მისი თანამედროვე მწერალი ფარსადან გორგიჯანიძე შეგვიძლია გავიხსენოთ. ისტორიკოსი ფ. გორგიჯანიძეც თავის ისტორიას გაგონილი ამბებით წერდა და „ძველი ამბის“ შესახებ დასძინდა: „გაგონებულ ამბავს დაეწერ, მაგრა წიგნი არ მინახავს“. ფეშანგისაც ასევე ზეპირსიტყვაობა ჰქონია წყაროდ, ზეპირი ცნობებით ჰქონია წარმოდგენა საქართველოს ისტორიაზე, როგორც „შინგაზდილს“.

ეს ფაქტი მეტად დამახასიათებელია სავაქრო წრეებიდან გამოსული ორივე მწერლისათვის. როგორც ახალი კლასის ადამიანებს, მათ არა აქვთ ინტერესი „ძველისადმი“ და, რასაკვირველია, არც შეძლებაც ისტორიული საკითხების გაცნობისა და გარკვევისა.

VII

ფორმალურად ფეშანგი, ისევე როგორც აღორძინების ხანის ყველა პოეტი, რუსთაველის სკოლის ეპიგონია. „ვეფხისტყაოსნის“ გარეგანი გავლენა „შაჰნავაზიანზე“ დიდია.

„თქმა რუსთველს დარჩა ლექსისაო“ (173/1051), — ტყუილად კი არ აცხადებს მგოსანი, ანდა:

- მთქმელი და გამომეტყუელი მისებრი არსად არია. 5/8
- მრუდიცა მართლად გამართა, ნახულთა დასადარია. 5/3
- შეაერთა ტკბილქართულად, სიტყუა მგვერი ასად ასო. 5/4

ასე უმღერის ფეშანგი „სიბრძნით სავსეს რუსთველს“, რომლის სიტყვას, სხვათაშორის, ვახტანგზე ბევრად ადრე, ის განმარტავს, როგორც „სალმთოდ გასაგონს“:

სიტყვა სალმთოდ გასაგონი მსმენელათათი ა, სად ასო? 5/4

მიუხედავად რუსთაველის კრიტიკისა, ფეშანგი მხატვრულ პრაქტიკაში ახორციელებს იმ დროის ლიტერატურული სკოლების ლო-

ზუნგს—რუსთაველის წაბაძვისა („შოთას რად ვერ წაბაძესა“...) და ბრმა მიმდევრობისას ფორმალური ხაზით:

ვინ ვერ მიჰყვეს რუსთაველის თქმულსა...
მელექობა არ შეშვენის... (არჩილი).

და მართლაც, შაჰნავაზიანი გაპოზიტირებულია არა მარტო რუსთაველის სურათებით, შედარებებით, ეპითეტებით, სენტენცია-აფორიზმებით, არამედ ფრაზეოლოგიით და ლექსიკითაც. მათი სრული კატალოგიზაციის მოხდენა მეტად შორს წაგვიყვანდა.

ცალკე აღსანიშნავია „როსტომიანის“ გავლენა. მისი გმირული პათოსი, სახეები და, ბოლოს, ლექსიკური მასალა (მარტო სიტყვა „შარიერი“, როსტომიანიდან აღებული, 51-ჯერ აქვს ნახმარი) საკმაოდ ახასიათებს ჩვენს ავტორს. შესაფერი ხარკი გადაუხდია მას, აგრეთვე, ეპოქის პოეტური კერპის—თეიმურაზისათვის.

თეიმურაზ პირველის ლექსის მუსიკალობის, მისი გადამღერების ცდები, გარეგნული ეფექტების მიბაძვა, ხალხური ფორმებისადმი მიდრეკილება, თვით თეიმურაზისეული მაჯამების პოეტურ თვითმიზნად ხმარება საკმაოდ გამომყლავნებულია პოემაში.

„გეფხისტყაოსნის“, „როსტომიანის“ და თეიმურაზის გავლენა პოემაში ხშირად სტილიზაციის სახეს იღებს. ამაოდ კი არ განსაზღვრავდა ფეშანგი ქართულ პოეზიას ამ სამი დიდი პოეტური სახელით: „სხვა ცუდია, ნუ მოსცდებისო!“ (5/7). „შაჰნავაზიანში“ შევნიშნეთ ნაწილობრივი გავლენა აგრეთვე ნოდარ ციციშვილის „ბარამ გურისა“, რომელიც ჩვენს პოემაზე 8-9 წლით ადრე დაწერილა.¹ მცირე ფორმალური სესხების გარდა (შდრ. „შაჰნავაზი“ თ. IV და „ბარამ გურის“ IV თავი), მას ერთგან ნოდარის კრიტიკული რეზუმეც გამოუყენებია:

ნოდარ ციციშვილი:

(რუსთაველის, თეიმურაზის შესახებ)
სხვა მელექსე ვინცა ვინა,
მათად სწორად არ იქნების;
თუ ვინ თავსა მათ ადარებს,
ცუდმაშვრალობს, ცუდად
სცდების;
თუ ვინ იტყვის: „ჩემი სჯობსო“,
ცუდ-სარჯული წაუხდების;
ვინ სხვათ ლექსთა მათ ადარებს,
თურმე ლექსთა ვერ მიხვდების.
(ბარამ გური, 2/8)

ფეშანგი:

(რუსთაველის, სერაპიონის,
თეიმურაზის შესახებ)
მათ შეამკუეს საუბარი; სხუა ცუდია
ნუ მოსცდების;
ნუც ედრების მათ მელექსე, დაილაღვის,
ვერ მისწუდების;
შეუმოკლდეს ლექს ქართული,
მაშინ ცეცხლი მოედების;
დაილაღვის ცუდად რბენით,
სხუას ვერ ავენებს, თუით ივენების.
(5/7)

¹ კ. კვეციანის აზრით, „ბარამ გური“ დაწერილია 1655-1656 წლებში („შვილი მთიები“. გვ. XIII).

სხვათა შორის, ფეშანგის პოემაში იმდენი ვულგარიზმები არა გვხვდება, რამდენიც მოსალოდნელი იყო სავაქრო წრიდან გამო-სული მგოსნისაგან. მოგვეყვას რამდენიმე: „ერთოფლა“ 111/690, „მამ-ლოდნე“ 18/85; 21/105; „მებრძოლი“ 24/126; „იქს“ 27/141; „ბძე-ნი“ 28/143; „ევეთნი“ 135/804; „რისათუი“ 32/156; „მასკულავი“ 32/157; „დაუყონლად“ 33/172; „სიამოვნე“ 36/190; „იქი“ 38/209; „მზები“ 135/799; „შურსთ“ 40/219; „პწყინარე“ 156/942 და სხვ.

შესამჩნევია ის ზომიერებაც, ავტორი რომ იჩენს სტილისტი-კური და ლექსიკური არქაიზმების ხმარებისას. „მდაბიო“ მგოსანს ზედმეტად არა აქვს გამოყენებული მწიგნობრული და „სამღვდე-ლო“ სიტყვის რესურსები. საპაგიეროდ, პოემაში იგრძნობა სტილის ხალხური დამდაბლება, რაც ფეშანგიზე ბევრით ადრე „როსტო-მიანის“ რკალის პოეტებიდან იწყება.

სპარსულ-თურქული ლექსიკა პოემაში მოცემულია სიუხვით. ამ შემთხვევაში ფეშანგი პირდაპირი მემკვიდრეა „როსტომიანის“ გამ-ლექსავი პოეტებისა, აგრეთვე, თეიმურაზ პირველის ენობრივი („სპარსთა ენის სიტკბოს“) ტრადიციებისა.

ცნობილია, რომ XVI-XVII ს. ქართული არისტოკრატიის ენა აჯრელდა პოლიტიკური და ადმინისტრაციული სფეროებიდან შე-მოსული სპარსულ-თურქული სიტყვებით. ისეთივე ცვლილება ვა-ქართა ენამაც განიცადა სპარსეთ-ოსმალეთთან ეკონომიური ურთი-ერთობის ნიადაგზე. ფეშანგის ენაში სპარსულ-თურქული ტერმი-ნების სიმრავლე ისევე ცხადსაყოფია, როგორც ფარსადან გორგი-ჯანიძის ისტორიაში.

არჩილის პურიზმი მეტად გარკვეული იყო:

მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურვეია.

ეგ ნუ გგონიათ სხვა ენა მე არ ვიცოდი სხვასავით;

მაგრამ ცუდია გარევა ქართულს ენაში სხვასავით. (გვ. 177)

არჩილმა თითქმის პირველმა დააყენა მაშინ ლიტერატურული ენის საკითხი და მისი მოღვაწეობის დრო ტყუილად როდია დრო ახალი სალიტერატურო ენის საწყისების გაფორმებისა.

არჩილისათვის აუცილებელი პირობა იყო ენის სიწმინდე და ბრძოლა უცხო სიტყვებთან.

ლიტერატურული ქრონოლოგიით, ფეშანგი არჩილზე უფროსია. იგი წინა სკოლის წარმომადგენელია, იმ თაობისა, რომელმაც „ქარ-თულს ენაში მარტილად ურთო სპარსული“ და „თათრულიც გაუ-რია“ (არჩ.). არჩილი პროვინციალიზმებსაც შენიშნავდა („მეგრუ-ლი“, „ხიზიყური“, „ჯავახური“), ხოლო ფეშანგის პროვინციალიზ-მებიც ახასიათებს.

ამრიგად ფეშანგი დაშორებულია არჩილის პრინციპს ენის საკითხში. ამიტომ „შაჰნავაზიანის“ ავტორი ვერ ჩაითვლება თანამშრომლად არჩილისა, რომელიც ენის გაწმენდას ახდენდა¹ (არჩილის სკოლამ იოსებ ტფილელის და სულხან ორბელიანის მონაწილეობით ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩაატარა; ამ სამმა ბრწყინვალე ოსტატმა ახალი პოეტური სტილი შექმნეს).

როგორც შენიშნული აქვს კ. კეკელიძეს, ფეშანგის დიალექტიზმებიდან ყურადღებას იპყრობს მა პრეფერბის ხმარება, მო-ს ნაცვლად („მამივიდა“ 90/525; „შანწონსო“ 132/781 და სხვ).

პატრონისათვის „დადაგულს“ და „გულმორთულ“ ფეშანგის გამოთქმული აქვს პრეტენზიები ლექსის „ხელოვნების“ და ოსტატობისა:

სიტყუა მოვკრიფე, გასინჯეთ, თუ რაგუარ დავებენია. 173/1055
ვარდი მოვპკრიფე უეკლო, ცუარით ავისილი დილისა. 173/1053

უპირველესად ფეშანგის პრეტენზიებში დამახასიათებელია მოკლე ხოტბის ფორმის—მაჯამის ხმარება უფრო ლირიკულ ადგილებში. მაჯამის ხმარება კი იმ ღროისათვის, როგორც მოდა, მაღალი პოეტური ტექნიკის ნიშნად ითვლებოდა.

აი ფეშანგის მაჯამები:

ხელი მიჰყუეს გასაგზავნად, მარგალიტი მან და ლალა;
დაარჩივა საკადრისად, უმჯობესი მან დალალა,
თქუეს; ებოვეთ ესე გუარი, მზისა ხლებად მანდა ლალა;
ნახონ უტბო მოსაწონი, მის არ მართებს მანდალალა. 261/133

ამად ვჩივი, სოფლისაგან, არ დამინდო მისობასა;
გამამყარა სიცოცხლესა, არ მაშორეა მისობასა;
ვერ მოურჩი გაყრა გაცლით, ამად შემქნა მისობასა,
გულსა მაძეს მონანსროლი, ვით გაუძლო მისობასა 74/435

მართალია, ფეშანგის მაჯამები, ისევე, როგორც სხვა პოეტები-სა, უმეტეს შემთხვევაში სუმბურულია და შინაგანი სიცარიელის მაჩვენებელი, მაინც თავისებური ცდაა ოსტატობისა. მაჯამას ფე-

¹ თავის მხრივ არჩილის მხლებელი ფეშანგი ერთი იმ კარისკაცთაგანი უნდა ყოფილიყო, რომელიც, როგორც თანადამხდური და მსახური თეიმურაზ პირველისა, არჩილს მემუარული მასალებით ემსახურებოდა „თეიმურაზიანის“ დაწერის დროს, როგორც თვით არჩილი გადმოგვცემს თხზულების პროზაულ შესავალში: „მეფის თეიმურაზის... სარჯელთ ამბავი თვით მნახავთა და თანაახლთ მეფის ყმათ ქართველთა და კახთაგან მსმენოდა; არა ხოტბა, არამედ მართალი. რამეთუ ათორმეტ წელს კახეთს ვემფობდი, მისნი და ზრდილნი და ნამსახურნი დარბაისელნი გუერთს მახლდენ, ვკითხვედი ნაქმარსა მეფისასა და მიამბობდესო“

შანგის პოემაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს;¹ მაჯამებით იგი აქარბებს თვით ნოდარ ციციშვილის „ბარამ გურს“, რომელიც მოცულობით უფრო დიდია, ვიდრე „შაჰნავაზიანი“.

რით უნდა აიხსნას ფეშანგის ასეთი გატაცება მაჯამით? საქმე ისაა, რომ ეს ჟანრი, ქართულ ზმასთან ერთად, სასახლის ლხინების ერთი სამკაულთაგანი იყო. მაჯამის „იკითხავდნენ, და თარგმნიდნენ“, იგი „საძებარ სათარგმნებელი“ იყო და, ცხადია, ყველაზე მეტად მაჯამის მოძებნაში ანუ „თარგმანში“ დახელოვნებულნი უნდა ყოფილიყვნენ კარის მგოსნები, როგორც სასახლის მეჯლისებისა და ნადიმების განუშორებელი მონაწილენი. ფფიქრობთ, კარის მგოსანს, ფეშანგის საკუთარი მაჯამების გარდა, არა ერთი და ორი მაჯამა უნდა ჰქონდეს პოემაში შეტანილი სასახლის მაშინდელი მგოსნებისა, იმ დროის პოეტური დისკუსიებიდან (რასაკვირველია, ლექსის სხვა სამკაულებთან ერთად).

როგორც ზემოთაღ აღვნიშნეთ, ფეშანგი ვერ იჩენს ორიგინალობას პოეტური სახეების შექმნაში. იგი რუსთაველის, სერაპიონის და თეიმურაზის სალაროდან სარგებლობს. მისი საკუთარი სახეებიდან მაინც აღსანიშნავია:

ყმას ღიმილი აქუს, სხივს აძლევს, ვითა ჩახმხსა კაქია 112/656
ციცკარს უგუნდა ყულყური, გაუსით მთუარესა დარევედა. 39/210
ამას გავს სახლი სამყოფი ოქროში გააცურესა. 36/194

ან ენერგიული, სრულყოფილი თქმანი:

მტერი ხმლითა გაიბერტყა, საქმე მოხდა სავარგული. 145/858
შეჭურვილ იყუნეს რკინათა, სიშვე მისჩანს ფარისა. 116/978.
აღარსად იყო მოწყენა, ადგა ლომგულის ჩრდილია. 33/173
ცის კამკამი ჩამოვარდა მოწყალეა დაუთვლელად,
მზე გუმბაზით ამოვიდა, ქართველთათუი ხმალთა მცუელად. 135/800
ცხენი დალაღეს რბენითა, შამბსა მიჰქანდა შრიალი. 45/245
ლხინი შექნეს უსაზომო, ჩანგსა მკურელმა დაუშინა. 135/800
აწ გამოჩნდების ცხენთაგან ცასა შეწდომა მტუერისა. 44/238

ეპითეტებში, მეტაფორებში იგი ბაძავს უმთავრესად „ვეფხისტყაოსანს“ და „როსტომიანს:“ „მათი თქმული სახედ ჰქონდა“;

¹ პოემაში ავტორს შესრულებული აქვს 90 მაჯამა ანუ 360 მაჯამური რითმა. იხ. სტროფები: 4, 27, 30, 31, 73, 85, 102, 122, 126, 133, 141, 143, 148, 157, 160, 161, 176, 177, 180, 184, 186, 191, 198, 199, 200, 210, 218, 224, 243, 250, 257, 308, 332, 333, 334, 336, 337, 357, 369, 374, 376, 410, 412, 433, 435, 437, 440, 459, 467, 478, 379, 494, 503, 511, 521, 536, 546, 555, 556, 568, 569, 580, 588, 597, 631, 633, 641, 642, 646, 650, 651, 691, 749, 750, 765, 766, 781, 795, 900, 909, 931, 950, 954, 960, 998, 1131, 1043.

ახასიათებს იგივე ტრადიციული ელემენტები, გამოსახვითი საშუალებანი; კონფიგურაცია მნათობების (მზე ნახსენები აქვს 56-ჯერ; მთვარე 20-ჯერ), ძვირფასი ქვების ელვარების მოხმარება (გუარი 12-ჯერ; ვერცხლი 18-ჯერ; მარგალიტი 23-ჯერ; ოქრო 25-ჯერ) და სხვ.

„შაჰნავაზიანის“ გმირთა სულიერი ანალიზი უბრალოა, პრიმიტიული; სპარბობს ჩვეული, დამლელი-სპარსული სანტიმენტალიზმი.

ფორმალურ ეპიგონს, დაქირავებულ მგოსანს მეცენატის „ქებადიდებაში“ ხანდახან სძინავს ისეთივე ძილით, რანაირიც ხშირად ემართებოდათ მისი რანგის და სკოლის მგოსნებს, რომელთაც „სთქვეს იძულებითა“, „ბრძანებით“ და არა საკუთარი მოთხოვნებით, „თავის ნებით“. მაგ., პოემაში გვხვდება ტექნიკურად ასეთი გაუმართლებელი „ოფლით ნაწურვალი“ ადგილები, ასეთ რითმებით:

აწ გიაჯი მამისმინო, ფიცთა ტეხას არ გამრიო;
არ გამყარო კეისარსა, უსამართლოდ არ მამრიო;
საძრახავად არ დამედვას, არცავინ თქუას ჩემზე: „რიო!“
სამუდამოდ მუსაიფსა წაკითხუაზე არ ამრიო. 105/607

ბაგრატს ჰკითხა ხელმწიფემან: „რომელი ვქნათ? მართლა სთქვია!
სამალაყად რალას გარგებს, სრული სიტყვა გამოსთქვია!
სადით ვაჯობ, იქ ვაგიშუებ წასატანსა გარდმოვსთულია;
ლარსა მოგცემ უზომოსა, თუესა ერთსა ვერ დასთულია. 154/924

ან ისეთი სტროფები, სადაც ფორმას — „წერილი“ ერთმემა: „გამოწერილი,“ „დაწერილი,“ „შემოწერილი“ (იხ. სტროფი 911); სიტყვას — „ცემითა“ — „ამოცემითა,“ „გამოცემითა,“ „დაცემითა“ (153, 847); შენიშნულია ერთი შემთხვევაც, როცა რითმა მიღებულია ზედმეტი „დას“ შემწეობით:

შემოვხუენეს გარეშე ამა ხემწიფისა ძესა და;
ყულამ შეჰკადრა სალამი ამა უსწოროს მხნესადა;
დაუწყეს სიტყვა ხომ გუარი ამა კეთილთა მქნესადა;
სადიდებელნი პასუხი, ვინ იცის. სადით თქუესა და! 10|40.

ასე წარმოგვიდგება კარის მგოსანი, რომელიც, თავის მცირე პოეტურ მიღწევებთან ერთად, ზოგჯერ „უტეხი“, „სიტყვა არეული რიტორია“ და ხშირად „ლექსთ ვერ აძლევს სიტკბოს“. მაგრამ ფეშანგის მნიშვნელობა ხომ მუსიკობასა და ენის სიტკბოში არ გამოიხატება. ისიც უნდა ითქვას, რომ „შაჰნავაზიანის“ ფორმალური მხარე არ ჩამორჩება, მაგ., მამუკა თავაქალაშვილის, ბაჩიმ ვანა-

ძის, „ომბინიანის“ და გალექსილი „ამირანდარეჯანიანის“ ავტორების პოეტურ პრაქტიკას.

რაც მთავარია, სამქებრო-ისტორიული პოემა „შაჰნავაზიანი“ რეალისტური მოტივების შემცველი და ნაწილობრივად სავაჭრო ჯგუფთა ფსიქოლოგიისა და მისწრაფებათა გამომსახველი ნაწარმოებია.

1934 წ.

P. S. „შაჰნავაზიანის“ ტექსტის გამოცემა დიდი ხანია მაინტერესებდა. ამ მიზნით 1928 წელს გავემგზავრე ლენინგრადში და იქ, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ყ. საახიო მუზეუმში ხელნაწერის ფოტოპირი გადმოვიღე და თვით ტექსტიც იქვე გადმოვწერე.

„შაჰნავაზიანის“ ტექსტი გამოიცა ჩემი და სოლომონ იორდანი-შვილის რედაქციით 1935 წელს.

იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანი“

იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“ ქართული ნაციონალური ეპოსის შესანიშნავი ძეგლია. იგი საკმაო პოპულარობით სარგებლობდა ძველ საქართველოში, განსაკუთრებით დაბალ ფენებში იგი საყვარელ წიგნად ითვლებოდა. „წიგნი ესე საესე ისტორიულისა მოთხრობითა ქებულ არს მრავალთაგან“,—ამბობს პლ. იოსელიანი. მიზეზი პოემის სახელგანთქმულობისა — მისი მალალმხატვრულობა იყო, მისი ხალხურობა, სისადავე, ღრმა ლირიზმი და შემდეგ თვით პოემის საგანი—სახელოვანი გიორგი სააკაძის ანუ დიდმოურავის პიროვნება, რომლის გამო პოემას ეწოდა „დიდმოურავიანი“.¹

ექვი არაა, ამ დიდებული გმირის ხმალსა და სახელს არა ერთი აღტაცებული სიტყვა უნდა გამოეწვია თავის დროშივე, ანტიომ დამაჯერებელია იოსებ ტფილელის ცნობა, რომლის მიხედვითაც გიორგი სააკაძის სიცოცხლეშივე ხალხში არსებობდა „ქებანი“ მისი გმირობის შესახებ. მაგ., თვით ჩვენს პოემაში ტფილელი ათქმევინებს მოურავს, რომ მაშინდელ მესხეთშიც კი, სადაც მოურავი დროებით იყო ერთხან გადახვეწილი, უკვე არსებობდა „ქება“ მის შესახებ:

სრულ მესხნი ტკბილად მომეპყრნეს ჩემთანა სადგურობდიან,
რა ამბავს თავი ახსნიან, ხან ჩემს ქებასაც ჰხმობდიან.

რაც შეეხება მხატვრული მწერლობის ძეგლებს, ჩვენ 1935 წელს გამოვთქვით აზრი, რომ დღემდის ჩვენამდე მოუღწევველ ნაწარმოებთა შორის გიორგი სააკაძეზე, გარდა „დიდმოურავიანისა“, არსებულა, მაგ., ერთი პოემა, რომელშიც, სხვათა შორის, დაწვრილებით ყოფილა აწერილი სააკაძის საქართველოდან გადავარდნა ოსმალეთში და იქ მისი გმირობის ამბები. ეს ცნობა თვით „დიდმოურავიანის“ პოემას აქვს შემონახული:

¹ გიორგი სააკაძე იყო მოურავი თბილისის, დვალეთისა და ქრციხევისა. „დიდმოურავობით“ იგი იხსენიება ჯერ კიდევ XVII ს. ისტორიულ დოკუმენტებში.

სხვაგან წერა დამწერელმან ხვანთქართანა წასვლა მიცი; .
სოხტაების ამოწყვეტა, სისხლთა დენა, ყათლა ეისი,
ბევრი ბრძოლა, ციხის რთმევა, ნებად, არა წართმევისი,
ან მოყვრების გამოჩენა, შესწავლილი ზოგან თვისი;

ხვანთქარისაგან როგორც ცნობა, ანუ დიდად პატივევმა,
მტერთ გავლენის დამდაბლება, წყალობა და კვლავ მიცემა
მის დუშმანთა ამოწყვეტა, მისხის მისხად რა მიცემა...

50/356

შესაძლოა ჩვენი ძველი პოეზიის სათანადო შესწავლისას ოდესმე
აღმოჩნდეს ეს დაკარგული „ქებანიც“.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ხალხურ პოეზიაში, დღემდე გამოქვეყნებულ-
სა და შეგროვილ ლექსებში, არსად არა ჩანს გიორგი სააკაძის სახელი. დიდი მო-
ურავის გმირობის შესახებ არაერთარ ძველ ლექსს ჩვენამდის არ მოუღწევია. ხან-
გრძლივი მუშაობის შემდეგ მე მხოლოდ 1935 წელს ხელთ ჩამივარდა ჯერ ერთი
ფრაგმენტი და შემდეგ ორი ლექსი. ორი უკანასკნელი ჩაწერილია ხევში, სოფ.
ჯუთაში, შოთა თათარიშვილის მიერ. სამივე ლექსი იდეოლოგიური არსით და
გიორგი სააკაძის პიროვნების შეფასებით ხალხის მიერ მეტად საყურადღებოა—
მოგვკავს ჯერ ფრაგმენტი:

...წინ-წინ გიორგი ყოფილა
ძველთა თავადთა მტერიო,—
საკაძის ძახილან,—
ჯერ მეფის ალაგ სჭერიო,—
მემრე ყოფილა თორღვაი,
ამთხობდა ცხვარხ რო მგელიო!

და შემდეგ ორი სხვა ლექსიც:

1. გიორგი სააკაძეს

წმინდა გიორგის სხნიაე,
რისხვა ხარ თათრის რჯულისა,
ჩვენს მხსნელათ მოვლინებულო,
გამზარეუ საწყალთ გულისა!

გებრალვის ქერივი, ობოლი,
ამშენებელი სოფლისა,
როცა სჭირს, მეფეს პატრონობ,
სახლშიც დამღვრელი ოფლისა!

არას გისვენებს ბარათა,
ვეზირ-თავადის შეილნია;
ჩვენი რომა ხარ, ისა ჰკლავთ,
თვალზედ არა აქვთ ძილია.

გაკაჟდი, ჩვენო გმირთ გმირო,
მთას გულჩი ჰყავხარ ხატადო,
ღალა შენა ხარ,—ცხონი კი,
არ ღირან ჩალის ფასადო!

იცინი, გულში გესლი გაქქს
ტახტს უყფე სამეფოსასა,
მეფე ლუარსაბს ღალატობ,
ძლიერსა, მრაველ ყმოსანსა!

ჩვენი გივარგიც დანესტრე,
ქართველთ სარდალი დიდიო,
შენ ჩაუნგრევე მელობით
ჩვენსკენ სავალი ხილია.

ალარვის ინდობ, კანჯარო,
ტურა ხარ პირსისხლიანი,
ბევრ დედას შავი ჩააცვი,
დაყარე თვალცრემლიანი!

სამეფოს ჩანთქმას უპირებ,
დანთრგუნე დედოფალია,
დოვლათს იკრეფევე საცალოთ
ვერ ძღების შენი თვალთა.

უებარი ხარ ბრძოლაში,
ყველგან გამტანი ლელოსი.
მინდიაშ დავენაცვლების,—
გმირი ხარ საქართველოსი!

ვაჟ თუ გაგიცვდა ბუმბული,
ველარ იფრინო ლალადა,
მეფის კარს რისხვა მიილო,
ალარ ჩაგადღონ ბალადა!

2. ბარათა ბარათაშვილს

ბარათავ ბარათაშვილო,
მეფის ხარ ნაზირ-ვაზირი.
ვერა გრძნობ ჩენსა წუხილსა,
მადლიდამ ვადმონაშვირი.

მაშინ მოგწოდების მინდიაც,
ლაჯაის მოგდებს წვერზედა;
თავს მიგინაყავს გველივით;
გივარგის ნასახლკარზედა!

ორივე ლექსი XIX ს-ნის დასაწყისს უნდა მიეკუთვნოთ. მათი წიგნური წარმოშობა აშკარაა ანტ. ფურცელაძის მონოგრაფიის გავლენით. ორივე ლექსის ავტორია ვინმე ხევსური მათქვამი მინდია, როგორც ეს ლექსის ბოლო სტროფიდან ჩანს¹.

დასასრულ, საინტერესო ცნობას გვაწვდის თეიმურაზ ბატონიშვილი (1782—1846): თითქოს უნდა მოღწეულიყოს ერთი ფრაგმენტი ძველი ხალხური ლექსისა დიდმოურავზე, მისი ოსმალეთში გადახვეწის შესახებ. „ძველად თქმულსა მოურავზე და ქების ლექსებში“ არის ლექსად ნათქვამი:

საკაძეს თან გადაჰყვენ თავადები ძირ-ძველები.²

მეტად ძვირფასი ცნობაა. მით უმეტეს, რომ მოყვანილი სტრიქონი ხალხური იერისაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ოფიციალურად ეს ლექსი არჩილს (1646—1713) ეკუთვნის:

ქაიხოსრო და იესე, კვლავ სხუა ბევრი ქართულები.

თან გადაჰყუეს სააკაძეს თავადები ძირძველები,—

იქაც ბევრი სახელი ჰქმნა, მაგრამ თავს გარდავევლები.³

რასაკვირველია, აქ მოყვანილ „მოურავის ქების ლექსებში“ არჩილის პოემა უნდა იგულისხმებოდეს, მაგრამ არც ის შესაძლებლობაა გამოორიციხული, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი აქ გულისხმობდეს მართლაც ძველი ხალხური ლექსების ციკლს გიორგი სააკაძეზე, საიდანაც შესაძლოა არჩილმა კიდევც ისარგებლა პოემის წერის დროს.

¹ პროფ. ა. შანიძის მიერ 1931 წ. გამოცემულ წიგნში: „ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული“ მოხსენებულა რამდენიმე მათქვამი მინდიას სახელწოდებით. შესაძლოა, რომელიმე მათგანიც იყოს ჩვენი ლექსების ავტორი.

² S—213 („სიკუდილი დიდ მოურავის გიორგი სააკაძისა“).

³ „ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირველისა...“ პლ. იოსელიანის გამოცემა, 1853 წ., გვ. 125.

ისტორიული პოემა „დიდმოურავიანი“ შეიცავს XVII ს. გმირის და სახელმწიფო მოღვაწის — გიორგი სააკაძის თავგადასავალს, მის აპოლოგიას. პოემაში თვით სააკაძის პირით მოთხრობილია საქართველოს ისტორიული ვითარება 1609-1629 წლების მანძილზე.

ამ გმირული ეპოპეის შინაარსი ასეთია:

ქრცხინვალში დგას თეიმურაზ მეფე პირველი, რომელსაც თან დიდი მოურავი გიორგი სააკაძე ახლავს. „იშვებენ და იხარებენ“, რადგან მტრები ყველგან შეაშინეს. მაგრამ „ავი ენა“ მათ გაჰყრის ქვეყნის საზიანოდ, სამნი კაცნი მოვლენ და მოურავს მოახსენებენ, ქვაშიადს გაგიცხადებთო, მაგრამ ფიცსა გთხოვთ, არ გაგვამუღავნოო. გაკვირვებული მოურავი მიუგებს: „რა ფიცსა მთხოვთ, კარგს მეტყვით თუ ავს, არაფრისა მეშინიან“:

გულში არა ჩამაჩნია, მეფის მტრისა ვარ მომსვრელი.

მოსულეები კიდევ ფიცსა სთხოვენ, რომ იგი მათ არ გასცემს. დაღონებული მოურავი გულში ფიქრობს, ნეტარ რად მივცე ფიცის წიგნი „ცულის სიტყვისა თქმისათვის?“ და გულში გაივლებს, იქნებ მეფე მიწყრება ძმისათვის ან ნათესავებისათვის, იქნებ მე სულ შორს ვიყო და სხვას შეეხებოდეს ეს ამბავი?

დიდხანს იუარა, ბოლოს იძულებულმა მისცა ფიცი. მაშინ უთხრეს: ხვალ შენი სიკვდილი გადაწყვეტილიაო! შენი მოღალატენი ნამდვილ ვიციო! მოურავი ძალიან შეწუხდა. ბოლოს ჰკითხა: რისათვის მომკვლენ, ან ჩემგან რა დაშავებულაო? უდანაშაულო მოურავს აგონდება, თუ როგორ დაღუპულან ღალატით მზეჭაბუკი და გმირი როსტომ. ის ახლა ხედება: კაცს რომ ბევრი კარგი უყო. ამბავი მაინც დაკარგულია, და თან ავი სიხმარიც ენიშნება.

მოურავი მაშინვე გაენდო ერთგულ ყმებს და მეგობრებს, ზოგთან წერილებით კარისკაცები აფრინა, ხოლო ახლო ამხანაგებს — ქაიხოსრო მუხრან ბატონს და იესე ქსნის ერისთავს შესჩივლა: რისთვის მომკლავს მეფე, თქვენ გასინჯეთ, თქვენგან მაქვს ძალა, განა კარგისათვის კარგი ეს არის? თქვენ ხომ იცით, როგორ ვაღლებულია ჩემგან მეფე? მეგობრები უპასუხებენ, ნუ დაიჯერებო; ეს ამბავი მართალს არ ჰგავსო; ალბათ ზოგიერთებს გადაკიდება უნდათ და „ქართლის ჩხუბითა ავსება“, შენ რომ არ იყო დღეს ქართლს ნათელი ჩაუქრებაო.

მოურავი დაწყნარდა, მაგრამ მეხვაშიადენი ისევ მოვლენ მას-

თან იმავე სიტყვებით: დაიჯერე, ვიდრე შენს სისხლს დაღვრიან, რაკი მოგკლავენ, მერე შენ სიკვდილს ვინ ეძებსო? ახლა კი დაჯერებული მოურავი ეკითხება, თუ რად ჩქარობენ მის სიკვდილს. უპასუხებენ: ხელმწიფე ლუარსაბის სიკვდილს გაბრალებსო და თან უჩივის შენს განდიდებას და ურჩობასო:

... მან ჯარი დაიხვია, არ ეტევის მინდორ ველად,
თავს არ გვიდებს საპატრონემოდ, წყალობის არ გადამხდელად.

მოურავი ახლა კი გრძნობს, რომ მას ნიშნს მოუგებენ ისინი, ვინც უშლიდა მეფის ერთგულ სამსახურს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მან გონიოში სპარსთაგან გადახვეწილი თეიმურაზ მეფე ჩამოიყვანა და ისევ აიყვანა ქართლ-კახეთის ტახტზე.

მეფემ შეიტყო ეს მითქმა-მოთქმა და მოურავს შეეკითხა. უკანასკნელმა აცნობა ყოველივე და თან დასძინა: თავს ლალატით ვერ მოვიკლავო! მოურავმა მეფეს მოციქულად მიუგზავნა ავალიშვილი დომენტი მროველი (ანუ რუისის ეპისკოპოსი), სახელგანთქმული კვეიანი კაცი, და მისი პირით შეუთვალა: ნუ გეწყინებათ ჩემი სიტყვა, მაგრამ რა დავაშავე, მე ყოველთვის თქვენს სურვილს ვასრულებდი, თქვენთვის ვაბრძოლებდი ხმალს, ახლა რისთვის გამხადე მტერთგულადო?

მეფემ შემოუთვალა: ეგ საქმე ჩემს გულში არ გავლილა, როგორ მოგაკვლევინებდი ჩემს ერთგულს და თავგანწირვით ნამსახურს? ვინც ეგ ტყუილად გითხრა, უსათუოდ უნდა ხელთ მომცე, რომ ავიკლო და გავანიავო; მე მინდა, რომ შენ ძველებურად მემსახურო, მსურს შენით ვილაშქრო!— ასე იმართლა თავი თეიმურაზმა. მაგრამ მეხევაშიადენი საიდუმლოდ ისევ მოვიდნენ სააკაძესთან და უთხრეს: ერთხელ კიდევ მორჩი სიკვდილსა და ლალატს, ჩვენ ნუ გაგვცემ, თორემ დაგვხოცენ, შენ კი მალე მიხვდები ფიცის დარღვევას; ამიერიდან მეფისაგან დანდობას ნულარ მოელი, იგი ლუარსაბის მეფის სიკვდილს გაბრალებსო.

მოურავმა კიდევ გაუგზავნა მეფეს მროველი, კიდევ აახლა მოციქულები: ამბის მომტან კაცებს ვერ მოგცემ, რანაირადაც გინდა დამსაჯო, თქვენ თურმე ლუარსაბის სისხლს მადებთო. მეფემ უბრძანა: ახლა კი გეტყვი სწორ სიტყვას! ქვეყანამ იცის, რომ შენ მისი სისხლის მღვრელი იყავი, მაგრამ მან თავისი წამებით სამოთხე დაიმკვიდრა, ანგელოზი ჰყავს მცველად. მე მის სისხლს არ ვეძებ, შენ შენთვის იჯექიო.

რა ეს გაიგონა, მოურავმა თქვა: მეფე ჩემზე გამწყარალიაო. მოციქულებს კი შესჩივლა: მაშ მე ცუდად მშრომელი ვყოფილვარ!—

არა მეფეთა ტახტის შემამკობელი, არამედ მისი დამაქცეველი და თავის გასამართლებლად, რომ არაფერშია დამნაშავე, იგი მოყვება თავის გმირულ ნამსახურობის ამბებს „თავიდან“, ე. ი. იმ დროიდან, როცა ის ოცი წლისა მხლებლად მიართვეს ცაშეტის წლის ლუარსაბს (თუმცა ამაზე ადრეც ის გვერდთ ახლდა ლუარსაბს).

ეს ამბებია: 1609 წ. თათარხანის შემოსევა, და მისი სარდლობით მათი დამარცხება და გაწყვეტა ტაშისკარში; ლუარსაბ მეფის რომანი სააკაძის დასთან, მათი ქორწილი, დიდებულთა უკმაყოფილება ახალი დედოფლის უგვარობის გამო, მათი ქვეგამხედველობა და შეთქმულობა სააკაძის მოსაკლავად; სუსტი ნებისყოფის მქონე მეფის დაყოლიება და მკვლელობის მზადება, მოურავის გადარჩენა და გაქცევა; მეფის მიერ დამსჯელი ჯარის დადევნება, ნოსტეში სააკაძის სახლის დაწვა და აკლება, ცოლ-შვილით ღამე გავარდნა ტყეში, იქიდან გამოპარვით და დიდი წვალებით ფარულად მტკვარში გასვლა მცხეთასთან და ცოლ-შვილის შეხიზნება ნუგზარ არაგვის ერისთავთან, იქიდან ერანში წასვლა შაჰ-აბაზთან, რომელიც მოურავის ჩასვლას დიდი სიხარულით შეხვდა; შაჰ-აბაზის მიერ სააკაძის სალაშქროდ წაყვანა ყანდაარში, ბაღდადში და იქ მისი სახელოვანი ვაჟკაცობის გამოჩენა; იქვე მოურავის ძმის სიკვდილი. ქართლზე წამოსვლა; მეფეების ლუარსაბისა და თეიმურაზის იმერეთში გადაცვენა, ყენის მიერ ლუარსაბის მოტყუებით იმერეთიდან ჩამოყვანა, და სპარსეთს წაყვანა, კახეთის აოხრება და აყრა; შაჰ-აბაზისაგან განზრახვა ქართლის აოხრებისა; მოურავისა და ყორჩი-ხანის გამოგზავნა დიდი ლაშქრით; მოურავის და ზურაბ არაგვის ერისთავის ერთმანეთის საიდუმლო შეთქმულება ერანის წინააღმდეგ; შაჰ-აბაზისაგან მოურავის მოკვლის განზრახვა, ყენის შათირის დაქერა ლოქინში მოურავისაგან, ყენის საიდუმლო გეგმის ჩაშლა; მოურავისაგან მალვით ჯარების დაბარება და მუხრანში ერანის ლაშქრის ამოხოცვა; მცხეთის ახალციხის აღება, თბილისის იერიში, მარტყოფში ერანელთა ჯარის მოსპობა და ქართლის განთავისუფლება ერთ დღეს; განძენება შაჰ-აბაზისა, მძიმე ლაშქრის გამოგზავნა საქართველოზე, მარაბდის ომი, ქართველების დამარცხება; სააკაძის პარტიზანული ომები და ქსანზე ერანელთა სასტიკი განადგურება; თეიმურაზის აყვანა ტახტზე; შინაურ მოღალატეთა და ერანის მომხრეთა დასჯა; სააკაძის გადასვლა მესხეთში, იქ ერანელთა განდევნა სამცხეს-საათაბაგოს ციხეებიდან, ერანელთა ახალი თავდასხმა, სააკაძის მგზავრობა დიპლომატური მიზნით იმერეთსა და სამეგრელოში, ქართლში გადმოსვლა, უშედეგო ცდა

თბილისის ალებისა, აჯანყებული ოსეთის გატეხა. დალესტანზე მიხ-
ლომა, სააკაძის განდიდებით მეფის წყენა.

მეფემან პირად არ ბრძანა, გულშიგან შექნა წყენანი:
როდესაც არის, იქნების ამის სისხლისა დენანი!
მე მეფე—ამას სახელი, ხვანთქართან თავის ჩენანი,ქ
ქართველთა ასრე დახვევა, ზოგთ ზავითი შესაშენანი!

შემდეგ ავტორის მიერ ნაამბობია:

მაბეზლარ ამხანაგთა ლალატი და მეფის გარდაკიდება, ზურაბის
ჩამოშორება, მოურავის მეგობრობის მიერ თეიმურაზის მხარის და-
ქერა; სააკაძის მიერ იმედის გადაწყვეტა მეფესთან შერიგებისა და
მისი მტკიცე გადაწყვეტილება მეფესთან ხმლით შებრძოლებისა:

შუა ნულარავინ ჩამოვა, აღარ მოჰხდების ზავი!

ამის შემდეგ ბაზალეთის სამოქალაქო ომი, მოურავის დაწარცხე-
ბა და წასვლა სტამბოლში ხონთქართან. ოსმალეთში სააკაძის გმი-
რული საქმეები, სოხასტას ალება და იქ ხონთქრის ვეზირისაგან შუ-
რის ნიადაგზე ლალატით სიკვდილი სააკაძისა და მისი ამხანაგებისა.

ასეთი მღელვარება გიორგი სააკაძის ისტორია, რომლის ეპიგრა-
ფად გამოდგება სიტყვები, პოემაში რომ ათქმევიანებს ტფილელი:

ამა სოფელმან მამრძოლა აღმოსვლით დასაეღეთამდი,
ბაბილოვანს და სამხრეთსა ბრძოლილ მყო ხმლისა კვეთამდი:
ჩრდილოთ ლეკთა და ოსეთსა, კიდით სულ ჩერქეზეთამდი.
ლხინიე მამცა და წუხილი, ურვა და სევდა კენესამდი.

ყანდაარს ბრძოლა და ბაღდადს, მე ვინ მიწურვა მისრისა,
სტამბოლს ხანისა დაყოფა, ნახვა, გაშინჯვა მისრისა.
არაბისტინისა კაბუკნი მაჯამან ჩემმან მისრისა;
აწვა სევდისა ლახვარი გულსა მიწყლულებს, მისრისა!

„დიდმოურავიანი“ დაწერილია რუსთველური¹ შაირით. იგი შეი-
ცავს 11 კარს და 484 ტაეპს.

„დიდმოურავიანის“ ხელნაწერისათვის

ჩვენამდის¹, „დიდმოურავიანი“ ორჯერ დაიბეჭდა: 1851 წელს
გამოსცა პლატონ იოსელიანმა („დიდი მოურავიანი“ თქმული სააკა-
ძის ძის იოსებ ტფილელისაგან, დამატებით სხუათაცა, მისთა თხზუ-
ლებათა, დაბეჭდილი ქ. თფილისს, 1851), გამოცემას წინ უძ-

¹ იგულისხმება ჩვენი გამოცემა: სახელგამი, 1939.

ღვის მცირე წინასიტყვაობა (1—4 გვ.) და ბოლოს დართული აქვს „ანბანთა ქება თქმული ბაბათა-შვილის იოსებ ტფილელის მიერ“ და იოსების ცნობილი გამოცანა იაკობ შემოქმედელისადმი მიმართული.

1897 წელს „დიდმოურავიანი“ გამოსცეს ი. იმედაშვილმა და სპ. ჰელიძემ. პოემას დართული აქვს სპ. ჰელიძის წინასიტყვაობა. (1—18).

ნაბეჭდის გარდა, საკმაო რიცხვი ხელნაწერებისა დაცულია საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, რამდენიმე ცალი კერძო ოჯახებში ინახება. ამ ხელნაწერთა დიდი უმეტესობა XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და უფრო კი XIX საუკუნისაა. „დიდმოურავიანის“ ხელნაწერებიდან გამოსაცემად ჩვენ ავირჩიეთ მხოლოდ ერთი ხელნაწერი — წერაკითხვისეული მუზ., № 15.

პალეოგრაფიულად იგი ყველა არსებულ ხელნაწერზე უძველესია. XVII საუკუნისაა, ანტიომ დავებუდეთ ეს ხელნაწერი უცვლელად.

„დიდმოურავიანის“ ზემოხსენებული ხელნაწერები, ჩვენი ტექსტის გარდა, გადამწერლების მიერ საშინლად შერყენილია, ტექსტში სიტყვები და ფრაზები მრავალგან გადამახინჯებულია, თუმცა სტროფული მოცულობა კი ყველგან ერთი და იგივეა. საინტერესო ხელნაწერია ამ მხრივ ხელნაწერი 101 ბ (გვ. 65—113), რომელიც ავტოგრაფიდან მომდინარეობს როგორც თავსათური გვამცნობს, „ქ: წიგნი და ქება დიდის მოურავის გიორგის, თქმული ლექსად ტფილელის იოსებისაგან. ღმერთო, წარმართე ქმნული ხელთა ჩემთანი და ხელი მოუმართე მწერალსა“. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ხელნაწერის დედანი უნაკლო უნდა ყოფილიყო, იგი სავსეა შეცდომებით, გადამახინჯებებით (გადაწერილია XIX ს. დამდეგს ნინო ზედგინიძის მიერ).

არც პლ. იოსელიანს და არც იმედაშვილ-ჰელიძეს ჩვენი ხელნაწერი ხელთ არ ჰქონიათ და შერყენილ ხელნაწერებს დაყრდნობიან. თვით პირველი გამომცემელი პლ. იოსელიანი დასძენს: „ესე დიდმოურავიანი დავებუდეთ უმეტნაკლებოდ იმა დედანზე, რომელიცა ვჰპოვე გადამწერილი კარგისა და გარკვეულის ჯელით თელავის სემინარიის რექტორის დავით ალექსიევისაგან მისართმევად თავადის სტატსკის სოვეტნიკის გიორგი ეგნატის-ძის თუმანოვისა, წელსა 1823-სა“ (გვ. 3).

უფრო შერყენილი ტექსტი ჰქონიათ იმედაშვილ-ჰელიძეს. ეს იმ რამდენიმე მაგალითიდანაც კი ჩანს, რომელთაც აქ აღუნიშნავთ ჩვენს ტექსტთან შედარებით:

იმედაშვილ-ქელიძის გამოცემა:

იქიდან კაცი ჩავგზავნე დიდის გზის შემტყობარია 130,1.

ბატონის შვილმან გიბრძანა, ვინ არს მუხანათ თავია 152,2.

ბრძანა: ნუ მოჰკლავთ ჯამუშსა მის კაცსა მიუბარეთა! 174,1.

იარაღს თავსა დავადგე მუხარად პირაკეცილი 197,1.

ნახშირის გორით მოვიდა ცხენისა გამომცემელი 248,2.

ახლა მგონი მუხრანს გაძღვეს, შეიშურებს მთას და გზებსა 290,3.

მშვიდობით, თვისნო, მოყვანო, გამოგესალმობთ საღმობით 333,1.

მით მიყვარდა, ბევრჯელ შეეჭენ.

კაცი შუა განაკვეთი! 313,2.

თავს ვეტყვადი, ქართლისათვის მოკვიდი, წიგნიც აწამება! 315,1.

ძმას და შვილსა თვით ხედივდეს, მისთვის მსომობდეს ორსავკაცსა! 384,2.

დავით სიტყვა გაუთავე, გულსა ჩემსა „ვაშა“ „ვაშე“! 453,3.

ჩვენს ტექსტს:

იქიდან კაცი ჩავგზავნე ხიდის გზის შემტყობარია 129,1.

ბატონიშვილმან გიბრძანა, ვინ არის მუხრანთ თავია? 152,2.

ბძანა, ნუ მოჰკლავთ ჯამუშსა მის კაცსა მიუბარეთა! 174,1.

იარაღს თავსა დავადგე. მეხარად პირაკეცილი 197,1.

ნახშირის გორით მოვიდა, ცხენისა გამომცემელი 248,2.

ახლა მგონი მუხრანს გაძღვეს შეიშურებს მთას და გზებსა! 290,3.

მშვიდობით, თვისნო, მოყვებო, გამოგესალმო საღამით! 333,1.

მით მიყვარდა, ბევრჯელ შეეჭმენ

მტერი შუა განაკვეთი! 313,2.

თავს ვეტყვადი ქართლისათვის მოკვიდი, წიგნიცა წამება 315,1.

ძმას და შვილსა თვით ხედივდეს, მისთვის მსომობდეს ორსავმკვდარსა 385,2.

დავის სიტყვა გაუთავე, გულსა ჩემსა „ვაშა“, „ვაშე“! 453,3.

ასეთი შეცდომა ბევრია როგორც ნაბეჭდში, ისე ხელნაწერებში; ზოგან სიტყვანაკლებულობაა. ზოგან მთელი სტრიქონებია გამოტოვებული. ცხადია, ასეთი დამახინჯებანი აბნელებენ პოემის აზრს და მკვლევარი და მკითხველი ადვილად შეუძლიათ შეცდომაში შეიყვანონ. მაგ., ერთი სიტყვა „ჯამუში“ სხვა ხელნაწერებში და ნაბეჭდ გამოცემებში დღემდე ხმარებულ „ჯამუშის“ ნაცვლად რამდენად ცვლის აზრს!

რაც შეეხება ჩვენი ტექსტის ხელნაწერს, იგი თავის დროს მოკლედ აღწერა ე. თაყაიშვილმა (Описание рукописей, т. I, № 1—4, გვ. 120-121.). ხელნაწერი 28×20 სანტიმ. დაწერილია მეჩვიდმეტე საუკუნის კარგი, მრგლოვანი ხელით. ყოველი ტაეპის დასაწყისი გადაწერილია წითელი სინგურით. გადაწერის ვინაობა არ ჩანს. ხელნაწერი შეიცავს 123 გვერდს ანუ კაბადონს. ყდაზე დარჩენილი წარწერა გვამცნობს, რომ ხელნაწერი თავის დროზე საქართველოდან გაუტანიათ და შემდეგ ასტრახანში შეუქმნია ცნობილ ქართველ მთარგმნელს და მოგზაურს გიორგი ავალიშვილს. აი ეს მინაწერიც:

„ქნიაზ იაგორ ავალის-შვილისა ვარ. ასტრახანს ნაყიდი ხუთ აბაზად შეუკრავი და შესაკრავათ მისცა სამი აბაზი“.

ცნობილია, რომ ქ. ასტრახანში ერთი მთავარი პუნქტი იყო რუსეთში გზად მიმავალ ემიგრანტებისა, რომელთა რიცხვი XVII და XVIII საუკუნეებში მეტად დიდი იყო. ამ გადახვეწილთა შორის არა ერთი მწერალი და მწიგნობარიც ითვლებოდა, და ხსენებული ხელნაწერი ალბათ მათ მიერ იყო საქართველოდან გატანილი. ჩვენ ვიცით, რომ ასტრახანში ცხოვრობდნენ მეფე პოეტები— არჩილი (1682 წლ. 2 სექტემბრიდან 1685 წლ. შემოდგომამდის), რომლისადმიც მიმართულია პოემა და ვისი ბრძანებითაც დაიწერა „დიდმოურავიანი“; ვახტანგ VI, რომელიც ასტრახანშივე მიიცივალა 1737 წელს, და შესაძლოა ჩვენი ხელნაწერი ერთ-ერთი მათგანის ბიბლიოთეკის საკუთრებას შეადგენდა კიდევ, ასეა თუ ისე, ხელნაწერი შემდეგ ისევ დაბრუნებულია საქართველოში და მით დალუპვას გადაარჩენილა.

საყურადღებოა ერთი გარემოება. ამ უძველეს ხელნაწერში, ასევე დედანზე გადაწერილი ეს № 101-ში პოემა ცალკე თავებად არ არის დაყოფილი და არც ცალკე სათაურები აქვს, როგორც ეს სხვა ხელნაწერებში და ნაბეჭდ გამოცემებში გვხვდება. მაშასადამე, სათაურები ავტორს იოსებ ტფილელს არ ჰკუთვნებია.

ეს მომენტი იმით არის საყურადღებო, რომ „დიდმოურავიანის“ ცალკეული თავების სათაურების დღემდე ტფილელისათვის მიკუთვნებულს ემყარებოდნენ, როგორც ტფილელის საარწმუნო ისტორიულ ცნობებს გიორგი სააკაძეზე და მით შეცდომაში შედიოდნენ, ერთ ხელნაწერში (S—1538) დატულია სათაურების ავტორის სახელიც. იგი ყოფილა ვინმე კალიგრაფი, „მჩხაბავი თომა“, რომელსაც დიდმოურავიანი გადაუწერია მცხეთაში, 1765 წელს. მაშასადამე, დიდმოურავიანის ტექსტის თავებად დაყოფა და მათი დასათაურება XVIII ს-ნის მეორე ნახევარს ეკუთვნის.

საყურადღებოა, რომ რედაქტორი თომა პოემის ზოგ ამბავში თვითაც ვერ ერკვევა. მაგ., მას შეცდომით ჰგონია, რომ პოემაში დიდი მოურავი ესაუბრება სვიმონ მეფეს და არა თეიმურაზს: „ამას ყუელას მეფეს სვიმონს ეუბნება, მოურავს ლუარსაბის სისხლს აღებენ და ამისათვის ეს ყუელა მოახსენა“. ასეა მეორე შემთხვევაშიც: პოემაში ნათლად ჩანს, რომ 1609 წ. თათარხანთან ბრძოლა „სურამის ბოლოს“ მომხდარა, რომ ომის ასპარეზი სურამის ბოლოსა და კორტანეთს შორის მოქცეული ტერიტორიაა—ტაშისკარი, ხოლო მესათაურე კი შენიშნავს: „ეს არ ვიცოდი, სად შებმულან, შემინდევით მამანო“.

ამ გადამწერლებსვე ეკუთვნის მე-9 კარის სათაურში ცნობა, თითქოს მოურავმა ყაენს ურჩია ლუარსაბ მეფის სიკვდილი „სანამ ლუარსაბ მეფე ცოცხალია, ქართლი არ დასწყნარდებაო“ და „ამაზედ თავი მოსპირეს ლუარსაბს“, „წინ სუფრაზე თავი დაიდგაო და ასრე ბრძანაო: მე გთხოვდი დას, მე კი არ მომეც და თეიმურაზს მიეცო და ამ საქმეზედ ლუარსაბ მეფის მესისხლობა მოურავს დასწამესო“. ეს ბრალდება სრულიად ეწინააღმდეგება „დიდმოურავიანის“ ტონსა და შინაარსს. პოემა გიორგი სააკაძის გმირობის და ღვაწლის პროპაგანდას შეიცავს, მისი პიროვნების სრულიად გამართლებას ქვეყნისა და მეფის წინაშე:

— მე მეფეთა ორგულება არა მთქმია არვისაგან!..

— ეგრე თქმულა, ზეცასა რბის, მეფეთათვის ვინცა კვდება!..

მესათაურე კი კონკრეტულ ბრალდებას უყენებს: ლუარსაბ მეფის მესისხლეობას. ანტონ ფურცელაძე ამ ცნობების შესახებ ტყუილად კი არ შენიშნავდა: „ეს არამც თუ ამ თავს და მთელს „დიდმოურავიანს“, მთელს ისტორიულს ფაქტებს ეწინააღმდეგება“. და შემდეგ კითხულობდა: „მაშ საიდან შესდგა ეს სათაური ამ თავისა, სათაური, რომელიც ვერც ერთს ხელნაწერში ვერ ვიპოვეო“ და თან დასძენს: „ეს სიტყვები არის მოყვანილი პარიჟის ბიბლიოთეკის ხელნაწერს „ქართლის ცხოვრებაშიო“; „ამ წიგნიდამ აქვს აღებული დავით რექტორს, თუ ეხლა რაიმე წიგნიდამ აულია ან თვით შეუთხზავს, ძნელია სათქმელადო“. ¹

ახლა ჩვენთვის ცხადია, რომ ხსენებულ სათაურებს ჩვენს პოემასთან არავითარი კავშირი არა აქვს; იგი შემდეგ დროში მოუტმანებიათ რედაქტორ-გადამწერლებს და აქედან გადასულა პლ. იოსელიანის და ქელიძის ნაბეჭდ გამოცემებშიც.

საყურადღებოა, რომ დიდმოურავიანის მესათაურე-რედაქტორები უმთავრესად გიორგი სააკაძის მომხრეთა ბანაკის ხალხია და სათაურებში ისინი სააკაძის ოპოზიციონერთა საგულისხმოდ ხაზგასმით აღნიშნავენ დიდი მოურავის სიმართლეს, სიდიადეს და მის დამსახურებას საქართველოს წინაშე. მოგვყავს ერთი მათგანის ანოტაცია:

„ამბავი გალექსით გარდათარგმნილი დიდის მოურავის გიორგის ძისა შაუშისა, რომელი იყო ტფილისისა, ქცხინვალისა და კავკასიის მთისა დვალეთისა.“ ² მოურავი,—კაცი ძლიერი, სახელოვანი, ჰაეროვანი და ომის ფრიალ შემმართებელი, რომელიცა დაშვრა დიდითა

¹ ანტ. ფურცელაძე, „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“. გვ. 48—50. სქოლიო (1911 წ. გამოც.).

² სწერია: „მ და ვ ლ ე თ ი ს ა“.

შრომითა საქართველოსა ზედა ქართლსა და კახეთსა, რომელ-მანცა მრავალ გზის განათავისუფლნა საქართველო ყიზილბაშისა მეორისა (sic) შაჰ-აბაზისაგან აოხრებასა და იყო მთავარი ქართლის სამეფოს შინა მდიდარი ფრიად“ (იხ. 4699 ხელნაწერი, გვ. 1) ¹

მოგვყავს სამი ხელნაწერიდან „ქარების“ სათაურები:

ქარი მეორე. მოურავისაგან თვისის ნამსახურისა და ვალდებულობის შეთვლა კელმწიფესთან. ნახეთ სიკეთე და კარ კაცობა მოურავისა (გვ. 182).

ქარი მესამე. აქა რჩევა დიდის მოურავისა, ნუგზარ ერისთავისა, დელუმამადისა და მათთა სპათა ვეზირობა და გამორჩევა, თუ რას გზით მიუკდეთო. ასრე უნდა გამორჩევა. კარი გვ. (186).

ქარი მეოთხე. შებმა მოურავისა და თათარხანისა და გამარჯვება მოურავისა. გაქცევა თათარხანისა: კარი ღ: ეს არ ვიცოდი, საღ შებმულან. შემინდევით მამანო! (გვ. 187).

ქარი მეხუთე. მოურავისაგან მეფის დაპატიჟება ნოსტეს და მეჯლიში. მეფისაგან მოურავის დის ნახვა და თხოვნა მოურავისაგან. დაურჩება და მოციქულის მიგზავნა მეფესთან და მეფის დედასთან. მეფისაგან ფიცის მიცემა და შერთვა მოურავის დისა და ქვათახევეს ქორწილი. ნახეთ, ავი ენა როგორ გაჰყარის ამ საყუარელთა, როგორც რუსთველი ბრძანებს: „ავ სასმენელის მოსმენა არს უმეავესი წმახისა!“ (გვ. 189).

ქარი მეექვსე. მეორედ მოჰყვა მოურავი თავის საჩივარსა. კარი ვ: მობეზლართ ენით, რომ სიკუდილი გაუპირა მოურავსა, როგორც თვითონ ბრძანებს: „ამისთანა კაი ყმა ვითარ არსო პატრონისაგან სასიკუდილოდ აღვილად გამოსამეტიო“. მაგრამ ავი ენა ასრეთი არისო, თვისსა ბედსა უჩვენებს: და შეტყობა მოურავისაგან თავისის სიკვდილისა და გამოპარვა და მაისში წყალში გასვლა ცოლ-შვილით. მცხეთას ლოცვა და ნუგზართან მისვლა. მსმენელო, ყური მიუბყარით! (გვ. 192).

ქარი ზ: მოურავისაგან ყაენთან წასულა ცოლ-შვილითა და ყურყუთას ფონზედ კოლოტაურის მიბნედა! თუ გიყი არ იყო, მოურავს როგორ დაიქირებდა? (გვ. 198).

ქარი თ: მონღომა შაჰ-აბაზისაგან ქართლის აოხრებისა, რომ მოურავი გამოგზავნა და ყარჩიხან და დიდის ჯარით გამოატანა და ზურაბ და მოურავმა ერთმანეთს პირი მისცეს და წამოვიდეს მცირეს საქართველოზედა. ურჩივეს შაბაბსს, მოურავი მოკალიო!

¹ ამ წარწერას იმეორებს 612 ხელნაწერიც.

დაუჯერა და შათირი გამოგზავნა. და წაგნისა მოურავისაგან ნახვა და დაჰერა მალვით; ქართველთ ჯარისა და დაბარება და მოურავისაგან ყარჩიხანისა და მისთა სპათა დაკოცა და იზაფე დღესა, აჟ, მცხეთასთან, რომ ახალციხე არის, ისიც თათართა ეჰირა, იმისი დაგდება და ქალაქს იერიში და კახეთს ჯარის დაკოცა. როგორაც თვითონ ბრძანა: ოთხი საქმე ერთს დღეს ვქენიო, თქვენც ნახეთ „იშიაო!“ თუ არ „იშია“ ვითამცა და საქმე არისო და კელმწიფის სამსახურიო, თუ არაო?

ამას ყუელას მეფეს სვიმონს ეუბნება. მოურავს ლუარსაბის სისხლს ადებენ და ანისთვის ეს ყველა მოახსენა. და ახლა კიდევ სხვას საჩივარს და დავის სიმართლეს მოსთულის. მსმენელთ გესწოდესთ. მაგრამ მოურავს ანის მეტი არ დაუშავებია რა, ერთხელ ეს უთხრა ყაენს, დაჰერილი რომ ჰყუანდა ასტარაბადს: მანამდი ლუარსაბ ზეფე ცოცხალიაო, მანამდი ქართლი არ დასწყნარდებაო. ზოგმა კიდევ სხვა უთხრა და ამაზედ თავი მოსპრეს ლუარსაბს, ვითაც ზემოთ დაგვიწერია, წინ სუფრაზედ დაიდვაო და ასრე ბრძანაო: „მე გთხოვდი დას“. მე კი არ მომეც და თეიმურაზს მიეციო და ამ საქმეზედ ლუარსაბ მეფის ნესისხლეობა ზოურავს დასწამეს (გვ. 222).

კ ა რ ი: ი: წასვლა ზოურავისაგან ხვანთქართაგან, რაც ქართველთ კელწიფეთათვის გარდაეკადა, იმ საჩივრებს მოჰყუა და ყველა მეფეს სვიმონს უამბო და რა რომ შერიგება აღარ იქნა, ერთმანეთს ემდუროდენ და ერთმანეთს გული ველარ შეაჯერეს, ვითაც რუსთველი იტყვის: „ვის ძალუც შეკურა გორლითა თივისა მთელისაო.. აგრეთვე კაცის გულიაო, თუ კაცი კაცს არას უჯერს და არ მისდევსო, როგორც ის არ შეიკურისო, ისევ ამფერი კაცნი ვერ შერიგდებიანო!“ წავიდა ხვანთქართან და რაც გარდაეკადა, იმისი მოთულა და ხონთქრის სანსახური ყუელას ანდერძად მბობა. კურთხეულმც არს ცხოვრება მისი“.

სათაურები წერა-კიჷხვისეული № 123 ხელნაწერისა

(ხელნაწერი XVIII-XIX ს. ს., უთავბოლო, მეტად დაზიანებული)

(აქა) მოურავისაგან თავისის ნაშსახურისა და ვალდებულობის შეთ (ულა ჰელწიფესთ)ან. ნახეთ სიკეთე და კარგ კაცობა მოურავისა.

კ ა რ ი: მ: ყეენისაგან ყანდარს წასვლა, და ინდოთ შებმა. მოურავის გამარჯვება და მასუქან ბალდადის ციხის აღება და მოურავის ძმის სიკვდილი, მასუქან, ქქს ტიშ წამოსვლა შაჰბაას ყაენის.

ქართლსა და კახეთსა ზედა. მობეზლართ ენით უწინ კახეთს მივი-
და და დიდმან თეიმურაზ² თავისი დედა ქეთევან დედოფალი და
თვისი და ელენე და თავისი ორი შვილი ლეონ და ალექსანდრე
და სხვა მრავალი ფეშქაში და სახვეწარი წიგნები მიაგება. ყაენმან
ერთგულობაში ჩამოართო და უნდა დაბრუნებულყო, მაგრამ ბევ-
რი მობეზლარი ჰყვანდათ ქართლის მეფეს. და კახთ ბატონსა და
აღარ დააბრუნეს. ქარ[თლი ინა] დირეო, თუ ვინმე მებრძოლოს,
პასუხის მიმცემი ჩვენ ვიყუნეთო..

ქ: ოხრება და წახდენა ქართლისა ლუარსაბ მეფისაგან, იმერთს
გარდასვლა და სარუ ხოჯას და შადიმანის სიტყვით მოტყუება და
ლუარსაბის ჩამოყვანა და ყენისაგან თან წაყვანა. და მასუკან თა-
ვი სუფრაზე დაიდვა ურჯულომან შაჰაბაზ: მე კი არ მომეც უმჯო-
ბესი დაო და თეიმურაზს მიეცო!“

ქ: კ ა რ ი მ ე ხ უ თ ე. მოურავისაგან მეფის დაპატიჟება ნოსტეს
(და მეჯლიში) და მეფისაგან მოურავის დის ნახვა და თხოვნა და
მოურავისაგან დაურჩ(ება და მო)ციქულის მიგზავნა მეფესთან და
მეფის დედასთან და მერმე მეფისა(გან ფიცის მი)ცემა და შერთვა
მოურავის დისა და ქვათავევს ქორწილი. ნახეთ (ავი ენა. რო) გორ
გაჰყრის ამ საყვარელთა, როგორც რუსთველი ბრძანებს: „ავის სას-
მენელ(ისა) მოსმენა არს უმეავესი ჳმახისაო!“

ქ. მეორედ მოჰყვა მოურავი თესსა საჩივარსა, მობეზლართა
ენით რომ სიკუდილი დაუპირა მოურავსა მეფემან, როგორც თვითან
ბრძანებს იმისთანა კაი ყმა ვითარ არსო პატრონისაგან სასიკუდი-
ლოდ გამოსამეტო? მაგრა ავი ენა—ასეთი არის თვისსა ბედსა
უჩვენებს:

ქ. კ ა რ ი ვ. შეტყობა მოურავისაგან თავისის სიკუდილისა და გა-
მოპარვა და მაისში მტკვარს გასვლა ცოლ-შვილით.

მცხეთას ლოცვა.

სათაურები ნერა-კითხვისეული № 4699 ხელნაწერისა

(გადაწერილია 1854 წ. იოანე ბესარიონის ძის ხიმშივეის მიერ. ამ ხელნაწერის
გადანაღები პირია 612 ხელნაწერი).

. ამბავი გალექსით გარდათარგმნილი დიდის მოურავის გიორგის
ძის ძისა შუაშისა, რომელი იყო ტფილისის, ქცხინუალისა და კავ-
კასიის მთისა მდავლეთისა მოურავი კაცი ძლიერი, სახელოვანი,
ჰაეროვანი და ომის ფრიად შემმართებელი, რომელიცა დაშვრა
დიდითა შრომითა საქართველოს ზედა ქართლსა და კახეთსა, რო-

მელმანცა მრავალ გზის განათავისუფლნა საქართველო ყიზილბაშისა მეორისა შაჰაბაზისაგან აოხრებასა და იყო მთავარი ქართლის სამეფოსა შინა მდიდარი ფდ (გვ. 1).

აქა მოურავისაგან მეფესთან მოციქულების მიგზავნა, ავალის-შვილი დომენტი და სხუნანი დარბაისელნი (გვ. 3).

აქა მოურავისაგან მეორედ მოციქულობის წარგზავნა მუნვე, ქრცხინულსა შინა (გვ. 4).

აქა მოურავისაგან თავის ნამსახურობისა და ერთგულობის შეთვლა მეფესთან. ნახეთ სიკეთე და კარგ კაცობა მოურავისა (გვ. 5).

აქა რჩევა ქართველთ დარბაისელთა და რჩევა დიდის მოურავისა, ნუგზარისა დელუმაჰმადისა და მათთა სპათა ვეზირთა და გამორჩევა თუ რა გზით უნდა მიუხდეთ! (გვ. 8).

აქა განსაკუთრებით გიორგი მოურავისა განრჩევა (გვ. 9).

აქა მოურავისაგან მეორედ შებმა თათარხანისა და გამარჯვება დიდი სურამის ბოლოს (გვ. 10).

აქა მოურავისაგან ლუარსაბ მეფის დაპატიებება ნოსტესა შინა. მუნ დიდი განცხრომა, შვება და ლხინი. ლუარსაბ მეფისაგან მოურავის დის ნახვა, მეფისაგან მოწონება და თხოვნა მოურავის დისა და მოურავისაგან დიდი უარი ყოფა, მეფესთან და დედოფალთან ხევწნა და მეფისაგან განრისხება და შემდეგ მოურავისაგან ნების დართუა და მეფისაგან საფიცრის წიგნის მიცემა და წასვლა მეფისა ქალითურთ ქუაბათა ხევს ქორწინება და რაიცა მოხდა შემდგომად იცნობების წამკითხველთაგან (გვ. 12).

აქა განმეორებით მოჰყვა მოურავი თავის საჩივარსა მობეზლართა ენით ლალატით სიკუდილით დაუპირეს, როგორათაც თვთ ბრძანებს. ამისთანა კარგი ყმა ვითარ არსო გასამეტი პატრონისაგან სასიკუდილოდ შეტყობა მოურავისაგან და წამოსვლა დილისა ოდენ ჟამსა (გვ. 15).

კარი მე შვიდე. მოურავისაგან ყენთან წარსვლა და ყურყუთას ფონზედ კალოტაურის მიბნედა (გვ. 19).

აქა კარი მერვე. ყენისაგან ყანდარს წარსვლა და გიორგი მოურავისაც თან წაყუანა და ინდოთ შებმა და მოურავისაგან დიდი გამოჩენა და გამარჯვება და შემდგომ ბაღდადს წარსვლა და მოურავის ძმის ქაიხოსროს თან წაყუანა. და ბაღდადის ციხეზედ მისვლა და აღება და ქაიხოსროსაგან ძლიერად გამარჯუება და მუნვე სიკუდილი და შემდგომ (ტიპ) წამოსვლა შაჰაბაზისაგან ქართლსა და კახეთსა მობეზლართა ენით; პირუტყელ კახეთს მოვიდა და დიდმან თეიმურაზ მეფემან თავის დედა ქეთევან დედოფალი და თავის და ელენე, ძენნი ლევან და ალექსანდრე და სხვანნიცა დი-

დებულნი და ძვირფასნი ფეშქაშნი და სახვეწარი წიგნი მიაგება და ყაენმა ერთგულობაში ჩამოართვა და უნდა დაბრუნებულყო, მაგრამ ბევრი მობეზლარი ჰყუნდა ქართლსა და კახთ. ბატონებსა და აღარ დააბრუნეს. ქართლი ინადირე, თუ ვინმე გებრძოლოს, პასუხის მომცემნი ჩუენ ვიყვნეთო. აოხრება და წახდენა ქართლისა და ლუარსაბ მეფის იმერეთს გადასვლა სარუხოჯასაგან და შადიმან ბარათას შვილის სიტყვით მოტყუება და ლუარსაბ მეფის გადმოყვანა და შაჰაბაზისაგან თან წაყვანა და შემდგომ მოკვლა. და თავი წინ დაიდვა: „მე კი არ მომეც შენ დაო და თეიმურაზს მიეციო!“ (გვ. 20—22).

აქა მოურავისა გ. ხოსრო მირზას გამოჩენა შაჰაბაზთანა და რომელიც იყო ეს ხოსრო მირზა მამით ბაგრატიონთაგანი და დედით თათრის ქალისაგან, რომელსაც შემდგომად ეწოდა როსტომ-მეფე და დაიპყრა ამავე ქართლი და კახეთი (გვ. 25).

აქა მონღომა შაჰაბაზისაგან ქართლის აოხრებისა, რომ მოურავი გაგზავნა და ყარჩიხან დიდის ჯარით გამოატანა მოურავმან და ზურაბ ერისთავმან. ერთმანეთს პირი მისცეს, და წამოვიდნენ მცირეს საქართველოსა ზედან და მაშინ ურჩიეს შაჰაბაზსა: მოურავი მოკალიო! შაჰაბაზისაგან ფარულად ქართუელთა ჯარის დაბარება. ყარჩიხანის ღალატი და სიკუდილი და მისთა სპათა დამარცხება და იმავეს დღესა ცხეთას ზევიდამ რომ ახალციხე არის, თათართ ექირათ იმის აღება და მუნ მყოფთ დაჯოცვა და ქალაქში იერიში ურდოზედ ჯარის აღტოცხვა და გამარჯვება როგორათც თვითონ ბრძანებს: ოთხი საქმე ერთის დღეს ვჰქმენიო! ამას ყოველს სვიმონ მეფეს მოახსენებს მოურავი, ლუარსაბ მეფის სიკუდილს რომ აღებენ ყოველივე მოახსენა და თავის საჩივარსა სიმართლესა და შრომასა და დიდსა ომებსა საქართველოსათვის. გამომეტებასა მოსთქუამს (გვ. 25-26).

აქა გორიდგან წასვლა მოურავისაგან ბირთვისის ციხის მოხლომა, ციხის აღება და ყიზილბაშთ მეციხოვნეების ხუთასის კაცის დაჯოცვა (გვ. 35).

აქა მოურავისაგან ზურაბ არაგვის ერისთავთან ფარვით კაცის გაგზავნა და გამოლაპარაკება თავის ცოლის ძმასთან (გვ. 38).

აქა ზურაბ ერისთავისაგან პასუხის მოსვლა (გვ. 39).

აქა წასვლა მოურავისაგან ხუანთქართან, რაც ქართველთ კელმ-წიფეთათვის გარდავედო და იმ საჩივრებს მოჰყუა და ყველა მეფე სვიმონ და უამბო და რა რომ შერიგება აღარ მოხდა, ერთმანეთს ემდუროდნენ და გული ველარ შეაჯერეს მივიდა ხუანთქართან და ყოველი თვისი გარემოებას ანდერძად მოთვლა და ჯვანთქრის სამსახური.

როგორც სათაურების განხილვამ დამარწმუნა, ფაქტიურად ისინი ერთ ავტორს ეკუთვნიან (რომელიმე რედაქტორ-გადაწერელს) და შემდეგ სხვა გადაწერლებს იგი პირდაპირ გაუმეორებია, ზოგს შეუმოკლებია, ზოგს კი უფრო განუვრცია.

რაც შეეხება „დიდმოურავიანის“ ტექსტს, ჩვენ დავბეჭდეთ იგი უცვლელად 15 ხელნაწერიდან. არ ვეხებით აგრეთვე ტფილელის სტილურ სისტემას. გავასწორეთ მხოლოდ კალმის შეცდომები:

„სიზმრის“—„რის“ (4/10), „თასა“—„თასსა“ (5/13) „ას“—„ასს“ (11/58), „დამართა“—„დამართა“ (13/70), „ხლმის“—„ხმლის“ (16/87), „ხლმით“ (29/180),—„შარმანწინანდელი“—„შარმასწინანდელი“ (16/83), „ფარეშთ ხუცეს“ (19/109), „წავეის“—„წავეისს“ (21/119), „გქონდა“—„გექონდა“-ს მაგიერ (21/125), „შეიტყვეს“—„შეიტყვეს“ მაგიერ (22/135), „წავედე“—„წავედე“-ს მაგიერ (23/141), „დამართა“—„დამართა“-ს ნაცვლად, „ყანდარს“ ნაცვლად „ყანდაარს“ (27/162), „წეს“—„გწვაეს“ (28/170), „ძვირფას“—„ძვირფასს“ (30/188), „ლომან“—„ლომმან“ (31/195) „ბევრჯველ“—„ბევრჯველ“ (36/243, 46/313), „ბირთვისა“—„ბირთვისსა“ (38/260), „ტბის“—„ტბისს“, „საბძოლოდ“—„საბძოლოდ“ (39/269), „გაუცვლდების“—„გაუცვილდების“ (40/277), „შემატებელი“—„შემმატებელი“ (41/286), „ჩემან“—„ჩემმან (43/298; 46/326, 54/393), „მაქეთსა“—„მაქებსა“ (45/217), „არიგება“—„გარიგება“ (47/336), „მფრინველთ“—„მფირნველთ“ (45/345), „ველია“—„ველია“ (50/361), „ძალუცვ“—„ძალუც“ (50/352), „დათერეს“—„დათერეს“ (52/380), „მასმა“—„მასმია“ (53/386), „მმართებს“—„მართებს“ (54/391, 62/460), „აერი“—„ჰაერი“ (61/454), „ნილოს“—„ნილოსს“ (62/459), „გააწყრობს“—„გაიწყრომოს“ (63/462), „მართებდა“—„მმართებდა“ (63/472), „გვართომან“—„გვართომმან“ (63/475) და სხვა.

ავტორის ბიოგრაფიისათვის

„დიდმოურავიანის“ ავტორობა, როგორც ძველადვე ცნობილია, იოსებ ტფილელს—საკაძის ეკუთვნის. სანწუხაროდ, მეტად მწირი ბიოგრაფიული ცნობები შემონახულა პოეტის შესახებ და ვერც ჩვენ ვუმატებთ ახალ რამ საყურადღებოს.

უპირველესად, ღღემდის გაურკვეველია მისი ბიოგრაფიის პირველი ნახევარი, როგორც მისი ნშობლების ვინაობა, მისი ყრობა და სიჭაბუქე და, ბოლოს, მისი ნათესაური დამოკიდებულების საკითხი დიდი მოურავის გიორგი სააკაძისადმი.

ტფილელის პირველი ბიოგრაფის პლატონ იოსელიანის (1809—1869) ცნობით, იოსები იყო „ძის ძე დიდი მოურავისა“, შვილი გიორგის ძის სიაუშისა (იხ. Жизнь Великого Моурავа, გვ. 84). ამ ცნობას იზიარებენ: დავით ჩუბინაშვილი (ივერია, 1885 წ.), ანტონ ფურცელაძე (ბრძოლა საქართველოს მოსასპობად... გვ. 422), ე. თაყაიშვილი (სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 87; Хроника Мпшт-ставского Епископата, გვ. 8), მოსე ჯანაშვილი (საქართველოს ისტორია, გვ. 347, 1897 წ.). პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილის სიტყვით, იოსები ყოფილა „ნათესავი მოურავის გიორგი სააკაძისა“, და თან დასძენს: „ამ პოემის ავტორი თავის თავს უწოდებს მოურავის ძის ძედ“ (ქართ. სიტყვიერების ისტორია, გვ. 509).

უნდა აღვნიშნოთ, რომ არსად იოსები არ ასახელებს თავს მოურავის შვილიშვილად, და ხახანაშვილის ცნობა გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს. მეორე ალაგას ხახანაშვილი ჩვენს ავტორს მოურავის „ჩამომავალს“ უწოდებს („გუჯრები“, გვ. 3). დასასრულ, 1854 წ. დიდმოურავიანის 4699 ხელნაწერის გადამწერი იოანე ხიმშიაშვილი იოსებს მოურავის „თვისივე ტომად“ ასახელებს („დასასრული დიდის მოურავისა ამბისა, ლექსად თქმული თვისივე ტომის იოსებ ტფილელის მიტროპოლიტისაგან“)¹.

ასე გამოურკვეველია ეს საკითხი, მით უმეტეს, არც ერთი მკვლევარი არაფითარ წყაროს არ გვისახელებს თავისი ცნობის დასამტკიცებლად. ვფიქრობთ, ზემოხსენებული მკვლევრები შეუ-მოწმებლად და გამოუკვლევად მხოლოდ პ. იოსელიანის ცნობას იმეორებენ.

საკითხის გასარკვევად, ისევ ავტორის ბიბლიოგრაფიულ ცნობას უნდა დავეუბრკვიოთ.

პოემის ეპილოგში ტფილელს ნათქვამი აქვს:

ნათესავ-მოდგამ-გვარ-ტომიან მისიან ეს ვიწყებ წერებად-ო.

მაშასადამე, პოემის ავტორი დიდი მოურავის ოჯახის ახლობელი წევრია, „ნათესავ-მოდგამ-გვარ-ტომი“. მაგრამ რომ უფრო დაწვრილებით გამოვიკვლიოთ პოეტის ვინაობა, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებს.

¹ სხვათა შორის, იოსებ ტფილელის გარდა, სააკაძეების გვარში ჩვენ ვიცნობთ ორ სხვა ეპისკოპოსს იოსების სახელით: 1) „კარისა წინამძღვარი“ „დმანელ ეპისკოპოსი სააკაძე იოსებ“ იხსენიება სვიმონ მეფის დროს, 1595 წლ. ქვეშ, ქრონიკები, 11, 428; 2) მანგლელის ეპისკოპოსი იოსებ სააკაძე, მოხსენებული 1719—1725 წლებში (Д. Пурцеладзе, Церковные гуджары, стр. 11, 12).

იოსებ ტფილელს ზოგ ხელნაწერში ბ ა ბ ა თ ა შ ე ვ ი ლ ი¹ ეწოდება (ბაბათაშვილი კი განშტოებაა სააკაძის გვარისა, ისევე როგორც ამავე გვარში—სააპიშვილი, ფრიდონიშვილი, ხოლო დიდმოურავის პირდაპირ ჩამომავლები—შვილები და შვილიშვილები მთელ რიგ საბუთებში „მოურავისშვილებად“ იწოდებიან), „ხოლო მოურავიშვილი არს სააკაძე და ზეფისაგან გამთავრებული...“ (ვახუშტი). ამის გამო უფლება გვეძლევა დავასკვნათ, რომ არც ბაბათაშვილები და კერძოდ არც იოსებ ტფილელი გიორგი სააკაძის პირდაპირ ჩამომავლები არ არიან, მაშასადამე, საეპეო უნდა იყოს ცნობა, თითქოს იოსები იყო „ძის ძე დიდის მოურავისა“. მაგრამ იმავე დროს, რაკი იოსები გიორგი სააკაძის „ნათესავ-მოდგამგვარ-ტომია“, ვფიქრობთ, იგი უნდა იყოს დიდი მოურავის ერთ-ერთი ძმის შვილი ანუ მოურავის ძმისწული².

ისტორიულ საბუთებში იხსენიება გიორგი სააკაძის მხოლოდ ერთი ძმა ქაიხოსრო, რომელიც 1614 წ. მოკლეს ქ. ბაღდადის ალემის დროს, როგორც შაჰ-აბაზის მოლაშქრე. შესაძლოა, იოსებ ტფილელი შეიღია ამ ქაიხოსროსი, რომელსაც ტფილელი იხსენიებს ორჯერ დიდმოურავიანში:

...ერთი კაცად კმარყო, რაც ნახე ჩემის ძმისანი...

ძმა მკვან და გულ სრულ, მამაცი, ხმის ამომღები, რიხისა,

მან ერთი კაცი საბრძოლად ადვილად არ შეიხისა,—

ის იქ მამიკლეს ომშიგან, კაცება შექმნეს თიხისა!

მაგრამ „დიდმოურავიანის“ მიხედვით, გიორგი სააკაძეს ჰყოლია შვიორე ძმაც, რომელიც უკვე იხსენიება ქაიხოსროს სიკვდილის შემ-

¹ ბაბათაშვილები—სააკაძეებთან ერთად იხსენიებიან მე-17-18 ს. ს. ისტორიულ საბუთებში. მაგ. 1703 წ. ერთ სიგელს ხელს აწერენ: სააკაძე ზურაბ, სააკაძე მერაბ, ბაბათაშვილი იესე (საქ. სიძე. II, 196). საბუთებიდანვე ჩანს, რომ ყმა და მამული მათი ჰქონიათ სოფ. ბობნავეში („ბაბათასი თარხანი ბობნავს“—14635; და რუისში—13659).

სხვათა შორის, როგორც ირკვევა, ბაბათაშვილების შტოს ეკუთვნოდა მე-18 ს. პირველი ნახევრის პოეტი-ემიგრანტი დემეტრე სააკაძე. [იგი სოფ. ბობნავიდან ყოფილა.

² საეპიტოხის გამოსარკვევად ცალკე ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენში ნაკლებად ცნობილ სიტყვას მო დ გ ა მ ს. „მოდგამი“ იგივე „მომდგომია“, რაც ნიშნავს—მონაწილეს, მოზიარეს. „მოდგამს“ აღმოსავლეთ საქართველოში გუთნის ამხანაგობის მოზიარეს უწოდებენ. სულხან-საბასაც ასე აქვს ეს სიტყვა განმარტებული: „მოდგამი-მეკომე. ჯილდის მოზიარე“. საგლეხო მეურნეობის ტერმინს „მოდგამს“ იცნობს XI საუკუნის ძეგლი—ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა: „ხოლო უკეთუ არა იმინოს, მიუწერათ ოთხთავე პატრიარქთა საყდრის მო დ გ ა მ ს თი ქ ჩუენთა...“ (გვ. 315). გახეუ „დროების“ კორესპონდენტი ზაქრო ბილანიშვილი თავის წერილში: „ჩვენებური გუთნის წესები“ აღნიშნავს, რომ ივრის ხეობაში (გარე-კახეთი) „გუთანი ეკუთვნის პატარა ამხანაგობას, შემდგარს გუთნის დედისა, ღამისა და დღის მეზრეებისა და კიდევ სხვა წევრებისა, ანუ როგორც გლე-

დგე. ასე, როცა დიდ მოურავთან მოვლენ მეხვაშიადენი საიდუმლოს გასამხელად, გაკვირვებული მოურავი ფიქრობს ამის გამო:

მეფე ხომ არას მიწერება არც მოყვრის, არც ძმისათვის 4,8.

ამ მეორე ძმის სახელი არც ერთ საბუთში არ იხსენიება, მაგრამ რაკი იოსები ბაბათაშვილობით იხსენიება და ბაბათაშვილი კი იოსებამდე არა ჩანს, ცხადია, ბაბათა უნდა რქვეოდა იოსების მამას ანუ გიორგი სააკაძის მეორე ძმას, რომელიც ისტორიაში არავითარი მოღვაწეობით არ არის ცნობილი.

პლ. იოსელიანის ცნობით, იოსების მამას ბაბათა რქმევია; თათრები ბაბათას უწოდებდნენ, როცა იგი საქართველოდან მოურავის გადახვეწის და სიკვდილის შემდეგ არზრუში ცხოვრობდაო. შესაძლოა ეს ცნობა ჰეშარიტებას არ იყოს მოკლებული. ბაბათურქულად ნიშნავს მამას, ხოლო გარკვეულ სიტყვასთან შეხამებით — პაპას, და შესაძლოა იოსების მამამ ღრმა მოხუცებამდის მიაღწია.

მაგრამ იოსებისაგან წოდებულ ბაბათას, იოსელიანის ცნობით, სიაოში რქმევია. რადგან სიაოში (სიაუში) იგივე შიოშია, მოურავის ძმას, გვარის ტრადიციით, თავისი მამის სახელი უტარებია. თუ ნამდვილია პლ. იოსელიანის ცნობა, მაშინ შესაძლოა იოსების მამად ვიგულისხმოთ ის ბაბა-შიოშ, რომელიც 1656 წ. იხსენიება ერთ საბუთში¹ (Hd 14657; საქ. სიძე. II, 83). ეპი არაა; „ბაბა-შიოშ“ უნდა შეიცავდეს ორივე სახელს — „ბაბას“ და „შიოშს“.²

ხები იტყვიან, „მოდგამებისაგანო“. („დროება“, № 74). შდრ. ხალხური ლექსი: „ქიღარაში თითონ იხნავს, მოდგურს უხნავს ავდარშია“: „იერია“, 1893, № 63. სულ ახლა ხანს, ერთპიროვნულ მეურნეობის დროაჲც, სოფელში გუთნისდედა მართავედა საგუთნო ამხანაგობას, რომელშიც ამხანაგებად შედიოდნენ: დღისა და ღამის მეხრეები. ამხანაგად შესულა გარეშე კაცსაც შექლო, თუკი ის ამხანაგობაში ხარებს შეიყვანდა. საგუთნო ამხანაგობის წყურება „ძოდგამებს“ ეძახდნენ. ისინი გუთნის დედის მოდგამები იყვენ, ხოლო გუთნისდედა ამხანაგობის მოთავე და მეთაური იყო.

მაშასადამე, რაკი ტფილელი თავის თავს დიდ მოურავის „მოდგამად“ ასახელებს ნათესავ-გვარ-ტომთან ერთად, ვფიქრობ, რომ იგი გულისხმობს თავს გიორგი სააკაძის ოჯახის მონაწილედ. სწორედ მოდგამობით, მომდგამობით და არაპირდაპირი ხაზით — შვილიშვილობით („მოდგამის“ მნიშვნელობისათვის იხ. აღრობაქიძის ნაშრომი: „მოდგამი:“ „მიომხიიველი“, II. ბ).

¹ ამ საბუთს სურადღება პირველად კ. კეკელიძემ მიაქცია. „ბაბა“, „ბაბა-ია“ კაცის სახელია დღესაც აღმოსავლეთ საქართველოში. საინჯილოშიაც ყოფილა სახელი „ივანბაბა“ (ი. მ. ჯანაშვილი, „ივანბაბა ბულულაშვილისათვის ძეგლის აღმართვის გამო“, 1914 წ.).

² სააკაძე შიოშ იხსენიება აგრეთვე 1643 წელს (საქ. სიძე. II, 68), 1656 წელს — სააკაძე ზურაბთან (5465) და ბეჟანთან (საქ. სიძე. II, 67); ხოლო 1661 წ. სააკაძესთან პაპუნასთან და დათუნასთან (50) და ბოლოს 1671 წ. (საქ. სიძე. I-368). თუმცა ძნელია თქმა — ამ საბუთებში მოხსენიებული შიოში ყველგან ერთი პირია თუ არა. 1656 წ. შიოში იხსენიება შერმახანის და გოდერძის მამად (საქ. სიძე. II 66).

ამრიგად, ჩვენი ძიებით, იოსებ ტფილელი ძმისწული უნდა ყოფილიყო დიდი მოურავის გიორგი სააკაძისა. 1626 წ. სააკაძე დამარცხდა ბაზალეთში და აქედან წიელი თავისი ოჯახით, ნათესავებით და თანამგრძობლებით გადაიხვეწა ოსმალეთში, რადგან ბაზალეთის ომის შედეგ წათ ქართლში აღარ ედგოებოდათ. ალბათ მასთან იქნებოდა ძნაც „შიომიც ანუ სიაუში თავისი შვილით, „დიდმოურავის“ მომავალი ავტორით, იოსებითურთ, რომელსაც ჯერ კიდევ ბავშვს (ტფილელის დაბადებამდე ჩვენ ვეძებთ 1620-იან წლებს) დიდებულ ბიძასთან ერთად უნდა გაეზიარებინა ემიგრაციის დღეები.

რაცდენი ხანი დაჰყვეს სააკაძეებმა ემიგრაციაში?

საკაძის თარხან იორაზისადნე ბოძებულ წყალობის სიგელში მეფე როსტომი ვრცლად გვიამბობს გადახვეწილი სააკაძეების დაბრუნებას ოსმალეთიდან. იგი მიმართავს იორამს, გიორგი სააკაძის შვილიშვილს: „ოდეს პაპა შენი გიორგი მოურავი საქართველოდამ გადავარდნილიყო, მაშინ რაც სამკვიდრო ან მეფეთაგან წყალობა მამული ჰქონებოდათ, სახასოთ დადებულყო და რომელიმე სხვათათვის ებოძებინათ და ჟანსა ნეფობისა ჩვენისასა მოურავის შვილები მოგიკითხეთ და შევიტყვევით, რომ არზრუნში ხონთქრის წყალობით სცხოვრებდით... ამისათვის ვიგულს მოდგინეთ და დიდის კელმწიფის შაჰ-აბაზის დაკითხვით თქვენავე სამკვიდროს მამულზე მოგიყვანეთ“. (Hd 13.955). როდის უნდა მომხდარიყო სააკაძეების დაბრუნება? მართალია, ზემოხსენებული სიგელი ბოძებულია 1652 წელს, მაგრამ ამაზე ადრეც, სახელდობრ, 1643 წელს, იორამი ჩანს საქართველოში, სადაც როსტომ მეფე წყალობის წიგნს ანიჭებს, როგორც ერთგულსა და წესისებრივ მრავალფერად თავდადებით ნამსახურს“ (Hd № 14478), და თუ, ერთი მხრით, ეს სიგელი ნაბოძებია 1643 წელს, ხოლო, მეორე მხრით, შაჰ-აბაზ II გამეფება, რომლის თანხმობითაც სააკაძეები დაბრუნდნენ, ეკუთვნის 1642 წელს, მაშინ ზედმიწევნით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოსების ოჯახის დაბრუნებაც ამა ხანს ეკუთვნის. მაშასადამე, საქართველოს გარეთ გადახვეწილ სააკაძეებს 13-14 წელიწადი დაუყვიათ.

არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება იოსების აღზრდის შესახებ, გარდა იმ ცნობისა, რომელსაც თვითვე გვაწვდის დიდმოურავიანის პროლოგში; იგი „რიტორთ კაცთა ზრდილი“ ყოფილა. ანტონ კათალიკოსი გადმოგვცემს, რომ იოსები დიდად განათლებული პიროვნება იყო: „აქებდეს მისსა სიბრძნის მოყუარებასაო“.

...გონება მისი ქვემდებარებდა
თავისუფალ ცნობათა, რომელთაც,
იოსებ კმადლა გამოცდილ იყო სრულად
პიტიკოსთა ხელოვნებათა მიმართ“.

ასეთივე აზრისაა იოსებზე მაშინდელი სასულიერო პოეტი იაკობ შემოქმედელი, რომელიც იოსებისადმი მიმართულ საპასუხო ლექსში ასე მოკძალებით მიმართავს:

თვით მცნობსა ცნობა გებრძანა, რას გკადრებ მე უცნობელი!¹

პლ. იოსელიანის ცნობით, იოსები სიყრმიდან აღიზარდა ქვათახევის მონასტერში, რომელიც სოფ. ნოსტედან 3-4 კილომეტრზე მდებარეობს. თუ ეს ცნობა ნამდვილია, მაშინ შეიძლება იოსების აღმზრდელთა შორის ვიგულისხმით ქვათახევის წინამძღვარი ნასიძე და „მცოდინე“ მღვდელი იოსებ კანდელაკი, რომელთაც თვით პოეტი იხსენიებს „დიდმოურავიანში“ (18, 99; 100). იოსელიანის ცნობითვე, იოსები ქვათახევიდან შემდგარა ბერად და შემდეგ იმერეთში წასულა. იქ, ნიკორწმინდის (რაჭაში) ეპისკოპოსად უკურთხებიან. მაგრამ რაჭაში დიდხანს არ დარჩენილა: „და გარდმოვიდა ქართლსა და თხოვითა მეფის როსტომისა და დედოფლისა მარია-მისა, რომელთაცა წარგზავნეს საათაბაგოს განზრახვითა მით, რათა ჰსდგეს მღვდელ მთავრად აწყურისა თურქთაგან გაუქმებულისა ეპარხიისა. მისრული ახალციხეს, კეთილად იქმნა შეწყნარებულ მის ფამის როსტომ ფაშისაგან ნათესავისავე თვისისა“; „ჰგონებდნენ თვი თცა და მეფეცა, რომელ ესრეთისა ნათესაობითისა დამოკიდებისა ძალითა განამტკიცებდა ქრისტიანებისა ნეშტთა სამესხეთოსა ქუეყანასა, გარნა ჰაზრი ესე დაშთა უნაყოფოდ; ფაშამან შერისხულმან მაჰმადიანთაგან დაითხოვა იგი მუნით და უკუმოიქცა თფილისსა. მაშინ მეფემან როსტომ უბოძა მას სამიტროპოლიტო კათედრა თფილისისა“ („იხ. „დიდმოურავიანი“, გვ. 2).

საიდან აქვს აღებული ეს ბიოგრაფიული ცნობები იოსელიანს, არ ვიცით, მაგრამ ამ ცნობებში ის ისტორიული შეუსაბამობაა: ა) როსტომ მეფე სრულიადაც არ იყო მზრუნველი ქრისტიანობისათვის და კერძოდ მისი დაცვის მებრძოლი მესხეთში. პირიქით, ის იყო ენერგიული მაჰმადიანი და სპარსეთში მაჰმადიანობაში აღზრდილი; ბ) თვით როსტომ ფაშაც, ვისაც იგი ვითომ შეეკედლა, მძვინვარე მაჰმადიანი იყო. მისი ფაშობის დროს მესხეთში „უმეტესადრე მოიხრდნენ ეკლესიანი დიდშენიერი და ივლტოდნიან, რომელთა არა ინებეს მაჰმადიანობა, ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს... მოისპოდნენ ეპისკოპოსნი, თუ სადღე იყო და მონოზანნი და მწყემსნი“ (ვახუშტი). მაგრამ მეს-

¹ „კალმასობის“ ავტორიც გადმოგვცემს, რომ იოსები იყო „საფილოსოფოსთა დაწერილთა შინაგამოცდილი“. უკანასკნელი თხზულება ანტონ I-ის „წყობილ-სიტყვაობის“ პერიფრაზს წარმოადგენს.

ხეთს რომ იოსები კარგად იცნობს, ეს ჩანს მისი პოეზიიდან. ასე. „დიდმოურავიანში“ ის ასახელებს ვესხეთის პუნქტებს (34, 227; 35, 232, 233; 36, 235; 36, 240, 36, 247), კარგად იცნობს მესხებს. აგვიწერს მათს ზნეობას: „მესხნი კარგ შესაყრელია; მათი სიტკბო და სიაბე სევდისა უკუყრელია, რომელიც გაწვევს სალხინოდ, ხელის ხელ ჩასაყრელია“. 35, 232; „მესხნი ყოფილან მოყვრისთვის თავისა გამსაჯარია“. 35, 233. ვფიქრობთ, რომ იოსები მესხეთში მართლაც იყო ნამყოფი იმ მიზეზით, რომ ფარად ფაშა—მესხეთის მმართველი, გიორგი სააკაძის სიძე იყო (მისი ქალი ჰყავდა ცოლად) და მისი დიდი ერთგული („ფარად ფაშა ხომ სიძედ მყვა, თავდადებ, ჩემთვის მკვდარია“ 35, 234). დიდმა მოურავმა ორჯერ შეაფარა თავი ფარად ფაშას და ბოლოს, ბაზალეთის დამარცხების შემდეგ „სამცხეში წავიდა“, სადაც ჰქონდა შენახული სალარო—„საქონელნი, ბარგნი“: აქვე გადაწყდა მისი წასვლა ოსმალეთში, ალბათ, იმავე ფარად ფაშის შუამავლობით, და ცოლ-შვილიც აქ დატოვა („ცოლ-შვილი სამცხეს დავაგდე, მოყვრები მიიბარევედეს“ 57, 415). შესაძლოა, ამ დროს ეკუთვნის იოსების (წაშინ ჯერ კიდევ ყრმის) ყოფნა სამცხეში. გადაჭრით მაინც არათფერი ვიცით იოსების ცხოვრების შესახებ; ვიდრე თბილისის მიტროპოლიტობამდე. მხოლოდ 1655 წელს ტატისშვილის მურვანის და თუხარელ პაპუნას და ლამეჭის გარიგების ერთ მოწმედ იხსენიება „სააკაძე იოსებ“ (19 Sd). ცხადია, ამ დროს იგი ქართლში ყოფილა.

როგორც გამოვარკვეით, იოსების დანიშნა თბილისის კათედრაზე 1659-1660 წლებს ეკუთვნის.

1659 წლის პირველი იანვრიდან ქართლში გაზეფდა ვახტანგ V (შაჰნავაზი). მან სახელმწიფო საპასუხისმგებლო პოსტებზე მოხელეებად თავისი ახლობლები და ნათესავეები დანიშნა. ასე, ქართლის საკათალიკოზო ტახტზე აიყვანა თავისი ბიძაშვილი დომენტი. ამავე ხანს თბილისის დაცლილ კათედრაზე (ცნობილი ელისე საგინაშვილის შემდეგ) თავისი ნათესავი იოსები დაუნიშნავს.

სიონის კათედრას იოსებ სააკაძე განაგებდა 1659-1660-1688 წლებში.

როგორც ირკვევა, იოსები ქართველი მმართველი წარმომადგენლის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ყოფილა. ის მეტად ახლო მდგარა სახელმწიფო საქმეებთან, როგორც განვითარებული და გონიერი ადამიანი.

უპირველესად ის შაჰნავაზის მწიგნობარი ყოფილა დიდი სახელმწიფო საქმეების წარმოების დროს. სხვათა შორის, იოსების მიერ შედგენილია და დაწერილი (1675 წლ. ივლისში) შაჰნავაზის ეპის-

ტოლე პაპის კლემენტე X-ისადმი¹. ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ ვახტანგ V — შაჰნავაზმა 1673 წ. თბილისში გზად მყოფ ფრანგ ნეგოციანტ შარდენს ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის საქმეებზე მოლაპარაკებისათვის მოციქულად თვით იოსებ ტფილელი მიუგზავნა. შარდენი გვიამბობს: „ტფილელი მოვიდა ჩემთან და მითხრა, მეფემ დამავალა გადმოგცეთო, რომ მან უკვე მოიფიქრა თქვენი წინადადება საფრანგეთის კამპანიასთან მიმწერისა სავაჭრო ურთიერთობისა და საქართველოზედ გზის მიცემის შესახებ, გადასწყვიტა კიდევ მისი შესრულება, მაგრამ თავისი გარდაწყვეტილების განხორციელება ახლა მას არ შეუძლიანო. იგი, როგორც ყანის (სპარსეთის მეფის) ვასალი, — შიშობს, ვაითუ ყანმა იწყინოს გარეშე მისი შეთანხებისა და დასტურისა საქმიანი კავშირის დაქერა უცხოელებთანო; ამჟამად იგი გთხოვთ, სრულიად უშეშრად აცნობოთ კამპანიას იმის შესახებ, რომ თუ იგი მოისურვებს ჩემს საბრძანებელში თავის წარმომადგენლების გამოგზავნას, ბევრს საქონელსაც იშოვნის ევროპისათვის გამოსადეგარს და იაფს და რომ მისი წარმომადგენლები კარგად და გულმხურვალედ იქნებიან მიღებულნიო. ასეთი წინადადების საპასუხოდ, — განაგრძობს შარდენი, — მე ვთხოვე თბილელს დაერწმუნებინა მეფე, რომ შეეუღლები მის დავალებას. პრელატმა დაჰყო ჩემთან საათის მეოთხედი და როცა ის მიდიოდა, მე აქაური ჩვეულების მიხედვით, რომლითაც ცნობილ პირებს დარბაზობისას საჩუქარს მიუძღვნიან ხოლმე, მას მშენიერი მარჯნის კრიალოსანი მივართვიო“². 1662-63 წლ. იოსებს რომის მისიონერები მიუღია. მადლიერი კაპუცინები რომის პროპაგანდას ატყობინებენ: „ტფილისში მიგვილო ამ ქალაქის ეპისკოპოსმა“ (იხ. მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა...“ 223, 124, 239).

„საყვარელ იყო მეფეთა მაშინდელთაო“, გადმოგვცემს ანტონ კათალიკოსი (წყობილ-სიტყვაობა §678) იოსების შესახებ. რომ იოსები სასახლის ახლო კაცი უნდა ყოფილიყო და საკმაო გავლენაც უნდა ჰქონოდა, ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ „ეპისკოპოსი ტფილელი თავის საეპისკოპოსოთ, აზნაურიშვილი

¹ შაჰნავაზის დედა გიორგი სააკაძის ქალი იყო. არჩილიც — შაჰნავაზის პირ-მშო სააკაძის შვილიშვილის შვილია.

² რადგან თბილისის ეპისკოპოსს ჯერ არასოდეს არ უდარბაზია კაპუცინებისათვის, ისინი ამ დარბაზობით და ჩემი პასუხით ძალიან კმაყოფილნი დარჩნენო, დასძენს შარდენი (იხ. მისი მოგზაურობა, თბილისის, 1902 წლ. რუსული გამოცემა, გვ. 226-227). შარდენის მოწმობით, ტფილელი ცხოვრობდა სიონის ეზოში — საეპისკოპოსო სახლში (გვ. 200), როგორც სხვა ტფილელები.

მსახურით, მათის მამულით ძველადგანვე სადედოფლო“ ყოფილა, ქართლის დედოფლის ხელქვეითი¹. ამიტომ ამბობს ახლად მოყვანილი ქართლის დედოფალი მარიამ: (როსტომის მეუღლე) „თფილელი და სათფილელი ყმა პირის სანახავად მოგვართვეს“².

იოსებ ტფილელი დროს ქართლში დედოფლობდა მარიამი, ცნობილი მეცენატი ნწიგნობრობისა და ნწერლობისა, განმაახლებელი და შემამკობელი უძველესი ტაძრებისა.

იოსებ ტფილელის მიერ თბილისში სიონის ბიბლიოთეკის შესახებ შენახულა შემდეგი ცნობა უცნობი ავტორისა (წერილი „კათალიკოზ ანტონის კავშირი ფრანგ პატრებთან“):

„დომენტომ დააარსა ბიბლიოთეკა დასაწყისს მეთვრამეტე საუკუნისა, იმ ალაგსა, საც მეთექვსმეტე საუკუნეში თბილელ მიტროპოლიტს, იოსებ სააკასძეს დაუარსებია. თვით იმ მიტროპოლიტისაგან აშენებულ წიგნთ-საცავმა ჩვენ დრომდინაც მოახწია, რომლის კარების შესავალზედ ერთი მარმარილოს ქვაც იყო კედელში და ზედ ეწერა შემდეგი სიტყვები: აეს წიგ-საცავი აღვაშენე თფილელმა მიტროპოლიტმა იოსებ სააკას ძემ, შევამკე და განვარცე წიგნებით და მოვრთვი ოქსინოთი“, ამას შემდეგ ეწერა ხელჩართული მიტროპოლიტისა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ის წიგნთ-საცავი ათას რვაას სამოც (1860) წლის შეშდეგ კი ეგზარხი ევსევის ბრძანებით დააქციეს, ის ქვაც გამოიღეს და მოიხმარეს სხვანაირათ, რადგანაც სუფთა მარმარილო ყოფილა და გადააკეთეს შეშის შესანახავათ. ამ შეშის შესანახავის გვერდით დარჩა ხელ-უხლებელი ერთი ძველი მარანი, რომლის კარები [ს] ზევიდამ დღესაც სჩანს მარმარილოს ქვა“ (იხ. საქ. სახ. ლიტ. მუზ. ხელნაწერი № 6334/4) ჩვენი აზრით, დედოფლის კულტურულ საქმიანობაში უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო იოსებ ტფილელის როლი.

მოწინავე, გავლენიან პირს, იოსებს მხურვალე მონაწილეობა მიუღია სახელმწიფო საქმეებში. საშინელი ფეოდალური აღრევის, შფოთისა და განდგომილობის დროს, იოსები დიდ ერთგულეზას იჩენს ტახტისადმი — იგი საიმედო და თავდადებული კარისკაცია შაჰნავაზის, არჩილის და შემდეგში გიორგი მეთერთმეტისა, რომლის მეფობასაც ბოლოს მან თავისი სიცოცხლეც შესწირა.

საერთოდ, იოსებს დიდი გავლენა ჰქონია ფეოდალურ საზოგა-

¹ იხ. დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, რედაქტორობით პეტრე უმიკაშვილისა, 1886 წ. გვ. 128.

² ა. ხახანაშვილი, „გუჯრები“, გვ. 6.

დობაში, როგორც იგივე ანტონ კათალიკოსი გვიმოწმებს: „საყვარელ იყო ერთაცა ყოველთაგან“.

ჩვენამდე შენახულა აგრეთვე ერთი საბუთი, საიდანაც ჩანს, რომ ერთგული ლეგიტიმისტი იოსებ ტფილელი ეკლესიურ ცხოვრებაშიც მონაწილეობდა ცენტრის ხელისუფლების განსამტკიცებლად¹. ხსენებულ საბუთში ალავერდელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი იოსებს სთხოვს კათალიკოსთან შუამდგომლობას და პატიებას მის მიერ გვირგვინის დადგმისათვის კათალიკოსის უნებართვოდ. საქმე ისაა, რომ კახეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად, კახეთის ეკლესიამაც გადადგა სეპარატული ნაბიჯი, იგი შესაფერ მორჩილებას აღარ უწყევდა კათალიკოსს, რომელიც, იმავე დროს, ქართლის მეფეების ინტერესების დამცველი იყო. სიმბოლური ნიშანი ამ განდგომილებისა იყო ის ფაქტიც, რომ კახეთის მთავარი იერარქი ალავერდელი კათალიკოსის ნებადურთველად და მცხეთაში მიუსვლელად თვითონ იკურთხებდა თავს, საკუთარი ხელით იდგამდა გვირგვინს, რაც რამდენადმე ნიშნავდა კახეთის ეკლესიის განდგომას კათალიკოსისაგან. ამ დამოუკიდებლობის მთავარი მიზანი პოლიტიკური შინაარსისა იყო, რაც კახეთის მეფეების ანგარიშში შედიოდა. მათი განზრახვა იყო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ განცალკევებასთან ერთად ეკლესიური დამოუკიდებლობის მოპოვებაც.

როგორც ზემოთ ნახსენები საბუთიდან ჩანს, იოსებს ინიციატივა გამოუჩენია, „შუამავლად“ ჩარეულა ამ სახელმწიფოებრივ საქმეში და ალავერდელისათვის უთხოვინია დამორჩილება, კათალიკოსთან „ერთად შეყრა და ურთიერთის მშვიდობისა ყოფა“. ამრიგად, იოსებს მონაწილეობა მიუღია კახეთის ეკლესიის სეპარატიზმის წინააღმდეგ, რასაც შესაფერი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. იოსების „შუამავლობა“ კი დინასტიის და ცენტრის ინტერესებით იყო გამოწვეული.

იოსებ ტფილელის მონაწილეობით დაწერილია აგრეთვე გიორგი XI სიგელი — გილანს, იზმირს, სტამბოლს საქართველოდან აბრეშუმის გატანისა და მის ფასად საზღვარგარეთ საქართველოს მონასტრების დახსნის შესახებ (იხ. ც. არქ. სივ. № 1283).

სხვათა შორის, იოსები ცნობილი ყოფილა იმ დროს საზოგადოებაში, როგორც განთქმული მწიგნობარი. მას დაუარსებია სიონის ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც დიდძალი ხელნაწერი წიგნი მოუ-

¹ იხ. თ. უორდანი, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 205—207.

პოვებია¹. იოსები აგრეთვე მეფის მდივან-მწიგნობრის როლსაც ასრულებდა. ჩვენამდე მოღწეულია არა ერთი სიგელი, დიდი ხელოვნებით შედგენილი და დაწერილი „ხელითა ტფილელ იოსებ სააკაძისათა“, როგორც, მაგ., 1666 წ. სინას მონასტრის სიგელი (ქრონიკები, II, 493); 1683 წ. თუმანიშვილების ნასყიდობის წიგნი (საქ. სიძველენი II, 97—99); 1685 წ. სიგელი გიორგი XI შანშეან-მარტეროზის შვილის ბეგთაბეგისადმი მიცემული (საქ. სიძველენი II, 100-102) და სხვა². ერთი სიტყვით, იოსები განთქმულ კალიგრაფადაც ითვლებოდა. ჩვენი აზრით, მას უნდა ეკუთვნოდეს ზაზასეული „ვეფხისტყაოსნის“ და „ამირან-დარეჯანიანის“ (S—457) გადაწერა.

ტფილელის ცხოვრების დრო, განსაკუთრებით მეორე ხანა, საშინელი მღელვარებით იყო აღსავსე; ფეოდალურ ანარქიას ბოლო აღარ უჩანდა, „განმკვიდრებულ იყვნენ მთავარნი და დაეპყრათ ხევნი და ხეობანი თვისად“; ურჩი მთავრები არ ემორჩილებოდნენ ცენტრს, მეფესა და მათ შორის გაჩაღებული იყო მუღნივი ბრძოლა და ამბოხი. ერანის მონობიდან თავის დასაღწევად და განდგომილ მთავართა მორჩილებაში მოსაყვანად გიორგი XI გადასწყვიტა კახეთის შემოერთება. კახელები დაჰყვნენ მეფის განზრახვას, „რათა შეერთდნენ და ჰყონ ერთ სამეფოდ, ზისცეს პირი მტკიცე, ფიცი კახთა“ (ვახუშტი, ჯანაშვი. გამ., 89). მაგრამ სპასპეტის თამაზის ლალატით ეს საქმე ჩაიშალა, რადგან გიორგი არაგვის ერისთავი მისი სიძე იყო და უკეთუ მეფეს თავის საწადელი აღესრულებინა, ერისთავი „შეისვროდა“. ამის შემდგომ მეფემ უბრძანა ერისთავს, „რათა მოერთვას, ხოლო მან არა ინება“. მაშინ მეფემ გადაწყვიტა ურჩი ერისთავის დალაშქვრა და დაიძრა დუშეთისკენ. მაშინ შეუხდა გზასა ტინისასა მეფე და მათ (მოწინააღმდეგეთ) მოემწოთ კახნი მოყვარენი მათნი და შეჰკრნეს სიმაგრენი და იწყეს სროლა თოფითა დილით შუადღემდე, არამედ შეუშენეს სხვანი დროშანი და უშეტეს უწყეს მეფისა დროშასა სრო-

¹ სიძველეთა მუზეუმში დაცულია ხელნაწერი (№ 140), რომლის 302 გვერდზე იოსების ხელით შესრულებული მინაწერია: „ტფილელის იოსებისა (ა) ეს წიგნი“.

² ს. კალის ლეთიშობლის მიძინების „გულანზე“ დაცულია შემდეგი მინაწერი იოსებ ტფილელისა: „იოანე ნათლისმცემელო, სინანულისა ქადაგო, შეივედრე სული ცოდვილის ტფილელის იოსებისა და შემწე ეყავ ნათლისღებულისა წინაშე, ამინ“ („ივერია“, 1877, № 40). იოსების მინაწერი შენახულა აგრეთვე ცენტრ-არქივში დაცულ „მეტაფრასტის“ ხელნაწერში (№ 2339).

ლა, მოკლეს თბილელი იოსებ, ქაიხოსრო ციციშვილი და სხვანი მრავალნი...“ (ვახუშტი, 90).

იოსებ ტფილელი დაკრძალული უნდა იყოს თბილისში, სიონის ტაძარში.

* *

„დიდმოურავიანის“ გარდა, იოსებს სხვა თხზულებანიც ეკუთვნის.

ესენია: „ქება და წამება წპიდისა მარინასი, თქმული შაირად“ (S — 1512);

„ცხოვრება და მოქალაქეობა ალექსი კაცისა ღთისა, ახლად შაირად გარდათარგმნილი მარგებელი მსმენელთა და მკითხველთა თესცა, თქმული სააკაძისაგან იოსებ ტფილელისაგან“ (S — 1512)).

„ანბანთქება ახლად თქმული ბაბათა შვილის იოსებ ტფილელისა მიერ“ (№ 1512, გვ. 167-174);

„წმიდა კრებათათვის“ (S — 281), რომელზედაც თვით იოსები გვეუბნება ჩვენი პოემის ეპილოგში: „სიტყვაც ვთქვი წმიდათ კრებისაო“. და ბოლოს, იოსები მონაწილე ყოფილა პოეტური პაექრობისა. ჩვენამდე მოღწეულა ერთი ლექსი-გამოცანა სასულიერო შინაარსისა, რომელიც სასულიერო პოეტ იაკობ შემოქმედელ დუმბაძისათვის გაუგზავნია:

სიბრძნემ თავისა თვისისა სახლი იშენა გებული,
მას შვიდნი სუეტნი შუედგანა, შვიდნივე წმინდა გებული,
სიკუდილით მოკლა სიკუდილი, დაიხსნა ცოდვილთ კრებული,
ამისა ახსნა თქვენგან მწადს, ვიცი კაცი ხარ მცნებული.

ა.ლ. იოსელიანის სიტყვით, წერილნი მისნი იყვნენ; იტყვიან მრავალნი, გარნა აწ უჩინონი არიან... არიან მცირედნიცა საგალობელნი, რომელთაცა ჰგალობს დღესაცა ეკლესია ქართულთა“ („დიდმოურავიანი“, გვ. 2).

იოსებ ტფილელი საყურადღებოა, აგრეთვე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორი. მას ეკუთვნის „ვეფხისტყაოსანში“ ჩამატებული ადგილები: „ანდერძი და სოფლის გმობა და ნესტანდარეჯანისა ტფილელის იოსების ნათქვამი“, „კიდევ სხვა ანდერძი ავთანდილისა, რომელ თქვა ეპისა სიკვდილისასა, ტფილელის იოსების გამოთქმული“!¹

¹ იოსებ ტფილელის „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორობა გამოძვლავნდა „ვეფხისტყაოსნის“ ზახასელი ხელნაწერის მეოხებით.

ზ. კიკინაძის ცნობით, იოსებს ეკუთვნის აგრეთვე დღემდის უცნობი თხზულებანი:

1. „სასურველი ვენახი“,
2. „მოგზაურობა ტფილისიდან ახალციხეში“,
3. „ლუარსაბ მეფის ცხოვრება“¹.

პოემის დათარიღებისათვის

ამ საკითხის შესახებ, როგორც ჩვენამდისაც იყო აღნიშნული, თითქოს გარკვეულ მითითებას იძლევა პოემის პროლოგი, საიდანაც ირკვევა, რომ დიდმოურავიანი დაწერილია არჩილ მეფის შეკვეთით. უკანასკნელს არ ჰქონია „განმარტებით მოხსენება“ იმის შესახებ, თუ რამ ჩამოაგდო განხეთქილება მეფის თეიმურაზ პირველსა და დიდ მოურავს შორის. როგორ გაუწყრა თეიმურაზი მოურავს, და ან მეფეს რა განზრახვები ჰქონდა:

მეფე, სიბრძნით აღსავსეო, ხელმწიფეთა პირმშოვ შვილო, ღრმის სიტყვისა ამომცნობო და ძნელისა გამადვილო, „ცოტა სიტყვა განმიმარტე“,—გებძანა თუ: „ჩემო ჩრდილო, შენ სიბრძნისა ვერ მიმწომო, მაგრა რიტორთ კაცთა ზრდილო!“

ამ ამბისა განმარტებით არა გქონდა მოხსენება, ვით გაუწყრა მოურავსა, მეფეს ანუ ვით ენება! საქართველოს დასუსტებას, ვით ბელიარ ექენება, ამ ქვეყნისა შიგნით რევას ზოგს ოცნებით ეჩვენება...

ამიტომ არჩილმა, XVII ს. მეორე ნახევრის ლიტერატურულმა მეტრმა, პოეტმა და ისტორიოგრაფმა, დაინტერესებულმა სააკაძის პიროვნებით, უბრძანა თავის ერთგულ კარისკაცს—პოეტს, დიდი მოურავის ოჯახის წევრს,—ამ მხრივ კომპეტენტურ პიროვნებას,— დაეწერა მოხსენება გიორგი სააკაძის ბოლის შესახებ საქართველოს ცხოვრებაში. იოსებ ტფილელს დავალება წარმატებით შეუსრულებია.

პროლოგის პირველი ტაეპის მიხედვით, დიდმოურავიანის დასრულების დროს ცნობილი პოემა არჩილისა თეიმურაზ პირველის შესახებ თითქოს უკვე დაწერილი, ყოფილა:

¹ იხ. ქართული მწერლობა მე-17 საუკუნეში, გვ. 33.

მეფესა ქართლის ცხოვრება ებძანა გალექსულობით
ზოგი რუსთელისა ბაასი, კანთ მეფის საქმე სრულობით,
ხან ლხინი, შება, სიამე, ხან ვარდი დანასრულობით,
სიბრძნე ხმალი და ომები სიკვდიმდე აღსასრულობით!

ასევე ნათქვამი პოემის ეპილოგში:

ქართლის ცხოვრება სხვათა თქვეს, მე ამის ვიქმენ ბრალევიად,
რომ დამეკარგა ამბავი, ქმნილიყო შესაბრალებად...

მაშასადამე, თუ პოემის პროლოგსა და ეპილოგს დავემყარებით, ჩვენი პოემა დაწერილია არჩილის ცნობილი თხზულების შემდეგ. უკანასკნელი კი, როგორც დღემდის ცნობილია, დაწერილი უნდა იყოს 1681 წელს. ამიტომ ბუნებრივია, რომ „დიდმოურავიანის“ დაწერა 1681-1687 წლებს უნდა მივაკუთვნოთ. სწორედ ასე ათარილებენ მას ჩვენი მკვლევრებიც.

მაგრამ ერთი გარემოება თითქოს უნდა აბრკოლებდეს ამგვარ დათარილებას. უნდა გავიხსენოთ, რომ არჩილი სწორედ ამ წლებში რუსეთს იმყოფებოდა ემიგრანტად (1681 წ. რუსეთს გადახვეწილი არჩილი 1688 წლ. შემოდგომაზე რაქას ჩამოვიდა, იოსები კი ამავე წლის გაზაფხულზე მოკლეს). ამნაირად, ტახტდაკარგული და რუსეთში გახიზნული არჩილი ვერ სთხოვდა თბილისში მყოფ იოსებს „ცოტა სიტყვის განმარტებას“ დიდმოურავის შესახებ.

ამავე დროს, თუ არჩილმა 1681 წ. დაასრულა [თავისი პოემა, ჩვენ არც ვიცით, რომ 1664-1675 წლებში, როდესაც არჩილს კახეთის ტახტი ეჭირა, იგი თავისი პოემისათვის თეიმურაზ პირველზე უკვე კრეფდა შესაფერ მასალებს, როგორც თვით არჩილი გადმოგვცემს.

„მეფის თეიმურაზის სარჯელთ ამბავი თვით ვნახთა და თანნახლთ მეფის ყმათ ქართველთა და კახთაგან მსმენოდა... რამეთუ ათორმეტ წელს კახეთს ვმეფობდი, მისნი დაზრდნილი და ნამსახურნი დარბაისელნი გუერთს მახლდენ, ვკითხავდი ნაქმარსა მეფისასა და მიამბობდესო“.

მაშასადამე, კახეთში ყოფნის დროს არჩილს უგროვებია მასალები თავისი პოემისათვის და, ვფიქრობთ, რომ იმავე ხანებში პოემას ნაწილობრივადაც კი წერდა. შესაძლოა პოეტის ერთგვარ არტისტიზმთან გვექონდეს საქმე, როდესაც არჩილი ამბობს, რომ მთელი პოემა ცხრა თვეში დაეწერეო, და მაშინაც, მუდმივ არ ვიყავ საამისოდ მოცლილიო:

ცხრა თვეს ყველა გავათავე სულ ამაზე არ მოცლილმა.

შესაძლოა, არჩილი აქ პოემის საბოლოო დამუშავებასა და რედაქციაზე ლაპარაკობდეს.

თუმცა კატეგორიული თქმა ჯერჯერობით ძნელია, მაგრამ ჩვენი აზრი უფრო იქითკენ იხრება, რომ „დიდმოურავიანი“ 1681 წელზე ადრე უნდა იყოს დაწერილი, სახელდობრ იმ ხანებში, როცა არჩილი კახეთში მეფობდა, როცა თბილისში, თავისი მამის შაჰნავაზის სასახლეში ხშირად მყოფ არჩილს ურთიერთობა ჰქონდა იოსებთან¹. როცა მას მშვიდობიან მდგომარეობაში მყოფს უფრო შეეძლო იოსებ ტფილელისათვის პოემის შეკვეთა და საერთო ლიტერატურული საქმიანობა. 1675 წლ. შემდეგ იწერება არჩილის ცხოვრება, ამ ხანიდან ის ცხოვრობს იმერეთში, სადაც რამდენიმეჯერ იქნა ტახტიდან გადმოგდებული, აქედანვე ის რამდენჯერმე გადაიხვეწა რუსეთში, საიდანაც 1700 წლ. შემდეგ საქართველოში აღარ დაბრუნებულა.

ზემორე ამბების გათვალისწინების შემდეგ „დიდმოურავიანის“ დაწერის ვითარება ჩვენ ასე გვეხატება; „არჩილიანის“ წერის პროცესში არჩილს დასჭირდა ზედმიწევნითი მასალები პოემის გმირის (თეიმურაზ I) დიდი მოპირდაპირის გიორგი სააკაძის შესახებ, თუმცა თვით არჩილი მოურავის შვილიშვილი იყო (გ. სააკაძის ასული ჰყავდა ცოლად არჩილის პაპას, თეიმურაზ მუხრანბატონს), მაგრამ არჩილმა მიჰმართა იოსებ სააკაძეს—პოეტს და დიდი მოურავის ოჯახის მეგვართმეს. შესაძლოა არჩილის მიერ აღტაცებული შეფასება „გულადრვალის“ და „ლომგულის“ მოურავისად რამდენადმე ტფილელის ერთგვარი ზეგავლენითაც იყოს გამოწვეული. გაიხსენეთ არჩილის ნათქვამი მოურავზე:

ესე საქმე მოურავმა უცხო ჰქმნა და საკვირველი,
ვით შეჰმართა ამ საქმესა, არის თუმცა გულად რვალი,
ეს ყველასგან უძნელეა, სხვა სახელიც ჰქმნა მრავალი,
უსაცილოდ მართალია, არ ტყუილი, არ საკრძალი!..

¹ არჩილის და იოსებ ტფილელის ახლო ურთიერთობის მაჩვენებელია შემდეგი საბუთი:

„ჰ; ჩუენ... რუსთველ არქივისკოპოზმან პატრონმა მათეოზ, ესე სამუდამო წიგნი მოგართვით თქვენ,—თფილელ ეპისკოპოზსა იოსებს, ასრე რომე, სადამდის ან თქვენ ცოცხალი იყო და ან მე—ყოველს წელიწადს სამ საპალნე ღვინოს მოგართმევდე დაუკლებლად და გაურჯულად.

ამისად გასათავებლად მამიცემია ხატი, ღეთაების ხატი და მეფის არჩილის ბრძანებით მომირთმეია“ (იხ. თ. ყორღანია, ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები, გვ. 223),

ან დიდმოურავისაგან მუხრანში ერანელთა ლაშქრის ამოწყვეტის გამო ნათქვამია:

აწ ეს ჰქმენით, ქართველებო, ანდერძავით შვილს ეტყოდეთ!

ამნაირად, ჩვენ არ ვეთანხმებით პოემის დღემდე მიღებულ დათარიღებას და ვფიქრობთ, რომ „დიდმოურავიანი“ დაწერილი უნდა იყოს უფრო 1664-1675 წლებს შუა, ვიდრე 1681 წლის შემდეგ. ხოლო თუ პოემის პრალოგი და ეპილოგი ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ტფილელის ნათქვამში:

მეფესა ქართლის ცხოვრება ებძანა გალექსულობით

ნაგულისხმევი უნდა იყოს არჩილის პოემა, მაშინ ჯერ კიდევ წერის პროცესში, ნაწილობრივად დაწერილი, და არა საბოლოოდ რედაქტირებული.

ასეთია ჩვენი მოსაზრებანი „დიდმოურავიანის“ დათარიღების შესახებ; ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვაყენებთ საკითხს ტფილელის პოემის დათარიღების ხელახლად გადასინჯვისათვის.

პოემისათვის

იოსებ ტფილელი არჩილთან და ფეშანგისთან ერთად ისტორიულ-ნაციონალურ მიმართულების წარმომადგენელია.

სამივე პოეტი თავის შეოქქედებაში იბრძვის ფეოდალური ლიტერატურის ზღაპრულ-ესთეტიკური ტრადიციების წინააღმდეგმათი დევიზია „მართლად, სწორედ თქმისა“.

ჩვენ ვიცით, რომ ამ სკოლის წარმომადგენელმა კარას მგოსანმა ფეშანგმა თვით რუსთველიც კი აპხილა ფანტასტიკაში:

რას ხელყვის საქებრად ტარიელ და ავთანდილი?
სად იცობდეს უცხოს ან რა ნახეს მათგან ქნილი?
ყველა ტყუილი მეატმასნეს, ყოფილიყო გარდავლილი;
აქვს ვინმე უმეცარი, გაიმწარეს მათთუი ძილი!

კარის მგოსნის, უბრალო მეხოტბის—ფეშანგის დეკლარაცია, ცხადია, გამოუშვებელია მაშინდელ სალიტერატურო წრეებში, კერძოდ, არჩილის და ტფილელის ჯგუფში. ფეშანგის სიტყვებში გამოთქმულია იმ დროს ახალი ლიტერატურული პრინციპი, რომლის შექმნა ერთ პიროვნებას არ ეკუთვნის და, მით უმეტეს, ფეშანგის (იხ. ჩვენი „შაჰნავაზიანი“).

ანალოგიურ აზრს გამოთქვამს იოსებ ტფილელიც „ვეფხისტყაოსნის“ გმირებზე. იგი ასე მიმართავს ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს:

ქარგნი ყოფილხართ სამნივე, ჰხოცეთ დევნი და ქაჯები,
წაგიხდა, მხნენო, ძალგული და დალბა ცუდად მაჯები;
მიკვირს, მწერალო,—ანდერძსა მათსა სწერ,—რათ ისაჯები?!

ამ დეკლარატიულ სიტყვებში გამომჟღავნებული რეალისტური ტენდენცია მან დაადასტურა თავისი დიდმოურავიანით, რომელიც რეალისტური პრინციპით არის დაწერილი.

ტფილელი XVII ს-ნის ნაციონალური პოეტია (არჩილთან ერთად), რომელმაც გაარღვია ტრადიციული თემატიკა ერთნულ სადევგმირო და რომანტიულ ეპოსის ეპიგონური რკალი და შექმნა ეროვნული შედევრი—ქართული რეალური ამბავის საფუძველზე, წინააღმდეგ „სპარსა შეტმასნილ, ნაქორისა“, ანუ ფანტასტიური ამბებისა, რის გავლენა ასე ძლიერი იყო თავის დროს ქართულ ფეოდალურ ლიტერატურაში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პოემა დიდებული გმირის ცხოვრების აღწერილობას შეიცავს, მასში სრულიად არა ჩანს იმ დროის მწერლობისათვის ჩვეული ყალბი იდეალიზაცია, სადევგმირო შაბლონი, მოვამბეზრებელი, დამლელი ჰიპერბოლა, — აღმოსავლური, კერძოდ, ერთნული პოეზიის სტილი, რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ და უხვად ეტყობა ფეშანგის.

„დიდმოურავიანი“ „არჩილიანთან“ ერთად სხვა ლიტერატურული ძეგლებისაგან, იმითაც გაირჩევა, რომ პანეგირიკა, ყალბი პათოსი არ ახასიათებს. მისი ნიშანდობლივი თვისებაა სისადავე, სიფხიზლე, გულწრფელობა, ფაქტების რეალობა, — ხოლო ადამიანურობა, ადამიანის სიყვარული მას საყვარელ პოეტურ თხზულებად ხდის ქართველი მკითხველისათვის.

* *

„დიდმოურავიანის“ მიზანია, როგორც ზემოთ ვთქვით, პოპულარიზაცია გიორგი სააკაძის გმირობისა, მისი ერთგულებისა მეფის ტახტისადმი, მოღალატური ბრალდებისაგან მისი გათავისუფლება და, ამავე დროს, ფეოდალურ საზოგადოებაში ლეგიტიმისტურ და ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების გაღვივება:

ყველამ გასინჯეთ შეტყობით, თქვენ ჩვენი სამართლობანი,
როგორ ვქვენ თავის დადება, მეფის ტახტისა მკობანი!

ათქმევიანებს ავტორი გიორგი სააკაძეს.

ავტორის მიზანია გაფანტოს შუღლის და ქიშპობის ნიადაგზე აღმოცენებული ის ცალმხრივი შეხედულება, თითქოს სახელოვანი გმირი იყო მოლაღატე, ურჩი, „მეფეთ ტახტისა მაქცევი“. ავტორი წინასწარ გრძნობს ოპონენტების, მოპირდაპირეთა ექვემდებარებას და მათი მისამართით ათქმევინებს თავის გმირს, რომ მისი სიტყვა სრული ქეშმარიტებაა, ყოველგვარ სიცრუესა და ხევანჯიანობას მოკლებული:

- მე არა მჭირდა ტყუილი, არც ცუდი სიტყვის ცილობა...
- ტყუილს ვერ ვიტყვი ამისთვის, არს ბევრი კაცი სწორობილი...

გულწრფელი გმირი, პირიქით, მოკრძალებულია, და თუ ლაპარაკობს თავის თავზე, მხოლოდ იმიტომ, რომ:

არც ის ვარგა არვინა თქვას კარგის კაცის გარჯილობა, გოდოლშიგან დაფარულსა, დაგულუვას სჯობს გახსნილობა!

იოსებ ტფილელს თავისი პოეტური და მოქალაქეობრივი მსჯავრი დიდი მოურავის შესახებ გინკუთვნილი აქვს, აგრეთვე, შთამომავლობისადმი. იგი ასე ათქმევინებს დიდ მოურავს:

კარგნო კაცნო, საანდაზოდ ჩემი საქმე გარდაიღეთ,
ჩემგან კნილი როცა სჯობდეს, ზოგნი დევით, ხან აიღეთ,
ავი შარად განუტევეთ, კარგნი თქვენკენ წამოიღეთ...

სწორედ ასევე მიმართა სააკაძის გმირობის გამო ტფილელის მეცენატმა არჩილმა ც თანამედროვე საზოგადოებას:

აჲ ეს ქნით, ქართველებო, ანდერძსავით შვილთ ეტყოდეთ!

პოეტი თავის მიზანს „დიდმოურავიანში“ დიდი გულწრფელობით და პოეტური დამაჯერებლობით ასრულებს, პოემაში არავითარ პიპერბოლიზმს და სიყალბეს ადგილი არა აქვს. „დიდმოურავიანი“ ნამდვილი რეალისტური ჟანრის ნაწარმოებია.

* *

„დიდმოურავიანი“ ქართული იერემიადია, დიდი მოწინავე ქართველის სულთქმა. ფხიზელი თვალითა და პოეტური გულით იოსებ ტფილელმა განქვრიტა თავისი საუკუნის ვითარება, უბედურება და საშინელი დაცემა სამშობლოსი, გარეშე მტრების შემოსევით და ფეოდალური ანარქიით გამოწვეული. მან იწამა ქართლის დამხსნელი სახელოვანი გმირი, რომელმაც „ქართლს მოავლო გალავანი“, მაგრამ რომელიც არ დაინდო ფეოდალურმა საზოგადოებამ. მხურვა-

ლე პატრიოტი-პოეტი გმირის დალუპვასთან ერთად გრძნობს, თუ რა დიდებული მომავალი დაეღუპა საქართველოს:

რა შიშალა, ვინ იცის, რა წყობა, რა გარიგება?

პოეტი ბიბლიურ იერემიასებრ ამხელს ფეოდალურ საზოგადოებას გიორგი სააკაძის დაკარგვისათვის და თავს ესხმის მათ, ვისაც სურს გმირის მეორედ სიკვდილი, მისი მოლაღატედ გამოცხადება. ტფილელი თავისი შარაფანდელით აღადგენს გმირის უტყუარ სახეს თანამედროვეებისა და შთამომავლობისათვის.

უპირველესად ავტორს მოურავი გამოჰყავს „ქართლისათვის“ ანუ საქართველოსათვის დიდ მოკირნახულედ, დიდ პატრიოტად, რომლის ვაჟკაცობა, მხნეობა და თავდადება მიმართულია სამშობლოსადმი:

- ქართლისა მინდოდა რგება და მწვე სიხარული...
- თავს ვეტყვადი ქართლისათვის მოკვდი, წინ გიც ა, წამება...
- ყველამ იცით, რომე ქართლი ჩემის ხმლითა დახსნილია...
- სულ ქართველთა კარგად იცით, ქვეყნისათვის რა მიქნია...
- მე ქვეყნისათვის რამდენჯერ ვჰქენ თავის გაწირვანია...
- რაეუბი ვჰქენ ქვეყნისათვის, საკვდად თავის გარდადება...
- რაც ქართლისათვის მე ვქენი...
- გავემდიდრე სრულად ქართლი, უღონო ვქენ განაკეთი...
- ქართლი ჩვენის ხლმით დამაგრდა...
- ქვა არსად არი ქართლშია, რომ ჩემი სისხლი არ სცხია...
- ქართველნი დავხსენ მოსპოლვას...

იგი „ქართლ-კახეთის ზანრჩენია“, მისთვის უებარი მებრძოლი. მოურავის დიდ პატრიოტიზმს ახასიათებს მხურვალე სიტყვები:

თავი დაედევ საწამებლად, ხორცი საკვდად განა სული?

სამშობლოსათვის იგი არ იშურებს შვილს, დას, ძმას:

- არ დავხოვე ქართლისათვის ძმა, ძენი და გან ასული...
- ქართლისათვის რა-მე დავსთმე, როგორ ტურფა, სასურველი...
- ... იქ პაატა დამიკარგავს, აქ არა მყავს გამკითხველი...

ტფილელი აღტაცებულია მოურავის სახელწიფო და საგმირო საქმეებით. მისი სიტყვით, სააკაძემ „ქართლს მოაგლო გალავანი“. სააკაძის დიდ ამავს მისივე გმირული და სახელწიფოებრივი ღვაწლი ამტკიცებს, რაც, ავტორის სიტყვით, მომავალში უფრო გამოიწინდება:

- თვარ! შეიტყობთ ამას უკან, მტერი კიდევ ახსნილია...
- ვეპე! დავაკლდები ბოლოვამ, ვინ მე ჯარადამ დამგვარა...
- მეც! დავაკლდები ქვეყანას ბოლოვამ, თვარ მიჰხვდებიან...
- ქართლს შენახვა როგორ უნდა, გაგიჩნდებისთ დამასულა!

- ოდეს მტერი წამოგატყდეს, მომიგონეთ ამა თქმისთვის...
- გაგჩინდებისთნ ქვეყანასა გაწყობა და გარეგება,
თქვენცა იცით, ჩემის გარჯის ანგარიში არ იგება,
რაცა დამრჩა უშენონი, ჩემგან ახლა არ იგება;
მძლავრს მტერზე და გაგჩინდების, ვის გაქვს ხმლისა აბა ღება.
- არ მომიგონებთ, რას იტყვიოთ, როს მუხარადი ვლევდეს,
- რაზმი გასწორდეს დროშებით, ორგნითვე ჯარი ღლევედეს,
- ცემა და საყვირთ ხმა იყოს, ცხენი კაცთ ფეხით ქელევდეს,
- მაშინ რას აქნეთ გიორგის თუ მისებრ მოგეშელოდეს!

პოეტის პირით მოურავი ჩივის ამავის და ნაწსახურობის ამოდ ჩავლას, ქართული ფეოდალური საზოგადოების უშადურობას:

ჩემს პირნახულსა ქართლზედ მიკვირს ვერავინ ხედავსა!
რაც საქმე შექმელ ქვეყნისთვის, ვთქვი მიზმენ ხედიხეუ ავსა,
რაგინდ რომ თავი ვაწამო, მაინც მტყყვიან ბედ ავსა!

და მწარედ გლოვობს უგმიროდ დარჩენილი ქართლის მომავალ ს:

- ქართლის ბალი მოიკრიფა, აღარ ვეკობ გავსებას...
- ჩემობითა მებრძოლები, ვაიმე, ქართლო, სუსტობი სთვის...

მოურავის გრძობა მამულისადმი პირდაპირ გახელებამდე მიდის, როცა იგი აცხადებს: „სისხლს დავეღვრიდი, გინდ ანგელოზები მყოლოდეს გარშემორტყმულიო!“

ასეთი თავდადებული, მხურვალე პატრიოტი, ცხადია, ვერ ითმენს მამულისაგან დაშორებას და ამიტომ „სამყოფთაგან“ გაფარდნილი, გადახვეწილი გმირი, არა ერთხელ მოსთქვამს ცრემლიანი გოდებით თავისი კერის დაქარგვას:

- ...სევდა მწვავეს სახლისა, მით ვიყავ ცრემლთა მშრომელი
- სამკვიდროსაგან უმკვიდროდ ვიქმენ დაქარგულ, ფულად...
- ვსთქვი, დავკარგე სამკვიდრონი, აღარ მამხვდა თვისთა ნახვა.
- სამკვიდროს გაცლა ძნელია, ვინც დადგეს შესაშურვანი...
- ჩემად ნაცულად ჩემს სამკვიდროს, ვინ დაიდგამს ბუდეება?

და თუ ის მცირე ხნით მოშორდა სამშობლოს და გადაიხვეწა ოსმალეთში დახმარების საშოვნელად, ამ ამბავს ავტორი ასე განმარტავს:

თქვენცა იცით, სამუდამოდ არ მინდოდა იქა ყოფა?

ღრმა, ტრაგიკული ლირიზმით არის გადმოცემული სამშობლოდან გადახვეწილი გმირის სულისკვეთება, განშორების დიდი სევდით გამოწვეული:

თაო ჩემო, ვით გასრულო, სევდიანო, როგორ წყლულო,
საქართველოს სჯულისათვის ათას ფერად წამებულო!

მეფეთათვის რა ნასაჯო, ნამსახურო, რა ერთგულო,
 აღარ შეგრაჩა ნოსტეს ლხინი,—ალაბ სტამბოლ დაკარგულლო!
 ვაი, დაგაგდებ სახლსამყოფო, სად კარგო და სად ავებო,
 შორგვარ დაერჩი მეზობელთა, ვისთანც ვიყავ, სად ავებო:
 ავეანდათა სიმაგრენო, მე სად გძრევდი, სადავებო
 რამდენს მორჩი ბნელსბადესა, ახლა კიდევ სად ავებო?
 თაო ჩემო, სად მოჰკედები, ანუ ვისსა სამარებსა;
 თასა დახვალ ქვეყანასა, იარები სამ არებსა;
 მოშორდები მოყვარეთა; შენ ხარ ვისსა სამარებსა?
 სამყოფთაგან გააბეზრდი, კარსა გავლი გასარებსა!

დიდ პატრიოტობასთან ერთად პოემის გმირს ახასიათებს ნამ-
 დვილი გმირული, რაინდული ზნეობა. პოემის მიხედვით, გიორგი
 სააკაძე უპირველესად გმირია — უბადლო, უშიში, შემმართებელი,
 ძლიერი:

- ვინ მიცნობთ, ბრძანეთ, თუ ვიყავ ერთის კაცისა დარული...
- მართო მე რაც ვჰქენ იმ დღესა, თუ ის შეეძლოს გმირებსა?
- ერთს ახნაურს ვის უქნია ჩემოდენი ხლმისა შენით?...
 — ერთს კაცსა არვის შეეძლო საქმენი ჩემოდნობანი...
- რაცა შეეძელი, ერთს არ ძალუც, არ გამოვა არვისაგან...
 შუბის წვერთა რკინა ექმნის, გული ჩემი არვისაგან...
- ზოგჯერ უქნელი საქმე ვჰქენი, გავტეხი რაზმი წყობილი...
 სად მოვთვალო ჩემი ბრძოლა ანუ ომთა ჰირნახული?
- სისქეს რაზმს შუა ებრუნევი, არა თუ განაპირებსა?
- რაც საქმე შეეძელ ქვეყნისთვის, თქვით, თუ ვის გაუხედავსა?
- სად მიუხდი, სად ებრძოდი, რის მთებს ვიქედი გარდასული...
- გახსონთ, ოდეს ჩემნი ხმანი, თუ ჯარს როგორ განარევდეს?..

მაგრამ უბადლო გმირი მხოლოდ თავის პირად მხნეობაზე და
 ფიზიკურ ძალაზე არ არის დამყარებული, გაბედულობასთან ერთად
 მას სწამს ჭკუა და წინდახედულება:

- არც ნამეტნავად ის ვარგა, მირობოდეს დაუხედავად,
 ლაღობით წახდეს ბოლოვამ, მტერს ვეღარ ექმნას მედავად...
- კაცი რომ იყოს სიმაღლოთ გოლიათ, დიდად გორებით,
 მრავალ მებრძოლთა თავები მას ექმნას განაგორებით;
 კიდევ მაშინც სჯობს საქმენი ჭკუით და მოსაგონებით!
 თქმულა: მოცდა ხამს ეამისა, არა თუ განაგორებით!
- გჰთქვი, ჭკუით საქმე მოგვარდეს, სარდლობა ამას ჰქვიანო?

იგი მთელ კოდექსს იძლევა ზნეობისას, თუ როგორი უნდა იყოს
 გმირი ცხოვრებაში:

როდეს გასჭირდეს საქმისა, კაცი ხამს გამაბედავად,
 საქმეს მოახდენს კეთილად, თუ სულ არ არის ბედ ავად;

თუ კაცი იტყვის გულშია: „მტერს რომ შევება ომებად,
 ვაი თუ იმან მაჯობოს, მე ვიყო ცუდათ შრომებად,

ის არის სპითა მრავლითა, მე ცოტა გვარ და ტომებად—
ვერ ვემოწმები, იცოდეთ, არ არის ომის მდომებად!

მას ვემოწმები, რომელიც იტყვის: „გავსწიროთ თავი და!
დღეს უომარი არ დავდგე, კარგი მოჰხდეს თუ ავი და;
ანუ მტერს ვსძლიო, შეუმუსრო, ან ვიქმნე გასათავი და!
კარგს კაცს ვეძებდე საომრად, რომელმაც მთხოოს თავი და!

კაცობა გწადს—მზასა გქონდეს მიწყით შენი საომარი,
რა ხმა გესმას რაზმთწყობისა, მით არ იქმნა შესაზარი!
სიკვდილს ვერვინ ასცილდების, რომ არ ექმნას მოაქმა, ზარი,
ავს სიცოცხლეს სახელი სჯობს, გინდა ეპკრას რომ ხაზარი!

ზოგი კაცი დაღონდების, ვერ გაბედავს ვერას ვერა;
ვირემ მტერი არ წაახდენს, კაცთა რჩევას არა სჯერა,
რა რომ მტერი კარს მოგადგეს, ნულარა გაქვს გულის ძგერა,
მას კაცობა, ხელთ შერჩების, ვის აქვს მტრისა მალ შეძგერა!

გმირულ თვისებებთან ერთად სააკაძეს ახასიათებს გულწრფელი მეგობრობისა და ამხანაგობის გრძნობა; უპირველესად ის „ამხანაგ-თათვის მარგია“:

- სად რომ საქმე გაგვიპირდეს ამხანაგთა ვიყავე მშველად...
- ამხანაგს და მიღმა ბრძოლსა ბევრჯერ სადმე მე ვეკეთი...

მას უყვარს „ამხანაგთ კარგ მეგობრობა, მიცემა, დაუშურობა, კარგ კაცთა წყობა ალერსი“... ამხანაგებთან თავმდაბალია, — როგორც ნამდვილი რაინდი, — მოკრძალებული და სათნო:

ამხანაგთა ვსათნობდი, ვიყავე კრძალვით, მომარიდად,
მიღმა წყენა არვის ვკადარი, ვთავმდაბლობდი მყუდროდ მშვიდად...

მისი დამახასიათებელი რაინდული თვისებაა ამხანაგობა ყოველგვარი შურის გარეშე:

- რომ ინდომო ამხანაგი, არა გქონდეს კარგ კაცთ შური!
თუ გინდოდეს თავი შენი, შენც ინდომე ამხანაგი,
ცეცხლი მისთვის მოდებულნი, აგრევე იყოს შენთვის დაგი,
ამოსწოდო მისთვის ხმალი, არ თუ ჭარქაშს ადრე აგი,
თუ გაიჭრა სამყოფთაგან, თავი მისთვის გარდააგი!
- რაც თვის თვის სწადდეს, მოვერისთვის კელავე მას აჯობინევდეს,
- ცრემლთანა ცრემლი დაღვაროს, მოხარულთანა ლზინობდეს,
სწყუროდეს, მანცა იწყუროს, თუ დათვრეს, ისიც ღვინევდეს,
ჭირთანა ჭირი იტვირთოს, სევდასთან მოიწყინევდეს.

კაცმან კაცს გული მიანდოს ერთ პირად დასაძინებელად,
მას მისთვის ცრემლი სდიოდეს უწყვეტლად, გაუშრობელად,
მისთვის ხმალს ხელი ანებოს მტერზედა დასაშრობელად,
თავი გასწიროს საკვდავად, სანთლურებ დასაძინებელად!

გიორგი სააკაძე, როგორც რაინდი, მოტრფიალეა ლხინისა, მას უყვარს „ლხინთა ნახვა“:

- ლხინს და გაცემას, აღერსა, მიქებდეს სიიფეთა!...
- ლხინი და შებება უღრუბლო, მქონდა მზის შუქი დარული...
- სტუმართა სუფრა წინ ედგის, მის მის დროს აუღებელი...
- მომღერალთ ლხინი, თამაშა იყვის სულდაულებული...
- ლხინი, ზმა, სიტყვის გაგონა, მქონდა მუდამად პურობა...
- დაჯჯდი და ლხინსა ვემოყვსი, არ მქონდა სიმარცხენია...

ლხინში მას უყვარს სტუმართა დასახუქრება, „გაცემა“:

- ვინ დამეთხოვოს, წავიდის, არ დარჩის წაუღებელი!
- უხვი მით მქვიან, ერთ დღესა ვარ ქართლ-კახეთის გამცემი...

და, ბოლოს, დიდ მოურავეს, გმირსა და რაინდს, პოემაში სამართლიანობა და მოუსყიდველობა ახასიათებს:

ვის სამართალს ქვეშ დაუჯდი, მკირს უთვალღებო ბკობანი.

გმირობის და მამულიშვილობის ყველა იდეალთ აღქურვილი სააკაძე იმ დროის ზნეობრივი დაცემის დროს („რამეთუ გამრაველდა სიბოროტე“) ავტორის მიერ დასახულია, როგორც სპეტაკი პიროვნების მაგალითი ზნეობაშეშლილი ფეოდალური საზოგადოებისათვის, რომელსაც ასე სჭირდებოდა ამალღებული პიროვნება.

და, ბოლოს, სააკაძის პიროვნების პოპულარიზაციის ერთი მთავარი მიზეზი, იოსებ ტფილელის სიტყვით, სააკაძის მიერ დაბალი ფენების მფარველობა ყოფილა:

დაბალს კაცს ბევრი შევმატი, არ ვუყავ მეტად მცრობანი!

XVII საუკ. ქართული ფეოდალური საზოგადოების საერთო დემორალიზაციის დროს, ფეოდალების სასტიკი მტარვალობის, „ყმის გაგლეჯის“ დროს, ავტორის სიტყვით, გიორგი სააკაძეს ახასიათებდა არათუ ჰუმანური მოპყრობა „დაბალი კაცისადმი“:

ყმის სამსახური სამართლით, არავის უსჭირდა ძალობა, ¹—

არამედ დაბალი ფენებიდან ლირსეული ადამიანების წან წამოწევა:

¹ 1620 წლის განჩინებაში გიორგი სააკაძე ჩივის თავისი ერთგული ახნაურების აკლებას მისი სპარსეთში ყოფნის დროს: „ქაიხოსრო (ჯავახიშვილმა) ხუთი ჩემი მსახური და ახნაურიშვილი დააბეზლა ბატონს თეიმურაზთან: ერთი ცალკალამანიძე, მეორე ჩივაძე მახარებელი, მერე მესამე ხოსიტა, მეოთხე ადოლა და შვილითა და მეხუთე ქვლივიძე მათია დააჭირვინა ცოლითა და შვილითა და დაატყვევებინა და რაც ებადა, წაართმევინა“ (საქ. სიძვ. II, 55).

ვისაც რამ კარგი შევატყვი, კაცობის ჰქონდის ხალისი,
ცხენ-იარაღით შევეამყვი, ძველი ქნის მან ახალ ისი,
დღეს ერთი გამოვაჩინი, მოვკაზმი მერმე ხვალ ისი,
კაცობის სწავლას ელტვოდეს, ვით ოქრო დავახალისი!

- მაშასადამე, „დიდმოურავიანი“ გვიდასტურებს, რომ სააკაძე ეყრდნობოდა ახალ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც „დაბალი“ სოციალური წრეები—ლარიბი აზნაურობა და ნაწილობრივ გლეხობა შეადგენდა.

პოემის მიხედვით, სააკაძის გმირ თანამებრძოლებს—აზნაურთა და უსახელო გლეხების გუნდი შეადგენდა:

როსიტა კგედევანის¹ ძე—ერთგული, თავადებული,
დემეტრე საგინაშვილი—იყო ჩემთა ხლებული,
მათარსი შიხაიდრიძე—ჭკუისა მქონე, ცნებული,
პაპუნა ვაშაყაშვილი—ჩემთვის მკვდარ, თავწამებული. (231₁).

პოემის სხვა ადგილებში მოხსენებული არიან: პაპუნა ჩივაძე (119₁), გოგორიშვილი დაუთ ბეგ (233₁), თამაზ ქარციძე (256₁), ლომი ჩრდილელი (196₁), მსახური ინაშვილი (248₁)¹ და სხვ. ეს ის ხალხია, რომელთა მოხსენებას ოფიციალური ისტორია უკადრისობდა.

გიორგი სააკაძე იყო ამ ახალი სოციალური წრეების მისწრაფებების მედროშე და ორგანიზატორი. გიორგი სააკაძის ორგანიზატორული მუშაობა თავის სოციალურ წრეებში, თუმცა სხვაგვარი მოტივებით, გადმოცემული აქვთ სხვებსაც, მაგ. ვახუშტის: „ესე (მოურავი.—გ. ლ.) ნიადაგ თვითეულთა კაცთა ფურჩენიდა და არა დასცხრებოდაო“.

სააკაძის მომხრე სოციალური წრეების ვინაობის გასარკვევად საინტერესო ცნობას გვაწვდის პლ. იოსელიანი: „Словом ფურჩენად, употребленном в грамотах многих жалованных царями внязьям, определялось право умножения лиц при особе, укреплявшем их за собою дарованнем их земель, угодьев и звания. Этот класс народа стоял наравне с бывшими дворянами помещичьими с тем только различием, что последних возводил в звание сам царь, а первым жаловалось свободного состояния от князя вассала.“

Они избирались большею частью из людей свободных, бег-

¹ და ანტონ I კათალიკოსი: „მისცემდის ქართველთა თავადთა და აზნაურთა და განსდრეკდის მეფისაგან და ერთგულებად თვისად მიიყუანებდის ვივითამდე ქართულთა“. ...„(იყო)—მეცადინ თვისდამი მიდრეკად გულნი ყოველთა ქართულთანი და განდრეკად მეფეთაგან და არა დაჰსცხრის ესე გუართაგან დრკულთა მეცად ინობათაო“ (იხ. დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათია, გვ. 327).

ლხ იმ დაბნეულ მდგომარეობაში, რომელიც იმ დროს იმპერატორის მხრიდან იმპერატორის მიმართ იმდენი სიძულვილი იქონიებდა, რამდენი სიყვარულიც იქონიებდა იმპერატორის მიმართ. და იმდენი სიძულვილიც იქონიებდა იმპერატორის მიმართ, რამდენი სიყვარულიც იქონიებდა იმპერატორის მიმართ.

ასეთი უნდა ყოფილიყო სოციალური წრე გიორგი სააკაძისა, მის მიერ შემოკრებილი „დაბალი“ ხალხის ღონიერი ბანაკი, რომლის გამო მეფე და ქართლის ოლიგარხია ჩიოდა:

მან ჯარი დაიხვია, არ ეტევის მინდორ ველად,
თავს არ გვიდებს საპატრონ ყმოდ, წყალობისა არ მადლმხელად!

ტფილელის პოემის მიხედვით, ეს იყო მთავარი ბრალდება, გიორგი სააკაძისადმი ფეოდალური არისტოკრატის მიერ წამოყენებული, და არა ბრალი სამშობლოს ღალატისა, რასაც ახვევენ თავზე გმირს შემდეგდროინდელი მეისტორიენი. მთელი პოემა დაწერილია იმ მიზნით, რომ აეტორმა, კარგად მცოდნემ სააკაძის ცხოვრებისა და განზრახვებისა, სწორედ ამ ბრალდებიდან გაათავისუფლოს გმირი და არათუ ახადოს ბრალი, პირიქით, მკვერმეტყველურად დაამტკიცოს ვასალის ერთგულება სუზერენისადმი: გიორგი სააკაძის თავდადება მეფეებისადმი, კერძოდ, თეიმურაზ პირველისადმი.

ეს არის პოემის ცენტრალური მომენტი.

ამავე დროს, ამ სტრიქონებში გამოხატულია მთავარი მოქმედება და მოღვაწეობა სააკაძისა, როგორც ძალამომარებელი ახალი პოლიტიკური დაჯგუფების ბელადისა და ორგანიზატორისა.

თვით გიორგი სააკაძე სოციალური წარმოშობით აზნაური იყო;

— ერთ აზნაურს ვის უქმნია ჩემოდენი ხმლისა შენით!

— ვეპე ზოგ თავდასაც მოსწადდეს ჩემებრივ აზნაურობა!

და ქართულ ფეოდალურ იერარქიაში ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი, როგორც ათქმევინებს ტფილელი ლუარსაბ მეფისადმი:

მოყვრობა თქვენგან დიდთ კაცთა წესისა,
ყმა არვინ არის სხვა ჩემგან უმრწემესისა.

ბუნებრივია, რომ განდიდებულ აზნაურთან—გიორგი სააკაძესთან, როგორც ძლიერ მფარველთან—

...აზნაურშვილნი მოვლენ თამამად, ხმიანად.

„ღიღმურაჲიანის“ მიხედვით, სააკაძის პიროვნების ტრაგედია გამოწვეული იყო მისი სოციალური წარმოშობის მიზეზით. ეს მთა-

ვარი მუხლია სააკაძის პრობლემაში. სააკაძე ამოღდა თავისი პირადი მხნეობით, თუმცა მისი ოჯახიც ცოტა ადრევე ყოფილა დაწინაურებული იმავე მიზეზით.

დიდგვაროვან დიდებულთა წრემ იუკადრისა გმირობითა და სახელმწიფო ნიჭით გალალებული აზნაურის წინ წამოწევა და მეფეს დაუინებით მოსთხოვა მისი ფიზიკური მოსპობაც კი.

დაუყინეს, თუ რას გარგებს, აბა გყვანდეს მარტო ისი, გვერცა არეინ მოგიდგებით, შემოგძარცოთ ძმა და თვისი, ერთი კაცი ქვეყნისათვის წახდეს კარგი, თუნდა მქისი¹.

ფაქტიურად აქ საქმე გვაქვს დიდ სოციალურ კონფლიქტთან, ჯერ კიდევ XVI საუკუნეში აღორძინებულ, და ახლა უკვე გამაგრებულ, აზნაურთა და „დაბალი“ ხალხის დიდი პოლიტიკური გავლენის შეჯახებასთან ფეოდალური ჰეგემონიის მხრივ.

გიორგი სააკაძე ამ ახალი პოლიტიკური ძალის მედროშეა, მისი საზოგადოებრივ-მორალური იდეების მატარებელი. სწორედ ამ მხრივ არის დიდად საყურადღებო სოციალური ტიპი გიორგი სააკაძისა, რომელიც დაუნდობლად გასწირა ამ ახალი ძალის პოლიტიკურმა უორგანიზაციომამ.

გვაძლევს რა, ამგვარად, ძვირფას ისტორიულ მასალას სააკაძის ენერგიული ბრძოლის შესახებ ქართულ ფეოდალურ არისტოკრატისთან, პოემის ავტორი, ამავე დროს, ამელანებს საკუთარ იდეოლოგიასაც, ცხადია, სრულიად თანხმოვანს აზნაურულ მისწრაფებებთან. მძლავრი ნაკადი დემოკრატიულ-აზნაურული იდეოლოგიისა ენერგიულად გასდევს პოემას თავიდან ბოლომდის იმდენად, რამდენადაც დიდი მოურავი გიორგი სააკაძე აზნაურთა და „დაბალი“ ხალხის ბელადია და ორგანიზატორი. პოემაში შემთხვევითი არაა იმ დროისათვის მეტად გაბედული ტირადა:

ზოგს ბაგრატოვანთ ასრე სჭირს, არ ახსონთ სამსახურია,
რაგინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია!

ეს მწარე სიტყვები დიდი ხნის დაგუბებული იყო აზნაურთა ფენებში. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი უფრო პესი-

¹ „ტფილელთან ერთად ანტონ I კათალიკოსიც მოწმობს, რომ გ. სააკაძე იყო „აზნაურთაგანი“, იოანე ბატონიშვილის (1770-1830) ცნობით, — „არა ეგრეთ წარჩინებულთაგანი“.

რასაკვირველია, არ არის მართალი მარი ბროსე, როდესაც ამბობს, რომ აზნაურობა სააკაძეს რამდენიმე წლის წინათ მიეღო“ (საქ. ისტ. II, გვ. 20) და, მით უმეტეს, შუესაბამოა ცნობა სომხის მეისტორიეს არაქელისა: „კაცი ესე მოურავი არ იყო თვით შვილი აზნაურისა და თავადისა, არცა გამორჩენილის გვარისაგან არამედ იყო დაბალი გლეხის გვარისაგან“ („ივერია“, № 1885, № 7, გვ. 25).

მისტურად არის განწყობილი თავისი კლასის გამარჯვებისადმი და მისი იდეოლოგია სრულიადაც არ არის ბრძოლად მომწოდებელი.

„დიდმოურავიანი“, უპირველესად, XVII ს. პოლიტიკურად წინ წამოწეული აზნაურობისა და „დაბალი“ ხალხის თვითშეგნებისა და თვითდამტკიცების საუკეთესო მაჩვენებელია.

* *

გმირი და პატრიოტი, დანაწილებული და დაშლილი საქართველოს სხეულის გამთელებისა და აყვავების მოსურნე, ცხადია, ვერ იქნებოდა მოღალატე. ამიტომ ავტორი აბათილებს დიდი მოურავის ფეოდალურ ოპოზიციონერთა შეხედულებას, მათ მიერ უსამართლოდ გავრცელებულ ბრალდებას გიორგი სააკაძის მოღალატეობის, „მეფის და ქვეყნის ორგულობის“ და „დიდების მოყვარეობის“ შესახებ.

ერთი მთავარი მიზეზთაგანი XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური უბედურებისა იყო ფეოდალური სეპარატიზმი, დიდებულთა დაუმორჩილებლობა ცენტრალური ხელისუფლებისადმი და მათი მუდმივი შფოთი. სააკაძესაც ამ ფეოდალურ განდგომილებას სწამებდნენ: „ან ჟამებთა შინა განმკვიდრებულ იყვნენ მთავარნი და დაეპყრათ ხეენი და ხეობანი თვისად და უმეტეს ყოველთა სააკაძე გიორგი, მოურავი ტფილისისა, ქრცხინვალისა და დვალეთისა“ (ვახუშტი, 1885 წ., გვ. 53). ჩვენი ავტორი კი პირდაპირ დიამეტრალური აზრისაა, პოემაში გიორგი სააკაძე აბსოლუტური მონარქიის იდეისთვის თავგანწირულია:

- მე მეფეთა ორგულობა არა მთქმია არვისაგან...
- მე, მეფეო, შენთვის დაედე თავგანწირვით ტკბილი სული...
- თქვენთვის ვსძრევდი მე, მეფეო, თავსა, გულსა, ტანსა!...
- თავს ვტყყოდი სამუდამოდ ვის გუერც ახლავხარ?
- მას აამე მეფეთ წინა სამსახური მე მინდოდა ყოველთვის დიდად!
- ...არ ჰყო მეფის მოსამდღური...

პოემით, გიორგი სააკაძის ერთგულება მეფისადმი იქამდის მიდის, რომ მოურავი სიკვდილის დროსაც კი ანდერძად ტოვებს მეფისადმი ერთგულ სამსახურს:

რადგან მე დავრჩი შორგვარად, თქვენ ხელმწიფესა ამენით!

ბოლოს მას, როგორც ერთგულ კარისკაცს, თავისი დაღუპვა არად მიაჩნია, თუკი მეფე კარგად იქნება:

თუ მე გარდავხდმე, პატრონო, თქვენცა ნუ დაესრულებით!

პოემის ავტორი მატარებელია ვასალური ერთგულების იდეისა და მის გმირს ღრმად სწამს, რომ მემამბოხე ყმა, ვასალი სუვერენზე თავის დღეში ვერ გაიმარჯვებს:

- ბრძანება არის, ბატონზე ყმასა არ გამარჯვებია,
ბატონი რომე ტყუოდეს, ისრეე ყმას დამარცხებია!
პატრონზედ ხმალი არ გაჭკვეოს, ამით ვარ უიმედია!
- პატრონის ხამს გამარჯვება, პირველვე ვპთჳვი სიტყვა ძველად.
- როცა დაწერეს პირველად, იქნების, არ ასცილდების,
პატრონის შებმა არა ხამს, ყმას ხმალი. გაუცივლდების;
რაგინდ ყმას ბევრი ჯარი ჰყვეს, ცრემლი იმასვე სდინდების!
- ყმა არ უნდა პატრონისა, ბრძოლისა და შებმის მდომი!
თავს მოლაღავს, ან მოკვდება, ცუდათ არის მკლავის მშრომი.
- რასაც კაცი პატრონზედ იქს, სადაც წავა, წინ დახვდება!

და ასე გვიხატავს პატრონყმის იდეალურ ურთიერთობას:

პატრონყმობა განა ჩვენგან, იცით, ზეცით დასახულა!
როგორც ყმისა სამსახური, ყმა პატრონთან შენახულა,
უბრალოს ყმის წახდენანი, პატრონზედაც მწვე ძრახულა!

ამ შემთხვევაში ავტორი, ვასალური ერთგულების იდეოლოგი, ამ იდეის განმტკიცების სასარგებლოდ თვით პატრონისაგან, სუ-ზერენისაგანაც თხოულობს აგრეთვე სამართლიანობას, „უბრალო ყმის“ ზიმართ.

ტფილელის აზრით, სააკაძე არათუ ერთგული მომხრე იყო ცენტრალური ხელისუფლებისა, მეფისა, არამედ თავდადებული მებრძოლი და პრინციპული მომხრე მეფის უფლებისა, კერძოდ, თეიმურაზ პირველისა:

რომ მასშია, ასრე თქმულა პატრონისა კვლავ სიამე,
რაც უბრძანოს—აღასრულოს, არ იკენოსოს, არც თქვას: „ვამე“.
მოახსენოს: ხემწიფეთ, შენთვის დღენი გავიწამე,
რაც მიბრძანო სამსახური, წავაკვდე და წავეწამე!“
გვმართებს, რომე მეფეთათვის სიმხნითა ვპქნათ კვერთხის რგვანი;
სად გვიბრძანოს, მივესივნეთ, სიგრძის გზა ვლოთ, ანუ განი.
თავს სახლვარი ეს დაუდვა, ვერვინ იყოს ჩემი მგვანი,
არ ავმალდეთ თავდაბალნი, სიტყვაჴარ ვთქვათ შეუგვანი!
რაც გვიბრძანოს, თავს შევიდვათ, ადრე გვმართებს დაჯერება,
მას ვმონებდეთ, არ გარდვიგდოთ პირიდამე მისი ქება,
წაუწყმედლად ყოვლის გზითა გავათათ პატრონთ ნება...

იგი მეფეს დიდი მოწიწებით და სასოებით შეჰყურებს, მხნეს და გმირს მეფე თეიმურაზს ის ყველაზე მალა აყენებს, მასთან შედარებით თვისი ვაჟკაცობის უღირსობასაც კი გამოთქვამს:

- ბატონს რა ვკადრო, თვარ მტერთა ადრე მოუშლი ბაქებას...
- ბატონისას კი არ ვპღირსვარ, სხვა მტერთ ვაჩვენო ძალია...

- სხვას კაცს კი არ შევიდარებ, თქვენი არა ვარ ნაწილი!
- ტყუილს არ ვიტყვი, თქვენებრივ ვერ ვისი ვნაყ ვინაობა!..

და, ბოლოს, თუმცა ჩვენი ავტორი იზიარებს სხვაგვარ მოსაზრებებს მიერ წაყენებულ მთავარ ბრალდებას სააკაძისადმი, სახელდობრ, მის გაქცევას ერანში, შაჰ-აბასთან და ათქმევენებს სინანულით:

ესე მეც ვიცი, იქ წასვლა ვერა ვქენ კაის მცნებითა,
დგომა და წასვლა,—ორივე შემქმნია ბოლოს ვსებითა!

და თუმცა ის წამოვიდა ქართლზე შაჰ-აბასის ლაშქრით, მაგრამ არა როგორც მოლალატე თავისი სანშობლოსი:

წამობრძანდა და წამოვყვევ, ჯარნი შექნეს ხშირნი,
არ დამიჯერებთ, მოსვლისთვის გული მაქვს ასატირენი!..

ამნაირად, ავტორს სურს ახადოს სააკაძეს მოლალატეობის ბრალი, თვით ამ დანაშაულებრივ მომენტშიც გვიჩვენებს მის დიდებულ სიყვარულს სანშობლოსადმი. ერთი სიტყვით, ავტორი ათავისუფლებს გიორგი სააკაძეს, როგორც მეფის დაუმორჩილებლობის, ისე სანშობლოს ღალატის მძიმე ბრალდებისაგან.

იგი, პირიქით, მტკიცედ დარწმუნებულია თავის სიმართლეში. დიდი მოურავი გულნატკენია მეფეზე, რომ მან თავის ერთგულ ქვეშევრდონს არ დაუფასა თავდადება, ნამსახურობა,—გმირული სანხედრო და სახელწიფოებრივი მოღვაწეობა.¹ მთელი პოემა აღსავსეა წწარე საყვედურით თეიმურაზ მეფისადმი:

ბატონს ჰყვანდეს ერთგული ყმა, სიამოვნით თავს უდებდეს,
მტერს ებრძოდეს, დავსებულსა ცეცხლსა კიდევ აუნთებდეს,
რაც უჯობდეს, იმას ბჭობდეს, მებრძოლს მიღმა გაუგდებდეს,
საჭურჭლესა წარმოცლილსა სალაროსა დაუდებდეს!

რაცა სწადდეს, ის აამოს, დაერიდოს საწყინარსა,
ძმას და შვილსა თვით ხედვიდეს, მისთვის სთმობდეს ორსაც მკვდარსა,
მებრძოლს მიღმა მიიგებოს, იგ ჰხმარობდეს ხმალს და ფარსა,
დაფანტულსა წინ უძლოდეს უგროებდეს კარგსა ჯარსა;

პატრონის წყენა წყენად სჩნდეს, ლხინისთვის გაიხარევდეს;
სახელსა გამოაჩენდეს, უკადრის საქმეს ჰფარევდეს,

¹ გიორგი სააკაძის თანამედროვე როსტომ მეფე ერთგან (13956) აღნიშნავს, რომ „გიორგი მოურავი საქართველოზედ დიდად ნამსახური იყო“, სააკაძის მეორე თანამედროვე, მისი მტერი ქაიხოსრო ჯავახიშვილიც კი იძულებულია აღიაროს მოურავის დიდი სამსახური საქართველოსთვის „(თუ) ან ბატონის მოურავის თავს დასხმა და სიკვდილი გამომერჩიოსო და ან მისად სასიკვდილოდ წამოვსულოყავო, თავადამც ღვთის შემცოდე ვიქნებო და მერმე სრულად ქართველთა-ცოა“. ეს სიტყვები ნათქვამია თვით მოურავის სიტყვებში, 1620 წელს (საქ. სიძვ. 2,59),

საკვდავად თავი გარდადვას, როდეს რახმშიგან გარეედეს,
რაიგინდ სხვა რამ თქვან, მაშინცა მისსა ქებასა წარედეს!

ცოტა მიცემა დიდად სჩნდეს, მწვედ იყოს მადრიელადო,
თუ საწყენი რამ შეატყოს, თვალნი ქნას ცრემლით სველადო,
გასჭირდეს—ადრე ინალვლოს, მსწრაფლ იქმნას მისაშველადო,—
ასრე მანძია პატრონის მე სამსახური ძველადო!

არ დაიშურო, რაც გქონდეს, შენ იყო მის მიმართმეველი,
ცოტაც გიბოძოს ხარობდი, მით იყავ გამომართმეველი,¹
უსამართლოდ და ურიგოთ არვისი არ წამართმეველი,
საწყენის წყენის რიდება, არაა ჰქმნა უმართმეველი!

ეს ყველა მჭირდა, ისმინეთ მეფეთა ერთგულობანი,
დიდად შევმატი, ვარგებდი, ვისიც რომ მქონდეს ყმობანი;
ადრე მიემართი ბრძანებას, სადაც მიყვიან ხმობანი!

აწ მეფე ცუდად გამიწყრა¹ ან მე აღარ მაქვს ცნობანი!

არა მშურდა სასიკვდილოდ მე გარდმედვა თქვენთვის თავი,
აწ რად იქმენ, ხელმწიფეო, დღეთა ჩემთა გასათავი;
რა გერგების, ეს არ ვიცი, მომიშალოთ რომ სათავი?

დიდი მოურავის დალუპვა, პოეტის აზრით, „ავი ენით“ მოხდა:

... ავი ენაჴამათ გაპყრის, ქვეყნისათვის ეს არს ავი!

დასძენს ავტორი, თვით სააკაძეს მეფესთან საუბარში ათქმე-
ვინებს:

...„ავად ქნეს სხვათ ჩემი გარდაკიდება!

არაჩვეულებრივი ინტრიგები, „მაბეზლარობა“, „ავი ენა“, ქვე-
გამხედველობა, რითაც ასე განთქმული იყო XVII ს. საქართველოს
სამეფო კარი, პოეტს მიაჩნია აგრეთვე სააკაძის დალუპვის მიზეზად:

ზოგთ ბგრაბოვანთ ასრე სჭირს, არ ახსონთ სამსახურია,
რაგინდ რომ ბევრი ამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია,
მებაზლარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია.

მწარედ ჩივის პოემაში დიდი მოურავი.

„მაბეზლარების“, „ბოროტთა“, „ცუდი ენა“, „ქორის სიტყვა“
არა ერთხელ ისმის დიდმოურავიანში, როგორც მიზეზი სააკაძის
დალუპვისა:

¹ თვით მოურავი გიორგი სააკაძეც ერთ საბუთში ჩივის, რომ მას მეფეს-
თან „ბეზლობა დაუწყეს“. ერთ-ერთი დამბეზლებლის მოქმედებამ „ბატონი გამი-
წყრომა და ამ აღაგინა ცოლითა და შვილით დამკარგა, სასაფლაო და მონას-
ტერი დამაკარგინა და რჯულიდამ შემცვალა, სახლი, კარი და საქონელი, რაც
მამაპაპათაგან და ან ჩვენი მოგებული იყო, ყველა წამიხდა და დამიფორიაქეს და
ამაოხრესო“ (იხ. განჩინება მოურავის და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სხვადასხვა
მრავალგვარ სარჩელის შესახებ: „საქ. სიძვ“. II, 53).

- გვერც გისხენ მამბეზლარები, ჩემთვის ეს როგორ კარგია?
- ამხანაგთ მისთვის მიბეზლეს, იტყოდეს—კაცი ვარგია!
- ვინ მამბეზლებს ენა-ყბედი, მოაგონდა იმას ის რით?
- რას არგებდა მამბეზლართა ჩემი მოკვლა, აღსასრული?
- ეგებ მამბეზლარს კაცს შეეხვდე; ხმალმა ქნას სამართალია!
- ლაპარაკი, ცუდი ენა, ჭორის სიტყვა ამისივე!
- ამ საქმეთა გამბედავი, როგორც მოვჭკვდე ცუდით ენით!
- ავსა კაცსა ავი სიტყვა და ბეზლობა უჩანს უნჯად!
- არ დაატხოვო ცთომის გველმან, კიდევ ენა ასავსავით!
- ბოროტი და ავი ენა წყალს მღვრევს წმინდას, მას არევენ!
- გაეხარდათ მამბეზლართა, ვინც მყვეს გარდაკიდებულნი!
- მამბეზლარნი უწინ მე მყვეს დატუქსული, დაცემული

და, ბოლოს, სააკაძეს ხონთქრის კარი მოსწონს მისთვის, რომ „მის (ხონთქრის) წინ არ ძალუც მთქმელსა ამხანაგთ დაბეზლებისა“, სააკაძე ყოველთვის კარგად გრძნობდა თავის მტერს, მან იცოდა, რომ „ბეზლობას ვერ ასცილდების“. მაგრამ მამბეზლართა მტრობას იგი სთმობს ქვეყნის ინტერესებისათვის:

მეც შემეძლო ამხანაგთა მებაზლართა მტრობანი,
მაგრამ დასთმი, ყველას უყვი მიცემა და ფერობანი,
ამისთვის ვჭქენ, მე მინდოდა აოხრებულთ შენობანი-ო!

ასრულდა მისი წინასწარგრძნობა, რასაც იგი ლუარსაბ მეფეს უზიარებს მეფის მიერ მისი დის დედოფლად თხოვნის დროს:

ოდეს განხვენ დიდნი კაცინი შეგიკვეთენ დაგდებასა,
ჩემსა ცუდად დაქერასა და სუბუქად ავლებასა-ო.

ამნაირად, ავტორის აზრით, გიორგი სააკაძე დალუბეს „მამბეზლარმა“, „მოქიშპე“, „დიდმა კაცებმა“, დიდმა ფეოდალებმა, რომელთაც ვერ მოეთმინათ დაბალი ფენებიდან წამოწეული ადამიანის შესანიშნავი კარიერა; ფეოდალურმა არისტოკრატიამ წოდებრივი უთანასწორობის მიზეზით გასწირა თავისი დროის შესანიშნავი ადამიანი.

მიზეზად სააკაძის ტრაგედიისა იოსებ ტფილელს მიაჩნია, აგრეთვე, მეფე ლუარსაბის მიერ მოურავის დის შერთვა, სოციალური უთანასწორობა ამ ნათესაობისა,—იგივე კონფლიქტი ფეოდალურ არისტოკრატიასთან. პოემაში ავტორი არა ერთხელ აჩივლებს მოურავს:

- როდეს ლუარსაბ დამოყვრდა, ისიმც დღე არის შავია!
- ასრე მომიხდა ქორწილი, მეფის რთვა ჩემის დისანი!
- ბედმა მიყო უკულმართმა, მერმე ჩემ დამასულა!
- მან წამახდინა თავიდგან, აწ მომაგონდა ისევ და!

- ბედსა ვემდურავი და მერმე, ვაი, ჩემის დის შობასა!
- ბედსა ვეტყუადი, სოფელმან ნეტარ შენ მოგცა და რადა?
- მეფემან და სიძემ მკარგა, მდურვა მქონდეს სად ამ დისა?

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ „დიდმოურავიანის“ მიზანია გიორგი სააკაძის რეზილიტაცია და ჰეროიზაცია. პოეტი ალტაცებულა დიდი მოურავის პიროვნებით, მისი გმირული და რაინდული თვისებებით, ძალით, შემმართებლობით, კეთილშობილებით, ტახტისადმი ერთგულებით, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით, პატრიოტიზმით და ეროვნული შეგნებით.

პოეტი ემსახურება გიორგი სააკაძის საზოგადოებრივ-მორალურ შეხედულებათა იდეალიზაციას, მოსაეს დიდების შარავანდედით, გამოჰყავს საქართველოს დამხსნელად, ეროვნულ გმირად, პოემის იდეური კონცეფცია პატრიოტიკისა და ვასალური ერთგულების იდეას შეიცავს. ეს კონცეფცია მონოლითურია.

ცნობილია, რომ იოსებ ტფილელის დროს ცენტრალური ხელისუფლების კრიზისმა თავის აპოგეას მიაღწია. ვასალების მუდმივი განდგომა, ამბოხებანი, ლაღატი, კონდოტიერება, ხოლო, მეორე მხრით, განუწყვეტელი ლაშქრობანი მემამოხე ფეოდალებთან საბრძოლველად, სისხლიდან სკლიდა ქართველ ხალხს. ეს იყო დრო დიდი ფეოდალური ანარქიისა, როცა „მოიტაცეს მთავართა თვის თვისნი მხარენი ქვეყანა—ციხე-სიმაგრენი, სამეფონი და დაბნები“. ქართული ოლიგარხიის თითქმის არც ერთი წარმომადგენელი აღარ ემორჩილება მეფეს. ცენტრი განწირულებით იბრძვის ელემენტარული არსებობისათვის. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ თვით ჩვენი პოეტის ლიტერატურული მეცენატი, არჩილი, ექვსჯერ ტახტზე ასული ექვსჯერვე ჩამოგდებულ იქნა ინტრიგების წყალობით და, ბოლოს, იძულებული შეიქნა სამუდამოდ რუსეთში გადახვეწილიყო ემიგრანტად. ასეთივე მძიმე მდგომარეობაში იმყოფება არჩილის ძმა გიორგი XI, რომელმაც თავისი მეფობა მუდმივ ბრძოლას შეაღია ურჩ ფეოდალებთან და მათგან იძულებულმა სიცოცხლე დაასრულა შორეულ ყანდაპარში.

ასეთ პოლიტიკურ პირობებში სასახლის ერთგული კარისკაცი, ლეგიტიმისტი იოსებ ტფილელი, პრაქტიკული საქმიანობითა და პოეტური სიტყვით ემსახურება არჩილისა და გიორგი XI დინასტიურ უფლებათა განმტკიცებას და სასახლის დაკვეთით დაწერილი ტფილელის დიდმოურავიანი უპირველესად მხატვრული ავითაციაა, პატრიოტული პროპაგანდა ტახტისა და პატრონელობისა.

სწორედ ეს არის მთავარი სტიმული „დიდმოურავიანის“ დაწერისა. და სწორედ ამ მიზეზით აიხსნება ის კომპრომისიცი, რომ

ბერი-პოეტი ბედავს საერთო პოემის დაწერას იმ ეპოქაში, როდესაც თვით საერო პოეტები თავის საერო ლექსებისა და პოემების წერის გამო წინასწარ ბოდიშს იხდიდნენ სინანულის ცრემლის ღვრით ეკლესიის წინაშე და უთქმელად აღიარებდნენ სასულიერო პოეზიის პრიორიტეტს (გაიხსენეთ თეიმურაზ პირველი, არჩილი, სულხან-საბა და სხვ.).

რასაკვირველია, ეკლესიური მორალის თვალსაზრისით იოსებმა „დანაშაულობა“ დაიმსახურა ეკლესიის წინაშე „დიდმოურავიანის“ დაწერით (და, ცხადია, ამ მიზეზით არის, მაგ., გამოწვეული ანტონ I კათალიკოსის სასტიკი რეზუმე იოსების მწერლობის შეფასების დროს: „დაშვრა ამოათათვის“). მაგრამ, როგორც დავინახეთ, იოსებ ტფილელს თავისი ლიტერატურული „ცოდვა“ თანამედროვე საზოგადოებაში იმ დამსახურებით უნდა გამოესყიდა, რომ მისი პოემა პატრიოტული ემოციების გამომწვევი და გამღვიძებელი იყო, მლალადებელი მეფის უფლების განმტკიცებისა და პატრონყმობის იდეალებისა, რაც „დიდმოურავიანის“ დაწერის უმთავრეს სტიმულს შეადგენდა.

მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საერო პოემა „დიდმოურავიანი“ დაწერა პოეტმა მღვდელმთავარმა იმ ეპოქაში, როცა ეკლესიის ორგანიზაცია, მისი ავტორიტეტი ქვეითდება, როცა ჩვენში სასულიერო მწერლობა, სასულიერო მხატვრობა ეცემა, ხოლო ცხოვრებაში სასულიერო მიმართულებაზე იმარჯვებს განახლებული, ადამიანის საერთო იდეოლოგია.

ცნობილია, რომ საერო კულტურის აღორძინებას, ცხოვრების სათავეში მის მოქცევას და სასულიერო მწერლობის კრიზისის ერთხმად აღნიშნავენ XVII ს-ნის პოეტები.

ჯერ კიდევ თეიმურაზ I ამბობდა:

უკლებლად სწერეს მამათა იგი წმინდანი მცნებანი,
არეინ იკითხავს წიგნებსა, შესწყინდეს ცუდად დებანი.
მას არეინ ისმენს, ვარჩიე სოფლისა მიდ-მოდებანი!
არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა;
არ მიკვირს, რომ დაივიწყეს შემოქმედი მისგან ქმნულთა?
განკითხვა და საუკუნო, არც სიკვდილი უძეს გულთა,
უნახავთა არა მიკვირს, ბრძენთა მიკვირს მონახულთა!
თუ საღმრთო რამე მესიბრძნა, შიგ არეინ ჩაიხედვედა,
რა ეს ლაყაბი შევკრიბე, ყველა ნახვასა ბედვედა,
არა ესე სჯობს,—არ ესე!—სიცილით ყველა ყბედვედა!..

თეიმურაზის სიტყვებში მშვენივრად არის გადმოცემული XVII საუკუნის ქართული საზოგადოების ინდიფერენტიზმი სასულიერო

მწერლობის მიმართ და იმავე საზოგადოების ენთუზიასტური ლტოლვა ეკლესიის მონობიდან განთავისუფლებული საერო პოეზიისადმი.

მეორე დიდი წარმომადგენელი XVII ს. ქართული პოეზიისა— არჩილი აცხადებს:

საღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით,
საშაიროს ინახევდენ სტავრის ბუდით, ან ნახლობით!

ამასთანავე შენიშნავს ახალ მიმდინარეობას მწერლობაში, ანუ მისივე სიტყვით, „ახალ წესს“, როდესაც ამბობს:

უმჯობესი დაივიწყეს, წესის რასმე აწ ახლობით.

მაშასადამე, „დიდმოურავიანის“ დაწერა მღვდელმთავრის მიერ, ამავე დროს, დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ეკლესიური მწერლობის დაქვეითებისა და საერო მწერლობის აღორძინებისა, რასაც აღვილი ჰქონდა ისტორიულად XVII საუკუნეში.

* *

პოემაში მეტად შესამჩნევია კლერიკალურ-ეკლესიური მორალის ბრძანებლობა. ავტორის—მღვდელმთავრის სიტყვით, გიორგი სააკაძეს—წირვა-ლოცვის მომსმენელს, მუდამ „ლოცვითა ცრემლი რცხენია“. ლოცვის დროს მას უყვარს „ცრემლის დათხევა საყელო ჩამოდინამდის“.

თუ სულსა რამე უღვაწოთ, ყველას ეს უკეთესია!
სულსა ჰხამს რამე უღვაწოთ, ყველას ეს უკეთესია.

გვიცხადებს პოემის გმირი და ლაღადებს:

- მას ვმონებ, ვაქებ, ვადიდებ, ვინ რომე მიწა მასულა...
- ძალს იგი გაძლევს, ვინ არის ყოველთა უხვად გამცემი...
- მარხვა მწადდა ვედრებითა...
- არ მინდოდა წასახდენად, ხორცსა გარდა კიდევ სული... და სხვ.

ჩვენ წინ დგას ჰეშმარტი მორწმუნე ქრისტიანი, რელიგიურ ფანატიზმამდე მოწვენილი ადამიანი.

თვით სამხედრო დამარცხებასაც იგი კლერიკალ ქამთა აღმწერელივით „ცოდვას“ მიაწერს:

- ძლევა მათ მიხვდა, უფალმან ჩვენზე ივიწყა ბუნება,
აღარ მოგვეშორდა ის ცოდვა, რომ თან გვდევს გველის ცთუნება...
- შურითა მოხდა, ცდომისთვის, სამოთხეს შევა გველია...
- იმავე შურმან გამოხდა სამოთხიდან მამაჩვენი,
სარჯლად მოგვცა ეს სოფელი, სარკის მსგავსად მათჩვენი...

ავტორის პირით მოუწავი გიორგი სააკაძე უხვად ასახელებს, ზიბლიურსა და ეკლესიური ისტორიის სახელებს: მოსეს, იაზაბელს, იაკობს, რაქაელს, ნაბოთეს, ეროდიას, ჰეროდეს, ნათლის მცემელს, ევლუქსიას. ცხადია, ასეთი გატაცება ეკლესიური სახელებით, ეკლესიური იდეოლოგიით, უფრო ტფილელის მიტროპოლიტის რელიგიურ განწყობილებებს გვიმჟღავნებს, ვიდრე დიდებული მხედრის გიორგი სააკაძისას, რომელიც ეპოქის სარწმუნოებბრძენი, ნორმის გარეშე დაშორებული უნდა ყოფილიყო ქრისტიანულ კლერიკალიზმს.

აშკარაა, იოსებ ტფილელის პოზიცია არის ქართული ეკლესიის ოფიციალური შეხედულება, ხოლო მის რელიგიურ სენტენციებში უნდა მოჩანდეს კვალი თბილისის მიტროპოლიტის ქადაგებებისა, რომელთაც იგი არა ერთხელ წარმოთქვამდა ეკლესიის კათედრიდან.

ამგვარად, ავტორი—მღვდელმთავარი აშკარად თავს ახვევს პოემის გმირს საკუთარს, კლერიკალურ მსოფლმხედველობას, ამიტომ პოემის გმირიც—გიორგი სააკაძე დიდი ქრისტიანული სათნოებით არის აღჭურვილი, იმის მიუხედავად, შეესაბამება ეს ფაქტი ისტორიულ სინამდვილეს თუ არა...

ცხადია, ამ მხრივ დიდი მოუწავის პიროვნება, მისი სულიერი, ისტორიული სახე გადამუშავებულია ავტორის მიერ.

* *

პოემის კონცეფცია გმირულ-ტრაგიკულია. ტრაგიკული კონცეფცია მოსდევს პოემას თავიდან ბოლომდის. არსებითად პოემა მოგვითხრობს მართალი ადამიანის დაღუპვის ისტორიას. ამ ტრაგიკულობას თავისი გასამართლებელი საბუთიც აქვს. ესაა ბედი. ავტორი ფატალისტია, ბედისწერის მიმდევარი. ამიტომ პოემის გმირიც თავის დაღუპვას, თავისი საქმეების წარუმატებლობას, ბედს, განგებას აბრალებს:

- უკუღმართმა ბედმა მიყო, ეტლი ჩემი წაღმა წადგა...
- ბედმა მიყო უკუღმართმა...
- ბედმა მიყო, რალა გკადრო, აწ თქმის ეამი გადასულა...
- ვის რას ვაბრალებ, ეს ყველა ჩემი წერა და ბედია...
- მაგრამ ეტლმან არ გვიბედა, ვით ვიქმენით იმ დღეს მარცხით.
- რა მარცხი მოვა კაცხედა, ვის შეუძლიან ბრუნება?
- რა უკუღმა ჩარხი გადრკა წაღმა აღარ დაბრუნდების.
- ეტლმან ჩემან მამაგვარა ბედკრულობა ასათავი!
- შენვე მიგაქვს, ეტლო ჩემო, რაც შენგნით მაქვს მოცემული!
- სამსახურის საპასუხოდ შე ეს მომცა ეტლმან ბედად!

- ეტლმან მომცა ბედკრულობა, ნეტარ ყურსა ესმას ვისა.
- ბედი წალმა წაგრეხილი, აწ უკულმა დამეცარა...
- უბრალო კირსა არ მიმცემს, მე ეტლსა ამას ველთა.
- ...ბედო კრულო, უკულმართო, თავო ჩემო, განაქერიო...
- ... ბედსა ვემდურვი...
- ...ბედსა ვეტყვოდი...
- რა მოვა კაცხედ განგება, ეტლი არ ბრუნავს ბედადო. შუქურ ვარსკვლავი დახედების პირდაპირ შემომხედადო! ჩარხებსა ფრთები დასცივივის, ხემყოფი იქმნა, ქვედადო, დღეს მოეწურვის სხვისაგან გახდების უიმედადო!
- რადგან შენ გხედავ უბედოთ, დღე მე შემქმნია ბნელია...
- ბედი, სვე და გამარჯვება, იქნას კაცხე, რაც მოხდების!
- რაგინდ რომ თავი აწამო, მეტყვიან კიდევ ბედ ავსა!
- რაც სოფელმან ეტლად მამცა, ჩემთვის კიდევ მას არევედა!
- კარგსა კარგი არ ასცილდეს, ავსა ავად გარდაჰხდების!

პოემის გმირი პასიურად ემორჩილება ბედს:

გაძლების მეტი რაღა ხამს, რაც კირნი გარდამხდებიან.

პოემაში ავტორი არა ერთხელ გვიზიარებს თავის მსოფლმხედველობას, მორალურ შეხედულებებს, თავის პრაქტიკულ გამოცდილებას, საკუთარ დაკვირვებას სენტენცია—აფორიზმების სახით;

- მამაციისაგან ცუდია, თუ მუდამ რიცხავს შიშებსა.
- კაცს განუცდელსა სოფელი, იცით, რომ არ გაუშვებს!
- არვინ დავრჩებით უკვდავთ, ვინც რომ დედითგან ვიშვითა.
- ვეფხვსა ადვილ ვინ შეიპყრობს, ან ვინ შესწევდა ცას მარჯანას?
- ვინ იცის დილა რასა შობს,—თქმულა,—თუ ღამე მაკეა?
- რა უკულმა ჩარხი გადრკა, წალმა აღარ დაბრუნდების, რა დოვლათი კაცს მიუდგა—აღარსაით დაბრუნდების!
- კარგსა კარგი არ ასცილდეს, ავსა ავად გარდახდება!
- ავსა კაცსა ავი სიტყვა და ბეზლობა უჩანს უნჯად!
- ზოგი შეეფრფინავთ სოფელსა, ზოგთა დეწყვიეთ შობანი!
- კაცის გული ვერ გაძლება, ბევრი ვის აქვს—არ ეყოფა!
- სჯობს საყვარელსა მოყვარე, ესე ნათქვამად ძველია.
- ისევ გაწითლდეს სპილენძი, რაგინდ რომ ხშირად კალევედეს.
- ეს სოფელი ასეთია, არ დაინდობს კაცსა აროს!
- სოფელს სჭირს პირველ სიამე, საწუთროს პყრობა, შევბანი. რასაც ინებენ, გენებდეს, იტყვი, თუ მიყო მებანი, მაგრამ არა ქნეს მიყოლა, ვის ქონდა ჭკვა და მცნებანი.
- სამკვიდროს გაცდა ძნელია, ვინც დადგეს შესაშურვანი.
- კარგიც რომ კაცმან ბევრი ქნას,—მტერს მაშინც არ ეკეთება!
- ოსტატის არ ხვამს ტიღება, ვისა, შეგირდი ზღებია!
- იარად მოშლილ ჯაბანი რას ესერის, ყველა დასციდება!
- როდეს გასჭირდეს საქმესა, კაცი ხამს გამაბედავად.
- თქმულა: მოცდა ხამს ჟამისა, არა თუ განაგორობით.

- ავს სიკოცხლეს სიკვდილი სჯობს...
- რა რომ მტერი კარს მოგადგეს, ნულარა გაქვს გულის ძგერა!
- თუ კაცი კაცს აღარა სკვრეტს, მტრისაგან იში არ იგება!
- უმტრო კაცი არ იქნების, რომ არ ჰყვანდეს არა სითმე.
ჯაბანს კაცსა გულოვანი გაჰხდის, გვანდეს არა სითმე.
- ვერსით მოვრჩები სიკვდილსა, დღეს მოვა ხვალე ისეე და!
- თუ გინდოდეს თავი შენი, შენც ინდომე ამხანაგი.
- გაჭირვების დროს კაცს უნდა, რომ შერჩეს ჰკვა და გონება.
- კაცი გაბედავს საქმესა, თუ კარგს კაცთან აქვს ზრდილობა,
გოდოლშიგან დაფარულსა, დაგულვას სჯობს გახსნილობა,
- კაცს განუტდელსა სოფელი, იცით, რომ არ გაუშვებსა
და სხვ.

„დიდმოურავიანის“ სენტენცია-აფორიზმები ძველად ხალხში იხ-შარებოდა. გიორგი სააკაძის მკვლევარს ანტონ ფურცელაძეს თავის მონოგრაფიაში მოაპყავს ხალხში შეგროვილი აფორიზმები გადასული „დიდმოურავიანიდან“ და ზოგ შემთხვევაში გახალხურებულ:

- ბევრს თავადს მოუბილდება ჩემბრივ ახნაურობა.
- რაც კაცს თავისთვის უნდოდეს, სხვისთვისაც მას ინდომებდეს.
- კაცი გაბედავს საქმესა, თუ კარგს კაცთან აქვს ზრდილობა.
- ზოგჯერ მეც მითქვამს, თავისთვის, რისათვის დავიბადეო!
- ზოგნი შესტრფიან სოფელსა, ზოგთ დავიწყივით შობანი.
- ავსა კაცსა მათეზლობა მიაჩნია დიდ საუნჯედ.
- ზოგჯერ უქნელი საქმე ვქენ, მართომ გაესტებ რაზმები!
- გზას დამიგდებდნენ მებრძოლნი, ვერ მიბედავდნენ შებმას!
- კარგიც რომ კაცმან ბევრი ჰქნას, მტერს მაშინ არ ეკეთება!
- რა გიჭირდის, უკეთ შეესძლ; ასრე მქონდეს ომის ჩვევა!
- დარმან ჩემთვის მოიღრუბლა, აღარ არის მზინია,
ვიხედაც რომ სიკეთე ვქნე. მე შემექნა ზიანია ¹.

* *

„დიდმოურავიანი“ — მის მალალ მხატვრულ ღირსებასთან ერთად, — იმავე დროს, დიდი ისტორიოგრაფიული ნაწარმოებია.

როგორც ზემოთ ვთქვით, ტფილელის „დიდმოურავიანამდის“ არ არსებულა (გარდა სააკაძის ოსმალეთში გადახვეწვის ცალკე ამბავისა) არავითარი მთლიანი ნაწარმოები დიდი მოურავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. „დიდმოურავიანი“ ქრონოლოგიურად პირველი პოეტური და ისტორიოგრაფიული ნაწარმოებია გიორგი სააკაძის შესახებ.

¹ ანტონ ფურცელაძე, ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, გვ. 364, 1911 წ.

გადაქრით უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ იგი ყველაზე უადრესი ნაწარმოებია. იგი წინ უსწრებს ფარსადან-გორგიჯანიძის ისტორიას¹, ხოლო ე. წ. „პარიის ქრონიკას“ ანუ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების გადაკეთებას არათუ წინ უსწრებს, არამედ, როგორც თავის დროს გამოარკვია ივანე ჯავახიშვილმა, ჩვენი პოემა ერთ-ერთი შემადგენელი წყარო ყოფილა „პარიის ქრონიკისა“, რომელშიც დიდმოურავიანის ლექსები ზოგან მუხლობრივად-კი გარითმულ სიტყვა-სიტყვით არის შეტანილი (ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916 წ., გვ. 317-319).

ჩვენი მხრით, უნდა აღვნიშნოთ „დიდმოურავიანის“ დიდი ფაქტოლოგიური გავლენა ვახუშტის ისტორიაზე. დაკვირვებული თვალი უთუოდ შეამჩნევს, რომ ვახუშტის თხრობის მიმდინარეობა გიორგი სააკაძეზე „დიდმოურავიანიდან“ მოდის; რომ ვახუშტის თხრობა ტფილელის პოემის პერიფრაზაა.

აქ მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ ის ორი შეცდომა, რომლებიც ვახუშტის მოუვიდა „დიდმოურავიანზე“ დამოკიდებულებით, ტექსტის უგულისყურო წაქითხვით...

ისევე როგორც ტფილელი, ვახუშტიც სააკაძის ისტორიას იმავე ამბით იწყებს, როდესაც თეიმურაზ მეფის და მოურავის ქრცხინვალს-მდგომისას, მოურავმა მეფეს შუამავლად მროველი მიტროპოლიტი გაუგზავნა, რომ მეფე ჯერ გაჰკვირდა, მერე „ამცნო“ მროველსა გულდებულყოფა მოურავისა, რამეთუ არა რაი არს მონკიერება ჭმეფესა შინ“, რომ სწორედ ამ დროს მეფეს მოუტანენ ქართლში თათარხანის შემოსევის ამბავს. რაკი ქრცხინვალში მდგომი მეფისა და მოურავის დიალოგებს 1609 წ. თათარხანის შემოსევის ამბავი მოჰყვება და რაკი ვახუშტი ტფილელის თხრობას მისდევს, ამიტომ იგი შეცდომაში ვარდება და ქრცხინვალში მდგომი მეფე მას ლუარსაბი ჰგონია. აქ კი ტფილელის პოეტურ თხრობასთან გვაქვს საქმე. რაკი მეფე „ლუარსაბის სიკვდილს ადებდა“, აბრალებდა, მოურავმა გადასწყვიტა თავისი სარეაბილიტაციოდ და მეფეთადმი ერთგულების დასამტკიცებლად „თავიდამ“ („მაგრამ თავიდამ შეგკადრო“)... ეთქვა თავისი გმირული ამბები. მისი ერთგულების დამადასტურებელი;

შესთვალე: მეფე, ისმინე ეს სიტყვა გათავებამდი!

რასაკვირველია, შეუსაბამოა პლატონ იოსელიანის სიტყვები: „Рассказ про-
чих историков и особенно митрополита (იოსებ ტფილელზე ლაპარაკი) ос-
нован на повествовании Горгиджашдзева“. იხ. Жизнь Великого Моурави.

და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იწყებს იგი 1609 წლის თათარხანის შემოსევის ამბიდან, სადაც მან გასაკვირველი გმირობა გამოიჩინა. ვახუშტის კი ჰგონია, რაკი ეს შემოსევის ამბავი პოემაში მეფისა და მოურავის საუბარს მოსდევს, თათარხანის შემოსევა სწორედ ამ მომენტში მომხდარაო. სწორედ პოემაზე დამოკიდებულების წყალობით იჩენს ვახუშტი ასეთ უგულისყურობას, როდესაც ლუარსაბად გულისხმობს აქ „მეფეს“, რომელიც თვით „ლუარსაბის სისხლს“ ადებს მოურავს და რომელიც უკვე მოწამებრივად გარდავლინებულ ლუარსაბზე ამბობს:

მაგრამ მას მიხვდა სუფევა, ანგელოზნი ჰყავს მცველია.

მოვიყვანთ კიდევ ერთ დეტალს, თუ ჩვენს პოემაზე დამოკიდებულების წყალობით კიდევ რა შეცდომას უშვებს ვახუშტი. ტფილელის პოემაში სააკაძის მიერ ტბისში ქაიხოსრო ბარათაშვილზე თავდასხმის ამბავს (259-266 სტროფები) ზედვე მიჰყვება სააკაძის მიხდომა ქველ წერეთელზე (268--269). ვახუშტისაც სრული ასეთი თანმიმდევრობით აქვს აწერილი ორივე ეს ამბავი (იხ. 67). მაგრამ ტფილელი თუ ერთ ადგილას (259 სტრ.) ბარათაშვილს სახელად ქაიხოსროს უწოდებს, მეორე ადგილას, ლექსის კომბინაციის მიხედვით, მას შემოკლებულ სახელს „ხოსიას“ არქმევს, „ქაიხოსრო“ და „ხოსია“ ერთი და იგივე სახელია. ტფილელი გადმოგვცემს, რომ სააკაძე დაესხაო თავს ქაიხოსროს, მეციხოვნე თათრები დაუხოცა, ხოლო თვით ქაიხოსრო ანუ ხოსია დაიჭირა და თიკნაბერას ციხეში დააბა. ვახუშტის კი ქაიხოსრო და ხოსია სხვადასხვა პიროვნებანი ჰგონია. ძმად მიუჩნევია: „დილასა ერთსა დაესხა (მოურავი) ტბისს და შეიპყრა ქაიხოსრო და ხოსია ძმა მისი მისთანა. მაშინ ქაიხოსროს გამოაყვანინა ყიზილბაშნი ბირთვისილამ და მოსწყვიტა ხუთასივე და ხოსია პატიმარ ჰყო ციხესა შინა კიკანათაბერს“ (ვახუშტი, გვ. 67).

ამგვარად, „დიდმოურავიანი“ ვახუშტის „ისტორიის ერთ-ერთი წყარო ყოფილა.

„დიდმოურავიანის“ აშკარა გავლენა ეტყობა აგრეთვე ერთპოეტურ-ისტორიულ თხზულებასაც, სახელდობრ, იესე ტლაშაძის პოემას „კათალიკოზ-ბაქარიანს“ (XVIII საუკ. პირვ. ნახ.). საერო პოეტური გავლენის გარდა, იასე ტლაშაძეს ზოგი სტრიქონი და ადგილები ტფილელის პოემისა სიტყვა-სიტყვით მოჰყავს „კათალიკოზ-ბაქარიანში“. შესადარებლად მოგვყავს ამოწერილი ადგილები ორივე პოემიდან:

ოხებ ტფილელი:

ჩემთვის დარმან მოიღრუბლა, აღარ არის მზიანი: 28/177

იესე ტლაშაძე:

ქართველთ დარმა მოიღრუბლა, აღარ არის მზიანია, 23/135.

ოხებ ტფილელი:

გულსა ვეტყვოდი: გამაგრდი, ამ დღეს არ უნდა დრეკანი: 20/116

იესე ტლაშაძე:

მე ვუთხარ ჩემს თავს: გამაგრდი, ამ დღეს არ უნდა დრეკანი! 27/164

ოხებ ტფილელი:

სადაურო სად მოკვდები, ეტლი ჩემი სად წასულა? 45/310

იესე ტლაშაძე:

სადაური სადა ვკუდები, სად მითხრიან სამარესა? 41/263.

ოხებ ტფილელი:

რა მარცხი მოვა კაცხედა, ვის შეუძლია ბრუნება? 31/199

რა უკულმა ჩარხი გადრკა, წალმა აღარ დაბრუნდების: 45/311.

იესე ტლაშაძე:

რა საქმე მოვა კაცხედა, ვერაჲინ დააბრუნებსა! 42/264.

ოხებ ტფილელი:

ზოგთ ბგრატოვანთ ასრე სკირს, არ ახსონს სამსახურია,

რაგინდ რომ ბევრი ამო, ბოლოს არ გოგდონ ყურია,

ვის რა გაოდა ქართლშია, მეც რომ მეჭამა პურია? 40/279

იესე ტლაშაძე:

ზოგს ბატონს ესე სკირს, არ ახსოვს ნამსახურია,

რაგინდ რომ ბევრი მსახუროს, მან მას არ უგდოს ყურია,

როცა გაკეთდეს, გადიდდეს, აღარ აჭამოს პურია! 44/282

ოხებ ტფილელი:

სრულად მომავლეს ერანი, სიგრძე სად იყო. განება! 28/169

იესე ტლაშაძე

სრულად დაგვავლეს ქვეყანა, სიგრძე ჰქონდა, თუ განება! 45/288

როგორც ვხედავთ, თავისი პოემის წერის დროს იესე ტლაშაძეს პოეტურ ნიმუშად ტფილელის პოემა ხელთა ჰქონია.

ამგვარად, „დიდმოურავიანი“, როგორც სანდო ისტორიული წყარო და მალალპოეტური ნაწარმოები, ჩვენს ისტორიულსა და მხატვრულ მწერლობაში საკმაო გავლენით სარგებლობდა.

„დიდმოურავიანი“ შეიცავს არა ერთ ძვირფას ცნობას გიორგი სააკაძის ცხოვრებისა და მოქმედების შესახებ. პოემაში ამასთანავე

მოცემულია ფეოდალურ-სამხედრო ყოფა-ცხოვრების მრავალი ელემენტი: ამ მხრივ პოემაში არა ერთი პასაჟია საინტერესო.

* *

ზედმეტია ლაპარაკი დიდმოურავიანის ისტორიული მასალების შესახებ, მით უმეტეს, რომ კონკრეტული ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ მეტად მცირე მოგვეპოება.

საინტერესო საკითხია: რა მასალებით სარგებლობდა ტფილელი პოემის წერის დროს? დიდმოურავიანის დაწერამდე რომ არ არსებულა რაიმე მთლიანი ნაწარმოები სააკაძის შესახებ, იქიდანაც ჩანს, რომ ისეთი განათლებული მწერალი XVII საუკუნისა, როგორც იყო არჩილი, საგანგებოდ შეუკვეთს ტფილელს გააშუქოს სააკაძის პრობლემა, განუმარტოს მისი მოღვაწეობა, კერძოდ. სააკაძის კონფლიქტი თეიმურაზ მეფესთან, მაშასადამე, ი. ტფილელამდე სააკაძის ცხოვრება შესწავლილი არ ყოფილა და ტფილელს არ შეეძლო სხვა მწერლების და ისტორიკოსების ნამუშევრით ესარგებლა.

ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ტფილელს, სააკაძის ოჯახის წევრს, შეეძლო მისი პირადი არქივით ესარგებლებინა. ამ შემთხვევაში ანტონ I კათალიკოსის ერთი ბუნდოვანი ცნობა თითქოს გვიდასტურებს კიდევ ამ მოსაზრებას. ლუარსაბ მეფის წამებაში იგი მოგვითხრობდა: „ორგულთა განმამართლებელთა...“ და სწერეს, პირველად თვით მან გიორგი, ხოლო კვალად საქებრად გიორგისა მის იოსებ ტფილელმან სააკას ძემან შაირსიტყვაობით დიდადრე მაქებელმან გიორგისამან... (ჩუბინაშვილი, ქრესტ., გვ. 330). 1890 წელს ექ. თაყაიშვილმა გამოთქვა აზრი, რომ სააკაძის პირადი წერილების ანუ დღიურის კვალს მან მიაგნო ე. წ. „პარიეის ქრონიკაში,“ რომლის ერთ-ერთ შემადგენელ წყაროდ, გელათის ქრონიკებთან ერთად, „მესხურ დავითის“ ქრონიკებთან ერთად მისი აზრით, „დიდი მოურავის სააკაძის ხრონიკა ანუ დღიური“ ყოფილა: ერთი ნაწილი ამ ცნობებისა უსათუოდ შეიცავს დიდი მოურავის სააკაძის წერილებს ანუ დღიურს... ის ცნობები, რომელნიც „პარიეის ხრონიკაში“ დიდი მოურავის თავგადასავალს ეხებიან თვით დიდი მოურავის დღიურიდან უნდა იყოს ამოღებული, ამიტომაც ეს ამბები დაწვრილებით უფრო დიდი მოურავის სასარგებლოდ არიან მოთხრობილნი („სამი ისტორიული ქრონიკა“).

შემდეგ მკვლევარმა განაცხადა, რომ სწორედ ეს დღიური არის იოსებ ტფილელის მიერ გარდაღეჭილი „დიდმოურავიანში“:

„ В стихх дневниѣ этот был переложен внуком Великого Моруави Иосифом Тбилели, который, как мы в том убеждены, на-

писал свой „Дид-Моуравანი,“ или жизнь Великого Моурави на основании дневника своего деда, пмеющегося у него (по всей вероятности), в виде особого произведения. Указанное сочинение Иосифа Тбилили, писателя второй половины XVII века, кроме предисловия и заключения, представляет буквальное воспроизведение в стихах дневника Георгия Саакадзе... Приходится удивляться, как автор искусно передал стихами не только смысл, но и отдельные слова и выражения прозаического подлинника“ (იხ. Хроника ერსთავსკო აბაქცხა).

მაგრამ პროფ. ივანე ჯავახიშვილმა ექვმიუტანლად დაამტკიცა, რომ პირიქით, პარიზის ქრონიკის შემდგენელს ხელთა ჰქონია სააკაძის არა დღიური, არამედ, უეჭველია, იოსებ ტფილელის ისტორიული პოემა „დიდმოურავიანი“. ამ სრული ქეშმარიტების დასაწახავად ივ. ჯავახიშვილმა ამ ორი თხზულების ზოგიერთი ადგილის შედარებაც მოიყვანა („ქართული საისტორიო მწერლობა“, გვ. 318).

„პარიზის ქრონიკამ“ აგრეთვე შეცდომაში შეიყვანა ანტონ ფურცელაძე, რომელმაც განაცხადა: „დიდმოურავიანი“ ბევრით არის დამოკიდებული თვითონ სააკაძის წერილებზე თეიმურაზ მეფესთან. ამის დასამტკიცებლად მას მოჰყავს პარალელური ადგილები „პარიზის ქრონიკიდან“ (გვ. 42, 43, 46).

რაც შეეხება, საერთოდ, სააკაძის დღიურის ან წერილების არსებობას და მისით სარგებლობას ტფილელის მიერ, ამ თაობაზე 1916 წ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი დასძენდა: „იქნებ ამ უკანასკნელს (იოსებ ტფილელს) დიდ მოურავის დღიური ან წერილები ხელთ ჰქონოდათ კიდევცაო“. („ქართ. საისტორიო მწერლობა“, გვ. 319).

ჩვენ გადაქარბებულად მიგვაჩნია სააკაძის დღიურის არსებობა. არა გვეგონია, მხედარს სააკაძეს, და ისიც მღელვარე ხანაში, დღიური ეწარმოებინოს. დღიურის იდეის წარმოშობა ჩვენი პოემის ბრალია, რადგან პოემაში ლაპარაკი თვით სააკაძის პირით წარმოებს. სწორედ ამ გარემოებას შეჰყავს შეცდომაში ჩვენი მკვლევრები. დღიურის მაგიერ, ფიქრობთ, შესაძლოა, არსებობდა სააკაძის ვრცელი მოხსენება, განმარტებითი წერილი თეიმურაზისადმი, მიზართული თავის სარეაბილიტაციოდ, და იგი გამოიყენა ტფილელმა. რაც შეეხება სააკაძის პირად წერილებს, ისინი უკვე დაღუპულა, ჩვენამდის ვერ მოუღწევიათ. მაგრამ XVIII ს. დასაწყისში ისინი გამოუყენებია თავის ისტორიულ ნაშრომში ცნობილ მარიამ (მაკრინა) ბატონიშვილს (ერეკლე I ასულს). ასე, 1840-იან წლებში ნიკიფორე გორის ეპისკოპოსის პლატონ იოსელიანისათვის გადაუცია მარიამის ისტორიული ნაშრომი, საიდანაც პლ. იოსელიანს

რუსულად უთარგმნია თავის თხზულებაში გიორგი სააკაძის ერთი პირადი წერილი, ზურაბ არაგვის ერისთავისადმი მიწერილი.

ამ წერილებთან ერთად იოსებ ტფილელის უმთავრესი წყარო უნდა ყოფილიყო ის ცნობები, რომლებიც მას შეეძლო მიეღო თავისივე ოჯახში, გიორგი სააკაძის შვილების, მისი ახლობლების და თვით მნახავთა მიერ. ისიც არ უნდა დაევიწყოთ, რომ თვით იოსებიც არცთუ ისე დაშორებული იყო დიდი მოურავის ეპოქას და ბოლოს: იოსებ ტფილელი თავის ყრმობაში ხომ შემსწრე უნდა ყოფილიყო მოურავის ზოგი ამბისა! ამ გარემოებით „დიდმო-რავიანი“ სანდო, პირველწყაროს ნნიშენელობის ცნობებს უნდა შეიცავდეს.

* *

სწორედ ამ გარემოებას, რომ იოსებს პოემის მასალები გიორგი სააკაძის ოჯახში უნდა შეეკრიბა, რომ თვით იოსებიც ამ ოჯახის წერილი იყო (ძმისწული მოურავისა), ეკვი არაა, თავისი ბეჭედი უნდა დაესვა პოემისათვის. უეჭველია, ერთგვარ რომანტიკულ გადახვევას, ერთგვარ ტენდენციურობას ვერ ასცდებოდა პოეტი. ზემოთაც შევნიშნეთ მას ტენდენციები დიდი მოურავის სახის სრულყოფილობის შესაქმნელად (მოურავის კლერიკალიზმი, ლეგიტიმიზმი).

ცხადია, ეს გარემოება, და უფრო იოსების ახლო, ნათესაობრივი დამოკიდებულება დიდმოურავისადმი, არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ მოურავის ოპოზიციონერები ტფილელს მიდგომილობას სწამებენ, ასე, დავით ჩუბინაშვილის სიტყვით, დიდმოურავიანი“ „დაწერილია მიდგომილობით“ (ქ. ცხ. წინასიტყვ., „ივერია“, № 1888 წ.). მოსე ჯანაშვილი დასძენს: „თბილელი დიდად შეაქებს მოურავსა და სცდილობს მოღალატეობის ძრახვა ახადოს თავის პაპას. ამ სახით მარტო თბილელი და სპარსელი მუნჯი გამოდიან მოურავის თაყვანისმცემლებად“ (საქართ. ისტორია, გვ. 347, 1897 წლ. გამოც.). მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ბრალდება მათ მიერ სააკაძის შესწავლის ნიადაგზე კი არ არის შედგენილი, არამედ უსაბუთო განმეორებაა იმ შეხედულებისა, რომელიც შემუშავდა XVIII ს-ში ვახუშტისა და ანტონ I კათალიკოსის მიერ, რომელნიც ერთადერთი ოპოზიციონერები არიან სააკაძისა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში (მათი ბრალდებიდან მომდინარეობს იოანე ბატონიშვილისა და იონა ხელაშვილის შეხედულებანიც სააკაძეზე).

ვახუშტი უწოდებს დიდ მოურავს „მზაკვარს“, „ბოროტს“, „მჩურჩნელს“, და მის მოღვაწეობას მით ჩირქსა სცხებს.

ანტონ კათალიკოზი სასტიკად ამხელს იოსებ ტფილელს მიდგომილობაში: „იოსებ ტფილელმან, — ქეშმარიტის თქმა უმჯობეს არს, — არა ერთგულმან მისგან (ლუარსაბ II — გ. ლ.) მაქებალმან შაირსიტყვაობით მეფისა ლუარსაბისა შინა გამცემელმან კეთილისა მის მეფისაგან... (ჩუბ., ქრესტ., 321); საქებრად გიორგისა (სააკაძისა. — გ. ლ.) მის იოსებ ტფილელმან სააკაძესმან შაირ-სიტყვაობით დიდადრე მაქებალმან გიორგისამან, გალავნად და სიმტკიცედ საქართველოსმა მწოდებელმან მისმან დაჰსწერა...“ (იქვე 330). ანტონ უწოდებს იოსებს „ორგულსა და გამანათლებელსა უკეთურისა მის მონისაო“ (ე. ი. სააკაძისა. — გ. ლ.), ხოლო თვით ტფილელის პოემის გმირი, მისი ალტაცებისა და შთაგონების საგანი — გიორგი სააკაძე, ანტონის სიტყვით, არის „ორგული მემკვიდრისა მეფისა თვისისა და მამულისანი“ (იქვე, 316). „დრკუ, ორგული და გულარძნილი“ (იქვე, 328). „უკეთური“, „მზაკვარი,“ რომლის მიზანი იყო „სიკუდილი ლუარსაბისი. და აღოხრება საქართველოსა“ (330), რომ „ბირე-ბითა უღმერთოსა მის მონისა მზაკურისათა აზრისა შაჰაბას განმხ-ფედრებად საქართველოსა ზედა“ (332). ამგვარად, ანტონი სამშობლო-ქვეყნის მოლაღატედ აცხადებს გიორგი სააკაძეს, ვახუშტისთან ერთად აღნიშნავს მის „მზაკვრობას“ და „უკეთურობას“, „ხოლო ი. ტფილელის მიმართ ილაშქრებს, როგორც ორგულისა და სააკაძის გამამართლებლის წინააღმდეგ. ასეთია პირველი ოპოზიცია დიდი მოურავისა ძველქართულ საისტორიო მწერლობაში. ეს ოპოზიცია ჩამოყალიბდა XVIII ს-ში.

აღსანიშნავია, რომ XVIII ს-ში სააკაძის მტრის — თეიმურაზ I ჩამომაველების — თეიმურაზ II და ირაკლი II მეფობაში არსაიდან ხმა არ ისმის სააკაძის დასაცველად, გარდა „დიდმოურავიანის“ რედაქტორ-გადააწერლებისა, რომელნიც ჩვენი პოემის სათაურებში გამოხატავენ ალტაცებას სახელოვანი გმირისადმი.

სამაგიეროდ, ტფილელის და არჩილის სახით, ჩვენ ვიციტ XVII ს. ქართულ მწერლობის ალტაცება გიორგი სააკაძის პიროვნებით; ეს იმ ეპოქაში, როდესაც ქართლ-კახეთში სააკაძის მოწინააღმდეგე თეიმურაზ I დინასტიურ მემკვიდრეთაგანი არავინ მეფობდა.

ასეთია შეჯახება სააკაძის საკითხის გარშემო ამ ორი ეპოქის მწერლობისა.

საერთოდ, სააკაძის პრობლემა ჯერ დაუმუშავებელია. მასალები სათანადოდ შეგროვილი არ არის, მაგრამ მაინც შეიძლება აღინიშნოს, რომ სააკაძის ოპოზიციონერებიც ცალმხრივები უნდა იყვნენ და ეს ცალმხრივობა მათი დინასტიური ინტერესებით არის გამოწვეული „ნათესავობით დავითიან-ბაგრატოვნობითი“. ეს უნდა

იყოს ერთ-ერთი მიზეზთაგანი იმ ფაქტისა, რომ XVI ს-ის ლიტერატურულ-სასახლის წრეების შეფასებას სააკაძის პიროვნების ირგვლივ შემდეგი საუკუნის მწერლობა არათუ კრიტიკულად, მტრულადაც კი ხვდება. ამ მოვლენას შეიძლება ვუწოდოთ „სასახლის ინტრიგები“ მწერლობაში.

* *

ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ იოსებ ტფილელის რამდენადმე ცალმხრივობაზე სააკაძის პიროვნების მიმართ. ეს ცალმხრივობა, ჩვენის აზრით, უფრო რომანტიულია, ვიდრე ფალსიფიკატორული გიორგი სააკაძის პიროვნების მიმართ. ჩვენი პოემის ავტორის რომანტიკული პათეტიკა გამოწვეულია სააკაძის პიროვნების პრინციპული შეფასებით. ტფილელი უსაგნო პანეგირიკი არ არის,—მას სწამს სააკაძე, როგორც გმირი-პიროვნება.

აღსანიშნავია, რომ იგი დუმილით უვლის თვით ლუარსაბის წამებას. საგულისხმა, რომ ავტორი-ეპისკოპოსი არაერთად აღელვებს არ გამოთქვამს ქრისტიანი მეფის ლუარსაბის წამების გამო. „ქრისტესთვის“ მაშინ, როცა ქართულმა ეკლესიამ ანტონ კათალიკოსის პირით ლუარსაბს უწოდა „ქრისტეს მოწამე“, „ზიარი სიკვდილის ქრისტესი“, ტარიგი ყოვლად წმინდა, რომელიც წამებისადა გვირგვინით გვირგვინოსან ქმნილი ქრისტეს ძესა ღუთისა ეზიარა და ყოვლისა სოფლისა მეოხად დადგა“, რომელსაც სხვა მღვდელმთავრებმა აღტაცებული საგალობლები უძღვნეს (ბესარიონ კათალიკოსი, ანტონ კათალიკოსი, ნიკოლოზ ტფილელი), რომელზედაც XVII საუკუნეშივე დასწერეს „აკოლოთია ნწუხრისა და ცისკრისა“. იოსების დუმილი ლუარსაბის წამების გარშემო, ცხადია, მისმა მტრებმა გაიგეს, როგორც ლუარსაბის მტრობა და „შინაგამცემლობა“ (ჩუბ., ქრესტ., 321).

იოსები, როგორც სააკაძის აპოლოგეტი, სრულიად არ გამოხატავს აღტაცებას თეიმურაზ I-სადმი, რომელსაც საქრისტიანოს მხსნელს უწოდებდნენ და დავით აღმაშენებელს ადარებდნენ.

და ბოლოს, საინტერესოა: თუ ანტონი და ვახუშტი სააკაძეს ქვეყნის ღალატსა და ორგულობას აბრალებდნენ, „დიდმოურავიანში“ თეიმურაზ მეფე გიორგი სააკაძეს უყენებს მხოლოდ ორ ბრალდებას — ლუარსაბის მკვლელობას, განდიდებას და უმორჩილობას:

...ის შეიქნა ლუარსაბის სისხლთა მღვრელად;

კვლავ: მან ჯარი დაიხვია, არ ეტევის მინდორ-ველად!

თავს არ გვიდებს საპატრონეზოდ, წყალობისა არ მადლმხდელად,—

და არა სამშობლო ქვეყნის ღალატს და მის მიერ შაჰ-აბასის წამოყვანას საქართველოზე.

ფორმალურად იოსებ ტფილელი რუსთაველის სკოლის მგოსანია. იგი ზოგან სარგებლობს „ვეფხისტყაოსნის“ სენტენცია-აფორიზმებით და ფრაზეოლოგიით; ამავე სკოლის პოეტის — თეიმურაზ პირველის გავლენაც ატყვია.

პოემის მთავარი ღირსება მის ხალხურობაშია: სადა, მოკვეთილი, ცოცხალი სიტყვა პოემის უპირველესი სამკაულია. ცალკე უნდა აღინიშნოს იმ ეპოქისათვის შესამჩნევი ენის სიწმინდე. პოემას თითქმის არ ახასიათებს თურქულ-ერანული ლექსიკა: ამ შემთხვევაში იოსები პურისტია და მას შეეძლო არჩილთან¹ ერთად გაემეორებინა:

მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია.

ეგ ნუ გგონიათ სხვა ენა მე არ ვიცოდი სხვასავით,

მაგრამ ცუდია გარევა ქართულს ენაში სხვასავით.

ენის სიწმინდის დაცვაში იოსებ ტფილელი ღირსეული თანამებრძოლია არჩილის და სულხან-საბა ორბელიანისა.

დიდი მოურავის ცხოვრებაში არა ერთი გულისაღმძვრელი მომენტი, რაც თავის შესაფერ პოეტურ გამოხატულობას თხოულობს. ამის გამო ჩვენი პოემა უხვად შეიცავს ლირიკულ ელემენტებს, რასაც მომხიბვლელობას ანიჭებს თვით ლექსის მელოდიურობა და მუსიკალობა ხალხური პოეზიის იერით.

სხვათა შორის, ტფილელის პოეტური ტექნიკისათვის უნდა ითქვას ფიგურის და შედარებების სიღარიბე. პოემაში ყურადღებას იქცევს მაჯამური სტროფების სიმდიდრე.

484 სტროფიან პოემაში 52 მაჯამური სტროფია, ე. ი. 208 მაჯამური რითმა, რომელთაგან არა ერთია საკმაოდ ეფექტური (იხ. მაჯამური სტროფები: 93, 138, 196, 252, 258, 272, 295, 296, 297, 314, 315, 316, 317, 325, 326, 327, 328, 330, 332, 336, 337, 338, 340, 343, 357, 358, 360, 362, 365, 366, 368, 369, 379, 382, 398, 401, 417, 424, 445, 464, 472, 473, 474, 480). შესამჩნევია, რომ უმრავლეს შემთხვევაში ავტორი მიჰმართავს მაჯამურ ლექსს ლირიკულ მომენტებში.

პოემის მოცულობის პროპორციით იოსებ ტფილელი მაჯამებით აჭარბებს თავისი ეპოქის პოეტებს, მაგ. ნოდარ ციციშვილს, ფეშანგი ფაშვიბერტყაძეს და სხვ.

¹ დიდ უსამართლობად უნდა ჩაითვალოს გიორგი წერეთლის აზრი „არჩილიანის“ და „დიდმოურავიანის“ შესახებ, თითქოს ისინი უფრო „ისტორიულ ქრონიკებს ჰკვანან, ვიდრე ნამდვილ პოემებს, მათ აკლიათ ღრმა გრძნობა და ის სიცხოველვ, რომელიც ჰბადებს მაღალს და ნამდვილ პოეზიას“ („დავითიანის“ წინასიტყვაობა).

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ტფილელის მაჯამებმა დიდი ხელოვნებით არის შესრულებული.

ცალკე აღსანიშნავია პოემის გულწრფელი პათეტიკა. ეპიკური თხრობის სილამაზე, სიტყვის ტკბილქართულობა გვიმტკიცებენ პოეტის ოსტატობას.

* *

ამგვარად, ტფილელის ისტორიული პოემა „დიდმოურავიანი“ საუკეთესო ფაქტია XVII ს. ახალი ლიტერატურული სკოლის სიძლიერისა და, ამავე დროს, ეროვნული თვითშეგნების ინტენსიურობისა. იგი ნაციონალურ ეპოსის წარჩინებული ძეგლია, რეალისტური კალმით დაწერილი.

„დიდმოურავიანმა“, როგორც მხატვრულმა სიტყვამ, გაუძლო ორ-ნახევარ საუკუნეს და ჩვენამდის მოაღწია როგორც მშვენიერმა პოეტურმა სიტყვამ და ისტორიოგრაფიულმა ძეგლმა. მისი პატრონყმური და რელიგიური იდეოლოგია დიდი ხნის წარსულს ეკუთვნის, მაგრამ პოემაში დაცული რაინდობის გმირული სული ჩვენს დიდებულ თანამედროვეობას ეხმაურება.

სულხან-საბა ორბელიანი

სულხან-საბა ორბელისძე
სიბრძნით აღდგა ორბების ზე-
ძველი ლექსი.

თავი პირველი

„60 წლისაა, მალალი ტანის, მხნე და ძლიერი აგებულებისა, მშვენიერი სახე აქვს და თეთრ-მოწითალო ფერი; ერთ მტკაველზე მეტი წვერი აქვს, რომელიც დიდად უხდება“¹. ასე აგვიწერს სულხან-საბას გარეგნობას ბენვენუტო ჩელინის თანამემამულე, საბას ყოფნის დროს ქალაქ ტოსკანაში.

„მიხარიათ, რომში დიდი ხმა დაგივარდაო, კარგა იქცევიო და ქვეიანადაო“, — ასე მიჰმართა საბას რომში პაპმა კლემენტი XI „მთელს საქართველოს მამად მიაჩნია“, — ამბობს ერთი უცხოელი².

ხოლო თანამედროვენი „სიბრძნე სიცრუისას“ ავტორს „მრავალ გამოკვლევებს, სიბრძნე-ფრიადს და მსწავლულს“ უწოდებენ³. „ბრძენსა და ფილოსოფოსს“, „სიბრძნის წყაროს, მდინარეს“, უცნობი პოეტი კი უმღერის:

სულხან-საბა ორბელისძე
სიბრძნით აღდგა ორბების ზე.

ასეთი შარავანდელით დგას ქართული მწერლობისა და კულტურის პანთეონში — დიდი ქართველი მწერალი, ლექსიკოგრაფი, დიდი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი.

სულხან-საბა „უწარჩინებულეს“ და „დიდებულ“ ფეოდალურ სავარეულოს ეკუთვნოდა. ამ გვარს არა ერთი სახელოვანი მოღვაწე მოუყია ძველად — მწერლები, პოეტები, კალიგრაფები და სარდლები.

¹ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა საქართველოში, 1902, გვ. 338.

² იქვე, გვ. 312.

³ იქვე, გვ. 313.

ორბელიანები ანუ ორბელიშვილები „ნათესავით ბარათაშვილები“ იყვნენ, ხოლო თვით ბარათაშვილები წარმოსდგნენ ქაჩიბაძე ქავთარის შვილის ბარათასგან (XVI საუკ.)¹.

ორბელიანები ანუ „ბარათაშვილ-ორბელიშვილები“ (იხ. საქსიძე, II, 137) მეტად მდიდარი, დიდგვლენიანი და მსხვილი ყმათა მფლობელები იყვნენ. ტერიტორიულად მათ ეკირათ „მოწინავე სადროშოს“, ე. ი. ქვემო ქართლის დიდი ნაწილი². მათი ოჯახი „ძველი და მოუშლელი“ იყო. ამ საგვარეულოში XVII ს.-ში დიდი სახელი გაითქვა ყაფლან ორბელიშვილმა, როსტომ მეფის (1634—1658 წ.) სახლთუხუცესმა და მდივან-ბეგმა, მასთანვე აღზრდილმა ერანში. როსტომი მას „ერთგულს, მრავალფერად თავდადებით ნამსახურს... დიდად მომპირნეს და ძალის მომცემს“ უწოდებს³.

ყაფლანის გავლენა გადასწვდა ვახტანგ V მეფობასაც (1658—1675), რადგან ვახტანგის მეუღლე, დედოფალი როდამ, ყაფლანის ასული იყო. ყაფლანი, —უპირველესი ფეოდალი ქართლისა, მეფის სიმამრი, ერანის ტახტის ბრწყინვალე მოხელე, — თავისი გვარის უფროსად, დიდ საბატონოს გამგებლად ითვლებოდა. თუ რამდენად ძლიერი ფეოდალი ყოფილა ყაფლანი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მას 61 სოფელი ახლად გაუშენებია, როგორც მისი ეპიტაფია გვამცნობს⁴. ეს ყაფლანი, რომლისგანაც წარმოდგა ორბელიშვილების ერთი ძლიერი შტო—ყაფლანაშვილებისა, სულხან-საბას პაპა ყოფილა⁵.

არა ნაკლები გავლენა ჰქონია ქართლის სამეფოში ყაფლანისძე ვახტანგს, ანუ „დიდს“ ორბელს, როგორც მას უწოდებდნენ. ქალაქის მდივანბეგი, ცოლის ძმა შაჰნავაზისა, თვით სიძე ძლიერი ფეოდალის ზაალ არაგვის ერისთავისა, —როგორც თვით იწოდებოდა, — „საქართველოს მოსამართლე, ქართლისა და კახეთისა ხელმწიფეთა და მეფეთა დედის ძმაი,“ —საკმაოდ დიდ პოლიტიკურ როლს თამაშობდა XVII ს. მეორე ნახევარში. მას ჰყოლია რვა

¹ ყოფ სიძე. მუხ. № 105; ქრონიკები, II, 427, 497; საქართველოს სიძველენი, II, 123, 133, 137, 142.

² „ბარათაშვილობა მოვიხსენით, —ამბობს ალექსანდრე ორბელიანი, —ბარათა ბარათაშვილის მტარვალობის (1624 წ.) გამო, რომელმაც ტანძიაში ორბელაშვილები ამოწყვიტა“.

³ საისტორიო მოამბე, 1924 № 1, 174.

⁴ საქართველოს მეზემის მოამბე, III, 119, გ. ჩიტაია, პიტარეთისა და გუდარეთის სფლავის ქვები; ყოფ. საისტორიო და საეთნ. ფონდის ხელნაწ. № 221.

⁵ თუმცა XVIII ს. ქართული ჰერალდიკა მათ წინაპრად თელის XV საუკ. ყაფლანს, რომელიც თურმე თემურ-ლენგს ებრძოდა (იხ. ქურნალი „ივერია“, 1884 წ., № 4).

ვაეი და სამი ასული. ვახტანგის პირმშოა „სიბრძნე სიცრუის“ ავტორი—სულხან ორბელიანი.

ამ ოჯახში დაიბადა სულხანი 1658 წელს, 4 ნოემბერს (ახალი სტილით). შენახულა ერთი ძვირფასი მინაწერი, რომელიც სულხანის ოჯახის წევრს უნდა ეკუთვნოდეს: „დაბადებულა სულხან საბა ორბელიანი ქართულს ქორონიკონს ტმე (1658), ოქტომბერ კ დ (24), რაც ლათინურად ოთხი ნოემბერი იქნებოდა, დღესა კვირიაკესა, ჟამსა შუალამისასა“¹.

სულხანის სამშობლო კერაა სოფელი ტანძია (ბოლნისის რაიონში, დმანისის ახლოს), ორბელიანთა „სამკვიდრო“.

სულხანს, დიდი ფეოდალის მემკვიდრეს, შესაფერი პირობები ჰქონდა აღზრდისათვის.

ჩვენ ვიცით, რომ სულხანის მამა, მდივანბეგი ვახტანგი ანუ ორბელი, დიდი მწიგნობარი და მეცენატი ყოფილა. სხვათა შორის, იმ ხანებში ასომთავრული მრგვლოვანი დამწერლობა, როგორც მისი შვილი, ცნობილი კალიგრაფი და სასულიერო პოეტი ნიკოლოზ ტფილელი ამბობს, მის გარდა ქართლში არავის სცოდნია: „მთავარნი ესე ასოთანი ძველადვე ქართველთ ეწესა და არალარავინ იყო სწავლულ ამისა, თვინიერ უხუცესისა ძმისა ჩემისა სულხან-საბა ორბელის ძისაგან კიდე; მასცა მამისაგან ჩემისა ესწავლა და მან მე მასწავლაო“².

ჩვენ არაფერი ვიცით სულხანის დედის შესახებ. არაგვის ერისთავის ასული თამარ, დიდი ნუგზარის შვილიშვილი, ალბათ, შესაფერ აღზრდას არ უნდა ყოფილიყო მოკლებული. ყოველ შემთხვევაში, სულხანის ოჯახი რომ დიდ კულტურულ კერას წარმოადგენდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ სულხანთან ერთად მან მოგვცა: დემეტრე ორბელიანი, ცნობილი პოეტი, ნიკოლოზ ტფილელი, ცნობილი სასულიერო პოეტი და კალიგრაფი და ზაალ-ყოფილი, ზოსიმე, — აგრეთვე კალიგრაფი.

მწიგნობარ მამის ხელმძღვანელობის გარდა, სულხანის აღზრდის საქმეში შესაფერი როლი უნდა ეთამაშათ მის მამიდაშვილებს, მეფეებს—გიორგი XI და არჩილს.

თვით საბა გვამცნობს, რომ ის გიორგისაგან „შვილურად გაზრდილი და გასწავლებული იყო“. ვახტანგ VI სულხან-საბას „მეფის გიორგის გაზრდილს“ უწოდებს (იხ. საქ. სიძველენი, II, 357).

¹ იხ. ყოფ. საეკლესიო მუხეუმის ხელნაწერები, №№ 75, 873; ყ. საისტ. საეთ. № 13, 95, 1658.

² S 333, გვ. 275.

ვიორგისავე ბრძანებით დაუწერია სულხანს თავისი ლექსიკონი: „ვიორგი მეფემ მიბრძანა* ამისი ხელყოფაო“¹. ვიორგი კი ცნობილი რაინდი იყო, „მშვენიერ ჰაეროვანი, მოისარ-მოსასპარეზე უებრო“ (ვახუშტი, 56), „მეტად სახელგანთქმული და ყოველნაირი ნიკით შემკული“ (ისტორია კათალიკობისა, 265). მაგრამ, რაც უფრო საყურადღებოა, ვიორგი ცნობილი ლიტერატურული მეცენატი იყო. მან წიგნების შემკობაზე „წარავაგო მრავალი წარსაგებელი.“ ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ხელნაწერი იმ ზომად შეამკო, რომ, გადაწერის სიტყვით, „მრავალნი მეფენი გარდაცვალებულან და არავეს შეუმკვია წიგნი ესე ვეფხის ტყაოსანი მსგავსად პატრონისა ჩვენისა“. ვიორგის თავისი კალამიც უნდა ეცადოს მწერლობაში. მაგრამ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „სიბრძნე სიცრუისა“-ს ავტორის აღმზრდელი ცნობილი ყოფილა ქუჟამახვილობითაც. მაგ., როდესაც ყაენმა ვიორგი მეფე ერანში მიიწვია და ნადიმი გაუმართა, „მეფის (ე. ი. ვიორგის) ხუმრობასა და სიტყვის მარჯობას არა გაეწყობა რაო“, გვიამბობს იქ დამსწრე შეისტორიე სეხნია ჩხეიძე².

ახლო მონაწილეობა უნდა მიეღო სულხანის აღზრდაში მის მეორე მამიდაშვილს, ცნობილ მეფე-პოეტ არჩილსაც, რომელიც განთქმული იყო „სიმხნითა და ყოვლითა სამხედრო ზნითა სრული, რომლისა ისარი 12 მუჭი სიგრძითა, შემმართველი, ძლიერი, ლალი და ამაყი, მონადირე და მოასპარეზე წარჩინებული“. და როგორც თავისი დროის მეცნიერი: „იროიკო ღრამატიკოს, რიტორ ვარსკვლავთ-მრიცხველი“.

არჩილმა მრავალ პოეტურ ნაწარმოებებთან ერთად დაწერა ზნეობათა კოდექსი: „საქართველოს ზნეობანი, რომელ ჯერ არს ესე, ვითარად წურთილობა კაცთა, რომელთა ჰნებაეს, რათა, სრულ

¹ შორეულ ყანდაარში მყოფი ვიორგი მეფე აქებებს საბას და სამხედრო კარავიდან სწერს თავის შთაბეჭდილებას მისი ლექსიკონის შესახებ: „ასრე გავეწყვევ რომე თათრულს წიგნხედ მივდგარავარ და კიდევ ვისწავლე. ლამის ის გამაშობინოს ამისმა კითხვამა; ბევრი შენდობა მითქვამს და კიდევ გეტყვი შენდობასა. დიალ, კარგი წიგნია და კარგადაც გავეწყვევ. ახლა ამ წიგნში ზოგი რამ ქართული სიტყვა არის, ვერ შემიტყვია, თუ ამას გარკვევით კაის ხელად დამიწერინებ და გამომიგზავნი, კარგი იქნება. ეს ნუსხა არის, შენთვის კიდევ გექნება. ამახედ გადმომიწერიე. დიალ დაგიმადლებ...“ (იხ. საქართველოს სიძველენი, II, 219).

² დამახასიათებელია ვიორგი მეფის და საბას მეგობრობისათვის ასეთი მიმართებები მიმოწერაში: „ჩემო სანახავად სანატრელო ძმაო, ბატონო სულხან“, „ჩემო ძმავ საბავ... ნუ მომიძულებ“ და სხვა. (საქართველოს სიძველენი, II, 222, 224).

იყოს საწუთოსა ამას ზნეკეთილობათა მიერ... რათა ყოველნი ერის-
კაცნი ესრედ იქცეოდნენ“.

ამ ნაწარმოებში აღნუსხულია რაინდის გონებრივი და ფიზიკური
იდეალები, რითაც გამსქვალული უნდა ყოფილიყო მისი დროის
ფეოდალი, კარისკაცი (მაგ., სამხედრო ხელოვნება, გმირთა ზნე-
საკარისკაცო ზნეობა, გონებრივი ზნეობა). სულხანის ბიოგრაფი-
ისათვის მეტად საინტერესოა ეს კოდექსი. მისი შედგენა სწორედ
სულხანის სიკბუთის წლებს ეფარდება. და ჩვენ ხომ ვიცით, რომ
არჩილი „ყმათ აღზრდიდა“, ყმათა „სწვრთნიდა“, რომ ქართლ-
კახეთ-იმერეთში მრავლად იყვნენ „მისნი დაზრდილნი“. წარმოსად-
გენია, თუ რა გავლენა უნდა ჰქონოდათ სულხანის აღზრდაზე ამ
ორს კულტურულ პიროვნებას. ორივე მნიშვნელოვანი ფიგურაა
თავისი დროისა: ლიტერატორები და რაინდები. მათთან ერთად
უნდა დავასახელოთ მათი მესამე ძმა ლევანი—ერანის მდივანბეგი,
ფილოსოფოსი და მწერალი, სულხანის ახლო მეგობარი.

როგორც სულხანი გადმოგვცემს, მის მიერ ლექსიკონზე მუშაო-
ბის შეთაოსნე გიორგი მეფე ყოფილა, მაგრამ ექვი არაა, ამ გრან-
დიოზულ მუშაობაში არჩილი და ლევანიც ხელს შეუწყობდნენ. გა-
საგებია, როცა საბა თავის ლექსიკონზე შრომის შთამგონებლებად
და თაოსნებად გიორგისთან ერთად მის ორ ძმასაც იხსენიებს:
„არჩილ მეფისა, გიორგი მეფისა, —სამთა ძმათა მეფეთა დედის.
ძმის შვილი იყო სულხანი. მათ მეფეთა უბრძანეს ამისი აღწერა“
(S—2496).

ვეტიკრობთ, საბას აღზრდა ნაწილობრივ გიორგი XI-ის, არჩი-
ლის და ლევანის სიახლოვეს უნდა მომხდარიყო. მომავალ კარის-
კაცს, დიპლომატს და სახელმწიფო მოღვაწეს სასახლეში უნდა გაე-
ცნო პრაქტიკული სახელმწიფო საქმიანობა და მმართველობის
პრობლემები. აქვე უნდა დაკმაყოფილებულიყო მისი ცნობისმოყვა-
რეობა: „ვიყავ სწავლისა ფრიად მოყვარეო“, როგორც თვით სულ-
ხანი გადმოგვცემს.

ყრმა სულხანს სხვა თვისებებთან ერთად ენათმეცნიერული ნი-
ჭიც გამოუჩენია და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდისათვის გიორ-
გი მეფეს დიდი პასუხსაგები საქმე—ქართული ლექსიკონის შედ-
გენა მიუხდვია.

ვინ იყვნენ სულხანის მწვრთნელები, ე. ი. მასწავლებლები? სა-
ამისო ცნობები, საბედნიეროდ, ამჟამად აღმოჩენილია. საბას ბიბ-
ლიოთეკიდან შემთხვევით გადაჩენილ და ჩვენამდე, მოღწეულ
ძველ ხელნაწერზე თვით სულხანის მინაწერი გადმოგვცემს ძვირ-
ფას ცნობას მისი აღზრდის შესახებ:

„ქ: მე ბარათიანთ დიდის ორბელის შვილის ყაფლანის ძის, საქართველოს ბრქედ მთავრისა და მოსამართლედ უხუცესის პატრონის ორბელ-ვახტანგის პირმშობა-ძემან, ჯერეთ ყმა კაცმა სულხან დავიწყე ძლის პირთა და გალობათა სწავლა წადინითა იესოსითა და ბრძანებითა მის უსწოროსა მამისა ჩემისათა. ვიწყე თუესა აპრილსა კ (20-სა), აღდგომასა მხსნელისასა, ქვსა ტნიზ (1679). ზედნადებსა კე (25-ს) მთვარესა კ (20)“.

„მწვრთიდა მცხეთელი ზედგენიძეთ სახლის ძე ბერუკა და სიმღერის სრულობას მწრთვიდა იაშვილი გიორგი: ნზდიდა სათუთად და ნებიერად, ვითაც შვენის თავადთა ძეთა. და ანუ ბერნი, ანუ ყმანი, ანუ მლუდელნი, ანუ ერნი, ანუ მეგობარი ჩემი კარგი მოსწავლე დიაკონი შეემთხვიოთ ძლის პირსა ამას ნასყიდსა ჩვენსა, შენდობა ყავთ მლთისა მიმართ და ლოცუა ჩემ უცებისა და ცოდვილისა, ევედრენით ღთსა ლოდბრად შექმნისა და ცოდვათა მოტევებისა ჩემთვის და სწავლისა აღსრულებისათვის, რამეთუ ვიყავ სწავლისა ფრიად მოყვარე და ჩემის ოსტატის დიაკვნები მაჯაერებდენ. ვინცა შენდობა ბრძანოთ, ღთნ მოგაგოს მუქათა“ 1.

როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, საბას „გალობათა სწავლა“ 21 წლის ასაკში დაუწყია და მისი მწვრთნელები ზედგენიძე ბერუკა და იაშვილი გიორგი ყოფილან. რასაკვირველია, სხვა „ზნობათა“ სასწავლოდ კიდევ სხვა მასწავლებლები ეყოლებოდა; როგორც დიდი ფეოდალის შვილს.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სულხანის მწვრთნელი ზედგენიძე ბერუკა მუხრან-ბატონის აზნაურია, სულხანს კი მუხრან-ბატონის აშოთანის ასული ჰყავდა ცოლად (პირველი მეუღლე). შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ტრადიციული წესის მიხედვით სულხანი ბავშვობაშივე იყო დაწინდული მუხრან-ბატონის ქალზე და შესაძლოა ისინი ერთადაც იზრდებოდნენ.

სულხანს თავისი სიყრმე და სიკბაბუკე დიდ შრომაში გაუტარებია. როგორც თვითონვე გადმოგვცემს, ლექსიკონზე „ფრიადი ჰირი“, „ფრიადი შრომა“ გაუწევია, სწორედ „კბაბუკობისა ჟამსა და სიყრმისა“.

ახალგაზრდა საბას შრომისმოყვარეობის ერთი საბუთი ისიც არის, რომ (ლექსიკონის პირველი რედაქცია 27 წლის ასაკში დაასრულა (1685 წელს, როგორც თვით საბა გადმოგვცემს ლექსიკონის შესავალში).

1 იხ. გაზეთი „სიტყვა და საქმე“, 1934 წ., № 8.

2 ზედგენიძეები—მუხრან-ბატონების აზნაურები, სახლობდნენ ს. სახლტბაში, სადაც დღესაც კარგად დაცულია მცირე ბაზილიკური რიგის ეკლესია, აშენებული სამარხად საბას აღმზრდელის ბერუკას მამის შიოშის მიერ 1672 წ. იქნებ შიოშთან ერთად აქვე მარხია ჩვენი დიდი მწვრთლის აღმზრდელი ბერუკაც?

ლექსიკონის წინასიტყვიდანვე ჩანს, რომ მას ზედმიწევნით უნდა-სცოდნოდა ფილოსოფია და ლუთისმეტყველება ანუ „ღრმა წიგნები“; „რომელნიცა ვიცოდი, დაეწერე და რომელნიცა ძნელი სიტყვანი არ ვიცოდი, ღრმა წიგნებთა შინა ვიძიეო“, ამბობს იგი-ლექსიკონის შესავალში და შემდეგ:

„რომელიცა წერილთა შინა ვნახე, გამოვიღე, სამლოო წერილთა და ლუთის მეთყველებათა შინა, რომელიმე ღრმათა ფილოსოფოსთა წიგნებთაგან და ლუთის მეთყველებათა კავშირთა პროკლეს პლატონურთა დიოდოხოსთა, არისტოტელისა და პორფირის კათილორიათგან გამოვიღე, ნემესიოს და იოანე დამასკელის პლატონურის სიტყვის საქცევები აღეწერეო“¹.

იცოდა თუ არა უცხო ენები ჩვენმა ლექსიკოგრაფმა? ლექსიკონის შესავალში გადმოგვცემს: „მე ქართულის ენისაგან კიდევ სხუაენა არ ვიცოდი“. აქედან შეიძლება ვიფიქროთ, რომ უცხო ენები მას არ უსწავლია.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ლექსიკონის შემდგენელს უცხო ენების მცირედი ცნობა მაინც ჰქონია, სულხანი უცხო ენებს (თათრულს, ბერძნულს, სომხურს) ნაწილობრივ იცნობდა, და თუ თვით გადმოგვცემს ოფიციალურად მათ უცოდნელობას, იმას ნიშნავს, რომ მათი ზედმიწევნით „კარგი მცოდინარე“ არ ყოფილა.

სად ცხოვრობდა სულხანი? მართალია, მის ოჯახს ჰქონდა სასახლეები ტანძიასა და თბილისს, მაგრამ მემკვიდრეობის მიღებისას სულხანს წილად რგებია უძველესი ნაქალაქარი დმანისი და უმეტესად იქ უცხოვრია².

ბერად შედგომის წინ სულხანს თავისი წილი საბატონო დმანისის ხეობა თავის ძმებისათვის უჩუქებია: „მონოზნად შედგომამდე თავის ძმებს დაუტოვა ერთი დიდი პროვინცია, რომელიც მისი საკუთრება იყოო“, ამბობს საბას თანამგზავრი რომში³.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

სულხან ორბელიშვილი—სახელმწიფო მოღვაწე. სულხანი ერეკლე ნახარაღიანის მოწინააღმდეგე.

კარისკაცის „ზნე მიღებული“ სულხანი, გვარის ტრადიციების მიხედვით, აღრევე ჩაბმულა სახელმწიფო საქმიანობაში.

¹ „ქართული ლექსიკონი“, პროფ. ი. ყიფშიძის და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, 1928, გვ. 02-03.

² საქართველოს სიძველენი, II, 356.

³ ისტორია კათოლიკობისა, 312.

როგორც მდივანბეგების ოჯახის წევრს. თვით მდივანბეგის უფროს ვაჟს, სულხანს: მემკვიდრეობით მამის პოსტი უნდა მიეღო. მაგრამ თუ გავიხსენებთ „სიბრძნე სიცრუისას“ ერთს არაკვი გადაქრულ ირონიას (მელას და გველის დიალოგი), მელას მიერ ნათქვამს: „ლომთ ნადირთ ხელმწიფისაგან დასმული მდივანბეგი ვარო“, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ სულხანი შორს უნდა ყოფილიყო მდივანბეგობის კარიერისაგან. ხალხის სიყვარულმა აიძულა სულხანი ეს შხამიანი არაკვი ეძღვნა სამართლის ინსტიტუტისათვის, რომელსაც მისივე ოჯახი ედგა სათაეში.

ისტორიას არ შეუენახავს სულხანის ოფიციალური მდგომარეობა სამეფო კარზე, თუმცა მისი დიდი სახელმწიფოებრივი საწსახური გიორგი XI და ვახტანგ VI კარზე ცნობილია: „ბიძა და მამა ჩემზედ დიდად ნამსახური და მრავალ გარჯილ იყოო“¹, ამბობს ვახტანგ მეფის ძმა ქაიხოსრო მეფე სულხანის შესახებ. აქ ნაგულისხმეია საბას სამსახური გიორგი XI და ლევან მეფის კარზე. ლევან მეფეც იხსენებს სულხანის „ნამსახურობას“². ვახტანგ VI არა ერთხელ იხსენებს მის „ერთგულობას“³. კერძოდ, გიორგი XI სულხანის „მრავალ-ფერად ნამსახურობა“ შესაფერად შეუფასებია და ჯილდოდ მამული და რამდენიმე სოფელი უძღვნია. „დიდად მსახურა მეფეთაო“, გვიამბობს შემდეგში იოანე ბატონიშვილიც⁴.

მოვიგონოთ სულხან-საბას წასვლა სპარსეთში, 1711 წელს, მეფე ქაიხოსროს გაწვევით, 1713 წელს კიდევ ევროპაში ლუი XIV დიპლომატური მისიით, და ყველა ამ ფაქტის შემდეგ თვალწინ წარმოვიდგებათ დიდი სახელმწიფო კაცი თავისი ეპოქისა.

სულხანი რომ დატვირთული ყოფილა სახელმწიფო საქმიანობით, ამას თვითონვე აღნიშნავს, რომ ის „სოფლისა საქმეთაგან უცალო იყო“. „მთელ საქართველოს მამად მიაჩნია“, სწერს (1712 წელს) მისიონერი რიშარი საფრანგეთის მინისტრს (ისტ. კათოლიკობისა, გვ. 313). „როგორც ჩანს, სულხან-საბას საქართველოში გავლენა აქვს ხალხსა და მეფის სასახლეზეო“, ამბობს 1714 წ. პარიზში დაწერილ მოხსენების ავტორიც (იქვე, 323). დომინიკე დე-ლაროქაც საბას პარიზში ყოფნის დროს კონსტანტინოპოლიდან პარიზში სთხოვს თავის მთავრობას, რომ მალე დააბოლოონ საბასთვის შეპირებული საქმე საქართველოს დახმარებისა, რადგან

¹ საქართველოს სიძველენი, II, 226.

² იქვე, II, 201

³ იქვე, 210 და სხვა.

⁴ იქვე.

„ძმები და საქართველოს მოწინავე პირნი, დიდი საკურობებისა გამო, საჩქაროდ იბარებენ, რათა საჯირო რჩევა-დარიგება მისცეს“¹ (იქვე 331).

ამ ცნობებიდან ნათელია, თუ სახელმწიფო მოღვაწე სულხანს რა დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა საქართველოში.

სულხანს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, ანარქიისა და არეულობის წყალობით ადრევე განუცდია დევნის მწარე დღეები.

შაჰნავაზის მემკვიდრეებმა—გიორგი XI და არჩილმა ვერ შეძლეს ურჩი ფეოდალების დაურეგება. ქართლში დიდი ანარქია გაბეჭდა. ქართლის ზოგიერთი დიდებული აშკარად იბრძოდა ტახტის წინააღმდეგ, მხოლოდ რამდენიმე ფეოდალი და სულხან ორბელიანის ოჯახი შერჩნენ გიორგი მეფეს. მეფისა და დიდებულთა ურთიერთობა დღითიდღე მწვავედებოდა. მეფემ ამ შემთხვევაში მუშაობითა მოულოდნელი ლიკვიდაცია მოახდინა, მაგრამ სამეფოს დაწყნარება ჯერ კიდევ შორს იყო. ამ დროს ყაენმა გიორგი მეფეს, როგორც თავის ვასალს, მოსთხოვა მძევლად ძმა — ბატონიშვილი ლევან და მემკვიდრე ბაგრატ. მეფე განდგა. მან კახეთის დახმარებით გადაწყვიტა შებრძოლებოდა ერანს, მაგრამ შინაური ლაღატით ეს გეგმა ჩაიშალა. მუშაობით ელემენტებმა უფრო ინტენსიურად დაიწყეს მოქმედება. მათ ახლა არაგვის ერისთავები—ერანის აგენტები—ხელმძღვანელობდნენ. გიორგიმ დააპირა განდგომილთა დალაშქვრა, შევიდა საერისთაოში, მოსწვა ბაზალეთი და დუშეთი, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია და უკანვე დაბრუნდა. ყაენი აქამდისაც ფიქრობდა გიორგის ტახტიდან გადმოყენებას, ახლა მისი ერთგული ერისთავების წახდენამ მისცა საბაბი ამ განზრახვის განხორციელებისა. ერანის კარზე მყოფი კახთა ბატონიშვილი ერეკლე, დიდი თემურაზის შვილიშვილი, თოთხმეტი წლის ყოყმანის შემდეგ გამაჰმადიანდა და ქართლ-კახეთის ტახტზე ავიდა ნაზარალიხანის სახელწოდებით. ერეკლეს გამეფებამ ვერ შესცვალა ქართლის ანარქიული მდგომარეობა, პირიქით, მისი უხასიათობით არეულობა და აოხრება უფრო გაძლიერდა. იგი სამეფოს განაგებდა სამეფო ვეზირის ყიასას ხელით: „იმის უნებურად მეფე წყალსაც ვერ დაღვედის“ (ვახუშტი). მის დროს ქართლ-კახეთში განმტკიცდა ერანის ხელისუფლება. თბილისის ერანელთა გარნიზონი უსამართლოდ ელეტდა ხალხს და ტყვეებით ვაჭრობდა: „მცველნი ციხისანი ყიზილბაშნი ჰკვლიდნენ და წარუსხმოდნენ კაცთა ცოლშვილთა“ (ვახუშტი, 61); „იპარვიდიან სილაღითა მცველნი ციხისა თათარნი—

¹ „მცირე უწყება“, 29

ტუილისისა, გორისა და სურამისა ტყვეთა და აწყვიდიდინა. და შეერიათ ქართველთაცა ყიღვა ტყვეთა. და იცვალეზოდაცა ზნენი ქართლისანი და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წყსითა და უკვლითა უწყსობითა“ (იქვე. 67). თუ რამდენად დაზარალდა ამ დროს ქართლი, იქიდანაც ჩანს, რომ თბილისის 70-80-ათასიანი მოსახლეობა ერეკლეს მეფობის უკანასკნელ წელს (1703 წ.) 20 ათას სულს აღარ აღემატებოდა.

ფეოდალებმა ახლა ნაზარალიხანს მოუწყეს შეთქმულება, მოიწვიეს ახალციხიდან ენგიჩარების მიერ დატყვევებული გიორგი და 1591 წ. ქართლში გაამეფეს.

მთელი ოთხი წლის განმავლობაში გიორგი ებრძოდა ერეკლეს. ნაზარალიხანს პარტიზანული ომებით, მაგრამ შინაგამცემლობის მიზეზით ვერას ვახდა; ხოლო როდესაც ერეკლეს ერანიდან მაშველი ჯარები მოუვიდა, იმერეთს გადაიხვეწა (1695 წელს). ერეკლე ისევ დაემკვიდრა ქართლ-კახეთის ტახტზე.

ექვი არაა, გიორგი მეფის ბრძოლის პერიპეტეებში სულხანს შესამჩნევი მონაწილეობა უნდა მიეღო. მართლაც, ის გაპოდის აქტიურ მემამბოხედ ერეკლეს წინააღმდეგ, განსაკუთრებით გიორგი მეფის ქართლის ტახტზე დაბრუნებისას 1691—1695 წლებში. გიორგიამ კიდევ იმეფა სამი წელიწადი. ეს იყო დრო განუწყვეტელი ომებისა. ორივე მხარე ენერგიულად იბრძოდა. სულხანიც თან ახლავს მეფეს. ის არა ტოვებს „გამზრდელს და პატრონს“ თავის ცნებებდობაში. მაგრამ, შინაგამცემლობის მიზეზით, გიორგი იძულებული გახდა ერანიდან მოსულ ერეკლეს მაშველ ჯარებს გასცლოდა და დედაწულითა და სახლეულით იმერეთს გადასულიყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ერთი საბუთის ცნობით, სულხანი თავის ძმებითურთ გიორგი მეფეს „შერჩენია და გადაჰყოლია“.

ჯერ კიდევ პირველ გამეფებაზე (1688 წ.) ერეკლემ შესამჩნევად დასაჯა გიორგის ერთგულები: „ამცირებდა ერთგულთა მეფისა გიორგისათა... კვალად დაამდაბლა ერთგულნი გიორგი მეფისანი და ზოგთა მიუხვნა მამულნი“. დასჯას და მამულების კონფისკაციას, ცხადია, არც სულხანი გადაურჩებოდა. როგორც ახლობელი ნათესავი გიორგისა და მისი მთავრობის აქტიური მოღვაწე. ჯერ კიდევ, როცა გიორგი კლდეკარზე იდგა ბრძოლის მოლოდინში, ერეკლემ და ერანის წარმომადგენლებმა ქალბალიხან „შეელეს სომხითი და დმანისის ხევი“. ცხადია, ერეკლემ მისთვის შეიარა ეგზეკუციით სულხანის მამული, რომ აქედან მას საფრთხე ელოდა გიორგის ერთგული ორბელიშვილებისაგან. კერძოდ, დმანისი ხომ სულხანის საკუთრება იყო?

გიორგის მომხრეები აქეთ-იქით დაიქსაქსნენ, ზოგი მეფეს თან გადაჰყვა, ზოგი იმერეთს გადაიხვეწა, ზოგი რაქას, დვალეთს, სამცხეს. სულხანიც ემინგრატებში მოჩანს. როგორც ირკვევა, ნაზარალიხანს სასტიკი ღონისძიება უხმარია სულხანის წინააღმდეგ: არ დაუზოგავს სასიკვდილოდ, აუკლია მისი ქონება და მამულების კონფისკაციაც მოუხდენია. დევნილ სულხანს თავი შეუფარებია ახალციხეში, თავისი სიმამრის ათაბეგის ხალიფაშის ოჯახისათვის. ახალციხე კი მაშინ ოსმალთა მფლობელობაში შედიოდა.

გიორგის ერთგული, დაუდგრომელი სულხანი არც ახალციხეში დამცხრალა. სამცხის ათაბაგთან (თავის სიმამრთან) მას უწარმოებია დიპლომატიური მოლაპარაკება გიორგი მეფის სასარგებლოდ. საბოლოოდ ათაბაგთან მტკიცე კავშირი შეუკრავს და გიორგი ზეფისთვის გაუერთგულებია. აი, თვით საფიცარი, ათაბაგის მიერ სულხანისადმი მოცემული: „ესე მტკიცე საფიცარისა წიგნი მოგეცით ჩვენ, ათაბაგმა, ბატონმა ხალიფაშამ, თქვენ ჩვენსა სიძესა ორბელიშვილსა, ბატონს სულხანს, ბიძასა თქვენსა, ბატონს თამაზ სარდალსა და თქვენს ძმებსა, ასე და ამა პირსა ზედან, რომ ბატონის მეფის ბრძანებით ჩვენთან მობრძანდით და ჩვენ და ბატონი მეფე საფიცრითა და მოყვრობით მოგვარიგეთ. და თქვენც საფიცარი მოგვეცით და ჩვენ ესე საფიცარი მოგვიცია, რომ ვიყუნეთ თქვენთვის კაი და კაის მნდომი... რომელიც მეზობლობაში გაგვეწყობოდეს და ხელი გაგვიწვდებოდეს, ხელი მოგიმართოთ, ავი არავის ვაქნევენოთ, არ დაგზარდეთ...“¹.

მალე ნაზარალიხანს უპატიებია სასჯელი სულხანისათვის და ახალციხიდან დაუბრუნებია. როგორ მოხდა სულხანის დაბრუნება, რა პირობებში შეუნდო ნაზარალიხანმა დანაშაული სულხანს? ამ საკითხის გამოსარკვევად ისევ გიორგი მეფის თავგადასავალს უნდა დავუბრუნდეთ. იმერეთში გადახვეწილ გიორგის მომხრეები თანდათან გამოეცალნენ და ნაზარალიხანს წარუდგნენ მონანიებით. პატიების ნაცვლად, ერეკლემ ისინი პატიმრად წარგზავნა ქირმანს ერანში. გიორგიმ გადასწყვიტა წასულიყო ერანის კარზე იმ იმედით, რომ ყენი ქართლს უკანვე დაუბრუნებდა. 1696 წელს გიორგი მართლაც, ყენს წარუდგა. მეფეს იმერეთიდან თან გადმოჰყვნიენ მომხრე თავადები. ერეკლემ ყენისაგან ბრძანება მიიღო, დანაშაული ყველასთვის ეპატიებინა და თავთავისი მამული დაებრუნებინა. ამ წყალობის მიზეზი, რასაკვირველია, გიორგი-მეფის მიერ თავის მოდრეკა იყო და ყენისადმი დამორჩილება.

¹ ქრონიკები, II, 159.

ვფიქრობთ, სულხანი არა რეულა იმ ანალში, რომელიც გიორგის ახლდა ყაენთან წასასვლელად. ის იმ დროს ახალციხეში ყოფილა. ახლა მისთვისაც გახსნილი იყო თავისუფლების კარები, და რადგან ყაენის ამნისტია მასაც ეხებოდა, ნახარალიხანს ახალციხეში პატიება შეუთვლია და კიდევ ჩამოუყვანია.

ემიგრაციაში სულხანმა დაახლოებით ნახევარ წელიწადს ან ერთ წელიწადს დაჰყო. ამას გვაფიქრებინებს ორი საბუთი: 1696 წ. 26 მაისის სულხანი ყიდულობს ყმებს შანშე აფხაზისგან, ხოლო 1697 წ. 11 ნოემბერს კი ხელს აწერს და ბეჰედს ასვამს ერთ სიგელზე¹. მაშასადამე, 1695 წელს ახალციხეში მოქცეული სულხანი 1696 წლის გასულისთვის უკვე თავის მამულში დაბრუნებულა.

ერთ მეტად საყურადღებო დოკუმენტში (1700 წ.), რომელიც მიმართულია სულხანის დედის თამარისადმი, თვით ნახარალიხანი გვიამბობს სულხანის შეთქმულების ამბავს: „ესე წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ, თქვენ, ორბელიშვილ მდივანბეგის ვახტანგის ცოლყოფილს, ზაალ ერისთავის ქალს, ბატონს თამარს, ესრეთ, რომე ამოწყვეტილი სააკაძის მკვიდრი მამული, ჯალდაში და ლორისთავი, როსტომ მეფეს ბარათაშვილ თამაზიშვილებისათვის ებოძა და გიორგი მეფის ბრძანებით შენის ნამზითვის სამკაულით გეყიდათ. მერმე გიორგი მეფე რა ჩამოვიდა, შენი შვილები იმას შერჩნენ და გარდაყენენ. ჩვენ გაუწყურით და ესე მამული გაუეციეთ, მარა გავსინჯეთ და ნასყიდი მამული არ წაირთმეოდა. ნერზე თქვენი შვილები სულხან და მისნი ძმანი შემოვირივეთ, შეუნდევით და შენი ნასყიდი სოფლები ჯალდაში სრულებით და ლორისთავი სრულებით წყალობა გიყავით მისის სამართლიანის სამზღვრით. ზურაბისშვილს რევაზს ამ მამულებისა ჩვენგან ნაბოძები სიგელი ჰქონდა და ის ამ სიგელით გავციტუდებია. მტკიცე არს, დაიწერა ბრძანება ესე ქორ. ტპც“² (1700 წ.).

1704 წელს ლევან მეფე საბასადმი მიცემულ წყალობის სიგელში ასე გადმოგვცემს ამ ეპიზოდს:

„მაშინ ოდეს ზაალ ერისთავის ქალს ბატონს დედათ თქვენთ თავის მზითვის სამკაულით ჯალდაში დი ლორისთავი ეყიდა, მერმე ჩვენი ერთგულებისათვის ნამსახურობისათვის ერეკლე მეფეს დაუნაშავებლად ასრე წაეხდინე, არც ამ ქვეყანას დაეყენებინე და ნასყიდიც წაერთმია. თავად დაუნაშავებლად წართმა და მერმე ნასყიდისა აროდეს ყოფილიყო, თვითონ მასუკან იმასვე თქვენი

¹ საქ. სიძველენი, II, 168, 169.

² S—1648.

დაუნაშავებლობა შეეტყო, რომე ჩვენის სამსახურობის მეტი იმაზედ დანაშაული არა გქონდა რა, და ახალციხიდან ისრევე მოეყვანეთ და დედის თქვენის ნასყიდი ისრევე ებოძა“¹.

შენახულა თვით აქტივ სულხანის პატიებისა ერეკლე-ნაზარალიხანის მიერ. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ერეკლეს სულხანი დიდ მოწინააღმდეგედ ჰყოლია მიჩნეული.

ერეკლე სწერს სულხანის ბიძის ასლანის მეუღლეს თამარს, რომელსაც ამ შემთხვევაში მეფესა და სულხანის შორის შუამავლობა უკისრია. როგორც საინტერესო მასალა საბას ბიოგრაფიისათვის, მოგვყავს საბუთი მთლიანად:

„დედიდავ, ბატონო თამარ! თქვენის პატიოსნის თავის სიკეთის ჰლომი მეფე ნაზარალიხან ვიკადრებ, ჩვენო დიდო და დაუვიწყარო და ნიადავ კეთილად და თქვენსა საკადრად მოსაგონარ-სახსენებელო, ყოველთა ბანონთა დედათა შორის სიკეთით აღსავსე და ყოველს პატიოსნობით მოუკლებარო, ჩვენგან მშობლის ალაგს საგულეებელო დედიდავ, ბატონო თამარ!


„მრავალი თქვენის მღთის მოყვარულისა და ჩვენგან დაუვიწყარად სახსოვარისა კაის თავის მოკითხვა მოგვისხსენებია! მერმე თქვენის მაზლიშვილის სულხანის შემორიგების საქმეზედ წიგნი მოგეწერათ და ოთარი გიახლებინათ. გულს რომ არავისგან გვკლებოდეს და წყენა არავისგან მოგვეგონებოდეს, ეგზომ არ იქნების, მაგრამ თქვენი შუამავლობა და პატივის დადება, რომელზედაც ყოფილა, კვლავაც გაგვითავებია. არა თუ ახლა, თქვენ ასრე მოჭირვებით მისი შუამავლობა გებძანათ, რომე ჩვენგან ამისი პატივი დაგედებოდათ.

„რადგან თქვენ შუამავლობა გექნათ და მოგეწერათ, ჩვენც ასრე პატივი დაგვიდია და მაგისი დანაშაული შეგვინდვია, რომე, როგორც ბედნიერის ყენის შეცოდებაში არ გავერევი და თქვენ ბევრს ურიგოსა და უპატიურობას არ გაკადრებ, ისრე ჩემი შვილიც რომ დაეკლას, მაშინც მე სულხანს აღარც რას ვუსაყვედურებ, და ყოველი მაგისი დანაშაული კიდევ მიპატივებია.

„ნურასგზით ჩვენგან მაგისი ურიგოს ექვი ნუ გაქვს. ღმერთი მოგვიცემია ამის თავდებად, რომე ჩვენგნივ და ჩვენის საქმით არა უმარცხდეს რა“. მეფე ნაზარალიხან². (ეს დოკუმენტი, ჩვენი გამოკვლევით, 1696 წლ. პირველ თვეებს ეკუთვნის).

¹ საქ. სიძველენი, II, 201.

² იქვე, 190-191: ქრონიკები, II, 509.



საბა განდევილი. დავით გარეჯის ნათლისმცემელში. საბა კათოლიკე.

1698 წლიდან ჩვენ გადავდივართ სულხან ორბელიანის ცხოვრების მეორე ნახევარში. ამიერიდან კარისკაცი, ფეოდალი და ვნებიანი მოარაკე ხდება ასკეტი, „ცოდელი მონაზონი საბა“.

რა გარდატეხამ, რა ტანჯვამ და კრილობამ მიიყვანა დიდი ორბელიშიელი დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ბჭეებთან 1698 წ., 18 მარტს?

რა მოულოდნელია ეს ტრაგიკული აქტი!

მონაზონის ჩოხაში იმოსება აღორძინების ადამიანი, რომლის გენიალური შემოქმედება „სიბრძნე სიცრუისა“ სავსეა შხამიანი ირონიით ქრისტიანული ფანატიზმისა და საეკლესიო კლერიკალური ცხოვრების მიმართ.

მოვიგონოთ „სიბრძნე სიცრუისადაც“ ერთი არაკი, რომლითაც ჩვენმა ავტორმა წინასწარვე სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა თავისი ხორციელი კასტრაციის აქტს: „ჩემი დღენი ცოდვაში დავალამე, ახლა ჭკუა მოვიხმარე, ეს სოფელი გაუშვი, ბერად შევდეგ-იერუსალიმს მინდა წავიდეო“ (იხ. „მოდღარი მელა“).

ძველი, ოფიციალური განმარტებით, სულხანი ბერად შედგა თურმე დაქვრივების მიზეზის გამო: „როცა მოუკვდა ცოლი თამარი, ასული ათაბაგ ხალიფაშისა შესდგა და აღიკვეცა საბას სახელით“¹.

ეს მიზეზი, რასაკვირველია, უარსაყოფელია. სულხანი ბერად აღიკვეცა 1698 წელს, ხოლო 1709 წ. პაპის კლემენტი XI-სადმი წარგზავნილს ეპისტოლეში იგი თავის ცოცხლად მყოფ მეუღლეს იხსენიებს. სულხან-საბას მონაზონობაშიც, თერთმეტი წლის შემდეგაც კი, მეუღლე ცოცხალი ჰყოლია.

აქ შემდეგ გაუგებრობას აქვს ადგილი: ფლორენციის არქივის ერთი ცნობით, სულხან-საბას „ჰყავდა ორი მეუღლე“. ცნობილია ისიც, რომ საბას ცხოვრების ერთ-ერთი თანამგზავრი „ათაბაგის ქალი თამარ“ ყოფილა. ფლორენციის ცნობის სიმართლე, ან თუ რომელი ცოლი იყო თამარი, ახლახან დადასტურდა და გამოიძიება, როცა წაკითხულ იქნა ორბელიანების საგვარეულო ნეკროპოლის პიტარეთის წარწერები ეპიტაფიები, სადაც სულხანის პირველი მეუღლის ვინაობაც აღმოჩნდა:

¹ აღ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, 542.

„ბაგრატიონთ ასული და დიდის .ორბელის სძალი, სულხანის მე-
ულლე, ბატონი დარეჯან, ამას დავემკვიდრე ქქნი ტოა“ (1683 წ.) —
გვამცნობს მისი ეპიტაფია.

ამნაირად, სულხანის პირველი მეუღლე — დარეჯან ბაგრატიონ-
ის ასული (მუხრან-ბატონის შტოისა) ახალგაზრდობაშივე გარდა-
ცვლილა. როცა სულხანი ოცდახუთ წელში იდგა. ხოლო სულხან-
საბას მეორე ცოლი, ათაბაგის ასული თამარ ცოცხალი ყოფილა
1709 წელს და დაახლოებით 1712 წლის ახლო ხანებში გარდა-
ცვლილა.

ამ საბუთების შემდეგ ცნობა სულხანის დაქვრივებისა 1698
წელს და ამავე მიზეზით მონასტერში შესვლა სიმართლეს მოკლე-
ბულია. ასეც რომ არ ყოფილიყო, ცხადია, ასეთ მძლავრს და მო-
ნოლითურ პიროვნებას ვერ შემუსრავდა ერთი კრილობა, ოჯახუ-
რი ტრაგედია.

მაშ, რით უნდა აიხსნას სულხანის სულიერი კატასტროფა? შე-
საძლოა, სულხანის შემორიგებისას ერეკლე—ნაზარალიხანმა თავი-
სი მეფობის სიმშვიდის უზრუნველსაყოფად, მოწინააღმდეგე სულ-
ხანი იზოლაციის მიზნით ჩაამწყვდია თბილისიდან დაშორებულს
უდაბნოში? იმ დროის პრაქტიკაში მსგავს მაგალითებს ჩვენ საკ-
მაოდ ვიცნობთ, მაგრამ, რომ სულხანისათვისაც ასეთი მორალური
ოპერაცია მიეყენებინათ, საამისოდ არავითარი ცნობა არ მოგვე-
პოვება.

უფრო ვფიქრობთ, რომ სულხანის ბერად შედგომა არ უნდა
ყოფილიყო სხვის მიერ ძალდატანებული აქტი, და რომ მასში საეკ-
ლესიო პესიმისტურ მსოფლმხედველობისათვის გზა უნდა გაეხსნა
საქართველოს მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას, ფიზიკურად გა-
ნადგურებას, ხალხის ზნეობრივად გადაგვარებას, დემორალიზაციას;
რომ ასეთი მცირე მანძილი სასახლიდან მონასტრამდე გამოწვეუ-
ლი უნდა იყოს იმ ეპოქის მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური
პირობებით.

დასასრულ, ჩვენ მოგვეპოვება ერთი მეტად საყურადღებო ცნო-
ბა, ამოღებული იმ დროის საქართველოში მცხოვრების კათოლიკე
მისიონერის მიერ რომში გაგზავნილი მოხსენებიდან, სადაც ნათ-
ქვამია, რომ საბა გახდა მონაზონი, რათა უფრო თავისუფლად
იღვაწოს რომის საყდრის და ქართული ეკლესიისა შეერთებისა-
თვისო¹. ამ მიზანსაც ხომ პოლიტიკური სარჩული უდევს. იგიც,
საბას აზრით, საქართველოს კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული

¹ ისტორია კათოლიკობისა, გვ. 313.

სამშობლოს განთავისუფლებისა მაჰმადიანური მახეილისაგან ევროპის კაპიტალის და კულტურის საშუალებით, როგორც მაშინ ზოგი ქართული წრე ფიქრობდა.

აჰნაირად, სულხანის ბერად შედგომა, ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა ყოფილიყო პოლიტიკური გარემოებით და არა რელიგიური განცდებით.

თავისი ასკეტური ცხოვრებისათვის სულხანმა დავით გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნო აირჩია—უწყლო ტრამალი, მოხრეკილი, ასპიტი, სიცხით გაუსაძლისი, სადაც იყო მხოლოდ ჯერანი და გველთა სიმრავლე. დაყუდებული ბერები-მემხოლოენი ცხოვრობდნენ ნაპრალებში¹.

ბუნების სიმკაცრესთან ერთად გარეჯის უდაბნო საშიშარი იყო გარეშე მტრებისაგან. იმ ხანებში ლეკთა ურდოები საშინლად იკლებდნენ კახეთს და ეს მხარეც „ყოველდღე მახეილ ქვეშ“ იყო. ცხოვრება ასეთ განმარტოებულ ალაგას მაშინ დიდ თავგანწირვას წარმოადგენდა. „ძნელად შესაბედავი იყო ადგილი ეგე მტერთაგანო“, აკი შენიშნავს უდაბნოს მაშინდელი წინამძღვარი².

დიდ ორბელიანთა პალატებში აღზრდილი, ამიერიდან „უდაბნოს მყოფი ორბელიშვილი მონაზონი საბა“, ითმენს ყინვის სისასტიკეს, ზაფხულის მსურველებას, ასრულებს სამონასტრო კანონებს და ეკლესიისტურ ხმაზე ლაღადებს:

— „აჰა, განვლო ღღემან და ლამემან! აჰა, წარხდა მსგეფსი ერთი, თვე და წელიწადი, აჰა, მოიწია სიკვდილი! აჰა, შეგედვათ სნეულება ღვიძლთა ანუ ტვინთა, ანუ თირკმელთა და მობერა მომაკვდინებელმან ქარმან და იავარ იქმნა შენნი სულთა მოსყიდული ნაანგარევენი სამოსელნი და უნჯნი!

„ქრისტემან დალივა სული თვისი და მოგიყიდათ სულითა თვისითა და მამისა თანა მიყვანება შენი ნებაჲს ძღვნად: შენ დასდევ სული ქრისტისგან მოსყიდული სასყიდლად სამოსელთა და ვერცხლთა განაქრებულთა და იგი დაუტევე ძღვნათ ეშმაკთა!“

უდაბნოში განმარტოებამ ვერ მოადუნა საბას პოლიტიკური პიროვნება. გარეჯის მღვიმეშიც არ დამცხრალა მისი პოლიტიკური საქმიანობა. შემდეგში ხომ ხანგრძლივადაც ტოვებს უდაბნოს და მიემგზავრება დიპლომატური მისიით ჯერ ერანს, შემდეგ რომსა და პარიზში. ამიტომ ვასაგებია, როცა საბას ქადაგებანი იმავე დროს შეიცავენ ნაციონალურ-პოლიტიკურ ტენდენციებსაც.

¹ საბას სენაკს ახლაც უჩვენებენ დავით გარეჯაში.

² თედო ჟორდანი, ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები, გვ. 67.

საბას ქადაგებებში ცოცხლად მოჩანს ავტორის ინდივიდუალური ბუნება, მისი პოლიტიკური და რელიგიური ფიქრები. ამ ქადაგებებში საბა გვევლინება, როგორც დიდი მორალისტი და მხურვალე ტრიბუნი.

ცნობილია, რომ პოლიტიკური კარიერისათვის და უფლებათა შესანარჩუნებლად ქართველი ფეოდალები არაერთარ საშუალებას არ ზოგავდნენ. ერთი საშუალებათაგანი გამაჰმადიანების ეპიდემია იყო. რჯულის გამოცვლისათვის, გარდა დიდი ჯამაგირების და ნამულებისა, ერანის კარი მათ აჯილდოებდა დიდი უფლებებითაც. რაც უმთავრესად ხალხის შესავიწროებლად იყო მიმართული. რენეგატებს გზა ჰქონდათ გახსნილი ყოველგვარი მტარვალობის ჩასადენად, და მათი თარეშების ნაყოფიც არის ქართული მოსახლეობის შემცირება XVII—XVIII ს-ში, ქართველი ტყვეებით ვაჭრობა სტამბოლისა, ისპაჰანის და ალეირის ბაზრებზე და დღემდე დარჩენილი ნაოხარი ნასოფლარები, ნაქალაქარები, პარტახები.

ვის შეეძლო, თუ არა ეპოქის დიდ ადამიანს, ბრძოლა ნათი მტარვალობის წინააღმდეგ? და მართლაც, ენერგიული მკაცრი სიტყვებით, საბა სასტიკად ამხელს ახალ ეროდებს:

...„თქვენ წარხვალთ მცირედისა ნიქისათვის, გინა მეზობელთა შურისათვის... იხილე რაი შენ მდიდრისა ვისიმე სამოსელი ბრწყინვალე, სტავრა ანუ ოქროსქსოვილი, შურისაგან მისისა აღივსი და იწყი პირველად ანგარება ანუ პარვა, ანუ ტაცება და დართი ცოდვა ცოდვათა და უსჯულება უსჯულობათა ნიქისა რასათვის ისოფლიოჯსა...

„მრავალნი მინახავნ მე მგმობარნი ქრისტესნი, ოდეს მოვიდიან ეკლესიად, იწყიან ლოცვად და ვედრებად და რეცა ქრისტიან ყოფად, ოდეს იხილონ უსჯულონი და წესსავე მათსავე ზედა მიიტციან...

„ერთი ვინმე უარს მყოფთანი მეღიზღებოდა და მე ვარქუ: განმეშორე, შეილო ჯოჯოხეთისაო. მეთქი! ხოლო მან მომიგო და მრქვა; არა, ნუ იყოფინ! მე შეილი ვარ სასუფევლისაო! მე ვკითხე, ვითარ? მან მომიგო: ოდეს ქრისტე მოვალს მეორედ მოსლვას, უკეთუ იგი არის ძე ღვთისა და მაცხოვარი სოფლისა, ვაჩვენებ შუბლთა ჩემთა აღბეჟილთა ბეჟდითა მით მირონისა მისისათა და უკეთუ მოჰმედი უდიდებულეს არს, ვაჩვენებ სერსა მისსა წინადაცვეთილები-სასა და ანუ ერთი აღმიყვანს ზეცად ანუ მეორეო და იცინოდა ფრიალ...

„ვაი, უგუნურებაი ესეთი, კაცნო ცოდვითა აღსავესენო და უსჯულობითა გარდამატებულნო!

„თქვენ უკეთუ მონათაგანი ვისმე წარგივიდეს და მიუვიდეს მტერთა თქვენთაგანსა, იხილე რასა გულითა იქმნები მას ზედა, ანუ რაოდენნი მეხვადიშენნი აღადგინონ, ვილრე ხილვადმდე პირისა შენისა და ვითარ სირცხვილულ იყოს შენთანა? აწ შენ რალა გიხმს მონისა შენისა უფლისა, რომელმან თვით დამბადებელი შენი განარისხე და რომელმან შენთვის ჯვართა სიკვდილი დაითმინა, იგი უარ ჰყავ და შენ აწცა ორგულე და არა ინანი, არა იცემ მკერდთა ორითვე მჯილითა, არა განბან სარეცელთა შენთა ცრემლითა, არა ოხრავ და სულთქმავ დღე და ღამე?..“¹

ეს ნაწყვეტები ამოღებულია საბას საეკლესიო ორატორული შემოქმედებიდან, რომელსაც ეწოდება „სწავლანი და მოძღვრებანი“ (A—479: გადაწერილია საბას უმცროსი ძმის ზოსიმეს მიერ მოსკოვში 1729 წელს).

„ქადაგებანი და მოძღვრებანის“, გარდა, საბას ეკლესიური შემოქმედებიდან ცნობილია კიდევ შემდეგი თხზულებანი:

1. „სამოთხის კარი“ ანუ „საქრისტიანო მოძღვრება“ და
2. „წამებანი წინასწარმეტყველთაგანი“.

საბას რელიგიურ სფეროშიც ხდება გარდატეხა. იგი კათოლიკობას იღებს, პრინციპულ კათოლიკედ ხდება. რომში მას მოპოვებული აქვს შეურყეველი რეპუტაცია „ძლიერ მტკიცის“ და „მეტად ერთგული კათოლიკის“², „დიდი სასოება აქვს კათოლიკე სარწმუნოებისა“, წერენ პარიზში, საბას იქ ყოფნის დროს. პაპი კლემენტე XI აღნიშნავს, რომ საბამ, მრავალნაირი და წარჩინებული ნიშნები უჩვენა მხურვალებისა³.

როდის მიიღო საბამ კათოლიკობა?

ჯერ კიდევ 1687 წ. პატრი ჯუსტინო ლივორნელი თბილისიდან აცნობებდა რომს: „გაკათოლიკდა ბატონი სულხან, შეილი დიდი მინისტრისა, ბიძაშვილი მეფისა, რომელიც არის უკეთილშობილესი ქართველი ყაფლანიშვილი; თუ კეთილ ინებებს თქვენი უმაღლესობა, ნახავს, რა სათნო ჰქმნა ამან: თვით შეასწორა „საქრისტიანო მოძღვრება“, რომელიც მე ვთარგმნე: ამან მიიღო კათოლიკობა 1687 წელს“⁴.

¹ სიძე. მუხ. № 479.

² ისტ. კათოლიკობისა, 342, 318.

³ იქვე, 318; იხ. საბას მიერ შედგენილი „სამოთხის კარის“ აღსარება (ყოფ. საეკლ. მუხუმის ხელნაწერი, № 303).

⁴ ისტორია კათოლიკობისა, გვ. 332.

მეორე ცნობის თანახმად კი, სულხან-საბა კათოლიკობაზე გადასულა 1692 წელს (ისტ. კათოლიკობისა, გვ. 263). ამ თარიღს დაახლოებით ადასტურებს ტოსკანას მისიონერთა არქივის ერთი საყურადღებო დოკუმენტიც (იქვე, 323).

ჩვენი აზრით, საბამ რომის საყდრის უზენაესობა აღიარა 1692 წელს; მანამდე კი შესაძლოა ლაპარაკი მხოლოდ სიმპათიებზე. შესაძლოა 1687 წელს სულხანმა გამოთქვა მხოლოდ სიმპათია კათოლიციზმისადმი, მისიონერმა კი ეს ამბავი გადაჭარბებულად აჩვენა რომს, როგორც ნაყოფი მისი გულმოდგინეობისა. ასეთ ხერხს თბილისელი მისიონერები ხშირად მიმართავდნენ ხოლმე თავისი მოღვაწეობის გასამართლებლად საქართველოში ¹.

მაგრამ ორსავე შემთხვევაში, როგორც ირკვევა, თვით ევროპაში წასვლამდე საბა ნომინალური კათოლიკე ყოფილა. იგი მხოლოდ ფარულად აღიარებდა კათოლიციზმს ისე, როგორც შეფენი და ზოგი ფეოდალები. ხოლო სან-ბაზილის მონასტერში საბას მიერ კათოლიკეთა აღსარების თქმა ჩვენ უნდა მივიღოთ, როგორც ოფიციალური დაკანონება კათოლიციზმში გადასვლისა.

ამ მოსაზრებას ვასაბუთებთ იმ გარემოებით, რომ ევროპაში წასვლამდე ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი მასალები კათოლიკე საბას მოღვაწეობისა და მისი აქტიური ურთიერთობის შესახებ რომთან, გარდა ერთი ეპისტოლესი, რომლითაც 1709 წლის 15 აგვისტოს მიმართა მან კლემენტი XI-ს.

საგულისხმოა, რომ ბასილის ორდენის წევრადაც საბა მხოლოდ 1713 წლიდან იხსენება.

სხვათა შორის, კათოლიკე საბა წმინდა ბასილის ორდენს ეკუთვნოდა. პაპი კლემენტი XI, რომის პროპაგანდა, და თვით ვახტანგ VI საბას უწოდებენ „ბასილიანს“, „ბასილის ორდენის მონაზანს“ ². ბასილიდან აღიარებს თვით საბაც თავის თავს ³.

სიცილიაში მოგზაურობის დროს საბა სწერს საფრანგეთის მინისტრს: „მესინაში თქვენმა კუნძულმა ⁴ წამიყვანა და წმიდის ბასილის, ჩვენს მონასტერში დამაყენა“ ⁵.

¹ პროფ. ალ. ცაგარელის სიტყვით, საბამ კათოლიკობა მიიღო ევროპაში ყოფნის დროს.

² ისტ. კათოლიკობისა, 315; საყურადღებოა, რომ თვით ცნობილი ქართველი დიპლომატი (მე-17 ს. პარ. ნახ.) ნიკოლოზ ირბახიცი ბასილის ორდენს ეკუთვნოდა (იხ. ისტ. კათ., 92, 96).

³ ისტ. კათოლიკობისა, 31, 320, 326, 327, 328, 332, 343.

⁴ ე. ი. კონსულმა.

⁵ იქვე, 330.

საგულისხმოა, რომ ევროპაში ყოფნის დროს საბამ კათოლიკური აღსარებაც სწორედ სან-ბაზილის მონასტერში წარმოთქვა, და ის ფაქტიც, რომ მისი მხლებელი ქართველი მონაზონიც „ბასილიანი“ იყო¹.

მაგრამ საბა ორდენის უბრალო წევრი არ ყოფილა. რომის ეკლესიის იერარქიაში მას მინიჭებული აქვს ხარისხი „ბასილიანთა უფროსის“. როგორც ვახტანგ VI წერილიდან ჩანს, იგი „საქართველოს წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის უფროსი წმ. ბასილის მონაზნებისა“ ყოფილა².

როგორც მისიონერის რიშარის სიტყვებიდან ირკვევა, 1713 წლამდე, ე. ი. ევროპაში წასვლამდის საბას დიდი მოღვაწეობა ჰქონია გაწეული მისიონერის წინაშე. საბას ერთი წერილის საპასუხოდ რომის კარდინალი იწერება: „ესცანი თქვენი მისწრაფება გასაერცვლებლად კათოლიკე სარწმუნოებისა, რომელიც უკვე მიგიღიათ და გინდათ გააერცვლოთ იგი არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეშე პროვინციებშიაც. ყოველივე ეს ვაუწყებ ბატონ კარდინალებს, რომლებიც დიდად გავედრებენ და მზად არიან ყველა შემწეობა აღმოგიჩინონ თქვენის კეთილის სურვილის შესასრულებლად. ამიტომ აქ მოგელიან, რათა თქვენის პირით მოისმინონ ყველაფერი და იხმარონ ყოველნაირი შესაფერისი და საჭირო საშუალება ამ წმინდა აზრის განსახორციელებლად“ (ისტ. კათოლ., 318). ასევე სთხოვს საბას რომის პროპაგანდაც: „აწ მისიონერებს დაევედრებ თქვენს მფარველობას, რათა თქვენის შემწეობით შეიძლონ მოტანა იმ უდიდესი ნაყოფისა, რომელსაც მოველით მათი შრომისაგან“ (იქვე, 333); შემდეგ ევროპიდან წამოსვლისას, როცა საბამ წამოიყვანა თან მისიონერები, პაპმა ასე დაევედრა: „თანახმად შენის ნატერისა, და თხოვნისა, გადაეწყვიტეთ გამოგვგზავნოთ მისიონერები. თუმცა დიდად დარწმუნებულები ვართ შენს მხურვალეობაზე, რომლისაც მრავალნაირი და წარჩინებული ნიშნები გვიჩვენე ამ ბრწყინვალე ქალაქში ყოფნის დროს და მზად ხარ შეეწიო; მაინც კი კვალად და კვალად დიდის თხოვნით დაგა-

¹ ისტ. კათოლიკობისა 329.

² იქვე 317; საგულისხმოა, რომ საბა სხვა საბუთებში არსად ჩანს მონასტრის წინამძღვარის თანამდებობაზე, რომელიც იმ ხანებში (დავით გარეჯის მონასტერში) ეკირა ვინმე ხარიტონს. იხ. ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები გვ., 19, 20, 21, 22, 37, 39, 70, 71, 72 (1704, 1705, 1707, 1710, 1713 და 1714 წლების ქვეშ).

ვედრებით მათ, რათა შენის გულკეთილობის ნაყოფი უჩვენო და შენი ძლიერი მფარველობა არ მოაკლო.“ (იქვე, 332).

მხურვალე კათოლიკე საბაც უპასუხებდა: „ჩემი საქმე და ჩემის ქვეყნისა გამიშვია და უწინ უნდა მოციქულების (მისიონერების) საქმე ვინაღვლო, მერმე ჩემ თემს უნდა წავიდე“ (იქვე 331).

საბას ერთგულებაზე რომში სწერდნენ: „დიდი სასოება აქვს კათოლიკე სარწმუნოებისა... იმ სიშორიდან მოვიდა საფრანგეთს, რომ მოიპოვოს მისიონერები“.

რასაკვირველია, პაპს, რომის პროპაგანდას სრული საბუთი. ჰქონდათ საბას ასეთი პატივისცემისა და ნდობისა. საბამ ხომ ჯერ კიდევ 1707 წ. 15 აგვისტოს მიმართა პაპს საკუთარი ეპისტოლეტი, რომელშიც იცნო მისი უზენაესი ხელისუფლება და, „წმიდათა ფერხთა მთხოველი“, ევედრებოდა, „რათა ცოდუათა ჩუენთა სიძრაველთა აღზოცად ევედროს ღმერთსა და წმიდა კურთხევა. მათი მოგვეფინოს, და ლოცვა ყოს ჩვენ უღირსთათვის, რათა სიმტკიცით ვეგნეთ მართალსა სარწმუნოებასა ზედა შეურყვევლად. სიტყუით და საქმით უწყით, რამეთუ შენ გაქვს ხელმწიფება მიტვევბად ცოდუათა, რომელი მოგცა გახსნად და შეკვრად იესო ქრისტემან. თქვენის მადლის მფარველობითა უხილავ მტრისა ზედა მომეხმარე, თუ არა, ხილულს მტერს ჩემზედ არა შეუძლიან რა... ყოელი ცოდვილთ უცოდვილესი ორბელიშვილი სულხან ყოფილი. ონაზონი საბა, მიწა ფერხთა თქუენთა“.¹

საქართველოში დაბრუნებისას საბა ენერგიულ აგიტაციას განაგრძობდა კათოლიციზმისათვის. პროპაგანდის ერთი მოხსენების მიხედვით, „საბამ კათოლიკობაზე მოაქცია ყველა თავისი სახლობა და თავისი უკეთილშობილესი და უმრავლესი გვარეულობა“.

მაგრამ არც ქართულ სამღვდლოებას გამოუჩენია გულგრილობა და ლათინოფილ საბასათვის საშინელი დევნა აუტეხია. მისიონერი დელა-როკა ატყობინებს პროპაგანდას, რომ საბას „ბევრი შეურაცხყოფა და შეწუხება მიაყენეს კათოლიკე სარწმუნოების“.

¹ ისტ. კათოლიკობისა, 312, 363. საქართველოს ერთს აღწერაში, რომელიც 1773 წ. პროპაგანდას რომში წარუდგინა, ნათქვამია, რომ საბამ გააკათოლიკა თავისი მეტად მრავალრიცხოვანი ოჯახი, რომლის წევრებიც თავიანთ მხრივ სხვებში ავრცელებდნენ კათოლიკობას (იქვე. 334.). ამ ფაქტისათვის, სხვათა შორის, დამახასიათებელია ორბელიანთა გვარში სახელი ბენედიქტე, რომელსაც საბას ერთ-ერთი ძმისწული ატარებდა (იხ. საქართველოს სიძველენი, II, 357). საბას კათოლიკობისათვის იხ. ისტორია კათოლიკობისა, გვერდები: 263, 334-349, 350, 351 და. სხვა.

მტკიცე ასრულების გამო¹ ვატიკანის საბუთებიც გვიდასტურებენ, რომ ევროპიდან დაბრუნებულ საბაზე „ქართველობა ძალიან განრისხებულა“².

თვითონ საბაც ხომ გვიამბობს სამღვდელოების სისასტიკეს: „ქართველი ეპისკოპოსნი და სამღვდელონი ჩემს წასვლისთვის (რომში) გაჰმტერდნენ... მერმე სამღვდელოთ შფოთი აღძრეს ჩემზე. კრება და ბოროტის ქნა მოინდომეს... კრება მიყვეს და წმიდის პაპის გინება მომიდევს... მე მართლმადიდებლობა ვერ უარყავი, და მრავალი ავი მომინდომეს“.

როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, ქართულ სამღვდელოებას საბასთვის რელიგიური თავისუფლება ვერ უპატიებია და მისთვის აუტოდაფე გაუმართავს.

ამ ფაქტების შემდეგ მეტად საეკეო ხდება პლატონ იოსელიანის, პროფ. ალ. ცაგარლისა და პროფ. კორნ. კეკელიძის მტკიცება, თითქოს, საბას სიკვდილის წინ, რუსეთში უარეყოს კათოლიკობა და მართლმადიდებლობაში დაბრუნებულიყოს.

საბას მიერ კათოლიციზმის უარყოფას არ ადასტურებენ უფრო ძველი ავტორები. მაგ., იოანე ბატონიშვილი („კალმასობა“), იონა ხელაშვილი (საისტ. საეთ. № 1429) და, რაც მთავარია, ისეთი დიდი ავტორიტეტი, როგორიცაა ანტონ კათალიკოსი I, რომელიც, პირიქით, ადასტურებს საბას ერთგულებას რომისადმი, გამოხატავს რა თავის საბასადმი მიძღვნილს იამბიკოში მისი დროის ქართული სამღვდელო წრეების სიძულვილს საბას მიმართ:

საბას არ ვაქებ, ამაღ, ვითარმედ ესე
ეკლესიასა წმიდასა მტერ განუდგა,
წინააღმდგომ, მებრძოლ ექმნა ქეშმარიტებას,
სამოთხის კარნი, გარნა ჯოჯოხეთის ბქე
აღწერა სულთა წარწყმედად, თვითცა წარწყმდა³.

აქედან ჩანს, რომ საბა არა მარტო განუდგა აღმოსავლეთის ეკლესიას, არამედ მისი სასტიკი მტერი და მებრძოლიც გახდა („წინააღმდგომ, მებრძოლ ექმნა ქეშმარიტებას“), და რაკი მან არ დაგმო თავისი „ცლომილი“ გზა, ამიტომ იგი „წარწყმდა.“ რასა-

¹ ისტ. კათოლიკობისა, 335.

² იქვე.

³ „წყობილისიტყვაობა“, გვ. 287.

კვირველია, საქართველოს ეკლესიის მეთაურის ავტორიტეტულ დამოწმებას საბას მართლმადიდებლობის წიაღში მოუქცევლობის შესახებ საკითხისათვის გადამჭრელი მნიშვნელობა ეძლევა.

ინტერესს არ არის მოკლებული საბას ლექსი თავის თავზე:

ვიყავ ერად,
მჯობდენ ვერად!
ვიქმენ ბერად,
ვემსგავსე რად?!

საბას რომ უარყო კათოლიციზმი, ასეთ გალაშქრებას მის წინააღმდეგ, ცხადია, ადგილი არ ექნებოდა.

დასასრულ, რა მიზეზით უნდა მიეღო საბას კათოლიკობა? ჩვენ გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ საკითხი საბას კათოლიკობისა უმთავრესად პოლიტიკური მოტივებით უნდა აიხსნებოდეს და არა ვიწრო რელიგიური მისწრაფებით,—საკითხი კათოლიკობისა საბასთვის იყო საკითხი პოლიტიკური ორიენტაციისა.

ცნობილია, რომ მე-13 საუკუნიდან რუსეთთან შეერთებამდის არ შეწყვეტილა კავშირი რომსა და თბილისს შორის. რომის პროპაგანდა ენერგიულად იბრძვის პაპის უზენაესი უფლების დასამყარებლად საქართველოში, ხოლო საქართველო თავის მხრივ კათოლიციზმში ეძებს არა რომის საყდრის დოგმატების ქეშმარიტებას, როგორც ევროპის მხრივ ღონიერსა და კულტურულ მფარველს. ეფემერული იმედები ევროპისაგან დახმარებისა განსაკუთრებით თავს იჩენს პოლიტიკურად მძიმედ შევიწროებულ საქართველოში XIII ს-ის პირველ ნახევარში. ეს ორიენტაცია მტკიცედ იკიდებს ფეხს ქართულ პოლიტიკურ წრეებში. ამ ნაბიჯით საქართველოს მოწინავე პოლიტიკოსებს სურთ პაპის საშუალებით იშოვნონ დახმარება ევროპის სახელმწიფოებისა. შევიწროებული საქართველოს ევროპისადმი მხურვალე მისწრაფების გამომხატველია გიორგი XI წერილი პაპის ინოკენტი XI-სადმი: „გულნი და თვალნი შენდა ღიმიართ მოგვიპყრიან და შენს დიდსა იმედსა და ბრძანებას უყურებთ... მოგვიძიენ, მოგვიტაცენ პირისგან მგელთა, ნუ გავგწირავ და გამოგვიხსენ“¹.

ეს სიტყვები ნათლად გადმოგვცემს მისწრაფებას ქართველ მოწინავე წრეებისას, რომელთა თვალსაჩინო წარმომადგენელია დიდი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი. სწო-

¹ A—303

² ისტ. კათოლიკობისა, 843.

რედ მისი ეფემერული იდეა არის ქართული ეკლესიის რომთან შეერთების იმედით საქართველოს სამუდამო განთავისუფლება ერანისა და ოსმალეთის მუდმივი მონობისაგან და, შესაძლოა, ჭეშმარიტი იყოს რომის მისიონერთა ინფორმაცია, რომ საბა ვახდა მონაზონი, რათა უფრო თავისუფლად იღვაწოს რომის საყდრისა და ქართული ეკლესიის შეერთებისთვის. საკითხი ქართული ეკლესიის გაერთიანებისა რომთან უკვე დგას გიორგი XI და ვახტანგ VI დროს, და რომ გზის სიძნელის მიზეზები არა, შესაძლოა სულხანს 1713 წელზე ადრე ენახულა ვატიკანი და ვერსალი.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

საბა ვახტანგ VI აღმზრდელი. საბა დიპლომატი.
მოგზაურობა ვეროპაში.

„ქილილა და დამანას“ შესავლიდან ვიცით, რომ საბა „ვახტანგ მეფის ბიძად და გამზრდელად წოდებული და დიდად საყვარელი იყო“¹.

მისიონერი ჯუსტინო ლივორნელი რომში გაგზავნილ მოხსენებაში წერს, რომ საბამ „აღზარდა ვახტანგი და მისი სახლობა და ისე უყვართ, როგორც საკუთარი მამა“². ამ ცნობიდან ისიც ირკვევა, რომ საბა, ჩერქეზთ ბატონის ასულის დედოფალი რუსუდანის აღმზრდელიც ყოფილა.

როგორც ჩანს, მეფესა და დედოფალს სულხან-საბა მართლაც მამობრივი სიყვარულით ჰყვარებიათ. საბასადმი ვახტანგის წერილებში უჩვეულო არ არის მიმართვები: „დიდად საყვარელო, ჩემო ბატონო ბიძავ“, ან: „დავშთები მარად, როგორც აქამდე ვიყავი, ჩემი ყოვლად საყვარელი, ბატონის ბიძის უმდაბლესი დისწული“, „ჩემი ყოვლად საყვარელი, ბატონის ბიძის უმდაბლესი დისწული“ (ანუ ძმისწული) და სხვ.

გაეხსენოთ გულის აღმძვრელი სურათი ქ. გორიდან საბას ვეროპაში გამგზავრებისა. მისიონერი რიშარი აგვიწერს, თუ განშორების ამბავმა რა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა დედოფალზე და სწეროთოდ სამეფო კარზე:

„შეიტყეს თუ არა საბას მხლებლებმა მისი განზრახვა, მაშინვე

¹ „ქილილა და დამანას“, 1886 წ., გვ. 8.
ისტორია კათოლიკობისა, 312.

აცნობეს დედოფალს, რომელმაც სისწრაფით, ოცდაათზე მეტი შიკრიკი გამოუგზავნა და აგრედვე ის ბატონები მამულისა, სადაც უნდა გაგვევლო. დედოფალისა, ახალგაზრდა ბაქარისა (ვახტანგის მემკვიდრის) და ზოგიერთ ოფიცრების წერილებმა გული მეტად აუჩვილა ამ თავადს. იგინი უცხადებდნენ, რომ დედოფალმა რა შეიტყო თქვენის წასვლის ამბავი, მეტის ტირილით სიკვდილის პირად არისო. თავადმა ყველა ანუგეშა, მალე დაებრუნდებიო და განეგარძეთ ჩენი მგზავრობა¹.

გასაგებია სამეფო ოჯახის შხრივ სიყვარული იმ პიროვნებისა, რომელიც იყო მამოძრავებელი და შთამოგონებელი ვახტანგის სახელმწიფო საქმიანობისა. განსაკუთრებით ვახტანგის მეფობის პირველ პერიოდში (1703—1712 წ.) შეურყეველი უნდა ყოფილიყო საბას სახელმწიფოებრივი ავტორიტეტი.

ვახტანგთან ერთად, ვიდრე უკანასკნელი ქართლის გამგებლობას მიიღებდა, საბას უნდა გაეზიარებინა ყოველი გაჭირვება, ნაწილობრივ ვახტანგის დაუდგრომელი ცხოვრება საქართველოს მიყრუებულ კუთხეებში².

მაგრამ მემკვიდრის მდგომარეობაც მალე უნდა შეცვლილიყო... ერანში ჩასულმა გიორგი მეფემ, ყაენის რისხვის მაგიერ, მიიღო ერანის სპასალარობა. ზედიზედ სასტიკად დაამარცხა აჯანყებული ავღანები, ბულუჯნი და მით იხსნა დასუსტებული ერანი სირცხვილისაგან. სეფევიდების უკანასკნელმა წარმომადგენელმა სულთან-ჰუსეინმა თუმცა გიორგის ტახტი დაუბრუნა, მაგრამ ერანის გართულებული საქმეების გამო ქართლში აღარ გამოუშვა და მადლობა ყანდარის ბეგლარბეგობის, აილათის და გირიშკის პროვინციების მინიჭებით გადაუხადა.

ავღანისტანის აჯანყების ჩაქრობაში თავი ისახელა გიორგის ძმამ ლევანმა, ვახტანგის მამამ. ყაენმა იგი ერანის მსაჯულთ-უხუცესად დანიშნა, მის უფროს ვაჟს კი, ქაიხოსროს, ისპაჰანის ტარულობა უბოძა. გიორგიმ და ლევანმა ისარგებლეს ყაენის ფავორით და შესთხოვეს ვახტანგის ქართლში დაბრუნება. ყაენმა დაუყოვნებლივ აუსრულა სათხოვარი და ვახტანგის შესახებ მისწერა ნაზარალიხანს. უკანასკნელმა სურვილის უნებურად დააბრუნა ვახტანგი, რომელმაც 1703 წელს ქართლის გამგებლობაც მიიღო.

ამ დღიდან ისევ ახლდება საბას სახელმწიფო სამსახური. ნაზა-

¹ იქვე 313; ვახტანგ VI განაგებდა ქართლს 1704—1712 და 1719—1723 წლებში.

² ვახუშტი, გვ. 61, 62, 63, 64, 67, 69.

რალიხანის ტირანიით, ფეოდალების ინტრიგებითა და სპარსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ განადგურებული საქართველო ახალი მთავრობისაგან მოითხოვდა დაუშრეტელ ენერგიას ეკონომიური და კულტურული რესტავრაციისათვის. მაგრამ ქაბუჯი, გამოუცდელი მეფე, თუმცა შესაფერისად გაწვრთნილი სახელმწიფო საქმეებისათვის, ვერ შეძლებდა ეროვნული აღორძინების შეკავშირებას თავის სახელთან, რომ მის აღმზრდელს, გამოცდილ პოლიტიკოსს და პირველ სახელმწიფოებრივ ადამიანს არ დაეთმო დავით-გარეჯის ბნელი თაღები და არ გამოსულიყო ოფიციალურ სცენაზე რეგენტის როლში.

ჩვენ ვიცით ძლიერება ამ ხანმოკლე მეფობისა, რომელსაც მართავდა საბას ერთგული და გამოცდილი ხელი: სამეურნეო გადახალისებანი, ლიტერატურული, ისტორიული, გეოგრაფიული და იურიდიული ნაშთები გვიმტკიცებენ ამ აღორძინების სახეს.

მაგრამ ხანგრძლივი არ გამოდგა ვახტანგის მეფობა. ქაიხოსრო I ქართლის ნომინალური მეფის, რომლის მოადგილედ ვახტანგი ითვლებოდა (1709—1711), სიკვდილის შემდეგ ყანდაარში, ვახტანგი საბას თანხლებით წარუდგა ყაენს. ყაენმა თუმცა პატივით მიიღო, მაგრამ ქართლის ოპოზიციური ელემენტების და სჯულის წინამძღვართა შეჩენით, ვახტანგს ისლამზე გადასვლა მოსთხოვა, რაზედაც გადაწყვეტილი უარი მიიღო. მაშინ ყაენმა ქართლი მისცა გამაჰმადიანებულ იასეს (ვახტანგის ძმას), ხოლო ვახტანგი „გაათახსირა“ და პატიმრად წარგზავნა ქირმანს, სადაც იგი „ქილილა და დამანას“ თარგმანს შეუდგა. ამიერიდან ქართლი ისევ სამოქალაქო ბრძოლების ასპარეზი ხდებოდა, ხოლო შორეულ ქირმანში მყოფი ვახტანგი, რომლის „ქირი ქვას დაადნობდა“, გამზრდელის გულის საგმირად მოსთქვამდა:

„ლამესა ვარ უნათლოსა, მიეგზავსე მე მას წოსა;“

„ალსა ვზივარ ცეცხლისასა, სანამ გაქრეს, უნდა მწოსა...“

ჩემნო გულის მემტკივარნო, იწუხეთ და ჩემთვის ახეთ!“

მაგრამ მეფის „გულის მემტკივარის“ პოლიტიკური თვალის ვახტანგის დახსნისათვის მიმართული იყო ვერსალისა და კათოლიკური იტალიისაკენ.

საბას დიპლომატური მოღვაწეობა, რომელსაც უმთავრესად სიცოცხლის უკანასკნელი წლები შესწირა, მხოლოდ ევროპაში შესრულებული მისიით არის ცნობილი. მაგრამ, როგორც ირკვევა, სადესპანო დავალებანი მას სხვა დროსაც ჰქონია მინდობილი. მაგ.,

ერანის კარზე, იოანე ბატონიშვილის გადმოცემით, „საბა ფრიად დაშურა მეფეთა მსახურებისათვის ისპაანს ყეენთან წასვლით“.

ჩვენ ვიცით, აგრეთვე მეორე ეპიზოდი სულხანის დიპლომატიური მოღვაწეობისა, როცა სულხან-საბამ ქაიხოსრო მეფის დაავალებით, 1711 წელს რომელიღაც დაავლება შეასრულა:

„1711 წ. დეკ. 10-ს წავიდა (საბა) ხვარასანს. მეფე ქაიხოსროს ეხმო და თებერვლის 11-ს გამოისტუმრა მრავლის ნიქითა“¹.

ყოველ შემთხვევაში, ევროპაში წასვლამდე საბას დიპლომატიური კარიერა საკმაოდ პოპულარული ყოფილა.

მაგრამ მნიშვნელოვანი მომენტი ამ მოღვაწეობისა მაინც არის საბას დიპლომატიური მისია ლუი XIV და პაპის კლიმენტი XI-ის კარზე.

საუკუნეთა სიგრძეზე საქართველო არ კარგავდა ეფემერულ იმედებს დასავლეთ ევროპისაგან დახმარებისას:

„გვგონია და კიდევაც ვხედავთ, რომ ამიერიდან მზე უკვე იწყებს დედამიწის მთელი დანარჩენი ნაწილის მოფენას თავისი დამაბრმავებელი ბრწყინვალებით“,—ასე სწერდა ჯერ კიდევ ქართლის მეფე კონსტანტინე, ბიზანტიის დამხობის შემდეგ იზაბელა კასტილიელს.

ხოლო სულხან-საბამ ვერსალში ასე მიმართა ლუი XIV: „დიდებულო მეფეო, თქვენი ხელმწიფება შეიქნა მეფეთა შემწე და სარწმუნოების მფარველი თვით იმ დაშორებულ ადგილებშიც, როგორც არის ჩვენი ქვეყანა“².

სწორედ ეს მესიანისტური „მეფეთა შემწეობა“ დასავლეთის კეისრისა აიმედებდა XVIII ს. პირვ. ნახ. სახელმწიფო მოღვაწეებს საბას და ვახტანგს³. ჯერ ხომ 1709 წელს სწერდა საბა პაპს დახმარების შესახებ: „ოლონდ ეს ვინცავენ აქ მართლმადიდებელნი არიან, ამათზედ თქვენი დაცვა და საქმითაც მოხმარება იყოს, ხილულს მტრისაგან დიდს ქირში არიან“ (ისტ. კათ., 312).

¹ იხ. ლექსიკონი, 8.

² მ. თამარაშვილი, 325.

³ მეტად დამახასიათებელია აგრეთვე მაშინდელი ქართული პოლიტიკური წრეებისათვის ვახტანგის წერილი საბასადმი: „ვნუგეშობ თქვენს მშვიდობით მისვლას საფრანგეთსა, სადაც იმედი მაქვს, ნახოთ ამ ქვეყანაზე დიდი და ყველაზე გულუბვი, მეფე, ევროპის საუკეთესო აღყვავებული მთავრობა, აგრეთვე ნახოთ რაც უფრო განსაკუთრებით ყურადსაღები აქვს მაგათ მეფესა და მის სამთავროს ღირს ერსა. ყველა მისი თვისება, ღირს ჰყოფს ამ ერს, რომ მთელმა ქვეყანამ ნახოს იგი. ხოლო მარტო მე ვარ აქამდე მოკლებული ნახვასა, მაგრამ ნუგეშად ის მაქვს, რომ ცოცხალი ვარ და ვიდრე ვიცოცხლებ ეს იმედიც მექნება“ (ისტორია კათოლიკობისა, 317).

ამ შემთხვევაში ვახტანგი საბას პირით რომს ჰპირდებოდა კავკასიის ოცდაოთხი პროვინციის კათოლიკედ მოქცევას და სთავაზობდა სავაქრო გზას საქართველოზე საფრანგეთის სავაქრო კაპიტალისტების, და მართლაც, რომში ჩასული საბა პაპსაც და საფრანგეთის მეფესაც ჰპირდებოდა, საქართველოს გარდა, მოაქციოს კათოლიკობაზე აფხაზეთი, ჩერქეზეთი და სხვა წვრილი ხალხები კავკასიისა: „მე ვუჩვენებ იმპერატორს,—სწერს იგი პაპს,—თუ რაოდენად ადვილია კათოლიკად მოქცევა მთელის ოცდაოთხის პროვინციისა, რომლებიც სავსე არიან ერთ და ვერცხვე ბევრს მეზობელ სამთავროებსაც, რომლებიც წარმართობას მისცემიან. აი, მიოლოდ ამ ერის ცხოვნების გამოა, რომ მე ვიკისრე ეს დიდი მოგზაურობა, მოველ და ვემხობი ეკლესიის პირმშო შვილის ფერხთა წინაშე“.

ხოლო თავისი განზრახვა საბამ შესახებ სავაქრო გზის პოვნისა საქართველოზე ფრანგ ვაქრებისათვის—მისიონერს რიშარს ჯერ კიდევ გორში გაუზიარა, საფრანგეთში გამგზავრების მომენტში.

თვით რიშარი ასე ატყობინებს საფრანგეთში: „საბას რჩევით ერთი კარგი ადვილი გზა ვპოეთ ჩვენ ვაქარ ფრანგებისათვის, რომლებიც ისურვებენ კონსტანტინეპოლიდან შავის ზღვით საქართველოს და ერანს წასვლას“ (ისტ. კათ., 313).

ყოველ შემთხვევაში, პაპი საქართველოს და კავკასიის გაკათოლიკებით, ხოლო ლუი XIV ახალი სავაქრო გზით, საკმაოდ უნდა დაინტერესებულიყვნენ და როგორც ჩანს, ამ საკითხების გარშემო მათ ვახტანგთან მიწერ-მოწერაც უწარმოებიათ.

როგორც ირკვევა, საბას ევროპაში გამგზავრებამდე ვახტანგს და ლუი XIV მიწერ-მოწერა ჰქონიათ. მისიონერი რიშარი მარსელიდან სწერდა მინისტრ ტურსის, რომ „საბას მოაქვს პასუხი იმ წერილებისა, რომელიც კეთილ ინება და მისწერა (ვახტანგს) ხელმწიფემ და თქვენმა დიდებულობამ“ (ისტ. კათ., 314). თვით საბას მოხსენებაც ამოწმებს, რომ მისი გაგზავნის ერთ-ერთი მიზანი იყო ლუი XIV-სათვის ვახტანგის პასუხის გადაცემა: „რადგან მაღალს და დიდებულს ფრანციისს მეფეს ჩვენი მეფისათვის წიგნი მოეწერა, მე მისის პასუხის მოსატანად საფრანგეთს წამოვვლო“ (ისტ. კათ. 315). ასევე მოახსენებს იგი მინისტრს პონშარტრენს: „გაცნობებთ, რომ თქვენის მაღალის მეფის ბრძანებით, წყალობით და ნიჭისა, აქ, დიდს ქალაქს პარიზს მივედით და მეხუთე (?) ვახტანგ ქართველთა მეფის პასუხები დიდებულთანაც და თქვენთანაც მოვიტანე“ (იქვე, 317).

მიქელ თამარაშვილის ცნობით, საბასაც ვახტანგთან ერთად

უნდა მიეღო ლუი XIV წერილი. „წერილი გვიჩვენებს, რომ საბა მთელ საქართველოსაგან პატივცემული და საყვარელი ყოფილა“ (იქვე). ლუი XIV საპასუხო წერილი ვახტანგს თურმე სურდა რიშარის ხელით გაეგზავნა სპარსეთიდან. საბას სიტყვით, „რა ვახტანგმა ეს (რიშარი) შეისწავლა, ამისათვის ეთქვა თავის პასუხებში“. კაპუცინ მურმოროს წერილიც გვიდასტურებს, რომ ერანში მყოფს ვახტანგს აზრად აქონია ევროპაში გაეგზავნა ერთი საიმედო პირი, რომელსაც უშიშრად ყველა მისი სურვილი საფრანგეთის მთავრობისათვის უნდა შეეტყობინებინა. ვახტანგს უნდოდა ელჩად რომელიმე მისიონერი გაეგზავნა და ბოლოს მისი არჩევანი რიშარზე შეჩერებულა.

როგორც ირკვევა, ელჩობა საბასთვის ვახტანგს დაუვალეზია. ჩვენი აზრით, საფრანგეთისათვის დახმარების თხოვნის შესახებ საბას და ვახტანგს ერანში უნდა გადაეწყვიტათ, როდესაც ვახტანგის და ქართლის სამეფოს მდგომარეობამ უკიდურეს გაკირვებას მიაღწია. ამ შემთხვევაში საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვახტანგთან ერთად 1712 წ. 23 აპრილს გამგზავრებული საბა დაახლოებით სამი თვის შემდეგ ანაზღეულად ტოვებს ისპაჰანს და ქართლში ბრუნდება, მაშინ როცა მეფის სხვა მხლებლები მეფესთან დარჩნენ. 1714 წლის 10 მარტამდის, ე. ი. ვახტანგის ქირმანში გადასახლებაამდის. საბა, ალბათ, გამომგზავრებულია საფრანგეთში წასვლის შესამზადებლად მეფის ბრძანების მოლოდინში და აი, როდესაც ევროპაში მომავალი რიშარი ხვდება მას გორში, საბაც თავისი წერილის პასუხს ღებულობს ვახტანგისაგან (ისტ. კათ., 313). ჩვენ არ ვიცით, რა შინაარსისა იყო ეს წერილი და ეხებოდა თუ არა საბას ევროპაში გამგზავრების საკითხს, მაგრამ საყურადღებოა, რომ სწორედ ამ წერილის მიღების შემდეგ გამოუცხადა საბამ თავისი სურვილი რიშარს ევროპაში წასვლისა.

ევროპაში გამგზავრების გეგმები, ჩანს, საბას დიდი საიდუმლოებით აქონია დაცული. თვით რიშარს ოფიციალურად ასე უცხადებს: „დიდი ხანია საფრანგეთის ხელმწიფის ნახვა მინდოდა, უკეთესი შემთხვევა არც მექნება და წამიყვანეო“ (ისტ. კათ., 313). რაკი საბას ევროპაში გამგზავრება არსებითად ერანის და ერანოფილურ პარტიის ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული, ცხადია, საბას დიდი სიფრთხილე და კონსპირაცია სჭირდებოდა. როგორც ერთი მინაწერი გადმოგვცემს, საბა საფრანგეთში მართლაც „გაიპარა“ (ლექსიკ., 8). თვით საბაც კონსტანტინეპოლში შეგვიანებული პასუხის მოლოდინში ასე შესჩივის საფრანგეთის მინისტრს: „ჩემი ყოფნა გრძლად არ ვარგა მისთვის, რომ ვინ იცის, თუ ჩემი

რამ ითქვა, და საჯაროდ გამოვიდა, მრავალი საქმე წახდება“ (ისტ. კათ., 331).

საბას საქართველოდან ევროპაში გამგზავრებას ასე გვიამბობს რიშარი, რომელიც ვახტანგის დავალებებით აღქურვილი ევროპაში მიემართებოდა:

„ერევნიდან წაველ საქართველოში,—ამბობს იგივე რიშარი. — რა გავიარე გორში, იქ დამხვდა სულხან საბა, ბიძა საქართველოს მეფისა (საბამ). ისპაჰანიდან მიიღო თავისი წერილის პასუხი, რომელიც ხელმწიფემ კეთილ ინება და გამოუგზავნა.“ (ისტ. კათ., 314);

„რაც მისმა საფრანგეთის მიმართ სიყვარულმა ჩააგონა, ყოველი პატივი მცა. შემდეგ ბევრის აფიცრებით და მოსამსახურეებითა შეე ზღვაზე გამომყვა სამეგრელოს გზით. ამ დროს მან გამომიცხადა, რომ დიდი ხანია ხელმწიფის (ლუი XIV) ნახვა მინდა და უკეთესი შემთხვევა არ მექნებოდა და ამიტომ მთხოვა, თუ ჩემი სიყვარული გაქვს და ან რაც ამაგი მისიონს მივაგე, თუ დამიფასო, თან წამიყვანეო. სამეგრელოში ბატონი საბა დაესწრო ყველა ჩვენ საუბარს და შეაგულიანა სამეგრელოს პატრიარქი, რომ მისთვის გაეყოლებინა თავისი შემწე დავით მონაზონი, რათა შემდგომ წანოყოლოდა იმ მისიონერებს, რომლებსაც მე გამოგზავნიდი“ (იქვე, 312).

კონსტანტინოპოლში საბას შეეგება საფრანგეთის ელჩი ბეზალუ-რი და მცირე ხნის შემდეგ მარსელით ზარიზში გაისტუმრა.

მარსელშიც ქალაქის თავმა არაუმ საბა „ისეთი პატივით მიიღო, როგორც მოითხოვდა ამისი ჩამომავლობა და ღირსება“. 1714 წ. 23 იანვარს მარსელში საბას ჩასვლა რიშარმა დაუყოვნებლივ აცნობა საფრანგეთის მინისტრს ტურსისს, ხოლო თვით საბამ—რომს.

საბა გზაშივე შეუდგა მოქმედებას. იგი გზიდანვე სწერს რომის პროპაგანდას, რათა მან სთხოვოს პაპს შუამდგომლობა ლუი XIV-სთან: „რომ ჩუენს ქუეყანას მართალი სარწმუნოება გამრავლდეს, იმისი უკეთესი ღონე ეს არის, რომ ფრანცისის დიდი მეფე ჩუენის მეფის მოხმარებას ეცადოს. ეს ვიცი: თუ უფროსად წმ. მამა ჩუენი (ე. ი. პაპი), თავის შვილს—ფრანცისის მეფეს ტკბილად ასწავლის და ფრანცისის მეფე მალე მოინდომებს, ჩუენს მეფეს ეშველება. თუ ამ წყალობას გვიზამთ, ჩუენთვის დიდი საქმე იქნება, რომ მე მოვალე ვარ ქართველთათვის“ (ისტ. კათ., 315).

მარტის 20-ს საბა ჩავიდა პარიზში და ლუის მინისტრს პონ-შარტრენს აუდიენცია მოსთხოვა:

„ქ. ბატონო ბრძენო და მეცნიერო: ღმერთმან დიდი მეფე დაიცვას, და შენ დღენი კეთილნი მოგცეს; მე სულხან-საბა ორბელიანი

ამ წიგნს გწერ და ამას გაცნობებ, რომ თქვენის მაღალის მეფის ბრძანებითა, წყალობითა და ნიჭითა. აქ, დიდ ქალაქ პარიზს მოვედით და მეექვსე ვახტანგ ქართველთ მეფის პასუხები დიდებულთანაც და თქვენთანაც მოვიტანე: როდესაც გინდათ, თქვენთან მოვალ და მაღლსაც გადავიხდი, რომ ორნი პატიოსანი თქვენი მოსამსახურე მოგვეგებებინათ და ალერსები და მოკითხვა შემოგვეთვაღათ და წამოგვიძღვნენ და დავგასადგურეს“ (იქვე, 318).

1714 წ. აპრილს საბა წარუდგა ვერსალში „მეფე მზეს“—ლუი XIV ვრცელი მოხსენებით საქართველოს მძიმე მდგომარეობის შესახებ, და სთხოვა. ვახტანგის განთავისუფლება ტყვეობიდან, რისთვისაც საჭირო იყო 300.000 ეკიუს გაღება სპარსეთის გავლენიან პირთა დასასაჩუქრებლად. სანაცვლოდ საქართველოს ელჩი ჰპირდებოდა ფრანგი კომერსანტებისათვის სავაჭრო გზას საქართველოზე და როგორც მთელი საქართველოს, ისე ამიერკავკასიის წვრილი ტომების (24 პროვინცია) შეერთებას კათოლიკე ეკლესიასთან.

საბამ მეორედ მიიღო აუდიენცია და იმპერატორს ხოტბა მოახსენა: „რა დიდი ბედნიერებაა აწ ჩვენთვის განგიცხადოთ, რომ ღირსი გავხდით დავსწრებოდით და გვეხილა ყოველივე ის, რაც სხვებს შორიდან აკვირებს და აოცებს, ვინაიდან ჩვენის თვალთ ვნახეთ თქვენს უავგუსტეს ხელმწიფებაში არა მარტო. სოლომონის სიბრძნე და დიდება, არამედ დავითის სარწმუნოება და სასოება“¹.

მაგრამ ვერსალის მზე ჩაქანებულიყო.

ლუი XIV უკვე ხელს აწერდა უტრეხტისა და რაშტატის ზავს. მისი ხანგრძლივი მეფობით. განადგურებული საფრანგეთი აგონიას განიცდიდა. ძველი, დაშლილი მანქანა ინერციითღა მოძრაობდა. ესპანიის საბატონოსათვის ატეხილი უშედეგო ომები, უფარგისი საგარეო პოლიტიკა, ფავორიტებით და კურტიზანკებით საესე ვერსალის ზღაპრული ხარჯები, სახელმწიფო კოლოსალური ვალები, ინგლისის გაბატონების საფრთხე, ყოველივე ეს შეუძლებლად ხდიდა საქართველოსათვის რეალური დახმარების აღმოჩენას და ზრუნვას კათოლიციზმის პერსპექტივების შორეულ ქართლში, ან სავაჭრო კაპიტალისთვის გზების საშოვრად კონსტანტინეპოლიდან შავი ზღვით საქართველოსა და სპარსეთში.

იმპერატორმა ორჯერვე ღირსეულად მიიღო საბა, დაათვალიე-

¹ ხოტბა, ფრანგულიდან თარგმნილი, მთლიანად მოჰყავს მ. თამარაშვილს (გვ. 325).

რებინა ვერსალი, პარიზი და ვახტანგის გამოსახსნელად ფული და მორალური დახმარება შეჰპირდა.

შენახულია ერთი ანგედოტი საბას ევროპაში ყოფნის შესახებ: როდესაც სულხან-საბა ორბელიანი, როგორც საქართველოს სახელმწიფო ელჩი, წარუდგა ვერსალში მოხუც ლუი XIV-ს, უკანასკნელი ახალი ნაავადმყოფარი იყო და თავს მეტად სუსტად გრძობდა. საბამ მიულოცა ავადმყოფობისაგან მორჩენა, რაზედაც მოხუცმა მეფემ უპასუხა, რომ თუმცა იგი გადაურჩა ერთ მტერს — ავადმყოფობას, მაგრამ მას თავს დაესხა მეორე მტერი — სიბერე.

— Ce n'est pas chose facile, que dépasser la 'soixantaine!

(ეს ადვილი საქმე არაა, სამოც წელს გადაბიჯება!) — დაასვენა ლუი XIV-მ, რომელიც უკვე სამოცდაათსაც გადაცილებული იყო.

— Sire, — უპასუხა საბამ, — Votre Majesté porte cet âge avec tant de grace, que chacun voudrait l'avoir!

(ხელწიფეო, თქვენი უდიდებულესობა ამ ასაკს ისეთი გრაციით ატარებს, რომ ყველა ისურვებდა ამ ხნისა ყოფილიყო!).

საბას პასუხი მეტად მოეწონა ლუი XIV-ს და მის კარისკაცებს.

საბას პასუხი ცნობილი ყოფილა რუსეთის იმპერატორის კარზედაც, და როგორც ბატონიშვილი ოლლა (ოლლა გრუზინსკაია) გადმოგვცემს, საბას ანგედოტის გახსენება ჰქვარებია იმპერატორ ალექსანდრე II-ს, რომელმაც ერთხელ თვითონაც გამოიყენა იგი ერთი მოხუცი კარისკაცის მიღების დროს (იხ. Закавказья и Перс., 1913 წ., № 141).

გახარებული საბა იენისის პირველ რიცხვებში მეფის კატარლით რომს გაემგზავრა: საფრანგეთის მთაწარმამ ვატიკანს აცნობა, რომ იგი განსაკუთრებული ყურადღებით მიეღოთ.

საქართველოს დესპანი მართლაც დიდებით მიიღეს: პაპმა, კარდინალებმა, გრანდუკამ და რომის ფეოდალებმა.

საერთოდ, საბას ჩასვლას რომის სასულიერო წრეებმა დიდი მნიშვნელობა მისცეს, ხოლო თვით პაპმა კლემენტე XI საბა ღირსებით მიიღო და ყოველგვარი შველა აღუთქვა ვახტანგის დაბრუნებისათვის.

რომის მიდამოებშივე პაპმა შესახვედრად ორი ეტლი შეაგება და თან თავისი მძიმეწული კარდინალი დაახვედრა.

საბა დააყენეს ლაზარეს მონასტერში დიდი პატივით. „რაც ფრანცისის მეფის რიგი და ულუფა და წყალობა გექონდა, ნამეტნავი გაგვირიგეს“, გვიამბობს თვით საბა. სახელმწიფო და სასულიერო იერარქიის უმაღლესი წარმომადგენლები საბას ყოველდღე დარბაზობას უხდიდნენ: „შეგვაპყირვეს, მრავალნი მოვიდოდნენ და გვიალერსებდნენ“, გადმოგვცემს საბა.

სხვის მიერ ჩაწერილი დაწვრილებითი ცნობები საბას ყოფნისა რომში არ დარჩენილა. თვით საბას კი ყოველივე დაწვრილებით აუწერია თავის „მოგზაურობაში“. რომში ყოფნის დროს მას დიდი გულმოდგინებით დაუთვალეირებია სასახლეები, ტაძრები, წიგნსაცავები, მუზეუმები, სკოლები, ბაღები, ძეგლები და სხვა.

როგორც ჩანს, საბა პაპს ორჯერ მიუღია. ერთ-ერთს აუდიენციას საბა ასე გადმოგვცემს:

„31 მკათათვეს, წმ. პაპს ებძანა. ვიახელით, ფეხს ვაკოცეთ. მოგვიკითხა. არ შემძლიანო. მრავალი კაი სიტყვა მიბრძანა: თავისი ხელით მიბრძა ძელი ჰემმარიტი, აქატის კრიალოსანი ოქროთი გაკეთებული და ზედ ოქროს ხატი ცოდვათა შესანდობლად. მიხარიან, რომში დიდი ხმა დაგივარდაო, კარგად იქცევიო და ქვეანალო. მრავალი მიალერსა“. შემდეგ პაპმა თავისი ხელით აზიარა. რომში მუდამ თავის ეტლს უგზავნიდა.

გამოსათხოვარ აუდიენციაზე პაპმა აწვია სადილად, რომელზედაც თვით პაპი უმასპინძლდებოდა 12 მათხოვარს და გზის ხარჯად ასსამოცი სკუთი უბოძა.

18 აგვისტოს, „ქათმის ყიულობისას“, საბამ დატოვა რომი და 1 სექტემბერს ჩავიდა დანტეს და ბოკაჩიოს სამშობლო ფლორენციაში, სადაც მას განსაკუთრებული ცერემონიით შეეგებნენ. ფლორენციიდან გაემართა მალთაში. აქ მეფურად შეეგება დიდი მაგისტროსი მმართველი. მალთაში საბა დაყოვნდა 5 დეკემბრამდე, აქედან ისევ ხელმწიფის საგანგებო ნავით განაგრძობდა მგზავრობას.

საბას იტალიაში ყოფნის შესახებ ადგილობრივ არქივებში დაცულია შემდეგი ცნობები:

„ხუთშაბათ დილით, 13 სექტემბერს 1714 წ. წინაღმით რომიდან ფლორენციაში მოვიდა ბასილიანი მონაზონი, სულხან-საბა ორბელი, საქართველოს ერთი თავადთაგანი, დააყენეს იგი წმინდა სამების მონასტერში, სადაც გრანდუკა დიდის პატივით მოეპყრო.

„ამ ქართველი თავადის თხოვნით ახადეს ფარდა 18 სექტ. ხარების ღვთისმშობლის ხატს, რასაც დიდი ხალხი დაესწრო, 20 სექტ. ხუთშაბათს დილით ხსენებული საბა ორბელი თავისი მისიონერებით აზიაში დასაბრუნებლად წავიდა მეტად კმაყოფილი გრანდუკისა და ფლორენციის ქალაქისაგან“¹.

¹ მალტაში შეხვდნენ საბას ტყვე ქართველები; „ქართველნიც ვნახე ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი, რომ თათრისთვის წაერთმიათ, გარნა ენა ისევ კარგად იცოდნენ“. ქართველი ტყვეები საბას შეხვდა აგრეთვე ქ. ლოკარნოში, მესინაში და სხ. (იხ. „მოგზაურობა“).

ქ. ტოსკანას მისიონერთა არქივში დაცულია შემდეგი ცნობა:
„1714 წ. ივლისის 10 ს, ზღვით მოვიდა რომს საქართველოს
შეფის ბიძა, რომელიც პაპმა, კარდინალებმა და თავადებმა დიდის
პატივით მიიღეს; კარდინალებმა და თავადებმა მას ძლიერ ბევრი
საჩუქრები მიართვეს; აგრეთვე პაპისაგან მიიღო ერთი დიდი ოქ-
როს მედალი, სხვადასხვა საჩუქრები და მასთანვე საკმაო ფულიც
საქართველოში დაბრუნების გზის ხარჯად.

„28 აგვისტოს მიწვეულ იქნა უცხოელთათვის გამართულ ნადიმ-
ზედ, საცა თვით პაპი ემსახურებოდა, რის გამო ამ მთავარმა მეტად
კეთილი მაგალითი მიიღო.

„11 სექტემბერს მოვიდა ფლორენციაში. ჩამოხდა წმ. ლუიჯის
სასტუმროში, მაგრამ გრანდუკას ბრძანებით ორი ეტლით წაიყვა-
ნეს წმ. სამების სასახლეში, სადაც მშვენიერად მოწყობილია ყვე-
ლაფერი, ამისთანა სტუმრებისათვის. მოენედ მოჰყვა პატრი სილი-
ბისტრე, რომელმაც ქართული კარგად იცის.

„აქ გრანდუკა მოჰყვა პაპის მაგალითსა და რაოდენადაც შეე-
ლო, კარგად მოეპყრო და დიდი პატივი სცა, რადგან არა მარტო
თავის ეტლს აძლევდა ქალაქში სასიარულოდ და შესანიშნავს სუფ-
რას უშლიდა, არამედ ძლიერ მშვენიერი საჩუქრებიც უთავაზა. კა-
პუცინმა პატრებმაც მიჰბაძეს და გამოუცხადეს თავიანთი სიყვარუ-
ლი და პატივი. რადგან რომის პროვინციალს თავი გაუცნობებია,
ამიტომ მონათუგის მონასტრის უფროსმა 17 სექტ. მონასტერში
სადილად მიიწვია მისის მხლებლებით, ვინც კი იყო. მოიყვანეს
ექვსცხენიან ეტლით. დილით აღსარება თქვა და წირვაზე ეზიარა
დიდის სასოებით; ამ დროს დიდი კეთილი მაგალითი მისცა იქ
დამსწრეთ; რამდენადაც შესაძლებელი იყო, კაი სუფრა გაუწყვეს,
რისაც დიდი კმაყოფილი დარჩა.

„სალამოს გრანდუკამ ექვსცხენიანი ეტლი გამოგზავნა და წააყ-
ვანინა თავის სადგომში. მეორე დღეს აქ მოვიდა პატრი ანჯელო,
რომელიც მას იცნობდა საქართველოში. მაშინვე ერთ სხვა მისი-
ონერთან ერთად მივიდა მის სანახავად, რაც ძლიერ გაეხარდა სა-
ბას, რადგან ამ პატრმაც ქართული იცოდა. ეს ორივე თავისთან
დაიჭირა სადილად და ძლიერ შინაურულად შეექცნენ.

„20 სექტემბერს თავისი მხლებლებით ფლორენციიდან წავიდა
მათის ხელმწიფობის საგანგებო ნავით. პატრი ანჯელო ლივორნა-
მდე გაჰყვა, ხოლო მეორე მისიონერი კი თან წაიყვანა სიცილია-
მდე“.

საბამ შემდეგი წერილი გამოუგზავნა გზიდან საფრანგეთის მი-
ნისტრს პონშანტრენს: „დიდად ბრძენო და პატიოსანო, უფროსო

ფრანკის მეფისაო, მუსუ პონშანტრან! ვიცი, რომ დავაჯელი. თქვენ რომ მიბრძანეთ: „სადაც მიხვიდე შენი ამბავი მომწერე“-ო. რომიდან მოგწერე, რომელიც წმ. პაპმა ჩვენზედ წყალობა ქნა; რომელიც დიდმა მეფემ მისწერა ჩვენის გულისათვის, კიდეც ნამეტანი წყალობა გვიყო.

„რომიდან წამოსვლის უკან წმ. პაპის ხარჯით ის ქვეყნები გამოვიარეთ და ფლორენციაში მივედით: რა გრანდუკამ ჩვენი პატივი დიდის მეფისაგან და წმ. რომის პაპისაგან შეიტყო, მაშინვე კარგად დაგვაცენა კაი პატივითა, კარგად დაგვხვდა. იქ ყოფაშიაც და გზაზე მამულშიაც სრულებით მისი ხარჯი იყო. კაის ხელის შეწყობით მოგვეპყრა.

„ალიკორნას¹ თქვენი კუნძული² მუსუ დემალია დაგვხვდა. იმან მოინდომა რომ სახლში დამდგარვიყავით. მისთვის ვერ დავდექით: კუნძული მალმალ მოვიდის, გვიალერსის და აჯამის³ ქუეყნის ამბები ჩამოვარდა. ასე იცოდა სპარსეთის საქმე, იქ გაზდილი მეგონა. დიალ, მიამა მისი ასეთი ცოდნა. იმ ქუეყანას კაი გასაგზავნია. პირველად ის კუნძული და იმ ქვეყანის საკადრისი. მე მაგას არ მოგახსენებთ; რომ თქვენს დიდს ჭკუას დავაცოლო რამესა, მაგრამ, რაც მოხსენება მმართებს, მოგახსენებთ, რომ ფრანკისები დიდად საყვარელნი არიან.

„ალიკორნიდან წამოსული, პლერმოს მივედით: იქ თქვენი კუნძული მრავალს გაისაჯა. სხვა არავის გვინახამს. იქილამ მისიონას⁴ მივედით. აქაური კუნძული თუ არ დაგვხდომოდა, არ ვიცი, სად უნდა დამდგარვიყავით: იმან თვითონ წამიყვანა წმ. ბასილის ჩუენის მონასტერში. დამაყენა. ყოველ დღეს თავის ეტლს გამოგვიგზავნიდის; ყოველ დღე მოვიდის, გვიალერსის: ეს ბატონები ყველა, თქვენის გულისათვის კარგა გვეპყრობოდნენ. ამისათვის გწერ, რომ ამათ წყალობა უყოთ“.

და შემდეგ:

„გეხეწები, რომ მოციქულები მალე გამოგზავნოთ, რომ კონსტანტინეპოლს მოვიყვანო. ამ ზამთარ იქ მოვასვენო: ვიცი ჩუენის საქმისათვის დიდად მომჭირე ბრძანდებით და ამას მოველი, უფრო თავს გამოიდეით, რომ ჩემი მეფე და ჩუენი ქვეყანა შენი მოვალე

¹ ალიკორნა—ლოკარნო.

² კუნძული—კონსული.

³ აჯამი—სპარსეთი.

⁴ მისიონა—მესინა.

შეიქმნენ: და მე ნიადაგ შენი მლოცველი ვიყო. დაიწერა ოქტომბერს 26: (1714) სულხან-საბა ორბელიანი.

1715 წ. 19 იანვარს მალტიდან მილიტენით და ბიტილისით საბა მშვიდობით ჩავიდა კონსტანტინეპოლში, სადაც მას საფრანგეთის ელჩმა საგანგებო ხომალდი მიაგება. აქ დახვდა საზარი ამბავი იასე მეფის ტირანიისა ქართლში და ვახტანგის წერილი ერანიდან. მეფე ატყობინებდა მდგომარეობის გაუარესებას და სთხოვდა ევროპაში საქმის დაჩქარებას; მაგრამ საბა ვერაფერს ვერაფერს დაეხმარა და დაეხმარა საბა ვერაფერს კონკრეტულ პასუხს ვერ იღებდა ვერსალიდან და რამდენჯერმე კიდევ შეახვეწა საქართველო პონშანტრენს:

„თქვენ ხომ მრავალს გაისაჯენით. მაგრამ ამას გეხვეწები, კიდევ უფრო გაისაჯოთ, რაც დიდმა მეფემ თავის უტყუარი პირით წყალობა მიბრძანა, იმისი მომლოდინე ვარ“.

„ჩემს ძმებს ხვეწნა მოუწერია ჩემი მისვლისა, ჩემი ქვეყანა აშლილა, ყველას უნდა მალე მივიდე. მაგრამ თუ მეფის წყალობა ან ეგ მოციქულები არ მოვლენ, მე ვერ წავალ. ჩემი საქმე და ჩემი ქვეყნისა ყველა თქვენს საფარველს შემომიგდია და შენ იცი“¹.

ასე ევედრებოდა საბა რომსაც, მაგრამ იმედები არა ცხადდებოდა. ხოლო 1715 წ. 1 იანვარს ლუი XIV სიკედილმა ეს იმედებიც დაასრულა.

ამნაირად, საქართველო ერთხელ კიდევ უნდა დარწმუნებულიყო თავის მარტოობაში, ხოლო ქართველი დიპლომატი — თავის პოლიტიკურ ილუზიებში.

ხანგრძლივი პილიგრიმობის შემდეგ სულხან-საბა ბრუნდება საქართველოში, როგორც ბრუნდებოდნენ მუდამ ქართველი დიპლომატები. ისინი ევროპაშივე კარგავდნენ ენთუზიაზმს. მათ არ მოუძლოდათ სამშობლოსაკენ კარლოს დიდის ხმალი — სარკინოზების გასადვენად. მუზარადიან ჯვაროსნებს ჩვეულებრივად ცვლიდნენ ფეხშიშველი კაპუცინები და ფრანცისკელები პაპის ბულით, სადაც უხვად ეწერა სიტყვები ნუგეშისა და ბოდიშებისა:

„შეიძლება ღმერთმა განგებ მოაგლინა თქვენზედ ასეთი განსაცდელი, რადგან ოქრო არ შეიქნება, თუ ცეცხლში არ გაიწმინდება. სუფთა პური არ დადგება, თუ ხორბალი ლეწვით არ გაშორდა ჩალას. გამოცდილნი და გაწმენდილნი, მართალნი მიიღებენ საუკეთესო სასყიდელს და მოიპოვებენ საუკუნო ცხოვრებას“².

¹ ისტ. კათ., 329-330.

² იქვე, 331.

³ ისტ. კათ. 14.

ასეთი ეპისტოლეებით ასაზრდოებდა რომის საყდარი განადგურებულ საქართველოს¹.

1716 წ. 13 მაისს მოხუცი დიპლომატი ასეთივე ბულით და რამდენიმე კაპუცინით კონსტანტინეპოლიდან მოემართება საქართველოსაკენ².

მაგრამ პოლიტიკური იმედების გაფანტვასთან სტამბოლ-თბილისის მარშრუტით მას ელის დიდი ფიზიკური განსაცდელი. სამშობლოში კი—რისხვა იასე მეფისა და ორთოდოქსის მიერ გამართული აუტო-და-ფე. ეს საშინელი გზა საბამ თავის „მოგზაურობაში“ ავწიწერა.

...„ჩვიდმეტი თვე კონსტანტინეპოლეს დავეყავ და მაისის ცამეტს წამოვედით.

„ფრანცისის დესპანმა საგძალი ხარჯი გაგვირიგა და ერთი ქანეთის ათინელი რეიზი იშოვნა; ოთხასი მარჩილი მისცა. ესენი ქობულეთს, გურიას გაიყვანეო და გურიელს მიაბარეო და ამითი წიგნი მოგვიტანეო, მშვიდობით მისეღისა და ეს პირობა გამოართვა, რომ ოცის თავის მეხომალდის მეტი არავინ ჩასვა ჩვენს ხომალდშია.

„წამოგვიყვანა, რა, კონსტანტინეპოლის სრუტეს გამოვედით. შავი ზღვის შემოსავალზე მოიყვანა თათრები ენგიჩარ ალა და სულ ჩვენი ხომალდი ასე ფათრით აავსო. მე ზეით ვერც კამარად, ვერც ადგილი ვიშოვე დაბლა ხომალდის ფსკერში, ჩემს პაქსიმადზე ვიჯექდი და ვიწვიე. მაშინვე შევიტყე სიმუხთლე, მაგრამ რა მექნა; დაბრუნების ღონე აღარ იყო და ტკბილის სიტყვით გვატყუებდა. კარგი ქარები დაგვიდგა. მეათეს დღეს ათინას მას სახლებთან მივედით, მითხრა: შინ გავალო. ორიოდ დღეს მოვისვენებო, ამ თათრებს ხომალდიდამ მოუშვებ, თავთავეთის წავლენო და შენ მშვიდობით ქობულეთს მიგიყვანო.

„რომ არ დამეჯერებინა რა მექნა? გავედით. თათარნი ამოიყვანა, სრულ გაუშვა, უკან ტრაპიზონის ფაშას შეატყობინა, წინ გონიის სანჯახსა, რომ ამისთანა დიდი კაცი მოვაო, მრავალი სა-

¹ ამნაირივე ნუგეშს აძლევდა პაპი კლემენტე X ვახტანგ VII-ეს: „უფლისა ძეს მამობრივის სიყვარულით შეგაგულიანებთ, რათა ყოველი შეწუხება და სატანჯველი, რომელიც ხშირად შეგემთხვევათ ამ ცრემლის ხევში, მოთმინებითა და მხნედ იტვირთონ და ამნაირად მაგ შეწუხებისგან გამოიღებთ ნაყოფს“-ო.

² კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს საბას დაუმუშავებია უკანასკნელი ვარიანტი ლექსიკონისა, როგორც ერთი მისი ავტოგრაფიული მინაწერი გადმოგვცემს: „იქ (კონსტანტინეპოლეს) იწყო წერა ლექსიკონის ესე აგვისტოს ათსა და ქორთიკონს ჩლივ (1716) იანერის ოცს გაასრულა“ (იხ. საისტ. საეთ. № 1658).

ქონელი მოაქვსო და ფრანგები მოჰყავსო. ელჩები არიანო. ესენი დაიქირეთო.

„მე თან სამი პატრი კაპუჩინი თბილისის ქალაქისათვის და ერთი პატრი იეზუიტი შირვანისათვის მომდევდნენ და ერთი ზანდუკი ისპანიის პალიოზისა, ფრანცისის დესპანმა გამატანა ისპანს გასაგზავნი და ბურსელი ვაჰარი. ხოჯა აივაზა ჩალაბი ერქვა¹, შვილთან თან მომდევდა განჯას აბრეშუმის სასყიდლად.

„ოთხი დღე აქ დაგვყენა. მასუკან გვითხრა: მე გურიას ხომალდს ვეღარ წამოვიღებო. აფხაზი აშლილაო, მეშინიანო და თუ გინდათ პატარას ნავით წადითო, გინდა გურიას, გინდა ახალციხეზედო. რალა მექნა, ერთს ნავში ხოჯა აივაზა და მისი ამხანაგები ჩასხდნენ, მეორეში ჩვენ და პატრები. წამოვედით ზღვის პირპირ, ცოტა ხანი ვღეეთ. აგვიღელდა ზღვა და ორივე ნავი ერთმანეთს მოსხლიტა. იმათი ნავი ხოფას გააგდო და ჩვენი ნავი იმას ქვევით. იქ შეტყვევე თათრები იყვნენ, იმერეთიდან, ტყვეები მოყავდათ კონსტანტინეპოლეს დასასყიდლად, თუ ისინი იქ არ დაგვისწრებოდნენ, სრულ წაეხდებოდით. მოგვეშველნენ. გავედით. ოთხი დღე იქ ვიდექით, სრულ დღედაღამე ძლიერი ღელვა იყო.

„მოვიდნენ კანები. დაგვიქირეს. მრავალი გესარჯეს. ოცი მარჩილი წაგვართვეს, ზანდუკები დაგვიმსხვრიეს. ტყუილად მებაეეობა იჩემეს და მრავალი გვაქირეს. მე ჩემი ზრუნვა არა რა მაქენდა, მაგრამ სამთა მათ იტალიელთა მამათათვის ვიყავ დალონებული, რომე უცხონი იყვნენ და ენა არ იცოდეს და ხვათქრისაგან ბრძანებული იყო არა წამოსელა შავთა მათ ზღვათა იტალიელთა და დასავლეთის კაცთა.

„ოთხი დღე და ღამე მუნ ვიყავით, მეხუთე დღეს წამოვედით ნავებით, მოვედით ხოფას. იქ გონიის სანჯახი დაგვხვდა, ნავები წინ მოგვეგება, დაგვიქირეს, წაგვიყვანეს, მიგვასხეს ერთ სახლში. აღარც აივაზა გვაჩვენეს, დაგვიქირეს ჩვენ და პატრები და ერთს აღგილს დაგვაყენეს. მაშინ ახალციხის ფაშის დისწული იყო იქ... აღიბეგ. ჩვენი მცნობი იყო. რა შეეტყო ჩემი სახელი, კაცები გამოეგზავნა. ჩვენი თავი და პატრები ჩვენი საქონელი ყველა წაართვა და თავის სადგომს მოგვიყვანა დიდის პატივით.

„იმ ღამეს აივაზა ჩალაბ მოვიდა, მითხრა: ეს აღიბეგ ხვალ კონსტანტინეპოლეს მოვაო. ხომალდი მზა ჰქონდა. რა ეს წაეა უკან დაგვედევნებიან და უარეს იქმნონენო. ახლა ამან მოგვარჩინა ცოტა

¹ ნეგოციანტი ვივაზ ჩალაბი. იხ. საქართველოს სიძველენი, II, 263, 1678 წლის ქვეშ.

რამ მივართვათო, მიზეზი არა დავედევთ რაო, მომეწონა და ოთხ-
მოცი მარჩილი იმ გონიის ბეგს მივეცი და დილაზე ალი-ბეგ ცხე-
ნები გვიქირავა. ერთი ფაშის კაცი თან გამოგვატანა და გამოგვის-
ტუმრა. აივაზა იქვე დარჩა. ჩვენ არტანუჯისკენ წამოვედით. ის
დღე ვიარეთ. სალამო ბინდზე ჩხალას მოვედით. იქ დავდექით. იმ
გონიის ბეგს რომ ალი-ბეგ წასული ენახა, ევლო ის ღამე. მეორეს
დღეს დილაზე უკან მოგვეწია: შენ შენი ფრანგები გადაარჩინეო.
ეს ფრანგები მე მომეცი, ხვანთქრის ყადაღა არისო.

„მე შორს დაუქირე. როგორ გავცემდი. დაგვიქირეს ყველანი.
ბარგი და კარავი, მოფენილობა სრულ აიკლეს. ჩვენ ენგიჩრებს მი-
გვცეს. ქვეითები გონიისაკენ გაგვგზავნეს.

„მე მაცხელებდა. აგვატარეს ერთი უცხო პირ აღმართი, სულს
იქით გზა აღარ მქონდა. ბერი კაცი ვიყავ და სნეული და მაცხე-
ლებდა. სამოცი ფლური უბეში მედვა, ისიც წამართვეს. ამაში აი-
ვაზა ჩალაბი მოსულ იყო. ეშულლა: ვისა კლავ, ვინ გგონია, რას
გიზმენ, არ იცი? მოვიდა ჩემთან, მალალს წვერზე, მთის თხემზე
დაგვაყენეს: ოთხასი მარჩილი უქადა ჩვენის გაშვებისათვის. თვი-
თონ ჩამობრუნდა ვეცხლის მოსატანად. იქ იმათ მიქველად პატრი
ითხოვეს. ისინი და ჩვენი მოსამსახურენი გამოგვზავნე, მე მზევლად
დავდეგ და ჩემთან დავით კანდელაკის შვილიც დაიქირეს: წამოვი-
და აივაზა. სანამ ამ მთას ჩაივლიდა და თეთრს ამოიტანდა, და-
ბინდდა. წაგვიკრეს ხელები, თეთრი მოგვატყუეო და ამ ღამეში გო-
ნიისკენ გაგვგზავნეს.

„წვიმა და ნისლი. ღამე და ავი დაღმართი ეშმაკისაგან თუ გა-
იფლებოდა. რას ქირით ჩავიარეთ, ენით არ ითქმის. შუალამისას
ერთის კაცის სახლში მივედით და მაშვრალთ წაგვეძინა. იმ ღამეს
თურმე აივაზა მოსულ იყო. ვეცხლი მოეტანა. ორი ფალნიანი ცხე-
ნი გამოგვზავნათ. დაგვალვიძეს. შეგვსხნეს, წამოგვიყვანეს.

„ერთი ენგიჩარი მოგვეწია. უბელო ცხენს იჯდა წვიმაში. საწ-
ვიმარი წამართო, თვითონ ქვეშ დაიდვა. მე სიცივემ და წვიმამ
უარესი მიყო. მოგვიყვანეს აივაზა ჩალაბთან. სანამღის ჩვენ მთი-
დამ ჩამოვიდოდით, ორი პატრი სხვა თათრებს დაექირა. წაეყვანა-
ჩამოველ, შევიტყევე. თავს ზარი დამეცა. ჩვენ გამოგვისტუმრა აი-
ვაზა ჩალაბმა და თვითონ წავიდა. სამოცი მარჩილი ამ პატრებისა-
თვის მისცა და მოასხა ისინიც.

„ვიარეთ ნიგალის ხევში. ხან აქ გარდაგვიდგნენ წინა და გვსა-
რჯეს, ხან იქ, თეთრი სრულ აივაზა ჩალაბის იხარჯებოდა. არტა-
ნუჯს მოვედით. ისაყ-ფაშის ცოლი კარგად მოგვეპყრო. კარგა და-
გვაყენა. სავახშმო ებოძა. ერთი თავისი ალა იმან გამოგვატანა. არ-

ტანს რომ მოვედით მაშინ ახალციხეს ასლან ფაშა იჯდა, ---ისაყფა-
შის ბიძაშვილი—არტანის წინ გარდავეიდეა. ექვსი მარჩილი იმან
წაგვართვა. სხვა რამდენი რამ წაგვიხდა, ძალღებიც არ გამოგვა-
ტანეს.

„მოვაწიეთ ჩვენს ქვეყანას, მოვედით აბოცს. მაშინ ქართლში
მეფედ იასე იჯდა, გიორგი მეფის ძმისწული. ჩემი ძმისწული ცო-
ლად შეერთო, არ ერგებოდა. ნათესაობაც შევშალა და და ვერც
ჩემზე იყო კაი გულით. მე ვალი მრავალი მემართა ბურსელის ვაქ-
რებისა, რომ რაც გზაზე წამართვეს, მათგან ავიღე და იმერეთს მათ
ალარ გაძიშვეს. ჩვენ ძმებსაც კაცი გამოგვზავნა: ქართლში ჩასვლა
დაეშალათ, მაგრამ ღონე ალარ იყო. ჩამოველ. მეფემაც კაი პატივი
მცა, მაგრამ ასრე სრვა გახშირებული იყო, მრავალი სული ამოე-
წყვიტა და ტფილისიც აყრას, დახიზვნას აპირებდა. ჩემი მოვალე-
ები განჯას აბრეშუმისათვის მიეშურებოდნენ. ივლისის თვე იყო“¹.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

საბას განდევნა სამეფო კარიდან. სიცოცხლის ბოლო წლები.
რუსეთში გადასახლება. სიკვდილი.

ჩვენ გავიცანით სულხან-საბა ორბელიანის ერთგული და კეთილ-
შობილური სამსახური ვახტანგისათვის. საბა მართლაც კეთილი გე-
ნიაა მისი მეფობის. მაგრამ ფეოდალური ოპოზიციისა და ვახტან-
გის სუსტი ხასიათის წყალობით საბასაც დაუდგა კატასტროფული
მომენტი.

მალე ვახტანგის კარზე სრულიად მოულოდნელად ხდება უცნა-
ური ამბავი: მეფე და საბა ერთმანეთს შორდებიან. „ამ სოფლის
სიმუხთლემ ერთმანეთს მოაშორა და ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა
დიდი განხეთქილება ჩამოაგდო“. მეფის რისხვა დიდი ყოფილა,
იგი მის ძმებზე, ერთგულ ორბელიშვილთა, სახლზედაც გავრცებუ-
ლა, მაგრამ საბას სიტყვით, არც მას, არც ძმებს, მეფის წინაშე
არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ: „მეფე მას და მის ძმათა-
ზედ უბრალო წყყრომელი შეიქმნეს“.

გამოუსაყალი ინტრიგების შემქმნელნი საბას მახლობელნი, ში-
ნაურებივე ყოფილან: „მისგან გაზრდილნი კაცნი“, „მისგანვე გან-
კურნებულნი“, „რომელთათვისაც ზრუნვითა და შუამდგომლობით“

¹ ვეროპაში გამგზავრების დროსაც საბას არა ერთი განსაცდელი გამოუვლია, რასაც ამოწმებს თვით ვახტანგ მეფის სიტყვები, საბასთან მიწერილი ვეროპაში „დიდათ შევწუხდი, როცა შევიტყე, რომ გზაში მეტად შეწუხებულხართ“ (ისტორია კათოლიკობისა, გვ. 316).

საბა თავს აწყინებდა მეფესა, ესოდენ მრავალ გზის, მეფეცა განარისხის“.

მაგრამ მათ დაივიწყეს საბას ამაგი და „აღშურდნენ“, „შურით ცოფიან იქნეს“, მოიხზრეს გარეშე კაცი, „ჯადეგი ვინმე“, რომელმაც მოაწყო საბას განდევნა სამეფო კარიდან. რადგან ვახტანგი ხშირად განუქითხავი იყო და ფიცხი, „მრისხანე“, ხოლო „გონებანი მძლავრთა უძნელესად აღელდებიან ავთა ენათაგან“,—მტრებმა საწადელს მიაღწიეს და საბაც „განიოტეს“, უბრალო მსხვერპლად შეიწირეს.

ეს ტრაგიკული ეპიზოდი საბას მოთხრობილი აქვს „ქილილა და დამანას“ შესავალში, იგავ-არაკების სახით, სადაც ოსტატურად არის გადმოცემული მეფისა და ერთგული კარისკაცის თავგადასავალი.

ჩვენი აზრით, საბას განდევნის მიზეზი უნდა ყოფილიყო მისი ზედმეტი ერთგულება კათოლიციზმისადმი, კანონიზაცია ამ აღმსარებლობისა, რასაც ზედ უნდა დართობოდა საერთო უკმაყოფილება მისი უშედეგო ელჩობით ევროპაში.

საბას იზოლაციის მომხრე უნდა ყოფილიყო ოპოზიციური ფეოდალური ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდნენ: ბატონიშვილი იასე (შემდეგში მეფე), ბატონიშვილი სვიმონ და კათალიკოსი დომენტი. მათთან ერთად უნდა ყოფილიყო ორთოდოქსია. ინტრიგანებმა სასტიკად დასაჯეს საბა, მაგრამ მეფეს გული მანაც მოუბრუნდა აღმზრდელისადმი და „პატივი მოაპყრა“.

როგორც ზემოთაც ვნახეთ, ევროპიდან მობრუნებულ საბას ახლად გამეფებული იასე ავად შეხვდა, „ვერ იყო კაის გულითა“.

ცხადია, იასე მეფე საბას, როგორც ვახტანგის ერთგულს, სხვანაირად ვერც შეხვდებოდა.

ევროპიდან დაბრუნებულ საბას მეორე მტერიც—კათალიკოსი დომენტი გულმხურვალედ ვერ შეხვდებოდა, როგორც „მართლმადიდებლობის“ მოლაღატეს, და იგი უნდა იყოს მთავარი ორგანიზატორი და შთამგონებელი იმ დევნისა, რომელიც საბას სამღვდლოებამ გაუმართა ევროპიდან დაბრუნების შემდეგ. ვინ უნდა ყოფილიყო საერთო ბოიკოტის („შეკერის“), მწვავე დევნილების მომწყობი, თუ არა საქართველოს ეკლესიის მეთაური? მისი სანქციის და ხელმძღვანელობის გარეშე ხომ ვერ შეებრძოლებოდნენ საბას „სამღვდლონი და ეპისკოპოსნი?“¹.

¹ სამღვდლოების დევნის გამო ევროპიდან დაბრუნებული საბა დიდ ნივთიერ გაჭირვებაში ჩავარდნილა. თვით საბა გვიამბობს: „ვერაინ შემეწია ვალის ნიცემას, გამიჭირდა. თბილისს ერთი დაერდომილი ნათლი დედა მყვანდა, მან დაიწყო სიარული. მას აეს დროს სრულ მოაგროვა და მოვალეები გაისტუმრა“ (საბას მოგახურობა).

არაჩვეულებრივი უმადურობა გამოიჩინა თვით ახალგაზრდა ბაქარმა. თუ საბას ევროპაში გამგზავრებისას ცრემლით აცილებდა. ახლა, დაბრუნებულს, მადლობით შეგებების მაგიერ, მისი სახლისათვის საყვარელსა და წამებულ ადამიანს აუტოლადფეს უმართავს. საბას სდევნის ბაქარი, რომლის გულისათვის მოხუცებულმა აღმზრდელმა „ესოდენი ჭირი ნახა“ და „ვის მეფობასაც სცდილობდა“.

ერანიდან 1719 წ. დაბრუნებულს ვახტანგს ბედმა დიდი ხნით აღარ არგუნა მეფობა.

ვახტანგის უბედობის უმთავრესი მიზეზი იყო სამი დიდი სახელმწიფოს—ერანის, ოსმალეთის და რუსეთის ინტერესების შეხვედრა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე.

იმპერიალისტური რუსეთის პოლიტიკა ამ დროს შავ ზღვაზე ვამაგრებას და კასპიის სანაპიროთა ხელში ჩაგდებას მოითხოვდა. ამის მიზეზით იგი უსათუოდ უნდა ჩარეულიყო ერანისა და ამიერკავკასიის შინაურ საქმეებშიც. მეფის რუსეთის პოლიტიკურ კომბინაციებში საქართველო დიდ როლს თამაშობდა. ამიტომ პეტერბურგის კარისათვის საჭირო გახდა ყოველნაირი ხერხებით და ფრთხილი დიპლომატიით ქართლის მეფის ვახტანგის მიმხრობაც.

ვახტანგის ვასალური დამოკიდებულება ერანსა და ოსმალეთთან ამ დროისათვის თითქმის უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ მისწრაფება რუსეთისადმი, როგორც ქრისტიანული და კულტურული ქვეყნისადმი, სიმპათია, რომელიც იზრდებოდა XVII საუკუნიდან. იმდენად ძლიერი იყო აღმოსავლეთის მაჰმადიანებისაგან შევიწროებული ქართული მმართველი წრეებისათვის, რომ პეტრეს ემისარებს სრულიადაც არ გაძნელებიათ ვახტანგის გადაბირება¹.

განაგრძობდა თუ არა საბა მეფესთან შერიგების შემდეგ სახელმწიფო მუშაობას და კერძოდ, იღებდა თუ არა მონაწილეობას ისეთი დიდი პოლიტიკური საკითხის გადაჭრაში, როგორიც იყო საკითხი რუსეთის ორიენტაციის მიღებისა? ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ საბა რუსეთში გაჰყვა ვახტანგს, უნდა ამტკიცებდეს, რომ საბა ახალ პოლიტიკურ ორიენტაციაზე იმედებს ამყარებდა.

ვახტანგი ამაოდ ელოდა 30.000 კაცით პეტრე I განჯაში. ექსპედიცია ჩაიშალა. პეტრე აშტრახანში გაბრუნდა, რადგან მისი გეგმა ნაადრევი გამოდგა. მიუხედავად ვახტანგის ლალატისა, ყაენი და ხონთქარიც კვლავ მოუწოდებდნენ თავისაკენ, მაგრამ ვახტანგს თავი მთლად განწირული არ ეგონა. მას ჯერ კიდევ აიმედებდა

¹ აშტრახანიდან გაბრუნების შემდეგ. პეტრემ მოსალაპარაკებლად გამოუგზავნა ვახტანგს ელჩი—ი. ტოლსტოი, მამის პაპა ლევ ტოლსტოისა.

პეტრეს მიერ შეპირებული ლაშქრობის მოწყობა მომავალი, 1723 წლისათვის.

„არამედ განუტევა ყოველნი და აღირჩია რუსთა მეფე, რამეთუ ჰგონებდა განთავისუფლებასა ეკლესიათასა და ძალსა ქრისტიანობისასა“ (ვახუშტი, 82).

მაშინ განრისხებულმა ყაენმა ქართლი მისცა კახეთის მეფე მაკმადყულიხანს (კონსტანტინე). თუმცა 1723 წელს იანვარში ვახტანგმა იგი განდევნა კიდეც თბილისის კედლებიდან, მაგრამ იმავე წლის მაისში მაკმადყულიხანი დაქირავებული ლეკის ჯარით შემოადგა თბილისს და აიღო. მტერმა ქალაქი დაწვა და მოსახლეობა გაწყვიტა. ვახტანგი მცირე ხნით გაჩერდა ქართლში და 1724 წ. ივლისში, ათასოთხას თავად-აზნაურისა და სამღვდელო პირთა თანხლებით გადასახლდა ახალი შეწვენის მისაღებად რუსეთში, საიდანაც უკან აღარ დაბრუნებულა.

1723 წ. ივლისში თბილისი აიღეს ოსმალებმა, ვახტანგი რუსეთს გადაიხვეწა, საბაე თან გაჰყვა. თვით ვახტანგი ასე გვიამბობს: „მერმე ურუმთ ჯარი ჩამოვიდა ქართლში და ჩვენ აღარ დაგვინდეს და საქართველოში ველარსად დავედქით. წამოვედით რუსეთის ხელმწიფესთანა და თან გვიახლა სულხან ყოფილი, საბა“ (საქ. სიძვ. II, 357).

(ისტორიული პოემის—ვახტანგიანის ცნობით, ვახტანგს საბასთან ერთად თან გაჰყვა რუსეთში შვიდი წარმომადგენელი ორბელი-შვილთა სახლისა).

ჯერ კიდეც 1714 წელს, რომში ყოფნის დროს, საბა უჩიოდა ფიზიკურ სისუსტეს: „თავად ბერი კაცი ვიყავ და სნეული“, ევროპიდან მობრუნებისას, გონიის გზაზედაც ისევ იმეორებს: „ბერი კაცი ვიყავ და სნეული და მაცხელებდა“. ხოლო ამაზე წინათ, 1713 წ. მარსელში, მის თანამგზავრ რიშარსაც აღონებდა საბას „ხანში შესულობა“ და შიში „მგზავრობისაგან ავად გახდომისა“¹.

ექვი არაა, მისი ფიზიკური სიმაგრე, მხნე აგებულება მოსტეხა ცხოვრების საშინელმა პირობებმა, უდაბნოში ცხოვრებამ, სიღარიბემ, ოთხივე მეფის წყრომამ, ბოლოს, მეტად ძნელმა მოგზაურობამ ევროპაში და შემდეგ—სიკვდილის წინ—რუსეთში.

განსაკუთრებით მძიმე უნდა ყოფილიყო საბასათვის უკანასკნელი, თბილის-პეტერბურგის მარშრუტი. რად ღირდა 67 წლის მოხუცისათვის თუნდაც ის მომენტი მოგზაურობისა, როცა მასთან მყოფი ლტოლვილი ქართველობა „შეუდგა მთასა დიდსა კავკასი-

¹ ისტ. კათ., 314.

ისასა მსგავს ჯოჯოხეთისა, სადაც იყო მრავალი გამომდინარე თოვლ-
თა და ყინულთაგან. ესრედ ძნიად განსავლელ იყო ქვესკენელსა მას
შინა უფსკრულსა ყინულისასა, ორბი, გინდა არწივი, მასცა ვერლა
ედლო მუნით ამოსვლა, არცალა თუ ესეოდენთა ურიცხვთა დედა-
წულთა“, — როგორც გვიამბობს ამ ექსპედიციის მონაწილე¹.

აშტრახანში ვახტანგმა დატოვა დედოფალთან ერთად ამალის
ნაწილი და თვით, დაახლოვებული მხლებლებითა და კარისკაცე-
ბით გაემართა პეტერბურგისაკენ პეტრე დიდთან წარსადგომად.
საბაეც ამ მცირერიცხოვან ამალაში ერია, გზად, მოსკოვში ავად
გამხდარა და აქვე გარდაიცვალა.

შენახულა ცნობა:

„საბა მიიცვალა ქრისტეს აქეთ ჩლკე (1725) იანვარსა, კვ (26),
მწუხრს დიდს მოსკოვს, სესენწყას, ბატონის არჩილის სასახლეში
და იმავე საყდარს დაემარხა ბრძანებითა და მრავალის ხარჯით და
თანაწყაოლითა და დიდის პატივითა ბატონიშვილის დარეჯანი-
სათა“.

მაშასადამე, საბა გარდაცვლილა მოსკოვთან ახლოს, სოფელ
ესესვიატკში (სესენწყა)², რომელიც პეტრე დიდმა საუფლისწუ-
ლოდ არჩილ მეფეს მიუბოძა. უკანასკნელი დღეები სულხან-საბას
გაუტარებია არჩილის სასახლეში და აქვე კარის ეკლესიაში დიდი
ცერემონიით დაუმარხავს არჩილის ასულს ბატონიშვილს დარე-
ჯანს.

ასე დასრულდა სულხან-საბა ორბელიანის დაუდგრომელი ცხოვ-
რება.

წამებული სიცოცხლე მან შესწირა ანარქიასთან ბრძოლას, სამ-
შობლოს მშვიდობიანობისა და ერთიანობისათვის. მან გადაიტანა
საშინელი დევნა თანამედროვე საზოგადოებისა, თავისი პოლიტიკუ-
რი და ლიტერატურული აზრებისათვის და, როგორც დანტემ. გა-
მოსცადა „სიმწარე სხვისა პურისა“.

¹ თხრობა გაბრიელ გელოვანისა, სიძვ. მუხ. № 1007.

² „სოფლის ვალი ჩვენთან გარდაიხადა და სულხან-საბა აღესრულა მოს-
კოვს“ — ამბობს ვახტანგი. იხ. საქართველოს სიძვ. III, 332, 351, 358.

ეკლესია, სადაც საბა მარხია, 1712 წელს აავო დარეჯან ბატონიშვილმა. რო-
გორც მოწმობს საკურთხეველის წარწერა.

პროფ. ალ. ხახანაშვილი საბას გადასახლების შესახებ ამბობს: „მეფე იესემ
საბას დაუწყო დევნა ვაკათოლიკეების გამო, ამიტომ 1724 წ. წავიდა რუსეთს და
არჩილ მეფესთან იცხოვრა სოფ. ესესვიატკში“-ო. (იხ. სიტყვ. ისტორია გვ. 543).
ცხადია, საბა ვერ წავიდოდა 1724 წ. არჩილთან, რომელიც 1713 წელს გარ-
დაიცვალა.

საქართველოს საქმეებისათვის მივლინებულს, ბედმა აჩვენა ისპანი და რომი, პარიზი, სტამბოლი და მოსკოვი—მაშინდელი მსოფლიოს პოლიტიკური ცენტრები და მოსკოვის თოვლიან მიწაში იპოვა უკანასკნელი ბინა—თავისი აღმზრდელის და მეგობრის—არჩილის გვერდით, რომელთანაც იყო შეკავშირებული ყრმობისა და სიკბუჯის დღეებით...

ს ა ბ ა ს

დიდო მოხუცო, სამშობლოსათვის
იბრძოდი სულის ამოხდომამდე.
გეჩვენებოდა, რომ საქართველო
იძირებოდა, თითქოს ხომალდი!

და როს ღრუბელი გულს გიბნელებდა.
სამშობლოს ცაზე გამოხლართული.
შენ სამკურნალო ბალახებივით
მოგიკრეფია სიტყვა ქართული,—

რომ იავარქმნილ სამშობლოს ნაშთად
სიტყვები მაინც გადაგერჩინა;
ვარდსაც და თაფლსაც,
და პურის მადლსაც,
მშობლური სიტყვის მადლი გერჩინა.

მე მიყვარს სიტკბო შენი სიბრძნისა,
შენს ჭალარაზე გადმოშწვეთარი.
მე მიყვარს შენი სიტყვის მარილი,—
შენის ხალხისთვის დღესაც მწედ არი:

ახალნაშენი სამშობლოს შვილი,
შენს მხცოვან არჩილს ვვალურსები:
შენის ცრემლის რწყვით, შენის ამაგით,
გამოკვებულა ჩემი ფესვები...

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

„სიბრძნე სიცრუისა“

ორი სიტყვა „სიბრძნე სიცრუისა“-ს შესახებ:

„სიბრძნე სიცრუისა“ ორიგინალური თხზულებაა. მის სიუჟეტს აერთებს დამთავრებული იგავ-არაკები, ანეგდოტები, სენტენციები, ანდაზები და აფორიზმები, რომელთაც ერთმანეთს უყვებიან: მეფე

ფინეზი, ვეზირი სედრაქ, საქურისი რუქა, აღმზრდელი ლეონ და უფლისწული ჯუმბერ.

საბას იგავ-არაკების სათავეებს ზოგი მკვლევარი დასავლეთში ეძიებდა, ზოგიც—აღმოსავლეთში. ეს ცდები უნაყოფოდ დამთავრდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ თავის არსებით ნაწილში დაფუძნებულია ქართული ხალხური შემოქმედების ფესვებზე. ქართული არაკები, ქართული ცხოველთა ეპოსი, მითები, ანდაზები, ანეგდოტები, გამოცანები, თქმულებები და იმ დროის მახვილნი სიტყვა-პასუხები (რომელთაგან ზოგი ჩაწერილია და დაბეჭდილი, ზოგიც გაგონილია და გამოუქვეყნებელი) მოტივებით, დეტალებით, ეპიზოდებით მეტად ემსგავსება ორბელიანის არაკებს.

ორბელიანის არაკებში მოცემულია ნამდვილი ქართული ზღაპრის თვისებანი, ხალხური ვარიაციები ხასიათებისა, გმირები ქართული ზღაპრებისა. ამ შემთხვევაში ორბელიანი გვევლინება როგორც ხალხური ზღაპრების დიდებული იმპროვიზატორი.

ნაწარმოების ორიგინალობისათვის დამახასიათებელია ის ქართული ანდაზები (ანუ „არაკები“), რომლებიც შეუტანია საბას კრებულში:

1) არაკად თქმულა: „თორმეტნი ერთსა შიშველსა პერანგს ხდიდენ და ვერ გახადესო“, (ჩენი, 1928 წ., გამოც. გვ. 11), 2) „მძლარი კაცი მომეძარს პურს წვრილად უფშენეტდა და ზედ აყვედრიდა: რა ღორულად სქამო,“ (გვ. 31), 3) „შენს იქით კაცის ისარის კვრა ბუკის ცემას მიადარე“, (გვ. 34), 4) „ბედი მომეც და ნეხვთა დამფალო,“ (გვ. 35), 5) „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო,“ (გვ. 45), 6) „ლოდი მაშინ მძიმეა, რა ადგილს ძევს, და რა ადგილით დაიძვრების, გასუბუქდებაო“, (გვ. 35), 7) „არქონება არ ვარგა, და ავად ქონება უარესია“, (გვ. 56), 8) „პატრონსა შენსა უყვარდეს გველიო, შენგან უბესა ჩასმასა ველიო“ (გვ. 67), 9) „ქორი ქორსა სჩეკს და ძერა ძერუკასაო“ (გვ. 38). საბას მოყვანილი აქვს ქართული ზმაც: „მან საწყალმა ამოიოხრა და თქვა: „გვი ჩემო რძალო, რა უბრალოდ მომკალიო! „შიგ თურემკალი იჯდა და ზვად ჩამოართვეს კაცსა მას“ (გვ. 65).

ქართულ ზღაპრებს ორბელიანის ხელში დიდი რედაქციული დამუშავება განუტყდია. ტრადიციული ფაბულები მან გააცოცხლა თავისი ინტელექტუალური სიმახვილით, დაკვირვებით, გამოცდილებით, ეპოქის გემოვნებისა და განწყობილების მიხედვით.

ცალკე თემა ქართული ლიტერატურული გავლენები ამ ნაწარმოების სიუჟეტებში, ასე, მაგალ., არაკი—„უტკების და უმწარესი“ ერთი ქართული ლექსის გავლენითაა დაწერილი („ენა“), „ორი მო-

ნადირენი“ მოტივით რუსთაველის იგავს („არაკი ავთანდილისა ას-
ნათსა თანა“) ემსგავსება. ორბელიანის კრებულის ძირითადი სიუ-
ჟეტის მომენტები „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდებს მოგვაგონებს. სა-
კითხის ფართოდ შესწავლისათვის უფრო მეტი ლიტერატურული
პარალელების დამოწმება შეიძლებოდა.

აღსანიშნავია, აგრეთვე, „სიბრძნე სიცრუისას“ არაკების ხალხში
გადასვლა (ისე როგორც გადასულია „ვეფხისტყაოსანი“, „ამირან-
დარეჯინანი“, „როსტომიანი“ და სხვ.). ასე, მაგალ., ქართულ ზე-
პირსიტყვაობაში გავრცელებული ზღაპარი „მკაცრი მეფე“ (დაბე-
დილია ეურნ. „ნაქადულში“, 1914 წ. ნოემბერი) მეტად მიაგავს
საბას არაკს: „უსამართლო შირვან შაჰ“. ეს ზღაპარი თანრიგით,
რამდენიმე დეტალის გარდა, სიტყვასიტყვით „სიბრძნე სიცრუისა-
დან“ მომდინარეობს, — ამას ამტკიცებს თუნდაც კონკრეტული დე-
ტალი — მეფის სახელწოდება „შარვანგი“, რომელიც ორბელიანის
არაკის „შირვანშაჰის“ გადამახინჯებას წარმოადგენს.

რაც შეეხება თვით ორბელიანის მიერ მოგონილ არაკებს და
სიუჟეტებს, ძნელია თქმა, რომ საკუთარი წილი არ შეეტანოს ავ-
ტორს მათ შემუშავებაში, არ შეგვხვდეს კრებულში მწერლის ცხოვ-
რების ფაქტები, ავტობიოგრაფიული არაკები.

ჩვენ შევეცადეთ გარკვეული მუშაობა ჩაგვეტარებინა ქართული
ზღაპრებისა და საბას იგავ-არაკების სიუჟეტური შეხვედრების გა-
მოსარკვევად. დამოწმებული გვაქვს, როგორც ჩვენ მიერ შეგროვი-
ლი მასალა, ისე გამოქვეყნებული წყაროები, შედარებითმა ანალიზ
მა ჩვენთვის სრულიად ნათელი გახადა ორბელიანის იგავ-არაკების
ორგანული კავშირი ქართული პოეტური ფოლკლორის სამყაროს-
თან¹.

„სიბრძნე სიცრუისა“ პოლიტიკურ სატირას წარმოადგენს. იგი
დიდი სიკოკხლით ეხმაურება იმ დროის ცხოვრების საზოგადოებ-
რივსა და პოლიტიკურ მოვლენებს; ამ მხრივ იგი შესანიშნავი ძეგ-
ლია განმანათლებელ საზოგადოებრივ მოძრაობისა. კრებულში აშ
კარად მოჩანს პოლიტიკური ტენდენციები, ირონიული შენიშვნები
მეფეებზე, ფეოდალებზე, მდივანბეგებზე, ხელისუფლებიან სხვადა-
სხვა წარმომადგენლებზე და საერთოდ მბრძანებელ ძალთა მისა-
მართით. მას შეუნიშნავი არა რჩება მეჭვიდან მოკიდებული უბრა-
ლო გზირამდე. განსაკუთრებით მოყიფნებულია კარის საზოგადოება.

ჩვენი მოიგავე მეტად თამამად ლაპარაკობს თანამედროვე წყო-
ბილების წინააღმდეგ. გავიხსენოთ, მაგალითად, სამართლის შესა-

¹ იხ. ჩვენი გამოკვლევა: „სიბრძნე სიცრუისა“ (1928 წლ. გამოცემაში).

ხებ მელას ირონიული სიტყვები: „ლოჰ ნადირთ ხელნაწიფისაგან დასმული მდივანბეგი ვარო“.

ცხადია, ამ გაბედულ თქმას მეტი ფასი ეძლევა, როდესაც მას თვითონ მდივანბეგის ოჯახის წევრი და მემკვიდრე ლაპარაკობს. ანდა თქმა მჭარვალის ეფეების შესახებ: „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა“. ხარბ და ტირან მეფეთა წინააღმდეგ გამოყვანილია ბუნების შეილები, უბირი ადამიანები („ხალიფა რა არაბი“ და სხვ.).

ავტორს მშვენივრად ჰყავს დახასიათებული: ძუნწები, ფარისევლები, ამაყნი და ცბიერნი, საქურისები და სხვ.

საერთოდ, იგავთა კრებულში ნათლად ჩანს ავტორის სასტიკი გალაშქრება გაბატონებული მორალის წინააღმდეგ. ამავე დროს, ნაწარმოებში მოცემულია თანადროული ეპოქა: მღელვარე ხანა ზნეობის დაცემისა და პოლიტიკური უბედურებისა.

სულხან ორბელიანმა, როგორც თავისი დროის პრაქტიკულნი მოღვაწემ, პოლიტიკური ცხოვრების მონაწილემ, მოგვცა სატირული გამოსახულება თავისი საუკუნისა.

ეს დიდაქტიკური კრებული ეპოქის შეილია; იგი მთლიანად მიმართულია იმ საზოგადოების წინააღმდეგ, რომელიც საქაოდ გახრწნილი იყო. „სიბრძნე სიცრუისა“ ამ ავადმყოფი ორგანიზმის ნესტარია და ერთნაირი სიმკვეთრით ესობა ყველა იარას, მაგრამ ავტორი მამხილებელი წიგნისა არ ვარდება პესიმიზმში. მას ახასიათებს დიდი სიყვარული ადამიანისა და ბუნებისადმი: წიგნის საერთო იდეაა სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე, რასაც იგი გვიმტკიცებს მთელი გრძნობებით და მისწრაფებებით თავის მორალურ ფორმულებში¹.

„სიბრძნე სიცრუისა“ თავისი მკვეთრი სარკაზმით, დამცინავი ტონით, ფრივოლი სურათებით ანტირელიგიური კლასიკური სატირიაა ქართულ სამღვდლოებაზე. როგორც ძლიერი მებრძოლი იარალი რეაქციული ლიტერატურის წინააღმდეგ, იგი უნიკუმი XVII ს. ქართული ლიტერატურისა.

რამდენი შხამი და ირონიაა დაფარული ამ არაკებში ეკლესიისა და სამღვდლოების წინააღმდეგ? მათ მოსაყიენებლად სულხანი მიმართავს ალევორიებს. ავტორს ქართული სამღვდლოება გამოყვანილი ჰყავს მაჰმადიანურ სამოსელში.

¹ დამახასიათებელია, რომ ძველი იგავ-არაკები, რომლებიც უმთავრესად სასულიერო მიმართულებისაა, მაგალითად, საინტერესო კრებული იგავებისა— „მეფეთა სალარო“ მანინ გაჟღერთილია ნამალადვეი ქრისტიანული ტენდენციებით.

განა გამოხმაურება არ არის, მაგალითად, იმ დროის ასკეტიზმის ეპიდემიაზე მელას სიტყვები: „ჩვენი დღენი ცოდნაში დავალაზე, ახლა ჰკუთნოვიხმარე, ეს სოფელი გავუშვი, ბერად შევდგე, იერუსალიმს მიინდა წავიდე?“ სულხანის სატირული ნესტარი პირდაპირია და უღმობელი: „ღორს ავი მოლა რით უკეთესია?“ ან საღრის მხილება: „ამ ქვეყნის რჯულის თავი ესეთი ღირსი და წმინდა არის, რომ იმისი ლოცვით დგას ეს თემი და წვიმაც და მოსავალიც ამის ლოცვით მოდის... აბა, ამ ქალაქის მომთხრელი ქურდი ეს არისო“. ან გლახაკის მიმართვა ღვთისადმი: „უფალო, დიდად მოწყალე ბრძანდები, მაგრამ ვინემ კაცს სისხლს არ დაათხევენებ, არას მისცემო“.

ადგილი წარმოსადგენია, რა დიდი ხმაური უნდა გამოეწვია ამ სარკასტულ შენიშვნებს ალეგორიის გახსნის შემდეგ მონასტრულ-სქოლასტიკურ წრეებში. მიუხედავად ღვთისა, რომელიც „სიბრძნე სიცრუისას“ უნდა გამოეფლო, იგი პოპულარული წიგნი შეიქმნა XVII ს. ქართულ საზოგადოებისათვის.

* *

„სიბრძნე სიცრუისას“ პირველი კომენტატორის — ალ. ცაგარლის აზრით, საბას თავისი ნაწარმოები უნდა შეედგინა სიბერეში ევროპიდან მობრუნების შემდეგ, რასაც, მისი აზრით ამტკიცებს ზოგიერთი ადგილი ამ კრებულისა, სადაც არა ერთხელ შეგხვდებით ევროპული სახელები და ცნებანი, როგორცაა: მოთხრობები, იტალიელი მხატვრების შესახებ, დუკა, გრანდუკა, მაგისტროსი, რომი, საფრანგეთი, კონსტანტინეპოლი, ოქროს ქიმი, — თუმცა, რასაკვირველია, მათი ცოდნა ავტორს მოგზაურობამდე შეეძლო ჰქონოდა.

ბოლოს. მთელი წიგნის გადაკითხვა მკითხველზე ახდენს შთაბეჭდილებას, რომ იგი დაწერილია ცხოვრებაში მრავალი ქირგამოვლილისა და გამოცდილი ადამიანის მიერ. ენაც და ტონი წიგნისა ამელავნებენ, რომ ავტორი მეტად გამოცდილი მწერალია.

„რაც შეეხება მონაზნობას, — ამბობს ა. ცაგარელი, — იგი ვერ დაუშლიდა „სიბრძნე სიცრუისას“ შედგენას, რადგან, როცა საბა 50 წელს იყო გადაცილებული, ე. ი. არა უადრეს 1719 წ., იგი თარგმნიდა ანგარი სოჰაილის („ქილილა და დამანა“) ლექსებს, რომლებიც თავისი საერაო ხასიათითა და შინაარსით არაფრით არ განირჩევა „სიბრძნე სიცრუისას“ წიგნისაგან“. სერ. გორგაძის აზრითაც, „სიბრძნე სიცრუისას“ შედგენა დაახლოებით 1683-1684 წლებს უნდა მიეწეროს.

ამრიგად, ალ. ცაგარლის აზრით, „სიბრძნე სიცრუისა“ დაწერილია საბას ევროპიდან მობრუნების შემდეგ სიბერეში. ამავე აზრს იზიარებდნენ აკად. ნიკო მარი და პროფ. ალ. ხახანაშვილი.

თვით აშკარად მკვერამეტყველ საბუთს (წიგნის სათაურს, სადაც ნათქვამია, რომ საბამ „სიბრძნე სიცრუისა“ დაწერა სიკაბუჯეში), რაზედაც ჩვენ ვემყარებით წიგნის დაწერის დათარიღებაში, კიდევაც თავი რომ დავანებოთ, მაინც ზემოთ დასახელებულ ავტორთა მოსაზრება არ მიგვაჩნია მართებულად. განა სრულიად ბუნებრივად არ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ისეთმა განათლებულმა ქართველმა, როგორც იყო სულხან-საბა, რომელსაც ამასთანავე მჭიდრო კავშირი ჰქონდა ევროპელებთან, იცოდა ზემოთ მოყვანილი ევროპული ცნებები და სახელები? ან რად უნდა იყოს სავალდებულო ამ შემთხვევაში ფიქრი ავტორის გამოცდილებისა და მოხუცებულობის შესახებ? განა ასეთი საპასუხისმგებლო ნაშრომი, როგორცაა ლექსიკონი, საბამ სიკაბუჯეში არ დაასრულა თავისი პირვანდელი შოკულობით?

ალ. ცაგარლის წარმოდგენით, საბას ბერობა ვერ დაუშლიდა „სიბრძნე სიცრუისა“ შედგენისათვის, მით უმეტეს, ბერობაშივე თარგმნა საერო ხასიათის ნაწარმოები „ქილილა და დამანაო“. მაგრამ ცაგარელს ავიწყდება, რომ „ქილილა და დამანაო“ საბამ თუ დაამუშავა, ისიც მხოლოდ ვახტანგ მეფის ბრძანებით, რასაც თვით საბა ჩივის წინასიტყვაობაში: „მეფის ბრძანების შემდეგ უარი აღარ იქნებოდა, თვარა მონაზონისაგან ამისთანა ამბავი უწყსოა და ურიგო“. საბას სიტყვებში აშკარად მოჩანს ქართული სამღვდელთა ტრადიციული შეხედულება საერო პოეზიის შეჩახვებ. ცაგარელს ავიწყდება სწორედ ეს პრინციპული ანტაგონიზმი, რომელიც საერო და სასულიერო მწერლებს შორის სუფევდა, ის დაუზოგავი ტერორი, რომელსაც ეკლესია იჩენდა საერო მწერლობისადმი. ცნობილია, რომ სამღვდელთა საერო ხასიათის ნაწარმოებს „წარმართულს“ უწოდებდა, ხოლო საერო მწერლებს „გარევე კაცთა“, „მეზღაპრეთა“. თვით რუსთველი მისთვის იყო „მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავლა ქართველთა სიწმინდის წილ ბოროტი ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა“.

ცნობილია თვით საბას ეპოქის საერო პოეტების კლერიკალური შეხედულება საერო მწერლობაზე. ისინი ერთხმად აღიარებენ საღვთო პოეზიის უპირატესობას: „ვითარცა იაგუნდთა შორის ვარსკვლავნი, ნათელისა შორის ბნელი და ვარდთა თანა ასკილნი, — ესრეთ შორს არიან საერონი საღმთოთა წერილთა“ (მამუკა ბარათაშვილი). ხოლო თუ საერო ხასიათის ნაწარმოებს წერენ, — დიდი

სინანულით და სინიღისის ქენჯნის შემდეგ. განა შესაძლოა ვიფიქროთ, რომ გატაცებულ ქრისტიანს, მონაზონს საბას, ისიც მოხუცებულებაში. შეეძლო დაეწერა ისეთი თავისუფალი აზროვნების საერო ნაწარმოები, როგორც არის „სიბრძნე სიცრუისა?“

„სიბრძნე სიცრუის“ დაწერის დროის ნიშანდობლივ დათარიღებისათვის უქთავრესად საგულისხმოა მისი ძველი ნუსხების თავსაათური: „წიგნი სიბრძნე სიცრუისა, ნათქვამი საბა სულხან ორბელიანისაგან, ჟამსა სიჭაბუკისა მისისა“. რადგან ეს სათაური მრავალ ხელნაწერშია შენახული, ვფიქრობ, რომ იგი თვით სულხან საბას დედნიდან უნდა მომდინარეობდეს.

ამ სათაურში პირდაპირ ნათქვამია, რომ იგავების კრებული სულხანს სიჭაბუკეში შეუდგენია. თვით სულხან-საბას განმარტებით, სიჭაბუკის წლებად მიღებულია 20-30 წლ., და რადგან საბა დაბადებულია 1658 წელს, მაშასადამე, „სიბრძნე სიცრუისას“ შედგენა 1678—1688 წლებში უნდა მომხდარიყო.

ყოველ შემთხვევაში, „სიბრძნე სიცრუისას“ შედგენა 1680-იან წლებს ეკუთვნის. ეს სწორედ ის წლებია, როდესაც სულხანი ზრდიდა ბატონიშვილ ვახტანგს.

სულხან საბას ლიტერატურული მოღვაწეობა ორ პერიოდად განიყოფება. პირველს ახასიათებს მძაფრი საერო შიშართულება. ამ ხანას ეკუთვნის წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“, ლექსიკონი და წვრილი ლექსები, რომელთა უქრავლესობას ჩვენამდის არ მოუღწევია. ყველასათვის ცნობილია საბას ლექსიკოგრაფიული მუშაობა.

თუ ვისმე გწადის ეს წიგნი, ვგრე გმატს ვითა რუსთველსაო.

ტყუილად კი არ ლაპარაკობს საბას ლექსიკონის ენციკლოპედიურ ღირსებაზე მე-18 საუკ. პოეტი:

საბასი ვნახე ნაღვაწი, ნამჭვერი შემოკრებილი,
სიტყვათა შადი აესხა, ერთადცა არსად კლებული.
მზე, მთვარე, ვარსკვლავ-ცდომილნი, ცის სფერო ვითარ გებული.
ყველა უკლებლივ სწერია, ვინ იწერთნას, იქნეს ქებული.

ასეთი დიდი აზრისა იყო ფეოდალური ქართული საზოგადოება საბას ლექსიკონზე.

რაც საბას პოეტურ რეპუტაციას შეეხება, იგი ძველადვე საკმაოდ შეფასებული იყო. — „უცხო პიტიკოსი, ქებული და ძველთა მოშიარეთა შესაღარი“. თვით საბას ანტაგონისტი კათალიკოზი ანტონ პირველი დიდი აზრისაა საბას საერთო პოეტურ შემოქმედებაზე:

უცხო არს იგი, საქებელ პიიტკა.
რაცა სოფლითთ გამოსთქვა სულხან-საბა.

ამას მოწმობენ „ქილილა და დამანაში“ დართული მის მიერ „გაკეთებული“ ლექსები, რომელშიც საბა გვევლინება დიდი პორიზონტის პოეტად, შესანიშნავ ოსტატად, ქართული ლექსის რეფორმატორად.

რაც შეეხება საბას, როგორც „მოგზაურობის“¹ ავტორს, მან მახვილი თვალით, დაკვირვებით, ნიჭით და ანალიტიკური კუთხით აგვიწერა საკუთარი თვალით ნახული ევროპაში, ხალხი, ზნე-ჩვეულებანი, ბუნება, ხელოვნების ძეგლები, საეკლესიო და პოლიტიკური საკითხები, ყოველივე საბას ყურადღების ცენტრშია მოქცეული. „მოგზაურობა“ პირველი ცდაა ევროპის აღწერისა ქართული თვალთ.

სამწუხაროდ, ამ თხზულების პირველი ნაწილი ჯერჯერობით არა ჩანს, იგი ცალკე წიგნად გამოსცა სოლომონ იორდანიშვილმა („ფედერაცია“, 1940 წ.).

პარიზში ყოფნისას საბას საფრანგეთის მთავრობისათვის მოუწოდებია თავისი მასალები—ჩანაწერების თუ ჩანახაზების სახით კავკასიის რუკის შესადგენად. ეს მასალები ვახდა ერთ-ერთ მთავარ წყაროდ ცნობილი ფრანგი გეოგრაფოსის გილიომ დელილის „კავკასიისა და კასპიის ზღვის რუკისა“, რომელიც პარიზში გამოიცა ასტრონომიული ობსერვატორიის მიერ საბას სიცოცხლეშივე, 1723 წელს (იხ. Известия Всесоюзного Географического общества, 1953, მაისი-ივნისი, კ. შაფრანოვსკის, კ. კრუფეცკაიას და ა. სულაკოვის პუბლიკაცია—О карте Кавказа и Каспийского моря; აგრეთვე იხ. ვლ. მეტრეველი—სულხან-საბა ორბელიანის მონაწილეობით შედგენილი რუკა. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, 1956 წ., ტომი XIX—B.).

მაგრამ ორბელიანის მხატვრული შემოქმედებიდან ცალკე გამოირჩევა მისი იგავ-არაკების კრებული „სიბრძნე სიცრუისა“—ეს იშვიათი ძეგლი XVII ს. მწერლობისა, შედევრი თავისუფალი აზროვნების შემოქმედებისა. ამ მხრივ იგი პირდაპირ უნიკუმიია იმ დროის მწერლობისა და გადაჭარბებული არ იქნება ვთქვათ, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ არის კათეხიზმო ქართული გონებამახვილობისა.

1928 წ.

¹ „ეს თხზულება ქართულს მწერლობაში სრულიად უცნობი და ახალი რამ არის. ეს კრებული შეიცავს 172 პატარ-პატარა ზღაპარს. ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი 1872 წ. წარმოუგზავნიათ ტფილისს, ეურნალ „კრებულის“ რედაქციას. ამ ეურნალის დახურვის შემდეგ ეს ხელთნაწერი დაკარგულა. 1883 წ. ისევ აღმოჩენილა და ეხლა აქვს ბ. ნ. ნასიძეს“.

გასულ წელს, დავით გურამიშვილის ბიოგრაფიულ მასალებზე მუშაობის დროს, მოსკოვის არქივებში (საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი, ძველი საბუთების არქივი), ჩვენ გზადაგზა ვეძებდით აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის მასალებსაც.

ძიების დროს წავაწყდით სულხან-საბას რამდენიმე სრულიად ახალ ბიოგრაფიულ მასალას მისი უკანასკნელი დღეების შესახებ, რაზედაც დღემდე ჩვენ თითქმის არაფერი ვიცოდით.

1724 წლის მაისში, სამეფო კარის ინტრიგების წყალობით, ლეკებმა აიღეს თბილისი. ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე იძულებული იყო დაეტოვებინა სატახტო ქალაქი. ქაშუეთის ეზოში იგი სამუდამოდ გამოეთხოვა თბილისს. „წამოვიდა მეფე ვახტანგ შვილითა და ძმებითურთ, გამოიარეს ქალაქთ გარე, ჩამოხტა ქაშუეთს, შემოეყარნენ მოქალაქენი და დაუწყეს წვევა ქალაქსა შიგან, მაგრამ სპათა სიმრავლე აღარა იყო-რა, არცა ეგებოდა დაყოვნება ხანისა; იარეს, მეფე ვახტანგ წაბძანდა გორსა“ (სეხნია ჩხეიძე).

ლეკთა შემოსევის მოჰყვა თურქთა შემოსვლა. ქართლი ივარქმნეს და მოსრისეს. „ქვეყანა ხომ გააოხრეს,—სწერდა ვახტანგი იმპერატორ პეტრე პირველს,—ხუთს აღაჯზე ქალაქის გარეშემოში სოფლები სულ გააოხრეს და შენობა მოშალეს. ტყვე მრავალი დაატყვევეს, ერთ არ მოიხსენება აქაური ქირი. კახეთი ხომ სულ ლეკმა დაიპირა“.

დამარცხებული, ძალადამართებული ვახტანგი, გორი—ცხინვალი—რაჭის გზით, ორიათასიანი ამაღლის თანხლებით, გაემართა რუსეთისაკენ; მისი მიზანი იყო პირადად წარსდგომოდა პეტერბურგში იმპერატორს პეტრე პირველს და გამოეთხოვა სამხედრო დახმარება „საქართველოს დასადგინებლად“, ქართველი ხალხის გადასარჩენად. ვახტანგის ერთგულ ამაღაში, უპირველესაა შორის, იმყოფებოდა ვახტანგის მოამაგე აღმზრდელი, მეფის მისანდო მოღვაწე და ქართველი ხალხის დიდი მოპირნახულე, 67 წლის წოხუცი სულხან-საბა ორბელიანი.

საბა სულ რვა წლის წინათ, დიდი ქირგამოვლილი დაბრუნდა ევროპიდან, სადაც ვახტანგის მიერ იყო წარგზავნილი დახმარების სათხოვნელად. ევროპიდან ის დაბრუნდა იმედდაკარგული და სასოწარკვეთილი.

* „ლიტერატურული გაზეთი“, 1955 წ., № 4.

ევროპის შეწვევის ილუზიებისაგან სრულიად გამოფხიზლებული ვახტანგი უკვე მტკიცედ და საბოლოოდ დაადგა რუსეთის ორიენტაციის გზას. ამ დიდ გზაზე მას თან ახლდა ერთგული საბა ორბელიანი. ვახტანგისა და საბასათვის ახლა უკვე გაიშალა ერთადერთი იმედიათი გზა საქართველოს ხსნისა—რუსეთის გზა.

ჩვენ რომ რუსეთს წამოვედით,—გვიამბობს თვით ვახტანგი,—საბამ მოხუცებულმა, სამოცდაშვიდისა წლისმან, ჩვეულებისამებრ, ჩვენი მამა-ბიძათ სიყვარული და ჩვენი ერთგულება არ უდებ ყო და თან გვიახლა სამის ძმითა და ორის ძმისწულითა“ („საქართველოს სიძველენი“, II, გვ. 332).¹

1724 წელს ქ. ასტარახანში შედგენილი ვახტანგის ამალის ნუსხაში მოხსენებულია „თავადიშვილი საბა, ამისი ძმა ზოსიმე, ორივე შწირნი ბერნი“ ხუთი მსახურით, ერთი აზნაურიშვილით (იხ. საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის „ქართული საქმეები“, 1724 წ. № 3, ფურცელი 23).

ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ ევროპიდან დაბრუნებისას, მისივე სიტყვებით, საბა იყო „ბერიკაცი და სნეული“. ახლა კი უფრო დაუძლურებულს დიდად შორეული გზის სიძნელები უნდა გადაელახა. ვახტანგისა და მისი ამალის მგზავრობის ერთ-ერთ მომენტს ამ ამალის მონაწილე გაბრიელ გელოვანი, სხვათა შორის, ასე გადმოგვცემს:

„მაშინ აღსდგა მეფე და განვლო მდინარე რიონისა და შეუდგნენ მთასა მალალსა კავკასიისასა მსგავს ჯოჯოხეთისა, სადაცა იყო ჯურღმული მრავალი გამომდინარე თოვლთა და ყინულთაგან. ესრეთ ძნიად განსასვლელ იყო ქვესკნელსა მასშინა უფსკრულსა ყინულისასა ორბი, გინა არწივი, მასცა ვერლა ეძლო მუნით აღმოსვლად, არცალა თუ ესეოდენტა ურიცხვთა დედა-წულთა“.

ამ გზით მიდიოდა მოხუცი საბა.

ქართველ მოგზაურებს უნდა გადაელახნათ ეს ძნელი გზა, სავსე ავაზაკობით, თავდასხმებით, მუღმივი მძევლების მოთხოვნით. 1724 წელს ვახტანგი თავისი ამალით ჩავიდა სოლალის ციხეს, სადაც მოეგება რუსთა სარდალი გაბრიელ კროპოტოვი: „და განახუნეს კარნი ციხისანი და მოსცეს ხმა ქუხილისანი ზღუდეთა ზედა გარდმოკიდებულთა ზარბაზანთაგან დაწყობილთა სპათა ხელისა თოფთაგან. ესე იარა პატივითა შებრძანდა სახლსა ტურფასა“.

¹ ისტორიული პოემის „ვახტანგის“ მიხედვით, ვახტანგს, სხვებთან ერთად თან ეახლა „შვიდი ძმა და სახლისკაცი ორბელიანთ თესლი-გვარი, საღმთონი და საერონი, ჰკვიანნი და მწვე-სახმარნი“.

ამ საპატიო სანახაობით ტკებობდა საბას თვალიც, მაგრამ, როგორც ჩვენი ახალი საბუთებიდან ირკვევა, საბას, ვახტანგთან ერთად, მხოლოდ სოლალის ციხემდის უმოგზაურნია. სოლალის ციხიდანვე ვახტანგს პირდაპირი მარშრუტით პეტერბურგში გამგზავრება დაუპირებია, მაგრამ რაკი იმპერატორის შესაფერი განკარგულება არ დახვედრია, ველარ გაუბედავს. თვით ვახტანგი ამბობს: „მინდოდა მე თავკაცობ ვხლებოდი (იმპერატორს), მაგრამ რადგან აქ ხელმწიფის ბრძანება არა დაგვედარა, ველარ ვეახელით“ (1724 წ., № 2, ფურც. 41). სოლალის ციხეში ჩასვლისთანავე ვახტანგს საჭიროდ დაუნახავს საბა ორბელიანის წინასწარ გაგზავნა იმპერატორთან პეტერბურგში. (აქედანვე ცალკე გაგზავნილი იქნა იმპერატორთან ვახტანგ ამილახვარი).

ახალ საბუთებში ნათქვამია, რომ საბას უნდა წაეღო ვახტანგის წერილი პეტრე პირველთან და მოსკოვში მყოფ არჩილის ასულ ბატონიშვილ დარეჯანთან. (საქმე № 8, ОИНСБ, № 110/1).

დარეჯანი, არჩილ მეფის ქალიშვილი, ერთნაირად ბიძაშვილად მოხვდებოდათ როგორც ვახტანგს, ისე საბას. დარეჯანი შუამავლის როლს ასრულებდა ვახტანგსა და პეტრე პირველს შორის.

რუსეთის კარზე დარეჯან ბაგრატიონი ითვლებოდა საქართველოს საქვების საუკეთესო მცოდნედ. მხურვალე პატრიოტის არჩილის ასული ვახტანგის ერთგული მრჩეველი და თანამოსაგრე იყო. თავისი დიდი გავლენით იგი განუმტკიცებდა ვახტანგს რუსეთისადმი სწრაფვას. ჯერ კიდევ ვახტანგის ირანში ტყვეობის დროს (1712—1716 წწ.) დარეჯანი სთხოვდა პეტრე პირველს ვახტანგის ტყვეობიდან გამ-ხსნას და რუსეთში გამოყვანას!

ამიტომ გასაგებია, რომ საქართველოდან გასვლისას პირველი წერილები ვახტანგმა დარეჯანთან აფრინა მოსკოვში; რათა იგი დახმარებოდა საიმპერატორო კარზე. ამ წერილების ერთ-ერთი წამლები იმპერატორთან იყო საბა ორბელიანი.

ვახტანგი სოლალის ციხეში 1724 წლის 31 აგვისტოს ჩასულა, ხოლო 12. სექტემბერს, თითქმის დაუსვენებლად, დიდი ასწრაფებით საბა გამგზავრებულია მოსკოვისა და პეტერბურგისაკენ, გენერალ-მაიორის კროპოტოვის ორდერით.

სოლალის ციხიდან გამგზავრებისას საბას გადაპლობებიან მთიელები, უწვალეობით, გაუძარცვავთ, ყველაფერი წაურთმევიათ. ხიფათშემთხვეულ საბას გზად დიდი შიმშილი და გაჭირვება გადაუტანია. საბას მგზავრობაში თან ახლდნენ: მისი ძმა ბერი ზოსიმე (ზაალი), აზნაური „ინთევი“ (ეს გვარი ჯერ ვერ დავადგინეთ ქართულად), მსახურები: დაბალა, აზნაური დიმიტრი და ტიტე კარ-

გარეთლები, პირღებულის არქიმანდრიტი არსენ ბარათაშვილი, აზნაური ომანი, დიაკვანი დავითი, მსახური „არტემონი“. რუსთა ხელისუფალთ საბასათვის გზის ულუფად მიუციათ სახსრები რვა ეტლის („ბადვოდის“) დასაქირავებლად; ასტრახანიდან მოსკოვისკენ საბა გაემგზავრა 20 ოქტომბერს. ასტრახანიდან საბასა და მისი ამაღლისათვის ასტრახანის კომენდანტს მიტროფანოვს თან გაუყოლებია ასტრახანის მეციხოვნეთა პოლკის კაპრალი ივანე ვორობიოვი, ასტრახანიდან სარატოვამდე მიუციათ რვა მენიჩბე-ნაოსანი დღიური ულუფის ფულით, საბასთვის, როგორც უბრალო ბერისთვის მიუციათ დღიურად ხუთი კაპიკი, ხოლო საბას თანმხლებელა არქიმანდრიტისათვის დღიურად 25 კაპიკი.

ცარიცინში ჩასვლისას ხელისუფალთ მიუღიათ ცნობა, რომ საბა ვახტანგ მეფის ნათესავია. ამის შემდეგ ცარიცინიდან მოსკოვამდე 30 დღის საზრდოდ მიუციათ საბასთვის თოთხმეტი მანეთი.

საბა და მისი ძმა ზოსიმე მოსკოვს ჩასულან ნოემბრის პირველ რიცხვებში.

საბა და ზოსიმე 1724 წლის 6 ნოემბერს უკვე გამოცხადებულან მოსკოვში საგარეო საქმეთა კოლეგიის კანტორაში, ცარიცინს (დღევანდელი სტალინგრადი) მიცემული ასტრახანის გუბერნატორის ვოლინსკის საგზურით; მოსკოვში მათ უთხოვიათ სარგოს მომატება და ხელისუფალთ საამისო მიწერილობა კიდევ გაუგზავნიათ პეტერბურგში.

* *

სად ცხოვრობდა საბა მოსკოვში? ვისთან? ვახტანგმა იგი უპირველესად თავის ბიძაშვილ დარეჯანთან გაგზავნა; ცხადია, საბას სწორედ დარეჯანთან უნდა დაესაღებურა. დარეჯანი ხომ მისი ერთადერთი ადრესატი და ნათესავი იყო მისთვის უცნობ მოსკოვში.

დღე-მამა-ძმებ ამოწყვეტილი დარეჯანი მარტოლა იყო დარჩენილი არჩილის დიდი ოჯახიდან, დიდი ხნით, თითქმის ბავშვობიდან სამშობლოს მოშორებული. მხოლოდ მისი დაუცხრომელი პოლიტიკური საქმიანობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განმტკიცებისათვის, ზრუნვა ქართული კულტურისათვის მოსკოვში, ქართულ ემიგრაციაზე თვალყური და პატრონობა ანელებდა მის მწირობასა და სიმწუხარეს.

დარეჯანს მამისაგან დანატოვარი ორი სასახლე ჰქონდა: ერთი—თვით მოსკოვის ცენტრში—გოლიცინისეული სასახლე¹, მეორე,—

¹ ეს სასახლე დღევანდლამდის შემორჩენილია. იგი დგას საკავშირო მინისტრთა საბჭოს ეზოში. სასტუმრო „მოსკვას“ პირდაპირ.

მოსკოვის განაპირად, ცნობილ ვსესვიატსკოეს, ანუ როგორც მოსკოველი ქართველები უწოდებდნენ—„სვენწკას“ ანუ „სესენწკას“-სასახლე, სადაც 1722 წელს, 30-31 იანვარს დარეჯანმა დიდი ზეიმით მიიღო შვედებთან ომგადახდილი, ტრიუმფატორი პეტრე პირველი.

სწორედ ამ „სვენწკას“ სასახლეში წარმოებდა პეტრესა და დარეჯანის მოლაპარაკება საქართველოს საკითხებზე; კერძოდ, საქართველოს მონაწილეობის შესახებ სპარსეთის წინააღმდეგ გალაშქრებაში. და სწორედ ამავე სასახლემ მიიღო სტუმრად ქართლის ახალი ბედის მოღვაწე საბა ორბელიანიც.

საგარეო საქმეთა კოლეგიის დოკუმენტების მიხედვით, საბა ჩანს მოსკოვში მხოლოდ 1724 წლის 6—19 ნოემბრამდის, შემდგომ საბუთებში საბას სახელი ჯერ არ შეგვხვდებოდა, დანამდვილებით ირკვევა, რომ საბა ვეღარ წასულა პეტერბურგს. ეტყობა, გზაზე ტანჯულ-წამებული მოხუცი ავად გამხდარა. იგი ხომ ჯერ კიდევ ევროპიდან დაბრუნებისას უჩიოდა „სნეულებას“ და „ბერ-კაცობას“.

1725 წლის 26 იანვარს საბა გარდაცვლილა. ორი დღის შემდეგ, 28 იანვარს თვით პეტრე პირველი მიიცვალა. საბას სიკვდილის შესახებ შენახულა ერთი მინაწერი მისსავე ლექსიკონზე:

„საბა მიიცვალა ქრისტეს აქეთ ჩლქე (1725), იანვარსა კვ (26), მწუხრს, დიდს მოსკოვს, სესენწკას, ბატონის არჩილის სასახლეში და იმავე საყდარს დაემარხა ბრძანებითა და მრავლის ხარჯითა და თანაწაყოლითა და დიდის პატივითა ბატონიშვილის დარეჯანი-სათა“.

ეს კონკრეტული ცნობების შემცველი საბუთი გვაფიქრებინებს, რომ იგი საბას სიკვდილის დამსწრეს უნდა ეკუთვნოდეს. ამრიგად, თუ ვახტანგმა ვერ შეძლო უკანასკნელი პატივი ეცა თავისი მოამაგე აღმზრდელისათვის, მოხუცი საბას დატირება და ქირისუფლობა წილად ზედა საბას საყვარელი ბიძის არჩილის ასულს დარეჯანს, რომელსაც დიდი პატივი დაუდგია საბასთვის და მრავალი ხარჯიც გაუწევია მის დასაქრძალავად.

საბას სიკვდილის დღეებში ვახტანგი ჯერ ისევ ასტრახანში იმყოფებოდა, ასტრახანიდან იგი გაემგზავრა მოსკოვისკენ მხოლოდ 1725 წლის 2 თებერვალს, მაშინ, როცა მისი ერთგული და საიმედო რწმუნებული უკვე მიწაში იდო.

მართალია, საბამ ფიზიკურად ვერ შეძლო ვახტანგის მიერ დაკისრებული მისიის შესრულება, მაგრამ ქართველი ხალხის მოჭირნახულე, სნეული და მოხუცი არ შეუშინდა გზის სიშორეს, ზამთ-

რის სიმკაცრეს, გზის მრავალ ხიფათსა და განსაცდელს. საბამ უყოყმანოდ გასწირა თავი და თავისი ქვეყნის მომავლის ისტორიულ გზას შეეწირა.

* *

ორიოდე სიტყვა საბას მხლებელთა ბედის შესახებ.

სულხან-საბას რუსეთში გამგზავრებისას მისდამი დიდი ერთგულება გამოუჩენიათ მის ყმებს—აზნაურთ დიმიტრი და ტიტე კარგარეთლებს. საბას სიკაბუკეში ისინი მესხეთიდან მზითვეში მოჰყოლიან მის პირველ მეუღლეს, ათაბაგის ქალს თამარს (საქ. სიძე. II, 332). 1726 წელს, კარგარეთლებისადმი ვახტანგ მეექვსეს სიგელში ნათქვამია, რომ სულხან-საბას „თქვენ, კარგარეთელი დიმიტრი და ტიტე თან ახლდით და ბევრი მსახურეთო, თქვენ ამაზედ ნამსახური დიდათ დაგიმადლეთ და იმისაგან ნაბოძები სოფელი შოშილეთი გაგითარხნეთ“ (იქვე).

მოსკოვის ძველი საბუთების არქივის ფონდების მიხედვით, საბას სიკვდილის შემდეგ, კარგარეთლები საბას ძვის ნიკოლოზ მროველის ხელში გადასულან, უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ საბას მეორე ძმის—პოეტის დიმიტრი ორბელიშვილის მსახურნი გამხდარან. დიმიტრის სიკვდილის (1739 წ.) მერე, ტიტე და ანდრია, იგივე ონოფრე, (ძმა? ძმისწული?) დავით გურამიშვილთან ერთად შესულან ქართველ ჰუსართა როტაში; როტის საბუთებში ტიტე პრაპორშიკად იხსენება.

ქართველების უკრაინაში დასახლების დროს ხსენებული „ქარგალეტოვები“ იღებენ მამულს დაბა ველიკოე ბუდიშჩეში და იქ სახლდებიან სამუდამოდ.

ამრიგად, აღარც საბას მხლებლები დაბრუნებულან საქართველოში. მათაც თავისი პატრონის ბედი გაიზიარეს.

* *

სად უნდა ვეძებოთ საბას საფლავი ვსესვიატსკოეში? ცნობილი ქართული ეკლესია, რომელიც იქ დგას, საბას სიკვდილის მერე არის აგებული არჩილის ასულ დარეჯანისაგან, მანამდე კი მის ადგილზე ძველი დანგრეული ეკლესია არსებობდა, თავად მილოსლავსკებისა. ჩვენ გვგონია, რომ რაკი სხვა ეკლესია არ იყო ვსესვიატსკოეში, საბა უნდა დაეკრძალათ სწორედ იმ ძველ ეკლესიაში, რომელზედაც შემდეგ 1730-იან წლებში აგებული იქნა დღევანდელი ტაძარი.

ამრიგად, საბას სამუდამო საგანეს უნდა იფარავდეს ვსესვიატ-

კოეს ცნობილი ეკლესია, რომელშიც და რომლის გარეთაც დასაფლავებული არიან: მამუკა ბარათაშვილი, დრამატურგი გიორგი ავალიშვილი, პოეტი დიმიტრი ბაგრატიონი, დიმიტრი ციციშვილი და სხვ.

მიმდინარე 1958 წელს სრულდება საბას დაბადების 300 წლისთავი. სულხან საბას საიუბილეო კომიტეტმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს დიდი ქათველი ნწერლის საფლავის აღმოსაჩენად და ვსესვიატსკოეში ძეგლის დასადგმელად.

ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი

ხელნაწერის თავგადასავალი

დიდად სასიხარულოა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი, ჯერ სრულიად გამოუქველველი და შეუსწავლელი ხელნაწერის რუსეთში აღმოჩენა. იგი 1853 წ. გაუტანიათ საქართველოდან, — მწერალ ალექსანდრე ორბელიანს (1802—1869) მაშინდელ მთავარმართებელ მ. ს. ვორონცოვისთვის ძღვნად მიუერთმევია, — ასე გვიამბობს მის დროისათვის გამოცვლილი ყდის რუსული წარწერა, პლატონ იოსელიანის (1809—1875) ხელით შესრულებული:

„Книга эта „Барсова кожа“ принесена в дар князю М. С. Воронцову князем Александром Орбелиановым. 1 сентября 1853 года. Типопис“¹.

ეტყობა, ალ. ორბელიანს პლატონ იოსელიანის ხელით, და შეიძლება მისივე რჩევითაც, მიუძღვნია იგი ვორონცოვისათვის (პლ. იოსელიანი ვორონცოვის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ ითვლებოდა). ა. ორბელიანი, პატრიოტი, 1832 წ. შეთქმულების

¹ იხ. ალ. ორბელიანის „ვორონცოვთან ჩემი დაბეზლება“, S 1653/ა. ქართველ თავადებს მ. ს. ვორონცოვისთვის ძველებურ იარაღთან და ძვირფას ნივთებთან ერთად ქართული ხელნაწერებიც მიუძღვნიათ მაგ., ჩვენი ხელნაწერის გარდა, მისთვის მიუციათ ტიმოთე გაბაშვილის თხზულების („მოხილვა...“), ორიგინალი, როგორც პლ. იოსელიანი გადმოგვცემს: „...თუთ ნამდვილი კელ წერილი ტიმოთეს მოხილვისა ახლავს აწ უგანათლებულესსა კნიაზ მ. ს. ვორონცოვსა. იგი მიართუა მას თავადმან ნიკოლოზ იოსების-ძემან ფლავანდოვმან, დასაცუაჲდ მისსა წიგნთა საცავსა“ („მოხილვა“, 1852 წ., გვ. 7-8) იოსელიანის ცნობითვე, ვორონცოვისთვის უსაჩუქრებიათ აგრეთვე ერეკლე II შესანიშნავი, მეტად მძისგავსებული პორტრეტი, პერგამენტზე ნახატი (ირაკლის კაბინეტის საკუთრება). ვორონცოვისეულ არქივში უნდა ინახებოდეს აგრეთვე სურათები, მინიატურები და შემკულობანი, რომლებიც მისი, განკარგულებით გადმოქონდათ მხატვრებს ძველ ქართულ სიგელ-გუჯარებიდან. აღსანიშნავია, რომ თვით საქართველოდან წასვლის შემდეგ ქართველი თავადაზნაურობა რუსეთშიც უგზავნიდა ვორონცოვს ქართულ რელიკვიებს:

ქართული მწერლობისა და მხატვრობის ძეგლების გამოსამზეურობლად საკიროა ვორონცოვისეული არქივის შესწავლა.

ლიდერი, რუსეთის ხელისუფლების სასტიკი მოძულე, მწვავე განწყობილებაში იყო ეორონცოვთან, რომელიც ძველ შეთქმულს საიდუმლო მიმოწერას აბრალებდა შამილთან. შეზინებული ორბელიანი ყოველნაირად ცდილობდა ეორონცოვის რისხვის დაწყნარებას, და ვფიქრობთ, ჩვენი ხელნაწერი,—სწორედ იმ ხანებში გასაჩუქრებული,—ა. ორბელიანმა გულისმოსაგებად მიუძღვნა მთავარმართებელს. თავისი სიძველის მიხედვით ჩვენს ხელნაწერს ალ. ორბელიანზე აღრე ჰყოლია სხვა პატრონებიც, რომელთა ვინაობასაც აქ გამოვარკვევთ. დავიწყოთ ჯერ იმ მესაკუთრისაგან, რომელიც თვით ხელნაწერში იხსენიება. 184 ფურცელი გვაძენებს, რომ ხელნაწერი ოდესღაც ჰკუთვნებია ვიღაც ლევან მირზას:

ვაქებთ კაცს ბრძენსა, ჰკვით სავსესა, ლევან მირზასა.

ვინ არის ლევან მირზა, ხელნაწერის ერთი მეპატრონეთაგანი?

მირზა ირანული სიტყვაა და სახელის შემდეგ ნიშნავს ბატონიშვილს. ამ სახელწოდებას ზოგი ქართველი ბატონიშვილები ატარებდნენ XVI საუკ. მიწურულიდან XVIII ს. ნახევრამდე. მაგ.: ელიმირზონ და ხოსრო მირზა (ქ. ცხ., ქიქ. გამოც., 478), თეიმურაზ მირზა (არჩილიანი, გვ. 40; ფარსადან გორგიჯანიძის ისტ., 52, 57), ხოსროვ მირზა—როსტომ მეფის ბატონიშვილობის სახელწოდება¹ (ფარს. გორგიჯ., 51); კახეთის ბატონიშვილები (XVIII ს. პირველ ოთხათეულში): რიზაყულ მირზა S 114), მუსტაფა მირზა (იქვე), ასან მირზა (S 240, საქ. სიძვ. III, 453, 457), ალი მირზა ანუ ალექსანდრე (S 114, ქ. კახეთის მონასტრ. ისტორ. საბ. 71, ლეთაების გუჯარი, გვ. 22, A 782 და სხვ.). ლევან მაჰმად მირზა (S 114, 240; ქართლ-კახეთის მონასტრ. ისტ. საბ. 37, 71 და სხვ.). მაშასადამე, ჩვენს ხელნაწერში მოხსენებული ლევან მირზა ნიშნავს ლევან ბატონიშვილს.

რომელი ლევან ბატონიშვილი უნდა იხსენიებოდეს XVII საუკუნეში, რა დროსაც პალეოგრაფიულად უნდა ეკუთვნოდეს ეს ხანაწერი? ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ერთი ბატონიშვილი—ლევანის სახელწოდებით, სახელდობრ, ვახტანგ V (შაჰნავაზის) მესამე შვილი, პოეტის არჩილის ძმა, „საქართველოს ჯანიშინი (გამგებელი) და ერანის მდივანბეგი ლევან“², ლევან მირზა მამაა ნაბეჰდი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი რედაქტორის ვახტანგ მეექვსი-

¹ „მამაცობისათვის როსტომ დაარქვეს, თოარადა სახელათ ხოსროვ მირზა ერქვა“ (ფ. გორგიჯანიძე, 61).

² „ერანის მდივანბეგი, ლევან ყოფილი პატრონი შაჰყულიხან“ (ქართლ-კახეთის მონასტრ. ისტ. საბ. 23).

სა და თავის დროისთვის ცნობილი იყო, როგორც დიდი მწიგნობარი, ფილოსოფოსი, ანუ, როგორც თანამედროვენი უწოდებდნენ, „ფილოსოფოსთა თავი“ (საქ. სიძგ., III, 480). სხვათა შორის, იგი ცნობილია სასულიერო მწერლობაშიც. ასე, მას შეუდგენია „ვედრებაჲ იოანე ნათლისმცემლისა, პეტრე პავლესა და სხვა წმინდანებისადმი“ (კ. კეკელიძე).

ამნაირად, ჩვენი ხელნაწერი ვახტანგ VI მამის კერძო საკუთრება ყოფილა. მაგრამ ხელნაწერს თავდაპირველად სხვა მეპატრონე ჰყოლია, მეცენატი, რომლის შეკვეთითაც ეს ხელნაწერი იქნა გადაწერილი. საქმე ისაა, რომ ტექსტის ადგილი—„ჰკვით სავსესა ლევან მირზასა“ შემდეგშია შესრულებული, ჩაწერილი მისი პირველი მესაკუთრის მფლობელობის შემდეგ. ხსენების ადგილას თავდაპირველი სიტყვები ამოუფხვკიათ, ხოლო სტრიქონის წაბლალულ ადგილას, დასასრულს, როგორც ჩანს ასოთა ნაშთებიდან, თავდაპირველად სხვა სიტყვები იკითხებოდა. სტრიქონის კიდურში აფხეკილი ასოს გათვალისწინებით იკითხება „აზასა“, რაც შემდეგ კიდურებში ერთმეება სიტყვებს:

„მონაზასა“,
„მაზასა“,
„რაზასა“.

საბედნიეროდ, შესაძლო ხდება აღდგენა დაზიანებული სიტყვისა „აზასა“, რომელსაც წინ წაშლილი ზ ასო უზის, რაკი სტრიქონში ლაპარაკია კაცზე:

ვაჭებთ კაცს ბრძენსა, და სხე.

ცხადია, აქ უნდა იგულისხმებოდეს კაცისავე სახელი, და თუ წინ წაშლილ მაღალ ასოს მეტად დიდი მსგავსებით ზ-დ ჩავთვლით, მაშინ მივიღებთ მართლაც ქართულ სახელს „ზაზასა“. რაც შეეხება დანარჩენი ორი სიტყვის ამოშიფერას, „ზაზას“ რომ წინ უძღვის, აქაც დაკვირვების შემდეგ იხედება ნაშთები ასოებისა: ს, რ, დ, შუაში ზ და ბოლოს ც, ე, ს, ი, ე. ი. სრლხცესი, სადაც, ჩვენი აზრით, უნდა იკითხებოდეს ორი სიტყვა „სარდალსახლთხუცესი“. ამნაირად, დაზიანებულ სტრიქონში—

ვაჭებთ კაცს ბრძენსა, ჰკვით სავსესა, ლევან მირზასა,

სადაც ლექსიც დარღვეულია და რითმაც „მირზასა“ არ ერთმეება სიტყვებს: „მონაზასა“, „მაზასა“, „რაზასა“, უნდა იკითხებოდეს ბუნებრივი, თავდაპირველი ტექსტი:

ვაჭებთ კაცს ბრძენსა, ჰკვით სავსეს, სარდალ სახლთხუცეს ზაზასა.

მაშასადამე, ლევანის მაგიერ, ხელნაწერში პირველად წერებულა „სარდალ სახლთხუცესი ზაზა“, რომელიც ამ ხელნაწერის პირველი მომგებელი ანუ შექვეთელი ყოფილა.

ხელნაწერი ხელთ ჩაეარდნია ლევან ბატონიშვილს, ანუ ლევან მირზას, მერე ვახტანგ მეექვსეს, რომლისაგან შესაძლოა მის ასულს თამარს, ერეკლე მეორის დედას, მზითევშიც შეხვდა. ერეკლესაგან კი რგებია მის უმცროს ქალს თეკლე ბატონიშვილს, რომლის პირმშოს ალექსანდრე ორბელიანს ვორონცოვისათვის მიუძღვნია, როგორც იშვიათი საჩუქარი. ვორონცოვს საქართველოდან წასვლის შემდეგ ზოგ სხვა ქართულ წიგნთან და ნივთთან ერთად ისიც გაუტანია და ბოლო ხანებამდე ვორონცოვის კერძო არქივში ინახებოდა (ყირიმში, ოდესაში, მერე ლენინგრადში). ამნაირად, 1853 წლიდან დღევანდლამდე ხელნაწერი იდო უხმარად და იოსელიანის შემდეგ არც ერთ მკვლევარს არ გადაუფურცლავს. იგი დაკარგული იყო ქართული მეცნიერებისათვის, როგორც ვორონცოვის პირად არქივში გადამალული.

ღ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

მართალია, ხელნაწერი დღემდის დაკარგულად ითვლებოდა, მაგრამ იმავე პლ. იოსელიანის წყალობით, რამდენიმე ცნობა მაინც მოგვეპოვებოდა. ასე, იოსელიანი ორჯერ შეეხო ჩვენს ხელნაწერს: პირველად—1852 წ. მის მიერ გამოცემულ ტიმოთე გაბაშვილის „მოხილვის“ კომენტარებში, სადაც იგი, ეხმაურება რა მთავარფისკოპოზის ტიმოთეს კრიტიკას რუსთველზე, დასძენს:

„აქა ტფილისს, მეფის ირაკლის ასულს აქვნდა ძველად ნაწერი ვეფხისტყაოსანი სახით ანუ პორტრეთითურთ თვით რუსთველისა, ერისკაცისა სამოსით, უფრო უიზილბაშთა წესით. ესე წიგნი და პორტრეტი წარუდგინე კნიაზს მ. ს. ვორონცოვსა და ამან წარგზავნა სახე ესე ხელითა აქა ყოფილის ფრანცუზის მოგზაურის...: ჭლერისა საფრანგეთისა ქალაქსა პარიჟსა, რათა გარდაბეჭდონ იგი მრავალ რიცხვედ ეკვმმპლიარებად, ხრომო-ლიტოლრაფიით“ („მოხილვა...“ გვ. 154 შენ.).

უფრო ვრცელი ცნობები გამოაქვეყნა მან 1870 წლის გაზ. „Кавказ“-ში (№ 13). ამ წერილის მიხედვით, იოსელიანისთვის იმ ხანად ცნობილი ყოფილა „ვეფხისტყაოსნის“ სამი უძველესი ხელნაწერი:

1. გრიგოლ წერეთლისა (პერგამენტზე),

2. ნიკოლოზ ელიოზიშვილისა (1465 წლისა?),

3. ჩვენი ეგზემპლარი, რომელზედაც იოსელიანი ასე გადმოგვცემს:

„Третий экземпляр с подписью принадлежности его царю Вахтангу Шах-Нахвазу (1658), паходился в руках царицы Феклы Ираглевны. Рукопись эта писана очень красиво, по с ошибками, правописания по местам. По ней с того же орфографией явилось издание 1712 г. Она вся раскрашена или иллюстрирована картинками сцен поэмы, в виде политиважных изданий. Эти картины писаны грубо, без тепей по системе персидской живописи. Фронтиспис украшен портретом Руставели в костюме персидского с сохранением чистоты и типа древнего грузинского костюма. Рукопись эта была доставлена мною великому в лице грузинской литературы всемирному меценату, князю М. С. Воронцову. Мудрый правитель в деле покровительства к плодам движения ума и пользе человечества, велел скопировать портрет“ და სხვ.

• ხელნაწერის აღწერილობა

ხელნაწერი წარმოადგენს in folio 36×26 და თუმცა დღეს 190 ფურცელს შეიცავს, მაგრამ თავდაპირველად ხელნაწერში თურმე 212 ფურცელი ითვლებოდა, როგორც გადამწერივე შენიშნავს დასასრულში: „ამ ვეფხისტყაოსანის ფურცელი ორას თორმეტი არის“ (ფურც. 215). ტექსტს თითქმის არა აკლია რა და თავფურცელიდან იწყება სტოლოფით:

პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარტულად,
უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არას შეიქმს ხორცს არსულად
საეროა: არ ახსენებს სამებასა ერთ არსულად,
არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქნას აღსასრულად.

რაკი ტექსტს თავიდანვე არაფერი აკლია, მაშ რით უნდა აიხსნას ფურცელთა ძველი და ახალი ნომერაციის შეუსაბამობა? პ. იოსელიანის ზემომოყვანილი ცნობით, როდესაც ხელნაწერი მ. ს. ვორონცოვისთვის მიუძღვნიათ, მაშინ იგი დასურათებული ყოფილა პოემის სიუჟეტური სცენებით ირანულ სტილზე. მაშასადამე, დაკლებული 21 ფურცელი, შეიძლება ცოტა ნაკლებიც, მიხიატურებს სკერია, რაც, სამწუხაროდ, დღეს ან დაკარგულია, ან

უნდა ვეძიოთ ისევე ვორონცოვისეულ არქივში, სადაც თვით ხელნაწერი აღმოჩნდა.

ხელნაწერი საკმაოდ კარგა შენახულა, მხოლოდ თავში რამდენიმე ფურცელია დაზიანებული. მდიდრულად არის შემკობილი და თითოეული ფურცელი ოქროს ვარაყიით ანუ ოქროს მელნით დახატული „ჯაზულით“ ანუ ბორდიურებით არის გარშემოვლებული. ბორდიურებზე გამოსახულია ყვავილები, ფრთლები და ხლართულები, რაც XVII ს. ქართული გრაფიკისა და წიგნთშეკაზმულობის ერთ შესანიშნავ ძეგლად უნდა ჩაითვალოს. საყურადღებოა, რომ ჩვენი ხელნაწერის კუთვნილება ყოფილა ის ცნობილი გაგარინისეული რუსთაველის პორტრეტი, რომელიც ოფიციალურად გავრცელდა საქართველოში.

ეპოქის დამწერლობის სტილის მიხედვით, თითოეულ სიტყვას ორ-ორი წერტილი უზის, ყოველი სათაური, როგორც თავების, ისე ტაეებისა, წითლურით არის შესრულებული. თითოეულ თავს საკუთარი სათაურები აქვს გაკეთებული და ისინი, ალბათ, გადამწერს უნდა ეკუთვნოდეს.

ტექსტში წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებასთან ერთად ორი ანდერძი ავთანდილისა, იოსებ ტფილელის მიერ შეთხზული: 1) „აქ კიდევ სხვა ანდერძი და სოფლის გმობა ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა ტფილელის იოსების ნათქვამი“ (ფურც. 170—174); 2) „კიდევ სხვა ანდერძი ავთანდილისა, რომელ თქვა ჟამსა სიკვდილისასა, ტფილელის იოსების გამოთქმული“ (176—179); მომდევნო, ქვემო სათაურში—„სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა“,—კიდევ გამეორებულია, რომ ზემორე თავი იოსებ ტფილელს ეკუთვნის: „ამა ზემოთ წითლურის კარსა და ამას შუა ტფილელის ნათქვამია“ (ფ. 174). ტექსტში შეტანილია აგრეთვე ავთანდილის მეორე ანდერძი—ნანუჩას ნათქვამი, სათაურით: ანდერძი ავთანდილისა, რომელ ითქვა ჟამსა სიკვდილისასა, ნანუჩას ჩამატებული „მასუკან“. საერთოდ, ტექსტი სრულია, შეიცავს ინდო-ხატაელთა ამბავსაც და ყველა გაგრძელებას, რაც კი ცნობილია S 5006 ხელნაწერით.

ამას გარდა, ყურადღებას იქცევს სამტაეპოვანი სენტენცია რუსთაველზე (ფ. 7), რომელიც, სამწუხაროდ, ნახევრად დაზიანებულია. შესაძლოა ეს ლექსები ჩვენს კალიგრაფსაც ეკუთვნოდეს:

ვერვინ ხელყოფს შესაფე.

შორს იცნობის თქვენც შეატყობთ...
გონება და სიტყვის წყობა მას ჰქონია...

და გაუსინჯეთ თავ ბოლომდის სიტყვის...

მიჯნურნო, ხედავთ რუსთველი, თუ როგორ...
სიტყვას შეგიძლებს საფერსა, როგორიც...
ტარიელს ველად გააჭრობს, ასმათ გვერტ...
და ხან ლხინსა მისცემს სიტყვითა, ხან გ...

მელექსეთ აწერთნის ნუ ცდილობთ...
რა რომ ქართული შეგიძვირდეს ველ[არ]...

ამასთან ერთად, აღსანიშნავია კალიგრაფის მიმართვა მეცენა-
ტისადმი (18), რომლითაც, ალბათ, ჩვენი ხელნაწერი თავდებოდა.

სარდარ სახელთუხუცეს ზაზა ციციშვილს

სურდა ამ წიგნის პატრონსა, მეც ხელგაყავ ესე წერითა,
ხელი დამიშრო კალამ[მ]ან, თვალნი გაშტერდეს მხერითა.
ხელსა მკითხველი შეატყობს, სიმართლით სხვა სჯობს ვერითა.
და აწ გაგიჩნდების, მხატვარო, შემკობა შესაფერითა.

მწერლებს ვჭადრებ მამისმინთ, რომ არ იყუნენ ჩენზე ზრახვით,
ან დაწერონ უკეთესი, ანუ ამის რამე სახვით,
სიმართლეს და სიტყუის წყობას ვინ მიხვდების ერთის ნახვით
და მკითხველნი დაქმ[ა]რთლად მსმენნი არ არიან სევდა ახვით.

ვაქებ კაცს ბრძენსა ჰკვით საესეს [სარდარ სახელთუხუცეს ზაზასა]
გულის ხმის მყოფსა კეთილთა კარგ საქმის მონახაზასა,
ნახავთ ტკბილ სიტყუას გიამბობს, დაგიფენს გულის მახასა,
როს ლხინი სწადდეს ავსკაცსა დაუკლიტვედით რახასა.
კარგს კაცთან ტკბილსა სიტყუასა ეწყობის გასაგონებლად,
ვინცა მისთვის ხართ: იცოდეთ, თავი აქვს თქვენთვის მონებლად.
არ მნდომი არცა მას უნდა, უგბილი შესაგონებლად
ძნელი ადვილ სჩანს გაბედვით, ღრმა გაელა გასაფონებლად.
როს ცხენზე ნახავთ, თქვენც იტყვით, ერთ კაცად ესეც კმარისო,
გაგონილ[ა] სჯობს ნახული, მისთვისა არ გაიკმარისო,
ნადირობის დროს ნადირმან გარეთ ვერ, გააკარისო,
და მხეცი კარს შიგნით შერბოდეთ, ვიცით ისარი გვკარისო.

სიმინე, ჰკუ და გონება მას სამივე შეუკრებია.
მსმენთათვის სიტყუის სასმენად იტყვით, რომ შესამცნებია,
თუ მას არ ეწნოს სხვისათვის[ს], სხვისაგან მას არ ეწებია
და ძნელის საქმის ქნა ამისგან ადვილად შესაძლებია.

ჯერ ჰაბუკი არს, არ არის ოცდა ათის წლის მეტია,
მნახთათვის ტურფა სანახი, შეენებით შესამც[უ]რეტია,
ლხინს მოყვრობს, სევდა გულთაგან არა აქვს დაუშრეტია,
ომის დღეს მისთა მებრძოლთა დამცემი, დამარეტია,
მამაც: დ არის მებრძოლი, რაზმთ ურცხენად შემნახავია.
დროშისა ზურგი მაგარი, მტერზე მან არყოს ზავია,
სჯობს გვართა ნამუისათვის, რომ ისახელოს თავია,
მებრძოლთა სისხლის მორვესა შიგან აცუროს ნავია.

დასასრულ, ხელნაწერი გადაწერილია ცნობილი პოეტის იოსებ ტფილელის მიერ, როგორც გამოირკვა მის ხელთან შეჯერების შემდეგ. ტფილელი თავის დროს ცნობილი იყო, აგრეთვე, როგორც კალიგრაფი (საქ. სიძე., II, 97—99, 483 და სხვ.).

ხელნაწერის პირველი მეპატრონე

ვინ არის ჩვენს ხელნაწერში მოხსენებული წიგნის პირველი მეპატრონე ზაზა სარდალსახლთუხუცესი?

სახელს „ზაზა“ XVIII ს.-ში ზოგჯერ ატარებენ გვარეულობანი სოლოღაშვილები, თარხნიშვილები, ბარათაშვილები, გაბაშვილები, გედევანიშვილები¹, ამირეჯიბები და, ბოლოს, თვით კახეთის თავადები—ანდრონიკაშვილები. მაგრამ მათზე ძველად ამ სახელს ატარებდნენ ციციშვილები, და იგი მათ საგვარეულო სახელად ითვლებოდა XV—XIX ს.-ის პირველ ნახევრამდე.

ეს სახელი ციციშვილებმა გამოიტანეს მათი პირველსაცხოვრისიდან, შავშეთიდან. XV საუკუნეში, სახელდობრ, 1467 წელს, ციციშვილებმა დატოვეს შავშეთი და, მეფე კონსტანტინეს ბრძანებით, ზემო ქართლში დაიკავეს ახალი სამყოფი ადგილი—საციცია-ნო ანუ ხვედურეთისა და ქარელის რაიონი (დაახლოებით. გორიდან ბორჯომის ხეობამდე, მარცხენა მხარე ზემო ქართლისა), ორბოძლელთა ყოფილი მამული. პირველი ჩამოსული და დასახლებული ზემო ქართლში და დამწყები ქართლის ციციშვილებისა იყო ფანასკერტელი ზაზა ციციშვილი (ც. არქ. № 64), და მის მერე სამი საუკუნის მანძილზე ციციშვილთა გვარში ეს სახელი არ გამოლეულა, ალბათ, ამ შორეული წინაპრისა და გვარის ახალი მამათავრის ზაზას საპატივცემოდ.

ამნაირად, ეს სახელი ციციშვილებში უნდა ვეძიოთ, რადგან იგი პირდაპირ მათი გვარის საკუთრებაა, და თუ შემდეგში სხვა თავადაზნაურთა გვარებშიც გაჩნდა ეს სახელი, იგი გადასულია ციციშვილებიდან, რადგან შავშეთიდან ზაზას ჩამოსვლამდის სახელი ზაზა ქართლში არ იყო ცნობილი და გავრცელებული.

ხოლო რადგანაც ჩვენი ხელნაწერი პალეოგრაფიულად უდავოდ XVII საუკუნისაა, ამიტომ მისი მეპატრონეც ამ საუკუნეში უნდა ვეძიოთ.

¹ XVIII ს. პირველ მეოთხედში ცნობილია გედევანიშვილი „ზაზა მცხეთისა სარდალი“, რომელსაც თავი მოჰკვეთა ვახტანგ VI, განჯაზე გალაშქრებისას, იხ. „მომოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისისა მიტროპოლიტისა“, გვ. 158, ტფ., 1852 წ.).

საერთოდ სახელი „ზაზა“ ციციშვილთა გვარში მეტად გავრცელებული ყოფილა XVII ს-შიც. ასე, ამ დროს ცხოვრობდა ხუთი ციციშვილი ზაზას სახელწოდებით:

პირველი: ზაზა: 1609 წლის გმირი—ყირიმელ თაჯრებთან ბრძოლაში, მოკლული მეტეხის ბოლოს („დიდმოურავიანი“).

მეორე: ძმა სახლისუხუცესის ციციშვილის ყაიასი, რომელიც 1648 წ. მოუკლავს ყაიას შვილს იესეს (№ 838).

მესამე: პოეტის ნოდარ ციციშვილის ძის ფარსადანის უფროსი შვილი ზაზა (ქრონ., II, 511; წ. კ. № 7223; ც. არქ. სიგ. ფ. № 51—101).

მეოთხე: ზაზა ციციშვილი, „სპასპეტი საბარათიანოსი“, სარდალ სახლთუხუცესი, ძე სარდალ სახლთუხუცესის პაპუნასი (საქ. სიძვ., II, 422, 133; ქ. ცხოვრება, II, 53, 59; ქრონიკები, II 422, 748; წ. კ. 534; ც. არქ. № 20—32; 51—74; 51—82).

მეხუთე: ამ ზაზას შვილის უთრუთის ძე—ზაზა, რომელიც ჩანს XVII ს. მიწურულში (ც. არქ. სიგ. ფ. № 51—72, 51—77, 51—90; საქ. სიძვ. III, 455; წ. კ. № 91).

რადგან ჩვენს ხელნაწერში იხსენიება იოსებ ტფილელი, XVII ს. მეორე ნახევრის მოღვაწე, რომელმაც „სარდალ სახლთუხუცეს ზაზას“ შეკვეთით გადაწერა ჩვენი ხელნაწერი, რასაკვირველია, მის პატრონად ვერ მივიჩნევთ პირველ ზაზას, რომელიც 1609 წ. მოკლეს; ვერც მეორე ზაზას, რომელიც 1648 წ. მოუკლავთ, ვერც მესამე და მეხუთეს, რომელნიც მხოლოდ საუკუნის მიწურულ წლებში იხსენიებიან. და რაკი ხელნაწერის პირველ პატრონად ის ზაზა ციციშვილი უნდა მივიჩნიოთ, რომელიც XVII ს. ცხოვრობს, როგორც იოსებ ტფილელის თანამედროვე და, თან, სარდალ სახლის უხუცესის სახელს ატარებს, ცხადია, საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ ჩვენი ყურადღების ფარგალში რჩება ერთადერთი—მეოთხე ზაზა სარდალ სახლთუხუცესი, ცნობილი როგორც ციციშვილთა საგვარეულო აქტებით, ისე ვახუშტით.

ზემოთ მოხსენებული მეოთხე ზაზა და ჩვენს ხელნაწერში მოხსენიებული „სარდალ სახლთუხუცესი ზაზა“, ჩვენი აზრით, ერთი და იგივე პიროვნებაა. XVI—XVIII ს-ში ჩვენ არ ვიციდით არც ერთი ზაზა, რომელიც სარდალ სახლთუხუცესობის შეერთებული ტიტულით იხსენიებოდეს.

რომ ჩვენი ხელნაწერის პირველი პატრონი ზაზა მართლაც სარდალია, მეომარი და არა მეფე ან სასულიერო პირი ან მდაბიო ვინმე, ამას მშვენივრად გვიდასტურებს თვით ხელნაწერის გადამწერის ხოტბა, ზაზასადმი მიმართული; მისი დახასიათებით, ზაზა-

არის „მამაცად მებრძოლი“, რაინდი, შემკული მხედარის ყველა ატრიბუტით. „ომის დღეს მისთა მებრძოლთა დამცემი, დამარე-ტია“ და, ბოლოს, იგი არის „დროშისა ზურგი მიაგარი“, ე. ი. სარ-დალი.

ყველა ამ მოსაზრების შემდეგ დაჯერებითა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ხელნაწერის პირველი შეპატრონე სარდალ სახლთუხუ-ცესი ზაზა პაპუნას-ძე ციციშვილი ყოფილა.

ზაზა ციციშვილი

ჩვენი ხელნაწერის სწორი დათარიღებისათვის სათანადო მნიშვნელობა ეძლევა ზაზას პიროვნებას და მისი ცხოვრების წლების დადგენას.

ვინ იყო ზაზა ციციშვილი?

ისტორიული საბუთების მიხედვით, ზაზა სარდალ-სახლთუხუცე-სი იყო ძე „სახლის უხუცესის და სარდარის“ პაპუნა ბეგ. პაპუნა „ქვემო ციციშვილისა“ (იხ. საქართველოს სიძველენი, II, 422), რომელიც ხსენებულ თანამდებობაზე მოჩანს 1650—1663 წლებში (იხ. საქ. სიძვ. III, 145; ს. ს. სიგ. ფ. № 830 ცენტრარქივის სიგ. ფონ-დი, № 27—160; ქრონიკები, II, 471).

ვიდრე გადავიდოდეთ ზაზას პიროვნების დახასიათებაზე, რამდენიმე სიტყვით შევეხებით მის ოჯახს, კერაოდ, მამას, პაპუნას. პაპუნა ციციშვილი საბუთებში პირველად იხსენიება 1624 წელს (იხ. ც. არქ. სიგ. ფ. № 27—161; საქ. სიძვ. II, 62), უკანასკნელად 1663 წელს (ც. არქ. სიგ. ფ. № 27—160)¹.

ახალგაზრდობაში იგი ეკუთვნოდა ქართული ფეოდალური არისტოკრატის იმ ნაწილს, რომელმაც შაჰ-აბასის დროს პოლიტიკური მიზეზების გამო სახელისა და დიდებისათვის ყაენის კარზე არჩია სამსახური და რომლის შესახებ გიორგი სააკაძე 1620 წელს ამბობდა: „დღესაც სრულ საბატოს ქართველთ კაცის შვილები იქ არიან“ (საქ. სიძვ. II, 56). 1634 წ., როდესაც ქართლის ტახტის დასაქურად ერანის ლაშქრით მომავალი მეფე როსტომი წამოვიდა საქართ-

¹ პაპუნა იხსენიება აგრეთვე შემდეგს დოკუმენტებში: H 10027; (1634 წ.), პარიზის ქრონიკა, გვ. 32 (1658 წ.), საქ. სიძვ. II, 62, 90, III, 145, საქ. სიძვ. II, 422, (1661 წ.), იქვე, 90; ც. არქ. სიგ. ფ. № 27—160 (1663 წ.); ვ. - ვ. № 830.

ველოში, ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, პაპუნა ციციშვილიც თან ხლებია სხვა ერანოფილ ქართველებთან ერთად (ფარს. გორგიჯანიძის ისტორია, 32), და შემდეგში შესაფერისადაც უმსახურია, რის გამო როსტომი მას „ერთგულსა და თავდადებით ნამსახურს“ უწოდებს (791).

სხვათა შორის, 1658 წ. საბარათიანოსა და საციციანოს ლაშქართ პაპუნა მონაწილეობდა ბანძის ბრძოლაში, როცა როსტომმა ზემო ქართლის ლაშქარი მიაშველა ლიპარიტ დადიანს ალექსანდრე III იმერთა მეფის წინააღმდეგ (საისტ. საეთნ. 381; ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, 46). როსტომის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ V—შაჰნავაზს პაპუნა ყაენთან გაუგზავნია ქართლის მეფობის დამამტკიცებელ რაყამის ჩამოსატანად. იგივე ყოფილა მარიამ დედოფლის მოციქული ყაენთან. როსტომის გარდაცვალების შემდეგ) 1658 წ. 18 ღვინობისთვეს), როცა დედოფალი მარიამ ყაენის ჰარამხანაში უნდა წაეყვანათ, „პარიზის ქრონიკის“ (უკეთ ფ. გორგიჯანიძის) სიტყვით, დედოფალმა სიბერის ნიშნად თავისი თეთრი თმა ყაენს გაუგზავნა, „აქედან ნუ დამძრავთ“, თმაცა და წიგნიც ციციშვილს პაპუნა სარდალს მისცეს. ჩაფრად ვაისტუმრეს. პაპუნა სარდალი ადრე ჩასულყო. ყაენს სწყყენოდა როსტომ მეფის სიკვდილი, დედოფლისა დიად ბევრი დედაკაცობა უამბო და თმა თეთრი უჩვენა. ყაენმა დედოფალიც შეიწყალა და ვახტანგსაც ქართლი დაუმტკიცა. „მალე გამოისტუმრეს პაპუნა, საახალწლოდ მოვიდაო“ (პარიზის ქრ... 64), ე. ი. 1659 წ. 1 იანვრისთვის. პაპუნას თავის დროინდელ საზოგადოებაში მოპოვებული ჰქონია რეპუტაცია გულოვანი და დარბაისელი ადამიანისა. ერთ დოკუმენტში იგი იხსენიება როგორც „სახელოვანი, სახელგანთქმული, მრავალჯერ სახელოვნად ომგამარჯვებული, ღვთისაგან და დიდთა კელმწიფეთაგან ღირსად სამართლად პატივცემული, სწორუპოვარი და სიკეთეზედან ჰქვა უნაკრულო“ (H 13158). ასეთი იყო პირუენება, „ზაზას მამის—პაპუნა ციციშვილისა.

ზაზა თავისი დროის განთქმული ვაჟკაცი ყოფილა. მაგ., 1664 წ. ბრძოლაში, როდესაც შაჰნავაზს და მის შვილს კახთა მეფე არჩილს ღამით თუშებისა და კახთა რაზმით კახეთის მემკვიდრე ერეკლე თავს დაესხა, მაშინ დამხდურთა მხრივ ზაზამ დიდი გაბედულება გამოიჩინა. როცა მეფეთა ამაღა ივლტოდა, მაშინ, ვახუშტის სიტყვით, ზაზამ თუშები მარტომ შეაყენა: „არამედ მისლვანა სპათასა, ეკუთნენ ძლიერად და შემუსრა ბრძოლითა ზაზამ შუბი ხუთი.“ (ქართლის ცხ., II, 53). ზაზას ვაჟკაცობას ხსენებულ ბრძოლაში ასე აღტაცებით გადმოგვცემს მგოსანი ფეშანგიც „შაჰნავაზიანში:“

სარდარი ზაზა მიუხდა, ცხენ მალედ ვითა მეხია;
ცისა ელუასა უგუანდა, იგ მისგან დანაქეხია;
შეიჭრა, ჯარი გაწყუიტა, არ მოუცუალა ფეხია;
კაცი კაცსა ჰკრა სროლითა, თითქმის ლახუარსა ეხია,

182/1101

შეუტივეს წინა ჯართა, ვინცა იყო კაცი ქუელი;
მდივანბეგი შეერივა, მწარედ იბრძვის სისხლთა მღურელი;
მასთან ზაზა სპასალარი მიმუქარობს ტახტთა მცუელი;
მივიდენ და წამოყარეს, კვლავ გაიკრეს ხმალსა ხელი.

(182/1001, 188/1026).

ჩვენი ხელნაწერის გადამწერელიც ხომ ასე ამკობს ზაზას გულა-
ლობას:

ომის დღეს მისთა მებრძოლთა დამცემი, დამარტია,
მამაცად არის მებრძოლი რაზმთ ურცხენად შემნახვია,
დროშისა ზურგი მაგარი, მტერზე მან არ ყოს ზავია;
მებრძოლთა სისხლის მორევსა შიგან აცუროს ნავია.

ბუნებრივია, რომ სულ ახალგაზრდა ზაზას ჯერ კიდევ როსტომ მეფის ყურადღება დაუმსახურებია. ასე, მაგ., პაპუნასთან ერთად როსტომი აღნიშნავს ზაზას „ერთგულსა და თავდადებით ნამსახურობასაც“ (H, № 791). სარდალ სახლთუხუცეს ზაზას ბრწყინვალე კარიერისათვის ხელი უნდა შეეწყუა მის ფართო ნათესაურ კავშირსაც სამეფო სახლთან. იგი მეფის ახლო ნათესავი ყოფილა, სახელდობრ, შაჰნავაზის ბიძაშვილის, დედისიმედის პირმშო, მაშასადამე, მეფის დისწული, ხოლო ზაზას დედის დის მეუღლე იყო ცნობილი გიორგი არაგვის ერისთავი, რომლის შვილები მეფისაგან დამოუკიდებელ საქმიანობასაც კი აწარმოებდნენ ერანის მფლობელთან. და ბოლოს, ზაზას ბიძა დედის მხრივ იყო საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი დომენტი, შაჰნავაზის ბიძაშვილი (ძე—ზაზას პაპის ქაიხოსრო მუხრან-ბატონისა), რომელიც მეფეზე დიდ გავლენას ახდენდა.

სახელითა და დიდებით გალალეული ზაზა სარდალი ტიპიური წარმომადგენელია ფეოდალურ-სეპარატული ჯგუფებისა, იმ ძლიერი პარტიისა, რომელიც დაჟინებით ებრძოდა მეფის უფლებას. ძლიერ მეფე ვახტანგს გადაუწყვეტია ზაზას დატუქსება, მაგრამ შესემნილი ზაზა მოყვანის დროს შემკვიდრე გიორგის მოუვლევინებია. ზაზას მკვლელობის ამბავი ჩვენ ვახუშტის გადმოცემით ვიცით.

„ხოლო განდიდნა და ექცეოდა ამაყად ზაზა სპასპეტი მეფესა ზედა. ამისთვის ინება მეფემან წვრთნა მისი და მოიყვანა იგი. არამედ ძემან მეფისაგან გიორგიმ, რომლისათვის შეესმინათ, უგვანად ინება შეპყრობა მისი, ხოლო იგი (ე. ი. ზაზა)-

მოწვდილითა ხანჯლითა მიეტევა მონათა მისთა და მოჰკლა ფავლენიშვილი. ამისათვის მოჰკლეს იგიცა ბრძანებით გიორგის მეფის ძისათა... მსმენელი ამისი დამძიმდა მეფე ფრიად, ვინადგან იყო ნათესავი, გარნა იტყოდიან წართლისა ამის სისხლისათვის იქმნა შფოთნი ესე ძეთა მეფისათა შორის, ვითარცა დავითისა“ (ქართლის ცხოვრება. II, 55).

ასე აქვს გადმოცემული ზაზას ტრაგიკული სიკვდილი ვაჟუშტის, რომელიც თუმცა ძმისწულისშვილი იყო ზაზას მკვლელის გიორგისა, მაგრამ იგი მიუდგომლად გადმოგვეცემს ფეოდალური საზოგადოების აზრს, რომ ზაზა უდანაშაულო იყო, მართალი და რომ შემდეგში, — შაჰნავაზის შვილების უბედური დასასრული (გიორგის ტრაგიკული სიკვდილი ყანდაარში, არჩილის გადახვეწა რუსეთში, ლევანის და ლუარსაბის ერანში სიკვდილი, არევ-დარევა მსგავსად ბიბლიური დავით მეფის შვილებისა) ზაზას უსამართლოდ დასჯის მიზეზით მოხდაო.

რაკი ზაზა მოუკლავთ, როგორც სახელმწიფო მოღალატე, კანონით მის დასჯას ქონების კონფისკაციაც უნდა მოჰყოლოდა. ერთი დოკუმენტი მართლაც გვიდასტურებს ზაზას სახლის აკლებას. ზაზას სიკვდილის შემდეგ ხანებში მისმა შვილმა უთრუთმა და ძმამ ზაალმა, როცა ისინი საგვარეულო მამულებს ედავებოდნენ ნათესავ ციციშვილებს, სამართალში განაცხადეს, რომ ჩვენი სიმართლის დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენა არ შეგვიძლიაო, „ალარ გვაქვსო, რომე, როდესაც სარდალი ზაზა მოკლესო, მაშინ შაჰნავაზ მეფემ ჩვენი ქონება აიკლო და სიგლები და მისი საპასუხო წიგნები მაშინ წაგვიხდა“ (იხ. ც. არქ. სიგ. ფ. № 51—111). რასაკვირველია, მეფის იასაულები სიგელებთან ერთად წიგნებსაც დაიტაცებდნენ, მით უმეტეს, ძვირფასად შემკულს „ვეფხისტყაოსანს“, და რაკი დასჯილის ქონება სახელმწიფო დანაშაულობისათვის მეფრსა იყო, ახლა ცხადი ხდება, თუ ზაზა ციციშვილის საკუთრებაში მყოფი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი საიდან ჩაუვარდა ხელში შაჰნავაზის ერთ-ერთ შვილს ლევანს, რომელსაც ზაზას სახელი, როგორც კომპრომეტული, ამოუფხებენებია და თავისი ჩაუწერინებია.

ასეთი ყოფილა ცხოვრება ჩვენი ხელნაწერის პირველი მეპატრონისა, რომელსაც დიდი ხანი ალარ უცოცხლია ხელნაწერის შეკვეთისა და შემკობის შემდეგ¹.

¹ სხვათა შორის, შენახულა ზაზას ეპიტაფია სოფ. ყინცივისის ნიკოლოზის ეკლესიაში, მეტად დაზიანებული წარწერა წაუკითხავს თედო ჯორდანიას (ქრონიკები, II, 478), რომელსაც რატომღაც იგი 1661 წლის ქვეშ მოუქცევია.

როგორც უნდა ვიფიქროთ, და ყინცვისის ეკლესიის ეპიტაფი-
იდანაც ირკვევა, „თავადთ უთავადესი“ ზაზა ციციშვილი „მამუ-
ლისა, ქონებისა და დიდების პატრონი“ ყოფილა (ქრონ., II, 478)
და, რასაკვირველია, მას არ გაუქირდებოდა ჩვენი ხელნაწერის ასე
მდიდრულად შემკობა. საგულისხმოა, რომ ზაზას ინიციატივა და
შემკვეთლობა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერისა შემთხვევითი არ ყო-
ფილა და წიგნის მეცენატობა მის ოჯახს საერთოდ თურმე ახასი-
ათებდა. ასე, მის ძმას ზაალს 1661 წ. გადაუწერინებია და მდიდ-
რულად „უნაკლულო და ყოვლითურთ აღსრულებული ჯაზულითა
და დახატვითა“ წიგნი „ჟაინ-გულანი“¹.

მაგრამ უფრო მრავლის შთქმელია ის ფაქტი, რომ სარდარ ზა-
ზა ციციშვილის ოჯახი მკიდროდ დაკავშირებული ყოფილა ლიტე-
რატურულ ტრადიციებთან. მაგ., ზაზას ახლობელი ნაიესაგია ნო-
დარ ციციშვილი (ცნობილი პოეტი 1650-იან წლებისა, „ბარამ გუ-
რის“ მთარგმნელი), პოეტი არჩილი, მაშინ კიდევ ჯერ ყრმა სულ-
ხან ორბელიანი და თვით ნანუჩა ციციშვილი.

ამ ფაქტების შემდეგ მისახედრია, თუ საიდან უნდა მომდინა-
რებოდეს ზაზას ლიტერატურული ინტერესები.

დასასრულ, ერთი შენიშვნა: თუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ვეფ-
ხისტყაოსნის“ ცნობილი ინტერპოლატორი ნანუჩა ანუ მანუჩარ ცი-
ციშვილი, მართლა ციციშვილია² და მისი ცხოვრების დრო XVII ს.
პირველ ნახევარს მივაკუთვნოთ (კ. კეკელიძე), მაშინ საბუთების მი-
ხედვით (ც. არქ. სიგ. ფ. № 72) ირკვევა, რომ ნანუჩა ანუ მანუ-
ჩარ ციციშვილი ზაზას ახლო ნათესავე ყოფილა, სახელდობრ, მისი
სიმამრი, რადგან ზაზას მეუღლე ბატონი ანუკა, „სახლთუხუცესის“
მანუჩარ ციციშვილის ასული ყოფილა.

¹ აი გულანის მინაწერი: „მე სასოწარკვეთილმა და არა კეთილად მოღვა-
წემა, მე ცოდვილთა უნარჩევვესმა და უნანულმა, ფრიად ცოდვილმა ფანასკერტელ-
მა ციციშვილმა სარდარის—პალატ-უხუცის პაპუნას ძემან ზაალ და თანამეცხედ-
რემან ჩვენმა ასულმან ამირეჯიბისმან ბატონმა მარიამ, ვიგულეთ და ვიგულის-
მოდგინეთ და აღუაწერინეთ წმინდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი უნაკლულთა
და ყოვლითურთ აღსრულებული ჯაზულითა და დახატვითა ესე ჟამნგულანი სუ-
ლისა ჩვენისა საოხად და ძეთა ჩვენთა სადღევრძელოდ და სასურველისა ჩვენისა
მშობლისა სასულიეროდ და მოსახსენებლად, ქართველთ მეფის დის დედის-იმე-
დის საოხად“ (ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, წ. II, გვ. 49). მინაწერი 1661
წელს ეკუთვნის.

² ნანუჩას ციციშვილობა ჩვენ ვიცით მხოლოდ ბროსეს ცნობით: „ერთი ვინ-
მე ციციშვილი ყოფილა ნანუჩად ზედწოდებული ვახტანგ VI მეფის წინა“ („ვეფ-
ხისტყ.“, 1841 წ. გამოც., XIV).

შესაძლოა ამ გარემოებითაც აიხსნებოდეს ჩვენს ხელნაწერში ნანუჩას სტროფების დაზუსტებით მოთავსება ავტორის სახელის აღნიშვნით?

ხელნაწერის დათარიღებისათვის

რაკი გამოვარკვიეთ ჩვენს ხელნაწერთან დაკავშირებული ზაზა ციციშვილის ცხოვრების დრო, ახლა შეგვიძლია თვით ხელნაწერის დათარიღებაზე ვიმსჯელოთ.

რადგან ხელნაწერში ზაზა მოხსენებულია „სარდალსახლთუხუცესობით,“ ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერის თარიღის დასადგენად საჭიროა გამოიკვვეს, თუ სახელდობრ რომელ წლებში ექირა მას ეს ორივე თანამდებობა. 1661 წელს ელიზბარ სოლოლაშვილის ნასყიდობის წიგნში მოწმეებად მოხსენებული არიან: ციციშვილი სახლისუხუცესი და სარდალი პაპუნა ბეგ, მისი შვილი ზაზა და ზაალ (საქ. სიძვ., II, 422). ამ საბუთის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროისთვის ზაზას არავითარი სახელო არა სქერია, რადგან სარდალ სახლთუხუცესობით მოხსენებულია მხოლოდ მისი მამა პაპუნა. ამავდროს, ზაზა, როგორც სარდალი, მოჩანს 1664 წლის ბრძოლაში, კახეთში, როცა შაჰნავაზს და მის შვილს კახთა მეფე არჩილს ღამით თავს დაესხა ერეკლე ბატონიშვილი. მაშასადამე, საბარათიანოს სარდლობა ზაზას მიუღია 1661 წლის შემდეგ, 1661—1663 წ. შუა. მაგრამ ზაზა იხსენიება აგრეთვე სახლთუხუცესად, ხოლო ეს სახელი მამის სიკვდილის შემდეგ უნდა მიეღო. ზაზას მამა პაპუნა კი 1663 წ. შემდეგ აღარ იხსენიება. მაშასადამე, ზაზას მიერ სარდლობისა და სახლთუხუცესობის მიღება 1661—1663 წ. უნდა მივაკუთვნოთ. შესაძლოა ისიც ვიფიქროთ, რომ ზაზა სარდლობდა მოხუცებული მამის სიცოცხლის დროს, 1658 წ. შემდეგ, როდესაც პაპუნა სასტიკად დამარცხდა ბანძაში და მთელი თავისი ლაშქარი სამეგრელოში ტყვედ ჩატოვა?

როდის მოკლეს ზაზა?

ვახუშტი გადმოგვცემს, რომ ზაზას მოკვლის შემდეგ საბარათიანოს სპასპეტობა ანუ სარდლობა თამაზ ყაფლანიშვილს მისცეს. რაკი არც მატთანეს, არც ქრონიკებს და არც საბუთებს არ შეუნახავთ ზაზას მკვლელობის დრო, ამიტომ ჩვენ ჯერ უნდა გამოვარკვიოთ წელიწადი თამაზ ყაფლანიშვილის მიერ სარდლობის მიღებისა, ამ თარიღის მეოხებით გავიგოთ ზაზას სიკვდილის დრო. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეს ამბავია არსად დოკუმენტებში პირ-

დაპირ აღნიშნული და იგი მხოლოდ დამხმარე საბუთებით უნდა გამოეარკვიოთ.

1671 წ. ორი საბუთის მიხედვით თამაზ ყაფლანიშვილი ჯერ კიდევ სარდლად არა ჩანს (საქ. სიძვ., II, 133; ქრონიკები, II, 487, ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორ. საბუთები, 221), მაგრამ იმავე 1671 წლის ერთ დოკუმენტში (რომელსაც ე. თაყაიშვილი შეცდომით 1676—1686 წ. აკუთვნებს), თამაზი უკვე იხსენიება სარდლად (საქ. სიძვ., II, 186). ამ დოკუმენტს ჩვენ ვათარილებთ 1671 წლით მისთვის, რომ ამ საფიცრის წიგნში თამაზი თავის მამას ყაფლანს ცოცხლად იხსენიებს: „სანამ ჩუენი მამა... ცოცხალი იყოს, მათი სიტყვის მორჩილნი ვიყვნეთ“ (გვ. 187), ხოლო თვით ყაფლანის ეპიტაფიის მიხედვით კი ყაფლანი სწორედ ამავე 1671 წელს გარდაცვლილა¹.

რაკი 1671 წლის სამს დოკუმენტში თამაზი სარდლად არ მოჩანს და, ამავე დროს, იგი სწორედ ამ წელიწადს იხსენიება პირველად ამ თანამდებობით, უნდა დავასკვნათ, რომ თამაზ ყაფლანიშვილს სარდლობა 1671 წ. მეორე ნახევარში მიუღია, ზაზა ციციშვილის მკვლელობის შემდეგ.

მაგრამ ერთი დოკუმენტის (ც. არქ. № 70) მიხედვით შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ზაზა მოუკლავთ არა 1671 წ. პირველ ნახევარში, არამედ 1670 წელს. ხსენებული დოკუმენტის მიხედვით, რომელიც დათარიღებულია 1671 წ. 1 თებერვლით, ზაზას მეუღლე ბატონი ანუკა ყიდულობს მამულს. ეს დოკუმენტი გვაფიქრებინებს, რომ 1671 წ. 1 თებერვლისთვის მისი ქმარი, ოჯახის უფროსი სარდალი ზაზა ცოცხალი აღარ არის, იგი უკვე მოკლულია და ოჯახის საქმიანობას მისი თანაპეცხედრე განაგებს.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზაზა ციციშვილი, რომელიც უკანასკნელად 1669 წ. (ც. არქ. № 82) და 1670 წ. საბუთში ჩანს (საქ. სიძვ. II, 133), 1670 წ. ან 1671 წლის პირველ ნახევარში მოუკლავთ. ასე, ზაზა ციციშვილი სახელმწიფო მოღვაწედ, კერძოდ, სარდლად და შემდეგ სახლთუხუცესად ჩანს 1659—1663—1670—1671 წლების განმავლობაში.

მაგრამ ჩვენი ხელნაწერის დათარიღებისათვის ზაზა ციციშვილის პიროვნების დროის გამორკვევასთან ერთად ასეთივე მნიშვნელობა ეძლევა ხელნაწერთან დაკავშირებულ მეორე პიროვნებას, პოეტს იოსებ ტფილელს. ჩვენს ტექსტში მოიპოება ორი ჩანართი,

1. გ. ჩიტაია, პითარეთისა და გუდარების საფლავის ქვები: „საქართველომის მონაბე“, III, გვ. 119.

სახელდობრ, ავთანდილის და ტარიელის ანდერძები, რომელთა ავტორად მოხსენებულია იოსებ ტფილელი. თავი რომ დავანებოთ იმ გარემოებას, რომ თვით ხელნაწერი იოსებ ტფილელის მიერ არის შესრულებული, ჩვენს ხელნაწერში იოსებ ტფილელი სამჯერ არის ნახსენები, მაშასადამე, როცა ეს ხელნაწერი გადაწერილია, იოსები უკვე ტფილელის სახელწოდებას, ტიტულს ატარებდა, ე. ი. უკვე თბილელი ყოფილა ანუ თბილისის მთავარეპისკოპოსი.

რომელ წელს მიიღო იოსებ სააკაძემ („დიდმოურავიანის“ ავტორმა) თბილისის კათედრა? ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა. რომ იოსების წინა მოადგილე თბილისის კათედრაზე, ელისე საგინაშვილი¹ უკანასკნელად იხსენიება თბილელით 1658 წ. 10 აპრილს. „ერთი ცნობით, იმავე წლის ნოემბერშიც იგი ცოცხალია². ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, როცა როსტომ მეფე კვდებოდა (ნოემბრის შუა რიცხვებში), კახეთის ტახტის პრეტენდენტმა ზაალ ერისთავმა თავის შემცილეს ვახტანგ მუხრან-ბატონს (მომავალ შაჰნავაზ მეფეს) მოაგონა ძველი პირობა და თვით ფარსადანისვე პირით შეუთვალა: „ჩვენ შუაღმდომი ნოდარ მომკვდარაო, მაგრამ თურმან და თბილელი ცოცხალნი არიან“ (გორგიჯანიძის ისტ., ს. კაკაბაძის რედ., გვ. 60). ელისე საგინაშვილმა თბილელით 1623-1624 წ. მიიღო და, ცხადია, 1658 წ. ღრმა სიბერეში იქნებოდა შესული და დიდხანს აღარ უნდა ეცოცხლა. პლ. იოსელიანის ცნობით, იოსებს თბილელითა როსტომმა მისცა („დიდმოურავიანი“), როსტომი კი 1658 წ. 18 ნოემბერს გარდაიცვალა. მაშასადამე, თუ ეს ცნობა სარწმუნოა, და, ერთი მხრით, რაკი ამ წელს ელისე ისევ იხსენიება თბილელად, ხოლო, მეორე მხრით, როსტომი კვდება ნოემბერში, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იოსებს თბილისის მიტროპოლია 1659-1660 წწ. მიუღია ვახტანგის მიერ, რომელსაც იოსები ნათესავად მოხედებოდა. რამდენად მართალია პ. იოსელიანის ცნობა და რამდენად სანდოა წყარო, რომელსაც ის ემყარება, არ ვიცით. ეს კია, რომ ელისე თბილელი 1658 წლ. (ქრონიკ., II, 437 წ. კ. № 5162) შემდეგ მართლაც აღარც ერთ დოკუმენტში აღარ იხსენიება, ხოლო 1661 წ. თბილელად უკვე იოსები მოჩანს³.

¹ ცნობილი მოგზაური, რომელმაც 1634 წ. მოიარა მცირე აზია, იყო ივრუსალიმში, ხოლო 1640 წ. ათონზე.

² S—5162, გვ. 1090; ქრონიკები, II, 465; ქართლ-კახეთის მონასტრ. ისტ. საბუთები, 211.

³ H 50; სააკაძე იოსებ პირველად იხსენიება 1655 წ., 1 თიბათვეს (იხ. ს. ს. სიგ. № 19), ხოლო ტფილელად—1661—1688 წლებში. იხ. ს. ს. № 50 (1661 წ.); ისტო-

რაკი 1661 წ. აღრე იოსების თბილელობის დოკუმენტი ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება, აპრივად, იოსების მიერ თბილელობის მიღებაც დაახლოებით ზაზას სარდლობის მიღების წლებს, 1658—1661 წ., ხვდება¹.

ხელნაწერთან დაკავშირებული ორი პიროვნების, ზაზა ციცი-შვილისა და იოსებ ტფილელის, ცხოვრების და მათი თანამდებობათა თარიღების გარკვევის შემდეგ ჩვენი ხელნაწერის გადაწერის დროდ ჩვენ გვაქვს *Terminus ante quem*—1658—1601 წლები, ხოლო *Terminus post quem*—1671 წლები, მაგრამ ანგარიშგასაწევია მესამე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, მომენტაც, სახელდობრ, ის გარემოება, რომ ხელნაწერის გადაწერის დროს მისი პატრონი ზაზა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ყოფილა, ოცდაათი წლის მეტი არ არისო:

ჯერ კაბუჯი არს, არ არის ოცდა ათის წლის მეტია,—

გადმოგვეცემს გადამწერი ბოლო სიტყვაში. რაკი როსტომი ზაზას „ერთგულ და თავდადებით სამსახურს“ ჯერ კიდევ 1642—1653 წლებში იხსენიებს (ს. ს. № 791), მაშასადამე, გადამწერის განცხადების მიხედვით, დრო ჩვენი ხელნაწერის გადაწერისა ზაზას სარდალ-სახლთუხუცესობის უფრო პირველ ხანას, ვარაუდით 1661—1664 წ., უნდა მივაკუთვნოთ.

ამრიგად, შეგვიძლია ჩვენი ხელნაწერის გადაწერის დრო XVII-ის 60-იანი წლებით დავათარილოთ.

რიული საბუთები, ს. კაკაბაძის გამოც., IV, გვ. 43 (1665 წ.) ქრონიკები, II, გვ. 483; გუჯრები; ა. ზახანაშვილის „გამოცემა, გვ. 3; ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები, გვ. 213 (1666 წ.); S, ბაქრაძისეული ხელნაწერი, № 5162 გვ. 1093, 1094; A 39,66 (1667 წ.); საქ.სიძველენი, II, 133; ქრონიკ, II, 487, 492 (1670 წ.); S 5152, გვ. 190 (1671 წ.)¹ ისტ. საბუთები, IV, 64 (1692 წ.); საქ. სიძვ. II, 97—99 (1683 წ.); საქ. სიძვ., II, 100—102 (1685 წ.). იოსებ მოკლულს იქნა 1688 წ. ბრძოლაში მუზრანს ზემოთ, „გზასა ტინისისა“ (იბ. ქ. ცხ., II, 59).

¹ პრაფ კ. კეკელიძის გადმოცემით, თბილისის კათედრაზე იოსები ჩანს 1662 წლიდან 1686 წლამდე, მაგრამ მას საძნელოდ მიაჩნია. რომ იგი ერთი პიროვნებაა. სახელდობრ იოსებ ტფილელი (ლიტ. ისტ., II, 361, 1924). როგორც ვიცით, იოსები მოკლეს 1668 წელს, და თუ მან ტფილელობა თუნდაც 1662 წ. მიიღო, რატომ არ შეეძლო ამ კათედრაზე 26 წლის განმავლობაში დარჩენილიყო? (იოსების წინაპარი ელისე საგინაშვილი დაახლოებით 34-35 წ. ტფილელობდა). კ. კეკელიძის ეჭვი იმ გარემოებითაც არის გამოწვეული, რომ 1670 წ. პირველ ნახევარში ტფილელად ვილაც ელისეა მოხსენებულიო, ასახელებს რა თ. ყორღანის მიერ დაბეჭდილ სიგელს 1670 წ. ქვეშ (ქართლ-კახეთის მონასტრების ისტ. საბუთები, 221), რომელშიც მართლაც ტფილელად ელისეა მოხსენებული. მაგრამ სიგელის თარიღი საბუთად ვერ გამოდგება, რადგან იგი მცდარია. თვით

როგორც პირველხარისხოვანი ძეგლი, იგი დიდი ინტერესების აღმქვერელია. ამეამად ჩვენ სრულიად არ ვიძლევიტ მის ტექსტოლოგიურ ანალიზს და ვერ აზოვწურავთ მის ღირსება-მნიშვნელობას, რადგან ხელნაწერის კვლევა-ძიება გრძელდება. მანამ კი ყურადღების მისაქცევია ის გარემოება, რომ იგი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამომცემელის და რედაქტორის ვახტანგის ნაქონი ანუ მისი სამუშაო ეგზემპლარი თუ ეგზემპლართაგანი ყოფილა, როგორც მემკვიდრეობით მისი მამის ლევანისაგან მის ხელში გადმოსული. ზემომოყვანილ პლ. იოსელიანის ტრადიციულ ცნობაში ნათქვამია, რომ ვახტანგს თავისი გამოცემის ბეჭდვის დროს ჩვენი ხელნაწერიდან უსარგებლია და თითქოს მისი ორთოგრაფიული შეცდომებიც კი გაუმეორებია (Кавказ. 1870 წ., № 13).

თუ იოსელიანის ცნობა ზედმიწევნითი გამოდგა და სანდო წყაროდან მომდინარეა, მაშინ ხელნაწერში შენახულა ვახტანგის რედაქტორული მუშაობის კვალიც. ასე, აშიებზე უზის ჯგერები (+) „ვეფხისტყაოსნის“ დამატებათა იმ სტროფებს. რომელნიც ვახტანგს და მის კომისიას, საფიქრებელია, მიაჩნდა ვეფხისტყაოსნის ძირითადი ტექსტის შემადგენელ ნაწილად. პლ. იოსელიანის ცნობის სიმართლის შესაპოწმებლად საჭიროა ჩვენი ხელნაწერის ტექსტის, მისი რიგის და ორთოგრაფიული შეცდომების ზუსტი შესწავლა და შედარება. ხოლო თუ საფუძვლიანმა ძიებამ იოსელიანის ტრადიციულ გადმოცემასთან ჩვენი წინასწარი დაკვირვებანიც გაამართლა, მაშინ თავისთავად გადაწყდება ერთი მნიშვნელოვანი და მეტად სადავო პრობლემა: დაბეჭდა ვახტანგმა „ვეფხისტყაოსნის“ უცვლელი ტექსტი, თუ მან რედაქტორული შემოკლებანი შეიტანა.

ზაზა ციციშვილისეული ხელნაწერის ღირსება, სხვათა შორის, იმაშიც მდგომარეობს, რომ მან გაგვაცნო „ვეფხისტყაოსნის“ ერთი

ჟორდანიას მიერ დასმულია ვარაუდით, როგორც დასძენს—„1670 წ. ახლო დრო ისაა“ (გვ. 221). ჟორდანიას თარიღი რომ სწორი არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ სიგელში მოხსენებული კათალიკოსი ქრისტეფორე შეუძლებელია 1670 წ ან სიგელის გამცემი ყოფილიყო, რადგან ამ დროს უკვე კათალიკოსობდა დომენტი, ხოლო თვით ქრისტეფორე 1660 წ. გარდაიცვალა. მაშასადამე, სიგელის საბოლოო თარიღის ვადა 1660 წ. უნდა ყოფილიყო, ე. ი. უკანასკნელი წელი ქრისტეფორეს კათალიკოსობისა. ჟორდანიას ანაქრონიზმმა კ. კეკელიძე შეცდომაში შეიკვანა და ჩვენ შეგვიძლია, უარვყოთ რა მისი უსაფუძვლო ეჭვი! ვთქვათ, რომ ჩვენი ხელნაწერის გადამწერს. პოეტ იოსებ ტფილელს თბილისის კათედრა ეკირა 1659-1660-1661—1688 წლების განმავლობაში.

ახალი ინტერპოლატორი—იოსებ ტფილელი, რომელსაც რუსთაველის ტექსტში საკუთარი ნაწარმოებიც ჩაურთავს,—ანდერძები ავთანდილისა და ტარიელისა.

„დიდმოურავიანის ავტორი“—ბრწყინვალე პოეტი—ლექსის მუხიკალობით, ხალხური სიტყვის ტენდენციით და ლაკონიზმით—შესაფერად არ არის შეფასებული ჩვენს მწერლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ტფილელის „დიდმოურავიანი“ ფართო მკითხველმა სეგმში თვით უკანასკნელ დრომდე საყვარელ წიგნად იყო მიღებული. ტფილელის პოეზიას მისი დაუნდობელი მტრებიც კი დიდად აფასებდნენ. თვით საერო მწერლობის უღმობელი და ძუნწი შენთვასებელი ანტონ პირველი ასე ახასიათებს იოსებს:

...გონება მისი ქუემდებარება,
თავისუფალ ხნობათა, რომლითაც,
იოსებ კმადლა გამოცდილ იყო სრულად
პიიტკოსთა ხელოვნებათა მიმართ.

და შემდეგ:

· საყუარელ იყო მეფეთა მაშინდელთა,
· საყუარელ იყო ერთაცა ყოველთაგან,
· აქებდეს მისსა სიბრძნის მოყუარებასა.

მიუხედავად ასეთი პატივისა, რომელსაც კათალიკოსი მიუწყავს იოსებს, და ცნობისა იოსების პოეტური სახელის რეპუტაციის შესახებ ფეოდალურ საზოგადოებაში, ანტონი ასკვნის:

თუმცა დაშურა ამოათათვისო!

ე. ი. ამოად, ტყუილად იზრომაო, უბრალოდ დახარჯა თავისი ღონეო. ასეთი სასტიკი განაჩენი გამოაქვეს პოეტის შესახებ კლერიკალური მწერლობის მეთაურს. მაგრამ თვით იოსებიც ასე აყვედრიდა თავს:

მე შევიქენ ენაყბედი, სოფლის წიგნის სამ წარმტქმელი...
სოფლის ზღაპრისა წერისთვის შევიქენ დამნაშავია.
მას დარჩა ჭკუის საუნჯე, ვინც ცრემლით აესო ნავია...
მე სოფლისა საქმეს მიყვევ, მე ვინა და ამის წერა...

დღემდე ვფიქრობდით, რომ ანტონის ფრაზა იოსების „ამოად დაშვრომისთვის“ და თვით იოსების მწარე სინანული მხოლოდ დიდმოურავიანის დაწერით იყო გამოწვეული, რადგან ტფილელი¹

¹ იოსებ ტფილელს ეკუთვნის აგრეთვე სასულიერო პოემა „წმიდა ალექსის ცხოვრება“ (S 1512, გვ. 883—904); „წმიდა კრებათათვის“ (S 281) ანბანტქცბ

მიტროპოლიტისათვის, სასულიერო მწერლისათვის საერო ნაწარმოების დაწერა კომპრომენტულ ფაქტად უნდა ჩათვლილიყო, — ახლა კი ცხადი ხდება, რომ ანტონს და თვით იოსებსაც მხედველობაში აქვთ — „დიდმოურავიანთან“ ერთად (შეიძლება სხვა დაკარგულ საერო ნაწარმოებებთანაც) — „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციაში მონაწილეობა, სახელდობრ, შიგ ორი მოზრდილი თავის ჩამატება. ანტონ I, ცხადია, არ დაახანებდა თავის გულისწყრომას.

საყურადღებოა ერთი დეტალი.

როგორც ვიცით, XVIII ს. მეორე ნახევრის ქართული მწერლობა რეალისტური პრინციპებით ხასიათდება, პოეტები — ფეშანგი, არჩილი, იოსებ და სხვ. იბრძვიან ფეოდალური ლიტერატურის ზღაპრულ-ესთეტიკური ტრადიციების წინააღმდეგ.

თვით ფეშანგიმ პოემაში რეალური პიროვნებების, ცოცხალი ადამიანების საქმე („რაც ენახა“) გაიხადა თავისი შემოქმედების საგნად. რასაკვირველია, ფეშანგის ლიტერატურული შეხედულება უმთავრესად გამომუშავებულია მაშინდელ სალიტერატურო წრეებში, სადაც იგი ტრიალებდა. ფეშანგის მხატვრულ დეკლარაციაში გამოთქმულია იმ დროის ახალი ლიტერატურული პრინციპი, რომლის შექმნა ერთ პიროვნებას არ ეკუთვნის, და მით უმეტეს, ფეშანგის. „შაჰნავაზიანის“ ავტორი არ უნდა ყოფილიყო ერთეული მღალაღებელი ახალი ლიტერატურული შეხედულებებისა. ეს მოსაზრება დასტურდება თუნდაც ჩვენს ხელნაწერში იოსებ ტფილელის მიერ ჩამატებული ერთი სტროფითაც, სადაც პოეტი, საგნობრივი გადმოცემის პრინციპის მატარებელი, ასე მიმართავს „ვეფხისტყაოსნის“ გამირებს:

კარგი ყოფილხართ სამნივე. ჰხოცეთ დენი და ქაჯები,
წაგინდა მხნენი ძალგული და დალბა ცულათ მაჯები;
სოფლის ურჯულად წასვლისთვის თუ არ აგართვან აჯები.
მიკვირს, მწერალო, ანდერძსა მათსა სწერს, რათ ისაჯები.

აქ იოსები პირდაპირ გამოთქვამს ფეშანგის იდენტურ აზრს. იგი გაკვრით ამეღავენებს რეალისტურ ტენდენციებს, რაც შენდევში დაადასტურა შესანიშნავი პოეტური ფაქტით — „დიდმოურავიანით,“ რომელიც XVII ს. რეალისტური პოეზიის ერთი შესანიშნავი ძეგლია.

(S 1512) და სხვ. ხ. ჭიჭინაძის ცნობით, იოსებს ეკუთვნოდა დღემდის უცნობი თხზულებანი: 1) სასურველი ვენახი; 2) მოგზაურობა თბილისიდან ახალციხეში; 3) ლუარსაბ მეფის ცხოვრება (იხ. ქართ. მწერლობა XVII ს-ში, გვ. 33). რამდენად სინამდვილეს შეეფერება ჭიჭინაძის ცნობა, არ ვიცით.

დასასრულ, დღეიდან სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: როგორც იოსებ ტფილელის მაგალითიდანაც ირკვევა, „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორები, განსაკუთრებით, „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერლებს შორის უნდა ვეძიოთ.

რუსთველოლოგიამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ამ პრობლემაზე.

1935 წ.

ЖИЗНЬ ГЕНИАЛЬНОЙ ПОЭМЫ¹

1

Не касаясь научной проблемы Руставели, я хочу вкратце рассказать о книге поэта, о ее жизни и судьбе.

Кажется, ни одно поэтическое творение не славилось так изумительно среди своего народа, как поэма великого Шота „Витязь в тигровой шкуре“.

Героический эпос, мужественно-нежная элегическая лирика вечно живы в этой поэме, справедливо именуемой „великим сердцем Грузии“. Ясное могущественное слово, величие мысли, изящная простота, молодость, прелесть рассказа сочетались в ней. Всевластие жизни, возвышенная любовь, рыцарская честь и доблесть, побратимство, любовь к свободе, братская связь племен сделали поэму зенитом грузинской культуры. К ней грузин обращался ища руководства в жизни. Многие стихи, поучения и афоризмы поэмы служат народу поговорками, пословицами, источниками житейской мудрости. В городах и селах, во дворцах и хижинах, на свадебных пиршествах, при оплакивании, на хромовых праздниках, на ярмарках, на войне — всюду величественно звучал стих Руставели, как торжество грузинской речи.

Грузинская летопись „Картлис-Цховреба“ рассказывает, как в 1699 году грузинский полководец с горсточкой в сорок человек на границе Белуджистана, теснимый кольцом врага, вдали от родины, воодушевлял своих соотечественников стихами и афоризмами Руставели.

Поэт XVIII века царь Теймураз II в своей поэме о грузинской свадьбе рассказывает, что по древнему обычаю дружки жениха и невесты должны были спеть свадебные песни-стихи,

¹ газ. „Известия“, 1937, 17 марта, № 66.

сказанные мудрым Руставели, или же свадебные содружники должны были затянуть стихи Руставели, когда жених и невеста восседут на коней и направятся домой.

Поэт XVIII века царь Арчил в своей поэме влагает в уста Руставели:

„Я основа стиха, стихотворцы зиждятся на мне! Подобного мне нельзя нигде найти, если даже обойдут всю сушу, даже если чародей талисманом осветит тучами схваченное небо. Все стихотворцы должны меня считать своим главой, как израильтяне первосвященника Аарона! Грузия полна мною, моя книга повсюду гремит!“.

„Сказание Руставели, это — шкатулка, наполненная золотыми камнями“, — говорит анонимный поэт XVIII века.

В народе строки Руставели передают из уст в уста люди, даже не знающие грамоты. Платон Иоселиани (1809—1879) известный грузинский историк, в 1867 году был приглашен в сел. Базалети (около Душети) на свадьбу к небогатому поселянину, и на этом скромном пиршестве вот что привело его в изумление: „Глава семейства, уже в летах, стал прерывать речи наши эпизодами из Руставели. Я объяснил это сначала случайностью — по наслышке от дворян. Но скоро, угощая нас и разделяя нашу трапезу, он стал произносить не только отдельные афоризмы, а целые строфы, восполненные собственным воображением. С полным пониманием значения слов и мыслей декламировал их уповательно . . . Оказалось, что импровизатор высокой словестности народа, зная по наслышке устно строфы певца и сочувствуя им, незнаком с письмом. Он же объяснил мне, что в округе его нет деревни, незнакомой с именем Руставели“ (газета „Кавказ“, 1870, № 13).

Мне самому привелось видеть в 1915 году в Кахетии совершенно неграмотного старика-крестьянина, который речитативом произносил главы из поэмы во время полевых работ и сбора винограда.

В Грузии и сейчас среди крестьянства, среди колхозников немало сказителей, знающих наизусть отрывки и целые главы поэмы. Не случайно среди колхозной и школьной молодежи вызвался уже не один на соревнование знать всю поэму наизусть ко дню 750-летия Руставели.

Почти все грузинские поэты до XIX века считали себя должниками Руставели. Каждый из них в прологе своей поэмы упоминает имя Шота Руставели и испрашивает у него разрешения на свое творение:

В твоих руках, о, Руставели, узды всех рук,
 Дай разрешение вымыслу повести...
 Руставели, прошу разрешения сказать,
 Не гневайся и не разорай, прошу я...

Так обращались поэты XVII века к „началу поэтов, ритору Руставели“.

Очень трогательны высказывания грузинских каллиграфов, переписчиков, тех, кто сотнями в течение веков переписывал поэму для союственного наслаждения, для утечи во время сильного горя, в подарок или по приказанию своего мецената, царя, феодала.

Вот призвание одного царского переписчика: „Патрон патронов, повелитель наш Георгий приказал мне переписать книгу эту „Вепхис Ткаосани“ и издержал много средств... Желал оп- чтобы книга была высоко-блистательная... Знайте также: сколько ни умирало царей в Грузии, никто не украшал книгу „Вепхис Ткаосани“ подобно патрону нашему.“

И на самом деле это был фолиант в 45×30 сантиметров.

Поэма написана очень красивым круглым „мхедрули“ (воинским письмом). Оглавление, первые два слова каждой строфы, союз „да“, которым начинается последний стих, начальные и три последние буквы каждого стиха писаны киноварью, остальной текст — чернилами. Текст каждой страницы включен в четырехугольную рамку из позолоты и других красок. Поля каждой страницы украшены бордюром, представляющим причудливую листву, исполненную золотом с бледным отливом; бордюр шириною в 7,7 сантиметра замыкается всегда рамкой из позолоты. Каждый лист этой рукописи представляет художественную работу. Мотив переплетающихся между собой листвы, цветов и виноградных лоз с листьями на каждой странице особый. Иногда в этой причудливой листве появляются звери и птицы.

До нас дошли и другие рукописи, замечательные по внешности и художественной отделке листов. Нужно отметить, что

самый ранний список поэмы восходит к первой половине XVII века. Списки уничтожались иноземными врагами: беспощадное гонение претерпевала поэма от духовенства за ее свободомыслие, за отсутствие христианской догмы.

По преданию, еще при жизни Руставели глава грузинской церкви начал гонение на поэму, а просвещенный католикос патриарх Антоний, первый переводчик „физики“ Вольфа и „Нравственной философии“ Баумейстера, запретил грузинам чтение Руставели и предал списки и печатные экземпляры 1712 года огню. В своей юмористической эпиграмме он называет Руставели „мудрым философом, знатоком ирапского языка, богословом, удивительным поэтом, но все и тщетно потрудившимся“

Другой представитель церкви, митрополит Тимофей, называет поэта „сказителем злых стихов, который учил грузин вместо святой чистоты злым порокам, который развращал христиан“.

Но ни катастрофические события семи веков, ни разрушительные нашествия врагов Грузии, ни ужасы собственных тиранов, ни преследования ханжей не смогли победить бессмертные великого гения. Грузинский народ через все испытания пронес бессмертную книгу своих песен, как верную спутницу всей своей жизни.

3

Несмотря на то, что Руставели не узкое национальное явление, его поэма еще мало известна за пределами Грузии. Из имеющихся переводов „Витязя“ на другие языки можно отметить, кроме известного перевода К. Бальмонта, недавно законченный перевод Миколы Баждана на украинский язык.

До Октябрьской революции „Витязь в тигровой шкуре“ не нашел в России надлежащего отражения. Первые сведения о Руставели мельком проникли в Россию в начале XIX века. Характерным является признание некоего русского автора (1805 г.) о грузинской литературе и Руставели:

„Что касается до их словесности и до наук, в которых они упражнялись, то грузины в течение восьми столетий могли лишь произвести весьма немного творений. Две эпические поэмы, одна написанная некоторым господином Руставелем, а другая—Чах.

рухадзем...“ (Яков Ланген, „Описание Кавказа“, СПб, 1805 г., стр. 47).

В железных тисках русского самодержавия не только беспощадно было забыто и пограно богатое наследство грузинской литературы, но и „песни Грузии счастливой“ были обречены на полузапретное существование.

Только при советской власти гениальная поэма Руставели разбивает оковы национальных границ и становится достоянием народов Союза и всего человечества.

„Некоторый господин Руставелл“ отныне достойно входит в пантеон мировой поэзии, занимая должное и законное место среди „семи величавых“ Гете.

ვახტანგ მემქვსე

აღწერს რა თავის გეოგრაფიაში ღბანის ხევს (სამხრეთ საქართველო), ბატონიშვილი ვახუშტი, სხვათა შორის, ამბობს:

... „აქა არს ყვაველი სუმბული, ფერით სპეტაკი, მსგავსი ნარისა და მიწასა ზედა გართხმული, სურნელი, ვითარცა ამბარი და უმეტეს ფშოსანი... მეფემან ვახტანგ მოიღო საეარდესა შინა, არამედ არა ჰყო ნაყოფი“.

ღბანის ხევიდან ვახტანგის ნზრუნველი ხელით თბილისის ბაღში გადმონერგული და გაუხარებელი სუმბულის ყვაველი, მეტად გვაგონებს თვით ვახტანგის ბედს.

მისი ხანმოკლე მეფობა მართლაც მიემსგავსებოდა ლამაზსა და მომხიბლავ ყვაველს, რომელსაც „დაჰქროლა ქარმან სასტიკმან“.

სახელმწიფო მოღვაწე, პოლიტიკოსი, მეცნიერი, პოეტი, მთარგმნელი, რედაქტორი, კრიტიკოსი—ვახტანგ მეექვსე თავისი მოღვაწეობის მრავალმხრიობით მოგვაგონებს ილია ჭავჭავაძეს მეცხრამეტე საუკუნეში, რასაკვირველია, უფრო დიდი მასშტაბით, როგორც ქვეყნის მმართველი.

თანამედროვენი მას უწოდებდნენ „ბრძენს“, „წუშაკს“, „ღრმად მცოდინარეს“, „ცოდნის მოყვარეს“, „დიდად მოღვაწეს“, „სწავლაშემატების გულმოდგინეს“.

თვით ვახტანგი იტყვის:

„ვიცოდი ენა მძიმები...“

მეკითხა წიგნი საღვთო და საერო“...“

„საღვთოც ვიცოდი, საეროც“.

ხოლო ევროპელი მისიონის უფროსი რეჯინალდო ვახტანგის შესახებ გადმოგვცემს:

„ეს ბატონი მთავარი საკმაოდ მაღალნიჭიერია და სწავლისმოყვარე. უკანასკნელ დროებში ძალიან დაგვიახლოვდა იმის გამო, რომ უფროსი პატრი ასტრონომიის გაკვეთილებს აძლევს. ისიც კარგად ითვისებს და ძალიან კმაყოფილიცაა“.

ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობის ერთგვარ შეჯამებას იძლევა ცნობილი ეპიტაფია, რომლის ავტორობაც ტრადიციულად თვით ვახტანგს მიეწერება:

მე. უმცირესმან ძმათაგან,
ვახტანგმან სახელდებულად.
ვქქმნე ოთხწელ მცხეთა, ურბნისა,
სადგურ-კამარა-გებულად,
ტფილისის სიონი ხელახლად
შევძერწე ქანდაკებულად,
ჩემთვისცა სახლი სარკისა,
შიგ ლბინი მოწონებულად.
სტამბა მოვიღე ვლახეთით,
ვამრავლე წიგნთა მელანი,
ქციის რუ ხუნანს წავიღე,
გალმითად მოვრწყე ველანი,
მაშავრის რუ ხომ ტბას შევრთე,
შიგ თეგზი ჩავჰსხი ყველანი,
ასე მთა მოვინადირე,
ვხოცე ირემი, მგელანი.
სამართლის წიგნი დავჰსწერე,
მსაჯულს არ უნდა ცილობა,
ვეფხის-ტყაოსნის თარგმნობა
უქმნია კარგა-ხდილობა,
ბოლოს მიმიღო სოფელმან
სიმდიდრე მეფეთ შვილობა.

ხოლო თვით მისივე შვილი, ბატონიშვილი ვახუშტი, ასე გვიხა-
სიათებს ვახტანგ მეექვსეს:

„ესე ვახტანგ იყო მოწყალე. ცოდნისმოყვარე, ბრძენი, მხნე და
ახოვანი, მშვენიერი, ჰაეროვანი, მუშაკი, უხვი და მშვიდი... ვახ-
ტანგ ალაშენა და განავრცო ქართლი, იმას მორჩილებდნენ იმერნი,
უსმენდნენ კახნი. მიიღო მბეჭდველობა ვლახეთიდან და განამრავლა
წიგნნი... განაწავნა სპანი როქითა მცველად თვისად. დასწერა წიგ-
ნი სამართლისა და მით სჯიდიან მსაჯულნი. მოშალა ტყვის სყიდ-
ვა... აღამალნა ქართველნი, ალაშენა მრავალნი. დაბნებნი.“

ჩვენს ისტორიას შეიძლება ბევრი არ ახსოვდეს ისეთი ტრაგიკუ-
ლი პიროვნება სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე, როგორიც
იყო ვახტანგ მეექვსე.

ზედგამოკრით აქვს ნათქვამი ვახტანგს თავისი ბედის შესახებ:

„მე ჩემმა ბედმა არ მომცა
ვამი ჩემისა ნებისა,
„მზე აღმოვიდა, მიადგა,

ბარი იყო თუ მთებია,
მაგრამ მე მისი მწვერვალი,
არსით არ მომნათებია.“

ვახტანგი დიდი მოქმედების ადამიანი იყო. იგი შეუწყვეტელ გონებრივ მუშაობას ეწეოდა, თავის მოღვაწეობაში გამოამჟღავნა დიდი ენერჯია და ტემპერამენტი. ვახტანგი ცხოვრობდა ყველაზე ქაოსურ ეპოქაში, დიდი დემორალიზაციის დროს და პოლიტიკური მღელვარების ხანაში, როცა მტაცებლური თურქეთი და ირანი ერთად ახრჩობდნენ საქართველოს და როცა თვით ქართლის ტახტი იმდენად იყო შერყეული ფეოდალების სეპარატიზმისაგან, რომ მეფობა ცარიელ სახელსლა წარმოადგენდა.

ასეთ ვითარებაში ვახტანგის ყოველი კულტურული და სახელმწიფოებრივი წამოწყება, ცხადია, უდღეური უნდა ყოფილიყო.

ვახტანგ მეექვსე ეროვნული აღორძინების მთავარი ორგანიზატორია და იმ გონებრივი მოძრაობის მეთაური, რომელიც ხელს უწყობდა საქართველოს თავის დაღწევას აზიური რკალიდან.

ვახტანგი იყო მოწაფე დიდი მასწავლებლის სულხან-საბა ორბელიანისა, შვილი „ღრმად გამსინჯველი“ სახელმწიფო მოღვაწის ლევანისა, ძმისწული მეფე-პოეტის არჩილისა, რომელსაც ერთგვარი ღვაწლი უნდა მიუძღვოდეს ვახტანგის აღზრდაში. მათ ტრადიციებზე აღზრდილი ვახტანგისათვის ლიტერატურული და მეცნიერული მუშაობა სტიქიური მოთხოვნილება უნდა ყოფილიყო. ამიტომაც არის, რომ განათლებული მეფე ხდება როგორც იდეური, ისე პრაქტიკული ხელმძღვანელი თავისი დროის მეცნიერული და ლიტერატურული მუშაობისა.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის მრავალი სამეურნეო მიღწევა, რომლებიც ეკუთვნის ვახტანგის მეფობას, კერძოდ, საირიგაციო მშენებლობა, ნაგებობის (რუსთავის), ქციის, მაშავერის, ლისის, შოლას (სურამთან), სალთვისის არხების („რუ“) გაყვანა და განახლება. ვახტანგმა აღაშენა და დაასახლა ძველი ხუნანი და სხვა „ძველთაგან აოხრებული“, „უშენი ადგილები“, როგორც თრიალეთი, გუჯარეთის ხეობა და სხვ. ცნობილია, აგრეთვე, ვახტანგის სარესტავრაციო მუშაობა (მცხეთის, ურბნისის, თბილისის სიონის ტაძრების განახლება და შეკვობა, განახლება კოჯრისა და ქ. გორის ოოსტომისეული სასახლეებისა).

ვახტანგის მიერ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს „გარდაშენებულ“ ქართლელ გლეხთა უკან ჩამოსახლება კახეთიდან და დამაგრება ქაბთლში და, ბოლოს, სამხედრო კადრების, „როქრის სპის“ ანუ დაქირავებული ჯარის შექმნა ცენტრალური

ხელისუფლების განსამტკიცებლად. ვახტანგის ამ ღონისძიებების ჩამოთვლასთან ერთად, უნდა გავიხსენოთ მისი განწყობილებები და ფიქრები ქვეშევრდომების შესახებ: „მეფე თუ გლახთ განუსვენებს, მასცა მიხვდეს განსვენება“, მართლმსაჯულმა მეფესთანა უსამართლომ ვერ იხაროს“, მეფე თუ მიჰყვა სამუდამოდ სმასა, სიცილსა, მღერასა, გაუცულებენ ანაზღად მასა ბედსა და წერასა“.

ღირსშესანიშნავია ვახტანგის ღვაწლი ეროვნული ფიზიონომიის შენარჩუნებისა და დადგენილებისათვის იმ დროს, როდესაც „იცივლებოდა ქცევა-ზნენი ქართლისანი“, როცა ქართლ-კახეთში „იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესითა და ყოვლითა უწესობიდა“.

ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ვახტანგის საკანონმდებლო მუშაობას. ვახტანგის სჯულისდება ანუ „სამართლის წიგნი“, შედგენილი მოწინავე პირთა თანამშრომლობით, „ფრიადითა შრომითა“, უსათუოდ დიდმნიშვნელოვანი ძეგლია.

ვახტანგსავე ეკუთვნის მოხელეთათვის და ქვეშევრდომთათვის შედგენილი ინსტრუქციების, წესისა და გარიგების წიგნი „დასტურალმალი“.

* *

საუკუნეთა მანძილზე მძიმე პოლიტიკურსა და ეკონომიურ ვითარებაში მყოფი ქართველი ხალხის კულტურა საკმაოდ დაქვეითებული იყო.

ვახუშტი ასე გვიხასიათებს. იმდროინდელი ქართული საზოგადოების კულტურულს დონეს: „არს ჟამი რაოდენიმე არლარა ისახელების ცოდნა თვინიერ წიგნის კითხვისა, და წერისა. გლობასიმღერისა და სამხედროსაგან კიდე და ჰგონებენ დიდ მცოდინარობად“.

გასაგებია, რომ ფილოსოფიური განათლებაც დიდად დაქვეითებული ყოფილა, და როგორც თვით ვახტანგიც შენიშნავს, „არლა დაშთომილიყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ფილოსოფოსთა“.

კულტურტრეგერმა მეფემ, „მამულის სულის განმამდიერებელმა“ „დიდად მოღვაწემ და სწავლა-შემატების გულისმოდგინემ“ (როგორც ახასიათებს მისი თანამედროვე) ენერგიულად მოჰკიდა ხელი ცოდნის დანერგვას და მის ფართოდ გავრცელებას.

უპირველესად თვით ვახტანგმა თარგმნა და სხვასაც ათარგმნინა სხვადასხვა სახელმძღვანელოები, რომელნიც ყრმა ქართველების გონებას „მეცნიერებად აღიყვანებდნენ“. ეს სახელმძღვანელოები დაწერილი იყო არა სქოლასტიკურ „ღვარჰნილ“ ენაზე, არამედ

„საერო სიტყვათა“, რათა მოსწავლეთ საგანი ადვილად შეეთვისებინათ. აღსანიშნავია, რომ ვახტანგი მომხრე იყო ცოცხალი, მღაბიო ენისა მწერლობაში.

ვახტანგმავე, მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით, თარგმნა სხვადასხვა კოსმოგრაფიული ნაშრომები („ქმნულების ცოდნის წიგნი“, „სტროლაბი“ და სხვ.), რათა საქართველოში „ისწავლონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსებად და ინებონ და შეასრულონ ქართულისა ენითა ფილოსოფოსობა“.

ვახტანგმა თავის გარშემო შემოიკრიბა ძირითადი კადრები ქართული მწერლობისა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ვახტანგის მფარველობის ქვეშ მუშაობდა ბრწყინვალე სამეული ქართული მწერლობისა—სულხან-საბა, დავით გურამიშვილი და ქართული ისტორიოგრაფიის დაუვიწყარი მოღვაწე ბატონიშვილი ვახუშტი („გვეყალობდეს, უხვად გვაძლევდეს, სწავლით შეილურებ გვზრდიდისა“—ამბობს გურამიშვილი). მწერლობისა და მეცნიერების პოპულარიზაციისათვის ვახტანგმა გამართა პირველი ქართული სტამბა თბილისში, „დიდითა საფასითა და წარსაგებელითა“ და „განამრავლა წიგნი“ „აღავსო და განანათლა ქვეყანა ჩვენი წიგნითა“. ეს იყო თავის დროისათვის უდიდესი დამსახურება რეფორმატორი მეფისა. 1709 წელს მან ამ სტამბაში მოასწრო დაბეჭდა (საკუთარი ხარჯით) ორი ქართული სახელმძღვანელო (ერთი ორიგინალური—„სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარს სწავლება მოწაფისა“, მეორე—„აითი ანუ ქმნულების ცოდნა“ სპარსულისაგან ქართულად თარგმნილი). თბილისის სტამბაშივე ვახტანგმა დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ საკუთარი კომენტარებით.

ვახტანგის თაოსნობით შემდგარ სწავლულ კაცთა კომისიის მიერ შეკრებილ და დადგენილ იქნა „ქართლის ცხოვრების“ წყაროები და დაწერილ იქნა საქართველოს ისტორია მე-14 საუკუნიდან.

და, ბოლოს, აღსანიშნავია ვახტანგის მიერ გრანდიოზული მუშაობა ცნობილი „ქილილა და დამანას“ თარგმანზე.

ვახტანგსავე ეკუთვნის სპარსული ეთიკურ-პოლიტიკური თხზულების „ამირან-ნასარინის“ პროზითი და ლექსითი თარგმანები. ვახტანგ მეექვსე ცნობილი პოეტია, ავტორი ლირიკულ ლექსთა კრებულისა.

აღსანიშნავია მისი ღრმა ლირიზმი, მისი ავტობიოგრაფიული ელგეები, მწირობაში [და გარდახვეწაში ნაცრემლი ლექსები. ამ მხრივ ვახტანგის პოეზიის მოტივად შეიძლება მოვიყვანოთ მისი ერთი ლექსი, სადაც იგი მოსთქვამს აკაკივით:

დამიმონა კავშირმა,
სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
ნალულად ვხმარობ მუდამ მელნად,
გულსა ვაწვებ მისად კალმად...

ვახტანგის ლირიკა, შეიძლება ითქვას, არის ავტობიოგრაფიული ერიმიადა, ეკლეზიასტური ლაღადი, რომლითაც იგი გამოირჩევა. შესანიშნავია მისი მოგონებანი უცხოეთიდან სამშობლო ქვეყნის შესახებ:

რა სჯობს მისში ტფილისსა,
ვარდი ვარსკვლავებზე ვსხასა.

მშვენიერია შემდეგი ლირიკული სტრიქონები:

ორნივ ერთად ვთამაშობდით,
შენ ქურციკი, მე ავაზი,
მე სუმბული უღვაშითა,
შენთან თმითა მუშკ-ავაზი;
შენ ვარდი და მე ბულბული,
შენ კაკაბი, მე გავაზი,
შემეყრები, პირს გაკოცებ,
მომეწყინა მე თავაზი...

ცნობილია, აგრეთვე, ვახტანგის სასულიერო ლექსები, მაჯამა, ანბანთ-ქება. ცალკე აღსანიშნავია ვახტანგის ნოვეტორობა ქართულ ვერსიფიკაციაში და მისი გავლენა თავისი დროის მწერლობაზე, განსაკუთრებით, დავით გურამიშვილზე (რაც უკვე აღნიშნულია ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში).

• •

ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობიდან ყველაზე მეტად აღსანიშნავია მის მიერ გადადგმული ნაბიჯები საქართველოს ევროპეიზაციისათვის როგორც პოლიტიკის, ისე კულტურის სფეროში. ამ მხრივ იგი განუხრელია და მეტად პრინციპული. ერთი მთავარი მომენტი ამ მოღვაწეობისა არის რუსეთის ორიენტაციის კურსის აღება. რუსეთთან დაახლოება და კავშირი ვახტანგის არსებითი პოლიტიკური პროგრამა იყო.

რუსეთი ვახტანგისათვის იყო არა მარტო ძლიერების განხორციელება, არამედ კულტურისა და განათლების სიმბოლოც. კულტურულად საქმაოდ დაქვეითებული ირანი და უფრო ველური თურქეთი ხელს უწყობდნენ საქართველოს რეგრესის გზაზე დადგომას, მისი ბუნებრივი ზრდის შეჩერებას. ამ ბარბაროსული რკალიდან

თავის დასაღწევად ვახტანგმა, ვიდრე რუსეთს მიმართავდა, ნიადაგი მოსინჯა ევროპის ქვეყნებში. მან მიმართა რომის პაპს, შემდეგ ავსტრიის იმპერატორს სთხოვა „შეწევნა და მფარველობა“, ბოლოს „ფრანკისის მეფეს“, ლუი მეოთხემეტეს აახლა თავისი ელჩი, სულხან-საბა ორბელიანი და დახმარება სთხოვა, მაგრამ იმედი რეალური დახმარებისა სულ ამოა აღმოჩნდა... მან მალე დაკარგა ენთუზიაზმი. ბოლოს თავისი მიდრეკილება ევროპის კულტურისაკენ წარმართა რუსეთის გზით. ამიტომ, როდესაც ჩრდილო კავკასიაში და კასპიის ზღვის სანაპიროებზე განმტკიცებულმა რუსეთმა ფეხი შემოადგა ამიერკავკასიაში, როცა ვახტანგმა მიიღო პეტრე დიდის წინადადება, ერთად გავილაშქროთ ირანის და თურქეთის წინააღმდეგო, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მოგვარებული ჰქონდა ურთიერთობა ამ ორივე სახელმწიფოსთან, „განუტევა ყოველნი და აღირჩია რუსთა მეფე, რამეთუ ჰგონებდა განთავისუფლებასა“. რუსეთი დიდ დაპირებებს იძლეოდა საქართველოს განთავისუფლებისა და აყვავებისას უძლიერესი ქრისტიანული სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ. ვახტანგის წინაშე იშლებოდა პერსპექტივა არა მარტო განთავისუფლებისა ირანისა და თურქეთის მონობის უღლიდან, არამედ საქართველოს ძველი დანაკარგის, საქართველოს ძველი მიწებისა და საზღვრების დაბრუნებისაც თვით „კაპადოკიამდე“.

გასაგებია, რომ პეტრე დიდის წინადადებას ვახტანგი დიდი აღტაცებით უნდა შეხვედროდა:

ვითარ ირემსა მაშვრალსა,
წყაროსა წყალი სწყუროდა,
აგრეთ მეფესა, რუსეთის ხელმწიფის
ნახვა სწყუროდა.

ვახტანგი მტკიცედ დააღდა რუსეთის ორიენტაციას, მიუხედავად ფურქეთისა და ირანის საშინელი მუქარისა.

„ამ საქმით ყუენიც დაგვემღურა, კახთ ბატონიც აგვეშალა, და ხონთქარიც წყინობს, მაგრამ ჩვენ ჩვენი თავი მაგათს ერთგულებასა და სამსახურზე დაგვიძს, რაც უნდა გარდაგვხედეს, წამებათ შეგვირაცხია, ოღონდ ეს იქნას“. — სწერდა ვახტანგი პეტრე დიდს.

რუსეთის ორიენტაციას სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა აგრეთვე შინაური ოპოზიცია, რომელსაც წარმოადგენენ მისი დიდებულები, თვით მისივე ძმები და, ბოლოს, მემკვიდრე („მამა რუსეთს იზიდავდა, შვილი ყუენისა კარა“ — ამბობს დავით გურამიშვილი):

არც ჩვენ ვსწუნობთ, კარგი არის,
თუ ეგ საქმე მალ მოხდების,
მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ,

ყველა ჩვენზე წამოდგების,
ვინემ რუსნი გვიშველიან,
მანამ ჩვენი გარდაცვლების.

მოწინააღმდეგენი უჩიოდნენ ვახტანგს, რომ მან „მესამე საბელა კიდეე მოიბა“, ასეთ პირობებში ვახტანგს ძლიერი ნება და დიდი სწრაფვა უნდა ჰქონოდა რუსეთისადმი, რომ თავისი გაეყვანა.

როგორც ვიცით, ვახტანგის პოლიტიკური იმედები ჩაიშალა. თვითმპყრობელური რუსეთი და თურქეთი მორიგდნენ ირანის ხარჯზე. ვახტანგმა ვერ მიიღო პეტრე დიდის მიერ შეპირებული დახმარება. ჯერ ლეკების, შემდეგ თურქებისა და ირანელების შემოსევათა მიზეზით, იგი იძულებული გახდა გასცლოდა საყვარელ სამშობლოს. 1724 წელს იგი გადასახლდა რუსეთში, „მკვიდრი მეფე უმკვიდრო შეიქმნა და სხვის თემად გარდიკარგა“.

რუსეთში წასულ ვახტანგს კიდეე ჰქონდა იმედი საქმის გამოსწორებისა, მაგრამ ამაოდ. 1724 წელს, კონსტანტინეპოლში დადებულმა ტრაქტატმა ბოლო მოუღო მის იმედებს. ვახტანგის პიროვნებას აღარ საჭიროებდა იმპერიალისტური რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის პროგრამა. ვახტანგის პოლიტიკური წონა უკვე დაკარგული იყო. მას განუცხადეს რუსეთის კარიდან, რომ თავისი სამეფოს დაკარგვის მიზეზი თვითონ იყო და არა სხვა ვინმე.

დიდმპყრობელურმა კარმა თავის მოკავშირე ქართლ-კახეთს, რუსეთსა და ჩრდილო კავკასიაში გადასახლება შესთავაზა. ამიტომ იგი დიდ უკმაყოფილებას აცხადებდა, რომ რუსეთში გადახვეწილი ვახტანგის ამაღლა ორი ათას სულს არ აღემატებოდა. ვახტანგის ემიგრაციამ შექმნა მხოლოდ მოსკოვის ქართული კოლონია, რომელმაც დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ჩაატარა და ხელი შეუწყო საქართველოს რუსეთთან დაახლოების საქმეს.

სამშობლოდაკარგული ვახტანგი მწირულად ცხოვრობდა მივარდნილ ქალაქ ასტრახანში; აქ იგი საბოლოოდ მიხვდა, რომ რუსეთიდან რეალური დახმარების მიღების იმედი ჯერ მეტად ნაადრევად იყო; მწარედ უნდა ეგრძნო ვახტანგს რომ მისმა პოლიტიკამ მისი „პირველი მოსავალი დასეტყვა“.

მოვიდა ქარი ხორშაკი,
ანაზღათ სამ მეცა და,
ვერ მოვიფარე საფარი,
დამწვა სხვებთანა მეცა და,
რა მწვე მიჯობდა, სიბრძნითა
თავი სხვარიგად მეცადა ..

პოლიტიკური დამარცხების შემდეგ სულიერად დაღლილი, ნივთიერ სახსარს მოკლებული იგი ეწეოდა კარჩაკეტილ, ასკეტურ ცხოვრებას. თავის უბედობას იგი სტოიკურად ითმენდა და ყოველდღიურ სამუშაოდ მისთვის ისევ მშობლიური მწერლობა რჩებოდა.

ის ამბობს ერთგან:

სულ დამიქცია სამყოფო
სახლი, სართული, ბანია,
მეფობის ნაცვლად სოფელმან
მიბოძა ლექსობანია.

ვახტანგი გარდაიცვალა ასტრახანში 1737 წელს.

ასეთი იყო ვახტანგ მეექვსის პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი, მეცნიერული და ლიტერატურული მოღვაწეობა.

იგი უსათუოდ დიდ ადამიანად იყო დაბადებული, მაგრამ პოლიტიკურმა უამინდობამ ვერ გააშლევინა ფრთები მის ნიქს, მის ფართო პოლიტიკურსა და კულტურულ გეგმებს. იგი არ იყო ღირსეულად შეფასებული თავისი თანამედროვეებისაგან; პირიქით, მაშინდელი ქართული საზოგადოებისაგან მან მრავალი დევნა, ლაღატი და სიმწარე განიცადა. „ჩემი ჭირი ქვეს ჰქონებოდა, დააღწობდა, ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს ააფსებდა“ — ტყუილად კი არ ამბობს იგი ერთგან.

ვახტანგის უბედობის დამახასიათებლად ისიც კი კმარა, რომ სამშობლოს სიყვარულით დამწვარმა დიდმა პატრიოტმა თავისი სიცოცხლის 62 წლიდან ოცი წელი სამშობლოს გარეთ გაატარა, მისმა ახალგაზრდობამ სხვადასხვა ადგილებში ბრძოლებსა და ხეტიალში განვლო (ერთ დროს თურქებთან მძევლადაც კი იყო) და როგორც თვით იტყვის),

სიყრმითგან ჩემი მწირობა,
კაცთაგან მოუგონარი;
რა სიგლაზაკე, სიმშილი,
სიშიშველ დასაღონარი.

ჩვენ შესაფერი პატივით უნდა აღვნიშნოთ სახელი კულტურტრეგერი მეფის, ღვაწლმოსილი, ზნეობრივად ძლიერი ადამიანისა, რომელმაც მოღვაწეობის ეკლიანი გზა განვლო. მიუხედავად სასტიკი უბედობისა და დაბრკოლებებისა, იგი მტკიცედ ესწრაფებოდა იმ გზას, რომელიც მის სამშობლოს არათუ მიწიდან აღგვას გადაარჩენდა, ბრწყინვალე მომავალსაც მისცემდა.

ცხოვრება ღვაწით გურამიშვილისა

დავით გურამიშვილი დაიბადა 1705 წელს, საგურამოში, ანუ მისს ზემო უბან „გორის-უბანში“, რომელიც ზედაზნის მთის კალ-თაზე იყო შეფენილი, (ილია ჭავჭავაძის სახლიც, ჩვენი აზრით, ძველ „გორის-უბნის“ ტერიტორიაზეა აშენებული)¹.

გურამიშვილი წარმოშობით არის მესხი—ძველი ისტორიული გვარის ზევდგენიძეთა წამონაყარი. საგურამოს პირველი მფლობე-ლი და გურამიშვილიანთ წინაპარი—გურამ ზევდგენიძე მე-15 საუ-კუნის დასაწყისში ცხოვრობდა.

საქართველოს დანაწილების შემდეგ საგურამო უკვე კახეთის ფარგლებში შედიოდა და გურამიშვილებიც კახ-თავადებად იხსე-ნიებიან. კახეთის მეფეთა კარზე მათ საპატიო თანამდებობანი ეჭი-რათ და მეფობის მოშლამდე ქვეყნის ცხოვრებაში შესაფერ მონა-წილეობას იღებდნენ.

პოეტის მამა გიორგი გურამიშვილი (ჩვენი გამოკვლევით,—ზიო-შის-ძე) ისტორიაში არაფრით არის ცნობილი. ჩვენ არა ვიცით რა პოეტიის დედის შესახებ, რომელიც ღირსია მოხსენებულ იქნეს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. დ. გურამიშვილი ღრმა სიბე-რემდე არა ერთხელ დიდი გულისტკივილით იგონებს თავის სახლ-კარს, „მკვიდრად აგებულ სახლს“ გორის-უბანში, რომელსაც ამ-შვენებდნენ თურმე „ბალთ-ხეივანი“, „გარს გალაფანი“.

პოეტის ოჯახი კაცმრავალი ყოფილა. დები და ძმები რომ ჰყო-ლია პოეტს, ეს მისი ლექსებიდანაც ჩანს:

დედ-მამა, ძმანი დაკვარგე, არ ვიცი, დანი სად არი?—

ამბობს იგი ტყვეობაში.

პოეტი დაბადებიდანვე უჩივის „შავ ბედს“:

რად მშვა დედამან, შავმან ბედამან,
გამხარდა კირით...

¹ გორის-უბნის ადგილმდებარეობა ჩვენ 1934 წელს დავადგინეთ.

პატარა დავითი ძველი ფეოდალური ჩვეულებისამებრ გაუზარებიათ ძიძისათვის, რომელსაც ასე ემღერის: „ბევრჯელ მატირის მუცლითა მშივრით“.

ვინ იყვნენ დავითის აღმზრდელები, არ ვიცით. ჩვენი აზრით, პოეტის აღზრდაში უპირველესი მონაწილეობა უნდა მიეღო მეზობლად მდებარე მცხეთის მაშინდელ კულტურულ ცენტრს. ვფიქრობთ, დ. გურამიშვილს მცხეთაში—სვეტიცხოველში უნდა ესწავლა „წიგნი და გალობა“. სწორედ აქ აღიზარდა დიდი სულხან-საბა ორბელიანიც: „მწვრთიდა მცხეთელი ზედგინიძეთ სახლია ძე ბერუკა და სიმღერის სრულობას ნწვრთიდა იაშვილი გიორგი, მზდიდნენ სათუთად და ნებიერად“—გვიაზრობს თვით სულხან-საბა.

დ. გურამიშვილი ბევრჯან ჩივის „სწავლის სიმოკლეს“, „უწვრთნელობას“, „ცრუნა-მცირობას“. მაშინდელ საქართველოს მძიმე პოლიტიკურ პირობებში დ. გურამიშვილს არც შეეძლო სისტემატური განათლების მიღება, მაკრამ მისივე ლიტერატურული მემკვიდრეობა გვაფიქრებინებს, რომ იგი შესაფერ აღზრდას მაინც არ უნდა ყოფილიყო მოკლებული.

გურამიშვილის დრო ყველაზე ტრაგიკული პერიოდია საქართველოს ისტორიაში, როცა, ერეკლე II სიტყვებით რომ ვთქვათ, „ოსმალნი პირ-აშკმულნი ვეშაპებრ და სპარსნი მბრდღვინავ ლომებრ და ლეკნი განძივინებულ მგლებრ კბილ-მოდრკენით“ თავს ესხმოდნენ საქართველოს. პოეტის სიჭაბუკეში, ქართლ-კახეთი ამ უწყალო დაუძინებელ მტერთა მეოხებით ერთ დიდ „ნათიალევს“ წარმოადგენდა.

პოლიტიკურ დაცემასთან ერთად, იმ დროის ფეოდალურ საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ზნეობის დიდი შერყვნაც. მემატინანეს სიტყვით, სწორედ ამ დროს „შემოხდა უმეტეს პირველისა ქკევა და ზნენი ყიზილბაშთა. და დაუტევებდნენ ქართულთა, იწყეს კეკლუცობა, განცარობა. მათებრ სმა-ჰამა, სიბილწე, ტყვის სყიდვა, მრუშება ვიდრე სოდომიამდე“, დ. გურამიშვილის სიტყვისა არ იყოს,—

შეიქმნა დიდი მტერობა,
ქმნა ერთმანეთის ძვირისა,
ამპარტავენება და შური
ურცხვად გატეხა პირისა.

ასე, მაგალითად, თვით გურამიშვილის კარის მეზობელი მცხეთელებიც აღიარებენ: „ღიად, ეშმაკი მოგვერია და ჩვენის ცოდვისა-

¹ „ლიტერატურული გაზეთი“, 1955, № 40.

გან ერთმანეთის დიდი შური და მტრობა გვექონდა, რომ რასაც დღეს ერთმანეთს დავახელებდით. არც საჩხუბრად და იეშურებოდით, არც საბეზღარად“. საერთო დემოკრატიზაციის დროს, გურამიშვილთა გვარშიც „შფოთი და შერყეულობა“ ყოფილა, ერთმანეთთან დავა, კინკლაობა, ინტრიგა, „სარჩელი და საჩივარი“, როგორც ჩანს მათი საგვარეულო საბუთებიდან.

ასეთ ვითარებაში იზრდებოდა „ქართლის ქირის“ დიდი მოზარე.

პოეტის მამის ოჯახი გვარის მთავარ, „ჯფროსს სახლს“ არ ეკუთვნოდა, წარმოადგენდა რა გურამიანთ გვარეულობის უმცროსს შტოს, მესამე-მეოთხე ხარისხის ოჯახს. გიორგი გურამიშვილს არც რაიმე სახელო უნდა სკეროდა კახთა მეფეთა კარზე, რადგან არც ერთ საბუთში იგი არ მოიხსენიება სამეფო კარის მოსაქმედ ანუ მოხელედ. ამიტომაც იგი თავისს განაყოფებში, სხვაზე ღარიბად მოჩანს.

გიორგი გურამიშვილის და მისი ყმების ეკონომიურ შესაძლებლობაზე ერთი პატარა ფაქტიც კარგად მეტყველებს: 1713 წ., როდესაც გიორგი გურამიშვილის ერთ-ერთმა ყმამ ცხენი მოჰპარა ბატონის განაყოფს, მაშინ პოეტის მამამ დაზარალებულის დასაკმაყოფილებლად, რადგან ყმას საზღვაურად არა გააჩნდა რა, შვილი წაართვა და მისცა ცხენის პატრონს.

უნდა გავიხსენოთ, რომ სწორედ პოეტის დაბადების ახლო წინახანებში, საგურამო მოიხრდა ერეკლე I და გიორგი XI ურთიერთ ბრძოლების დროს ანუ „ორიანობაში“. გარეშე მტერთა შემოსევამ და შინაურმა უთანხმოებამ, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო გურამიანთა ოჯახის დაქვეითებასაც. მაგრამ მთავარი რისხვა როგორც გურამიშვილებისა, ისე მაშინდელ ქართლ-კახეთისათვის მაინც დალისტინის ფეოდალთა აბრაგების მუდმივი შემოსევა იყო. დავით გურამიშვილის ყრმობისა და სიკვამლის დროს, „ლექმა ძალი წამოატანა კახეთს“, „დღე არ გამოვა, რომ არსად მოუხდეთ და ყოველთვის ომი არ იქნას,—ჩივის კახეთის მეფე დავითი,—ხან ჩვენი ჯარი პასუხს აძლევს და ზოგან ჩვენს ჯარს გაემარჯვება ხოლმე, მაგრამ ამოდენი ომი და ხმალის ქვეშ ყოფა, კაცისაგან არ გაიძლება და ამაში ამ ქვეყნის (კახეთის, გ. ლ.) კაცი დიად შესჯერდა. გლენმა კაცმა სამუშაოდ ველარ მოიცილა და ყანა რაც მომკეს, ისინი (ლეკები) სწვენ“. იგივე დავითი ჩივის, რომ გაღმა კახეთი გალექდა, რომ 1720 წელს „ქიზიყი სულ დაწვეს, აყარეს და შენობა აღარა გაუშვეს რა“.

ასეთ მდგომარეობაში იყო იმ დროს პიროვნულად და ქონებ-

რივად უუფლებო ქართველი გლეხი, რომელსაც გარეშე მტერთან გამკლავება და, იმავე დროს ფეოდალთა მძიმე უღლის ტარება უხდებოდა.

„საქართველოს გლეხი იმდენად ღარიბია, რამდენადაც ხარბია მისი ბატონი“, — ტყუილად კი არ შენიშნავს მე-18 საუკუნის უცხოელი მოგზაური. — „ომების გამო მამული შეუმუშავებელი რჩება და როდესაც ქართველი გლეხი თავის ცარიელ ქოხში ბრუნდება, თავისი ბატონის უწყალო მოურაავებსა ჰხედავს, რომელნიც ხარჯის გადასახდევინებლად არიან მოსულნი და ასაკლებად არ დაზოგავენ“, — ამბობს იგივე.

დ. გურამიშვილი კარგად იცნობდა „ცხელის ოფლითა დამწვართა“, „ჩრდილ-ქვეშ მიუქარავთა“. მისი სიმჰათიები მიმართული იყო მშრომელი გლეხობისადმი, ვინც ცხოვრობდა მხოლოდ „ოფლითა ცხელითა“, რის დამადასტურებელია მისი სათხოვარიც მებატონეებისადმი:

გლეხი მდაბიო.

—...რომ არ არბიო,

გქმნას კეთილ მსაჯულად,

არეინ ჰყო ტანჯულად

უსამართლობით.

მატიანეს არა აქვს მოხსენებული, მაგრამ მთელი რიგი საბუთებიდან ჩანს, რომ გურამიშვილის ყრმობაში, სახელდობრ, 1712-1713 წლებში, დიდი შიმშილიანობა ჩამოვარდნილა ქართლ-კახეთში: „მას ჟამსა როდეს დიდი შიმშილობა იყო, რომე დედა შეილს არა იხსნიდა“.

ამ მღელვარე დროისათვის ასევე აღსანიშნავია გლეხთა მოძრაობანი აგრარულ ნიადაგზე, სწორედ საგურამოს რაიონშიც.

სიკაბუკის დღეებში დ. გურამიშვილს შეეძლო ის ნათელი დღე მოეგონებინა (სახელდობრ 1719 წ.), როცა კახთა ჭმეფე დავითი მოვიდა საგურამოს, ქართლის მეფე ვახტანგთან შესახვედრად და მასთან ერთად ლეკების წინააღმდეგ ჯბრძოლის ღონისძიებათა გამოსამუშავებლად. შეფეებმა ერთი პირის დასადგენად „განაახლეს სიყვარული და ჰქმნეს პირი: და მოსცნა სპანი ვახტანგ და წარვიდენ“ (ვახუშტი). ექვი არაა, ერთობის ამ აქტის მოწმე და დამხედური უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა პატრიოტი დ. გურამიშვილი.

1721 წელს, 16 წლის პოეტს უნდა შეერთო ცოლი, როგორც მისი პოემის „ქაცვია მწყემსის“ ერთი ადგილი გვაფიქრებინებს. ყოველ შემთხვევაში, როცა პოეტი დაატყვევეს, იგი უკვე დაქორ-

წინებული ყოფილა. ტყვეობაში, მძინარეს ესმის გაპარვის შემგუ-
ლიანებელი ხმა:

დამაწვეწვლმან აქ შენგან, აღარ დაგაწვინაო.
მასთან გიბრძანა დაწოლა, ვისთანაც გაქორწინაო.

ან კიდე იმავე „ქაცვია მწყემსში“:

შენ რატომა ჰქენ, რად მოიხდინე.
თექვსმეტი წლისამ რაც ჩაიღინე?
საცოლო აცდინე... და სხე.

პოეტი სხვაგანაც შენიშნავს: თავის აღრიან დაქორწინებას, სა-
ხელდობრ, ლექსში „გოდება დავითისა“, იგი ნანობს „მცნების
გარდახდომას“, „ვერ დათმენას“.

* *

ვახტანგ VI-ის კულტურული და სამეურნეო მოღვაწეობა საკმაოდ
ცნობილია და ჩვენ აღარას ვიტყვი. განსაკუთრებით პოპულარუ-
ლი უნდა ყოფილიყო მისი სამეურნეო მშენებლობა: გაკაფულ ტყე-
ებზე სოფლების აშენება და უდაბურ ადგილებში სარწყავი არხე-
ბის გაყვანა, მებარეშუმეობისათვის, მევენახეობისათვის, მესაქონლე-
ობისათვის ხელის შეწყობა. მაგალითად თავისი სამეურნეო მოღვა-
წეობის, ერთი ფაქტის შესახებ ერთს უცნაობ საბუთში ასე გადმოგვ-
ცემს თვით ვახტანგი:

„ოდეს ვიგულმოდგინეთ ხელგყავი გამოღმა ხიდურის ბოლოს,
ავლავრის სათავეში წყალი შევმატეთ, მერმე იქიდან გარდავაქცე-
ვინეთ. და სხვა ახალი. მოუგონარი და უცილობელი რუ გამოვი-
ღევით და ყიზილყალას ჩავიტანეთ. იქა და ამას ზეით, ჩვენი სახა-
სო დიდი ურწყავი მინდვრები სარწყავად გავხადეთ, იმაში შენობა
მოვინდომეთ“. ვახტანგის მიერ შეზღუდული უკმაყოფილო ფეო-
დალები ყოველმხრივ ებრძოდნენ კულტურულ მეფესა და მის საქ-
მიანობას. თუ მეფემ რამდენიმედ სცადა მათი აღაგმვა, სამაგიეროდ
ქართლის დიდებული თავადები და თვით ვახტანგის ძმები ფარულ
ინტრიგებს აწყობდნენ მის დასამზობლად. ყაენის კარზე მუდმივი
დაბეზლებით, ბოლოს მათ თავის საწადელს მიადწვიეს და 1712
წელს ვახტანგს ქართლის ტახტი ჩამოართვეს და მის ნაცვლად ნი-
სივე ძმა, ცბიერი იესე დანიშნეს.

1719 წელს ვახტანგ მეფე სპარსეთის ტყვეობიდან დაბრუნდა
და ისევ განავო ქართლი. 1722 წელს გარდაიცვალა დავითი—კახ-
თა მეფე, რომელიც სასურველ ურთიერთობაში იყო ვახტანგთან;

ყოველ შემთხვევაში, ორივე მეფე შეთანხმებით მოქმედებდნენ. მაგალითად, ლეკების წინააღმდეგ კახეთის მეფედ ყაენმა დავითის ძმა, სპარსეთში აღზრდილი კონსტანტინე, ერეკლე I-ის ბუში დანიშნა, იგი დიდხანს იყო ისპაჰანის ტარულად, შემდეგ ერევნის ხანად და დიდის გავლენით სარგებლობდა ყაენის კარზე. როგორც ყაენის მიერ „შვილურათ გაზრდილი“ და სიძე ირანის სპასალარისა. ვახტანგსა და კონსტანტინეს არც მანამდე ჰქონდათ კარგი ურთიერთობა, „ერთმანეთზე გულძვირად იყვნენ“ (სენხია ჩხეიძე), მაგრამ ახლა კი; ცალკე სპარსეთის წაქეზებით, ცალკე ქართველ ფეოდალთა მუხანათური მუშაობის წყალობით, ამ ორ მეფეს შორის დიდი შულლი ჩამოვარდა. შულლის გამწვავებას თვით ვახტანგი სპარსეთის ინტრიგას აბრალებს. 1722 წლის საბუთში იგი გვამცნობს: „ყიზილბაშთა ჩვენს და კახეთს შუა ჩხუბი, მტრობა მოახდინეს“; „დაუნდობელთა ყიზილბაშთაგან ჩვენსა და კახეთს შუა ჩხუბი, მტრობა მოახდინეს“. ქართველი თავადების,—არაგვისა და ქსნის ერისთავების, ორბელიანების, ციციშვილების შეთქმულებას მეთაურობდნენ—ვახტანგის ძმა,—ნამეფარი იასე, რომელიც ვახტანგის „მტერი და ქიშპი“ იყო, გიორგი არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი შანშე და სხვ. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მტრის მოძალბას. ლეკიანობა „მარადის იყო ესე ვითარი კირთება ლეკთაგან კახეთსა შინა“. ლეკთა აგორებული ტალღა იდენად მძლავრი გახდა, რომ წალეკა არათუ ქართლ-კახეთი, არამედ ყარაბაღი, შაქი, შირვანი და ქ. არდაველიც კი ააფორიაქა. სწორედ ამ დროს, როცა შეერთებული ძალებით ბრძოლა იყო საჭირო სიერთო მტრის წინააღმდეგ, მოხდა ვახტანგის და კონსტანტინეს სამშუხარო გადაკიდება და შეცილება. „მაჰმადიანი, ამაყი და მესისხლე“ კონსტანტინე დაბეჯითებული სპარსოფილი იყო, ხოლო განათლებული ვახტანგის პოლიტიკური პროგრამა — შორეულ რუსეთთან კავშირს ღალატებდა. რუსეთი იყო მისთვის „განხორციელება არა მარტო ძლიერებისა, აგრეთვე ცოდნისა, მეცნიერებისა, სიბრძნისა და წესრიგიანობისა, ვახტანგი ჯერ კიდევ სიჭაბუკეში, ქართლში გამეფებამდე აპირებდა რუსეთში წასვლას, იმდენად დიდი იყო მისი სწრაფვა რუსეთისადმი. ასევე, სპარსეთში ტყვეობის დროსაც, (1715 წელს), მისი ბიძაშვილის—არჩილის ასულის დარეჯანის პირით იგი შუამდგომლობდა რუსეთის კარის წინაშე, რათა გაეთავისუფლებინათ ტყვეობიდან და რუსეთში მიეღოთ.

1720 წლიდან პეტრე პირველი სპარსეთზე ლაშქრობას აწყობდა კასპიის ზღვის სანაპიროთა ხელში ჩასაგდებად, როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ისე ეკონომიურ-სავაჭრო მოსაზრებებით. ამ

ხაზად რუსეთმა სცადა, საქართველო თავისით დაეკავშირებინა. 1720 წელს პეტრე პირველმა ასტრახანის გუბერნატორს ვოლინსკის დაავალა ვახტანგის საშენდრო მოკავშირედ მიმხრობა, რასაც ქართლის მეფე დიდი სიხარულით შეეგება:

ვითარ ირემსა მამურალსა
წყაროსა წყალი სწყუროდა,
ეგრეთ მეფესა რუსეთის
ხელმწიფის ნახვა სუროდა

შემდეგში, 1721 წელს, როცა პეტრე პირველმა ვახტანგს ელჩი გამოუგზავნა (ლევ ტოლსტოის პაპის პაპა) და სამეფო რჩევაზე ვახტანგმა პეტრეს მოკავშირეობა გადაწყვიტა, მაშინ,—

ვინც არ ემოწმის ამაზე,
ერთგულად არ უყუროდა.

სპარსეთის კარმა შეიტყო ვახტანგის განზრახვები და 1723 წლის, 10 იანვარს ჩამოართვა ქართლი და თავის ერთგულ კონსტანტინეს უბოძა.

წინააღმდეგ ვახუშტის და სხვათა შეხედულებისა, კონსტანტინე დ. გურამიშვილს გამოჰყავს გონიერ პოლიტიკოსად, რომელსაც კარგად ესმის ძალა ერთობისა და მიზეზიც საქართველოს დაქსაქსვისა, რაც ჩვენ ნაწილობრივად გადაქარბებულად მიგვაჩნია. ასე, დ. გურამიშვილი ათქმევინებს კონსტანტინეს:

თუმცა მიბოძა ყვენნა,
არ მხამს მიღება ქართლისა,
ამად, რომ მტერთან დამდნარნი
ვართ, ვით ნალენთი სანთლისა
მე მტრად სხვანიც მყოფიან,
ძმასა რადლა დავმტერდები:
იმას ისევ ქართლი ჰქონდეს,
მე ჩემს კახეთს დაუჯერდები¹,
ყვენს შიშით თავდიგანვე
გაუხდივართ ერთი-ორად,
ახლა როდის შეგვეერთებს,
საქმე გვიგდო მოსალორად,
ქართლი მომცა ძმათ საჩუბრად,
ამხანაგთა მოსაშორად.

¹ კონსტანტინემ, ვახუშტის სიტყვითაც, სამეფო თათბირზე განაცხადა „უცი-
ვართ მყოფ და ვჭკონებ იმყოფის ამით შოთი დიდი. აწ მნებაეს, რათა წარუ-
გზავნო რაყამი და ვაცნობო ვახტანგს, ამითი იქნას უმესი სიმტკიცე ჩვენ შორის“.

პოეტის სიტყვით, კონსტანტინემ მტკიცედ გადაწყვიტა ყენის ბრძანების გატეხა:

„მე ჩემს ძმაზედ სამტეროდა
არაოდეს ჯავრს არ ვიყრი“.

სამეფო საბჭოზე კახეთის დარბაისელნი და ეპისკოპოსნი წინ აღუდგნენ კონსტანტინეს:

სჯობდა, რომ აღასრულო
ეს ბრძანება, რაც წინ გიძე.
* * * * *
რაც ლმერთს შენთვის მოუცია,
რალათ ჰკარგავ შენის ნებით?
ჩვენ თუ იმის (ყენის) ბრძანებისა
წინაღმდგომად შევექნებით.
ვით თქვენ ბრძანებთ: ვართ დამდნარნი,
მაგით უფრო დაცავდნებით.

კონსტანტინე მინც არ გაჰყვა კახელების რჩევას, პირიქით, მან ვახტანგს ერთობის წერილი გაუგზავნა:

თუმცა მიბოძა ყენმა,
მე ჰართლსა არ გეცილები.
გარს მტერთა ცეცხლი გვედების,
შუვა ჩვენ ვსდნებით ცეცილები,
სჯობს, რომ ჩვენ ერთნი შევიქნათ,
ეგებ გვეღირსოს ძილები.

მაგრამ კახელმა ფეოდალებმა ხელახლა გაილაშქრეს თავისი მეფის წინააღმდეგ და ბოროტი იესეს მეთაურობით ვახტანგისა და კონსტანტინეს მოსალაპარაკებელი „შეყრა ჩაშალეს“.

პირადი ინტერესებით გატაცებული ფეოდალების მეოხებით მალე ძმათა ომი დაიწყო. 1722 წ. „ვახტანგზე შემომწყრალმა კონსტანტინემ“ მოიყვანა ლეკნი, წარუძღვნა კახნი და ძოსტყვევნეს სრულიად ლილოები“ (ვახტანგის სახასო სოფელი ლილო), როგორც ვახტანგის ნაპირი ალაგი. მალე ვახტანგმა სამაგიერო გადაუხადა კონსტანტინეს: ვახტანგის ბრძანებით, მისი შვილი ბაქარი და ძმა იესე „მივიდნენ მცხეთას და მოარბევდიან საგურამოს“, როგორც კონსტანტინეს სანაპირო მამულს (ვახუშტი). ამნაირად, ძმათა ბრძოლის პირველ მსხვერპლად სწორედ გურამიშვილის სამშობლო სოფელი და კუთხე გამხდარა. ექვი არაა, ამ რბევაში დავითის ოჯახიც დაზარალდებოდა. ამის შემდეგ მთელი საუკუნის მანძილზე საგურამო „ლეკის გზაზე“ აღმოჩნდა.

ბოლოს, კახელ ფეოდალთა ზემოქმედებით, გარდა სპარსელე-

ბისა, რომელნიც მას ახლდნენ, კონსტანტინემ დაიქირავა ლეკის ჯარი, მოიხზრო განჯის ხანი დაუდი, „მოვიდა დასდგა ავლაბარს“. ვახტანგს, ქართლელების გარდა, ეხმარებოდნენ იმერლები და რაქველები, ხოლო კონსტანტინეს, სპარსეთის გარდა, ხელს უწყობდა ქართლის არისტოკრატიის ნაწილი—არაგვისა და ქსნის ერისთავები, ორბელიანები, რომელნიც თბილისის ბრძოლაში მოღალატურად შემოეცალნენ ვახტანგს და თავის მამულებში წავიდნენ.

სამი თვის ბრძოლების შემდეგ, 1723 წლის 4 მაისს, თბილისი აღებული იქნა კონსტანტინეს ძიერ ლეკების და ყიზილბაშის ჯარებით. მათ აიოქვე დასცეს ქალაქი.

სალხინოს დღეს მოქალაქე
დიად, ავად შეაქცივეს,
წამოუხვენეს საქონელნი,
სახლ-დუქნები დააქცივეს,
დაამარცხეს ქართველთ ჯარი,
ვახტანგ მეფე გააქცივეს,
თეთრსა მტკვარსა წითლად ღებდა,
რაც მათ სისხლი დააქცივეს.

თბილისის უბედურებას ვახტანგი ასე ატყობინებდა პეტრე პირველს: „ქვეყანა ხომ გააოხრეს, ხუთს ალაჯზე ქალაქის გარაშემოში სოფლები სულ გააოხრეს და შენობა მოშალეს. ტყვე მრავალი დაატყვევეს. ერთ არ მოიხსენება აქაური ქირი“.

სწორედ ამ დროს აინგრა დ. გურამიშვილის ბუდე—გორის-უბანი, რომელიც მას მერე სრულიადაც გაქრა რუკაზე და მერე აღარც აღორძინებულა; როგორც თვით პოეტი აღნიშნავს, მისი სახლი მტერს გადაუწვავს.

კონსტანტინეზე ჯაგრის ამოსაყრელად ვახტანგმა მიიწვია ოსმალნი, რომელთაც იგი იმავე 1723 წლის ივნისში თბილისი დაიქირეს. ცხადია, კონსტანტინეზე შურისძიებით აღძრულ ვახტანგს დიდი შეცდომა მოუვიდა:

მეტად უზომოდ გაჯავრდნენ,
ვერ გასძლეს გულის ჯაგრნია,
აჩქარდნენ, ველარ გასინჯეს
მათ საქმე ნასინჯარნია,
მტერს ნებით კარი განუღეს,
მაგროვნად დანაჯარნია.
კახთ იხმეს ლეკნი საშველად,
ქართველთ-ოსმალს ჯარნია.

ოსმალებმა მოათავეს ლეკებისაგან ამოწყვეტილი და დატყვევებული ქართლ-კახეთი, „ქართლი მოთხარეს სრულებით“.

მაგ., ლექთაგან აკლებული თბილისის ოსმალთ ისე მოაოხრეს, რომ მრავალი მისი უბანი („ავლაბარი“, „გარეთუბანი“) მე-19 საუკუნის დამდეგამდისაც კი ისევ აოხრებული იყო, მაგ., ავლაბარი 1803 წელსაც კი „სოფლის“ სახელს ატარებდა. ოსმალნი გამაგრდნენ თბილისში, გორში, სურამში, ყარაღაჯში (კახეთს).

მაშინდელი ქართველი პატრიოტის განწყობილებების კარგად გამოხატველია მგოსნის იასე ტლაშაძის სიტყვები:

ქალაქში ვიყავ ცოტახანს,
არსით მესმოდა რეკანი,
მეჯავრებოდა თათრისა
სიცილი, კბილთა ჩეკანი.

ნეტაია ამათი სიტყვა
ყურით არ გამაგონაო!

1724 წ. ვახტანგი რაჭის გზით რუსეთს გაემგზავრა ორი ათასამდე მხლებლის თანხლებით. ვახტანგს თან გაჰყვა მთელი სამეფო კარი, რჩეული თავადაზნაურობა, მაშინდელი ქართული ინტელიგენციის „ნაღები“. „დიდნი თუ მცირენი“, „დარბაისელები და მსახურნი“, ვახტანგს ეახლნენ „ყოვლის სახლიდან“... „და ზოგნი უმეტეს დედაწულითურთ“. ამ გარდახვეწილთა შორის იყვნენ აგრეთვე მწერლები და მოღვაწენი: სულხან-საბა ორბელიანი, გიორგი მაჩაბელი, მელქისედექ კავკასიძე, ყარან და ონანა მდივნები და სხვ.

ვახტანგის რუსეთში გამგზავრება ასეთი დიდი ამალით მარტო თავის გადარჩენის მიზნით კი არ იყო გამოწვეული, არამედ უმთავრესად იმ გარემოებითაც, რომ მას მიზნად „ჰქონდა დასახული, სამხედრო-პოლიტიკურის გარდა, აგრეთვე სასწავლო-კულტურული ამოცანები, რუსული კულტურის მოღვაწეთა ადგილზე გაცნობა და შეთვისება“ (ვ. დონდუა).

ლექებისაგან გაქარწყლებულ ქართლ-კახეთში ოსმალთ ფეხი მტკიცედ მოიკიდეს. გათავებდებულნი 1724 წ. პეტრე პირველთან ზავის დადებით და ქართლ-კახეთის მეთაურის უყოლობით ისინი საშინელი სისასტიკით სძარცვავდნენ და აოხრებდნენ ქვეყანას. მათ აღწერეს ქართლი, დაადგეს ხარკი, კაცს-სულზე დრაჰკანი, ცხვარზე ორი შაური, ძროხაზე—აბაზი, კამეჩსა და ცხენზე—ექვსი შაური, მოსავალზე, ხილზე, ხუთის თავი „და ამის გამო იქნა ქირი დიდი“:

იმდროინდელ საბუთებში ხშირად შეხვდებით მონობით შეწყუხებულ ქართველთა ჩივილსა და კვნესას „ავი დროს“, „მწარის ტყვეობისა და აოხრების“ შესახებ: „დაიწერა წიგნი ურუმთ რომ

ქართლი დაიპირეს და ბევრი ავი ქნეს. ტყვე და საქონელი ბევრი წილეს ვახტანგის მეფობაში, ლეკმა, ურუმმა“.

„ურუმობა (ოსმალობა) და ავი დრო შეიქმნა და მისამართი ალაგი არსად მქონდა“.

„თათრის ვალი გვემართა და ცოლ-შვილით გვატყვევებდა“.

„ასე რომე თათარმა დაგვიპირა და დაგებორკილა, თეთრსა გვებოვდა, არსად შოვნის ღონე არ გვექონდა“.

„ასე რომე გამიპირდა (ხარკისაგან) და თავს მაგდებინებდნენ“.

„მასჟამსა, ოდეს ქართლი ურუმთ ეპირა... მაშინ დიად სილარიბემ ძალი დაგვატანა“... „ცოლშვილით თათარს მივეყვანდი“... და სხვ.

ამავე დროს დალისტინის აბრაგებმა გაახშირეს ყოველდღიური თავდასხმები, „ცემა, ოხრება, დატყვევება“. „თვინიერ ამაღ ქირთა შინა, რომელი იყო ოსმალთაგან, გაზაყხულ-შემოდგომას, მარადის ატყვევებდნენ ლეკნი, რამეთუ ჯარად და ჯარად გამოვიდიან“. „განძლიერდნენ ესრედ რამეთუ უწყეს სამცხე-ჯავახეთს რბევა და ტყვევნა ლეკთა“. „ღიახ ავი დრო და გაქირვებული საქმე იყო ყველგნით“, — ამბობს თანამედროვე. ამ დიდ უბედურებას ზედ დაერთო ქართველ ფეოდალთა გამცემლობა და მუხანათობა: „არამედ შურითა ურთიერთათა ქართველთა იყო უუფროსესი ქირნი და არბევდიან და ძარცვიდიან ოსმალნი შესმენითა მათითა“. ლეკების თავდასხმებისა, თურქების ხარკისა და მტარვალობისაგან შეწუხებული მოსახლეობა თავზარდაცემული და თავგზაარეული გარბოდა: „ქართლი აირიგა, ქვეყანა სულ დაიფანტა, ზოგი იმერეთს გარდაცვივდა, ზოგი ჯავახეთს, ზოგი კახეთში, რომ მტერმა შეაწუხა“. „არღარა დაშთა მსახლობელნი მუხრანს, ქართლსა და საციციანოს და ადგილ საბარათიანოს — სომხითსაცა (სამხრეთ საქართველო გ. ლ.), თვინიერ სიმავრეთა, რამეთუ მუშაკობადცა პარვით, მალვით ჩამოვიდიან და მათი მხილველნი იელტოდიან სიმავრეთა“.

ამ საშინელებას ზედ დაერთო ბუნების უბედურებაც: „რამეთუ მხეცნიცა მიეტევენენ, სქამდნენ ურიდალ მრავალთა. კვალად მოვიდა სირი-კივქავი, რომელთა დააბნელიან მზე სიმრავლითა და მოკამა ნაშრომი სრულიად, რომელი არა თქმულ არს საუკუნოდ კვალად სხვაცა მომსვრელი ჟამითა (ქირითა) ძლიერი“.

ამრიგად, მაშინდელი საქართველო მართლაც „მტერთაგან შევიწროებული და მრავლის ქირისაგან დამძიმებული ქვეყანა“ იყო, ანუ როგორც ვახტანგ მეფემ განაცხადა რუსეთში: „საწყალი, და-

ლუბული საქართველო!* მაშინდელი ქართველის ნათქვამი სიტყვებია: „შევაკედით, ამოვწყდით, დაგტყვევდით და წაეხდით!“

ქართველთა გადარჩენილმა ნაწილმა მტერთან გამკლავება გადაწყვიტა 1723 წ. შემოდგომას, ქართლ-კახელნი, თუშ-ფშავ-ხევსურნი შემოერთებენ გორის ციხეს, სადაც ოსმალთა დიდი ჯარი იდგა, მაგრამ იერიში ველარ მოასწრეს, რადგან თბილისიდან მტერს დიდი მაშველი ჯარი შეემატა, რომელთაც წინ უძღვოდნენ რენეგატები — იესე ნამეფარი და სულხან-საბას ძმა, —ერასტი ორბელიშვილი. მოხდა სისხლის მღვრელი „ატენის ომი“. გამარჯვება ჯერ ქართველების მხარეზე იყო, ბოლოს კი ქართველი პატრიოტები ლალატით დამარცხდნენ. ამგვარად, „ქართლი ისევ ქართველებს დააქცევინეს“.

ატენის ომში მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ქაბუჯ პატრიოტ დავით გურამიშვილს. იგი როგორც ატენის ომის შემსწრე გადმოგვცემს:

ვაიმე, ამის სათქმელად
პირი გამიხდა წყალტევით,
არ იმართოდა ლაშქარი,
ზედაველაზე დატევით,
მათ ჩვენმა ჯარმან აჯობა
პირველ მისვლაზე შატევით,
მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა
შინათვე ნალალატევით,

ვაი იმ დღეს! ოსმალონი
ბევრს უბრალო სისხლსა ღვრიდენ,
საცა შეხვდათ მუშა-კაცი,
გლახა, მწირსა, თავსა სჭირიდენ,
გოდორს თავი აკლიაო,
ცხრის ურმისა ხარში ყრიდენ;
ტანთ-მარხველი არა ყვანდა,
მელა-ტურა გამოხვრიდენ.

ატენის ომმა საბოლოოდ გატეხა ქართლ-კახეთი და განამტკიცა დამპყრობთა ძალა. ამის შემდეგ ოსმალთ „დაიპყრეს ყოველი ქართლი“ და სასტიკად დახარკეს. მაგრამ აჯანყების ცეცხლი არ ჩამქრალა ქართლ-კახეთში და განმათავისუფლებელი ბრძოლა ენერგიულად წარმოებდა. ამ ბრძოლებში გამოიქვედა დავით გურამიშვილის სიკაბუჯე.

როდის დატოვა პოეტმა საგურამო?

როგორც ზემოთ ვთქვით, საგურამო-გორის-უბანი აკლებული იქნა 1723 წელს, რის შემდეგ გურამიშვილები საბოლოოდ ავკალა-

ში გადასახლდნენ, სადაც მე-19 საუკუნის პირველ ნახევრამდე ცხოვრობდნენ. თვით 1790 წლისათვისაც კი „ავქალის სოფელს გარდა გურამიანთ სხვა თავეთის სოფლებში შენობა არსად ჰქონდათ“, როგორც ამბობს ერთი საბუთი. ხოლო თვით ავქალა მე-18 საუკუნეში ოთხჯერ მოოხრდა და საბოლოოდ მხოლოდ 1780-იან წლებში აშენდა.

1723-1724 წლებში საგურამოს აკლებას უნდა შეეხებოდეს შენდები ხალხური ლექსის ფრაგმენტი:

აიყარა, წამოვიდა შუა ჯარი დალისტინსა,
ბელადები ცხენებს შესხდნენ ანწუხის და კაპუქისა,
მოვიდნენ და იქ ჩამოხდნენ, სად ერწოთ ზედაძინისა,
გურამიანთ პატარძლები უმარილთ იბანენ პირსა,
— წავიდეთ და წამოვასხათ, გავიყვანოთ დაღესტანსა,
ქალები თუ არ წამოგყენენ, წამოვიყვანთ პატარძლებსა.

პოეტის სიცოცხლეშივე საგურამო გატყევებულ ნაოხარსა წარმოადგენდა. თვით 1820-იან წლებამდის იგი მცხეთელებისა და არაგველების ცხერის საძოვრად და მოთარეშე ლეკების სადგურად იყო გადაქცეული. ცნობილია, რომ ლეკები მარტყოფის მთით ჩამოდრიოდნენ საგურამოში, გავიდრიოდნენ არაგვს და მუხრანის ველითა და ტირიფონის გზით თავს ესხმოდნენ ქართლს, იმერეთს, ჯავახეთს. „დაბრუნებულნი მუნით, აქავე მოვიდიან და დაბანაკდებოდნენ უშიშრად“.

1723 წლიდან საგურამო და მისი მეზობელი სანახები—მუხრანი, წილკანი, მცხეთა, ლეკთა სათარეშო სარბიელად იყო გამხდარი. იქ ყოველდღიური ბრძოლები იმართებოდა, განსაკუთრებით 1723-1724 წ. ჯერ კიდევ ვახტანგის ქართლში ყოფნის დროს ქართველობა ხშირად ებრძოდა წილკნისა და მუხრანის სიმაგრეებში ჩასაფრებულ ლეკებს, თვით ვახტანგის მონაწილეობით. 1723 წელს, როცა ვახტანგის განქარგულებით, მისი ძე ბაქარ, მივიდა მუხრანს, „მოწყვეტად ლეკთა“, ველარ მოეწია, „რამეთუ გაესწრათ ლეკთა საგურამოს“ (ვახუშტი). მაშასადამე, ამ დროს საგურამო უკვე ლეკთა ბანაკად იყო გადაქცეული. ხოლო როგორც საგურამო, ისე მეზობელი სამუხრანო „მკვიდრთაგან ცარიელი იყო და მიმობნეული იყვნენ მოსახლენი ამისნი“.

როგორც ჩანს, ლეკიანობისა და ურუმობის გამო გურამიანთ ოჯახიც ჯერ ქსნის ხეობაში გახიზნულა, ისე როგორც ლტოლვილ კახელთ უმეტესობა. მემატიანეს ნათქვამი აქვს, რომ ქსნის სიახლოვეს გრეპის ხევს, ლეკები დაეცნენ, „მოსტყვევენეს და აღიღეს ალათი კახთა ხიზანთა“. ატენის ომის შემდეგ თვით პოეტის პატ-

რონი კახთა მეფე კონსტანტინე ქსნის ხეობას შეეხიზნა, რადგან კახეთი უკვე ლეკს ექირა.

ექვი არაა, „წესისებრ და თავდადებით ნამსახურნი“ კარის მოხელე გურამიშვილებიც ამ დროისათვის კონსტანტინესთან უნდა ყოფილიყვნენ. ვფიქრობთ, ქაბუკი დავით გურამიშვილიც ატენის ბრძოლის მონაწილე, — ვერ დაშორდებოდა თავის პატრონს, რადგან სხვა გასაქანი, როგორც კონსტანტინეს ქვეშევრდომს, აღარ ექნებოდა. ჩვენი აზრით, სწორედ ამ მთავარი მიზეზით უნდა მოხვედრილიყო გურამიშვილი ქსნის ხეობაში და არა მხოლოდ გაოყანიძეებთან დამოყვრების საბაბით. ვახტანგ მეფე თბილისის დაცემის შემდეგ ლამისყანის მიდამოებში იმყოფებოდა და აქ, როგორც ვთქვით, მუხრანსა და წილკანში გამაგრებულ ლეკებს ებრძოდა; აქ, ლამისყანასთან ოკამს, ოსმალთ ვახტანგს შეჭფიცეს მეფობის მოუშლელობა: აქედან, ქსოვრისიდან 1723 წ. ვახტანგი ებრძოდა ლეკებს. ლამისყანის გარემო, სადაც პოეტი ცხოვრობდა, დაუცხრომელი ბრძოლის ველად იყო ქცეული და ექვი არაა, დავით გურამიშვილიც უნდა ყოფილიყო სამშობლოს დაცვის მონაწილე. აქ, ლეკებთან ერთ-ერთ ბრძოლაში, ვახტანგს „იძულებულსა წამოსვლად უბრკვა ცხენსა და დაეცა... და იხილა მეფემან ესე ვითარებანი ქართველთა, იწყო სხვისა განზრახვა“, ე. ი. რუსეთში წასვლა.

მალე „ურუმთა დაიქირეს ქსნის საერისთაო“, „ქსანი მოარბიეს“. საკითხავია, როცა ქსანში მყოფ კონსტანტინეს „დაუძვირნეს ყოველნი საზრდელნი ქსნის ხეველთა“, როცა მან, „ვერღარა იტვირთა უპატრონობა შანშესაგან და მოვიდა ფშავს და წარიყვანა ძმაცა თვისი თეიმურაზ დედა-წულითურთ“. — წაჰყვა თუ არა. უკეთ, იახლა თუ არა ამაღლამოწყვეტილმა — მეფემ — გურამიანთ ოჯახიდან თავისი ახალგაზრდა მხლებელი — მეომარი დავით გურამიშვილი ფშავს, სადაც კონსტანტინე იმყოფებოდა, „წელსა ერთსა იწროობითა დიდითა“, — საამისო ცნობა არ მოგვეპოვება, მხოლოდ საქმის ახლოს მცოდნესავეით კი აგვიწერს დ. გურამიშვილი კახელებისა და კონსტანტინეს გაქირვებულ ყოფნას ს. თვალივში (ფშავი):

კახმა ბატონმა მიმართა
ფშავ-ხევსურეთის კიდესა,
კახთა ცოლშვილით თვალივსა
ძლივს ფეხი მოიკიდესა,
რაც ხანი იყენენ სარჩოსა
ვერც სთესდნენ, ვერცა მკიდესა.
რაც აქნდათ თვისი საუნჯე.
სულ პურღვინოზე ყიდესა.

ამ საშინელი არეულობის დროს, 1727 წ. მომხდარა დავით გუ-
რამიშვილის ტყვეობაც. როდესაც „მოყვრის ყანას“ თავს ადგა-
ივლისში:

არ შეყრილიყო ჯერ მუშა
იყვნენ მოსასვლელ შორითა.

ჩაშასადამე, მუშა „შორიდან“ ყოფილა მოსასვლელი. რაკი და-
ვითი გარაყანიძეების მამითაღში იყო, ცხადია, ყანის მკის მუშება-
დაც მათი ყმები უნდა ყოფილიყვნენ. ადგილობრივ ყმებს გარდა
გარაყანიძეებს ჰყავდათ გლეხები ზემო-ავეჭალაში, ბიწმენდში, (საგუ-
რამოს მეზობლად) და ერწოში (სოფ. თოლეჯი, გორანა, ნოტოკ-
რა). ვფიქრობთ, რომ მამითაღის მუშები სწორედ ერწოდან უნდა,
ჩამოსულიყვნენ, „შორი“ მთის მაგარი ადგილიდან, რადგან ბარად
მუშახელი სრულიად გაფანტული იყო ლეკიანობისა და ოსმალთა
შიშით.

ჩვენში მიღებულია აზრი, რომ ლეკებმა დ. გურამიშვილი მარ-
ტოდმარტო დაატყვევეს, მაგრამ პოეტისავე სიტყვით, ამ საბედის-
წერო დღეს მამითაღის მოსამზადებლად დავითი ორი კაცით წა-
სულა:

დილაზე ავდექ, წინაწინ
წაველ კაცითა ორითა
ჩვენ თურმე გენახეს, მოგვმართეს
ლეკთა ორტოხის გორითა.
მუნ ახლოს წყარო დიოდა,
მასთან ტყე იყო ხშირადო,
იქ მოგვეპარნენ, ღაგვისხდნენ,
თხუთმეტი კაცი მზირადო.

ამრიგად, ლექსში პოეტი მარტო თავის თავზე არა ლაპარაკობს.
აქედან აშკარაა, რომ დატყვევების მომენტში დავითი მარტო არ
იყო, რომ დავითთან ერთად იმ წყაროზე კიდევ მისი ორი თანმზა-
ხელი კაცი ყოფილა, რომ დავითი და ის ორი კაცი წინასწარ ჩასუ-
ლან იქ, სადაც ახლოს წყარო დიოდა, მამითაღის ხარჯის მოსა-
მზადებლად.

მაშასადამე, თხუთმეტი ლეკი თავს დაესხა სამ კაცს. და, ცხა-
დია, დავითთან ერთად ის ორი კაციც ვერ გადაურჩებოდა ლეკე-
ბის ტყვეობას. ახლა საკითხავია, ვინ იყვნენ ის ორნი? ვფიქრობთ,
დავითის, ანუ მისი მოყვრის ახლობელი ადამიანები, შეიძლება
ოჯახის წევრებიც. იქნებ, მისი მოყვარე ანუ ცულის ძმა, რომლის
შესახებ ცრემლს ღვრის პოეტი:

„აწ ნუ გამყარე კაი მოყვარე
მისთვის მწუხარე აწ გამაზარე“.

ისიც შესაძლოა, რომ იმ „ორში“ თვით გურამიანთ ოჯახის წევრიც იგულისხმებოდეს, ყოველ შემთხვევაში, საცნაურია, რომ დავითის ბიძაშვილი (და არა ბიძა, როგორც დღემდე აღიარებულა), მერაბ გურამიშვილი, ჩვენ მიერ მოძიებული ცნობით, მოსკოვს ჩასულა სწორედ დავითის რუსეთში ჩასვლის ხანს, სახელდობრ, 1729 წელს. ხომ არ იყო მერაბ გურამიშვილი ერთ-ერთი იმ „ორ კაციდან“, რომელნიც ლამისყანის წყაროსთან დაატყვევეს პოეტთან ერთად?

თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ დავითთან ერთად ლამისყანაში გახიზნულან გურამიანთ ოჯახის სხვა წევრებიც და მათ შორის მერაბ გურამიშვილიც.

ამრიგად, ჩვენ გვგონია, რომ დავითთან ერთად დაატყვევეს მისი ბიძაშვილი მერაბ გურამიშვილი და მისივე ცოლის ძმა, „მოყვარე“ გარაყანიძე, თვით წევრი იმ ოჯახისა, რომელსაც მამითადი ჰქონდა მოწვეული.

ლამისყანიდან ხელ-მხარ შეკრული დავით გურამიშვილი ქსანზე უნდა გადაეყვანათ, ალბათ გაატარებდნენ ილტოზის ხევს, მერე მქადისუჯრის ველით, ბერთა-მითთ, ნაოზის მიდამოთი—არაგვზე და მერე გაღმა, კოპორტის მითთ, ტყე-ტყე ზედაზნის მთის შესართავამდის, იქიდან ერწოთი, თუშეთის მითთ დაღისტანში. პოეტი ჩაუყვანიათ ანდიის ოლქში, ოსოქოლაში, რომელიც კავკასიის უმთავრეს ქედზე მდებარეობს. „დიდათ მიაჩნდათ სოფელი ესე ოსოქოლა, სადგური ხანთა,—ამბობს პლ. იოსელიანი,— შეუვალნი მტერთათვის, ექვსასისა კომლისა შეკურვილისა ლეკისა ბოლაზი და ნაყოფიერებითა მდიდარი მათათა ადგილთა შორის“.

დაღისტანში დ. გურამიშვილი ხაროში ჰყოლიათ „ბნელში მგდებარედ“, როგორც თვით ამბობს:

ბნელსა ვზივარ,
გიაჯები სასინათლო ამიხვრიტო,
ამოვსძვრე და გამოვიქცე...

მას „არც ასევს, არც აკამებს, არც ჩააცევს, არც დააზურეს“. დავითმა სცადა გაპარვა, მაგრამ დაიკირეს და სცემეს. ეტყობა, საქართველოს გზა მოუჭრეს, მაშინ მეორედ სხვა გზით გაიპარა. პირი რუსეთისაკენ მიმართა. იგი შეგნებულად მიდის ამ გზაზე, ისიც იცის, რომ ველარ დაბრუნდება საქართველოში:

გული ტიროდა ცრემლითა,
თვალეები მეგუბებოდა,

ვიტყოდი, ვაი მოყვასნო,
ჩემთვის დაკარგულეობდა!

(როგორც „ქართლის ჭირიდან“ ჩანს, დატყვევების დროს პოეტს დედ-მამა ისევ ცოცხალი ჰყოლია).

ზოგს, სხვათა შორის, შეიძლება ეგონოს რომ გურამიშვილის ლექსები ტყვეობაზე დაწერილია დალესტანშივე ტყვეობის დროს, მაგრამ ეს რომ ასე არ არის, თვით ლექსის რეალიებიდან ჩანს. მაგ., ლექსში „ვედრება გზის წარმართვის თხოვნა დავითისაგან“.— პოეტი ღმერთს ევედრება: „დამმარხველს, დამტირებელსა ვითხოვ, მიბოძეო“. ცხადია, ეს უკვე სიბერის ნატვრა იყო და არა დალისტონის ორმოში ჩამწყვდეული ჭაბუკისა.

ლექსში „მზეთამზის ვედრება“, რომელიც იმავე დროს ტყვეობის განწყობილებების და სულთქმის გამომსახველია, დავითი ლაღებს „გამჩენისაღმი“:

თვალთა დამაფარე ბაღე,
მიხილე მე ბრმასა თვალი.

დავითი მხოლოდ სიბერეში დაბრმავდა. ამას გარდა ამ „ლექსის ხმას“ ანუ მოტივს, გურამიშვილისავე სიტყვით, ეწოდება რუსულად „მასონ“; ჩვენ კი ვიცით, რომ დალისტანში მყოფმა პოეტმა არც რუსული იცოდა და არც „მასონის“ სიმღერა.

ტყვეობიდან გაპარვის შემდეგ, ვფიქრობთ, დავითს უნდა ევლო გუმბეთ—დილიძის მიმართულებით, ხასავეიურტისაკენ, შესაძლოა გასულიყო „ენდრეის“ აულში (თერგის ოლქი), რომელსაც რუსები „Андреева деревня“-ს ეძახდნენ. ეს აული, რომელსაც დღეს „ენდრეი-აული“ ეწოდება (ქართულ საბუთებში ცნობილია „ანდრეის“ სახელწოდებით), ტყვეების და, კერძოდ, ქართველი ტყვეების მაშინდელი სავაჭრო პუნქტი იყო. სხვათა შორის, „ენდრეი აულში“ დღესაც ცხოვრობს მთელი გვარეულობა „აზნაურის“ გვარწოდებით, რომელიც ქართულ წარმოშობას ჩემულობს.

თერგიდან გურამიშვილი ასტრახანს წასულა, რომ იქიდან ცარიცინ-ვოლგით მოსკოვს ჩასულიყო, სადაც ვახტანგის ამაღალში მას ამდენი ნათესავი და ნაცნობი უნდა ჰყოლოდა. გვეონია, ასტრახანში მას შემთხვევით ხელსაყრელი პირობები უნდა ამოსჩენოდა მოსკოვში გამგზავრებისათვის. რუსეთისაკენ მგზავრობა კი იმ დროისათვის მეტად საძნელო საქმე იყო, ეტყობა, ამ საქმეში პოეტს ვინმე დიდად გავლენიანმა პირმა უშველა. საყურადღებოა, რომ სწორედ 1728 წელს, გილანიდან ასტრახანზე გამოვლით მოსკოვს დაბრუნდა ვახტანგ მეფე. ბუნებრივად იბადება კითხვა: ხომ არ შეი-

ერთა ვახტანგმა გურამიშვილი თავის ამაღაში? ისიც საგულისხმოა, რომ სწორედ ამ დროს ასტრახანში მოსკოვიდან ჩასულა ბაქარის ამაღის ნაწილი. ისიც ვიცით, რომ 1729 წელს, ე. ი. პოეტის მოსკოვში ჩასვლის წელს, ნოემბერს, ასტრახანთან მდებარე მოსკოვში დაბრუნდა ვახტანგის ძმა სვიმონ ბატონიშვილი. ამ შემთხვევაში ისიც მოსაგონარია, რომ 1729 წელს, ოქტომბერს, ასტრახანიდან მოსკოვს ჩავიდა არაგვის ერისთავის ძე—არქიმანდრიტი რომანოზი თავისი ამაღით. ერთი სიტყვით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტყვეობიდან ასტრახანში ჩასული დ. გურამიშვილი ერთ-ერთ ამ ზემოთ დასახელებულ დიდ გავლენიან პირთა თანამგზავრი უნდა გამხდარიყო ასტრახანიდან მოსკოვამდე.

ტყვეობის მერე მოსკოვში ჩასული პოეტისათვის „ვახტანგსა და ბაქარს“ „ჯაბადარ-ბაშის“ თანამდებობა ანუ „სახელო“ მიუციათ, როგორც თვითონვე ამბობს:

მიწყალობეს მე სახელო,
მომცეს ჯაბადარ-ბაშობა-ო.

ჩვენში მიღებულია აზრი, თიკოს დავით გურამიშვილი „მეფეთა თოფ-იარაღის გამგებელი“ იყო (პ. უმიკაშვილი, „დავითიანი“, გვ. 7). მაშასადამე, მოსკოვში საკმაოდ საპატიო ადგილი უნდა სქეროდა. და ამის მიხედვით, მისი ნივთიერი მდგომარეობაც სახარბიელო უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ჩვენი დასკვნით, გურამიშვილს მოსკოვში შედარებით მცირე თანამდებობა სქერია, სახელდობო „ჯაბახანის“, „ზედამხედველისა“ და არა „გამგებლისა“. 1724 წელს, „დიდს დაეთარში“, „ჯაბადარ-ბაშის“ შესატყვისად რუსულად სწერია „Оружейный надзиратель“ („თოფხანის ხედამხედველი“). ეს თანამდებობა შეეძლო სქეროდა დაბალ აზნაურსაც. ამავე ნუსხაში იხსენიება მეორე „ჯაბადარ-ბაში აბედინაშვილი მურადის-ძე“, რომელსაც ეს სახელო სქერია 1726 წელს, გურამიშვილის რუსეთში ჩასვლამდე. ისიც ირკვევა, რომ ვახტანგსა და ბაქარს თოფხანის რამდენიმე ასეთი „ზედამხედველი“ ჰყოლიათ. ასე, 1726 წელსვე მოხსენებულია ჯაბახანის მეორე „ზედამხედველი“ დავით მაჩაბელი.

ამნაირად, დ. გურამიშვილს ვახტანგისა და ბაქარის კარზე მოსკოვში „ზედამხედველის“ ჩვეულებრივი მომცრო თანამდებობა სქერია. თვით გურამიშვილიც ხომ გვიდასტურებს ამ ფაქტს, როდესაც გვეუბნება: „მითხრეს სკვრეტლე ჯაბახანსა“ („და არა განაგებდეთ“).

ვახტანგი და მისი ამაღა რუსული იარაღით და რუსეთის ძა-

ლეთ, ენერგიულად ემზადებოდნენ საქართველოს დასახსნელად და, ცხადია, მათი არსენალის არსებობას მოსკოვში თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. გურამიშვილის „ჯაბადარ-ბაშობით“ ორი რამ უნდა ირკვეოდეს: ერთი რომ გურამიშვილი ვახტანგს თავის ერთგულად ნიუჩნეგია და, მეორე, — ისიც, რომ პოეტი ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას, სამხედრო საქმეებში გაწვრთნილი ყოფილა.

თუმცა მოსკოვში ჩასული ვახტანგი დიდხანს უცდიდა პოლიტიკურ ამინდს და: „თავისას, თავის ქვეყნისას უბედურობას ჩიოდა, გაგრძელდა საქმე, გაგრძელდაო“, მაინც არ ჰქარავდა იმედს. გურამიშვილმაც თავისი ბედი შეუერთა მეფეა და მის ამაღლას. ეტყობა, ვახტანგს არა მარტო მწერლობითი გაღვენა უნდა ჰქონოდა ახალგაზრდა დავითზე, არამედ ზნეობრივი, პირად-ადამიანურიც.

პოეტი იგონებს მოსკოვში, ემიგრანტ მეფის კარზე ლხინებს, — ზმითა, შაირით, გალობით, მღერით, ჩანგით, დაირით, ცეკვით. ამ პოეტურ ტურნირებზე მას არაერთხელ გამოუჩენია თავი და ყურადღება მიუქცევია, როგორც უბადლო პოეტს, მოშაირეს და სატირიკოსს. სწორედ ვახტანგის კარზე, რომელიც უმთავრესად პოეტებისა და ლიტერატორებისაგან შედგებოდა, დავითს შესაფერი-სი განათლება მიუღია და აქვე ჩამოყალიბებულია მისი პოეტური რეპუტაცია. პოეტის სახელი პირველად მოსკოვში უნდა გახმაურებულიყო, ვახტანგის კარზე გამართულ სამგოსნო შეჯიბრებებში. აქ მან საბოლოოდ დაიმსახურა ნიჭიერი მგოსნის სახელი და მფარველი მეფის წყალობა. საერთოდ შემდეგშიც, ემიგრაციაში რომ დავით გურამიშვილს დამკვიდრებული ჰქონია საკმაო რეპუტაცია ნიჭიერი პოეტისა, ამას მისივე სიტყვები მოწმობენ: „მეც მრევენ მერანთ ჯოგშიგან“.

ამ პერიოდის ლექსებიდან მხოლოდ რამდენიმე ნიმუშილა შემორჩენია თვით პოეტს, რადგან, ეტყობა, მისმა დაუდგრომელმა ცხოვრებამ, აქეთ-იქით წანწალმა, ომებში მონაწილეობამ, გაანიავა მისი ლიტერატურული ხვაი.

ვახტანგის კარზე ყოფნის პერიოდის გურამიშვილის ლექსები, ალბათ, „სანადიმოდ, სამღერელად, სააშიკოდ, სალალობოდ, ამაჲნაგთა სათრეველად“ ნათქვამი ექსპრომტები უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ რუსთველი იტყოდა ამ ეპარის პოეტებზე: „ჩვენ მათიცა გვიამების, თუ კი ოდენ სთქვან ნათელადო“ და შემდეგშიც, ქართულ სამეფო კარზე მეფეთა ზემისა და მეჯლისობის დროს ასეთ ექსპრომტად ანუ „მუნახიბად“ ნათქვამ ლექსებსა და თქმებს ხომ. დიდი ვასაყალი ჰქონდა.

ვახტანგ მეფის გარდა მოსკოვში დ. გურამიშვილს დამხმარედ უნდა ყოლოდა აგრეთვე თავისი უცოლშვილო ძმა ქრისტეფორე, სასულიერო პირი, რომელიც, როგორც სტამბის მოღვაწე და მისიონერი, შესაფერ ჯაპაგირს იღებდა სინოდიდან,

დ. გურამიშვილს ოჯახითურთ, ვახტანგისა და ბაქარის კარზე, წლიურ სარგოდ ჰქონია 40 მანეთი, პური—24 „ჩარეჟი“, („ჩეთვერთი“. იმ დროის მიხედვით, ჩარეჟში ცხრა ფუთი უნდა ვიჯარაუდოთ). შეშა—1 საფენი. ეს სარგო და ჯამაგირი მცირე უნდა ყოფილიყო. პოეტის, როგორც თვით ამბობს. „გაუბედავი“ ადამიანი ყოფილა, მაგრამ ეტყობა, მოთმინების ფიალა მასაც აეფსო, როცა ერთ ერთ მეჯლისზე, მეფეს პირდაპირ მიახალა საყვედური:

აქ ათი ბიჭი გახლავართ,
მართო მე გულნაკლულადა.

ამრიგად, პოეტმა თავის მეცენატ-მეფესთან დაიჩივლა „გულნაკლულობა“. ე. ი. ჯილდოს მიუღებლობა, რომელსაც მისი ამხანაგები იღებდნენ მეფისაგან, დავითს კი, როგორც მორიდებულს, საამისო არაფერი რგებია. მაგრამ მამულის გარე მყოფს, ეკონომიურად შევიწროებულ ემიგრანტ-მეფეს, ალბათ, არ შეეძლო ახალგაზრდა ნიქიერი პოეტის, რსიც მოკრძალებული ადამიანის სათანადო რჩენა, პატრონობა.

* *

მოსკოვში მყოფ დ. გურამიშვილისათვის სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრიც კი სულ მეტი იყო. 1734 წ. ქართლ-კახეთი ნადირშაჰმა დაიპყრო. ამრიგად, „ურუმები“ ყიზილბაშებმა შეცვალეს. ახლა ნადირის ჯარებმა „ასწყვეტეს ქვეყანა“, „ტყვისაგან დასცალეს“, „წარტყვევნეს და მოაოხრეს და იავარჰყვეს“.

„წალკოტნი აღარ ჰყვავიან, აგარაკნი და საყანურნი ნაშრომთაგან ცალიერ ექმნებიან. მშრომელნი ბუქთა მიერ სასტიკთა განიბნევიან, თუ ვინმე სიკვდილისა და საფლავისა ღირსი იქნებიან. იგინიცა მხეტთა მიერ ბოროტთაგან შეიჰამებიან“—ატყობინებდნენ რუსეთს განწირული ქართველები.

კერძოდ, ქართლის მაშინდელი მდგომარეობის მშვენივრად გამოხატველია ერთი თანამედროვის სიტყვები, „ასრე მოოხრებულ იყო, ოთხი წელიწადი, არც ხენა იყო, არც თესვა, არცა ცეცხლი ანთებულა და არცა კალო გაღეწილა და არც მამალს უყვილია“.

აქ ნაგულისხმევეია ქართლის ცენტრალური ნაწილი—გორის, ქარელის, ხაშურის დღევანდელი რაიონები.

ვახტანგისა და ბაქარის საქართველოდან წასვლის შემდეგ ქართ-
ლი უთავად და უწინამძღვროდ დარჩა. ქართლის აოხრების მი-
ზეზს მოწინავე ქართველები სწორედ ამ უპატრონობაში ხედავდნენ:
„ჩვენი ქვეყანა თავად მომცრო ადგილი არის და მერმე უბატონოდ
კაცს არა შეუძლიან რა“ და 1724 წ. რუსეთის მთავრობას დაუი-
ნებით სთხოვდნენ თუ ვახტანგისა არა, ბაქარის უკან დაბრუნებას,
რათა იგი მაინც ჩასდგომოდა ბრძოლას მეთაურად, დამპყრობელ-
თა წინააღმდეგ: „ერთი ქვეყნის მომღელი რომ იყო, ეს მეფე ვახ-
ტანგი იყო, ესეც დაგებარებინა და მანდ წამოვიდა და ასე დაერ-
ჩით. ჩვენი საიმედო ამის მეტი არ არის რა, რომ ეგება მაგათვან
ერთი ზურგი მოებას და ამ ქვეყანას მოეშველოს, თვარამ ეს ქვეყ-
ნები გაუთათრებელი არ დარჩება“. ქვეყნის უწინამძღოლობას ემა-
ტებოდა ქართველ ფეოდალთა ალერახსნილი ინსტინქტები, შურია-
ნობა, შუღლი, ერთმანეთის შური და განკერძოება. საქართველოს
დიდებულნი (მუხრან-ბატონი, არაგვის და ქსნის ერისთავები, ამი-
ლახვარი) „ერთმანეთის მტერნი და ქიშპნი იყვნენ, თორემ თუ
ამათ ერთი პირი ექნებოდათ, არას ურუმელი (ოსმალთ), ვერცარას
სხვა მტერი ავნებდათ“, — გულისტკივილით ამბობდა მაშინდელი
პატრიოტი.

გარეშე თუ შინა მტრის მტარვალობით დევნილს, აყრილ ქართ-
ლის მოსახლეობას ამაოდ ეხვეწებოდა ხელისუფლება, „ისევ
თქვენს ალაგს დაგროვდით და რაც სამსახური გიბრძანოთ, გაარიგებ-
დეთო“. კლდესა და ღრეში გარდახვეწილი ქართველი მშრომელი
დიდხანს აღარ უბრუნდებოდა თავის ნასახლარებს, მას შემდეგ,
რაც ჯერ თურქ-ლეკებმა, მერე ნადირის ყიზილბაშებმა „ქვეაჲ კი
არ დასტოვეს დაუმტერველი“. კარგა ხნის შემდეგაც, 1770-იან
წლებში, მრავალი ქართველი მშრომელის ნატვრა ისევ თავის ნასა-
დგომარში დაბრუნება იყო: „როდესაც ღმერთმან მშვიდობა მოგვ-
ცეს და თავთავის მამულებსა და ნასახლკარების ადგილზე მოსვლა-
დადგომა გვედირსოსო“.

* *

თუმცა პოეტი ჩივის თავისს „უწრთველობას“, უსწავლელობას,
ქვეყნის წახდენის მიზეზით, მაგრამ მისი ნაწერებიდანაც აშკარად
ჩანს, რომ იგი განათლებული კაცია. დ. გურამიშვილი კარგად
იცნობს საღვთო წერილს, ფილოსოფიას. საერთოდ, მისი „დავი-
თიანი“ ნამდვილი ენციკლოპედიაა ცხოვრების ცოდნისა და ზნეო-
ბისა. მაგ.: იგი ახსენებს ეპიკურსა. ცხადია, რაკი ბერძნული და
ლათინური არ იცოდა, ხოლო სიკაბუჯეში დიდი დარბევის დროს

არ შეეძლო ქართლში ფილოსოფიური წვრთნა, ჩვენი აზრით, ნან საერთო განათლების ათვისება მოახერხა რუსეთში, რუსული ლიტერატურის გზით, ჯერ მოსკოვში ყოფნის დან შემდეგ უკრაინაში ცხოვრების დროს.

დ. გურამიშვილზე შესაფერი გავლენა უნდა მოეხდინა ახლად-აღორძინებულ რუსულ მწერლობას, რომელიც სწორედ გურამიშვილის დროს დაადგა ევროპეიზაციის გზას. კერძოდ, შეუძლებელია გურამიშვილს არ სცნობოდა მ. ლომონოსოვის დიდი პრაქტიკული და ლიტერატურული მოღვაწეობა, გურამიშვილმა იცოდა რუს მწერალთა პოლიტიკურ-ზნეობრივი შეხედულებები. გურამიშვილის ეპოქის ამ მწერლებმა ააშენეს ახალი რუსული კულტურა, ისინი დაუცხრომელ პროპაგანდას ეწეოდნენ განათლებისა და წინსვლისათვის.

მაგრამ ანგარიში უნდა გავუწიოთ ასევე სხვა მოპენტსაც: როგორც ვახტანგი და მისი შვილები, ისე მისი ამალის წევრები მოსკოვში სამხედრო სამზადისთან ერთად დიდ საგანმანათლებლო მუშაობას აწარმოებდნენ რუსულიდან სხვადასხვა თხზულებათა თარგმნისათვის.

რუსეთში სწავლამიღებული ქართველები აკვირდებიან რუსეთის გონებრივ ცხოვრებას, რუსეთის ახალ სამეურნეო ფაქტებს, საზოგადოებრივ პოლიტიკურ წყობილებას და ხდებიან მისი პოპულარიზატორები.

ამრიგად, საქართველოს რუსეთთან კულტურულ და პოლიტიკურ დაკავშირებაში დიდ როლს თამაშობს ქართველი ემიგრაცია რუსეთში, რომლის მთავარი ძარღვი იყო ჯერ არჩილ მეფესთან და მერე ვახტანგთან გადახვეწილი ქართველობა და მისი შთამომავლობა. ამ ბრწყინვალე პლედამ მოგვცა არა ერთი მეცნიერი, პოეტი, პოლიტიკოსი, მას ეკუთვნის დავით გურამიშვილიც.

ვისგან შედგებოდა მოსკოვისა და ვისესიატსკოეს წრე, სადაც ტრიალებდა დ. გურამიშვილი? უპირველესად, უნდა ვახსენოთ დიდი ქართველი მეცნიერი, ვახუშტი ბაგრატიონი, რომელმაც „სულ აღასრულა სწავლა ლათინთა ფრანგული“, მისივე ძმები, — ბაქარ და პაატა ბაგრატიონები, უკანასკნელი იყო „ფრიად მეცნიერი“, მან შეისწავლა გეომეტრია, იყო განსწავლული რუსეთსა და ინგლისში. ვახუშტის შვილი იოანე — აღზრდილი „ფრიად სწავლულებასა შინა ლათინთასა“, ბაქარის-ძე ლევან „სიბრძნის ტრფიალი“, რომელმაც ლათინურის, ფრანგულის და გერმანულის ენებიდან გადმოთარგმნა ქართულად მსოფლიო ისტორია. ასევე სხვებიც „რუსულისა-ლათინ-ფრანცის-გერმანთა ენების მცოდნენი“. მათ შო-

რის არა ერთმა და ორმა იცოდა „სხვათა და სხვათა ენათა სწავლანი და საფილოსოფო ხელოვნება, მათემატიკა და სხე. საკმარისია, დავასახელოთ ცნობილი დიმიტრი ციციშვილი—სიბრძნის მოყვარე, დიდი ერუდიტი, რომელიც „თუთხმეტისა წლისა ჯერ არ იყო“, როცა ფრანგულიდან გადმოთარგმნა არითმეტიკის სახელმძღვანელო. „ამან მოიღო უცხოდ სხვადასხვა ენათა სწავლანი და საფილოსოფო ხელოვნება, ისწავლა მათემატიკა და სთარგნა ქართულად ლეომეტრია და სხეებიცა“.

ამავე დ. ციციშვილის მამა პაპუნა 1739 წ. სენატისადმი მიცემულ თხოვნაში აცხადებს, რომ მან თავის შვილს დიმიტრის საკუთარი ხარჯით ასწავლა: რუსული, ლათინური, გერმანული. არითმეტიკა, გეომეტრია, გეოგრაფია, ისტორია, მორალი. ერთს თავის თხოვნაში მოსკოველი ელენე ამილახვარი აცხადებს, რომ მან თავის ორ შვილს ასწავლა, —ერთს ლათინური, მეორეს—ფრანგული. ასევე სწავლობდნენ მოსკოვს და პეტერბურგში მეცნიერებას—ნიკ. ვაჩნაძე, რატიშვილი. ანდრონიკაშვილი და სხე.

ამ სიას კიდევ უნდა დაემატოს სვიმონ ბაგრატიონის შვილები—სტეფანე და დიმიტრი, რომელთაც განათლება მიიღეს ჰოლანდიაში¹. აღსანიშნავია, რომ 1738 წ. ვახტანგის კარზე მოხსენებულია პასტორი იონუსი, რომელიც მეფის შვილებს ასწავლიდა ლათინურს ფრანგულს და გერმანულ ენებს. ამ მხრივ, საინტერესოა ერთი ხელნაწერის მინაწერი, რომელიც მოსკოველ თუ პეტერბურგელ ქართველ ემიგრანტს ეკუთვნის: „1727 წელს, აპრილის 17-ს, მივებარე სასწავლოთ ლამბირთას (ლამბერტი. გ. ლ.). 1727 წლისა ქრისტეშობასთვეს, მივებარე ბაროკეტოსა სასწავლოთ არქიტექტურისა, გიორგეტრიისა და არტილერიის; ფრანციკულის ოსტატს მივებარე 1729 წ. 9 მარტს, ლამბირთას მივე სასწავლოთ 1 თუმანი, ფრანციკული წიგნი ვიყიდე—მივე. სამი შაური; უწინდელ ფრანციკულ ოსტატს მივე სამი შაური“. აქ საყურადღებოა, რომ ამ მინაწერის ავტორს რამდენიმე ევროპელი მასწავლებელი ჰყავს.

ამრიგად, ქართული ემიგრაცია რუსეთში ევროპულ წრეთნას იღებდა, რაშიც დიდი მონაწილეობა მიიღო ვახტანგ მეფემ; მას დიდი სწრაფვა ჰქონდა რუსულ-ევროპული კულტურისადმი. რის გასაცნობადაც და ასათვისებლადაც იგი პირადად გაემგზავრა რუსეთს. თვით გურამიშვილიც აღნიშნავს ვახტანგის კულტურტრეგერობას: „სწავლით შვილურებ გვზრდიდისო“.

¹ ჯერ კიდევ არჩილ მეფის ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი ჰაგაში სწავლობდა საარტილერიო მეცნიერებას.

მოსკოვში, განათლებული მეფის ვახტანგის ხელმძღვანელობით შეიქმნა ევროპულად განსწავლილი ახალი ქართული ინტელიგენციის საიმედო ბირთვი, რომელმაც თავისი დიდი ისტორიული როლი შეასრულა.

ამ კულტურულ გარემოცვაში ტრიალებდა გურამიშვილი რუსეთში ყოფნისას და ექვი არაა, მან მოსკოვში შეივსო განათლების ხარვეზი. სწავლას მოწყურებული პოეტისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მოსკოვის პერიოდს, იმ ათ წელს (1729—1739 წწ.), რაც მან მოსკოვში გაატარა. კერძოდ, ვახტანგის სასახლე პრესნაში დავით გურამიშვილის უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო.

1734 წ. ზაფხულზე ვახტანგი და ბაქარი რუსული იარაღით მოდიოდნენ საქართველოში. მოსკოვის ერთ-ერთ არქივში ჩვენ შეგვხვდა საყურადღებო ცნობა იმის შესახებ, რომ ვახტანგსა და ბაქარს ქალაქ ტულას ცნობილ ქარხნებში იარაღი ჰქონიათ შეკვეთილი. სწორედ საქართველოში გამომგზავრების წინა დღეებში ბაქარი ობერ-ჰოფმეისტერ სეიმონ სალტიკოვს სწერდა, რომ 6 იენის მან, ბაქარმა, გაგზავნა ტულაში ზაალ ონოფრეშვილი და გიორგი ივანიშვილი იარაღის სასყიდლად.

როგორც იყო, ემიგრაციის ნატვრა ასრულდა. სამხედრო მოქმედება უნდა დაეწყოთ შემახიდან, რომელიც ნადირ-ხანის ყიზილ-ბაშებს ექირათ. ექვისი დიდი ხომალდით წავიდა ქართული ლაშქარი, რომელშიც დ. გურამიშვილიც ვერია, და სამი თვე იარა ვოლგაზე. ამასობაში შემახა ნადირ-ხანმა დაიკირა. მაგრამ იმ ხანად სპარსეთზე გალაშქრების პრობლემამ დაკარგა აქტიური მნიშვნელობა რუსეთისათვის, დარუბანში ვახტანგმა გაიგო, რომ რუსები იძულებული ხდებიან დაიხიონ ყიზლარისაკენ, ამიტომ იგი ასტრახანში დასახლდა. წინააღმდეგ ქართველობის სურვილისა; აქ სამუდამოდ გამოემშვიდობა მწყალობელ მეფეს გურამიშვილი. იმედგაცრუებული მეფე, უკვე სახელმწიფო საქმეებს ჩამოცილებული, გარდაიცვალა ასტრახანში (1737 წ.). მისმა სიკვდილმა თავზარი დასცა ქართველ ემიგრაციას.

„მოგვწყადა წელ-გული, შევექენით, ვით უმხრომ ჩიტმან ფრტიალი, დავიწყეთ ვითა წიწილთა, უკრუხობითა წრტიალი“—ამბობს გურამიშვილი.

ვახტანგის სიკვდილის შემდეგ მის ამაღას რუსეთის წთავრობამ ჯამაგირი შეუწყვიტა და შეჰპირდა დახმარებას, თუკი ემიგრაცია ფიცის ქვეშ რუსეთის ქვეშევრდომობას მიიღებდა და რუსეთის სამსახურში დარჩებოდა. „ან წადით, ანუ დადექით“, როგორც გვეუბნება დ. გურამიშვილი. ქართველობის უმეტესობამ გადაწყვიტა

რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება და სამსახურში შესვლა; მათში გაერია გურამიშვილიც.

თუმცა პოეტი ნანობდა სამშობლოს დატოვებას: „შევცდი და იწყემსსა წაუველი, გაუდექ მრუდედ ძონასა“, „ავად მომიხდა უმხროდა გაფრენა, ქმნა ნავარდისა“, მაინც მან საკუთარი არჩევნით მოიმოქმედა, „საქმე ქნა თავის ნებისა“, რადგან იგი გულწრფელი მომხრე იყო ამ გზით სიარულისა. იწონებს რა ვახტანგის პოლიტიკას რუსეთის ორიენტაციის საკითხში, იმავე დროს იგი უწუნებს მას საქმიანობას, და აღნიშნავს, რომ ვახტანგის ბრალით.

წახდა, დაგვიანდა
საქმე კარგი, დასაშური,

რომ ვერც მამამ და ვერც შვილმან (ბაქარმა) „მოსახბარი ვერ იხმარა“.

ვერა ნახეს რუსთ ხელმწიფე
ვერ აჩვენეს სამსახური.

ასეთია აზრი პოეტისა.

* *

ვიდრე ქართველობა თავის გადაწყვეტილებას მიიღებდა. რუსთა მთავრობამ მას ჯამაგირი მოუსპო, რამაც დიდ გაკირვებაში ჩაყარა. ვახტანგის მეუღლე რუსუდან დედოფალი ატყობინებდა საიმპერატორო კარს, რომ მან თავისი დიდი ამაღლა დაითხოვა, დაიტოვა რა მცირე რიცხვი მხლებლებისა და ფარეშებისა უკიდურესი საჭიროებისათვის (თავადი—10, აზნაური—26, მდაბიონი, გლეხნი, ფარეშნი და მსახურნი, სულ—46 კაცი). „ახლა პეტერბურლიდან მოსკოვს ვაპირებ წასვლას, მაგრამ არაფითარი განსაზღვრული ულუფა არა მაქვს, დიდ ვალსა და სიღარიბეში ვარ, ყველაფერი გავყიდე, დევაგირაფე და აღარ ვიცი, მწარე სიღარიბეში ჩავარდნილმა, რით ვისაზრდოვო და რით გადავწყვიტო ვალები, გთხოვთ. მომცეთ საზრდო ჩემთვისა და ჩემი ამაღლისათვის, ვალები მომაშორეთ, რომ ცოტათი მაინც ვისაზრდო“.

თუ დედოფალი ასეთ გაკირვებაში ჩავარდნილა, გასაგებია მისი ამაღლის რიგითი წევრების ნივთიერი მდგომარეობა, კერძოდ დავით გურამიშვილის ვითარებაც. მასაც რუსთა სამსახურში შესვლამდის (1738 წ. მარტი), სრული წელიწადი, ისე როგორც სხვას, ჯამაგირი არ მიუღია, ამრიგად, 1737 წ. მარტიდან 1738 წ. მარტამდე პოეტისათვის სიღარიბისა და გაჭირვების პერიოდი უნდა ყოფილიყო.

სწორედ იმ დროს, როდესაც გურამიშვილი ეყრებოდა ბაქარის კარს ახალი ცხოვრების საძიებლად, საქართველოდან კიდევ მოისმა სახეეწარი ხმა. ბაქარის დასაბრუნებლად. 1738 წელს, ქართველი დიდებულები ეხვეწებოდნენ რუსეთის საჰეფო კარს: „ერთს ამას მოგახსენებთ, მეფეს ბაქარს წყალობა უყოთ და გამოისტუმროთ და ცოტა რამ ჯარი უბოძოთ და ამ ქვეყნის საქმე ჩვენგან ითხოვოს“. სწორედ ამ დროს დატოვა გურამიშვილმა ბაქარის სასახლე, სადაც იგი საყვარელ პიროვნებად იყო მიჩნეული. რატომ არჩია ეს გზა? მან უარჰყო „ქვე-ყოფნის“ გზა. იგი არ თანაუგრძნობდა ვახტანგის და ბაქარის პოლიტიკას, მიმართულს თეიმურაზისა და ერეკლეს წინააღმდეგ. პოეტი ხომ გაბედულად ამბობს, რომ თავისს დროზე ვერც ვახტანგმა და ვერც ბაქარმა ვერ გამოიყენეს ქართლში თავისი მღვდმარეობა; „ვერც მამამ და ვერცა შვილმან მოსახმარი ვერ იხმარაო“.

ჩვენ გვგონია, დ. გურამიშვილი სასტიკი წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო ძმათა სისხლის ხელახალი დაღვრისა, რომლის ატეხას აპირებდა ბაქარი ქართლის ტახტის დასაბრუნებლად. ცნობილია, რომ ბაქარი ენერგიულად მოქმედებდა და შემდეგში მან კიდევ მოასწრო აემხედრებინა ყაბარდო, ჩერქეზეთი და დაღისტანი თეიმურაზისა და ერეკლეს წინააღმდეგ.

„ქართლის კირის“ ავტორის, საქართველოს აღდგენისა და განთავისუფლების მლალადებელი პატრიოტის კონცეფცია, რასაკვირველია, ვერ შეუთრგდებოდა ახალ ინტრიგებს ქართველი ხალხის წინააღმდეგ, თვით უკვე მსხვერპლი ძმათა ომისა, აღარ ისურვებდა ქართლში იმ ამბების დატრიალებას, რის შემსწრეც თვითონ იყო სიკაბუკეში.

ჩვენი აზრით, ეს მომენტიც უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ გურამიშვილმა თავისი არჩევანით დატოვა სასახლის მყუდრო ცხოვრება, გასცვალა იგი უბრალო მეომრის ცხოვრებაზე. დანარჩენი ამბები ცნობილია თვით გურამიშვილის პოემიდან „კირი ქართლისა“.

ქართველ ემიგრანტების მიერ რუსთა ქვეშევრდომობის მიღებამ მალე სტიქიური ხასიათი მიიღო, იმდენად, რომ ლამის ბაქარი და რუსუდან დედოფალი უშალოდ დარჩნენ, გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ბაქარმა და მისმა ძმებმა კიდევაც სცადეს წინ გადაღობებოდნენ ქართველ ემიგრანტების ასეთ მხურვალე მისწრაფებას, მაგრამ არა გამოუვიდათ რა. დიდი თუ მცირე დიდებული, თავადი, მსახური თუ ფარეში, ყველა ისწრაფოდა ქვეშევრდომობისა და სამსახურის წყალობით მამულისა და ჯამაგირის მიღებას. მალე

ბაქარის ირგვლივ ერთი მუქა ქართველობა იყო შემორჩენილი. საინტერესოა, რომ როცა 1749 წ. ბოლოს ბაქარმა დააპირა საქართველოში წამოსვლა, მისს ოდესღაც ორიაფასიან ამაღაში ახლა ქალიან-ბავშვიანად მიოლოდ ასი სული ქართველია ირიცხებოდა. დანარჩენი უკვე რუსეთის სამსახურში იყო შესული და დაბინადრებული უკრაინისა თუ სხვა ალაგებში (პეტერბურგი, ყაზანი, სიმბირსკი, ნიჟნი-ნოვგოროდი და სხვა) ¹.

რუსთა სამსახურში შესვლისას ქართველმა ემიგრანტებმა ფიცი დასდეს, „რომ ისინი თავის ოჯახითურთ შოვალენი არიან, რათა სამუდამოდ დარჩნენ რუსეთის იმპერიაში და უპასპორტოდ საზღვარგარედ არ წაეიდნენ“, „საზღვარგარეთად“ უპირველესად საქართველო იგულისხმებოდა. ეს იყო იმის მიზეზი, რომ ფიცმიღებულ ქართველობას და, კერძოდ, დ. გურამიშვილს გზა მოეჭრა საქართველოში დაბრუნებისა.

ქვეშევრდომობის ფიცის მიღების შემდეგ ქართველობას საუკუნო მფლობელობაში დაენიშნა ჯამაგირი და მამულები უკრაინაში. 1738 წ. უმაღლესი „უქაზით“ დავითს ერგო 30 კომლი გლეხი ქ. მირგოროდსა და ზუბოვკაში.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ დ. გურამიშვილს უკრაინაში ქართული გარემოცვა მაინც ჰქონდა. დავითთან ერთად მირგოროდში ცხოვრობდნენ: ზაალ ხერხეულიძე, აბრამ კობიაშვილი, პაპუნა ბეჟანიშვილი, დავით ჩხარიძე, იაკობ ოდიშელიძე; კაცურა ინასარიძე, ივანე სავინაძე, ნიკოლოზ ხაჭაპურიძე, ანტონ ოთარაშვილი. შიო პავლიაშვილი, ოთარ პავლიაშვილი, ხოლო პოეტის დასახლების პირველ პერიოდში, დავითის ბიძაშვილი—მერაბ გურამიშვილი და სხვ. როგორც ირკვევა, დავითის მეზობლები ვახტანგის პირადი ამალიდან არიან. მეფის მსახურნი და შინა-ყნები. ზოგნი კიდევ ლეკებისა და ოსმალთა ტყვეობიდან გამოქცეულნი.

¹ ქართველ ჰუსართა პოლკის გარდა, ქართველობა მსახურებდა სამხედრო ნაწილებში, როგორც პრეტორაჟენსკის სემიანოვის გვარდიის ნაწილში, ვიატკის, ხორვატსკის ინგერლანდიის პოლკებში, აგრეთვე ფლოტშიც. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ქართველობა რუსეთის სხვა ადგილებშიც გაფანტულა, მაგ., პუგაჩოვის ამბოხების დროს. ციმბირისა და აღმოსავლეთ რუსეთში, პუგაჩოვის მიერ დაზარალებულ მოქალაქეთა სიაში ქართველებიც იხსენიებიან. მაგ., ყაზანში—ერასტი ანდრეიკაშვილი, სარატოვიში—არტილერიის კაპიტანი ანდრია ბარათაშვილი (შვილი მგოსნის თომა ბარათაშვილისა), სპირიდონ მამიაშვილი, ნიჟეგოროდის მაზრაში—არტილერიის კაპიტანი—პეტრე დადიანი, ალატირის მაზრაში—პრაპ. სერგი ბედაურიშვილი ცოლით, ივანე მაჭავარიანის (თარჯიმნის) ქალი, მისივე ახლო ნათესავი, ვინმე ნინო იაგორის ასული და სხვ. ყველა ესენი დავით გურამიშვილის მეგობრები და ნაცნობები არიან ვახტანგის ამალიდან, შემდეგ თანამოსამსახურენი—ქართულ ჰუსართა პოლკიდან.

ახალმოსახლე ქართველობა ძმური ერთსულოვნობით ცხოვრობდა უკრაინელებთან და ბოლოს სამუდამოდ შეეზიარა უკრაინის ხალხს.

უნდა ითქვას, რომ უკრაინის ქართველობა არა ყოფილა სამშობლოს მთლად მოწყვეტილი. მას მუდმივი კავშირი ჰქონია საქართველოსთან. ისევე, როგორც, თუმცა ძალზე იშვიათად, საქართველოდანაც ჩადიოდნენ უკრაინაში, ნათესაობის სანახაყად. აღსანიშნავია, რომ უკრაინის ქართული ემიგრაცია საქართველოს პოლიტიკურ საქმიანობაშიც იღებდა მონაწილეობას, მაგალითად, თეიმურაზ მეორის მოლაპარაკებაში რუსეთის კართან (1760 წელი).

* *

ქართველების ერთმა ნაწილმა, მართალია, ქვეშევრდომობა 1738 წ. მარტში მიიღო, მაგრამ უკრაინაში გავრცელებულ „საშიში ავადმყოფობის“ გამო იქ წასვლა ქართველ ემიგრანტებს 1739 წლის გაზაფხულზე მოუხდათ და ზოგსაც რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ, დავით გურამიშვილი უკრაინაში წასულ პირველ პარტიაში მოხვედრილა. იგი მოსკოვიდან უკრაინაში 1739 წლის 2 აპრილს გამგზავრებულია.

მაგრამ ქართველობამ ჩასვლისთანავე ვერ განსაზღვრა ახალი მამულების ჩაბარება, რადგან ოსმალეთთან ატეხილი ომის გამო მათ პირდაპირ ბრძოლის ველზე უკრეს თავი.

ოფიციალურ საბუთებში აღნიშნულია, რომ ქართველთა ოჯახები დიდ სიღარიბესა და გაკირვებაში იყვნენ ჩაცვენილნი. მძიმე მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო გურამიშვილის ოჯახიც. ეს იმიტაც იყო გამოწვეული, რომ ქართველობას უკრაინაში წასვლის მზადებაში გაუყიდა თავისი სარჩო-საბადებელი. მაგრამ გამგზავრება კი დროზე ვეღარ მოუხდა.

33 წლის დ. გურამიშვილი ჩარიცხულ იქნა ქართველ ჰუსართა პოლკში (1738 წ.) ჯერ რიგით ჰუსარად, მერე კვარტიმეისტრად, შემდეგ ვახმისტრად და სხვ.

ქართული პოლკი მხნედ ეომებოდა ახლადლორძინებულ რუსეთის სახელმწიფოს მტრებს — თურქებს, შვედებს, პრუსიელებს. ხოტინისა და სტაუჩინის ბრძოლებში თურქებზე შურისძიებით აღძრული ქართველები ფაქტურად ეკვეთნენ თავის მოსისხლე მტერს რომლის მიზეზითაც ისინი გამოძევებულ იქნენ საყვარელ სამშობლოდან, და ჯავრიც იყარეს. ქართველთა გმირობამ საამაყო სიტყვები ათქმევინა რუსეთის სარდლობას: „ქართველები ისე თავგამეტებით და ფაქტურად იბრძოდნენ, რომ მეტის მოთხოვნა

შეუძლებელიაო“, რომ, „სასურველია, რაც შეიძლება მეტი გვყვანდეს ასეთი „საიმედო ადამიანები“ არმიაშიო“ და სხვ.

ამ „საიმედო ადამიანებში“ ირიცხებოდა დავით გურამიშვილიც. ქართულ ჰუსართა პოლკის ახალი როტების ჩამოსაყალიბებლად სარდლობამ სასწრაფოდ გაგზავნა ბერი გარაყანიძე ყიზლარსა და ასტრახანში და მაშინვე ჩამოაყვანიანა 150 ქართველი. ამის შემდეგ ხსენებული პოლკი ყოველწლიურად ივსებოდა უმთავრესად ნატყევართა, ან საქართველოდან ლტოლვილ ქართველებით. თურქებთან პირველ შეტევაშივე დაიხოცნენ პოეტის ამხანაგები (ვახტანგის, კარისკაცები): ომან თარხან-მოურავი, დავით ერისთავი, ზაალ ხერხეულიძე და სხვ.

თურქებთან ომის შემდეგ ქართულმა პოლკმა და, კერძოდ, გურამიშვილმა, მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ჩრდილოეთში, ჩინეთის სრუტის ნაპირებზე შეეცის წინააღმდეგ ბრძოლებში. მოსკოვში საბუთებზე მუშაობის დროს აღმოჩნდა, რომ 1741 წელს დავით გურამიშვილი თავის თანამემამულეებთან ერთად შეეციასთან ომის დროს იცავდა ობიექტებს—„ფორ-პოსტებს“ დღ. კარელო-ფინეთის ტერიტორიაზე. საგულისხმოა, რომ ახლად აღებული ჰელსინფორსის დაცვა რუსთა სარდლობას ქართველი ბატონიშვილისათვის, ვახტანგის ძის გიორგისათვის ჩაუბარებია: როგორც ამბობს მაშინდელი (1741 წ.) მინაწერი: „ავგისტოს რუსნი და შევთნი, ფრანციცის ჯარი შევთთან იყვნენ 60.000 კაცი. ინება ღმერთთან, სძლიეს რუსთა და გაიმარჯვეს. რუსს დარჩა 21.000 კაცი, მკვდარი და ცოცხალი დაირჩინეს. ამათი თოფხანი დარჩა რუსთა, თავი ციხე-ქალაქი დაირჩინეს. ქართველთ მეფის გიორგი ციხის და ქალაქის მცველად (კომენდანტად, გ. ლ.) დააყენეს, ავგისტოსა 30-ს. ეს ამბავი გამოცხადდა მოსკოვს. დიდი სიხარული და მადლობა ღვთისა იქმნა 1741 წ.“.

დ. გურამიშვილს, მისივე სიტყვის თანახმად, უბრძოლია ჰელსინფორსთან და ფრიდრიჰსპამთან.

შეეცის ომიდან დაბრუნების შემდეგ დავით გურამიშვილი ისევ თავის მეურნეობას მოუბრუნდა მირგოროდ-ზუბოვკაში, ვიდრე არ ატყუდა „შეიდწლოვანი ომი“ (1757—1762 წ.) პრუსიასთან. ამ დიდ ომშიც ქართულმა პოლკმა თავი ისახელა. აქ დ. გურამიშვილი მონაწილეობდა ეგერზდორფის ციურნდორფის სასტიკ ბრძოლებში, ხოლო კიუსტრინთა ბრძოლაში მტერს გამოკიდებულ დავითს ცხენი ღიაში დაეფლა, იგი დაატყვევეს მაგდებურგის ციხეში, საიდანაც 1759 წ., 7 დეკემბერს გამოვიდა საკმაოდ შერყეული ჯანმრთელობით. კიუსტრინის ბრძოლაში გურამიშვილი თავში დაიჭრა, რის გამო, მან

ცალი თვალის მხედველობა დაკარგა. ხოლო ცხენიდან ჩამოვარდნის გამო მხარი მოიტება. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დავითმა სთხოვა იმპერატრიცას, გაეთავისუფლებინა იგი სამხედრო სამსახურისაგან. თხოვნა შეწყნარებულ იქნა და პეტერბურგის პოსპიტალში სამედიცინო შემოწმების შემდეგ დ. გურამიშვილი განთავისუფლებულ იქნა, როგორც უკვე უვარგისი სამხედრო სამსახურისათვის, პოდპორუჩიკის ჩინით (1760 წ., 26 ივლის).

ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, 1761 წლის აგვისტო-სექტემბრიდან დავითი შესდგომია თავისი აოხრებული მეურნეობის აღდგენას:

მუნით ვიხსენ, შინ წამოველ, ქერი ვხან და ყანა ფეტვი. ;
ფეტვი ბევრი მოვიყვანე...

დავითის მეურნეობა მირგოროდსა და ზუბოვკაში მალე ისევ მოღონიერებულა.

დ. გურამიშვილი პირადადაც შრომობდა, როგორც ენერგიული მეურნე. მას რომ აინტერესებდა სამეურნეო საქმეები, იქიდანაც ჩანს, რომ მეურნეობის წინ წასაწევად მან შეადგინა „ახალი მოგონებული სარწყავი და წისქვილის მოხაზულობა“, მაგრამ ღრმა მოხუცებაში პოეტი იმდენად დიდ სიღარიბეში ჩავარდნილა, რომ 20 თუმანს თხოულობს მთავრობისაგან თავის გამოგონებლობათა განსახორციელებლად.

1774 წელს სიბერეში შესული გურამიშვილი აცხადებდა, რომ მას აქვეყნად „დარჩა სასყიდელი სისხლისა, ოფლისა“, ე. ი. ქონება, — მონაპოვარი სისხლითა და ოფლით. აქ იგულისხმება ომებში დაღვრილი სისხლი, რამდენჯერმე დაქრისას და ის ოფლი, რომელიც პოეტს, როგორც მეურნეს დაუღვრია თავის მამულში, მირგოროდსა და ზუბოვკაში.

სამხედრო სამსახურში მყოფს, ყმისა და მამულის მქონეს, უშიშრო პოეტს თავისი სამყოფი სარჩო უნდა ჰქონოდა. იგი თვით აღნიშნავს თავისი ქონების „სიმსუქნეს“, „შოვნას“; რომ მან „საწუთრო მოიანგარა“; რომ „გვარდუცი ვერცხლით აავსო და ყელამდინ მოყარა“; რომ მის ქონებას შეადგენდა: „ყმა, სახლი, ბალ-ბოსტანი, თეთრი თუ ფარჩა“. პოეტი იგონებს ჰუსარის „ფერად საცმელთა, ოქროსა და ვერცხლის ღილებს“, მაგრამ ყოველი ავლადიდება სიბერეში დაეკარგა უპატრონობის გამო, აღრეც, როცა პოეტი პრუსიაში ტყვედ იმყოფებოდა, „თუ რამ აქვნდა თავისი საცხოვრებელი, ისიც დაეკარგა“. ამწარეთ გაცრცევილი“ იგი მოსთქვამდა: „მტერმან განცარცვა მე შესამკელი“.

„ვარ ცარიელზე მე დაჯდომილი,
საუნჯისაგან კარს გარეთ მდგარი...
მე საწუთრომა მიმილო (ე. ი. წამართვა),
რაც საბადისი მებადაო“.

პოეტის მონაგრებული ნამუშავევი მის შინაურს მტერსა თუ მე...
ზობელს გაუნიავებია; შესაძლოა, იმიტომაც, რომ დავეითის პრუ-
სიაში ტყვეობისას, მეზობლებს ალბათ იმედიც არ ჰქონდათ მისი
დაბრუნებისა, ან შეიძლება მკვდარიც ეგონათ.

მაგრამ ჰაბუკ გურამიშვილს ჯერ მოსკოვში და მერე ჰუსართა
პოლკში, მაინც ჰქონდა თავისი ახალგაზრდობის დრო, როცა ის.
„ნაღვლობდა არაფერსა“:

არ ვიცოდი ჯავრი,
არ მქონდა კენესა და ვიში,
ცხოვრებასა ჩემსა მით ვატარებდი,
განცხრებოდი, ვიშვებდი, ვიხარებდი,
ჯავრთა და სევდათა მე ვიქარებდი.

მის „ბაღში შექცევიता“, ანუ, როცა მას უყვარდა „ერუ სა-
წუთრო“.

სწორედ ჰუსართის უზრუნველ ცხოვრებას უნდა გულისხმობდეს.
გურამიშვილი, როცა ამბობს, რომ თავისი „ცხოვრება ხორცზედ
გარდააგო, მიჰყვა საწუთროს განცხრომას, შვებას, მეტად დრან-
ჯობით სიძვა-მრუშობას“,

მოხუცი ჰუსართი ნანობს:

რაც იმრუშე, აჰ, შენ ისიძვე, მუნ საწუთროსა ზედ ისი ძე.
ყველა მწარედ გარდამეჰკა, რაც რომ ტკბილად დამეღია.

ნანობს იმასაც, რომ ცხოვრება „ტკბილი ყანდი“ ეგონა. იგი
ასე მიმართავს საწუთროს:

თუმცა შენ მაკმევ საკმელსა კარგსა, გემრიელს, ტკბილებსა,
სულ ჩამაშხამებ ბოლო დროს, ტკივილით დამგლეჯ კბილებსა.

გურამიშვილი იგონებს თავის ჰუსართულ მუნჯირსაც, რომელიც
მის მოხუცებაში უკვე მლილებს შეუჰამიათ: „მაკვებებ ფერად საც-
მელთა, ოქროსა ვერცხლის ლილებსა, აწ დადგომია თვალები, შე-
უჰამია მლილებსა“.

პრუსიაში ტყვეობის შემდეგ დავეითს დასწემდა „შავი ნაღველი“,
იპოხონდრია, რომელსაც, მედიცინის სიტყვით, სხვა მიზეზებთან
ერთად ლვიძლის და ტყირპის სენიც აფითარებს, მის მედიცინურ
შემოწმებაში კი ნათქვამია, რომ „მარჯვენა მხარეში ელენთასთან
ახლოს შენიშნულია ტკივილის გამომწვევი გამაგრება“.

ამ ავადმყოფობის გამოძახილი იყო პოეტის ნაწარმოებები სოფლის ამოკებისა და წარმავლობის გრძნობით აღბეჭდილი:

ვა, რა მაქვს დიდი მოწყენა.
სად არს ჩემი მოლხენა!
მწარედ სახმილით დაგულსა,
ლახვარი დამსმია გულსა,
ნაწლეენი, ღვიძლი და გული,
შემქმნია ცეცხლით დაგული,
პირი შემკვდია წყენითა,
ვერა მითქვამ რა ენითა!

სამშობლოს, მშობლიურ ოჯახს, ნათესაობას სამუდამოდ და უიმედოდ დაშორებული „მწირი“ პოეტის ტანჯვა აღწევს თავის ზენიტს, იგი ნატრობს არყოფნას:

„ნეტავი ისევ მიწადა, მე ვყოფილიყავ არ კაცად,
აგების აღარ ვიწოდი, რომ ვიქნებოდი აღარცად.

* *

1747 წელს დავით გურამიშვილის თანამოსამსახურე ქართველი ოფიცრები ერთხმად აღნიშნავდნენ მის ერთგულ სამსახურსა და კეთილშობილებას: „был с ревностью при всех воинских случаях, беспорочно, к тому же, он человек сущь состоянный доброго“.

იმპერატრიცა ელისაბედის სახელზე გურამიშვილი აღნიშნავს თავის ხანგრძლივს, ერთგულსა და უბიწო სამსახურს („за столь долготренивую, верную и беспорочную службу“).

1747 წელს, ქართულ ჰუსართა პოლკის ინსპექტორი ლამბას მოხსენების თანახმადაც დასტურდება გურამიშვილის ერთგული სამსახური. იგი, სხვათა შორის, დასძენს, რომ დავით გურამიშვილს „სამსახურში არავითარი წუნი და შემჩნევა არა ჰქონდა და არცერთხელ არც დასჯილა და არც დაჯარიმებული ყოფილა“.

დავით გურამიშვილის პოეტური შემოქმედებისათვის დიდად უნდა შეეშალა ხელი სამხედრო სამსახურს. ამ გარემოებამ თავისი დალი დაამჩნია პოეტის შემოქმედებითს ნაყოფიერებას. პოეტი 22 წელიწადი მსახურებდა სამხედრო სამსახურში, მას შეაღია თავისი სიკაბუკე. იგი არა ერთი კამპანიის მონაწილე იყო; როგორც მეომარი, იძულებული იყო სხვადასხვა შორეულ ფრონტებზე (შვეციის ოსმალეთის, პრუსიის) ემგზავრა. ამიტომაც იგი მართებულად ჩივის:

ერთს აზად ვზარობ.
აქა-იქ ვმგზავრობ,
ვერ მომიცლია.

განსაკუთრებით მწვავე უნდა ყოფილიყო მისთვის საწერი მაგი-
დიდან მოწყვეტა შემოქმედების დროს:

მე მომიტხრეს: მანდენდამე ახლა ადექ. სხვაგან წადი!
ძალუნებრივ წამიყვანეს, სადაც არ ვიყავი მწადი.
ვამე ტკბილო სიცოცხლეო, რომ შენ ასე დამიმწარდი!

მუდმივ ომიანობაში მონაწილეობა იყო მთავარი მიზეზი იმისა,
რომ დავით გურამიშვილმა ვერ შეძლო ისე ემუშავა მწერლობაში
როგორც თვითონ მას სურდა:

თუმცა ენა გასარეკლდა,¹
გული მისთვის გამი-ზარ-და,
მაგრამ მეფეთ სამსახურით,
ეს სახრდელად გამიზარდა!

ამის მიზეზით გურამიშვილის მთავარი ნაწარმოებები, მისი პოე-
მები, როგორც მათი რეალიებიდან ჩანს, საპხედრო სამსახურის
მერე, სიბერეში უნდა იყოს დაწერილი. მაგ. პოემაში „ჭირი ქარ-
ლისა“ პოეტი ჩივის სიბრმავეს, რაც მას დაემართა 1758 წლის
შემდეგ.

დაუმთავრებელი „ქაცვია მწყემსიც“ უთუოდ სიბერეშია დაწე-
რილი, როცა ავტორი „ბერიკაცი დიდად ნასარჯი“, „ბრმა, ცალ-
თვალი“, ყოფილა. 1787 წელს პოეტი ჩივის: „ცალის თვალით სულ
ბრმა ვიყავ, მეორითაც ავად ვხედავდიო“. ფფიქრობთ, „ქაცვია
მწყემსის“ დაწერის დროს დიდად არ უნდა იყოს დაზორებული
ნის მიერ დამუშავებულ სარწყავის პროექტს, რომლის მინაწერშიც
იგი ჩივის მხედველობის ნაკლებულობას.

აპრიგად, დ. გურამიშვილის მთავარი ნაწარმოებნი მისი სამ-
ხედრო სამსახურის მერე უნდა იყოს დაწერილი. პოეტს მეტად
აწუხებს უნაყოფოდ დახარჯული დრო შემოქმედებისა, და მწარედ
ნანობს:

რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა
მეთქვა გრძლად, თავი მეცადა,
ვერა ვსთქვი, მოცლას ვუცდიდი,
ნეტამცა არა მეცადა!

და თუ რამ თქვა პოეტმა, ისიც მხოლოდ მისთვის, რომ „სულ
არ ვსთქვა არარა, ის უფრო არ ევარგებო“. ასეთი იყო შემოქმე-
დებითი პირობები დიდი ქართველი პოეტისა.

¹ ს ა რ ე კ ე ლ ა — წისქვილის ნაწილი.

ორი სიტყვა დ. გურამიშვილის ოჯახურ ვითარებაზე:

როგორც ვთქვით, გურამიშვილს 1721 წელს უნდა შეერთო ცოლი, ფეიქრობ, გარაყანიძის ასული სოფ. ლამისყანიდან, რასაც ხალხური გადმოცემანიც ადასტურებენ.

1737 წ. ჯერ კიდევ რუსთა სამსახურში შესვლამდე დავითთან ერთად მის ოჯახში ნაჩვენებია რვა სული: ცოლი, სიდედრი, მსახური, მსახურის ცოლი, მისივე ქალიშვილი, კიდევ ორი მოახლე. ასევე 1738 წელს სამხედრო სამსახურის „უწყებაში“ დავით იხსენიება „შინაურებით“.

საიდან გაჩნდა დავითის მთელი ოჯახი მოსკოვში? (მასთან ერთად მისივე ბიძაშვილი მერაბი). შესაძლოა გვეფიქრა, რომ პოეტი მოსკოვში ახალ ოჯახს მოეკიდა, მაგრამ „უწყების“ გრაფაში ოჯახის წევრები ნაჩვენებია არიან, როგორც ჩამოსულები („приписанные“). მაშასადამე, ქართლში ნათხოვი ცოლი დავითა მოსკოვში ჩაუყვანია. ჩვენი ფიქრით, ან თვითონ დავითია ჩამოსული საქართველოში ოჯახის წასაყვანად, ან, შესაძლოა, ჩაყვანაში ძმა ქრისტეფორე დაეხმარა, რომელიც მოსკოვს 1734 წელს ჩავიდა ცნობილი იოსებ სამებელთან ერთად. ამ საქმეში აგრეთვე საგარაუდლოა გარაყანიძის ოჯახის დახმარებაც. ჩვენ ვგულისხმობთ, „ბერ გარაყანიძეს“, რომელიც 1724 წელს ოთარ არაგვის ერისთავმა გაგზავნა წერილით პეტრე დიდთან. მას ერთგვარი გავლენა ჰქონდა რუსეთში და შესაძლოა ახლო წევრიც იყო გურამიშვილის ცოლის ოჯახისა¹.

უკრაინაში პოეტს მეორე ცოლი შეურთავს—ტატინა (თინათინი? თამარ?) ვასილის ასული ავალიშვილი, რომელთანაც, როგორც ყრულ ნათქვამი უნდა იყოს დავითის ლექსებში, და როგორც გაკვრით ჩანს საბუთებიდან, პოეტს შემდეგში უთანხმოება უნდა ჰქონოდა და ვგონებ კიდევ უნდა გაშორებოდა.

პოეტს შვილი არ ჰყოლია, სიბერეში იგი ხშირად ჩივის „ბერწონებას“, უშვილობას: „არ მომცა ძე, არც ასული, არც ვინ მიძახის მამასო“; „მე მსურდა, ერთი არ მომცა, ვის არ სურს, მისცა ტყუპია“. უშვილძირო გურამიშვილს სიბერეში განსაკუთრებით ის ფიქრი აღშფოთებდა, რომ წას „მომხსენებელი“ არა რჩებოდა, 1776 წელს დავითს უნდა ეშვილნოს „ობოლი დარია“, ანუ დარეჯანი,

¹ ბერი გარაყანიძე შემდეგში (1739 წ.) როგორც ზემოთ ვთქვით, რუსეთის სარდლობამ გაგზავნა ასტრახანსა და ყიზლარში ქართველების ჩამოსაყვანად ქართულ ჰუსართა პოლკის შესავსებად.

რომელიც ერთი წლის ასაკში გარდაცვლილა. უშვილობა, ნაშვილების დაკარგვა აორკეცებდა პოეტის სულიერობლასა და სევდიანობას:

ცოცხალიც არვის ვახსოვარ,
მკვდარ ვინღა მომიგონებსა.

ჩივის უნუგეშო სიბერეში. მარტობით განწირულ, სასოწარკვეთილ პოეტს აღარაფინ დარჩა ცოცხალი, აღარც დაძმა, აღარც ნათესავი და მეგობარი („სულ დამიხოცე მოყვასნი, ერთიც არ დალინდილებსა“), მისი პირადი ტრაგედია უშვილობამ უშეტესად გამძაფრა; ამიტომ მან „იშვილა“ თავისი „ობოლი“—წიგნი. „გაზრდილი დიდის ქირით“, „ვინც გამოთქვა, ის იშვილა, მტერი ამით მოიგერა“.

* *

ჩვენ გვგონია, რომ ტყვეობის შემდეგ დავით გურამიშვილს კიდევ ერთხელ მოუხდა სამშობლოში ჩამოსვლა თავისი ოჯახის წასაყვანად.

საქართველოში მეორედ ყოფნის მწარე გამოძახილი უნდა იყოს პოეტის მოხუცობის დროს დანანებით ნათქვამი სიტყვები:

აქ (უკრაინაში. გ. ლ.) საკვდავად რად მოგყვანდი,
თუ მუნ (საქართველოში გ. ლ.) ცოცხალს წამიყვანდიო.

უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთში გადახეწილი ქართველობის დიდი ნაწილი დროებით ბრუნდებოდა საქართველოში თავიანთი ოჯახებისა და ნათესავების წასაყვანად. ქართლ-კახეთში ლეკთა საშინელი მძვინვარების გამო განსაკუთრებით გახშირდა მიმოსვლა ვახტანგ მეფის სიკვდილის შემდეგ. უმეთაუროდ დარჩენილმა და იმედგაცრუებულმა ქართველობამ რუსეთის სამუდამო ქვეშევრდომობა გადაწყვიტა და ამიტომ ცოლ-შვილის ჩაყვანა საქართველოდან რუსეთში აშცილებელი და გადაუღებელი შეიქნა.

* *

ცნობისმოყვარე პოეტს, ქართული კულტურის დიდ პატრიოტს, ცხადია, დიდად აინტერესებდა რუსი და უკრაინის ხალხთა კულტურა. უპირველესად, მასზე დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა უკრაინის ხალხურ მომღერლებს—კომზარებს, რომელთაც, ეჭვი არაა, თავისი გავლენის კვალი უნდა დაეტოვებინათ გურამიშვილის შემოქმედებაზე. (სავარაუდებელია აგრეთვე „ძველ უკრაინულ ვირ-

შემის გავლენაც, რაზედაც შემდეგში ცალკე გვექნება საუბარი). ექვი არაა გურამიშვილი ახლო ურთიერთობაში იყო უკრაინის ინტელიგენციასთან, კიევის სასულიერო აკადემიის, პერეიასლავის და პოლტავის სემინარიის მოსწავლეებთან, რომელნიც ხალხის ფენიდან იყვნენ გამოსულნი. „შეუძლებელია დ. გურამიშვილს არ გაეგო უკრაინის მე-18 საუკუნის დიდი მოღვაწისა და მოაზროვნის, პოეტისა და ფილოსოფოსის გრიგოლ სკოვოროდას სახელი. შესაძლოა ის ახლოც იცნობდა მას. შესაძლოა, რომ ისინი შეხვედრიან კიდევაც ერთმანეთს კიევსა, პოლტავასა, ან ლუბნში, მირგოროდის გზაზე, უფრო კი ახტირკაში“ (დ. კოსარიკი).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დავით გურამიშვილის სამყოფელ მირგოროდთან ახლოს იყო სოფ. ობუხოვკა, სადაც ეწეოდა შემოქმედებას მე-18 საუკუნის ცნობილი რუსი მწერალი ვ. ვ. კაპნისტი (ახლო მეგობარი და ქვისლი ცნობილი პოეტის გ. რ. დერჟავინისა, რომელიც სტუმრად დაიარებოდა ობუხოვკაში). მირგოროდელ დ. გურამიშვილს უსათუოდ უნდა სცნობოდა ვ. კაპნისტი, 1782 წელს—მირგოროდის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი.

მირგოროდიდან დასავლეთით ათი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს სოფ. კიბინცი, სადაც გოგოლის მამა, უკრაინელი პოეტი ვ. ა. გოგოლ-იანოვსკი სთხზავდა პიესებს და სდგამდა ყმა მსახიობების მონაწილეობით.

საროჩინცებში მას ევალებოდა ჩასვლა ყოველ ოფიციალურ შემთხვევის გამო, რადგან საროჩინცები მირგოროდის პოლკის ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ ცენტრად ითვლებოდა, აქვე იყო პოლკოვნიკის რეზიდენცია. პოლტავაში ის ჩადიოდა ხოლმე თავადაზნაურთა საარჩევნო კრებებზე, რომლებზედაც თავს იყრიდნენ სამი მეზობელი პოლკის—მირგოროდის, გადიჩისა და პოლტავის თავადაზნაურობა. პოეტი დადიოდა გლუხოვსა და კიევში, აგრეთვე ახტირკაში, სადაც ქართველ ჰუსარებს ძალიან უყვარდათ ხოლმე შეკრება საეკლესიო დღესასწაულების დროს. ხშირი სტუმარი იყო დავითი მირგოროდის მახლობელი ქალაქებისა, სადაც ცხოვრობდნენ წარჩინებული და ინტელიგენტი ქართველები, რომელთაც ჰქონდათ მდიდარი წიგნის საცაეები და სურათების გალერეები—დავითი ჩადიოდა ლუბანში, პირიატინში და ხოროლში, აქ ცხოვრობდა ქართველი ინტელიგენტური ოჯახი წერეთლების, აგრეთვე კრემენჩუგში...¹

დავით გურამიშვილის შესანიშნავი ლექსი „კაზაკ-დუშა პრაუ-

¹ დ. კოსარიკი, „დ. გურამიშვილი უკრაინაში“, გვ. 119-120.

„დივია“ დაწერილია უკრაინულ მოტივზე. დღემდე ჩვენს მწერლობაში არ იყო ცნობილი ამ ლექსის პროტოტიპი, იგი ზაპოროჟელი კაზაკის ივან ვინოგურას აღსარება გამოდგა. ასევე უკრაინულ სიმღერის „ვესელა ვესნას“ გავლენით, გურამიშვილმა, „ქაცვია მწყემსი“ დასწერა.

დასასრულ, ჩვენ უნდა გავიხსენოთ პოეტის ზრუნვა თავის ახალ სამშობლო უკრაინისადმი, კერძოდ, მშრომელ გლეხობისადმი. იცოდა რა „მალაოროსის ორი საწუნელი სნეულება“, მან მისი სამკურნალო წამალიც იპოვნა, და გამოიგონა „წყლის ასამალღებელი“, მინდვრების მოსარწყავად, და შეთხზა პროექტი ახალი წისქვილისა, რომელიც „გოლვაში ნამუშევარს არ მოაყდენს“. დაეით გურამიშვილის გამოგონება ძვირფასი საბუთია ქართველ-უკრაინელთა ძველი ძმობისა. სამართლიანად ამბობს უკრაინელი მწერალი დ. კოსარიკი: „უკრაინის მიწა მეორე სამშობლოდ იქცა დ. გურამიშვილისათვის, უკრაინას უფლება ჰქონდა ჩაეთვალა ქართველი პოეტი თავის ერთგულ შვილად. მას თავის ფეხით ჰქონდა მოვლილი უკრაინის სივრცეები კიდიდან კიდემდე, იგი თავისი მკერდით იცავდა მის მიწას თურქეთთან და შვედებთან ბრძოლებში, ომიდან დაბრუნებული ამუშავებდა მის ნოყიერ ნიადაგს, აშენებდა ბალებს; დ. გურამიშვილი უმღეროდა უკრაინის ისტორიას და ამავე დროს წინასწარმეტყველებდა მის ნათელ მომავალს“.

მადლიანმა უკრაინამ 1949 წ., 1 აგვისტოს პოეტის საფლავზე, მირგოროდში ძველი ააგო, ხოლო ამაზე ადრე, 1942 წ. უკრაინის საზოგადოებამ დიდის ზემოთ აღნიშნა დ. გურამიშვილის გარდაცვალების 150 წლისთავი.

მას მერე, ყოველ 1 აგვისტოს, პოეტის გარდაცვალების დღეს, მირგოროდსა და ზუბოვკაში ტარდება დ. გურამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საზეიმო კრებები, რომლებზედაც უკრაინის მშრომელი ხალხი დიდ სიყვარულსა და პატივისცემას გამოთქვამს ქართველი პოეტისადმი.

* *

მრავალ განსაცდელგამოვლილ პოეტს,—„სახლ-სამკვიდრო დაკარგულს“, ნაომარს, დაკრილს, „ორჯერ ხელკრულსა“ და ნატყვევარს, ბრმას, ავადმყოფს, და „მამულისა ვერ მხედველს“,—წილად ერგო „გრძლად ყოფნა ხორცად“. მან 87 წელი იცოცხლა. მოვიდა აღსასრულის დღეც. 1792 წ., 21 ივლისს მირგოროდის ტაძრის მიცვალებულთა იადგარში წერია: „მიიცვალა თავადი დაეით გურამიშვილი მონანიებით“. მაშასადამე, პოეტი სრულ გონივრებაში

მომკვდარა, რომ „აღსარებაც“ უთქვამს. ვინ იყო მაშინ მასთან, ვინ უპირისუფლა, ვინ დამარხა, არაფერი ვიცი, გარდა იმისა რომ ცოლი თუ ნაცოლარი ტატიანა ავალიშვილი ჯერ ისევ ცოცხალი იყო, იგი ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ასე დასრულდა მძიმე და ტანჯული ცხოვრება „ქართლის კირის“ დიდი მთქმელის, დავით გურამიშვილის...

„დიდად ნასარჯი, საწუთრისაგან მწარედ ნატანჯი, შიშველის ფეხებით, აქა-იქ ხეხებით“, ტყვეობისაგან და—

საწუთროსა სოფლისგან ბევრის გზით ვნებით,
მრავალს განსაცდელსა შინა შეყვანებული,—

• „სახლ-სამკვიდრო დაკარგული“, გარდახვეწილი, მწირობაში კირნანახი, იგი მხოლოდ სამშობლოსთან შეხვედრაზე ოცნებობდა:

თვალთ მაჩვენე,
ნუ შემაჩვენებ!

განშორების დიდი სევდით დადაგულ პოეტს, მუდამ წინ ედგა სამშობლოს ტანჯული, ნაცემი, ტრაგიკული სახე:

ვაი, ჩემ თვალთა ჩენასა,
შენს უკან ჩემს დარჩენასა!

პოეტს შორიდან ესმოდა „ხელშეკრული“ საქართველოს ყოველ-დღიური აკლების, აოხრებისა და დამხობის შემზარავი ხმები.

მზამს, განვილესო,
წამლად, სასმელად,
წყლულზე სასმელად—
მე სისხლი შენი!—

ასე მიმართავს სისხლით გაბასრულ სამშობლოს. მისი სიყვარულით დამწვარი, დაფერფლილი, ერთს ნატრობდა, რომ იგი, როგორც დაკარგული შვილი („აწ დავეკარგულვარ თავთავის, აღარ მოველი პოენასა“!), სამშობლოს შეგებებოდა:

გულითა მართლითა,
პირითა ნათლითა,
შურტხვენელად!

ასრულდა დიდი პოეტის ნატვრა, მისი ყველა ტანჯვები გამართლებულია! პოეტური დიდების შარაყანდელში, დღეს იგი ნათელი პირით ხედება სამშობლოს:

ვითა დავლამდი ისევ გავთენდი!

მისი „მომხსენებელია“ ქართველ ხალხთან ერთად, მთელი საბ-

ქოთა ხალხი, რომლის შრომას და მომავალს შორიდან უმღერა და-
ვით გურამიშვილმა!

მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან,
განხეტქოს მთა და გორია,
მხნე იყავ და გაძლიერდი,
დავითს რაც უთქვამს, სწორია!

სამწუხარო ფაქტია, რომ ჩვენი ძველი პოეტების სურათებთან ერთად არც დავით გურამიშვილის პორტრეტი გაგვაჩნია, გარდა „მხატვრობის მოყვარული“ პოეტის ხელით შესრულებული და დაზიანებული ავტოპორტრეტისა, რომელიც გურამიშვილის ავტოგრაფულ კრებულშია მოთავსებული.

დ. გურამიშვილის პორტრეტის ძიებას მაინც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ძიება უშედეგოდ რჩებოდა.

1903 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა ცნობა, რომ აღმოჩნდა ნ. ბარათაშვილის „ახალი სურათი“. ქრონიკა დასძენდა, რომ „უპოვნიათ აგრეთვე გურამიშვილის და ბესიკის სურათებიც. ეს სამივე სურათი მალე ფოტოტიპით დაიბეჭდებო“ (№ 139). მაგრამ „ივერიის“ ცნობას სრული მღუპარება მოჰყვა და არც ერთი სურათი ხსენებული პოეტებისა არ დაბეჭდილა. 1904 წ. დაიბეჭდა მხოლოდ ნ. ბარათაშვილის ყალბი სურათი (ნამდვილად ვინმე ციციშვილის პორტრეტი), რომელსაც არ ვიცით, რაიმე კავშირი აქვს თუ არა ზემოხსენებულ ქრონიკასთან.

ჩვენ გვგონია, რომ „ივერიის“ ცნობა ან ბარათაშვილის ყალბი სურათის ნიადაგის შესამზადებლად გამოქვეყნდა, ან 1903 წელს არაფითარ „აღმოჩენას“ არ ჰქონდა ადგილი და ქრონიკა შემთხვევითი ენთუზიასტის ფანტაზიის ნაყოფი უნდა ყოფილიყო; წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად გაუგებარი იქნებოდა ხსენებულ მწერალთა პორტრეტების დაუბეჭდაობა იმ დროს, როდესაც ჩვენი მოღვაწენი და ჩვენი კულტურის პატრიოტები ასეთ სურათებს სანთლით ეძებდნენ.

1909 წელს გაზ. „დროება“ (№ 275) იტყობინებოდა: „აღმოჩნდა ჩვენი გამოჩენილი მგონის დავით გურამიშვილის სურათი. პოეტის სახე დახატულია მინაზე საღებავით. ეს მინა ოთხკუთხიანი-გარეშემო შემოვლებულია ბრინჯაოს რგოლი, ეს სურათი ჰქონდა

¹ „ლიტერატურული გაზეთი“, 1955 წ., № 28.

ასეთ საშინელ პირობებში, ქაბუჯ გურამიშვილს ჰქონოდა შესაძლებლობა და ხალისი თავისი სურათის შექვეთისა და პოზირებიანა. ისიც საგულისხმოა, რომ პორტრეტი ევროპული სკოლის მხატვრობისაა და იმ დროისათვის ამ სკოლის მხატვრები ჩვენში არ ეუშაობდნენ.

სურათი, აღმოჩენილი ილია ჭავჭავაძის ოჯახში, კუთვნილებაა ილიას მეუღლის ოლგა გურამიშვილისა. მაშასადამე, ილია კარგად იცნობდა სურათს იმ პოეტისას, რომელსაც იგი აღმერთებდა. და თუ იგი მიაჩნდა გურამიშვილის სახედ, ცხადია, კიდევაც გამოაქვეყნებდა, მაგრამ სურათი გამოქვეყნდა მხოლოდ ილიას სიკვდილის შემდეგ, როცა თვით ოლგა, ცნობილი ტრაგედიის შემდეგ აღარ იყო თავის გონზე.

მაშასადამე, ხსენებული სურათი ილიას სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა და არც ვიცით სურათის მეპატრონეთა—ილია და ოლგა ჭავჭავაძეების აზრი და ინფორმაცია სურათის წარმოშობის შესახებ.

ეტყობა, ილიას ამ პორტრეტის დასადასტურებლად ხელთ საკმაო, უტყუარი საბუთი არა ჰქონდა, თორემ სურათის გამოქვეყნებას რატომ დაახანებდა! ჩვენთვის ესეც წთავარი საბუთია ამ პორტრეტის უარყოფისათვის.

რაც შეეხება „ბუნდოვან გადმოცემას“, რომ ეს პორტრეტი რომელიღაც გურამიშვილს და შესაძლოა პოეტსაც უნდა წარმოადგენდეს, იქნებ იგი გამოსახავდეს რომელიმე მომწერლო გურამიშვილთაგანს, მაგალითად მგოსან მამუკა ბაქარის ძე გურამიშვილს, რომელიც 1780-იან წლებში რუსეთში გადასახლდა, ან მწერლობის მოყვარულს, ზაქარია ზაალის ძე გურამიშვილს, რომელიც მარიამ დედოფალს გადაჰყვა რუსეთში და იქ იმყოფებოდა. თუ ეს ასეა, მაშინ სურათიც რუსეთში უნდა იყოს შესრულებული და იქიდან გამოგზავნილი გურამიანთ ოჯახისათვის.

მესამე სურათი გამოქვეყნებულია „დავითიანის“ ზ. კიკინაძისეულ 1911 წლის გამოცემის ყდაზე. მოხუცი პოეტი დგას ხელებაპყრობილი რუსულ, სანახევროდ სამხედრო ფორმაში. რადგან ეს სურათი მრავალს ისტორიული დოკუმენტი ჰგონია, ხშირად კიდევაც სარგებლობენ ამ სურათით გამოცემებსა თუ გამოფენეზე. როგორც ამ სურათის წარმოშობის ერთ მონაწილეს, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მისი ისტორია გადმოვცეთ, მით უმეტეს, რომ არც სურათის შემკვეთი და არც მისი მხატვარი ცოცხლები აღარ არიან.

1907—1913 წლებში მე ვსწავლობდი თბილისის სასულიერო სასწავლებელში 1909—1911 წლებში, გატაცებული წიგნებით და დიდად დაინტერესებული საქართველოს ისტორიით, დავიარებოდი

ჩვენს დაუღალავ მწიგნობარ-გამომცემელ ზაქარია ქიქინაძესთან, რომელიც იქვე, ჩემი სასწავლებლის (საბჭოს ქუჩა) სიახლოვეს (მაშინ მეორე თუმანოვის ქ. № 20) ცხოვრობდა, რადგან მე პანსიონში ვიმყოფებოდი, სწავლის დღეებში გარეთ არ გვიშვებდნენ; ხშირად, კვირა დღეობით მივდიოდი ზაქარიასთან და ვიძენდი მისგან თუ სხვათა გამოცემულ წიგნებს. ზოგ წიგნსაც ზაქარია მისაჩუქრებდა ხოლმე; ზაქარიას საკუთარ პატარა სახლში, ზემო სართულში ორი პატარა ოთახი ექირა, ერთი ზემოდან ქვემოთ, თაროებით გამართული, მთლიანად წიგნების საწყობს წარმოადგენდა. ბუკინისტების გარდა თბილისში მაშინ ერთადერთი ქართული წიგნის მაღაზია არსებობდა. ეს იყო წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზია—ახლანდელ გრიბოედოვის სახელობის თეატრის ეზოში, მარჯვენა, დიდი კიბეების ზემოთ, მეორე სართულში; ეს მაღაზია ჩემთვის მიუწოდებელი იყო და, გასაგებია, რა დიდ სიხარულს წარმოადგენდა ჩემთვის ზაქარიას მრავალფეროვანი საწიგნე, რომლითაც მე დიდად დავალებული ვარ.

ერთ დღეს ზაქარიამ მკითხა: ხომ არაყინ გეგულება ამხანაგეებში მხატვრობის მცოდნე, რომ დავით გურამიშვილის სურათი გადმომიხატოსო. ამ დროს ზაქარია „დავითიანს“ ბეჭდავდა და მაგიდაზე „დავითიანის“ კორექტურებით იყო გარშემოხვეული.

სასულიერო სასწავლებელში ჩემს დროს სწავლობდა მომავალი მხატვარი ირაკლი გამრეკელი. ის ჩემზე სამი კლასით წინ სწავლობდა, ჩემი უფროსი ძმის სიკო ლეონიძის თანაკლასელი და ამხანაგი იყო. ჩვენს სასწავლებელში ის უკვე ცნობილ მხატვრად მიგვაჩნდა. მას ხშირად მოჰქონდა სასწავლებელში ჩვენთვის საჩვენებლად თავისი ნახატები, ფანქრით შესრულებული; მეცა და ჩემს ძმასაც გვმეგობრობდა და ჩვენთან პატარძეულშიც სტუმრად ჩამოდიოდა. ი. გამრეკელი იყო ერთადერთი მხატვარი, რომელსაც მაშინ მე ვიცნობდი და სწორედ მასზე მივუთითე ზაქარიას. შემდეგ, კვირა დღით ირაკლი წავიყვანე ზაქარიასთან. ბავშვი-მხატვარი, ვახარებული ამ საპატიო დავალებით და იმითაც, რომ მხატვრობის ასპარეზი ეშლებოდა და პირველი დამკვეთელიც იზოვნა, შეპირდა ზაქარიას შეკვეთის შესრულებას.

ზაქარიამ წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმში გვიჩვენა დავით გურამიშვილის ავტოპორტრეტი, პოეტის ავტოგრაფიულ კრებულში მოთავსებული.

გამრეკელმა სულ მცირე ხანში გადმოხატა გურამიშვილის სურათი, დაამუშავა და გადასცა ზაქარიას, რითაც უკანასკნელი დიდად კმაყოფილი დარჩა.

მაღე ირაკლი გამრეკელის ნამუშევარი დაიბეჭდა „დავითიანის“ ახალ გამოცემის ყდაზე. ეს იყო ირაკლი გამრეკელის პირველი დებიუტი.

როგორც მახსოვს, ჰონორარზე არც ყოფილა ლაპარაკი და 14-15 წლის ბავშვმა-მხატვარმა უსასყიდლოდ შექმნა ეს პორტრეტი. სურათის ჯილდოდ ზაქარიასაგან მიიღო მხოლოდ ერთი ეგზემპლარი „დავითიანისა“. ასეთია ამ სურათის წარმოშობის ისტორია.

* *

ასე, 1909 წელს გამოქვეყნებული პორტრეტი, როგორც ვთქვი, არ უნდა იყოს პოეტის სახის გამოსახულება, ხოლო 1911 წელს გამოქვეყნებული სურათი ჯერ გამოუცდელი ახალგაზრდის ირაკლი გამრეკელის მიერ დ. გურამიშვილის ავტოპორტრეტის მხოლოდ თავისუფალ დამუშავებას წარმოადგენს.

ამრიგად, ჩვენ დღემდის არ გვაქვს დავით გურამიშვილის პორტრეტი, დროა კი შეიქმნას იგი თვით პოეტის ავტოპორტრეტისა და მისი შემოქმედების ღრმად შესწავლის საფუძველზე.

იმედია, ქართველი მხატვრები ამ საპატიო ამოცანას შესაფერო მონდომებით გამოეხმაურებიან.

ЖИЗНЬ И ТВОРЧЕСТВО ДАВИДА ГУРАМИШВИЛИ ¹

Сегодня грузинский народ отмечает 250-летие со дня рождения великого поэта и мыслителя, классика грузинской литературы Давида Гурамишвили.

Вместе с грузинским народом память одного из титанов грузинской поэзии, чтут сегодня все народы Советского Союза во главе с великим русским народом.

Чествование Давида Гурамишвили снова подтверждает тот неоспоримый факт, что советский народ является самым заботливым, самым верным хранителем величайших культурных ценностей, созданных человечеством.

Шота Руставели, Тарас Шевченко, Фирдоуси, Низами Ганджевиджи, Саятнова, Алишер Навоӣ — великие поэты разных народов и разных эпох — все они становятся нашими соотечественниками, в силу той невиданной духовной широты, высочайшего гуманизма и интернационализма, которые сообщила советским народам Великая Октябрьская революция.

„Трудом прорвав громаду лет“, стих Давид Гурамишвили явился к потомкам, чтобы нести долгосрочную службу, и великий поэт во весь голос заговорил с новым счастливым поколением, которому и был собственно предвзначен бескорыстный дар его поэзии.

Перед нами — образ певца, историка, моралиста-философа, просветителя-гуманиста, патриота-воина, провозвестника дружбы народов.

Гурамишвили жил и творил в эпоху, которую можно назвать историческим перепутьем в судьбе Грузии. 18-ый век определил новую политическую ориентацию страны, — ее стремление в тес-

¹ Стенограмма доклада, прочитанного на юбилейном собрании посвященном 250-летию со дня рождения Давида Гурамишвили.

тому союзу с великим северным соседом—Россией; союзу, который только и мог обеспечить дальнейшее национальное существование и историческое развитие мужественному народу, изнемогавшему от нескончаемых турецких и персидских нашествий, находившемуся на грани полного физического уничтожения.

Но этим пламам передовых государственных деятелей Грузии суждено было осуществиться лишь к самому концу века.—середины же его была для Грузии поистине трагичной.

Ибо, чем глубже было ее стремление к союзу с Россией, тем беспощаднее и кровавее становился гнет варварских восточных тираний, мстивших малочисленному, героическому народу не только за вооруженное сопротивление этому гнету, за непокорность и неистребимое свободолюбие, но и за эти надежды, обращенные к „обетованной земле“—России.

На перепутьи находилась и грузинская литература. И здесь надо было выбирать между „колючими терниями“ деградирующей восточной поэзии, грозившими опутать и задушить древний могучий ствол грузинской поэзии, и новыми путями, которые должны были вывести грузинскую литературу на широкие просторы мирового культурного прогресса. Итти по новым, неизведанным еще путям грузинская литература могла, лишь опираясь на свои лучшие национальные традиции, связанные в первую очередь с именем титана грузинского возрождения—Шота Руставели.

* *

Биография Давида Георгиевича Гурамышвили,—биография поэтического Иова. Детство и юность поэта на берегах Арагвы и на живописных склонах горы Зеда-Зени, прошли в зареве пожаров, пожиривших раздробленную Грузию.

Это была бурная эпоха грозных исторических катастроф, разразившихся над Грузией в начале 18-го века.

Шахский Иран и султанская Турция безжалостно терзали страну, разрывая ее на части. К этому присоединились внутренние раздоры, искусно раздуваемые иранским шахом, которого беспокоил союз карталинского царя Вахтанга VI с Петром Первым.

Россия для Вахтанга и его единомышленников была воплощением не только мощи, но и знания, культуры и порядка.

Естественно, что взоры угнетенных грузин обращались в Россию, от которой они ожидали помощи и защиты.

Грузинский царь Вахтанг, давно мечтавший о союзе с Россией, решил, что настало время с помощью русских, начать борьбу за освобождение Грузии от ирапо-турецкого гнета.

В 1722 году, Петр I в союзе с Вахтангом предпринял персидский поход. Он прибыл с войском в Астрахань, чтобы начать совместные действия против общего врага — Ирапа. Грузинское население радостно встретило русских, видя в их приходе надежду на избавление от гнета.

Прапрадед Льва Николаевича Толстого, Иван Андреевич Толстой, посланник Петра Первого при грузинском царе Вахтанге VI, сообщал из Тбилиси императору о горячей симпатии грузин к русским: „Народ здешний, сколько мог присмотреть, во всяких случаях вело доброжелателен... когда меня увидят на улице, то поднимают руки на небо и просят бога, чтобы выдать больше русских“ (неопубликованный документ Архива внешней Политики России).

Но условия похода оказались слишком тяжелыми для русской армии, и по взятии Дербента Петр возвратился в Петербург, не доведя похода до конца.

В 1723 году в Тбилиси вторглись турки. Они захватили всю Восточную Грузию, опустошили и разоряли страну, уничтожили и увели в плен десятки тысяч жителей.

Грузия терпела в эти годы страшные бедствия. Население было совершенно задавлено чудовищными реквизициями и всяческого рода притеснениями турок — захватчиков.

Вахтанг VI вынужден был эмигрировать в Россию в сопровождении своих слодвижников, значительной части грузинской интеллигенции (около 2.000 человек). Он решил выждать время, подготовиться к войне против захватчиков и добиться с помощью России освобождения своей родины.

В 1724 году грузины писали Петру I: „(враги) еще сильнее стали опустошать страну, брать в плен и убивать людей. Мы же оставшиеся в живых, ссылись в непроходимых, крутых, недоступных горах, страдаем от голода, жажды и холода. Надежда на государя и радостная мысль о прибытии войск подкрепляют нас, иначе зверь не перенес бы такого положения, как наше...“

Грузия была залита кровью, смертельно измучена.

Кровь родная ватомила
Дно ущелий и долин.
Всюду смяд стоял от трупов
Обезглавленных грузин.

Писал Давид Гурамишвили об этих временах. Он сам вынужден был оставить свой дом, ибо лезгины захватили Сагурамо и превратили его в укрепленный лагерь.

Поэт укрылся в Ксанском ущельи, в селе Ламискана, в семье своего шурина. Но и на Ламискяну не раз совершались кровопролитные набеги — и Давид Гурамишвили участвовал в боях против врага.

Но грузию еще с большим ожесточением терзали ренегаты-изменники феодалы, насчет злодеяний которых Грузия могла б повторить слова из „Энеиды“: „Если б имел я сто языков, и железное горло, то и тогда б не могла злодеяния эти исчислить и описать до конца все великое множество козней“.

Набеги горских племен, гнет турецких властителей, своеволие феодалов, жестокие расправы с крестьянами, постоянные междоусобыцы привели к тому, что в верхней части Картли „Четыре года, — как гласит запись очевидца, — не производилось ни посевов, ни пахоты, не зажигалось огня, не производилось молотьба на гумне и не было слышно крика петуха“.

Но грузинский народ не прекратил борьбы с иноземными захватчиками. В стране то и дело вспыхивали восстания, подавлявшиеся с варварской жестокостью. В 1724 году повстанцы осадили Гордйскую крепость, занятую турецкими гарнизонами. Б туркам подошли из Тбилиси крупные подкрепления и осаду пришлось снять: Между Гори и Атени, на равнине Зедавели, произошел кровопролитный бой. Перевес уже склонялся на сторону грузин, но победе помешала измена.

Атакуя войско турок,
Одолеи мы сначала,
Но потом разбиты были:
Нас измена доконала.
...Наши головы возили
На арбах, в больших корзинах,
Мертвцов не хоронили,
Грузин волеи их в долинах,—

—писал Д. Гурамишвили. Это—слова не только очевидца, но и активного участника боев. На равнинах Зедавели поэт принял боевое крещение.

После зедавельского сражения положение Грузии еще ухудшилось. Карли и Кахети, занятые и разоренные турками, подверглись новым набегам многочисленных лезгинских банд. В 1728 году при очередном набеге абага дагестанских феодалов напали на Д. Гурамишвили и увели его в Дагестан, чтоб потом продать на, невольничьем рынке. В Дагестане Гурамишвили пробыл около года.

Жизнь в плену была ужасной. Гурамишвили сидел в темной яме, полураздетый, голодный. Он попытался бежать в Грузию; его поймали. Тогда поэт решил пробраться к русским войскам на Терек. Добравшись до русских, Гурамишвили мог падеяться на возвращение в родные края, ибо знал, что картлийский царь Вахтанг пойдет в Грузию с русскими войсками. Скитаясь по горам Аварии, он, наконец, вышел к Тереку. Здесь он нашел приют у русских крестьян-поселенцев, отнесшихся к беглецу с искренним участием.

Был заказ в сепеи этом,
Мне испосланный судьбой,
Как родной отец за сыном,
Он ухаживал за мной.

Гурамишвили добрался от Терека в Москву в 1729 году.

В Москве поэт был принят царем Вахтангом и его сыном Бабаром, которые дали Гурамишвили должность „оружейного надзирателя“ в своем московском арсенале. Видимо, 25-летний Гурамишвили был опытен в военном деле, если ему предложили такую должность.

Вахтанг серьезно готовился к походу против захватчиков и заведывание арсеналом не мог поручить ненадежному человеку. Но главной причиной приближения к царскому двору все же следует считать поэтический талант Гурамишвили, которого царь не мог не оценить.

Окружение Вахтанга состояло преимущественно из писателей и ученых. Сам Вахтанг VI и его приближенные плодотворно занимались литературой.

Эту должность Давид Гурамишвили совмещал со знанием придворного поэта, он часто оказывался победителем на поэтических турнирах, устраивавшихся в Москве при дворе Вахтанга.

Мсозва стала колыбелью поэтической славы Гурамишвили. Бегав из плена, поэт оказался в самой гуще культурной и политической жизни России. Годы жизни в грузинской колонии в Москве были весьма плодотворными и значительными для формирования мировоззрения и творчества Гурамишвили.

Грузинская колония в Москве сыграла большую роль в укреплении культурных связей Грузии и России. Грузинские патриоты, не пожелавшие подчиниться иранским и турецким захватчикам и нашедшие приют в России, знакомились с ее хозяйственной жизнью, общественным и государственным строем, культурой.

* *

Давид Гурамишвили по всем данным был высокопросвещенным человеком, хорошо знал литературу и философию. Сборник его стихотворений „Давитиани“ является настоящей энциклопедией тогдашней жизни.

Он хорошо владел русским языком и несомненно был знаком с творчеством русских писателей. Трудно допустить, чтоб он не был знаком с обширной практической, научной и литературной деятельностью М. Ломоносова.

* *

Летом 1734 года Вахтанг стал готовиться к отъезду в Грузию, но скоро получил известие, что Шемаха, откуда должны были начаться военные действия против персов, занята Наиром. В Дербенте он узнал о том, что русские войска вынуждены были отойти к Кизляру. Вахтанг со своими сподвижниками, среди которых был и Давид Гурамишвили, вернулся в Астрахань. Потрясенный неудачей, Вахтанг остался в Астрахани, где и умер в марте 1737 года.

После смерти Вахтанга грузины-эмигранты попали в тяжелое положение. Русское правительство прекратило выдачу продовольствия и жалования грузинам, обещав помощь лишь в том случае, если эмигранты примут вечное русское подданство и навсегда останутся в России.

Находившийся в Москве царевич Бакар все еще рассчитывал освободить Грузию и пытался собрать вокруг себя надежных

людей. но большинство эмигрировавших в Россию грузин решило вступить на русскую службу.

Тяжелым и безнадежным казалось в те дни положение Грузии.

Так, грузины писали императрице в 1733 году: „беременные матери подвергаются насилию..... кровь героев проливается, убивают грудных младенцев, как во время Ирода.... фруктовые сады больше не цветут, пашни и луга, несмотря на труд, не приносят плодов, работники рассеяны свирепым вихрем“.

Вследствие всего этого Гурамишвили отказался от мысли вернуться на родину и после смерти Вахтанга VI присоединился к той партии грузин, которая выбрала русское подданство.

По приказу императрицы Анны Иоанновны из грузин, перешедших в русское подданство, была сформирована сперва рота, а потом грузинский гусарский полк. Каждому гусару был отведен участок земли на Украине. Д. Гурамишвили продал свое маленькое имущество в Москве и в 1739 году выехал на Украину.

Грузинский эскадрон, в который Д. Гурамишвили вступил гусаром, был развернут впоследствии в полк и участвовал вместе с русской армией в войнах против Турции, Швеции, Пруссии (в период Семилетней войны). Гурамишвили стал солдатом русской армии, которая обратила в бегство янычар и заставила убраться шведов“.

С храбрости и стойкости грузин в войне с турками неоднократно свидетельствовалось в официальных донесениях. Например, русский фельдмаршал Миних сообщал в Сенат: „Определенные в службу грузины службу свою весьма храбро оказывают, так что более требовать невозможно... Дабы более таких людей было, весьма желательно“.

Среди грузинских гусар отличался мужеством и отвагой Давид Гурамишвили. Несколько раз он был ранен в боях.

Вступив на военную службу в 1738 году рядовым, Д. Гурамишвили в 1739 году отличился при взятии турецкой крепости Хотин.

В 1758 году гусарский полк принимал участие в жестоких сражениях против Пруссии. при Цведорфе, Елендорфе и Кюстрине (на одере). В бою под Кюстрином раненый Д. Гурамишвили, у которого лошадь увязла в трясине, был взят в плен пруссаками и заключен в Магдебургскую крепость, где провел больше года.

Вернувшись из плена в 1760 году Д. Гурамишвили вынужден был подать в отставку. Здоровье его было сильно распатано ранениями. Почти полностью было потеряно зрение (поэт писал: „на один глаз вовсе ослеп, другим вижу тоже плохо“); Гурамишвили страдал от шумов в голове, плохо владел правой рукой, был крайне слаб.

Д. Гурамишвили провел на военной службе 22 года, потратил на нее всю свою молодость.

Плодотворной литературной работой он смог заняться лишь с 1761 года на 56-м году жизни. Этим и объясняется, что наиболее значительные произведения созданы Д. Гурамишвили уже в старости, в период 1760-1770-х годов.

Четыре десятилетия Гурамишвили прожил на Украине, находясь в тесных взаимоотношениях с украинской интеллигенцией, встречаясь с поэтами и мыслителями. Трудно допустить, чтобы Д. Гурамишвили не был наслышан о выдающемся деятеле и мыслителе, поэте и философе Григории Сковороде. Возможно, что они были даже близко знакомы и встречались. Недаром Павло Тычина, убежденный на основании имеющихся материалов в полной возможности встречи Сковороды и Гурамишвили, написал поэму, в которой выведены в качестве действующих лиц Гурамишвили и Сковорода,—оба беззаветно преданные трудовому народу люди.

Наслаждаясь красотой украинской природы, Гурамишвили вместе с тем не мог не видеть рабской нищеты народа и жестокого своеволия помещиков.

Поэт любил свою вторую родину, заботился о благе народа, старался облегчить тяжелый труд украинского крестьянина. Характерен в этом отношении составленный им проект орошения и чертеж „новой мельницы“.

Через четыре года после составления проектов Гурамишвили умер в 1792 году в Миргороде, под соломенной крышей.

Таким образом, Гурамишвили в возрасте 23-х лет оставил родину и шестьдесят три года провел в Грузии с ней:

И зачем меня навеки
Из земли увез родной?

—неоднократно упрекал он судьбу.

Поэзия Гурамишвили—воспитала целый ряд поколений, ее знали и любили даже не знающие ни одной буквы.

„Книга Давида“ — „Давитиани“ замечала в Грузии букварь, она была повседневным спутником, учебником и песенником.

Песни великого национального поэта стали достоянием народа, их заучивали наизусть, его афоризмы и сентенции цитируются и сегодня. В поэзии Гурамишвили грузинский народ находил свои мысли и чувства, воплощение своих понятий о нравственности.

Недаром в предисловии к своей книге Гурамишвили говорит, что он взрастил „деревья этих строк“, чтобы „каждый строк их плода отведать мог“. Воистину, „сад“ поэзии Гурамишвили — сад цветущий и благоуханный. Гурамишвили нам завещал свой „поэтический сад“, как завещал Маяковский:

„Грядущие люди!—
—Весь боль и ушиб—
Вам завещаю я сад фруктовый
Моей великой души!“

(„К себе“).

Проникнутая глубочайшей народностью поэзия Давида Гурамишвили выращена на грузинской почве. Грузинский народ любит своего национального поэта за доступность, народность его стиха, за художественную простоту, за суровую правду и патристическую мужественность.

Народ ценит в Гурамишвили также своего историка—гуманиста, философа, просветителя, проповедника просвещения. Недаром в Грузии так популярны нравственные изречения, философские рассуждения и сентенции, почерпнутые из поэтического наследия Гурамишвили. Недаром он „составлял книгу“, „чтобы читал ее народ“.

Вся его поэзия—размышление о своем народе, о своей родине. Любовь к родине — лейтмотив его поэзии.

Вершиной поэтического творчества Гурамишвили является его поэтическая эпопея „Бедствия Грузии“—произведение большого идейно-политического содержания. В эпопее отображена суровая действительность Грузии,—первой половины 18-го века, неисчислимы бедствия грузинского народа, которые он терпел от ино-

странных и внутренних врагов и поработителей. Главным героем эпопей является народ, ее главной проблемой народная судьба.

В поэме „Бедствия Грузии“, правдиво, просто и взволнованно, с патетической и горестной интонацией рассказывается о трагическом периоде в истории Грузии первой половины XVIII века, о кровавых нашествиях иранских и турецких варваров, опустошительных набегах горских племен, о феодальных раздорах и междоусобных войнах. Поэзия Гурамишвили, резко обличающая пороки феодального общества, полна глубокого драматизма и лиризма. Она показывает, что Гурамишвили был не только знающим, наблюдательным, чутким бытописателем своей эпохи, но и поэтом — гражданином, горячим патриотом, самозабвенно любившим свою отчизну. Он глубоко страдал за свой народ, гневно, беспощадно бичевал его врагов.

Д. Гурамишвили не только правдиво освещает события, пережитые Грузией, деятельность исторических лиц, но и дает им ясную и четкую политическую оценку.

Другая большая поэма Давида Гурамишвили — „Веселая весна“ с теплотой и любовью рассказывает о жизни крестьян. Она проникнута глубокой поэтичностью и вместе с тем говорит о хорошем знании быта и нравов среды описанной поэтом. Разочаровавшись в окружающем его дворянском обществе, поэт считает, что носителем идеала нравственности может быть только трудовой народ.

Все симпатии поэта на стороне простого народа, народа — труженника:

Пахарь или виноградарь,
Вековечный раб мотыг,
От восхода до заката
Спину гнуть свою привык.
Жарким потом истомленных,
Тень прельщает горемык,
Но они трудами кормят
И себя и всех владык.

Как видим, поэт прекрасно сознавал, что именно трудовой народ является основой экономической мощи и благосостояния страны. И он восклицает:

Счастливы труженник, который
Честным кормится трудом!

Но поэт знал, что кормиться честным трудом не так-то легко, что крестьянину, чтобы прокормить „и себя и всех владык“, надо всю жизнь гнуть спину. Будучи далеким от радикальных революционных выводов из этого, Давид Гурамишвили, однако, не мог и оправдывать такое положение вещей, не мог считать, что социальное неравенство естественно:

Ты не думай, что богатый
По заслугам стал богат.
Что бедняк в дырвой чохе
Сам в несчастях виноват.

— говорит поэт. Демократизм Д. Гурамишвили проявился особенно сильно в его эстетических воззрениях, в задачах, которые он ставил перед поэзией.

Высшей целью искусства поэт считал благо народа. Передовой сын своего века, писатель-просветитель, Давид Гурамишвили считал просвещение панацеей от всех бед, единственным спасением для народа. При всей ограниченности и узости, при всей идеалистичности его просветительских идеалов, нельзя закрывать глаза и на их историческую прогрессивность для той эпохи. В произведениях Гурамишвили звучит подлинный гимн разуму, вдохновенная вера в его всемогущество. Сила просветительского гуманизма Гурамишвили заключена прежде всего в том, что, веря в могущество разума и знания, он старается предостеречь свой народ от слепого подчинения судьбе, какой бы горькой она ни была. Поэзия Гурамишвили учит человека быть хозяином своей судьбы. Поэтому о пессимизме поэта можно говорить лишь условно: много скорби и горечи в его поэзии, много слез и жалоб, но нигде нет слабости и покорности. Не гаснет неистребимый огонь жизнелюбия в его душе.

Эстетическую программу Давида Гурамишвили можно назвать программой народности и реализма. Правда—вот высший принцип искусства, который провозглашает поэт—служение народу—вот его главная цель:

Обличителью нередко
Не прощает обличенья,
Но стране забвенья правды
Не приносит облегченья,
Как хорошее прославить,
Коль дурное не ругать,

Если зло во зло не ставить,
Что добром имповать?
Можно ль добрые поступки
У достойного отнять?
Чем оправдывать злодея,
Лучше мучешником стать!

На этих принципах основаны все лучшие произведения Давида Гурамышвили. Он сумел выразить в своем творчестве лучшие гуманистические и патриотические идеалы своего времени.

Чистота и искренность великого художника-мыслителя, проповедника любви, верности, мужества, идейная глубина его произведений, широта мировоззрения, монументальность, мелодичность, вапевность, пластичность его песен, высота поэтического мастерства, — создали Гурамышвили великую популярность и сделали его любимым поэтом грузинского народа. Опираясь на народное творчество, он содействовал демократизации грузинской поэзии и стал одним из создателей ново-грузинского литературного языка.

Великие грузинские поэты 19-го века — Илья Чавчавадзе, Н. Бараташвили, Важа-Пшавела — являются его преемниками. Недаром Важа-Пшавела называет его своим „предтечей“. Поэма Н. Бараташвили „Судьба Грузии“ перекликается с монументальной эпопеей Давида Гурамышвили „Бедствия Грузии“.

Трудно переоценить значение поэзии Гурамышвили для нас, советских грузинских поэтов. Энергия стиха Давида Гурамышвили, его выразительность, и, что самое главное, прогрессивная, гуманистическая, демократическая направленность его творчества — все это остается неисчерпаемым источником вдохновения для нас. Поэзия Давида Гурамышвили жива в наших сердцах, мы, советские поэты, многим обязаны его скорбной и гневной, но всегда жизнеутверждающей лире.

Нас восхищает страстная прямота Гурамышвили и его страдания за истину, за святую правду.

Его волю, духовную энергию не сломили ни дагестанская яма, ни мрачная тюрьма Магдебурга, ни эмигрантская жизнь вдали от родины; ни слепота, лишения; нищета и одиночество!

Характеризуя творчество Давида Гурамышвили, надо подчеркнуть, что он следовал лучшим традициям грузинской национальной поэзии. Он превлонялся перед гением Шота Руставели и

решительно боролся против попыток подчинить грузинскую литературу тлетворному влиянию придворной иранской поэзии. В его стихотворениях нет и следа вычурности, характерной для упадочной поэзии.

Он был великим новатором и реформатором грузинского стиха. Смело можно сказать, что после Руставели грузинская поэзия еще не знала такого виртуозного стихотворца, такого глубоко музыкального поэта.

Основываясь на народной поэзии, Гурамишвили разработал и ввел в грузинскую литературу новые ритмы, произведя подлинную реформу и в этой области.

Поэзия Гурамишвили явилась отражением народной души. Поэт сделал основой литературы живое народное слово. Он первый использовал в поэзии формы народных песен и поднял жанр народной песни на небывалую высоту.

Наряду с поразительной музыкальностью стиха Гурамишвили язык его гибок, красочен, кристально чист. Поражает и богатство лексики Гурамишвили. Поистине чудо, что поэт, в течение полувека оторванный от родины, смог сохранить живое ощущение грузинской речи и такой колоссальный словарный запас.

* *

Давид Гурамишвили не мог в тогдашних условиях напечатать свою книгу.

Его стихотворения распространялись среди грузин в рукописных списках. Восьмидесятидвухлетний поэт собрал их в одну книгу и его автографический сборник напоминает нам корабль, чудом спасшийся во время страшной бури.

Д. Гурамишвили окончил дни свои на Украине. Здесь в миргородской тиши, вдали от родины, но с непрестанными думами, жгучей тоской по ней, жил он, охваченный творческим горением. Здесь, созерцая красоту украинской природы, чувствуя себя близким и родным украинскому народу, поэт создал свои лучшие произведения. Украинская земля стала его второй родиной, а мужественный, трудовой украинский народ, приютивший и областавший его — родным народом. Поэта вдохновляла не только богатая природа Украины, но и жизнь народа, его творчество. В его поэзии мотивы русских и украинских песен звучали вместе с мотивами песен грузинских.

Большое впечатление на поэта произвели украинские народные певцы — кобзарь, — их песни оставили след в его творчестве. Популярная поэма Гурамишвили „Веселая весна“ навеяна мотивами украинской песни.

Давид Гурамишвили был знатоком русского и украинского фольклора и использовал его богатства в своей поэзии.

Вероятно, кроме произведений, собранных Давидом Гурамишвили в книгу, были у него и другие. Во время скитаний и плена многие стихотворения погибли.

Своей деятельностью и творчеством Давид Гурамишвили выражал идею дружбы грузинского, русского и украинского народов. В качестве воина русской армии он мужественно сражался за независимость, честь и славу России. В мирное время он трудился на украинской земле, как хлебороб, принимал, как общественный деятель, живое участие в жизни своего края и как поэт создавал песни, овеянные народным духом, пробуждавшие высокие благородные чувства. Его стихотворения, в особенности поэма „Веселая весна“, заняли определенное место в украинской литературе.

Он был не только жителем Украины, но и выразителем чувств, чаяний украинского трудового люда. Память о грузинском поэте живет и всегда будет жить в сердцах украинского народа.

В 1948 году, когда окончательно было установлено местонахождение могилы поэта, в Миргороде в колхозах Зубовки, в Полтаве и Киеве были проведены литературные вечера, посвященные Д. Гурамишвили. 1 августа 1949 года, в годовщину смерти поэта был воздвигнут памятник на его могиле, в Миргороде.

Могила Д. Гурамишвили, остававшаяся 150 лет безвестной, стала местом паломничества благодарных потомков поэта и его почитателей.

* * *

Д. Гурамишвили терзался мучительной тревогой за судьбу Грузии, впал в старости в нищету, подушеп, но изнуренный болезнями, охваченный „нестерпимой печалью“, он все же сохранил духовную энергию и большую веру в будущее своей родины:

Крепкий, добрый, сильный духом,—
Как поток пробьет гранит.
Мощь его неодолима—
Крепок будь, сказал Давид.

Грузинский народ первый раз отмечает так всенародно, память своего любимого певца.

Вместе с грузинским и украинским народом, память великого поэта чтут сегодня все народы Советского Союза во главе с русским народом.

Как облыла ночь меня,—
Так и утро озарило.

—пророчествовал Гурамишвили.

Поэт верил, что поверженная, страдающая Грузия возродится. Его самой горячей мечтой до последнего вздоха была мечта встреча с родиной,—

С сердцем праведным,
С ликом светлым.

Мечта поэта сбылась. Он встретился со своей возрожденной страной, встретился в сиянии славы: Советская страна подымает его на новую высоту.

Сегодня мы с законной гордостью вспоминаем тех наших предков, которые еще в далекие времена прошлого, своей жизнью, творчеством и деятельностью закладывали фундамент сближения народов нашего социалистического общества.

Одним из таких предков был великий грузинский поэт Давид Гурамишвили.

* *

Давид Гурамишвили умер вдали от родины, которая не знала даже о существовании своего поэта. Какая же сила двинула сотни и тысячи почитателей грузинского поэтического гения к этой, десятилетиями безвестной, могиле? Имя этой силе—братство, товарищество, то, что мы сегодня называем—по праву исторически нами завоеванному, — дружбой народов.

В те мрачные времена, когда жил и творил Гурамишвили, для передовых грузин, а тем более для Гурамишвили не было места в Грузии; прогрессивные государственные деятели этой

маленькой страны покидали временно свою родину; чтобы лично единственно возможными средствами способствовать налаживанию спасительных связей—военных и политических—с Россией—единопствнным, дружественным, заинтересованным в этой дружбе, соседом.

Гурамишвили был отдален от родины не только тысячами километров, но, что еще страшнее, десятками лет эмиграции. К чести приютившихся его друзей нужно сказать, что годы „эмиграции“ стали для Давида Гурамишвили годами братства, товарищества, дружбы. Но именно, сила этой дружбы с особой мощью будила в нем страсть, влечение, любовь, тягу к далекой, но не забытой родине, к которой он теперь мог домчаться лишь на крыльях песни, крыльях стиха.

Нам, очевидцам двухсотпятидесятилетнего юбилея, кажется сказочной, невыслимой пора, когда нужно было мечтать о праве служить великому братству народов.

Сегодня, в этом зале сошлись писатели всех братских советских республик во главе с делегациями Москвы, Киева, Ленинграда. И не только потому, чтобы почтить тень прошлого и славить великого художника, но чтобы еще больше и громче был слышен наш клич любви, дружбы и верности, воистину, сегодняшнее торжество является братской переключкой народов нашего Союза: оно еще больше укрепляет любовь к нашей культуре и братские связи между нашими народами.

Если грузинский писатель 18-го века воскликнул „нет пристани, кроме России великой“, потому что Россия, на самом деле, была гаванью, берегом спасенья для многих грузин, переживших катастрофу, то в первую очередь, Москва стала для Гурамишвили именно гаванью, пристанью после бурь.

Слава Москве, слава великому русскому народу.

И разве не символичесен этот путь—от грузинского села Ланискана до первых русских поселений на Северном Кавказе, и дальше, вверх по Волге,—к первопрестольной Москве, а затем и граду Киева, к прааматери, прародительнице славянских народов!

Именно, поэтому среди наших, одинаково любимых и дорогих гостей мы особо выделяем и отмечаем московских и киевских друзей. Украина была второй родиной Давида Гурамишвили

ли. На украинской земле Гурамишвили выращивал лучшие цветы своей поэзии. Миргород стал для него Парнасом. Из Киева, Миргорода Украины пришли сюда не как посторонние гости, а как активные участники торжества своего земляка!

На днях украинская общественность отмечает 250-летие со дня рождения Гурамишвили в Киеве, Миргороде, Зубовке, Полтаве.

Слава доброму украинскому народу, который усыновил Давида Гурамишвили.

Слава сынам Украины, так много сделавшим для воскресения Давида Гурамишвили!

Но, обращаясь со словами дружбы и братства к нашим русским и украинским друзьям, мы с наименьшей искренностью и с наименьшей силой чувства пожимаем руку представителям всех братских народов. Вонистину для многих братьев солнце восходит в день десять раз.

Слава нашему великому единению и солнцу нашей дружбы!

„Живущий лучшим своего века, живет для всех времем“. Эти слова Гете заслуженно можно отнести и к нашему юбиляру.

Наше сегодняшнее торжество—это лишь очередное проявление того великого чувства, имя которому—дружба народов. Корны этой дружбы уходить в века. Достаточно сегодня напомнить вам, что славная дочь украинского народа—Леся Украинка сомкнула свой очи под небом Грузии, что благодатная земля Украины приютила нашего Давида Гурамишвили, что прах Грибоедова покоится в священной земле. Младцинда—это ли не символ тех исконных братских взаимосвязей, которые в самые мрачные и тяжелые времена объединяли все народы, населяющие Российскую империю, народы, которые во главе со своими русскими братьями, веками кочили силы, чтобы победоносно восстать против—не только двуглавого орла—но и против стоглавого спрута вселенской реакции.

На заре новой исторической эпохи—а это был конец XVIII века, Давид Гурамишвили олицетворял эту зарождающуюся дружескую связь русского, украинского, грузинского народов. Стоило ему тогда на мотивы русско-украинских песен сложить чудесные лирические стихи—и уже это было новой, смелой страницей в летописи братства. Что же сказать о сегодняшнем дне,

когда, благодаря блистательным переводам Миколы Бажана и Николая Заболоцкого, мечты, чаяния, помыслы Давида Гурамишвили, все идейное и художественное богатство его поэзии — стало достоянием миллионного всесоюзного, да и не только всесоюзного читателя!

И разве не лучшее свидетельство нашей невиданной народной дружбы — работа русских, украинских, армянских, азербайджанских, литовских, белорусских и других поэтов по переводу сокровищ грузинской литературы на русский и на другие языки народов нашей многонациональной родины!

Слава великому грузинскому поэту — Давиду Гурамишвили!

Слава народу породившему его!

Слава Советскому народу — первому наследнику лучших достижений мировой культуры!

Слава Коммунистической партии и Советскому правительству осуществившим мечту великих мыслителей и борцов за свободу трудового народа!

Слава Коммунистической партии, которая воскресила Гурамишвили, вернула его грузинскому народу, тем самым утвердила и упрочила вклад, который внес грузинский народ в культурную сокровищницу человечества!

Да здравствует священнейшая из дружб — дружба народов!

ბ ე ს ი კ ი

„აქა ისმენენ ბესიკიას ხმასა ციურსა“.
ვახტანგ ორბელიანი

მ ე ს ა ვ ა ლ ი

თუმცა ბესიკის ბრწყინვალე პოეტური სიტყვა ქართული პოეზიის უძვირფასეს მემკვიდრეობას ეკუთვნის, მაინც ბესიკი ნაკლებად არის შესწავლილი. დღემდის ჩვენ არა გვაქვს ყოველნაირი გარკვეული და დადგენილი ბესიკი პოეტური ტექსტი. ბესიკის შემოქმედება ჩვენამდე სრული სახით არ არის მოღწეული.

თვით ბესიკის ბიოგრაფიაში დღემდის ბევრი რამ გამოურკვეველია. ბესიკის ირგვლივ გავრცელებული ლეგენდები ძნელი გასარჩევია რეალური ფაქტებისაგან, ასეთი ხვედრი დიდ პოეტებს რგებიან, განსაკუთრებით აღმოსავლეთში, სადაც პოეტის რეალური სახე ხშირად ფანტასტიკურად იცვლება ხოლმე. ამგვარი ნოვლენა ბესიკის მიმართ, ბუნებრივია. ბესიკი არაჩვეულებრივ პოპულარული პოეტი იყო. მან შეაფასო მაშინდელი ქართული პოეზიის სფერო, იგი ჯერ კიდევ თავისი თანამედროფებისაგან იყო გაღმერთებული. როგორც პოეტების მეტრი „მელექსეობაში“, ანუ პოეტების მეთაური, ცნობილი „რუსთველისაებრ ხმატკბილობით“, „მსგავსი რუსთველისა“ (იოანე ბატონიშვილი), „პირველი მესტიხე“. ისიც საგულისხმოა, რომ ბესიკს, როგორც დიდ პოეტს, სიცოცხლეშივე ჰყოლია პანეგირისტები.

პოეტის სიკვდილის შემდეგაც ქართული პოეზიის მპყრობელ ხმად ისევ ბესიკის სიმღერის ხმა იყო. ბესიკის ამღერებითა და ფორმით საზრდოობდა ჩვენი ანაკრეონტული „მუხამბაზური“ პოეზია. გაიხსენეთ ამ ეპოქის მრავალი ლექსი, „ბესარიონის ხმაზე“ დაწერილი, და ცხადი გახდება, რომ ბესიკის ლექსის ბრწყინვალე არტისტიზმმა, ბესიკის ტკბილმა ხმამ დიდხანს შეუძლებელი გახადა სხვა სიმღერის გაღვენა საქართველოში.

თვით ნიკოლოზ ბარათაშვილის დროს, როდესაც მძლავრად გაისმა ახალი პოეტური სიტყვა, ქართველი რომანტიკოსების პლეადას თავისი პოეტური რეპუტაციის დამკვიდრებისათვის ჯერ ბესიკის მელოდიკური ხმა, ბესიკის ფორპალისტური გენია უნდა დაეძლია.

ამ შემთხვევაში მეტად ნიშნეულია გიორგი ერისთავის ერთი დავიწყებული ლექსი, რომელშიც რომანტიკოსი პოეტი აღნიშნავს ბესიკის პოეტური სახელის გარდაუალაზღვრებლად:

მახსოვს ერთხელა, საღამოს უამს,
იყო ყრილობა სახლსა დიდებულს:
ტურფათა გვამთა შექმნეს ცილობა.
რომე აწინდელთ ჭაბუკთა, შორის
არ არს მწერალი:

ბესიკის ნაცვლად ვინჯარისო,
ვსთქვათ, მომღერალი?

რისთვის და ვისთვის, აწ მითხარით ვთქვა მე სიმღერა,
ვინ მოისმინოს ჩემის სულის სიმისა, ბგერა?

ამ ლექსიდან ისიც კარგად ჩანს, რომ თვით ბარათაშვილის დროინდელი ქართული საზოგადოება ბესიკის პოეზიაში სწორედ მის მუსიკალურ ხმასა და ამღერებას აფასებდა:

„ბესიკის ნაცვლად ვინჯარისო, ვთქვათ მომღერალი?“

მეორე რომანტიკოსი პოეტიც ვახტანგ ორბელიანი განსაკუთრებით აღნიშნავს ბესიკის მუსიკალობას:

აქა ისმენენ ბესიკისა
ხმასა ციურსა.

საგულისხმოა ერთი ოფიციალური დოკუმენტიც, რომელშიც 1840-იანი წლების ქართული საზოგადოება აღტაცებას გამოთქვამს სწორედ ბესიკის ტკბილი ხმისადმი. 40-იანი წლების განუხორციელებელი ჟურნალის „სინათლის“ გამომცემელი, აღნიშნავდნენ რა თავის განცხადებაში მთავრობის სახელზე სწავლისა და ხელოვნების დაცემას საქართველოში, ნაღვლიანად კითხულობდნენ:

აჲ საღდა არიან ჩახრუხაძენი, გინა შავთელნი, რუსთველნი
დაჭპეტრიწნი, საღდა ისმის ტკბილხმოვნება ბესიკისა?

ბესიკის „ტკბილხმოვნებით“ საკმაოდ დავალებულია ისეთი პოეტი, როგორიც იყო ალექსანდრე ჯავახიძე, ბესიკის დაფნის ნემკვიდრე.

დიდი შინაგანი ერთობა და ღრმა კავშირი აქვს ბესიკის პოეზიასთან თვით ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომლის პოეზიაში უსათუოდ შეიმჩნევა ბესიკის მგრძნობელობის მემკვიდრეობითობა და მისი პოეზიის ერთგვარი ზედმოქმედება.

ბესიკის ბრწყინვალე პოეტური სახელის ფუძე მუსიკალური სტიქიაა. ბესიკის პოეზია მუსიკიდან გამომდინარეობს, ბესიკი სმენის ოსტატია, მისი პოეტური პრინციპი — მუსიკაა. „მან მრავალი შაირი დასწერა სპარსთა ხმათა ზედა სამღერალი ქართულისა ენითა“, „გააკეთა სხუათა და სხუათა ხმათა ზედან სიმღერისა ლექსები“. ამ ნოვატორობით ბესიკს დიდი დამსახურება მიუძღვის. მან საათნავასთან ერთად გააქართულა სასახლის და თბილისის ქუჩების მუსიკალური რეპერტუარი, რომელსაც უმთავრესად ქართული ფეოდალური არისტოკრატის ესთეტიკურ ცხოვრებაში აქტიური გავლენა ჰქონდა, ვიდრე მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევრიდან.

ბესიკს ჩვენ ვკითხულობთ, მაგრამ თანამედროვენი ბესიკის ლექსებს მღეროდნენ. ბესიკის ლექსების უმრავლესობა მუსიკალური ინსტრუმენტისათვის იწერებოდა. დღეს ბესიკის ლირიკას ქიანურის სიმები დაშორდა, ამიტომ შემცირებულია ბესიკის სრულხმოვანება.

ბესიკის პოეტური მემკვიდრეობა მდიდარია და მრავალსახოვანი. ბესიკმა შექმნა სიყვარულის დიდებული სიმღერები, ელეგიური რომანსები. იგი დიდი ვნების და მღელვარების პოეტია, მის ეროტიკულ ლირიკას დიდი გულწრფელობა და მკვეთრი თავისებურება ახასიათებს.

თუ მძლავრია ბესიკის პოეტური პათოსი, მისი გულის ვნებანი, არა ნაკლებ მომხიბლველია ბესიკის პოეტური ფორმის ბრწყინვალეობა, ლექსის პოეტური სიწმინდე, პლასტიკურობა, დახვეწილობა, და, რაც მთავარია, მუსიკალური გამომგონებლობა. ბესიკის მალასიტყვიერი ოსტატობა და ნოვატორობა, ფორმალური და ტექნიკური ძიებანი — რიტმის სიმდიდრე, ლექსის ზომის მრავალგვარობა უნიკალურად ხდიან ბესიკის სახელს ქართულ პოეზიაში.

ბრწყინვალე მომღერლობასთან ერთად ბესიკი შხამიანი ეპიგრა-მატისტი და სატირიკოსია, შეუბრალებელი პოლემისტი. მის კალამს ეკუთვნის რეალისტურ-სატირული პოემა „რძალდემთილიანი“, რომელიც ბესიკის შემოქმედების პირველ პერიოდს ეკუთვნის და გურამიშვილის „ქაცვია მწყემსზე“ ადრე არის დაწერილი. ეს პოემა იმითაც არის შესანიშნავი, რომ იგი ფოლკლორის გავლენას ატარებს არა მარტო სიუჟეტურად, არამედ ენობრივადაც. ძველი, „ღმერთების დიალექტის“ მბრძანებლობის დროს ბესიკი გურამიშვილისაგან დამოუკიდებელი გზას იკავებს ცოცხალი სასა-

უბრო ენისაკენ, თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ხალხური ნაკადი ბესიკის პოეზიაში ვერ გაღრმავდა, პოეტი ვერ დაეუფლა საბოლოოდ ხალხურ სიტყვას და ერთგული დარჩა სქოლასტიკური სტილიზაციისა. ამიტომ ბესიკის პოეზიას ნაწილობრივ სიცოცხლიანობა აკლია.

ბესიკი, იმავე დროს, გმირული პათოსის პოეტი. მან შექმნა ახალი ეპიკური შედევრები — „ასპინძისათვის“, „რუხის ბრძოლა“. ამ ნაწარმოებებში, სადაც ბესიკი ბატალური სურათების ოსტატად გვევლინება, შესამჩნევია აგრეთვე ცდა ცხოვრებასთან ახლო მისვლისა. მისი პოეზის გმირები ნატურიდან არიან გადმოწერილი, აქ მისი პოეტური სიტყვა პრაქტიკული მიზნების მატარებელია. ყოველივე ეს ერთგვარი რეაქციაა ბაშინდელი სპარსული საზღაპრო პოეზიის წინააღმდეგ, და აქაც ბესიკი ერთგვარ ნოვატორად წარმოგვიდგება.

ბესიკი დახლოვებული ჰიმნოგრაფია.

ბოლოს მან გაამდიდრა ქართული პოეტური სიტყვის კულტურა. ამ შემთხვევაში დამაბასიათებელია კალმასობის ცნობა ბესიკზე: „მოუთხრობენ აპისათვის, რომელ ჰსცოდნოდეა ზეპირად მთლად ლექსიკონი ქართული“. ¹ მართლაც, ბესიკი სიტყვის დიდი მეურნეა. და ბოლოს, ბესიკის ეპისტოლეებიდან და მოცნებებიდან ჩანს, რომ საქართველოს ლირიკულ პოეტს — იმპროვიზატორს ეკლესიური და პოლიტიკური მქვერმეტყველებაც არა ჰკლებია; იგი ძლიერ დაუფლებულია სქოლასტიკურ რიტორიკას.

ბესიკი არ არის მხოლოდ ანაკრეონტული პოეტი, ცხოვრებისა და ბედნიერების მომღერალი, როგორც ჩვენში მიღებულია. იგი იმავე დროს ტრაგიკული პოეტი, ენერგიული პენსიმიზმის წარმომადგენელი. ამ მხრივ იგი ნ. ბარათაშვილისა და ალ. ქაქავაძის უშუალო წინაპარია.

მით უმეტეს, ბესიკი არ არის „ყარაჩოლეი“. როგორც ზოგიერთებმა იოლის ხელით მონათლეს. ალბათ იმიტომ, რომ ბესიკის სატრფიალო მუხამბაზებს აშულებიც მღეროდნენ. მაგრამ ბესიკის პოეზიაში მეტად წყირეა ხალხური დვრიტა, პირიქით, ბესიკის მწერლობის მთავარი ფუძე მწიგნობრული სიტყვაა.

აღზრდით, კულტურით, მწერლობით მას არაფერი აქვს საერთო ყარაჩოლულ ფენებთან. უპირველესად, იგი XVIII საუკუნის მწიგნობრული მწერლობისა და ბაშინდელი ინტელიგენციის საუკე-

¹ შემთხვევითი არაა, რომ ბესიკს ჰკუთვნებია სულხან-საბას ლექსიკონის ავტოგრაფი (იხ. გაზ. „ბახტრიონი“, 1922, № 1).

თესო წარმომადგენელია. თანამედროვენი მას უწოდებდნენ ერუ-
დიტს, „მეცნიერებაში გამოცდილს“. „გონება სრულს, ცოდნით
შენასრულს“.

როგორც ახლა ირკვევა, ბესიკი ახლოს მდგარა იმ ქართულ
საზოგადოებრივ ჯგუფთან, რომლის ინტელექტუალური გამოვლი-
ნების მომენტი იყო XVIII საუკუნის განმათავისუფლებელი ფილო-
სოფიის რაციონალიზმი, ანუ, პირობითად რომ ვთქვათ, ვოლტე-
რიანობა.

ბესიკი იდეურად ახლოს უნდა მდგარიყო ქართველ ვოლტერიანებ-
თან, რომელთა წრეში პოეტს არა ერთი პირადი მეგობარი ჰყოლია.

თავისებურია პოეტის ცხოვრებაც. იგი რომანი-თავგადასაყალია,
სავსე უბედობით, მოუსვენარი ხეტიალით, მწირობით, ყარბო-
ბით. პოეტმა სიცოცხლის მეორე ნახევარი გარდახვეწილობაში
გაატარა სამშობლოს გარეთ და უცხო ქვეყანაში დალია სული.

ამ რომანის გპირი ერთსა და იმავე დროს ლიტერატურული
და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ადამიანია, პოეტი-იმპრო-
ვიზატორი, კარისკაცი, სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი.

ბესიკის პოეტური მემკვიდრეობიდან დღეს ჩვენთვის ბევრია
გაუგებარი, რამდენადაც ჩვენთვის უცნობია გენეზისი მრავალი მისი
ლექსისა, რამდენადაც მისი პოეზია გამოსცილდა თავისი ეპოქის
საზღვრებს; ბესიკის ზოგი ლექსი გაუგებარია მისი ბიოგრაფიის გარეშე.

ჩვენ გვიყვარს ბესიკი, მაგრამ ნაკლებად ვიცნობთ მის ცხოვ-
რებას. ჩვენი სურვილი იყო, შეძლების მიხედვით, აღგვედგინა ბე-
სიკის ძვირფასი სახე, ბესიკის საზოგადოებრივი ფრესკა. ამის მი-
ზეზით ზოგ წვრილმანსაც გამოვეკიდეთ.

გ ა ბ ა შ ვ ი ღ ე ბ ი

ბესიკი წარმოშობით აზნაურ გაბაშვილების ძველ შტოს ეკუთვნის.

როგორც ბესიკი, ისე მამამისი ზაქარია, ოფიციალურ საბუთებ-
ში გაბაშვილობასთან ერთად „იობიანად“, „იობის ნათესადაც“
იხსენიებდნენ. აქედან ჩანს, რომ ვინმე იობს ისინი გვარის დამწყე-
ბად თვლიან ანუ საგვარეულოს სასახელო წევრად. ვინ არის ეს
იობი? ხომ არ არის იგი ის „კეთილ ნაშრომი იობი“, რომელიც
მოხსენებულია სწორედ გაბაშვილების საგვარეულო „ლურჯი მო-
ნასტრის“ კარიბჭის წარწერაში? ამ წარწერის მიხედვით კი იობი
წარჩინებული ფეოდალია, „მამა ერისთავთ ერისთავის ქართლისა
ამირასი და რუსთავისა და შვილთა მთეულეთისა პატრონისა, აბუ-
ლასანისა და ბასილ ქართლისა მთავარ ეპისკოპოს ყოფილისა“.¹

¹ Пл. Иоселиани, Описание Тифлиса, 83., 34.

თუ ეს ასეა, მაშინ გაბაშვილები ძველ ფეოდალურ გვარს უნდა ეკუთვნოდნენ, რომელიც შემდეგ საუკუნეებში თანდათანობით საგრძობლად დაქვეითებულა. აღსანიშნავია, რომ ბესიკს უყვარს აღნიშნოს თავისი გვარის სიძველე. ხშირად იგი, გაბაშვილობის ნაცვლად, „გაბაონად“ იწერება. იმავე დროს, „გაბაონი“, ქართული ჰერალდიკის განმარტებით, პალესტინის იმ გეოგრაფიულ პუნქტს ნიშნავს, საიდანაც თურმე გაბაშვილები გადმოსახლებულან საქართველოში „დროსა ნაბუქოდონოსორისასა“. ამ გადმოცემით, ებრაელი გაბაშვილები ჯერ მცხეთაში დასახლებულან, შემდეგ, როცა თბილისი გაშენებულა, თბილისის პირველ მკვიდრთაგანნი ყოფილან, ასეთია ჰერალდიკური ლეგენდა, რომელსაც ბესიკის დროს დიდი გასავალი ჰქონდა.

გაბაშვილები შემდეგ ხანებშიც ძლიერ მიწათმფლობელ და გავლენიან ფეოდალებად მოჩანან, როგორც „დარბაისეღნი და თავჩინებულნი თავადნი“, ერისთავებთან, ციციშვილებთან და მაჩაბლებთან ერთან, ისინი, მაგ., მოხსენებული არიან 1536 წ. დიდი ლუარსაბის ერთ სიგელში (საისტორიო მოამბე, № 1, 1924)¹.

მე-17-18 საუკუნეებში ეს გვარი უკვე ძალადმართებული და გაღარიბებულია. შემდეგში გაბაშვილებს ვეღარ შეუტრჩინიათ „თავჩინებულობა“ და „სახაზო აზნაურებად“ ჩარიცხულან.

მე-18 საუკ. მიწურულამდე გაბაშვილები, როგორც კარისკაცები, დაახლოებული ყოფილან სამეფო კართან სხვადასხვა თანამდებობით (სუფრაჯი, მზარეულთ-უხუცესი, ბაზიერთ-უხუცესი. უკანასკნელი თანამდებობა ქართლის მეფეთა სასახლეში გაბაშვილთა საგვარეულო „სახელო“ იყო).

გაბაშვილებს არა ერთხელ გამოუჩინიათ შესაფერი ერთგულება თავისი პატრონისადმი. ასე, მაგალ., ისტორიული პოემა „შაჰნავაზიანი“ 1655 წ. ბრძოლაში მათ მიაწერს დიდ ვაგჟაკობას და ერთგულებას ვახტანგ V-სადმი. შემდეგში, 1706 წელს, ვახტანგ VI „მამულის სითარხნის წიგნსა და ნიშანს აძლევს სწორედ ბესიკის წინაპრებს, — „ერთგულთა და წესისეზრივ მრავალფერად ერთგულად და თავდადებით ნამსახურთა, ყმათა. აზნაურიშვილთ — გაბაშვილთ“. ამ წყალობის წიგნით მეფე ანიჭებს „მათი კერძის ყმის სითარხნეს“ და ათავისუფლებს „ლაშქარ ნადირობის და სათათროს საურის“ გარდა, ყოველ სახელმწიფო გადასახადისაგან (საქ. სიძვ. II, 150); ექვსი წლის შემდეგ მეფე კვლავ ასაჩუქრებს მათ ახლად მოსყიდული მამულის „ათის წლის სითარხნითა“ (იქვე, 151). ალბათ, „ერთ-


¹ სხვათა შორის, გაბაშვილებმა, დავითმა და ნიკოლოზმა 1542 წ. ააშენეს თბილისში მთაწმინდის ეკლესია (საქ. სიძველენი, II, 125).

გული და მრავალგვარი ნამსახურობა“ უნდა ჰქონოდათ გაბაშვილებს ასეთი წყალობის შოვნისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ, სხვა სახასო აზნაურებთან შედარებით, გაბაშვილები მაინც მაღლა მდგარან ქონებრივად. ამ ფაქტს გვიდასტურებს მათი მიწათმფლობელობა. XVIII საუკუნე. მათ ისევ ვრცელი მამულები ეკუთვნოდათ. გარდა თბილისთან ახლოს მდებარე მამულებისა (ლისი, თბილოვანი, გდელისი, წოდორეთი, ოქროწყანა), თვით თბილისში მათს საკუთარებას შეადგენდა დღევანდელი ვერის, ვაკის და მთაწმინდის ტერიტორიის შესამჩნევი ნაწილი, „ვერესგან შემდგარი დილომა-მდის“. მარტო ვაკეში, ვარაზის ხევ გაღმა საგაბაშვილოს ერთ წარმომადგენელს 143 დღიური მიწა ეკუთვნოდა, „სააგუროს მიწას გარდა“ (საისტორიო მთაბზე, II, 187, 1924 წ.)

ბესიკის გენეალოგიური შტო 1

ოთარ გაბაშვილი (XVII საუკუნე.)



(იოანე მიტროპოლიტი, ცნობილი შემდეგში გა-კალიგრაფი) დაყენებული

1 შეუფენილია სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტის მიხედვით.

გაბაშვილების მამული განთქმული ყოფილა ადგილმდებარეობით. ერთი მსყიდველთაგანი ასე აგვიწერს მის სიყვთეს: „კარგი მამულიც არის. გავიღოდი, შვექცეოდი, ოჩხსა, საფიჩხულესა, ხენასა, მკასა და სოფლობას ეგვანებოდა და შიბაროდის“ (თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, 50). საგაბაშვილო მიწების ერთ ღირსებას ისიც შეადგენდა, რომ „საწყლისპირთ“ იყო და მტკვრის ნაპირები ეკირა „საფიჩხულე“, „საოჩხებით“ (საისტ. მოამბე, II, 187). მაშასადამე, ძველად მის მეპატრონეებს თევზის შემოსავალიც ჰქონიათ და ხე-ტყის საქმეც უწარმოებიათ. ერთი ირონული შენიშვნით, „გაბაშვილები მეტივენი ყოფილან ადრიდგან“ (H, 2130). ამ ფაქტს მოუტია საბაბი ვინმე პასკვილანტისთვის მიემართა ერთი გაბაშვილისადმი.

სჯობს ძველებურ გვარისებრ
ტივთა ჰკრა ხენია (იქვე).

მიუხედავად საკმაო მამულებისა, XVIII საუკუნისთვის ახნაური გაბაშვილები ნიუთიერად საკმაოდ დაქვეითებულნი ყოფილან,—მუდამ „ვალში იყვნენ“, მხოლოდ მამულების დაგირაევებით და გასყიდვით ირჩენდნენ თავს, „ხან იმას ავაკრებდნენ ხან იმას“ (იხ. თავგად. იესე ოსესშვ. 50; ცენტრარქივის სიგ. პირები, წიგნ. № № 23-25); 1768 წლ. გაბაშვ. მამული „წყლის პირის მალლა ვერესაგან შემდგარი დიდამდის და გდელისი და თხილოვანი გირაოდ ჰქონდა იესეს შვილს“ (იხ. თავგად. იესე ოსესშვ. 66).

XVIII ს. ნატურალური მეურნეობის წყობის დარღვევამ, სავაქრო კაპიტალის ზეგავლენამ გაბაშვილთა წვრილ ფეოდალურ გვარსაც თავისი სუსხი უჩვენა. ამ ხანებისთვის გაბაშვილების ოჯახშიც ჩამოითვლებიან „უყმო და უმამულონიც“ (ც. არქ. სიგ. ფ. № 847). დამახასიათებელია, რომ ერთი შტო გაბაშვილთა გვარისა მეტად დაკნინებულა და სასულიერო უწყებაში მოჰყოლია, ისიც სხვა ფეოდალების სამსახურში. ასე, ბესიკის პაპა დმანისის დეკანოზი ნიკოლოზი და ბესიკის მამა ზაქარია „მოძღვარი ცნობილი სასულიერო პირები იყვნენ,—ორივენი ორბელიანთა კარის მოძღვრები.

მაგრამ სასახლესთან დაახლოებულ გაბაშვილთა შორის ყველაზე გახშიანებული კარიერით ცნობილი იყო სწორედ ბესიკის მამა ზაქარია გაბაშვილი, განთქმული საეკლესიო მოღვაწე, მწიგნობარი და პოეტი. ზაქარიას პიროვნების გარშემო ვრცლად უნდა შეეჩერდეთ, თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ ზაქარიას ბიოგრაფიასთან არის საგრძნობლად შეკავშირებული ბესიკის ცხოვრების გზები.

ზაქარია გაბაშვილი. თავგების და კატის ომი.

ზაქარია გაბაშვილი დაბადებულა 1705 წლის ახლოს.

როგორც დმანისის დეკანოზის შვილი, 1730-იან წლებში თვითონაც დმანისის ჯერ მღვდლად და მერე დეკანოზ-მღვდლად გამ-

წესებულა;¹ ზაქარია ორბელიანების მოძღვარი ყოფილა; ორბელიანთა სამსახურში იგი მწერალმწიგნობარის როლსაც ასრულებდა¹.

ზაქარიას შესაფერისი თეოლოგიური და ფილოსოფიური განათლება მიუღია. ქართულ საზოგადოებაში ის იყო ცნობილი, როგორც კაცი „დაღალული კატელორიითა, დიალექტიკითა, ტოპიკებითა და სილოგიზმებითა“², „ძველთა ფილოსოფიისა სწავლასა შინა გამოცდილი და ღვთის მეტყველებისა მიწვენილი“³. ანტონ I თავისი კაპიტალური ნაშრომის „მზამეტყველების“ ეპილოგში სხვა თანამედროვე მეცნიერთა შორის („უბრძენსნი... გამოცდილნი ფილოსოფოსობითა სწავლებათა შინა“) იხსენიებს ზაქარიასაც, როგორც წარჩინებულ ფიგურას. როგორც ირკვევა, ზაქარიას საკუთარი საფილოსოფოსო სკოლაც ჰქონია, სადაც „ხედვითა შინა ფილოსოფოსობათა“, არა ერთი ქართველი მოღვაწე გაწვრთნილა: ანტონ I, მზექაბუკ ორბელიანი—ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე XVIII საუკუნისა, „კაცი რიტორი, მცოდნე ძველისა და ახლისა ფილოსოფიისა“, განუსწავლებია სხვებთან ერთად ზ. გაბაშვილს⁴ ისაკ მცირესთან ერთად მისი მოწაფე ყოფილა, აგრეთვე ვინმე ანაქორეტი, ჰიმნოგრაფი იოანე კახი, „რომელიც სიყრმიდგან ახლდა ზაქარია მოძღვარსა და მასთან მოესმინა ფილოსოფია და ღვთისმეტყველება“⁵ და სხვ.

¹ საქ. სიძვ. II, 389 (1736 წ. ქვეშ); 1736 წ. სექტ. 8-ს ზაქარია მღვდლად იხსენება (იქვე 385), ხოლო იმავე წლისქაზმობრის 15-ს „დეკანოზ მღვდლად“ (იქვე 104), ეტყობა, 1736 წ. სექტემბერ-ნოემბერ შუა ზაქარიას მამა ნიკოლოზი გარდაცვლილა და მისი ადგილი ზაქარიას დაუჭერია.

² პლ. ორბელიანი—ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა, ზ. კვიციანიძის გამოც. 1895 გვ. 46.

³ იქვე 385, 386. საერთოდ, ზაქარია ითვლებოდა საუცხოო „მდივანმწიგნობრად“, იხ. საქ. ცენტრ. არქივის სიგელების ფონდი 2861, № 2232; S 726, 727.

როგორც 1764 წ. „განჩინებიდან“ ირკვევა, ზაქარია „ეწოდებოდა მღვდელობასა შინა“ და ერისკაცობაში სხვა სახელი ჰქმევია.

პატრი იგულისხმობს ბონავენტურა ტრენტოელი თავის მოხსენებაში (1757 წ.). რომის კარდინალისადმი გადმოგვცემს ანტონ კათალიკოსის შესახებ: „პატრიარქის ნამდვილად გაკათოლიკების გამოსარკვევად მეფემ და მისმა მოძღვარმა რაბეთიმ „მოიმიხეხეს და მიავხანეს ერთი მონაზონი, რომელიც მივიდა პატრიარქთან ასახსნელად“ (თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 374) ეჭვი არაა ამ გადამახინჯებულ ქართულ სახელში „რაბეთი“, ზაქარია მოძღვრის საერისკაცო სახელი იგულისხმება.

⁴ „ქალმასობა“.

⁵ „მზამეტყველება“ გვ. 604.

⁶ პლ. იოსელიანი, ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა, გვ. 241-242 (სქოლიო).

⁷ იქვე, გვ. 268.

ზაქარია აგრეთვე იყო „მღვდელობით სრული“, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე“ მისიონერი. „კალმასობის“ ავტორის სიტყვით, „ამან იღვაწა ქიზიყისა შინა ქადაგებითა, რომელთა შორის შევიდა მცირედ ლეკიანობა და მალე მოაქცევიან იგინი“¹.

ზაქარიას კარიერა ორბელიანთან მოძღვრობით არ დასრულებულა. როგორც ერთი ცნობა გვიმომწმებს, იგი დაუწინაურებიათ („გააკეთა გაბაშვილიო“, გადმოგვცემს ზაქარიას ერთი პოლემისტი).

1744-45 წ.წ. ნიკიერი კარიერისტი თეიმურაზ II-ის მიერ მიწვეული იქნა „მეფეთა მოძღვრად“² (თეიმურაზ II და ირაკლი II-ისა) გამჭრიახმა ზაქარიამ მეფეების ყურადღება და განუსაზღვრელი ნდობა დაიმსახურა, ხოლო „მეფეების, პატრიარხის და მღვდელმთავართა სულიერმა მამამ“ ხელთ იგდო საეკლესიო მმართველობის საქმეც. მისი ავტორიტეტისათვის დამახასიათებელია თუნდაც ის ცნობა, რომელიც თბილისის კათოლიკეთა მაშინდელმა მისიონერმა მიაწოდა რომს: ზაქარიას ხელშია მთელი სინოდი (უმალღესი საეკლესიო მმართველობა) და ყველას მისი რიდი აქვსო³, ზაქარიას ერთი მოწინააღმდეგეც გადმოგვცემს, რომ ზაქარიამ „ყველა ქანგში დაიჭირა“, რომ ასე მტკიცედ „არც პატრიარხებს სჭერიათ საბერძნეთი“⁴. ალბათ ეს ჰიპერბოლა არცთუ დიდ გადაქარბებას შეიცავდა მაშინდელი ქართული სინამდვილისათვის. ზაქარიას რომ დიდ გავლენასთან ერთად დამსახურებული ჰქონდა რეპუტაცია გავლენიანი პიროვნებისა, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 60-ზე მეტმა ქართველმა თავადმა ცხადად ვერ მიიღო უნია მხოლოდ ზაქარიას შიშითო, ასე აცნობებენ ვატიკანს⁵.

* საყურადღებოა, რომ ზაქარიას თვით ერეკლე მეფეც ერიდებოდა. როცა თბილისიდან მთავრობის ბრძანებით განდევნილ კაპუცინებს ერეკლესთვის უთხოვიათ ნება დაბრუნებისა, ერეკლეს თუმცა გულით სდომებია მათი სათხოვრის ასრულება, რადგან ევროპელი

¹ H. 2134.

² ზაქარია „მოძღვრად“ იხსენიება 1746 წელს, როგორც გვამცნობს მისივე ხელით დაწერილი ერთი სიგელის ბოლოსიტყვაობა: „აღიწერა აღნაქესი ესე... არარად სარაცხისა მღვდლისა მიერ, რომელსა ვიეთნიმე მამაკაცი მოძღვარ ზაქარიად სახელსა უწოდებენ“ (იხ. საქ. ცენტრარქივის სიგელების ფონდი, № 1861).

³ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 388.

⁴ იხ. „ზაქარია გაბაშვილის მოძღვარხედ გიობა უფერული“ დავით მღვდელისა“. S 1512, გვ. 969-973 (დაწერილია 1763 წელს).

⁵ თამარაშვილი, გვ. 380. ანტონ I უნიატობას ქართულ საზოგადოებაში ბევრი მოუშაბდებია კათოლიკობის მისაღებად, მაგრამ ცხადად გადასვლა კათოლიკობაზე ვერ გაუბედავთ, რადგან ბევრი ერიდებოდა თურმე გაბაშვილ ზაქარიას (იქვე).

კათოლიკე მისიონერები პოლიტიკურად და შინა-პრაქტიკული მხრი-
თაც საქირონი იყვნენ მეფისათვის, მაგრამ ზაქარეას რილით ვერ
გაუბედავს და უთხოვია კაპუცინებისათვის—რუსეთისა და საფრან-
გეთის მთავრობისაგან სარეკომენდაციო წერილი ეშოვათ, რათა
ამით მას შესძლებოდა ზაქარეა მღვდლის პირი დაეხშო. „ერიდე-
ბოდა, უამისოდ შეიძლება ამ მღვდელმა რამე უწესოება მოახდინო-
სო“. ასე გვიამბობენ თვით კაპუცინები,¹ ხოლო როდესაც განდევ-
ნილმა პატრებმა ახალციხიდან მოქრთამეს დედოფალი თბილისში
საყდრის მისაცემად, გაიგო თუ არა ეს ზაქარეამ, მივიდა მეფე თე-
იმურაზთან და განუცხადა: „ამ საქმეს თუ ხელს მიჰყოფ, ჩვენ კი
შემოგეცლებითო“². ამნაირად, ზაქარეა მოძღვარი გვევლინება დიდ-
გაულენიანი წრეების მეთაურად. რომელსაც მეფეები უწევდნენ ან-
გარიშს, ცხადია, ასეთ მძლავრ პიროვნებას სამღვდლოებაც ხელში
ეყოლებოდა მოწურული:

სამღვდლო ასე ეგონა,
ვით ნოემბრისა ბუხი რამ.

მართლაც ასე ჩივის მისგან შეურაცხყოფილი ერთი მღვდელთა-
განი³. ანტონ კათალიკოსს თავის მხრივ ზაქარეა უწოდებდა „მა-
მას“, ვით მისი „ძე და „მოწაფე“⁴. ცხადია, განდიდებული „მეფე-
თა მოძღვარი“ მარტო საეკლესიო მოღვაწედ არ დარჩებოდა, ის
სახელმწიფო მოსაქმეც უნდა ყოფილიყო.

მართლაც, ჩვენ ვხედავთ ზაქარეას სასახლის საქმიანობაში გა-
რთულს, როგორც ფაეორიტი. იგი ხშირი შუამდგომელია მეფეს-
თან სხვადასხვა პირისთვის დახმარების აღმოსაჩენად⁵, მონაწილე-
ობს სხვადასხვა სახელმწიფო საქმეებში და, ბოლოს, მან დიდი რო-
ლი ითამაშა თეიმურაზ მეორის ოჯახურ ცხოვრებაში. ცნობილია,
რომ დედოფალ თამარის სიკვდილის შემდეგ თეიმურაზმა მაშინვე
შეირთო ცოლი ზაქარეას „მრავლის შრომით და ლუწით“⁶. აქედან
ჩანს, რომ ზაქარეა მეფის პირადი საქმეების რწმუნებულიც ყოფილა.

ცხადია, „მეფეთა მოძღვარი“ ეკონომიურადაც გააღიერებული

¹ თამარაშვილი, გვ. 38.

² „თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა“. გვ. 35.

³ იხ. გიომა ზაქარეაზე S 1212.

⁴ „ივერია“, 1879 წ., № 7-9.

⁵ „თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა“, გვ. 39, 46, 57.

⁶ იქვე, გვ. 14..

იქნებოდა¹, ერთი პამფლეტისტი საგანგებოდ აღნიშნავს ზაქარიას ეკონომიურ კეთილდღეობას და ზედმეტ ანგარებასაც უკიყინებს მას. იგი უწოდებს ზაქარიას „ხარბს“, „სულით, გულით და გონებით ანგარებას გარეულს“, „ვერცხლის მხვექელს“, რომელიც „განსუქნა, განსხვა, განზრქა“ და „ვერ დაეტია ტანში“. ვგონებთ, პამფლეტისტის სიტყვები არც ისე უნდა იყოს გადაჭარბებული. ზაქარია მეტად დაინტერესებული იყო თავისი პრივილეგიებით, და ეს მალე დაამტკიცა იმ დიდ საეკლესიო მოძრაობაში, რომელიც მანვე ასტეხა. ეს იყო ანტონ I-ის დამზობის პროცესი, როდესაც საბოლოოდ გამოიმკლავნდა ზაქარიას გავლენის ძალა.

ანტონ I-მა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ეკლესიის ორგანიზმის გათიშვას, მან გამოუცხადა ბრძოლა ეპისკოპოსების მიერ საეკლესიო მამულების თვითნებურ მმართველობას და შეუდგა თავისი ხელისუფლების ცენტრალიზაციას. ალაგმა რა თანდათანობით უფლება ეპარქიალური მმართველობისა, მონასტრების გამგეებისა, რომელნიც უკონტროლოდ განაგებდნენ საეკლესიო ქონებას და შემოსავალს, ანტონმა მალე ხელთ იგდო საეკლესიო ქონებათა მართვა-გამგეობა და შეზღუდა იგი დამოუკიდებელი მოხმარებისაგან. მან აგრეთვე გაბედული იერიში მიიტანა მემამულე თავადებზე, რომელნიც არ ერიდებოდნენ საეკლესიო მამულების სეკულარიზაციას.

თავის საეკლესიო რეფორმებს ანტონი უმორჩილებდა სახელმწიფო ინტერესებს, ცენტრალურ აპარატს, რომელსაც დაუცხრომლად ებრძოდნენ ფეოდალები.

კათალიკოსის ნაბიჯებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც ეკლესიურ, ისე საერო ფეოდალურ წრეებში. ორი ენერგიული დაჯგუფება შეერთდა ოპოზიციურ პარტიად ანტონის წინააღმდეგ, ხოლო მათი ბელადობა თვით ზაქარიამ იკისრა. ამ ამბავს ერთი შემთხვევაც ზედ დაერთო. ცნობილია, რომ ანტონმა, როგორც ევროპის კულტურის ორიენტაციის მოღვაწემ, სხვა რეფორმების შემოღებასთან ერთად გაილაშქრა ძველი აღზრდის სისტემის წინააღმდეგ. მან სცადა შემოეღო ევროპული საღვთისმეტყველო სკოლა, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ბიზანტიური სკოლის

¹ ხ. მთაწმინდელის სიტყვით, ზაქარიას ეკონომიური გაღონიერების მიზეზი ისიც ყოფილა, რომ მას გამოუმეტლავნებია ცნობილი შეთქმულება პაატა ბატონიშვილისა ერეკლეს წინააღმდეგ (1765), რის სამადლობლად მეფეს მამულებით დაუჯილდოებია (იხ. ბესიკი, 1886 წ., გვ. 5). მაგრამ მთაწმინდელის ცნობა სწორი არ არის. შეთქმულების გამომგლავნებელი იყო არა ზაქარია, არამედ ვინმე მღვდელი—ქრისტესია (ალ. ორბელიანი, რჩეული ნაწერები, 1879 წ., გვ. 103). ამ ხნისათვის ზაქარია უკვე ჩამოშორებული იყო სასახლეს.

მიმდევართა შორის. ევროპული მეცნიერების ათვისების ნიადაგზე ანტონი დაუახლოვდა პაპის მისიონერებს და მათი ზეგავლენით მიიღო ეგრეთ წოდებული „ფლორენციის უნია“—პაპის უპირატესობა, ანუ რომის პაპის უცოდველობა და Filioque. ოპოზიციამ სწორედ ეს ფაქტი გამოიყენა ოფიციალურად. ზაქარიამ 1754 წ. გამოამქ-ლაენა ანტონის საიდუმლო უნიატობა და განავში ასტეხა. აღშფოთებულმა თეიმურაზ მეფემ მოიწვია საეკლესიო კრება ზაქარიას ენერგიული მონაწილეობით. კრებამ გამოსტეხა ანტონი „გაფრანგებაში“ და ორთოდოქსალური ეკლესიის ლალატისათვის შესაფერად დასაჯა. ზაქარიამ არ დაინდო თავისი „კეთილმოქმედი“. მისი დიდი მონაწილეობით კათალიკოსს „ახადეს მაღლი მღვდელმსახურებისა“, ერთი ცნობით, განძარცვეს საბერო ტანისამოსი, მოხადეს საპატრიარქო ბარტყულა, შეკრიქეს თმა-წვერი, მისი თანამზრახველი ზოგი დასაჯეს გაძევებით, ზოგი ქონების კონფისკაციით. თვით ანტონი გადასცეს სამოქალაქო მთავრობას საპყრობილეში ჩასასმელად. იგი 18 თვე პატიმრად იყო სოფელ კვეთიხევეში (S 3181). შემდეგ ანტონმა საჯაროდ მოინანია „ლათინთა წვალება“ და მეორე კრების (1756 წ. 4 აპრ.) დადგენილებით, გაძევებულ იქნა რუსეთში.

ერთი სიტყვით, ზაქარიამ მოახდინა სრული გადატრიალება სასულიერო მთავრობისა ანუ, როგორც მისი ოპოზიციონერი ამბობს

იმ ხუცესმან მვენებელმან,
ვნებული ჰყო ქართლ-კახეთი.¹

ერთი საბუთი გვიამბობს, რომ ზაქარიამ დიდი მღვდლვარება გამოიწვია ქართული საზოგადოების ფართო წრეებში, „შეა უსჯულ-ლობა იგი სიძულვილისა, მოყვასთა და ძმათა თვისთა“. მან, როგორც გამოცდილმა დემაგოგმა, ანტონის „გაფრანგების“ საფრთხის საკითხი მასაშიც გადაიტანა. მდაბიო ფანატიკოსი ხალხი აღსდგა ზაქარიას დაძახილზე და გაცოფებული მიესია უნიატებს. მის მიერ გამოყვანილმა დემონსტრანტებმა თვით გასამართლება მოუხდინეს ანტონის თანამგრძობლებს². მათ შორის ქუჩაში მოკლეს რამდენიმე ქალი, ხოლო ცილდაწამებული თვით მეფის თეიმურაზის

¹ რომის ეკლესიის აღიარებით სულიწმინდის ძისაგანაც გამოავლობა.

² S 1512. გვ. 969, 963, „ივერია“, 1879, № 7-8.

³ მათ შორის ზაქარიამ დაამხო რამდენიმე გავლენიანი ეპისკოპოსი, საქვეყნოდ გაეცხა ერეკლეს და ანა ბატონიშვილი, რომელიც სიმპათიას იჩენდა ანტონის ჯგუფისადმი, დასაჯა ანტონის მიმდევარი იოანე ორბელიანი—ცნობილი

გამიდა „ძალთა და მხეცთა მისაგდებლად“ ქუჩა-ქუჩა ათრიეს. ბრბომ უპირველესად ფრანგის მისიონერები არ დაინდო. ზაქარია ბრბოს ასე აქეზებდა: „ფრანგების დახოცვა და მათი ლუკმა-ლუკმა დაკეპვა ცოდო არ არისო“.

ერთი ენერგიული დაკვირით ზაქარიამ გაანადგურა ანტონის პარტია და ცდა მისი რეფორმებისა. თუ რა ცხარე ბრძოლა უწარმოებია ზაქარიას და მის მიმდევართ ანტონის წინააღმდეგ მისი განდევნის შემდეგაც, ამას მოწმობენ თვით რუსეთში მყოფი ანტონის სიტყვები: „მგონებელთა უკვე ქართულთა ჩემდა იონა ყოფად ჰგონეს და ცხრობა საქართველოსა ზედა აღძრულთა მათ ლელუათა და პერათა რისხვის ღვთისათა და გამოიღეს წილი ზღვასა შინა შთაგდებად ჩემდა. გარნა შთაგდებასავე მყის არა დაჰსცხრეს და არა დაყუდნეს ქარნი და ლელუანი განსაცდელთანიო“.

ანტონის დაცემის შემდეგ ზაქარიას ოფიციალური მდგომარეობა უფრო განმტკიცდა. მტრების ჩამოშორების შემდეგ დიქტატორი შეუდგა ეკლესიის „გამოჯანსაღებას“. მან შემოიყარა კონსერვატორული ელემენტები სამღვდლოებისა სამოქმედოდ და ახალი ნომინალური კათალიკოსიც თვითონ გამოარჩია:

ქართლსა და კახეთს მოძებნა,
იპოვნა ერთი უცები,
კათალიკოსად დაგვისვა,—
გაჰკვირდნენ ბერი, ზხუცები,—

როგორც გადმოგვცემს განდევნილი ოპოზიციონერი.

ამიერიდან უზრუნველყოფილი იყო ზაქარია მოძღვრის ავტორიტეტი. მან კარიერის განმტკიცებისთანავე გახსნა საფილოსოფოსო სკოლა მეტეხში და სცადა „სიახლე“ შეეტანა საეკლესიო ლიტურგიულ გალობაში:

მომოშლად იწყო გალობა,
ქართულს ენაზე, თქმულები,
ხმაც შეშალა და გალობაც,
ჩაურთო შიგ სპარსულები...

ერთი სიტყვით, როგორც ზაქარიას პამფლეტისტი ამბობს, „საქმენი ჰქენა ცხოვრებაში, (ე. ი. ისტორიაში) დასაწერი“. ანტონის დამხობის აქტი მარტო საეკლესიო ამბავი როდი ყოფილა. იგი, იმავე დროს, ძლიერი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტიც

ფილოსოფოსი და სამეფოს მდივანბეგი, „სრულ ხელი ააღებინა სახლსა და არე-მარეზე“, დააპატიმრა და შემდეგ გააძევა საქართველოდან.

¹ „ივერია“, № 1879 № 7-8.

იყო. რადგან თავისთავად ეკლესია ფეოდალური სისტემის სახელმწიფოში დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაცია იყო და თვით კათალიკოსი იერარქიულად მეფის თანატოლი პიროვნება იყო. აქედან ცხადი ხდება ზაქარია გაბაშვილის ავტორიტეტი. მაგრამ ისტორია მალე განმეორდა, მოახლოებული იყო კრეატურის დამხობაც. იშლებოდა ახალი ეპოპეა. 1762 წ. პეტერბურგში გარდაიცვალა თეიმურაზ მეორე და ქართლ-კახეთის მეფედ განაცხადდა ერეკლე მეორე. იგი არ თანაუგრძნობდა მამას ანტონის დამხობის საკითხში. როგორც შორგამპყვრეტელი და გამპყრიახი ადამიანი, იგი ცდილობდა სახელმწიფო მმართველობის ევროპეიზაციას რუსეთის გზით, ცხადია, მისი და ანტონის სიმპათიები მეტად ახლოს იყო. და ერეკლემ სამღვდელეობის დაუკითხავად დაუყოვნებლივ მისწერა ანტონს, რათა იგი რუსეთიდან დაბრუნებულიყო და მასთან ერთად სახელმწიფო ტვირთი გაენაწილებინა: „შენი ამ ქვეყნიდამ დაკარგვა ჩვენ უნდა დაგვეძიმოს, ვისაც კჳა აქვს, მე უშენოდ ვერ ვიქნები“, — სწერდა ანტონს ჯერ კიდევ მისი ახალ განდევნის დროს. გახარებული ანტონი დაბრუნდა 1763 წ., ხოლო 1764 წ. 5 მარტს ისევ აღადგინეს საქართველოს ეკლესიის მეთაურად.

დადგა რევანშის დრო. უფლებააღდგენილი პატრიარქი სასტიკად უნდა გამკლავებოდა იდეურ მტრებს და უპირველესად ზაქარიას, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ რუსეთიდან სწერდა თანამგრძობელთ: „იმედი მაქვს, რომ დღენი თუ გაგრძელდენ, თითონის ჩამოეკიდება მისივე ხელით განზადებულ სახრჩობელაზე“¹. ამ განზრახვაში ანტონს ხელს უწყობდა თვით ერეკლე, რომელსაც ზაქარია „არა უყვარდა“². ანტონის ჩამოსვლისთანავე მეფესთან შეთანხმებით, ზაქარიაზე „განუკითხველად და ულაპარაკოდ განაჩენი დაწერეს და სახლ-კარი წაართვეს“ და მღვდელმოქმედება აღუკრძალეს. ასევე გაუსწორდნენ ზაქარიას თანამზრახველთაც, რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო.

გამწარებულმა ზაქარიამ ახლა აღარც მეფე დაინდო და იგიც „მწვალებლად“ და „სჯულის დამთურგენლად“ გამოაცხადა. მეფემ მოერიდა განხეთქილებას. მაგრამ მოძღვარი გადავიდა იმერეთში და სასტიკი აგიტაცია დაიწყო მეფისა და კათალიკოსის წინააღმდეგ, როგორც „მწვალებლებისა“. რამდენიმე ხნის შემდეგ ერეკლემ და-

¹ თუმცა იმავე დროს ზაქარიასგან დაშინებული ეფიციებოდა „პირველ სიყვარულს სულიერ მამობას და ძეობას განუკვეთელს და მეგობრობას განუყრელს“. *წ. კ. № 1512.*

² იხ. *ს. 3181.* (პლატონ იოსელიანის ცნობა).

ანტონმა ზაქარია დააბრუნეს და შესარიგებლად მოციქულებიც მიუგზავნეს. მაგრამ ზაქარიამ სასტიკი უარი შეუთვალა. მაშინ სიონის ტაძარში შემოსილმა კათალიკოსმა წირვის დროს დაიჩოქა და მთრთოლვარე ხმით წარმოთქვა: თუ მე ვიყო მწვალებელი, აზრით და გონებით მომხრე ლათინთა სარწმუნოებისა, ვიყო წყეული, კრული, შეჩვენებული სულით, ხორციით და საფლავითო, და უკეთუ ცილისწამებით მამბრალედეს მე ზაქარია ხუცესი,—იგი დაიწყევლოს ამ შეჩვენებითო. ამ სიტყვების შემდეგ, როგორც ერთი გადმოცემა ამბობს, ანტონმა სახალხოდ შესთხოვა ზაქარიას, რათა მას გაეთანტა უმართლო ეჭვი და ნება მიეცა შესარიგებელი ამბორისა; მაგრამ ზაქარიამ არ უპასუხა და მისგან პირიც მიიბრუნა¹. ხოლო „განჩინება ზაქარიაზე“ გადმოგვცემს, რომ ამის შემდეგ მან, „ემშაკეულმან წარმოსთხია კვლად სიმყრალეი თვისი“ და პირიქით შეაჩვენა ანტონი და მისი მომხრეებიო.

მაშინ მღვდელმთავართა კრებამ დაადგინა: რაკი „უკეთურმა ხუცესმა“ არ შეიწყნარა კათალიკოსი და მწვალებელი უწოდა თვით მეფეს, ამიტომ იგი, როგორც ცილისწამებელი და „ქრისტეს სავენახეს გამრყენელი“, „ეკლესიის აღშფოთებისა და განხეთქილებისათვის საქართველოჲსა ეკლესიისა ზედა აღდგომისათვის და მწვალებლად წოდებისათვის მისისა და მრავალთა მათ უკეთურებათა მისთა“, განკვეთილ იყოს მღვდლობისაგან, შეჩვენებული, შეკრული და დაწყევლილიო.

ბოლოს შეიპყრეს და კრებაზე შიყვანეს, სადაც ზაქარია „ზვაობით და დაუმდაბლებლად“ უპასუხებდა თავის მტრებს. მან კრებაზე კიდევ განაცხადა საჯაროდ ბრალდება მეფისა და პატრიარქისადმი.

ზაქარია არ ცხრებოდა. მაშინ „მაგინებელი მეფისა“, „გონება იგი ასურასტნელი, ღმერთოცნებული თავისაგან თვისისა“ საბოლოოდ გაიმეტეს და განკვეთეს, შეკრიპეს, წაგვარეს ცოლ-შვილი, წაართვეს ქონება, მამულები. ასევე გაუსწორდა ხელისუფლება მის მომხრეებსაც, რომელთაც თმა და წვერი დაკრიპეს და მონასტრებში ჩაკეტეს. ერთი სიტყვით, გამეორდა ის თეატრალური სანახაობა, რაც რამდენიმე წლის წინათ თვით ზაქარიამ მოუწყო „თავის სულიერ ძეს“, ამრიგად, ქართველი კონსერვატორების პარტია დამარცხდა და მოხდა სასტიკი გასწორება.

დამარცხებული ფავორიტი მაინც არ დალატობს თავის პოზიციებს. მან მოახერხა მონასტრის ვიწრო სენაკიდან თავის დაღწევა

¹ А. Муравьев, Грузия и Армения, III, стр. 18-19.

და ჩუმად გაიპარა იმერეთს „სივერაგითა“, თითქოს მეფემ მისცა ნებართვა წასვლისა. „წარვიდა სხვად სამეფოდ ამისთვის, რათა ეკლესია საქართველოსა კეთილმსახურით მეფითურთ მწველებლად გამოაცხადოს“ (S 31721). მაშინ ქართლ-კახეთის მთავრობამ გაძევებული ზაქარია კანონს გარეშე გამოაცხადა.

იმერეთიდან ზაქარიამ რუსეთში წასვლა გადასწყვიტა და იქ ძლიერი მფარველის შოვნა სინოდის სახით. თავის განდევნას ზაქარია ასე აგვიწერს ლექსად:

წიგნი დასდევს ქუფრი, ბინდი,
მიტხრეს: ალიარე ინდი.
ფრანციცულად გალიდინდი,
თორემ გაგძრკეით, ვით სიმიინდი!
პაპის სჯულზედ მე შევწყინდი,
იყოს სულის წარმაწყმინდი.
მიტხრეს: რადგან დაჯვიტინდი,
ოვსეთის მთას გარდაფრინდი!

მოიპარსა რა ნიკაპი,
მით უარ ვყავ ქოსა პაპი,
აღმაფრინეს, ვით რომ ლაპი,
აღმათრივეს მწვირე, ტლაპი.
რაც მეზადა, უყვეს ყლაპი,
გამომაძეს შიშველ ლლაპი.

1767 წ. ზაქარია ჩავიდა ყიზლარს, საიდანაც წინასწარ მოქმედება დაიწყო ანტონის წინააღმდეგ რუსეთის დიდგავლენიან სასულიერო წრეებში. ერთკლემ და ანტონმა გადასწყვიტეს მისთვის გზა თავშივე მოეჭრა. მათ რუსეთში აცნობეს, რომ ზაქარია „ლირსად და სამართლად განიკვეთა, ეღვედელობისაგან შეიჩვენა და ანათემა იქმნა.“ და როგორც „უკეთურს“, და „ბოროტ განმსჯელს“, ნუ მიუშვებთ სამღვდლო მოქმედებაში, ნუ შეიწყნარებთ, როგორც ქრისტიანეს“, რადგან „ყოვლისაგან ქრისტიანეთა მადლისაგან შიშველი არისო“.¹

¹ შეფისა და კათალიკოსის რისხვა ზაქარიას მიმართ იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ თვით XIX საუკ. 40-იან წლებში რუსის მწერალ-არქეოლოგ მურავიოვს შეუნიშნავს: „გაბაშვილების გვარი დღესაც არასაიმედოდ ითვლებაო“ (Гривия и Армянны. III, стр. 19—26).

ამ მხრივ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ განდევნილ ზაქარიას შთაბრძნაობა მხოლოდ 1826 წელს დაბრუნდა თბილისში, როგორც ერთი წიგნის შემდეგი მინაწერი გვამცნებს:

„ის იოანე მოციქულის გამოცხადების თარგმანი მოვიყიდე მე ანტონიმ არხიდაკონიან ჟ-ის კონსტანტინე გაბაშვილისაგან 1826-სა წელსა, იენისის 4-სა. ამ რიცხვშიდ გადაგსაზღენ ისინი იმერეთიდან ტფილისშიდ“. გვ. 209.

ზაქარიამ მიიწი ჩაღწია მოსკოვსა და პეტერბურგს (1768 წ.), იჩივლა სინოდის წინაშე და კიდევ ახალი საბუთი წააყენა ანტონის პაპისტურ „ბოროტმადიდებლობის“ შესახებ (ანტონის ერთი ეგზეგეტიკური შრომის შესახებ) და ცრემლით მოითხოვდა თავის უფლებებში აღდგენას. მან სამი წელი დაჰყო რუსეთში და მიუხედავად ავადმყოფობისა და სიღარიბისა, ენერგიულად განაგრძობდა თავის რეაბილიტაციას. ამ დროს კი რუსეთს თავისი პოლიტიკური ანგარიშები ჰქონდა ერეკლესთან. ამიტომ ყურადღება არ მიაქციეს ზაქარიას დოგმატურ დისკუსიას. სინოდმა იგი არ შეიწყინარა და 1770 წ. უბრძანა დანაშაული მოენანიებინა ანტონის წინაშე.

მაშინ იმედგაცრუებული ფანატიკოსი მოსკოვში მცირე ხნით შეეხიზნა ვახტანგ VI-ის ოჯახს, რომელსაც დინასტიური მტრობა ჰქონდა ერეკლესთან, ხოლო იქიდან 1771 წ. ჩავიდა იმერეთში სოლომონ პირველთან, რომელიც აგრეთვე უთანხმოებაში იყო ქართლ-კახეთის მფლობელთან.

რუსეთიდან დაბრუნებული ზაქარიას შესახებ დაწერილებით აღარა ვიცით რა, იმის გარდა, რომ ქართლ-კახეთის საერო და სასულიერო მთავრობის ეს დაუძინებელი მტერი ცხოვრობდა ქუთაისსა და გელათში, სადაც კიდევ დასაფლავდა¹.

¹ 1772 წ. ზაქარია უკვე ქუთაისში ჩანს. ამ წელს 15 თიბათვის თარიღით ზოჯავანთ მღვდელს იოვანეს თავის დღიურში შეუტანია: „ბატონიშვილი ალექსანდრე (სოლომონ პირველის ვაჟი.—გ. ლ.) და ზაქარია მოძღვარი ვნახე“. H 2782.

1780 წ. 26 მაისს ზაქარია ჯერ კიდევ ცოცხალია. ამ წელს მას დაუწერია ვანის ეკლესიის წიგნი და სიგელი (იხ. ცენტრარქივის სიგ. ფ. № 2232).

პლატონ იოსელიანის ცნობით, ზაქარია გარდაიცვალა 1780 წლ. ახლო და მარხია თბილისში, ვერის „ლურჯ მონასტერში“ (იხ. Описание Тифлиса, გვ. 39). იოსელიანის ცნობის თანახმად გამოდის, რომ ზაქარია დაბრუნებულა თბილისში, ე. ი. შერიგებია თავის მტრებს. მაგრამ ეს ცნობა მცდარია. ცდება ე. თაყაიშვილიც, როცა ამბობს, სინოდისგან ნაპატეობი ზაქარია ანტონმა აღადგინა თავის ხარისხში (იხ. Известия Моск. Имп. Арх. Общ. III, 145, 1913 წ.) ზაქარიას შვილის ოსეს წერილებიდან მტკიცდება, რომ ზაქარია აღარ დაბრუნებულა თბილისს, არამედ გარდაცვლილა იმერეთს და მარხია გელათში. „სრულად სოფელი დაუტევე და გაენათის მონასტერსა, მივმართე და დავესადგურე, მუნ დამარხვა მენება მამა ზახარიასთანო“—სწერს იგი რუსეთიდან ანა დედოფალს. „კალმასობის“ ავტორიც დასძენს, რომ „ზაქარია მოვიდა იმერეთს და მუნ განისვენაო“. H 2134.

1888 წელს გაზეთი „ივერია“ (№ 198) იუწყებოდა:

„განსვენებულს პლატონ იოსელიანს დარჩა დიდძალი საისტორიო მასალა. ამათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავია რამდენიმე ძველი სიგელ-გუჯარი, სამეფო განჩინება, საეკლესიო გარდაწყვეტილება და სხვანი. ეს მასალები შეეხება საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების ისტორიას. ანტონ კა-

ჩვენ გავიცანით ზაქარია გაბაშვილი, მძლავრი პიროვნება, პატივმოყვარე და ნიჭიერი კარიერისტი, პოლიტიკანი და ცეცხლიანი დემაგოგი, მაგრამ არ გვითქვამს, რომ იგი იყო „მშენებელი მწერალი და მთხველი მალალსა ფრასსა ზედა, უცხო პიტიკოსი“¹.

მართლაც, ზაქარია გაბაშვილი, როგორც XVIII საუკ. ნიჭიერი სატირიკოსი, ყურადღების ღირსია. მან დასწერა ორიგინალური სატირა „კატისა და თავგთა ბრძოლა“², რომლის სიუჟეტად გამოყენებულია ანტონის დამხობის ფაქტი.

„ესე ოდენ მშენებელად უთქვამს ეს ლექსნი, რომელ ყოველთა საქართველოს პირველთა მესტიხეთა დიდად მოსწონთ და უკვირთო“—ასე აფასებს ამ პოემას ძველი მწერლობის დამფასებელი თეიმურაზ ბატონიშვილი.

ეს პოპულარული პოემა საყურადღებოა ჩვენს მწერლობაში, აგრეთვე, როგორც ლიტერატურული გალაშქრება ევროპული ტენდენციების წინააღმდეგ:

თოლიკოხის მოქმედებას, ზაქარია მღვდლისაგან შედგენილ დასს, რომელიც ანტონ კათალიკოსის წინააღმდეგ იბრძოდა და რომლის წყალობითაც ანტონ კათალიკოსი ჯერ დააპატიმრეს და მერე რუსეთში განაძევეს. სხვათა შორის ნაამბობთბია. თუ რა განსაცდელი დააყენა ანტონის მიერ ნათარგმნს, „ორმოცი მოწყალეს“ მაშინდელმა სასულიერო ცენზურამ, რომელსაც წიგნი აღუყარაალავს.

იმავე მასალებში მოხსენებულია ანტონის საქართველოში დაბრუნების ისტორია, ზაქარია მღვდლის განკვეთა და მღვდლობიდან გადაყენება, იქვე მოყვანილია ზაქარია მღვდლის საჩივარი ანტონ კათალიკოსზე; ეს საჩივარი გაბაშვილს რუსეთის სინოდში გაუგზავნია ქართულად დაწერილი. ყველა ეს ძვირფასი საისტორიო მასალა თბილისიდან ბ-ნს მ საბინინს წაუღია პეტერბურგს. ეს ძვირფასი მასალა პ. იოსელიანის სიკვდილის შემდეგ ხელში ერთს მეწერილმანეს ჩავარდნია მერე საბინინს შეუძენია“.

¹ № 2134; ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი, I. გვ. 35.

² S №№ 303, 395, 1436, 1553, 3189, 3704, 3723. ზოგნი ამ სატირას ზაქარიას მოწაფეს—ისაკ მცირეს მიაწერენ: მაგ., თეიმურაზ ბატონიშვილი („სტიხნი კატისა და თავგთა ბრძოლა თქმული ბერისა ვისგანმე ისაკ მცირისა, რომელიც მეფის თეიმურაზის II-ს ესამს ყოფილა“. A 1091, გვ. 100), დავით რუქტორი (S 1512 აგრეთვე ხელნაწერები: A, №№ 891, 1164; საქ. ცენტრარქივის ხელნაწ. 201, S 3723 და სხვ. ჩვენი აზრით, ისაკ მცირის ავტორობის საკითხი ლიტერატურული მისტიფიკაციის ამბავს უნდა წარმოადგენდეს. ვფიქრობთ, ისაკ მცირეც ზაქარიას ახლობელი, გვარად გაბაშვილი უნდა ყოფილიყო.

ზაქარიას პოეტური მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოღწეულია ლექსებიც: ა) „თხოვანი ღვთისა მიმართ, ანუ განზრახვანი“—ეჭვს ნაწილად; ბ) „სვინდისის ლოცვა“ გ) თქმული თორმეტს ეტლზედ,—რომელი არიან ზოდიაქონი ანუ ბურჯინი“, ოთხ ტაეპოვანი; დ) „სულთ სატრფონი, სამოვნიონი, სახენონი“.

ციცავ, კული რა გიქნია,
საფრანგეთის სწორე ფასი;
კატავ ფრანგულო, ომის მსწავლულო,
თავეთაგან წყლულო...

დასცინის ბიზანტიური სკოლის ქართველი კონსერვატორი ფლორენციელ უნიატს. ეს პოემა ჯერ შესაფერად შეუსწაველელია, ვიდრე კი მის სასარგებლოდ ვიტყვი, რომ აქ ავტორი, ცნობილი საეკლესიო რიტორი, ლალატობს თავის სოციალურ ქარგონს. პოემაში მას მკედარი სქოლასტიკური მეტყველების ნაცვლად შემოაქვს ცოცხალი ენა, ანუ როგორც ერთგან აქვს ნათქვამი, იგი სწერს „მდაბიურთა ენათა ზედა“. სწორედ ამაშია ზაქარია გაბაშვილის მხატვრული მწერლობის ღირსება.

ამ შემთხვევაში ზაქარია გაბაშვილი მართო დოგმატური მტერი არა ყოფილა ანტონ კათალიკოსისა.

ამის შემდეგ თვალსაჩინო ხდება ჩვენთვის ბესიკის ოჯახის ლიტერატურული ტრადიციები. ბესიკთან ერთად სამწერლო სარბიელზე ზაქარიას ოჯახიდან კიდევ ცნობილი იყვნენ:

იოსებ, ანუ ოსე გაბაშვილი—ავტორი პოპულარული „ანბანთ ქებისა ბატონიშვილის ელისაბედის სამეჭებრად“¹.

თანამედროვეთა შეფასებით, იგი დაწერილია სიტყვის დიდი ჟონგლიორობით ანუ „საკვირველის პიტიკოსობით“. ხსენებული ოდა თითქმის საეკლესიო ელემენტი გახდა XVIII—XIX საუკ. პირე. ნახ. პოეტური ანთოლოგიებისათვის (A 1091). საინტერესოა აგრეთვე ოსეს მიმოწერა იმერეთის დედოფალ ანასთან².

ნიკოლოზ გაბაშვილი — „შესხმათა შემთხვევი“, ცნობილი მეცნიერის“ სახელით (H 2134).

* *

ბესიკის დროს გაბაშვილთა გვარიდან ლიტერატურულ ასპარეზზე აგრეთვე ცნობილი იყვნენ: მისი ბიძაშვილი, ზაზას ასული მანია გაბაშვილი,—ავტორი შაირებისა და ზმა-გამოცანებისა (S. 1582, გვ. 32—40; H 1193),—და ტიმოთე გაბაშვილი, ცნობილი მოგზაურობის ავტორი, ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, რომელმაც ატონ კათალიკოსს ბერად აღკვეცა შთააგონა.

¹ H № 394 და სხვ. ბესიკის უფროს ძმას იოანეს (შემდეგ მიტროპოლიტი) 1779 წ., როცა იგი იერომონაზი ყოფილა, დაუწერია: „სვინდისისა მიმართ განბჭობა“ (A 609).

² ოსეს მიმოწერა იმერეთის დედოფალ ანასთან დატულია. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ყოფ. სააზიო მუზეუმში. ამ მიმოწერის ნაწილი გადმოკვერთ 1928 წელს.

1539 წელს ოსეს რამდენიმე წერილი თავისი ასულისადმი და დედოფალ ანასადმი შევიძინეთ საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმისათვის.

ბესიკის ყრმობა და სიჭაბუკე

* *

ბესარიონ გაბაშვილი 1750 წელს დაიბადა.¹

ბესიკი მეფის ფავორიტის კალთაში იზრდებოდა. პოეტის მამა ქარაუღლი ეკლესიის დიდგაველენიან პირად და სასახლის ახლობელ ადამიანად ითვლებოდა.

სხვა კონკრეტული ცნობები ბესიკის ბავშვობის შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ ერთი უტყუარი უნდა იყოს, რომ ბესიკის აღზრდას თვით ჩისი მამა ზაქარია ხელმძღვანელობდა.

XVIII საუკუნის პირველნახევარში მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოში მეტად დაბალ დონეზე იდგა. ჯერ კიდევ ბატონიშვილი ვახუშტი ნაღვლიანად შენიშნავდა: „არს ჟამი რაოდენიმე, არლარა ისახელების ცოდნა, თვინიერ წიგნის კითხვისა და წერისა, გალობა-სიმღერისა და სამხედროსაგან კიდე და ჰგონებენ დიდ მცოდინარობად“ (გეოგრაფიული აღწერა, 1904 წ., 36). მაგრამ ბესიკის ბავშვობის წლები სწორედ მით არის შესანიშნავი, რომ ამ დროისთვის სწავლა-აღზრდის საქმეში დიდი გარდატეხა ხდება და თბილისში ეწყობა ანტონ I კათალიკოსის განახლებული სკოლა, სადაც ღვთისმეტყველებასთან ერთად ასწავლიდნენ: გრამატიკას, ისტორიას, არითმეტიკას, გეოგრაფიას, მეტაფიზიკას, ლოგიკას, დიალექტიკას, არისტოტელის კატილორიებს, ვოლფის ფიზიკას და ბაუმეისტრის ფილოსოფიას. რასაკვირველია, აქ აღზრდის ტრადიციის სისტემიდან შედიოდა: კანანაი და დამწერლობა, პიიტია და რიტორება, იწიგნობრობა და მთარგმნელობა და, შეძლებისამებრ, „უცხოური ენა და წიგნი“. ვფიქრობთ, ბესიკი უნდა ასცდენოდა ანტონის სკოლას. საერ-

¹ ბესიკის დაბადების წლის საბოლოო დადგენა შესაძლო გახდა მას შემდეგ როცა თვით ბესიკის ავტობიოგრაფიული მინაწერი აღმოჩნდა. ბესიკის ავტობიოგრაფი პირველად ჩვენ აღმოვაჩინეთ (1921 წელს). ჩვენი მითითებით, 1929 წ. იგი გამოაქვეყნა სერგი გორგაძემ (იხ. გაზეთი „ბახტრიონი“, 1922, № 1).

² პოეტის ბიოგრაფოსის ზ. მთაწმინდელის (ზაქარია ჭიკინაძის) სიტყვით, ბესიკი აღიზარდა თავის მამასთან. მის შემდეგ თბილისის საკათალიკოსო სკოლაში სწავლობდა. სკოლაში კარგა ხანს დარჩენილა. აქ შეუსწავლია ქართული წერა-კითხვა, სპარსული ენა, მწერლობა და სხვა საგნებიც („ბესიკი, აღ. ჰაგეპაძე და გრ. ორბელიანი“, გვ. 1). ვფიქრობთ, ბესიკი ანტონის სკოლაში არ უნდა მოხვედრილიყო. ანტონის სკოლა გაიხსნა 1755 წელს. ჯერ-ერთი, იგი მოზრდილთათვის იყო განკუთვნილი, მეორეც, სკოლა დაიხურა ანტონის განდევნისას (1756 წ.) რუსეთიდან მის ჩამოსვლამდე (1765 წ.), როცა ბესიკი 5 წლისა იყო და, შესამეც ბესიკი ამ სკოლაში არ იქნებოდა, რადგან მისი მამა ზაქარია გაბაშვილი ამ სკოლის პრინციპული მტერი უნდა ყოფილიყო.

თოდ კი, მას აღზრდისათვის ხელსაყრელი პირობები უნდა ჰქონოდა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ზაქარიას საკუთარი ფილოსოფიური სკოლა ჰქონდა გამართული, სადაც მრავალი ქართველი სწავლობდა „წარმატებულად ხედვითთა შინა ფილოსოფოსობათა“. ცხადია, ზაქარია გაბაშვილი თავის შვილების აღზრდასაც ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდა. ზაქარიას შვილები მაღალი განათლებით ყოფილან აღჭურვილნი. ბესიკთან ერთად, მეორე ძმა ოსე ცნობილია, როგორც კალიგრაფი, მხატვარი და პიიტიკოსი.

მაშინდელი სასკოლო დისციპლინის მიხედვით, ყრმა ბესიკის გონებრივი წრთენა უმთავრესად რელიგიური გზით უნდა წარმართულიყო. ბესიკის პოეტური ტექსტებიდანაც ჩანს, რომ მან შესანიშნავად იცოდა ბიბლია, საღვთისმეტყველო მწერლობა და სქოლასტიკის ენა. ბოლო პერიოდში ბესიკი თვით წერდა ჰიმნებს ძველ საეკლესიო ჰიმნოგრაფების ოსტატობით,

გავიხსენოთ, რომ ზაქარიას ოჯახი, უპირველესად, „მდივან-მწიგნობარის“ ოჯახი იყო. მისი შვილებიც, ბესიკი და ოსე, შემდეგში მეფეთა კარზე ასრულებდნენ ამ თანამდებობას. მდივან-მწიგნობრები კი სპეციალურ სამწერლო აღზრდას იღებდნენ. ეს გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ, როცა ბესიკის აღზრდაზე გვიხდება ლაპარაკი.

ბესიკს შესანიშნავად სცოდნია ძველი ქართული მწერლობა. ამას თვით ბესიკის შემოქმედება გვიდასტურებს. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებიდან ბესიკი არა ერთხელ იხსენიებს „ვეფხისტყაოსნის“, „როსტომიანის“, „ამირან-ღარეჯანიანის“ და „ვისრამიანის“ გმირებს.

რაც შეეხება ბესიკის მიერ სპარსული ენის ცოდნას, უნდა ითქვას, რომ სპარსული ენა თითქმის სავალდებულოდ ითვლებოდა მაშინდელ კარის უმაღლეს საზოგადოებაში და ამ ენის შესწავლა ბესიკს თავის ოჯახშივე შეეძლო. აკი ზაქარიას კიდევაც უსაყვედურებდნენ სპარსოფილობას, როცა ბრალს სდებდნენ, რომ იგი „სპარსულ“ ჰანგებს სწყალობდა თვით ქართულ ლიტურგიულს გალობაში (იხ. ზემოთ). რაც უნდა გადაჭარბებული იყოს ზაქარიას პოლემისტის სიტყვები, იგი გვანიშნებს ბესიკის მამის ოჯახში დაცულს სპარსული სტილის ტენდენციებს. ამ შემთხვევაში გასახსენებელია, აგრეთვე, ბესიკის ელჩობაც სპარსეთში (1779 წ.), რაც იმის დამადასტურებელია, რომ ბესიკს რამდენიმედ მაინც უნდა სცოდნოდა სპარსული ენა.

ბესიკის ესთეტიკური კულტურისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, ძველი ფილოსოფოსების და ძველ-ბერძნული მითოლოგიის

კოდნაც. ბესიკის ლექსებში არა ერთხელ გვხვდება: არისტოტელი, პლატონი, პროკლე, დიოდენ, ისევე როგორც უმბროსი (ჰომეროსი) და მისი გმირები: ახილეუ, ლექტორი, პრიამი, ტროილი, ორესტი და სხვა.

მაგრამ, რაც მთავარია, ბესიკი თავისი საუკუნის განათლების მაღალ დონეზე მდგარა. იგი გვევლინება XVIII საუკუნის ქართული ინტელექტუალური წრეების წარმომადგენლად, რაზედაც დაწვრილებით ვილაპარაკებთ შემდეგ, როდესაც მისი ცხოვრების მეორე ნახევარზე გადავალთ. ეკვი არაა, ნიჭი და ჰკუნის სიმკვირცხლაც ხელს შეუწყობდა ბესიკს ფილოსოფიური წვრთნილების მისაღებად. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვენი მეტად მაღალი აზრისანი არიან ბესიკის კულტურაზე. პოეტის მეგობართაგანი სულხან ორბელიანი ერთს ეპისტოლეში მას მიმართავს, როგორც ერუდიტს, „სიბრძნით სრულს, ბუნებით-მეცნიერებით გონება კეთილო-ნანს“¹ ანონიმი მგოსანი ბესიკს უწოდებს „გონება სრულს, ცნობით შენასრულს“² ხოლო იოანე ბატონიშვილიც გვიდასტურებს, რომ ბესიკი „მეცნიერებასა შინა გამოცდილი“ იყო.³

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ზაქარია მეფეთა მოძღვარი იყო, მის ძმას დავით გაბაშვილს სასახლის სუფრაჯის სახელო ეჭირა,⁴ ხოლო მის ბიძას პაპუნას—ბაზიერთ-უხუცესის თანამდებობა. და ბუნებრივია, რომ სასახლესთან დაახლოებულ ზაქარიას შვილებიც კარისკაცის კარიერისთვის ემზადებოდნენ. ბესიკის შემდეგი დროის ბიოგრაფიული ფაქტებიც გვიმოწმებენ, რომ პოეტი პრაქტიკულ ასპარეზზედაც იღწვოდა, როგორც სახელმწიფო მოღვაწე.

* *

საკითხავია, ვინ უნდა ყოფილიყო ბესიკის პოეტური სიტყვის პირველი გამღვიძებელი და ხელმძღვანელი? ამ შემთხვევაში, ცხადია, უნდა მივაკითხოთ ისევე მის ოჯახს, რომელიც საკმაო ლიტერატურული რეპუტაციით სარგებლობდა. ვიცით, რომ ზაქარიასთან ერთად ბესიკის უფროსი ძმა ოსეც პიტიკოსი იყო, ისევე როგორც ამ ოჯახის ახლო წევრთაგანი ისაკ მცირე (ჩემი აზრით, გაბაშვილი, ძმა ანუ ძმისწული ზაქარიასი), „მშვენიერი მესტიხე და

¹ „ივერია“, 879, № 5, გვ. 205.

² S 1088.

³ H 2134.

⁴ ცენტრარქივის სიგელების პირების წიგნი № 24, სიგელი № 87.

ლრამატიკოსი⁴. უეკველია, ამათ უნდა შეეწყოთ ხელი ბესიკის პირველი პოეტური ცდებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ისეთი ოჯახები, როგორც, მაგალითად ზაქარიას ოჯახი იყო, ბავშვათა აღზრდაში დიდ ყურადღებას აქცევდნენ რიტორების და ლრამატიკის კლასს. ეკვი არაა, ბესიკიც ვერ ასცდებოდა ამ გზას და პოეტური ტექნიკა მას სკოლაშივე უნდა აეთვისებინა, ხოლო მისი პირველი პოეტური ნიმუშები, წარჩინებულ პირთა „შესხმა“ და „ქებანი“ უნდა ყოფილიყო. ბესიკის ყრმობის ამხანაგი დავით ალექსი-მესხიშვილი (დავით რექტორი) გადმოგვცემს: „ჩამსა სიყრმისასა, როდესაც რიტორებას ვჰსწავლობდი, მაშინ ეგ შესხმა მეფეს ირაკლის მოვახსენე, დღესა სახელწოდებისა მისისაო“ (S 105). „როდესაც ლრამატიკას ვჰკითხულობდი და პატარა ვიყავ, მაშინ კათალიკოსმა მიბრძანა: მეფის ირაკლის ქება იამბიკოთი ჰსთქვიო და მაშინ ვჰსთქვი“... (იქვე). ხოტბების ანუ ოდების გარდა, პოეზიის მოყვარულ ბავშვებს შეკვეთილი ექსპრომტებიც ევალეზოდათ სხვადასხვა შემთხვევებზე, როგორც იგივე დავით ალექსი მესხიშვილი გვიამბობს ერთი მისი ექსპრომტული ლექსის გენეზისის შესახებ: ...„ნაიბის ქალი ბეგუმ მევედრა, როდესაც ყმაწვილი ვიყავ, მე ალექსის ძეს დავითს, რადგან მისი მონათლული ვიყავ, უარი ველარ უთხარ,—ჩემის სახლის პირდაპირ მტკერის პირს, ქვრივ დედაკაცს ხბო ჩამოუფარდა, კლდეზედ დაეცა და მოკვდა, სსაცილო იყო დედაბრისაგან ხბოსათვის თავში ცემა და ტირილი,—ის შაირაჲ სთქვიო და ვჰსთქვი“ (იქვე. გვ. 206).

ამრიგად, ყრმობისთვის სავალდებულო ყოფილა ვარჯიშობა და ლექსის შეკვეთის მიღება. და თუ ასეთ უიმედო პიტიკოსს, როგორც იყო დავითი, ლექსისთვის მიმართავდნენ, ცხადია, არაერთი და ორი ასეთი „შემთხვევის“ ლექსი უნდა დაეწერა ბესიკსაც. მაგრამ ამ პირველ ცდებს ჯერჯერობით ჩვენამდის არ მოუღწევიათ¹.

და ბოლოს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ყრმა ბესიკის თვალწინ, ზაქარიას სახლში იწერებოდა სატირული ეპიგრამები და პოემები ანტონ კათალიკოსზე და მის პარტიაზე, ისევე როგორც პასუხები უკანასკნელთა „გიობაზედ“. ალბათ ამ გარემოებას ბესიკის პოეტური განვითარებისათვის უმნიშვნელოდ არ უნდა ჩაეგლო.

¹ ბესიკისა და სულხან ორბელიანის მიმოწერა („ივერია“, 1879, № 5. გვ. 205-206; „ივერია“, 1902 წ. № 116), სადაც წარმოდგენილია „პირველი დაწყება ანუ შეყვანილება“, სწორედ ასეთ სასკოლო ვარჯიშობას უნდა წარმოადგენდეს.

ზ. მთაწმინდელი ამბობს, რომ ბესიკს თავის ყრმულს ლექსებში „ხშირად ბერები და მოლოზნებიც შეუმკია“, ე. ი. ულანძლიაო, და ამის საილუსტრაციოდ კიდევ მოჰყავს ვითომდა შეწუხებულ ბერების ერთი საპასუხო ლექსიც, თითქოს ყრმა ბესიკზე გამოთქმული:

გაბანთან აღმობრჭინდა
ახლად ვამად ანტეპრისტე,
შე დალოცვილო უფალო,
ეს რა გამოგვიქოფიტე?

ჯოჯოხეთი აღუშენე,
ხელთა მიე მისი კლიტე,
დაგვიხსენი ამისაგან
უფალო, იესო ქრისტე!..

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ზაქარია გაბაშვილის ეპოპეას, ცხადი უნდა გახდეს, რომ სატირა „ანტეპრისტეზედ“, თქმული უნდა იყოს არა ბესიკზე, არამედ ზაქარიასზე, ცნობილი ბრძოლის დღეებში. ასეთია ჩვენი აზრი, თუმცა პოეტის ზოგი მკვლევარი ამ ეპიგრამას სავალდებულოდ ხდის ახალგაზრდა ბეიკისათვის.

განკერძოებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე ბესიკის მძლავრი მუსიკალური ტალანტი, რომლითაც ის უხვად ყოფილა დაჯილდოებული იმპროვიზატორობის ნიქთან ერთად. მისი მომღერლობა ხომ საქართველოს გარეთაც იყო ცნობილი. ამიტომ დამაჯერებელი უნდა იყოს ზ. კიკინაძის ცნობა, რომ „ბესიკი ჯერეთ ახალგაზრდა ყოფილა, რომ სიმღერების წერა დაუწყევიაო“ (ბესიკი, გვ. 1). ბესიკის მუსიკალური ნიჭისათვის ხელი უნდა შეეწყოს ისევ იმ ოჯახს, რადგან ზაქარია მუსიკალური პიროვნება ყოფილა და ქართულ საეკლესიო გალობაში მას რაღაც ცვლილების შეტანაც კი უცდია.

გონებრივ აღზრდასთან ერთად ბესიკს აგრეთვე კარგი ფიზიკური, სარაინდო სკოლაც უნდა გამოეყო. ისევე როგორც მისი დროის არისტოკრატიული ახალგაზრდობა, იგიც „ცხენისა, იარაღისა, თოფისა, ხმლისა, ტანისამოსის მოყვარული“ უნდა ყოფილიყო. ზ. კიკინაძისა და ალ. ხახანაშვილის მიერ ჩაწერილი გადმოცემებით, პოეტს საუცხოო მოჯირითე ყოფილა („ჰყვარებია ნაბდის დახურვა, ცხენზედ ჯდომა, ჯირითი“).¹

* *

ბესიკის ყრმობის და ბავშვობის წლები საქართველოს კატასტროფულ ამბებს ემთხვევა, როცა გარეშე მტრების აგრესიული მოქმედებით ქართველი ხალხი უკიდურეს მდგომარეობამდე იყო მიღებული.

¹ ზ. კიკინაძე (მთაწმინდელი) „ბესიკი...“, გვ. 1. А. Хаканов. История грузинской словесности, III, 220.

„საბრალო, შეწუხებული, აოხრებული, უხელფეხო, გათავებული ხალხი“, — ასე თქვა მაშინდელს ქართლ-კახეთზე ახალციხის ფაშამ, და ამ მტაცებლის სიტყვები ზედმიწევნით გამოხატავს ქართველი ხალხის მაშინდელ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას:

„აგი დრო იყო, — გვიამბობს თანამედროვე, — ყოველდღე აკლებას მოველოდით, საქართველოს სრულიად დაქერასა. ყოველდღე დიდს ჯარებს გამოველოდით და საქართველოს წაღეკასა, დატყვევებასა და დიდი გამარჯვება იქნებოდა, თუ რუსეთს დავიკარგებოდით“ (თავგ. იესე ოსეს შვილისა, კაკაბაძის გამოცემა, 7). ვაჟ, რა ბევრ უცხო შესაქტევებს ნახავთ, — სწერდა ერეკლე მეორე რუსეთში მყოფ კათალიკოს ანტონ I, — და მე ამ განსაცდელიანს ქვეყანაში რაებს ვხედავ და რაებს გავიგონებ ხოლმე. რა წაბრძანებულხარ, მასუკან ხუთჯერ თუ ექვსჯერ ლეკზე გავგამარჯვებია და ბევრნიც იხოცებთან, მაგრამ კიდევ ჩვენზედ ხელს არ იღებენ¹. დატყვევებას და მახვილს გადარჩენილი მოსახლეობა გარბოდა სამყიდროებიდან: „დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული. და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდენ ზემო ქართლში და საერისთაოებში. აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს. მცირედნი კაცნი ქვეშის ციხეში იდგა... იყო ცემა ლეკთაგან მარადის და ოხრება... მთელს სომხითში ბოლნისის მეტი და სამწვეგრისის მეტი შენობა არ იყო. ორბელიანთა მამულიც ასე დაიცალა, რომ დმანისის და ფიტარეთის მეტი შენობა აღარ სად იყო“, — ამბობს მართიანე (ქ. ცხ. 238, 144). გარეშე მტრისაგან ქვეყანა „გათავებული იყო“, ქართლისა და კახეთის ქვეყნები ასე აყრილიყო, რომ უსიმაგროდ და უციხოდ აღარსავინ იდგა“ (იქვე 125). განსაკუთრებით თავზარდამცემი იყვნენ ლეკები, რომელნიც თვით თბილისში, მეფის სასახლიდან რამდენიმე ნაბიჯზე იტაცებდნენ ხალხსა და საქონელს (გვ. 230). „მოვიდიან ბევრჯერ და ქალაქის გარემოთა ბალებთა წისქვილებთან მოითარეშთან. უკეთუ ერთსა მხარეს გავიდის ქალაქიდან მებრძოლი და დააყრევინის და გააქცივის, მეორესა მხარესა დაჰკრიან და წავიდიან“ (გვ. 227); „ამისთანა მტრობა ყიზილბაშთა არ უქნია, რაც ამათ ქნეს“ (გვ. 195).

ლეკის შიშით ქართველ მოქალაქეს არ შეეძლო მშვიდობიანად გადასვლა ერთი სოფლიდან მეორეში: „შავს ტყეში დიდი ლეკიანობა იყო. რაც ხე გაინძროდა, ლეკი მეგონის და თოფი მზად მქონდა. თუ გაჩენილიყო რამე, თოფი რას შემეწეოდა, მაქლავდენ“, — ჩივის მაშინდელი მგზავრი (თავგ. იესე ოსეს შვ., 53). ასეთ

¹ „მოამბე“, 1894, № 4.

პირობებში, ცხადია, არც საზოგადოებრივი, კულტურული მუშაობა იქნებოდა შესაძლებელი. მტრის შიშით მრავალი სასწავლებელი იკეტებოდა. მაშინდელი სამონასტრო სკოლები გაზაფხულზე იხურებოდა და იხსნებოდა, როდესაც ხეს ფურცელი გასციოდა და მტერი ტყეში ველარ დაიმალებოდა („...გაზაფხულ ტყეთა ფურცლისა გამოსვლითგან ვიდრე დაცვენამდე არბევდენ... გარნა ვითარცა იწყებდის ტყე შემოსვასა ფურცელთაგან, ვითარცა მოსწავლენი მოიქცეოდინ სახლად თვისსა შიშისათვის ლექთაგან“: „რონინი“ იონა ხელაშვილისა).

მშვიდობა არც მყუდრო სენაკებში იყო. მტრის მახვილი არც იქ შეხიზნულს მწერლებსა და მწიგნობრებს ასვენებდა: „ვეცადე დიდად სიმართლესა და კელს, მაგრამ ლეკისაგან გვეშინოდა. თუ რა უცბად მეწეროს, ნუ დამწყევლით, გვედრებითო“, ამბობს გადამწერელი (ძველი საქართველო, II, 113). ხოლო მეორე კალიგრაფი, მტრისაგან დაჭრილი, ასევე ბოდიშობს მკითხველის წინაშე: „აეაზაკთაგან მოწყულულ ვიყავ და ბეკნი ჩემნი წყლულ და უსჯულლო აგარიანთაგან შეცულ და რაც ნაშავე ნახოთ, ნუ მწყევთ, ღვთის გულისათვის, არამედ შენდობით მომიხსენეთო“ (იქვე, გვ. 114).

ორბელიანთა წრე

უნდა გავითვალისწინოთ, აგრეთვე, მეორე მნიშვნელოვანი წრე, რომელსაც ბესიკის გონებრივისა და ესთეტიკური ფორმაციისათვის შესაფერი როლი უნდა ეთამაშა. მხედველობაში გვაქვს ორბელიანთა დიდი კულტურული ოჯახი, რომელთანაც ბესიკს მკიდრო ურთიერთობა ჰქონდა, უსათუოდ, იმ მიზეზითაც, რომ მამა მისი ორბელიანთა პირად სამსახურში იმყოფებოდა, როგორც მათი მოძღვარი.

პოეტისათვის დიდი კულტურულ-ესთეტიკური მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო ურთიერთობა იმ ოჯახთან, რომელიც სულხან-საბას სახელით იყო განათებული და ბესიკის დროსაც ისეთ მაღალ კვალიფიკაციის ადამიანებს ითვლიდა, როგორიც იყვნენ: ისტორიკოსი ჰაპუნა ორბელიანის შვილი მ ზ ე ქ ა ბ უ ჯ, — ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ფილოსოფოსი, ბასრი სატირიკოსი, ანგდოტისტი და ეპიგრაფისტი; იო ა ნ ე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — ცნობილი ფილოსოფოსი, „რომელიც საფილოსოფოთა წესითა აღკურვილ იყო... და ქართლშიაც უბრძნე და უმცოდნე არავინ იპოებოდა“ (ქ. ცხ. 139), „სიბრძნესა შინა აღზრდილი... ზედმიწევნით ფილოსოფოსი, ვარსკვ-

ლავთა-მრიცხველი ფიზიკოსი და არითმეტიკოსი; უწყობდა ბუნების ისტორია და იყო უცხო რიტორი... ესე იყო ფრიად გონება-მახვილ ესრეთ, რომელ მხცოვანებისა გამო თვალთაგან მოკლებულ იქმნა და ვერა რაჟსა ხედვიდა. მაშინც ყოველთა წერილთა ძალ ეღვა განმარტებად“ (S 2134).¹

ბესიკის შეფიცული მეგობარი დავით სარდალი, მეწინავე ლაშქრის სპასპეტი, ცნობილი მხედარი და ლიტერატორი (სპარსული-დან „ყარამანიანის“ მთარგმნელი), რომლის მიმართაც მიძღვნილია მთელი რკალი ბესიკის მიმართებებისა:

1. „დავით ხარღლისადმი“,
2. „მნათობთადმი“,
3. „რაც მიიწერა სოფელმან“,
4. „ცრემლთა მდინარე“,
5. „ბედისადმი“,
6. „ხამშიმარი“,
7. „ახშიშიხ ომზედ“.

ორბელიანთა ოჯახიდან ბესიკის ყრმობის მეგობარი ყოფილა აგრეთვე დავით სარდლის უმცროსი ძმა სულხან ორბელიანი, რომელსაც პოეტი უწოდებს „ნათელ-მკრთოლვარე გოდოლს მეგობრობისას, იადონებრ ხმა მწვლილ მშტვენავს და ტკბილ ხმოვანებით ყურთა მიმტაცს, რიტორს უებროს“². და ბოლოს, უნდა გავიხსენოთ პოეტი ვახტანგ ორბელიანი, — დმანისის მეპატრონე, რომლის კარის მოძღვრად ითვლებოდა ზაქარია გაბაშვილი².

ამ „გამოჩენილ“ პოეტზე გაკერით უნდა შეეჩერდეთ.

¹ იოანე ორბელიანი, ძე ელიზბარისა (საქ. სიძ. II. 384), დაიბადა 1693 წ. გარდ. 1780-იან წლებში (მდივანბეგი, მსაჯულთუბუცესი). 1731 წ. შეუერთდა რომის ეკლესიას (თამარაშვილი, 349—368), რითაც დაიმსახურა სასტიკი რისხვა ქართული სამღვდლოებისა. 1754 წ. ზაქარია გაბაშვილის თაოსნობით განდევნილი, ერაკლემ რამდენიმე წლის შემდეგ ისევ დააბრუნა. შემდეგში „ნამსაჯულევად“ იხსენიება. იოანე ორბელიანს შეცდომით „ზოგჯერ ჭაბუა ორბელიანთან აიგივებენ ხოლმე.

² „ივერია“ № 5-6, 1879 წ. ვახ. „ივერია“, № 116, 1902 წ. ბესიკის ერთი ეპისტოლე სულხანისადმი შემდეგი პოსტსკრიპტუმით თავდება:

მე ბესიკი—შენი მონა.
ვარ შენ შორის მდოგვის წონა;
გარნა მეგობრობის მტრფობი,—
ბესარიონ გაბაონი.

³ 1730-იან წლებში დმანისი, სადაც მღვდელ-დეკანოზობდა ზაქარია გაბაშვილი, ვახტანგ ორბელიანს ეკუთვნოდა.

ბესიკი რომ განსაკუთრებით აფასებდა ვახტანგის პოეტურ ოსტატობას, იქიდანაც ჩანს, რომ უკანასკნელი პერიოდის ლექსთა კრებულში ბესიკს თავისი ხელით ჩაუწერია ვახტანგის ორი პოპულარული ანბანთ-ქება: „ათენს ბნელ გულს“ და „ალალებს ბაგეს“, რომელთაც ჩვენი მკვლევრები შეცდომით თვითონ ბესიკს აკუთვნებენ.

ვახტანგ ორბელიანი „მშვენიერი ლექსთ-მთხზვლი“, ანტონ I-ის სიტყვით თვით სულხან-საბაზე მალა მდგარა შესანიშნავი ოსტატობით:

ვახტანგ შაირთა დაღათუ ამოვანდ
ჭურებოდა, მაგრა საბას უკეთეს ჰსთქმიდა:
უცხოდ შეაწყუნის ფრანსი, განსაკვირუოდ დაღექსნის
დასატკბობელად მჰმენელოთა, გონებისა...
ჩემდაცა იქმნა მოძღუარ ჰსწავლათა რათმე.
ვახტანგ სიბრძნისა ქუე მდებარები კაცი,
რიტორ შუენიერ, მკვერ-მეთქვი საკვირველი,
ფილოსოფოსი, პიტიკოსი უცხო...
...

ვახტანგის ასეთსავე მალალ შეფასებას იძლევა იონე ბატონიშვილიც: „ესე იყო საფილოსოფოსთა სამღრთოთა წერილთა შინა ზედმიწევნილი, უცხო მესტიხე და მშვენიერი, მგზავად ძველთა, და კარგი ანბანთ-ქებისა შემაწყობელი“ (მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, გვ. 47). ვახტანგის შემოქმედება დატყლია საქართ. მუზეუმის S ხელნაწერებში: №№ 342, 1203, 1512, 1516, 2770. უკანასკნელ ხელნაწერში მოთავსებულია ვახტანგის მიერ რუსეთში (1738 წ.) მოგზაურობის ეპიზოდი, პეტერლოფის აღწერა: „ამბავი ხელმწიფისა სრა სასახლეთა და ბაღა ბაღთანი“ (გამოაქვეყნა ალ. ბარამიძემ 1928 წ. იხ. „ანთოლოგია ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა“ ტ. II).

ლექსის ვირტუოზობასთან ერთად, ვახტანგს დამსახურებული ჰქონია რეპუტაცია ისტორიკოსის, ფილოსოფოსის და მთარგმნელისა. ანონიმი ავტორის ერთი ბიბლიოგრაფიული მინაწერი ზედმეტად გვიდასტურებს ვახტანგის მოღვაწეობის დიდ სახელს:

საქებრად მსურხარ შენ, ბრძენო,
ვინ ამბავს გვეტყვი ტკბილადო,
ვახტანგ, თავადო ქართველთა,
არა ხარ გასაკილადო;

მწადის შეგამკო, თუ მქონდეს
სიბრძნე საწონი ქრთილადო,
ჩინებულ მცირედ ჰრჩეულნი,
აწ დაგვრჩა შენსა წილადო.

სამწუხაროდ, ვახტანგის პოეტური და ფილოსოფიური მემკვიდრეობიდან მცირე ნაშთილა დარჩენილა. ვახტანგ ორბელიანის ნაწერები მისი სიკვდილის ახლობანებშივე განიავებულია.

დასასრულად, დავსძენთ, რომ ვახტანგ ორბელიანი ანტონის მასწავლებელთაგანი ყოფილა, როგორც თვით ანტონი გვიდასტურებს: „ჩემდაცა იქმნა მოძღვარ, სწავლათა რათმეო“.

ვახტანგ ორბელიანის (1703—1752) შემოქმედებასთან ერთად ნაკლებ გამოკვეულია მისი ცხოვრებაც.

კ. კეკელიძის ვახტანგი სულხან-საბა ორბელიანის ძმად მიაჩნია (ლიტ. ისტ. II, 1924, გვ. 67), მაშინ როდესაც ვახტანგ სულხან-საბას ძმისწულია (ვახუშტის შვილი, რომელიც 1709 წ. ყანანდარში მიიქცვალა). სერგი გორგაძეს იგი XIX საუკ. პირველი წლების ვახტანგ ორბელიანი ეგონა, თეკლე ბატონიშვილის მეუღლემ, მამა ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანებისა (ჩვენი მეცნიერება, № 1-1924), ხოლო პლატონ იოსელიანი მას აიგივებს სულხან-საბას მამასთან, ვახტანგთან (წყობილსიტყ., შენ. 167). მისივე სიტყვით, ვახტანგი, როგორც კათოლიკე 1715 წ. თან წაჰყოლია საბას რომში, საიდანაც თურმე უკან აღარ დაბრუნებულა. თუმცა ჯერ კიდევ 1728 წელს, ვახტანგ „არა მიქცეულიყო ლათინთა კრძ“, როგორც მისივე ნათლული იესე ოსეს შვილი გადმოგვცემს (გვ. 6). ვახტანგის ევროპაში ყოფნის დამადასტურებელი საბუთი არ მოგვეპოვება. მისივე ნაწარმოებიდან ვიცით მხოლოდ, რომ 1738 წ. ის იმყოფებოდა რუსეთში „მრავალ განსაცდელ შემთხვეული“ (S 2770).

* *

ვახტანგ ორბელიანს, სულხან-საბას ორიენტაციის გავლენით, 1731 წ. მიუღია კათოლიციზმი თავის ძმისწულ იოანე ორბელიანთან ერთად (თამარაშვილი, 353) რის გამო „განუწყვეტელი დევნულება“ გამოუცდია ორთოდოქსალური წრეებისაგან (იქვე, 351). როგორც ჰუმბარტ პატრიოტს, სასტიკად ავიწროებდნენ ოსმალნი და სპარსნი, რომელთაც თურმე მთელი ჭონება წაართვეს, დიდი ხარკი და ადევს და იქამდის „უკანასკნელ“ მდგომარეობაში ჩაადდეს, რომ მზად იყო დაეტოვებინა სამშობლო (350).

1741 წლიდან ვახტანგს, რომლის დახმარების მოიმედეს, ენერგიული მიმოწერა აქვს პაპთან და კარდინალებთან, რისთვისაც საგანგებო ელჩსაც კი გაზენის რომში (იქვე). 1741-42 წ. მან მტრისაგან დევნილმა, დროებით სამეგრელოს შეაფარა თავი. გარეშე მტრებთან ერთად ვახტანგს ავიწროებდა მისივე სახლიკაცი სარდალი ქაიხოსრო ორბელიანი, რომლის ხელშიც იყო ორბელიანთა „საზღის-ბატონობა“ (საქ. სიძვ. II, 535). ქაიხოსროს ინტრიგების წყალობით, ვრეკლე მეფემ, რომელიც ვახტანგის ასულ ქეთევანზე იყო დანიშნული (1744 წ.), მოულოდნელად დაუტევა სარძლო და განდევნა. ქეთევანი მონოზნად აღიკვეცა და იმავე წელს ჯაჟრით მოკვდა. თვით ვახტანგი გარდაიცვალა 1752 წ. ნოემბრის დამლეტს (თამარაშვილი, 351).

ასეთია ბესიკის მამის პრინციპალის თავგადასავალი.

ბესიკი ანა ხანუმ ედოფდის კარზე. ღევან ბატონიშვიდი

„უბედობა, „სოფლის ცემა“ ბესიკმა ბავშვობის დღეებიდანვე გამოსცადა. შემთხვევით არ ამბობს ერთგან:

ვიყავ ბედისა დამაბრალები,

მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრძკალები...

¹ ლენინგრადის საჯარო წიგნთ-საცავის ხელნაწერი, № 23.

მხოლოდ თორმეტ-ცამეტის წლისა იყო ბესიკი, როცა დაამხეს და ააფორიაქეს მისი მშობლების ოჯახი. ბავშვის მგრძნობიარე გულისთვის მძიმე დალი უნდა დაეგვა ამ გარემოებას და მისი ყრობა მწარედ უნდა მოეშხამა.

„...როცა რაიმე მქონდა ან დედულ-მამული, ან პირადად შენაძენი, აგრეთვე საეკლესიო ქურქელი. სულ წამართვეს, ცოლი, შვილები და მთელი ჯალაბი სიღარიბეში ჩააგდეს, ასე რომ კარდაკარ დადიოდნენ და მოწყალებას თხოულობდნენ,—გვიამბობს ზაქარია,—თექვსმეტი თვე ვიჯექი საპყრობილეში, ბოლოს კათალიკოსმა უბრძანა ყარაულს: საპყრობილეს მოშორდით, სადაც უნდა, იქ წავიდესო. მათ შორის ჩემი შვილების და ძმების 9 ბავშვი იყო. კათალიკოსი ქადაგობდა: ვინც მათ მოწყალებას მისცემსო—ეკლესიაში არ შეუშვებო. გავიდა ერთი წელიწადი და ჩვენ უარესი დაგვემართა: მოაყვანინა ჩემი უფროსი შვილი (ოსე) და ისე სასტიკად სკემა, რომ ერთი კვირა ავადმყოფი იწვა. გამოგზავნა იასაულები, რომლებმაც რაც დაჩენილიყო: წმინდა ხატები, წიგნები და წმ. ნაწილები, ისიც წაიღეს.

„კიდევ გამომიგზავნეს კაცები, შევერთდეთ, თორემ რუსეთში გაგყრიტ ყველასაო. მე არ დავთანხმდი. ივნისში, როცა მეტად ცხელოდა, უფროსი შვილები ცალ-ცალკე საპყრობილეში ჩასვეს. მე, ჩემი ცოლი და ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი დაგვესვეს ურემზე და მთებში გაგვგზავნეს, საშინელ ადგილებში გავგატარეს. მზრუნავი არავინ მოგვეცეს, ფიქრობდენ—ამით დავიმორჩილებთო, მერე იქიდან ცოლი და ბავშვები წამართვეს, მე კი ექვს მთიელ კაცს მიმცეს, რომლებმაც ორმოცი დღე საპყრობილეში მაყოფეს, რვა შვილი წამართვეს, ორი დიაკვანი და დანარჩენი საეროპირები. ბევრი ვთხოვე, ერთი შვილი მაინც მომეცით, კაცს ამდენ ცხვარსაც არ წაართმევენ-მეთქი, მით უმეტეს, რომ ისინი თქვენი ნაჩუქარი კი არაა, ღვთისაგან მოცემულია-მეთქი, მარა არ ისმინეს.

„მოვიდა მეფე ერეკლესა და ანტონ კათალიკოსის ბრძანებანი: გახადეთ, გაჩხრიკეთ, რასაც ნახავთ, წაართვით—რომ არავითარი ნაწერი არ გაატანოთო, მეორეჯერ საზღვარზე გაჩხრიკეთო. იმავე წამს ტანისამოსი გავგზავნეს, გავგჩხრიკეს, მაგრამ ჩვენ არაფერი აღმოგვაჩნდა. მოგვეცეს ერთი გზის მაჩვენებელი ოსეთამდე, იქიდან მოვედი ყიზლარში, აქაც არ დამაყენეს“...¹

¹ ზაქარის მოხსენებიდან (1767 წ.) ასტრახანის ეპისკოპოსის სახელზე. იხ' იას. ლორთქიფანიძე: „მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.)“ „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.“ საქავშირო მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის გამოც., 1940, ნაკვეთი II, 23-24.

ასეთი მკაცრი ღონისძიებანი მთავრობის მხრივ ზაქარიას შეი-
 ლებისადმი იმ გარემოებითაც იყო გამოწვეული, რომ ზაქარიას
 ბრძოლებში მისი ოჯახიც მონაწილეობდა. „გიობიდან“ ჩანს, რომ
 ზაქარიას მეუღლეს ამ საქმეში ჩაბმული უნდა ყოფილიყო, ისევე
 როგორც მისი უფროსი ვაჟი იოანე დიაკონი, რისთვისაც იგი სა-
 პურობილეში ჩაუსვამთ. რაც შეეხება ცნობილ ოსე გაბაშვილს, იგი
 მოწინააღმდეგე პარტიას აქტიურ მებრძოლად ჩაუთვლია მამასთან
 ერთად. ოსემ არ შეიწყნარა რუსეთიდან გამოგზავნილი ანტონის
 ცნობილი „მიწყალეს თარგმანი“, და ხელი არ მოაწერა. როცა
 რუსეთიდან დაბრუნებულს და უფლებებაში აღდგენილ კათალიკოსს
 ზაქარიასთან ერთად ხელშეკრული ოსეც წარუდგინეს, კათალი-
 კოსმა მამასთან ერთად იგიც შეაჩვენა, როგორც „მამისა თვისისა
 შემწე“. „ჩემს შეილს და ისააკს, არც კი ათქმევინეს რამე,—მო-
 გვითბრობს ზაქარია, მიგვეცს საერო კაცებს, რომელთაც შეუბრა-
 ლებლად გვეცემეს, შეგვაქრეს თმა და წვერი, დაგვადეს ბოკჩილები
 და ჩაგვეყარეს საპურობილეში. მრავალჯერ კაცები გამოგვიგზავნეს,
 რომ დავთანხმებულიყავით, მაგრამ ჩვენ უარზე ვიდგეთ“...¹

გადახვეწილ ზაქარია გაბაშვილს მრავალი მიმდევარი გადაჰყვა
 იმერეთში და შემდეგ რუსეთშიც, მაგრამ ცოლ-შვილი კი აღარ და-
 ანებეს, როგორც ერთ ლექსში ჩივის თვით ზაქარია:

მე მტირალს ქართლი გამომარეს,
 მეუღლის წართმევს არ მიმამარეს,
 შვილნიცა რვათ ერთ ჟამ წამგვარეს...²

ზაქარიას განცხადებიდანვე ირკვევა, რომ მეფისა და კათალი-
 კოსის დევნილობის სისასტიკე ყრმა ბესიკსაც შეხებია. ოჯახის
 აფორიაქება, გაღარბება, შიმშილი, გაათრებულ იასაულებრისაგან
 მიყენებული შეურაცხყოფა, აქა-იქ საშინელ მთებში იძულებითი
 თრევა და განსაცდელი, მშობლების და ძმების წამება, მშობელი
 მამის მკერდიდან მოწყვეტის ტკივილი,—ბესიკის ყრმობის ხვედრი
 ყოფილა.

* *

თუმცა არაერთარი ოფიციალური ცნობა არ მოგვეპოვება ბესი-
 კის შემდგომი მდგომარეობის შესახებ და ბესიკის ცხოვრების ეს
 ხანაც სიბნელით არის მოკლული, მაგრამ ზოგი საბუთის მიხედვით
 შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეჩვენებული ნამოდღვრალის ოჯახი-

¹ იას. ლორთქიფანიძე, იქვე, გვ. 22-23.

² S 303.

დან კერძოდ ბესიკს მფარველი გამოსჩენია. ცხადია, ასეთი გაბედულება მხოლოდ სასახლის დიდგავლენიანსა და დამოუკიდებელ პიროვნებას შეეძლო. ჩვენი დაკვირვება ამხელს, რომ ეს პიროვნება ყოფილა თეიმურაზ მეორის ქვრივი დედოფალი ანახანუმი, რომელიც თავისი დედოფლობით პირადად ზაქარიასაგანაც იყო დავალებული. პატივმოყვარე, მკაცრი და ამაყი ანახანუმი თვით ერეკლესაც არ ერიდებოდა. მოხუცი თეიმურაზის რუსეთში უდროო გამგზავრებას და იქ მის სიკვდილს ერეკლეს აბრალებდა და მასთან თავის სამღურავსა და საყვედურს არ მალავდა. თვით ერეკლეს „არა უყვარდა ანახანუმ, ვითარცა დედინაცვალი“ და მხოლოდ მამის ხსოვნის პატივისცემით ითმენდა. თუმცა მათ შორის უთანხმოება იმდენად ყოფილა გამწვავებული, რომ რუსეთის კარზედაც კი შეუნიშნავთ: „Ирѣвнѣи с махехои своєю имеет несогласие“. თვით ქმრის სიკვდილის შემდეგაც დედოფალს დამოუკიდებლად ეპირა თავი და „ცხოვრობდა სიკვდილამდე პალატსა მეფისასა, ნებითა მეფისა ირაკლისათა“.

დედოფალი რომ ზაქარიას ოჯახს შემწედ უნდა გამოსჩენოდა გასაგებია. ამ საქციელით დედოფალს სამადლობელი უნდა მიეზლო ზაქარიასათვის და მით თავისი უკმაყოფილება უნდა გამოეთქვა ერეკლე-ანტონისადმი, როგორც ანტონის გამდევნელი თეიმურაზის თანამეცხედრეს და ორთოდოქსიის ერთგულს. დედოფლის მიერ ზაქარიას ოჯახისათვის მფარველობის გაწევას მეფე ჩვეული თავდაპირვით უნდა შეხვედროდა და ძალაუვნებრივ უნდა მოეთმინა.

ირკვევა, რომ ბესიკის ბედის კეთილად წარმართვას მეორე გარემოებაც ზედ დართვია, სახელდობრ ის, რომ დაახლოებით ამაზე ცოტა ადრე ანახანუმ დედოფალმა გამოართვა ერეკლეს ძე მისი „ლეონ აღსაზრდელად სახლსა თვისსა“.¹ სწორედ ეს მომენტი უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი ყრმა ბესიკის შემდგომი ცხოვრებისათვის.

ერთი იმ საბუთთაგანი, რომლის მეოხებითაც ჩვენ ვლაპარაკობთ ანახანუმ დედოფლის ბესიკზე მფარველობისა და ბესიკის თანაშეზრდილობის შესახებ ლევან ბატონიშვილთან, არის პოეტის ერთი ნაწარმოები, სახელდობრ, სამგლოვიარო ოდა „სამძიმარი“, თქმული ლევანის უდროო გარდაცვალების გამო.

„სამძიმარის“ რეალიებიდან ირკვევა, რომ ბესიკი იმყოფებოდა ლევან ბატონიშვილთან, რომელსაც ერეკლეს სასახლეში ზრდიდა

¹ ქართლის ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., II, 223.

ანახანუმ დედოფალი, და ისიც, რომ ბესიკი ბატონიშვილის ამალი-
წვეერი ყოფილა და მასთან შეზრდილი.

ამ გარემოების „სამძიმრის“ შემდეგი ადგილები გვიდასტურებენ:

* *

[მიმართვა ლეონისადმი]

. . .
...სად გზა შენდა საწოთომო,
სადა მიდამო,
სად გეახლნეთ საგნომო,
ლეონ სახსომო,
ყმათ გულებისა ხომო.
. . .
სადაით, ლეო,
სად ვპოვნეთ სიახლეო?
. . .
გეძიებს სული
შენდა ზრდილი აღკრული.
. . .
სადა ვის ვჭეულებ,
პატრონად მოვიძულებ,
სული ინაკლებს მტრულებ;
ლეონ, მით ვასწყლულებ,
მოვიხსენო რა თქმულებ,
შენდამი ვკრულებ,
შენადვე ვინატრულებ,
ველი თვალდახშულებ,
სიკვდილისადმი ვჭრულებ.
. . .
ვა დროსა ჩვენსა,
მსგავსადვე მოსაწყენსა,
ჩემსა ირემსა
ჩემათ დღედ მონაცემთა.
ჭოი, ცის ლომო,
ლეო, ცისავე, ხომო,
. . .
სადა არს სრა სახსომო.
. . .
ვაი დუმან, ხმანი
სამოვრონისა კმანი:
მუსიკთა თქმანი,
მუტრიბთა დასწყდეს თმანი.
მეტოლნი ყმანი,
. . .

მგოსან-ნოტების თნვანი,
კამანი, სმანი,
ლზინნი, სრულ დასანთქმანი,
. . .
სრა ცალიერი,
უპოვარი, მშიერი,
სახლი ძლიერი
. . .
სადალა სერი
სტუმართა განმბებერი.
ვა, მგონე ვერი,
ლეო, სად ბედნიერი.
. . .
. . .
სად პატრონისდა ყმობა,
სად ერთსულობა,
სად მოყვარულთ თხზულობა,
სად კახმულობა,
სადა დარბაზულობა?
ვაი, სრულობა,
ვაი, დაკარგულობა,
ვა, ყმაწვილობა.
დახსნილ-დანახრულობა!
შორს წარხდა თემად;
უცხოთა თანა გემად;
ლეონ მოცემად
ვისმცა ძალუძს საჩემად?
გარანა სად მრწემ
ვიყომცა მსახურ მგემად?
მწირობა-მსხემად,
მისდა არა მაქვს კდემად;
მას ვსდევ ირემად—
მას ნუკრად მადლის მფენად.
. . .
ვა ჩემდა თვალნი,
მათგან მიერ დღე მკრთალნი,
ასხურებენ ცრემლთა
განზვრეტს გულისა გრდემლთა.

„სამძიმარში“ ბესიკი იგონებს ლევან ბატონიშვილთან „ერთ-სულობას“, „მეგობრობას“, თავის „მრწემობას“, „მსახურგებობას“, „პატრონის-და ყმობას“ მისდა „ზრდილი ალკრული“, ბატონიშვილს უწოდებს „ჩემს ირემს“, „ყმათა გულების ხონს“ (ხომლი). მას აგონდება სასახლე, „ძლიერი სახლი“, „სრა სახსომი“, „მისი კაზმულობა“, „დარბაზულობა“, სადაც მგოსნის უზრუნველ ცხოვრებას ახალისებდნენ „მუსიკათა თქმანი“, „მეტრებითა თქმანი“, „მგოსან-ნოტების თქმანი“, „კამანი, სმანი, ლხინნი“, „სერი სტუმართა განმბეგრი“, „მეტოლნი ყმანი“, ბატონიშვილის ნადირობა, ასპარეზი, ბურთი, ჯირითი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო თვით ბესიკსაც, როგორც მხლებელს და მეგობარს. გარდახვეწილ მგოსანს სწვავს მოგონება სასახლისა, სადაც ვითარდებოდა მისი და ბატონიშვილის მეგობრობა და თუმცა ამჟამად მას სხვა, ახალი პატრონი ჰყავს, მაგრამ ის ყველას „მოიძულებს“ ბატონიშვილის სიყვარულით და კვლავ „ინატრულებს“ მათთან „სიახლეს“. იგი ოცნებაშია მას „სდევს ირემად“ „ნუკრად“ და სხვ. ასეთი ყოფილა პოეტის სიყვარული თავისი პატრონისადმი და მათი პატრონ-ყმობა.

ამრიგად, „სამძიმარი“ უსათუოდ შეიცავს ბესიკის ავტობიოგრაფიულ ელემენტებს. ამ სამგლოვიარო ოდიდან ჩანს, რომ პოეტის ცხოვრების პირველი პერიოდი დაკავშირებული ყოფილა ლევან ბატონიშვილთან და მისი მეოხებით ერეკლეს სასახლესთან, სადაც ცხოვრობდა ანახანუმ დედოფალი.

ასეთივე დამადასტურებელ საბუთად ანახანუმის კარის და ზაქარია გაბაშვილის ოჯახის სიახლოვისა, ზაქარიას განდევნის შემდეგ, ჩვენ უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ბესიკის უფროსი ძმის ოსე გაბაშვილის ცნობილი ხოტბა, ანახანუმის ასულის ელისაბედის სამკებროდ დაწერილი, და კიდევ ის ფაქტი, რომ 1765 წელს გათხოვილ ელისაბედს მზითვეში გააყოლეს ედიშერ გაბაშვილი,¹ შეიძლება ბესიკის ახლობელი ნათესავი, — როგორც ერთგული და ახლობელი კარის აზნაური. ის ცნობაც საგულისხმოა, რომ 1772 წ. რუსეთში დიპლომატური მისიით წარგზავნილ ლევან ბატონიშვილს კამერდინერად ახლავს ბესიკის უმცროსი ძმა ზაქარია გაბაშვილი² და, ბოლოს, ანახანუმ-ლევანის კარის მსახურად და სამეურნეო საქმეთა რწმუნებულად მოჩანს ბესიკის ბიძა ზაზა გაბაშვილი.³ ყოვე-

¹ ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი.

² Грамоты, I, 370.

³ იხ. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წიგნი I (ბელფასი, ქირა, ფასები), 1938 წ., გამოც. ნ. ბერძენიშვილისა. გვ. გვ. 50, 53, 60, 65.

ლივე ეს მოწმობს, რომ ანახანუმი და მისი ნაშვილენი ლევან ბატონიშვილი ნამდვილ მფარველად გამოსჩენიან განდევნილი ზაქარიას ოჯახის წევრებს.

დასასრულ, პოეტის მკვიდრო მეგობრულ კავშირს ბატონიშვილთან ის აკროსტიხული იამბიკოც გვიდასტურებს, რომელიც ბატონიშვილის და ბესიკის მეგობრობის აღსანიშნავად დაუწერია დავით მესხიშვილს და რომელშიც კიდურწერილობით გამოყვანილია ლეონის და ბესიკის სახელები: „ბესარიონ გაბაონს მივჰსწერე ესე იამბიკო აკროსტიხულად და ამას შინა არს: „ბესარიონ, ლეონ, დავით“.

ბრძენი ლიმენთა ნუ ჰსდროებ მოვისად წარვედ,
ესურე, ეტრფე სახეთო სავანთა,
ხულთა ოქიმა, იაფსინდე მრავლად ჰყავ,
აცუარენ ნამნი პსიხისა მაუკვდავნი,
როინ ნეტარძი იტრფეს თუ გულთა წყურვილით. (S 105).

ამგვარად, ბესიკის ყრმობის დღეების მფარველად ჩვენ ანახანუმ დედოფალს ვგულისხმობთ. ბარათაშვილის ასული, ციციშვილის ქვრივი, დედოფლად მოწოდებული „მშენიერებისა“ გამო. „ესე ყოველთა ბანოვანთა შორის უმეტეს აღმოცისკრებულ იყო და სხვისა მისსა შვისა შარავანდელი ბნელ-ექმნა, შვიდნივე მნათობნი ცისანი მონებად დავრდომილ-იყვნეს და სიბრძნისა მიერ გონება აღზენავ-აღესრბოლ“-ო, ჩვეული პათეტიკით და მკვერობით ლაპარაკობს კარის მეხოტბე ისტორიკოსი დედოფალ ანახანუმზე, რომლის გონიერება და სილამაზე მართლაც განთქმული ყოფილა. მას დიდი გავლენა ჰქონია მეუღლეზე და თავისი მდგომარეობით კიდევ უხვად სარგებლობდა. ამოღდ არ ამბობს თვითონვე ერთგან: რომ მას „საწუთრომა ურიცხვი ბედკეთილობა, სიმდიდრე და დიდებანი ზე გარდაამატა“. პატივმოყვარე დედოფალი მდიდრულად ცხოვრობდა და არას ზოგავდა თავისი კარის ბრწყინვალეებისთვის.

რა მოსაქმე უნდა ყოფილიყო კაბუკი პოეტი მეფის სასახლეში, ანახანუმ დედოფლის სამსახურში?

შესაძლო იყო გვეფიქრა, რომ ლევან ბატონიშვილის მხლებელი ბესიკი—პოეტი და მწიგნობარი, ერეკლეს სიახლოვეს მყოფი—დააწინაურეს და კარის მდივან-მწიგნობრობა მისცეს, მაგრამ ჩვენამდე არ მოღწეულა ერეკლეს არც ერთი სიგელი ან ბრძანების წიგნი ბესიკის მდივნობით შესრულებული. შესაძლოა ეს იმ გარემოებით იყოს გამოწვეული, რომ პოეტი ამ სახელისთვის ჯერ კიდევ სრულ-ასაკოვანი არ იყო, ან შეიძლება ზაქარიას შვილს მეფე საბოლოოდ ძარ ენდობოდა, რომ თავისი კარის მესაიდუმლედ გაეხადა, მაგრამ

კარზე მყოფ აზნაურს ხომ თავისი „სახელო“ უნდა ჰქონოდა? ეს „სახელო“ კი ისევ ლევან ბატონიშვილის ამალის შტატში უნდა ვეძიოთ.

მაგრამ უფრო უნდა ვიფიქროთ, რომ ბატონიშვილის მხლებლობასთან ერთად. მდივან-მწიგნობრის ოჯახიდან გამოსული კაბუკი ბესიკი ჯერ თვით ანახანუმ დედოფალს ემსახურებოდა „მდივნობის რიგზე წერით, კითხვით“¹, ისევე როგორც ამ თანაღდებობაში მისი წინამორბედი, მასავით ახალგაზრდობის ასაკში მყოფი ცნობილი იესე ოსესშვილი.

„ბატონს დედოფალთან ვიყავ უფროსი ერთიდა იქ ვემსახურებოდი წერით, კითხვით“... „ვიყავ ბატონ დედოფალთან და მდივნობის რიგზე ვემსახურებოდი... ყოველი წიგნი ჩემგან იწერებოდა მოკითხვის თუ მაგვარი დიდი სიგელი“... „შიგნით რაც საწერი და საკითხავი იყო მე აღვასრულებდი თუ რაც ან მეფეს ენებებოდა და ან დედოფალს, მე ვიყავ მწერალი“ (თავად. იესე ოსესშვილისა, S 16, 21).

როგორც მისი ეპისტოლეები გვიმოწმებენ (H 1455), იგი მხატვრული სიტყვის მოყვარულიც ყოფილა. ის ფაქტიც საგულისხმოა, რომ თვით დედოფლის დებიც ვერსიფიკაციას ეწყობოდნენ და ამ დარგში მათ სახელი ჰქონდათ მოპოვებული. ასე, ანახანუმის და ანასტასია იყო „განსწავლული სწავლათა შინა და მოლექსეობასა და მხიარულებასა“². სხვათა შორის, მას ლექსად მიმოწერაც ჰქონია განთქმულს კაბუკა ორბელიანთან. ამ პოეტური კორესპონდენციების ნაწილს ჩვენამდეც მოუღწევია³.

ანახანუმის მეორე დაც—ბარბარე ასევე მონაწილეობდა მუნასიბ-ლექსობაში⁴, და, ბოლოს, მესამე და—მახია ყოფილა „გონიერი, და დიდად ზრდილი“⁵, ამრიგად, ის წრე, რომელსაც ყრმა ბესიკი შეეხიზნა, პოეტური სიტყვის მიმდევარი ყოფილა და შესაძლოა სასახლეში დაახლოებული ანახანუმის დები პირადი მონაწილეობითაც ახალისებდნენ ყრმა ბესიკს პოეტურ ვარჯიშობაში.

¹ ბესიკის შედგენილი ხომ არ უნდა იყოს ანახანუმ დედოფლის სამძიმრის წიგნი (1770 წ.) ელისაბედ ბატონიშვილის გარდაცვალებაზე? (H, 1455).

² H 2301.

³ S 1516, გვ. 39-40; № 1012, გვ. 1052—1054.

⁴ S 36—86, გვ. 66—„მხეკაბუკ ორბელიანისაგან პასუხი ანახანუმ დედოფლის დის ბარბარესთან მიწერილი“.

⁵ H 2301; იხ. მახიასადმი ლექსად მიწერილი დიმიტრი ბაგრატიონისა.

მაგრამ ბესიკის ნამდვილ კეთილ გენიად გვევლინება ლევან ბა, ტონიშვილი, რომლის გავლენა სასახლეში განუსაზღვრელი იყო. ერეკლეს ყველაზე მეტად უყვარდა შვილებში გონიერობისა და სიმამაცის გულისთვის და ყველაზე მეტად მას ენდობოდა. ლევანის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ „მთელი საქართველოს ხალხი შეჰყურებდა ლევანს იმედითა“.

„ლეონ მშვენიერი“, „სახელოვანი ანაგებიტა“, „ახოვანი“, „საქმე მალალი“, „ძალუძლეველი“, ნამდვილი სახალხო გმირი იყო, „იგი ემსგავსა მამას თვისსა სიმხნითა“.

ხალხმა გამოთქვა მასზე:

ხმალი სჭრის ბაგრატიენისა,
ნეფისა ირაკლისაო,
ნეტავი გამაცნობინა,
ლევანს უქებენ შვილსაო;
აჯობა თავის მამასა,

სანამ იცელიდა კბილსაო,
ურჯულო გამამატვრია,
როგორც ნაპირი ტყისაო,
თუ ლევან იქით მიბრუნდა,
საქმე სჭირს დაღისტნისაო.

გმირობასთან ერთად, ახალგაზრდა ბატონიშვილი დიდი პოლიტიკური ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. მხედარი და სახელმწიფო მოღვაწე, იგი მართლაც „ირაკლის ძალი“ იყო, როგორც მაშინ უწოდებდნენ.

ლევან მორიგე ჯარის ორგანიზატორი იყო, მისი სარდალი. პირადი მხნეობით მან გაწმინდა ქართლ-კახეთი მოთარეშე ლეკებისაგან; იგი დიპლომატური მისიით იყო წარვლენილი რუსეთს პროტექტორატის პირობების გამოსარკვევად და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა (1756—1782) ჩაბმული იყო სხვადასხვა სახელმწიფო საქმიანობაში.

საკმარისია წავიკითხოთ ანტონ I კათალიკოსის ერთი უცნობი პირადი წერილი, რომ თვალწინ წარმოგვიდგეს ამ შესანიშნავი კაბუჯის პიროვნება, რომელზედაც ასე დიდ იმედს ამყარებდნენ მაშინდელი ქართული პოლიტიკური წრეები.

...„ლეონ ნიადაგ განსაკუთრებულს შინა წარმატება აღემატებოდა თითოს შინა წელიწადს მტერთა ზედა მრავალჯერ ძლევით იდიდებოდა, ვგონებ, რომ ამისთანა ყმაწვილი ამ ქვეყანაში არ ნახულიყოს ცხენოსნობასა შინა, არცა სიმხნესა და მამაცობასა, არცა გონიერებასა შინა და თავისის მამის სახელისა და ქვეყნის სამჯობინაროს გამორჩევასა შინა. არა თუ ყოველს წელიწადს ოდენ ითქმის, რომ ყოველს თთვეს უკეთესობას შინა აღვიდოდა. დაღისტან შინა ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ერეკლე ჩლარ დაბერდებო

ასეთი სხვა ერეკლე გამოჩნდაო, რომ ერეკლეს წინააღმდეგობა არავის შეუძლიანო. აქამდის ერთი იყო და ახლა ორი ერეკლე არისო. ამაზედ დიდად განკვირვებულ ვარ, რომ ამ შვიდს, რვას წელიწადში რამდენჯერ ვნახედი, ვხედავდი, რომ თავის წამის, სახლისა და თვისის ქვეყნის სამჯობინარი სიკეთე დღითი დღე ლეონს ეპატებოდა“¹.

თვით ერეკლეს მოსისხლე მტერმა, ახალციხის ფაშამ აღიარა, ბატონიშვილის სიკვდილის ჟამს, რომ „მოხუცების ჯამსა მეფეს ირაკლისა ერთი ფარდა აქენდა საქართველოს, რომელიცა ოთხ კერძოვე იგურდიე იფარებოდა და აწ დიდი შეწე მოეშალა ირაკლი მეფესაო“².

მხედარ ბატონიშვილს, რომელიც მუდმივ ლაშქრობაში და სამხედრო ვარჯიშობაში იყო გართული, ბრწყინვალე ამაღა ჰყავდა. „ლევანმა ორი ათასი მეტი ამაღა შეიკრიბა, სულერთიან თავისთავით ყმაწვილკაცობა, გამოჩენილი ვაჟკაცები, სადაც ყოველს ომში პირველი მეომრები ისინი იყვნენ და გამარჯვებულნი“³. ამ ამალის წევრი ყოფილა ბესიკიც,—მონაწილე ბატონიშვილის ლაშქრობისა და დროსტარებისა, როგორც მისი ოდა „საძმმარის“ რეალიები გვიმოწმებენ.

ამ შემთხვევაში საყურადღებოა აგრეთვე ერთი საბუთი, რომელიც ეხება ლევან ბატონიშვილის მიერ ფულის გაცემას ბესიკისათვის. 1777 წელს ბატონიშვილის სახლის გამგებელი მანუჩარ მდივანი თუმანიშვილი ბატონიშვილის ფულიდან ხუთ მინალთულს აძლევს ბესიკს:

„ღთით იანვრის დამდევს ქქს უჯე ბატონიშვილის ლეონის ბრძანებით გიორგი მოძღვრისაგან მონებარა თორმეტი მინალთუნი და ეს ამისი ხარჯი არის:

¹ H 2510. „მოჰსცა ლმერთან მეფესა ირაკლის-ქე ერთი, სახელად ლეონ, რომელიცა ემსავას მამასა თვისსა სიმხნითა და მრავალჯობის შემუსონა მან ლეკნი და მოსპო ამან ლეონ, ხშირად რბევა ქართლისა ლეკთაგან“ (ქ. ცხ. 271), ლევან ბატონიშვილის მხურვალე მონაწილეობით „განაწესა მეფემან ირაკლის მორიგე (ჯარი) ქართლ-კახეთით, რომლითაც დიდათ ისარგებლა და იყო მარადის სამი ათასამდის განმზადებული ჯარი, თავადნი და აზნაურნი და გლეხნი და მათთანა თვით მეფე და ძენიცა მისნი, ყოველივე თვითოსა თვესა გარდაიხდიდნენ და სადაცა იყო ლეკთაგან საფიქრი ადგილი, მუნ მდგომარეობდნენ, რომლისა გამო დიდად შეშინდნენ ლეკნი... და ჟამსა ფრიად დამწვიდდა ქართლ-კახეთი და იწყეს მოობრებულთა დაბნებთა შორის საქართველოსათა შენობა და მრავალნი სოფელნი აშენდნენ“.. (იქვე).

² ქ. ცხ. 274.

³ S 1655/ბ.

ქ (ხუთი მინალთუნი) ქ. ბესარიონ გაბაშვილს მივეც. და სხვ. ხარჯის ნუსხასა ძვეს რეზოლუცია თვით ბატონიშვილისა:

ქ. მანუჩარ მდივანო, ეს შენთან დაგვიხარჯავს ამ ნუსხით სულ იქნება ჯამი თოთხმეტი მინალთუნი. იანვარს; ი: ქკს: უაჲ:

ბეჲელი „ლეონ“.

სახარჯო ნუსხაში ბესარიონთან ერთად მოხსენებული არიან ბატონიშვილის კარის მსახურნი ანუ მსლებლები.

1. ივანე მოლარეთ-ხუცესი
2. შანშე დავითიშვილი
3. სოლომონ მღვდელი.

ფეიქრობთ, მათ შორის ბესიკის მოხსენება კიდევ ერთ ზედმეტ საბუთს გვაძლევს იმისას, რომ პოეტიც ლევან ბატონიშვილის ამალის წევრად მივიჩნიოთ:

და ბოლოს, ამავე ხარჯის ნუსხაში სწერია;

„ჩ (ერთი მინალთუნი) ქ. სოლომონ მღვდელს, გაბაშვილის ხელით“..

თუ ამ „გაბაშვილში“ ისევ ბესარიონი იხსენიება, მაშინ ჩვენ საბუთი გვეძლევა¹ ვიფიქროთ, რომ პოეტი ბატონიშვილის შინააკაცი ყოფილა.

* *

ამრიგად, ჭაბუკი პოეტის ცხოვრება ბატონიშვილის მეოხებით უმთავრესად სასახლესთან უნდა ყოფილიყო შეკავშირებული. სწორედ ლევანის კარზე უნდა ჩამოყალიბებულიყო ბესიკი პოეტად; აქ უნდა გაფურჩქნელიყო მისი ლირიკული ვირტუოზობის ნიჭი. აქ, სასახლეში, ბატონიშვილის წრეში, ბატონიშვილებთან და სასახლის ბანოვანთა და შიმუნვართა შორის, ამ გაუთავებელი ზეიმების და მეჯლისების სუფრაზე უნდა გამოეჩინა ჭაბუკ პოეტს ნიჭი მუნასიბი ლექსებისა, როგორც „ნადიმზე ზმათა მფენავს“, შესანიშნავ ექსპრომტერს, იმპროვიზატორს და ჯადოქარ დამკვრელს.

და ისიც საგულისხმოა, რომ ბესიკს ერთგვარი პოეტური ატმოსფერო ჰქონია, რადგან ანახანუმის დებთან ერთად, თვით ლევან ბატონიშვილიც არა ყოფილა მოკლებული პოეტურ ინტერე-

¹ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I (ხელფასი, - ქირა, ფასები), 1938 წ. გამოც. ნ. ბერძენიშვილისა, გვ. 57-58.

სებს.¹ მას მიეწერება რამდენიმე სამიჯნურო და ეპისტოლარული ლექსი, რომელნიც გვიჩვენებენ ბატონიშვილის პოეტურ ნიქსა და ვერსიფიკაციის ცოდნას. წაგრამ თვით ბატონიშვილი, „ლეონ მზიანი“ იყო ობიექტი მგოსნური ხოტბებისა. ცხადია, ბესიკსაც არა ერთი ხოტბით უნდა ედიდებინა თავისი მეცენატი, არა ერთი ეპისტოლარული ლექსი უნდა ჰქონოდა მიძღვნილი თავისი პატრონისა და მეგობრისადმი. მაგრამ ეს ნაწილი ბესიკის პოეზიისა ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, ან არ მოღწეულა, იმ სანგლოვიარო ოდის („სამძიმარი“) გარდა, რომელშიც პოეტი მწარედ დასტირის ბატონიშვილის უდროო სიკვდილს.

ამგვარად, თუ გაეითვალისწინებთ ჯერ ორბელიანთა წრეს, რომელსაც უსათუოდ ჰქონდა თავისი კულტურული გავლენა ბესიკის ოჯახზე და, მამასადაზე, ბესიკის ყრმობაზე, ხოლო შემდეგ ლევან ბატონიშვილს და საერთოდ ბესიკის მკვიდრო სიახლოვეს ერეკლეს კართან, უნდა ვიფიქროთ, რომ ბესიკის ახლობელი გარემო ყოველის მხრივ ხელისშემწყობი უნდა ყოფილიყო მისი პოეტური განვითარებისა და შემოქმედებითი ნაყოფიერებისთვის.

„ცოცხალი ბესიკი“

გადმოცემის მიხედვით და თანამედროვეთა დამოწმებით, ბესიკი გრაციოზული გარეგნობისა ყოფილა: „ტანადი“, „პირად თეთრი“, „სახით მშვენი“, „თმახშირი“, „კავებიანი“, „ზილფიანი“, — ფიზიკური სილამაზით დაჯილდოებული; ცოცხალი, მოქმედი, მხიარული, „ტკბილად მოუბარი“ დიდკაცურ და მოქალაქეთა ღზინების დამამშვენებელი და „აზიკთა მორთულობის“ ოსტატი.

ზეპირი გადმოცემით, ბესიკი ლურჯ ტანისამოსს ატარებდა. მეორე გადმოცემით, მწვანე ფერი ჰქონია აჩემებული. მისი კოსტუმის ერთი სამკაულთაგანი მწვანე ქალაღია ყოფილა (ქალაღია — აბრეშუმის დიდი ბალღადი, ყელზე მოსახვევი შარფი, რომლის ერთი წვერი გულზე ჰქონდათ დაშვებული ყაბღახივით)².

¹ S 3723, გვ. 248-249. S 1534 გვ. 46—48; S 1540 გვ. 43. სხვათა შორის ლევანს ლექსითი მიმოწერა ჰქონია ბესიკის მეგობარ დავით მესხიშვილთან, როგორც გვიმოწმებს უკანასკნელი თავისი ერთი ლექსი-ეპისტოლეს შესახებ: „ლეონ ბატონიშვილს მოეწერა ჩემთვის და პასუხად მიესწერეთ“ (S № 105, გვ. 153).

² შესაძლოა ეს გადმოცემა ალ. ჭავჭავაძის ლექსიდანაც მომდინარეობდეს იგი ბესიკის 1875 წ. გამოც. გარეკანზე ეპიგრაფად მოჰყავს ზ. ჭიჭინაძეს:

ბესიკის პოეტური დუელიანტი მზეჭაბუკ ორბელიანი ერთ ბოროტ სატირაში ბესიკზე ბრალს სდებს პოეტს გადამეტებულ კეკელუცობაში, გარეგნობის ბრწყინვალეობით გატაცებაში, აი, ეს შემჩნეული დეტალები ჰაბუას სატირიდან, როგორც ბესიკის გარეგნობის დამახასიათებელი:

„რას ტანადობს როსკიპულად?

„ეშაიანობს, ეთერაობს, ეკაზმების ელვარებით“.

„ზეუაობს, ზექალაობს, ზილფიანობს ზენანებით“.

„იკეთებს ისევს იასა, იღებავს ილაფიანსა“¹

„ფერად ფერობს, ფაქიზაობს“...

„პატარქალობს პირად პოხით“...

„ვარდუაობს ვარდისახარ“.

„ქალუაობს, ქალთა მზეობს, ქუდქვეშ იგებს ქულავს ქალმით“.

„კრულსა, კერპულად კიცხულსა, კოცნიან კავებიანსა“.

„ჭაკლობს ჭავლით“...

„ოი, რა მარდათ იღებავს ულვაშებსა წითლად, ინით“²...

რაც უნდა გადაკარბებული იყოს გაბოროტებული სატირიკოსის პორტრეტული აწერილობა, ამ სტრიქონებიდან მაინც იხედება ბესიკის სახე: ელეგანტური, სიკაბუკის შარავანდედით მოსილი ქართველი დენდი, გატაცებული თავისი ტუალეტით, ზომაზე მეტი კეკელუცობით, ანაკრეონიტი, „ქალთა მზე“.

* *

ცნობილია, რომ ერეკლეს კარი განთქმული იყო აზიური სიმდიდრის ბრწყინვალეობით. უპირველესად თვით მეფე იჩენდა დიდ მიდრეკილებას მდიდრული ჩაცმულობა-მორთულობისადმი. რუსეთის რეზიდენტი იაზიკოვი წერს ერეკლეზე: „Ипатье носят всегда сатрапное... пышность весьма любили“...³ ხოლო გერმანელი რეინგსი-

მაისის ვარდმან ფურჩქენილმან,

ბესიკმან მწვანით მკობილმან.

აღ. ჰავჭავაძე.

მაგრამ ჰიკინაძე შემცდარია, როცა აქ „ბესიკ“-ში ჩვენი პოეტის სახელს გულისხმობს. ჯერ-ერთი, ჰავჭავაძის ლექსის ნუსხებში „ბესიკის“ ნაცვლად „ბეზეკი“ სწერია, რაც საბას განმარტებით, ნიშნავს „ელვარს“, და თუნდაც იგი „ბესიკად“ დამახინჯებულიყოს უფიცი გადამწერთა მიერ, მაინც კონტექსტის მიხედვით, ამ ლექსში არაგზით ბესიკ გაბაშვილი არ იგულისხმება.

ამ ლექსთან ერთად, ამავე წიგნის გარეკანზე ჰიკინაძეს ეპიგრაფად მოჰყავს ბარამ ბართაშვილის და დიმიტრი თუმანიშვილის ლექსები, სადაც ისევე „ბეზეკის“ „ბესიკად“ გადამახინჯებასთან გვაქვს საქმე. ხსენებული ავტორებიც, ისევე როგორც აღ. ჰავჭავაძე, ამ ლექსებში სრულიადაც ბესიკს არა გულისხმობენ.

¹ ვარიანტი: „იკეთებს ირისიასა, იღებავს ილაფიანსა“ Н 2130.

² S 1612/ზ.

³ Грамоты, I, 184.

დასძენს: „მეფე ყოვლის მხრიდან ცდილობს შეიძინოს რამე მდიდრულად ცხოვრებისთვისო. რაც სჭირდება, ზოგს თავის ქვეშევრდომებს ართმევს და ზოგს იმ ვაჟრებს, რომელნიც რუსეთიდან, სპარსეთიდან და ოსმალეთიდან საქართველოში სავაჭროდ მიდიანო“¹.

ბუნებრივია, რომ დიდკაცობაც ნეტეს ბაძავდა. რაც ბრწყინვალე ტანისამოსი მეტეს ეცვა, „ისინიც იმას ნდომულობენო“, გადმოგვცემს იგივე და ჩვენ ვიცით, რომ, მართლაც, თბილისის დიდგვარეულ წრეებში განვითარებული იყო დიდი მხატვრული გემოვნებით შეთანხმებული ჩაცმულობის კულტი. ტყუილად კი არ ამბობს თავმომწონედ ერეკლეს ერთი კარისკაცი: „ჩაქმა და დახურვა მიყვარს და არც მაკლიაო“, ჩამოსთვლის რა თავის გარდერობის ვრცელსა და მდიდარ ქონებას².

თუ სადმე მიდიოდა მზრუნველობა გარეგანი სიკეკლუცისათვის, ამას ზედმეტად ადასტურებს თვით ბესიკის მეცენატის ბატონიშვილი ლევანის ერთი კერძო წერილი, რომელიც ქუდის შეკერვას ეხება. იგი მთელ ტრაქტატს შეიცავს ქუდის არტიტულად შეკერვისათვის³. და ბოლოს, ბესიკის წრის გარეგანი ბრწყინვალეების გატაცებისათვის დამახასიათებელია მაგალითი პოეტის ახლობელი მეგობრის დავით ალექსი-მესხიშვილისა, რომელსაც სიკაბუჯეში ესევე უკიჟინებენ „კეკლუცად ჩაქმას“ და „საარზიყო საოსოელის“ სიყვარულს⁴. ამისთვის უწოდებდნენ მას „ცუქიას“, რაც, მისი ერთი ჩამომავლის განმარტებით, ნიშნავს კოხტად ჩაქმულს, მომზიბლავს. დავითი, როგორც ნამდვილი პეტიმეტრი. ნაცვლად პაქიქ-საცვეთებისა, ტოლალეზად აბრეშუმის ბალდადს ხმარობდა.

ასე „ტანისამოსის მოყვარული“ იყო მაშინდელი „ოქროს ახალგაზრდობა“, რომლის რჩეული ნაწილი ბატონიშვილ ლევანს ახლდა ამაღლაში და რომლის წევრი თითონ ბესიკი იყო. ბატონიშვილის ამაღლა თავს იწონებდა „როგორც საუცხოვო ცხენებითა, ისე იარაღითა და სრულიად ის ამაღლა ვერცხლის ყაწიმებში პრიალებდა თურმე, ბედაური ცხენებით, წითელი ტანისამოსით, ვერცხლის კრიალა ყაწიმებით“⁵.

ეს ახალგაზრდობა განთქმული იყო ბრძოლებში თავისი გამბედაობით, ვაჟკაცობით, შემმართებლობით, მაგრამ მშვიდობიან დღეებში მანვე იცოდა წაბმით ლხინები, „ბედაურთ ცხენთა შეკაზმვა, გამომჩვენობა, ტანისამოსთა კეკლუცით შემოსვა, ტურთად ჩვენო-

¹ „ივერია“, № 5-6, 1879.

² იესე ოსეს შგ; 4, 11, 41.

³ ცენტრარქივის სიგელების ფონდი, 226, № 4429, ფ. № 229. № 2135.

⁴ H 3237.

აღ. ორბელიანი, S 1655/ბ.

ბა და ყოველი განცხრომა, განსვენება, სიხარული“. ეს „გონება ქარიანი“, „არზაქარი“ „ოქროს ღილებყაწიმებიანი“ ახალგაზრდობა, ეს „განცხრომად სახიობით მოცინარე ჭაბუქნი“ იყვნენ ბესიკის ახლობელი მეგობრები და ბესიკი მათი პოეტი იყო. სწორედ მათ წრეში მიმდინარეობდა ბესიკის უქმი, ჰედონისტური ცხოვრება, როგორც ქალაქელი პოეტისა და სასახლის მგოსნისა. ამიტომ უწოდებს ბესიკს ჭაბუა ორბელიანი „ცხოვრება ცარიელს“, „ლოთებიანს“, „წიღოვან წარმართს, „მრუშ-მეძავს“, „საქციელ საძაგელს“ — გულისხმობს რა ბესიკის ეპიკურულ და ბოჰემურ ცხოვრებას.

სასახლეში მოაღერებული ბესიკისათვის, როგორც ამბობს გადმოცემა, ღია ყოფილა თბილისის არისტოკრატიული უბნის კარებიც. სწორედ ამ უბანზე იტყოდა გაახნაურებული მდაბიო: „დიად, ძნელი უბანი არის. გარშემო დიდნი კაცნი ახვევიან და ზეიღამ დაჰყურებენ“. ამ უბანში განთქმული იყო სახლების მდიდრული განწყობილება, „მოფენილობა, ფიანდაზი, კარგად დახედომა, მართებული ღვინი, მგალობელი, მეჯლიში“. ბესიკიც განუყრელი წევრი ყოფილა ამ უბნის არისტოკრატიული ღვინების, როგორც მომღერალი და მგოსანი. ამ ნადიმებზე ითხზებოდა მისი სატრფიალო ლექსები, სიმღერები, ექსპრომტები, კალამბურები.

მაგრამ პოეტი თბილისის დემოკრატიული ინტერესებითაც ყოფილა დაბანდებული. მუსიკალური იმპროვიზაციების გამო ბესიკს დიდი სიყვარული ჰქონია დამსახურებული ქალაქის წვრილბურჟუაზიულ წრეებში.

მათაშინდელის მიერ ჩაწერილი გადმოცემით, თარის, ჩონგურის დაკვრით, სიმღერისა და ტკბილი ხმის წყალობით, ბესიკი „განთქმული ყოფილა მთელს საქართველოში, მეტისმეტი საყვარელი ყოფილა დაბალი ხალხისა, ბაზაზების, ვაჭრების და საერთოდ ყველასი. გამიგია, რომ ბესიკის ხმა და ჩონგურის დაკვრა სულთმოზრდავსაც კი მოასულიერებდაო. ბესიკი მარტო უმაღლეს პირებში არ ყოფილა სახელგანთქმული. ამისივე ერთობ დიდი პატივი ჰქონია მაშინდელს მოქიფე ხალხს. მოქიფე ხალხი სულში ისომდა ბესიკსაო. მისი სახელი თითოეულმა მოქალაქემ იცოდა. ყოველი კაცის სახლში ღვინი ისე არ გათავდებოდა, რომ ბესიკის სახელი არ ეხსენებინათ და მისი სადღეგრძელო არ დაეღიათ“... ბაზაზები, სოფდაგრები, ხელოსნები „ყოველ წვეულეებაში უსიკვდილოდ ჰპატიებდნენ. მაგ., ამქრის დღესასწაულებში, სამღვთოებში, შეგირდების დალოცვაში, ქორწილში და სხვა სამხიარულო შემთხვევაში“.¹

¹ ბესიკი, აღ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, გვ. 11.

ამ გადმოცემის სიმართლე, სხვათა შორის, დადასტურებულია იმავე ჭაბუა ორბელიანის მიერაც. პირადი შუროისძიებით აღძრული სატირიკოსი შეუბრალებლად ბასრაგს პოეტს:

ში, ყოვლად საძაგელი,
სომხებს დაჰყავთ მუდმივ ქირით¹.

ე. ი. თბილისის ვაჰრებს, რომელიც განსაკუთრებით სომხობა წარმოადგენდა, თითქოს ქირით, ჰონორარით დაჰყავდათ ლბინებში პოეტი—მომღერლად. ჭაბუას ნათქვამს რომ სატირული შხამი ჩამოვაცალოთ ქირის შესახებ, დაგვრჩება დადასტურებული ცნობა ბესიკის ხშირი სტუმრობისა თბილისის მოქალაქეთა ოჯახებში.

ამის შემდეგ დაუჯერებელი არ უნდა იყოს ზ. ჭიჭინაძის მიერ ჩაწერილი ცნობა, რომ „თბილისში, ერთს მედუქნე გადამწერს ხელობად ჰქონია ბესიკის ლექსების გადაწერაო“. მაშასადამე, იმდენად დიდი მოთხოვნილება ყოფილა მდაბიო ხალხში, რომ მას თავისი საგანგებო გადამწერელიც კი ჰყოლია ბესიკის ლექსებისა. ამ შემთხვევაში დიდ ინტერესს იწვევს იმავე ჭიჭინაძის ერთი ცნობა: „ბესიკის ზოგი ლექსები საათნოვას გადაუთარგმნიაო“ (გვ. 20).

პოეტი-კარისკაცი

ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკ ბესიკს განთქმული მგოსნის სახელი ჰქონია დამკვიდრებული. ბესიკის მაშინდელი რეპუტაციის გასათვალისწინებლად საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ მას სიცოცხლეშივე უწოდებდნენ „მელექსეთბაშს“ და ხმატკბილობით რუსთველს ადარებდნენ:

რუსთველისაებრ ხმატკბილობით
არ აკლებდა არც ერთ გვარებს,

ამბობს აღტაცებული მისი პანეგირიკი.

რიტო [რ]ნი ხმანი,
ჩვენთვის საკმანი,
კეთილ კახმანი.—
დასწერა იმან
ბარათ (sic) მშრომელმა.

ვიწყოთ კებანი
მისნი მკობანი,
ჯერ გვიჩნს ხლებანი,
მოუვლით, ყოველნო, შემამკობელმა! (sic)

¹ S 1617/2.

ეს ლექსი ბესიკზე, როგორც ტექსტიდან ირკვევა, დაწერილია ბესიკის სიცოცხლეშივე („ჯერ გვიჩნს ხლებანი“).

ამ შემთხვევაში საყურადღებოა, აგრეთვე, დავით ალექსი-მესხი-შვილის აღტაცებული სიტყვები, რომლებითაც მიუმართავს ბესიკისადმი: „და საოტარიდოსა ვანსა მიშქინურთა ენათა მოქმედებისა ველთა ლიკლიკებრ ხლტომანი დააწყებინე და არიულისა სამოენო-სა მოწყალებითა შეჰსძრენ და სიტკბოსა ხორხსა მომტკბარნი ალყანი ამუსიკელენო“ (S 105).

ბესიკის არაჩვეულებრივი პოპულარობის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის ფაქტიც, რომ იგი იყო არა მარტო „შემთხვეული პიიტიკოსი“, „რიტორი მჰვერა-მოუბარი“, არამედ „მუსიკობით ქებულიც“, მგოსანი-იმპროვიზატორი, ტკბილი ხმით მომღერალი, ჯადოქარი დამკვრელი, ასეთი შარავანდელით იყო შემოსილი პოეტი ხალხის თვალში. გადმოცემით, რომელიც თავის დროს სპ. ჩიტორელიძეს ჩაუწერია, ბესიკის სიმღერით აღტაცებულმა ყაენმა ბრილიანტებით მოქედილი საგვარეულო თარი აჩუქაო („ივერია“, 1889, № 88). ბესიკის მთავარი დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ იგი უპირველესად „სამღერალი ლექსების“ ავტორი იყო. „მან მრავალნი საამო შაირნი დასწერა სპარსთა ხმათა ზედა სამღერალი ქართულისა ენითა“. როგორც „დაუტნრომმა მთხვევლმა“, „გააკეთა სხუათა და სხუათა ხმებთა ზედა სიმღერისა ლექსები“¹, „არ აკლებდა არც ერთ გვარებს“, ე. ი. სხვადასხვა ლექსის ზომას, და როგორც უსახელო მგოსანი იტყვის:

ტურფანი ხმანი
მრავალთ საქმანი,
აშულთ სახმარანი,
იმანცა გვამცნო გაბაონელმა².

ამაში იყო, თანამედროვეთა აზრით, ბესიკის პოეტური დამსახურება.

ასეთი იყო ბესიკის კარიერა ერეკლეს კარზე, რომელსაც მგოსანთა და პიიტიკოსთა სიუხვეს უკივინებდა ანტონ კათალიკოსი შორიდან:

„მანდაურთა ბრძენთა მესტიხეთა და პიიტიკოსთა რომელთამე სიტყვითნი ქების სიტყვაობის მოხსენებანი და. შაირსიტყვაობათა მუსიკათა შინა დატკობანი გულსა შინა ჩვენთანა ყოფისაგან წარიტაცებენო.“

¹ H 2134.

² S 1088.

საკითხავია, იყო თუ არა ბესიკი ერეკლეს კარის პროფესიონალი მგოსანი-მომღერალი, როგორც იყვნენ საათნავა, მაჩაბელი და სხვები? როდესაც ბესიკის პოეტურსა და მუსიკალურ ნიჭზე ვლაპარაკობთ, გვგონია, რომ აზნაური ინტელიგენტი პოეტის მონაწილეობა სასახლის ცერემონიალებში სასხვათაშორისო თუ იქნებოდა. მაგრამ ბესიკის პოეტური და მუსიკალური ტალანტი უნდა ყოფილიყო ერთი მიზეზთაგანიც, რომ განდევნილი ზაქარია მოძღვრის შვილს ითმენდნენ სასახლეში.

* * *

ბესიკის დროს განსაკუთრებით ჰყვოდა „შესაქცევარი“ პოეზია. ცხადია, იგი ბესიკის დროს არ შექმნილა, იგი წინამავალი პოეტური სკოლების მემკვიდრეობაა, მაგრამ ამ განრმა ბესიკის დროს თავის ზენიტს მიაღწია.

ამ სიტყვამოკლე ჟანრში შედიოდა: „შემღერება-მუნასიბი“ ანუ ექსპრომტული ლექსები, „ანბანთქება“, „კიდურწერილობა“ ანუ აქროსტიხი (5-6 სახისა: სატირული „კიცხვითი“. „გიობითი“, „საცინელი შაირი,“ „შაირი ხუმრობით“, „ლათაიური“), ეპისტოლარული შაირები, „ბეჟდის გვარი“ („ბეჟდების გვარი ლექსნი“ ანუ „ბეჟდის წარწერა“, „ბეჟდები მუნასიბიანნი“, „ბეჟდად თქმული“ ლექსები), „წარწერითი ლექსები“ (წარწერები — ციხეებზე, ტაძრებზე, ოთახის კედლებზე, სატევრებზე, ჩახსაკრავებზე, სარკეზე, საცეცხლურზე და სხვა) და, ბოლოს, ნამდვილი ქართული მოვლენა — „ზმა“. რამდენადაც პოეტი იყო „მქვერ-მოუბარი“, „მშვენიერი რიტორი“ — იმდენად დამსახურებული უნდა ყოფილიყო ამ გვარ ლექსაობაში.

თუ სასახლეში სავალდებულო იყო „მუნასიბნი“ ანუ „სიმღერის ლექსნი“, „ზმანი ანუ იამბიკონი“ და სხვა „შესაქცევარი“ ლექსები, მათში ნამდვილ აღტაცებას იწვევდა „სახუმარი“, „ოხუნჯობითი ლექსები“. განსაკუთრებით „ხუმრობა ზმით“, რომელშიაც მგოსანს მუსიკისა და სიტყვის ნიკთან ერთად სარკაზმის და სატირის ნიკიც უნდა გამოეჩინა. ტყუილად კი არ ამბობს თეიმურაზ მეორე

საც გაჩნდებოდა ხნოობა,
თქმა ხუმრობისა ზმიანად,

• • •
ვის შეუძლიან ხუმრობა
სიტყვითა, თუმცა ზმენითა:
მეფეც გიბოძებს წყალობას,
საბოძვრით აიესენითა.

ბესიკს ვირტუოზის სახელი უნდა მოეხვეჭა სასახლის არისტოკრატიულ წრეებში. მეფეებისა და ბატონიშვილების გვერდით ხშირად ვხვდავთ მათ ლაშქრობაში, შორგზასა, ლხინსა თუ შეყრილობაში. ცხადია, სასახლის საზოგადოებაში მყოფ ბესიკსაც არა ერთხელ უნდა შეესრულებინა მეგობარ პატრონთა პოეტური დავალებანი. ასე, მაგ., ამნაირი დაკვეთით ყოფილა დაწერილი ბესიკის ცნობილი ლექსი: „მე შენი მგონე“, რომლის შემკვეთელი შესაძლოა ლევან ბატონიშვილი ყოფილიყო.

ზაქ. ქიქინაძე გვიამბობს:

„ერთ დღეს შეიღნისაკენ ვილაც ალაფის ქალი მიდენილა. მას დაჰხვედრია ქართველი ბატონიშვილი (ლევანი?—გ. ლ.) და ძალიან მოსწონებია. ბატონიშვილი შორი ახლოდამ ქალს თან გაჰყოლია და მისი სახლი უნახავს. მესამე დღეს ბატონიშვილს ქალიაანთ სახლის მახლობლივ ვახშამი გაუმართავს და მთელი ღამე უქვიფნიათ ზურნით, თარით და სიმუერებით. ბესიკიც იქა ყოფილა. ბესიკისთვის უთხოვნიათ იმ ქალზე სიმღერა გამოსთქვიო. ქალს მალალო რკმეგია და ლექსი „მე შენი მგონე, ჭირთ შემკონე, მარკვი მალალო“ ბესიკს მასზედ დაუწერია... ეს ლექსი მთელს ქალაქში მოეფინა“ (ბესიკი, გვ. 6).

ექსპრომტული „შესაქცევარი“ პოეზია იმ დროის მოარული სენი იყო, ეპოქის ტრადიცია¹. მას თვით სახელმწიფო მოღვაწეები, კარისკაცები მისდევდნენ. პოეტურ მახვილსიტყვაობას ისინი მეჯლიშების გარედაც იშველიებდნენ ხშირად სახელმწიფო საქმიანობაში, დიპლომატურ მიმოწერაში, დავაში, ჩხუბისა თუ ზავის დროს.

თვით ისეთი განდგომილი კასტა, როგორიც იყო სამღვდელოება, ოფიციალურად საერო პოეზიის უარმყოფელი, მსურველედ მონაწილეობდა ამ პოეტურ ტურნირში. იგი თავის წრეში ითვლიდა

¹ ბესიკის მეგობარი დავით რექტორი დასძენს ერთი თავისი ლექსის გენეზისისთვის: „ბატონიშვილი ლევან გარდამეკიდა: ხუდიასედ მუსტახადი ჰსთქვიო და მისი ვავაკობა აქეო“ (S 105).

აი, დამახასიათებელი თემატიკა შესაქცევარი პოეზიისა დავით ალექსი მესხიშვილის ლექსებიდან:

1. ბატონიშვილმა გიორგიმ ჰადრაკი გამომართო. ცხენს დამპირდა, აღარ მომცა. ამ შაირით მოვავონე. მაგრამ ჯერაც მოდის...
2. თოფით ქედანი მოჰკალ და ეს შაირი იმაზედა ვჰსთქვი.
3. ფრანგის ქალი ენახე ბალში და მაზედ ეს ლექსი ვჰსთქვი.
4. ქაიხოსრო მდივანბეგს უხუმრე ზმად.
5. ხუმრობა მივჭყრე დაბალი შაირი სხვათა.
6. სარკეხედ დაეწერე ეს ლექსი.

არა ერთ „მოზაირეს“, „აშულს“, „ხუმარს“. ასე, ირაკლის მეფობაში მრავალთა შორის ცნობილი იყვნენ: განთქმული პიტიკოსი ამბროსი ნეკრესელი, არქიმანდრიტი ელეფთერ ზუკაკიშვილი, ცნობილი „აშულობით“, მთავარეპისკოპოსი კირილე ციციშვილი „მქვერმეთქვი, სიტყვამარჯვე და ხუმარი“, არქიეპისკოპოსი პაფნოტი „კაცი მოხუმარი, მხიარული“ მღვდელი იოსებ თურქისტანიშვილი „მოხუმარი“, ორბელიანთა კარის მღვდელი ამირიძე („ქეშიშ დარღმანი“) მომღერალი, მსახიობი „კომედიანჩიკი“, რომელიც, გადმოცემით, ერთნაირი სიყვარულით ემსახურებოდა ტრაპეზს და სცენას, მაშინდელ პოეტურ ანთოლოგიებში საკმაოდ შემონახულა „სამღვდელოთა“ ეპიგრამატულ შემოქმედების ფრიგოლური ნიმუშებიც.

„შესაქცევარი“ პოეზიის ტონის მიმცემი თვით სასახლე იყო. ბატონიშვილები, კარისკაცები, ბანოვანნი წერდნენ თვით და სხვა-საც აწერინებდნენ შეკვეთით.

და, ბოლოს, პოეტურ პაექრობაში მონაწილეობას იღებდა თვით „შუბლ შეკრული“. „შექმუხენილი“ მეფე მხედარი ერეკლე ზეორე, ისევე როგორც ზოგი მისი წინამორბედი.

* *

შეიძლება ჩვენში ბევრმა არც კი იცოდეს, რომ ასპინძის გმირი პოეზიის მოყვარული იყო და ზოგჯერ მონაწილეც პოეტური პაექრობისა. თვით პოეტის შეილს და თეიმურაზ პირველის ჩამომავალს ტრადიციით მოსდგამდა პოეტური სიტყვის სიყვარული, თუმცა ლექსებისათვის მას არ უნდა სცალებოდა, რადგან მეტად კატასტროფულ ხანაში უხდებოდა სამეფოს მართვა. და როგორც ერთი მისი კარისკაცი გადმოგვცემს, მას სასახლეში ხანგრძლივი ცხოვრების საშუალებაც კი არა ჰქონდა: „მეფე ერეკლე ერთ თვეს ერთ ადგილს არ დადგის. ის მტერი ჰყვანდა, ის ეამი ჰქონდა, დავიდოდა და თავის საბრძანებელს ისე არიგებდა“¹. მაგრამ ამ შესანიშნავ მხედარს, რომელსაც ხმალი და ომები უყვარდა, როგორც „მწყურვალს ღვინო“, დავით აღმაშენებელივით პოეზია და მეცნიერებაც იზიდავდა. იგი მოხუცებულობის დროსაც კი ფილოსოფიის გაკვეთილებს იღებდა² და საგამანათლებლო-მუშაკებს ჩვეული პათოსით მოუწოდებდა: „შრომის ყვაილი დაგვანახვით და თქვენდა რწმუნებული ტალანტი აალორძინეთო“³. ხოლო სტამბის საქმეს,

¹ იესე ოსეს შვილი, 44.

² ისტორიკობრივი აღწერა ვახტანგ ბატონიშვილისა, გვ. 24.

³ ც. არქ ს—გ. ფ. № 28.

რომელიც მან საქართველოში განამტკიცა, „საქვეყნიერო და სჯულ-სამსახურს“ უწოდებდა.

ნადირ შაჰთან აღზრდილი, „კარგად ჰსწავლული თათრულისა და სპარსთა ენისა“, იმავ დროს მუსიკის დიდი ტრფიალი იყო, მცოდნე „საკრავთა და მულამებთა ანუ ვმებთა“¹. სწორედ მის კარზე გაიფურჩქნა ბესიკისა და საათნაფას პოეზია, იგი უაღერსებდა მომღერლებს, პოეტებს და თავის კარისკაცებს ახალისებდა მოსწრებულ სიტყვასა და პოეტურ შეჯიბრებაში. გრიგოლ ბატონიშვილი ერთ ასეთ შემთხვევას გვიამბობს: „ბატონი მეფე ერეკლე დღესა ერთსა მდევარზე წაბძანდა და თავის სიძე ციციშვილი სარდალი თან ახლავს. წითელი კაბა აცვია და თეთრ ტაიქსა ზის და მეფეს წინ უძღვის. ამ დროს ხორგუაშვილი თვედლორე იქ ახლავს და მეფემ უბრძანა: „ხორგუაშვილო, ლექსიო!“

— გკითხვე, ვინ არს წითლოსანი
თეთრ ტაიქსა რომე ზისა?

და პასუხი გასცა მაშინვე ხორგუაშვილმა:

— გკადრებ,—სარდალ-მოურავი,
სიძეაო სიმაღლისა².

ერეკლეს ეკუთვნის აგრეთვე ლექსად განმარტება ანტონ კათალიკოსის ენიგმატიური ლექსისა:

კათალიკოსის ბრძანებული ვარდზედ

(გამოცანა)

უგრძნო ცხოველი,
კეთილ ფშვათ მთოველი;
ვინა მშოელი,
ტკივილს ჰპოვებს ყოველი.

ბატონის მეფის ერეკლესგან ახსნა (წმით)

ვარ დიდ'გვარისა,
და უდარისა.
ამად არისა,
ტკივილთ მწარისა;
აღამის ცნობა
ახსნად კმარისა³.

¹ H 2134: ერეკლეს მასწავლებელი ყრმობაში „სწავლასა და მგალობლობასა შინა“, იოანე ნინოწმინდელი (ჯანდიერი) ყოფილა (იქვე).

² თვედლორე ხორგუაშვილი—XVIII ს. მოწიარე—მოხსენებულია „ქალმასობაშიც“.

³ S 1516, 1519.

აი კიდევ ერთი ნიმუში მეფის გაშვირებისა:

1792 წ. ერეკლემ, ძველ ქართულ სიმღერა ვალობის ტრფიალმა, ტკბილ მგალობელს და ეუსიკოსს—ამბროსი წილკნელს შეუთვალა: „ციცკრის ალილო ქართლსა და კახეთში ალარავის ახსოვსო, ქალაქს ჩამოდი, დაგვასწავლეო. პიტიკოსმა ამბროსიმ პასუხი ლექსად მიაართვა, რაზედაც მეფემ ლექსადვე უპასუხა:

ბატონის ნათქვამი:

შენ ეგ ალილო გვასწავლე,
მე ვიცი, რაც რომ გვარგეო;
ეგ ენა, პირი და გული,
აღადე ჩვენთვის ბაგეო,
ოფოფას მალ გამოგაციო,
მისი გული დადაგეო,
ერთი კიდევ სხვა მოგვწერე
და მერმე აიბარგეო ¹.

ამ პოეტური ექსპრომტების ნიმუშებიდან კი ჩანს, რომ თეიმურაზ მეორის შვილი არც ისე დაშორებული ყოფილა პოეტურ ტრადიციებს, როგორც ჩვენში ჰგონიათ ², და შემთხვევითი არ

¹ ც. არქ. ხელნაწერი (№4—20). იგი დაწერილია თვით ამბროსის (ნეკრესელის) ხელით. შენდევ ამბროსი ასე გვიამბობს მეფესთან შეხვედრას სალხინო დარბაზში, სადაც მან მეფეს საეკლესიო საგალობელი „ციცკრის ალილო“ დაასწავლა: „ქალაქს, ბატონს სალხინოში მრავალნი ახლდენ, იახლა, თაყვანისცა და ეს მოახსენა:

კვალად ისმინე ხელმწიფეე, აღარ ვსდგები წილკანს მეო,
ვერც უშენოდ გავსძლებ სადმე, თუ გინდ კარში გამაგდეო,
ჩემი გაძლება ჩემს გლახაკს,—ჩემს სახლს ახლო მამაგდეო.

„შემდგომად იმავ ღამეს ცხრა საათს გასულს უბძანა იმისმა მზემა, იახლა და ხუთჯერ ბძანა თვითონ [ციცკრის ალილო...] მერე იოთამ უცხო მგალობელი... და გიორგი ხელაშვილი დეკანოზი იქ ახლდენ და იმათ უბძანა: მე ვერ მოვიცილი და თქვენ დაისწავლეო და იმათ ათს დღეზე დაისწავლეს... ბატონი ხშირად ათქმევინებდა...

„მერე მიბრძანა: შენის ძმის დაწერილს ლოცვებში ანდრიას საგალობელი ზოგი დამეწვაო და იმის ხელზე შენ უკეთ გამოსწერო, გარჯითაც გამოვსწერე და მეტიც მიბოძა“ და სხ. (იქვე).

პოეზიისა და სიმღერის მოყვარულ მეფეს საკუთარი შტატი ჰყოლია სასაზღეში მწიგნობარ-მგალობლებსა: „კირილე მთავარ ეპისკოპოსი ციციშვილი იოთამ მგალობელი, დიმიტრი, გარსევანიშვილი კოკია და სოლომონ, მელვინეთ-ხუციშვილი პაატა, ესენი საკუთრად მეფისა ირაკლისა იყვნენ მგალობელმწიგნობარნი“ (იხ. „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, 53).

² რაც შეეება ერეკლეს შვილებს, ისინი აქტიური მონაწილენი იყვნენ მაშინდელი პოეტური ანთოლოგიებისა, და ზოგ მათგანს პოეტის სახელიც კი აქვს დამკვიდრებული.

არის რომ სწორედ „ამის დროს კიდევე უფრო გახშირდა სპარსთა ხმებისა საკრავნი და სიმღერანი და ეცადნენ რაოდენიმე გვამნი და გააკეთეს ქართულის ლექსებით ხმისა ზედა სპარსთასა და დაუკრევდიან ჩანგურსა და სხვათა საკრავთა ზედა და დამღეროდიან“ (იოანე ბატონიშვილი). და თუ მეფეს უყვარდა მარჯვე პოეტური სიტყვა, ნიჟერი ლექსი, ტკბილი სიმღერა, ცხადია, ერეკლეს დანტერესებას პოეზიით უსათუოდ შესაფერი როლი უნდა ეთამაშა ბესიკთან დამოკიდებულებაში.

„კალმასობის“ ავტორის ცნობით ვიცით, რომ კარის მგოსან საათნავს დამსახურება იქ ფაქტითაც იყო გამოწვეული, რომ მას პირველს „გაუკეთებია სპარსულ ხმებზე ქართული ლექსები“, მანამდე „ეს არ იყო შემოღებული“, გვიამბობს საათნავა კალმასობაში! „და როდესაც მეფემან ირაკლი ინება მეჯლისში და მიგვიყვანეს მოსაკრავენი, მაშინ მე სპარსულის ხმით ქართულად ვიმღერე, ბატონს დიდათ იამა და ხალათიც მიბოძაო“.

ბესიკიც ხომ გამგრძელებელია საათნავს ნოვატორობისა. ბესიკიც ხომ „დაშერა“ და გააკეთა სხვათა და სხვათა ხმებისა ზედან სიმღერებისა ლექსები“. და თუ ლექსის მოყვარულმა ერეკლემ საათნავა ხსენებული პოეტური დამსახურებისათვის, დაასაჩუქრა, ცხადია, მას ბესიკისათვისაც უნდა მოეალერსებინა. ბესიკის მგოსნობა ხომ ასე საჭირო უნდა ყოფილიყო სასახლის იმ მეჯლისებრისათვის, რომელთა „წესი და რიგი“ დიდი ხნის შეცვლილი, ხელახლად დადგინდა ერეკლეს დროს.

* *

მგოსანი და მომღერალი ბესიკი მახვილი სიტყვიტაც ყოფილა განთქმული, და ესეც ხომ ერთგვარი სავალდებულო ელემენტი იყო მაშინდელი მგოსნისათვის. ბესიკი ხომ მიმზიდველი ცენტრი იყო იმ ეპოქის პოეზიისა, როცა მფრინავი „ლიზღური“ სიტყვის, მსუბუქი ეპიგრამების, კალანბურის და ანეგლოტების კულტი ჰყვაოდა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ.

„კატისა და თავის ომის“ ავტორის — ზაქარია გაბაშვილის სატირული ტრადიცია მეტად თვალსაჩინოდ მჟღავნდება ბესიკის პოეზიაში. ბუნებრივი უნდა ყოფილიყო, თუ ცნობილი დემაგოგის და სატირიკოსის შვილს ბესიკს დამსახურებული ჰქონია შხამიანი პამფლეტისტიკა და ეპიგრამატისტიკა რეპუტაცია.

პოეტის ერთი ანტიგონისტი ასე გვიხატავს ბესიკის სატირიკულ ხასიათს:

„გაბაანობს, გესლიანობს, გვარძნილია...“

„ღვარძლიანობს...“

„პირად ბილწობს...“

„პინჭყლიანობს, კირვეულობს... და სხვ.“

ასეთ მტრულ დახასიათებაში პასკვილანტი გულისხმობს ბესიკის შხამიან ეპიგრამატულ ლექსებს და დაცინვის პათოსს. შემთხვევითი არ უნდა იყოს ზ. კიკინაძის მიერ ჩაწერილი ცნობაც: ახალგაზრდა ბესიკმა აღარაფერს გაუშვა, რომ მასზე ლექსები არ გამოეღო (ბესიკი, გვ. 8).

ბესიკის ეპოქა ზომ დიდად აფასებდა მსუბუქ პოეზიას, მახვილსიტყვაობას. „ოხუნჯობითი ლექსნი“, „შაირი ხუმრობითი“, „ხუმრობა ზმად“ „შესაქცევარი და სახუმარი“, „ლათაიური“, „გიობითი ლექსი“, „კიცხვითი შესბმა“, „საცინელი შაირი“, რაც ეპიგრამას, პასკვილსა და სატირას უდრის, მძლავრი იარაღი იყო, რომლითაც პოეტი გამოსთქვამდა თავის საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ შეხედულებებს¹.

სამწუხაროდ, ჩვენი ძველი ეპიგრამატული და სატირიკული ლიტერატურა, როგორც მაშინდელი ცხოვრების თვალსაჩინო ძეგლი, ჩვენი მწერლობის მკოდნეობაში შეუსწავლელია და უგულებელყოფილი, თუმცა იგი ერთი თვალსაჩინო ჟანრი იყო, რამდენადაც საზოგადოების კრიტიკულ მიზნებს ემსახურებოდა.

ჩვენამდე მოღწეული ცალკეული ნიმუშებიდანაც ჩანს, თუ როგორ ემარჯვებოდა ბესიკს ეს ჟანრი. იგი ბესიკის პოეზიის აქტიური ელემენტი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ბესიკის სატირა არ გაჩერებულა მცირე ლიტერატურულ ფორმაზე და მან ყოველდღიური სუბიექტური წვრილმანი იუმორი აიყვანა ეპიკურ ჟანრში და მოგვცა ზოგადი ხასიათის სატირული პოემა „რძალდემთილიანი“, რომელიც მხიარული ტონითა და ბასრი ირონიით გადმოგვცემს მაშინდელ მდაბიურ ოჯახურ წყობილებას. ამ პოემაში ბესიკი იჩენს დიდ ნოვატორობას და სატირულ ტალანტს. საყურადღებოა, რომ „რძალდემთილიანი“ დაწერილია ბესიკის შემოქმედების პირველ პერიოდში, თბილისში ყოფნისას: „ამბავი ესე რძალ დემთილთ ჩხუბისა, ნათქვამი ლექსად ბესარიონ გაბაშვილის მიერ ქალაქსა ტფილისს“ (S 1439) და, რაც მთავარია, დავით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსის“ უწინარეს.

1 „მუხამბაზი ლათაიური, ესე იგი გაკიცხვითი, გინა გიობითი, უწოდებენ ვეროპელნი კრიტიკას“... დავით რექტორის განმარტება (S 105).

ეკვი არაა, ბესიკის სატირული გამოსვლები ზოგიერთებში შიშ-საც იწვევდა მოწონებასთან ერთად და გაბედული ეპიგრამებით პოეტს მტრებიც უნდა შეეძინა. ამიტომ ბრწყინვალე პოეტს მომხრეებთან ერთად მრავლად უნდა ჰყოლოდა, ანტაგონისტებიც, რომელთაც ბესიკი არა ერთხელ იხსენიებს ლექსებში „ენით მკვლელი გველის“, „მტერთ“ სახელით.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა გავიხსენოთ ბესიკის ცნობილი ლიტერატურული ღუელი განთქმულ მზეჭაბუკ, ანუ ჭაბუა ორბელიანთან.

მზეჭაბუკ ორბელიანი მსხვილი პოლიტიკური ფიგურაა თავისი დროისა, ცნობილი სახელწიფო მოღვაწე, სამეფოს მდივანბეგი, განთქმული კარისკაცი, „ფილოსოფოსი“, „მეცნიერი“¹ („როზელმაც თარგმნა პერიარმენია არისტოტელისა“ და ჰქონდა საკუთარი ფილოსოფიური სკოლა), „სამართლის წიგნთა მწერალი“. თანამედროვენი წას „სიბრძნის ჩანგს“ უწოდებდნენ. მშვენიერი მელექსე, ეპიგრამატისტი, სატირიკოსი მზეჭაბუკი, იმავე დროს, „შეუღარებელი მოხუმარი“, „ანეგდოტისტი“, „სიტყვათმარჯვეობით ვითარცა ახალი დიოგენი იყო“ (თეიმურაზ ბატონიშვილი. S.3723); „იყო დიდი მოხუმარი, დიდი ოხუნჯი, დიდი სიტყვის მომსწრები“; „სიტყვა მსწრაფლად და მარდად იცოდა“; „იყო პაექრობასა შინა მარჯვე“, „რომლისა ანეგდოტნი მისგან მრავალნი ნათქვამნი უწყიან ქართველთა“; ამის გამო დიდ სახელმწიფოებრივ დამსახურებასთან ერთად მზეჭაბუკი „იყო მეფეთაგან მიჩნეული, რომელიც შეაქცევდის ხუმარსიტყვაობითა“; განსაკუთრებით „მეფე ირაკლის დიდად უყვარდა“. თვით ბესიკი, ეტყობა, დიდ ანგარიშს უწევდა ჭაბუას, როდესაც კერძო ეპისტოლეში უწოდებს „სიტყვით მზეს“, „სიტყვითი სამოთხეს“,

მაგრამ ფილოსოფოსი და რიტორი მზეჭაბუკი არა ნაკლებ განთქმული ყოფილა ფიზიკური სიძახინჯითაც— „ცუდთვალადი, ავ-ტანადი“,

¹ მზეჭაბუკ ორბელიანი ასე დახასიათებულია „კალმასობაში“: „ძველთა ფილოსოფიათა ზედმიწევნილი, ღრთის-მეტყველებასა შინა გამოცდილი და პაექრობასა შინა მარჯვე, აგრეთვე ხუმარ-სიტყვაობასა შინაცა მარჯვე და პასუხისა უცხოთ მომგები. მესტიხეობასა შინაცა ქებული და მსაჯულისა საქმეთაცა შინა გამოცდილი. ამან აღზარდა რაოდენიმე მოწაფენი, ამანვე სთარგმნა ძველი საფილოსოფიათა წიგნი. პერიარმენიად წოდებული, სომხურისა ენისაგან. ესე იყო მეფეთაგან მიჩნეული, რომელიცა შეაქცევდის ხუმარ-სიტყვაობითა, რომლისა ანეგდოტნი, მისგან მრავალი ნათქვამნი უწყიან ქართველთა...“

„ურთიგოდ აგებული“, „კუზიანი, ჩაჯაგვილი“. „სქელი, ბეჭ-მუცელ-მრუდე“, „შესახედავად მზგავსი ეზოპესი“, „ტანად გოდორსა გვანდა“.

აი ასეთ პიროვნებას შეეჯახა პოეტი ბრეტერი.

მზეკაბუკის ფიზიკური ნაკლი ყოფილა დაუშრეტელი წყარო სატირული ლექსებისა. სოლომონ ლეონიძე „ისეც ძალიან მეცნიერი კაცი, იყო ქიშპი კაბუასი და მოხუმარი და ჰაბუას ხშირად ეხუმრებოდა“. სატირული ლექსები ჰაბუაზე დაუწერია აგრეთვე დავით რექტორს: „ბატონიწვილებმა დავით და იონანემ ილაჯი გამიწყვიტეს, მზეკაბუკ მდივანბეგს ამგვარი იამბიკოები მისწერეო და მეც მივქსწერეო“, გადმოგვცემს დავითი (S 105, გვ. 118). კაბუაზე ბოროტი ეპიგრანა უთქვამს აგრეთვე საათნავას.

ბესიკსა და კაბუას თურმე „ლაპარაკი და სამდურავი მოუხდათ ერთმანეთთან“, რის გამო ბესიკმა დაწერა კიცხვითი „ანბანთქება“:

ათინას აღზრდილს აქებდეთ, აღვად ავნორჩად ასულსა,
ბნელ ბაიათა ბრკვილობსა, ბრანგ ბაბუკუად ბასრულსა.
გონჯი გუგანი გაშენის, გახრილად გვერდზე გასრულსა.
სახე დაღრეჯით დამჩაჩულს, დედღურის დრუნგით დასმულსა.
და სავა.

მაგრამ არც კაბუა ორბელიანი, განთქმული მეღექსე და გესლიანი სარკასტი, დარჩენილა ბესიკის ვალში, და საპასუხო სატირა დაუწერია არა ნაკლებ შხამიანი და ცინიკურიც (კაბუას პასუხი ბესარიონისადმი; ისევ „ანბანთქება“). ამ პოლემიკამ სასახლის საზოგადოებაშივე პოევა გამოხმაურება და თვით ვრეკლე მეფეც კი დააინტერესა.

კაბუას პამფლეტს ბესიკმა ახლა უპასუხა უფრო მომკვლელი ლექსით, რომელშიც შეუბრალებლად აღწერა მდივანბეგის ფიზიკური გარეგნობა:

დამპალო ლეშო, თვალ-ხენეშო, გულ-ლადარაო,
ემმაკთ ბუღდო, ბეჭ-ნრუღდო, კერპთ სადარაო,
არ უზიანო, კუზიანო, მაწუწწარაო,
ხილვად საშიშო, გულ-მაევიშო, გარსა-გარაო,
მე შენი ქება მომეწება, არ დაეფარაო!

ბეჭ-მკერდი, კუზი და კურტუმი გაქვს უკულმართი,
გვერდი, კისერი, პირის ფერი გონჯად დანართი,
უთლელის კუნძის შესაგვანი, ვერ გასამართი;
სჯობს დაიკარგო, იმაღლოდე, მოგე-ხს ლართი.
ეს მიკვირს: სახლში რად გიმეებენ, მეტიჩარაო!
და სხვ.

და ამ ლექსის დამატება:

ვინც რომ ვერ გიცნობს, ესრეთ იტყვის; ჰაი, კაბუაო,
ვინც კარგად გიცნობს, გაილიმებს; დიდი ცრუაო!
ლამით ეშმაკაა შეგადრიან; დღისით ბუაო,
რა კაი რამე დაბადებულხარ, მაგ წვერს ფუაო!
და სხვ.

ამ პოლემიკის გარშემო საზოგადოება ორ ბანაკად დაყოფილა-
ირკვევა, ერეკლე მეფე კაბუას მომხრე ყოფილა.

მაგრამ ბესიკსაც თავის მხრივ ძლიერი მფარველი ჰყოლია ტახ-
ტის მემკვიდრის გიორგის სახით: როდესაც ბესიკმა პირველი პამ-
ფლეტი დაწერა კაბუაზე, მაშინ „ეს ანბანთქება მეფე გიორგის
მიართოა“¹.

გიორგი ბატონიშვილისაგან ბესიკის მფარველობა გასაგებია.
იგი „დიდად ეტრფოდა მელექსეთა ძველთა და ახალთა“² და პოე-
ტური სიტყვის კარგი დამფასებელი იყო („უყვარდა დიდად კითხ-
ვა ვეფხისტყაოსნისა, ზეპირად, ძველ დროთა ჩვეულებრივთა წე-
სითა, წარმოსთქმიდა ოცდაათსა და მეტთა მუხლთა; ეტრფოდა
ლექსთა წყობასა და გულმხიარულებით გასაგონად ტკბილად აბო-
ლებდა შოთას ტკბილთა ნათქვამთა“). გარდა ამისა, ის, როგორც
ორთოლოქსი, ჩანს, უთანაგრძნობდა ბესიკის ოჯახს, რომელიც კა

1 ბატონიშვილი გიორგი ყრმობისას ვერსიფიკაციაში ვარჯიშობდა, რაზე-
დაც მის აღმზრდელს პავლეს დაუწერია:

გიორგისა მეფის ძესა
ეჰადის პავლე მელექსესა.

მოკრძალებულ გიორგის უპასუხია:

მელექსედ მე რად ვიწოდებ?—
შენ ინებე, მე ვიწოდებ!

(Пл. Иоселиани, Путевые заметки от Тифлиса до Мцхеты).

2 მზეკაბუე ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოღწეულ-
ლია მხოლოდ რამდენიმე ეპისტოლარული ლექსი:

1 „მზეკაბუე ორბელიანისაგან პასუხი ანახანუმის დის ბარბარესთან მიწე-
რილი.“ S 3686, გვ. 69.

2 „მდივანბეგ მზეკაბუე ორბელიანისაგან ანასტასიასთან მიწერილი,“ S 1516,
გვ. 39.

3 „მზეკაბუეისაგან თქმული ბატონიშვილი ქეთევანის ძეობაში, გიორგი რომ
დაიბადა.“ იქვე, გვ. 139.

4 „ნეკრესლის ქება, ნათქვამი ორბელიანის მზეკაბუე მდივანბეგისაგან.“
S 105, გვ. 79.

პლატონ იოსელიანი მზეკაბუეს აკუთვნებს აგრეთვე ლექსს „დომენტიზე“
(იხ. წყობილსიტყვაობა, შენიშვნა 108), მაგრამ იგი ვახტანგ VI-ს ეკუთვნის.

თოლიციზმისადმი მიდრეკილი ანტონის გამო დაემხო. გიორგი ბატონიშვილი „ქათალიკოზსა ანტონს პირველსა არა სწყალობდა სიყრმიდანვე, ვითარცა კაცსა პაპისაგან ნისისა თეიმურაზისა შეძლებულსა, მოიხსენიებდა არაკეთილად“¹, სხვათა შორის მისთვისაც. „რადგან ვერ ჰსცნო ღირსება შოთასი“² და, ბოლოს, ბესიკი გიორგის საყვარელი ძმის ლევანის მეგობარი და ახლობელი იყო. ექვი არაა. მომავალი მეფე გიორგი ლევან ბატონიშვილთან ერთად ბესიკის მეცენატი უნდა ყოფილიყო³. ამით აიხსნება, რომ ბესიკმა ასე გაბედულად გააფრინა შხამიანი სატირა მზეკაბუკ ორბელიანზე.

რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ბესიკის და ქაბუას გადაკიდებისა? ქვემოთ დავინახავთ, რომ ეს შეჯახება ბესიკის რომანული ამბებითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული, მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ იგი მარტოოდენ კერძო დავა როდი ყოფილა. უსათუოდ აქ პირადმა შეხლამ ლიტერატურული ბრძოლის ხასიათი მიიღო და ბესიკ-ქაბუას სიტყვა-პასუხი იმდროინდელ ლიტერატურულ-პოლიტიკურ მასალად უნდა მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაში საგულისხმოა ერთი საყურადღებო ცნობა თეიმურაზ ბატონიშვილისა: „ქაბუა იყო მეცნიერი კაცი, და კიდევ წუნობდა მისგან (ბესიკისგან.— გ. ლ.) თქმულთა ლექსებსაო.“⁴ ცხადია, აქ ლიტერატურულ გემოვნებათა და პრინციპების შეჯახებასთან გვაკავს საქმე.

ბესიკის და ქაბუას სწორედ პრინციპულ შეჯახებას ნათელს ჰფენს გრიგოლ ბატონიშვილის ერთი ნაამბობიც. როცა ქაბუას ბესიკმა უფრო მწარე ლექსით უპასუხა, რასაც ქაბუას დადუმება მოჰყვა, ერეკლეს მიუმართავს ქაბუასათვის:

— ქაბუაე, რატომ ბესარიონს მაგიერ ლექსს არას დაუწერო? და მაშინვე იმავე წაშს მოახსენა [ქაბუამ]:

— შენი კირიმე, ბლიაძეს რა ლექსი გაეწყობაო! იქ მყოფთ დიახ, ბევრი იციანესო“ (H 2130).

ბლიაძეობა მესტიერეობას ნიშნავს.⁵ მაშასადამე, ფილოსოფოსმა და სქოლასტმა ქაბუა ორბელიანმა ხალხური მესტიერეების

1 პლ. იოსელიანი, ცხოვ. მეფე გიორგი მეცამეტისა, გვ. 8.

2 იქვე, 323.

3 გიორგისა და ლევანის მეგობრობის შესახებ გადმოგვცემს ალექსანდრე ორბელიანი: „ბატონიშვილი ლევან, სულ ერთიან თავად-აზნაურობის საყვარელი იყო და უკანასკნელად მთელის მეფის სახელწოდებისა. ნამეტნავად ბატონიშვილის გიორგის უფრო ძალიან ჰყვარებია, ასე რომ მეტი სიყვარული აღარ იქნება, როგორც იმას უყვარდა თავისი ძმა ბატონიშვილი ლევან“ (H 1655).

4 S 5374.

5 ბლიაძე—მესტიერეების გვარი ქართლში.

გავლენა უქიჟინა და ამით ერთგვარად დაამცირა გალაღებული ბესიკი მეფისა და კარის არისტოკრატიის წინაშე. ცხადია, ქაბუშუმ ბლიაძეობით აღნიშნა ქალაქური ხალხური მელოდიების, ქალაქური საკრავების მოტივების გავლენა, რაც საფუძვლად დაედო ბესიკის ლირიკას. თვით ბესიკის ლირიკულ პიესებსაც ხომ დიდი სიყვარულით მღეროდნენ ქალაქის საზანდრები. და არა მარტო მუსიკალური ხაზით, სიტყვიერი ხელოვნებითაც ბესიკის პირველი, თბილისური პერიოდის შემოქმედებაში („სევდის ბალის“ რკალის ლექსები, „რძალდემამთილიანი“ და სხვ.) მართლაც უფრო შესამჩნევია „ბლიაძური“ ნაკადი, ვიდრე სქოლასტური ღვლარჯნილობა, მაღალი ოდის სიტყვათ — „შეთხზულ შექსულ-შენართულ მომქვერ მეთქომ რიტორულება,“ რაც ბესიკის შემოქმედების მეორე პერიოდს საბოლოოდ დაეუფლა. ოფიციალური სტილის ოსტატი, ძველი პოეტიკის დამცველი ქაბუა ორბელიანი, ცხადია, ტრადიციული „რუსთველური“ პოეტური ფორმისა და ტექნიკის ერთგული იყო. ამ შემთხვევაში კი ბესიკი ნოვატორის როლში გამოდიოდა, რანდენადაც იგი ქალაქური მელოდიების შემოტანით ამსხვრევდა ოფიციალურ ლიტერატურულ გაყინულ ფორმებს და მით ლექსს ათავისუფლებდა ძველი ჩარჩოებისაგან. მაგრამ ქაბუა-ბესიკის შეტაკებაში კლასობრივი მომენტიც უნდა შევამჩნიოთ.

ეპეი არაა, ქაბუას ირონიას ბესიკისადმი, სხვაგვარი აქცენტიც დაჰკრავდა. ლიტერატურული მტრობის გარდა, ზვიადმა ორბელიანმა ბესიკის გამოსვლაში აზნაურის თავხედობაც დაინახა.

მართალია, ჩვენი ფეოდალური არისტოკრატია თავის წრეში ზოგჯერ კიდევაც იღებდა ცოდნითა და ნიჭით განთქმულ პირებს დაბალი წრეებიდან (სოლომონ ლეონიძე, იესე ოსეს შვილი). მაგრამ მათ ყოველთვის აგრძნობინებდა თავის ადგილს და საკუთარ „დიდსქესოვანებას.“¹ ასეთ ზვიადობას იჩენს აზნაური ბესიკისადმიც ქაბუა ორბელიანი, როდესაც მგოსანს „ალიას აღზრდილობას“ უქიჟინებს:

არის ალიას აღზრდილი აღმატების ასადაგით,
ბედით ბრუდი ბესარიონ ბარაბაობს ბილწის ბაგით.

* *

მაგრამ ბესიკის ცხოვრება, რასაკვირველია, მხოლოდ პოეზიის, მუსიკის და ლხინის ხაზით არ მიიმართებოდა. ვერეკლეს კარს დიდი პრაქტიციზში ახასიათებდა და პოეზიისა და მუსიკის მოყვა-

¹ ერთ ბოროტ ეპიგრამაში ნიკო დადიანი „უგვარობას“ უქიჟინებს სოლომონ ლეონიძეს („გვარი არ გაქვსო“).

რული ერეკლეს კარისკაცები უპირველესად საქმის ადაშიანები იყვნენ.

ლევან ბატონიშვილთან ერთად, ბესიკი¹ გარსევან ქავჭავაძისა და სოლომონ ლეონიძის თაობის კაცია, მათი წრის ადამიანი. ექვი არაა, ბესიკსაც უნდა მიეღო სახელწიფო წვრთნილება, რასაც ბესიკის მომავალი სახელწიფო კარიერა გვიდასტურებს—იმერეთის კარზე, მაგრამ სახელდობრ, რა ზოხელე უნდა ყოფილიყო ლევან ბატონიშვილთან, ჯერჯერობით ძნელია დადგენა,—საამისო ცნობები არ მოგვეპოვება (იშის გარდა, რომ ბესიკი ბატონიშვილის აჰალის წევრი ყოფილა და მისი საყვარელი მეგობარი—მგოსანი)².

* *

ფიქრობთ, ბატონიშვილის მხლებელ პოეტს უნდა გაეზიარებინა თავისი პატრონის მხედრული ცხოვრებაც, განსაკუთრებით 1773 წლიდან, როდესაც არსდება „მორიგე“ ჯარი, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია ლევან ბატონიშვილი. „განწესებით“ თვით მეფეც კი მოვალე იყო არ დაჰკლებოდა თავის მორიგეობას. რაც შეეხება ლევან ბატონიშვილს და მის რაზმს, ის თავისი ვადის გარეშეც ხშირად მორიგეობდა ქართლ-კახეთის საზღვარზე მოთარეშე ლეკთა პირისპირ. ცხადია, „მორიგეს“ ვერც ჰაბუკი ბესიკი ასცილდებოდა და იგიც მონაწილე უნდა ყოფილიყო ბატონიშვილის ლაშქრობისა ლეკების წინააღმდეგ. იქნებ ამ ბრძოლების მოსაგონარი იყოს ბესიკის ნათქვამი გარდაცვალებულ ბატონიშვილზე:

ვა, შენდა ომო,
უმისოდ მოსანდომო! („სამძიშარი“).

19 წლის ბესიკი ასპინძის ბრძოლის დამსწრე უნდა ყოფილიყო, რასაც, ჩვენი აზრით, გვიმოწმებს მისი ნაწარმოები „ასპინძისათვის“. ისეთი გადმოცემა ბატალური სურათების დეტალებისა, ბრძოლის ტემპისა და იერიშის რიტმისა, რაც ხსენებულ პოემაში გვაქვს, მხოლოდ სამხედრო ამბების ცენტრში მყოფს, ბრძოლაში მონაწილე პოეტს შეეძლო?

როგორც ირკვევა, ჰაბუკი პოეტი პოპულარული ყოფილა ბა-

¹ ზ. კვიციანიძის ცნობით, ბესიკი თბილისში ქალაქის მალაზიის პატრონთან მდიდარ მოქალაქესთან კომპანიონი ყოფილა („მრეწველობა... საქართველოში“, გვ. 6, 1910 წ.) მეორე ცნობით, ბესიკი იმერეთში ყოფნისას სამდივანმწიგნობრო ხელსაწყო საქმის წარმოებითაც ყოფილა ცნობილი (ბესიკი, გვ. 8).

² საინტერესო თემა: „ბესიკი ბატალისტი.“ სამწუხაროდ, „ასპინძის ომის“ და „რუხის ბრძოლის“ ავტორი ამ მხრივ ჯერ შეუსწავლელია.

ტონიშვილის სამხედრო რაზმშიც, სადაც მაშინდელ გმირთა შორის არა ერთი პირადი მეგობარი ჰყოლია. შენახულა ერთი მოკითხვის ბარათი ბესიკისადმი (შესაძლოა ბრძოლის ველიდანაც)—ვასილ კოტეტიშვილისა¹. ბარათში ბესიკს მოკითხვას უძღვნიან მაშინდელი განთქმული გმირები გოგია ფატრელი² და ქაიხოსრო მურვანიშვილი:³ ...„და შენმა გოგია ფატრელმა გამოუწერელის ერთგულებით თავი დაგიკრა, ქაიხოსრო მურვანოვმა იმავე სიყვარულით მოგიკითხა, როგორც უწინ ერთგულობდა.“ ეჭვი არაა, გმირებიც საკირობდნენ ბესიკის პოეტურ სიტყვას და შემთხვევით როდია მძლავრი სამხედრო თემა ბესიკის ეპოსში („ასპინძისათვის“, „რუხის ბრძოლა“,) რომელსაც შთააგონებდნენ—დავით ორბელიანი, სოლომონ მეფე, ლევან ბატონიშვილი და სხვები. მაგრამ ჩისი შთამგონებლები სხვებიც უნდა ყოფილიყვნენ, უბრალო მოლაშქრეები⁴ არა წარჩინებულის გვარისა, მაგრამ წარჩინებულნი პირადი გმირობით. მე ვფიქრობ, ერთი ასეთი გმირი მოლაშქრე მეგობართაგანი ბესიკისა უნდა იყოს ადრესატი ლექსისა „პირველ სიმღაბლეს აღეკარ“, რომელშიც მოცემულია მხედარი რაინდის იდეალი:

ვით საწოლს შიგან ურიდად
 არ გექმნნეს ბრძოლად ტყენანი,
 არცა გულისა კბენანი.
 ცხენს ნუ შეაწყუდეგ რაზმს გარე,
 გაქუნდეს ხლტომა და ფრენანი,
 ამზანაგთ ექმან ლხენანი.
 ასი ათასთა მგონები.
 გახლდეს ცხენ-თავის შვენანი,
 მტერთ ზარის გამათენანი!..

* *

არა ერთხელ უნდა გაენაწილებინოს კაბუჯ ბესიკს თავისი პატრონის—ბატონიშვილისა და პირადი მეგობრების ხვედრი ბრძოლის ველზე თუ საომარ მდგომარეობისათვის სამხადისში ყოფნისას. და ხშირად მისთვის, როგორც ბატონიშვილის ამალის წევრისათვის, სამძიმო უნდა ყოფილიყო მხიარული თბილისის მიტოვება და საღლაც სალეკო საზღვრებზე ჩასაფრებულ მზირად ყოფნა. თვით

¹ ბესიკი, ჰიჭინაძის გამოც., გვ. 9; H 2690.

² გოგია ფატრელის ანუ გოგია ფათრელის შვილის შესახებ იხ. ცენტრ-არქ. სიგელების ფონდი, №№ 206, 208, 3424.

³ გმირის ქაიხოსრო მურვანიშვილის შესახებ საკმაო ცნობები აქვს შემონახული იოანე ბატონიშვილს („კალმასობა“, გვ. 47-48, 1895 წ.).

ბატონიშვილის წერილებშიც „მორიგეობისას“ არა ერთხელ ჩანს დაუდგრომელი ლტოლვა თბილისისადმი. ერთგან ის იხვეწება, თბილისის ჩამოსვლა მინდაო, მეფეს დააბარებინეთ ჩემი თავიო. „ბატონს ჩემს სიძეს სარდალს დავითს მოკითხვა მოახსენე და ასე უთხარ: ჭაბუამ არ იცის-თქო. აი მეც კაცი ვარ, სისხლი მაქუს და ხორციცაო. და მომეხმარე გასაქირსა-თქო, თუ ჩემგანაც შევლა გიკნობდეს-თქო“¹. სამაგიეროდ, რა სიხარული უნდა ყოფილიყო ბატონიშვილისა და მისი აზლისათვის თბილისში დაბრუნება. აი ერთი წერილი ბატონიშვილისა თბილისში ჩასვლის სამზადისში:

„ბატონიშვილის ლეონის კეთილად სახსენებლო მდივანო მანუჩარ! მერმე გუშინ რომ ხუთშაბათი იყო, ღ'ის მოწყალებით პატარძელს მივედით საღამოზე, და დღეს კიდევ ღ'ითთ ქალაქს შემოვალთ. რომ ინათლებს, აქედამ წამოვალ. ახლა მანდ სადილი უნდა გავგიკეთებინო. ახალი თევზი, რაც იშოვნო, და ძველიც, კარგი სადილი გავგიკეთებინო. ჩენი საგარეო სახლი დააფენინე და ოცის კაცის ხარჯი დაიჭირე, მზად იქონიე. ამ სადილის სარისტა ივანესა და ზურაბას მოეც და შენ ხომ წინ მოგვეგებები, დიად, კარგი იქნება. სადილი კი მზად უნდა იქონიოთ. რაც მოისწრათ, ისრე დაგვიხვედით“².

ბატონიშვილის წერილს მისი სახლის გამგებლის მანუჩარ თუმანიშვილის შემდეგი მინაწერი აქვს: „ღვინო თუნგი კე [25], თეთრი წქ. [4600] დაიხარჯა“.

1772 წ. 1 იანვრიდან 1774 წ. 15 აგვისტომდე ბატონიშვილი ლევან რუსეთის კარზე იყო წარგზავნილი ერეკლეს საგანგებო მინდობილობით და ამ ხანებში ბესიკი, მოზორებული თავისი მეცენატის სიახლოვეს, შესაფერ მფარველობასაც უნდა ყოფილიყო მოკლებული.

1774 წ. ნოემბერს ბესიკს უნდა შეემკო ბატონიშვილის „უწარჩინებულესი ქორწილი.“ „შექცევა დიდი, შუშხუნები. გასაოცრები სპარსთა. მრთელი მტკვარი მოდებული [შუშხუნებს] ბატითა, იხვებითა და სხვა მოთამაშენი თოჯზედ და მართულზედ“³.

* *

ზაქარია ჭიქინაძე გვიამბობს, რომ ერეკლეს კარზე ყოფნისას ბესიკს დიპლომატიურ სარბიელზე უმოღვაწია: „სამეფო სამსახურშიაც საკმარისად დახელოვნებულა და ერთხელ ერეკლე მეფის

¹ ც. არქივის სიგელების ფონდი, № 3353.

² იგივე ფონდი, № 3431.

³ S 3057.

თხოვნით სპარსეთშიც წასულა, ყეინის წინაშე, შესახებ საქართველოს საქმეებისა. სპარსეთში ყოფნის დროს, დიდი საჩუქრები შეუძენია. შეუსწავლია აგრეთვე უფრო კარგად სპარსული ენა, მწერლობა და განსაკუთრებით სიმღერები, ზოგნი ერთნი უწყიან (sic), რომ ბესარიონისათვის ბესიკი სპარსეთში დაურქმევიათ... სპარსეთიდან დაბრუნებული ბესიკი დიდის პატივით მიუღია მეფე ირაკლის⁴. ამის შემდეგ პოეტი მეტად გათამამებულია სასახლეშიო და სხვ. (ბესიკი, გვ. 4-5). ამ ცნობას ბესიკის დიპლომატიურ მინდობილობათა შესახებ ერეკლესაგან სხვებიც იმეორებენ (ხახანაშვილი, გორგაძე და სხვ.).

პირადად ჩვენ ექვის თვალთ ვუყურებთ ბესიკის ელჩობას ერეკლეს მეფობაში. ვფიქრობთ, ზაქარია მოძღვრის შეილს მეფე იმდენად არ უნდა ნდობოდა, რომ იგი ელჩად გაეგზავნა საპასუხისმგებლო დავალებით, ისიც სპარსეთში.

შესაძლოა მხოლოდ გვეფიქრა, რომ, აღმოსავლეთის სასახლეთა ცერემონიალის ტრადიციით, ბესიკი ჩარიცხეს სპარსეთს წარგზავნილ მისიაში წევრად, როგორც მდივან-მწიგნობარი ან მგოსანი (ცნობილია, ქარიმხანს უყვარდა პოეტები და თვით წერდა ლექსებს). მაშინ ბესიკის სპარსეთში გამგზავრება უნდა მიეკუთვნოს მხოლოდ 1772 წელს, სახელდობრ, როცა ირაკლიმ ქარიმხან-ხანდის მოსამშვიდებლად გაგზავნა დესპანები—ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო (პოეტი) და თარხნაშვილი ზაზა. ცნობილია, დელეგაციის შედეგი ბრწყინვალედ დასრულდა. ირაკლის დესპანებმა „მრავლის ლაპარაკითა და ღონისძიებითა“ მოამშვიდეს ქარიმ-ხან და საქართველოზე ლაშქრით წამოსული აიძულეს თავრიზიდან უკან გაბრუნებულიყო. ამაზე აღრე ბესიკის სპარსეთში ყოფნა შეუწყნარებელია მცირე ასაკოვნობის გამო, ხოლო შემდეგ ხანებში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბესიკი სამუდამოდ დატოვებს თბილისს და ერეკლეს სასახლესაც.

შესაძლო იყო ბესიკი რეულიყო იმ ელჩობაში, რომელიც 1772 წლის 1 იანვარს დიდი დავალებით გაიგზავნა რუსეთს პოეტის მეცენატის ლევან ბატონიშვილისა და ანტონ კათალიკოსის შემადგენლობით. მაგრამ ბესიკი არ ჩანს ამ ელჩობის მონაწილედ, ვფიქრობთ, ანტონ კათალიკოსის მიზეზით.

თბილისის ბალებში. ბესიკი და მოქალაქენი

გადმოცემით ქაბუკი ბესიკის სალხინო ასპარეზი უმთავრესად თბილისის ბალები ყოფილა.

საქართველოს სატახტო ქალაქი უხსოვარი დროიდან მშვენიე-

რი ბალებით იყო განთქმული მთელ წინა აზიაში. „გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოველის ხილით და ყვავილით სავსე“ (ვახუშტი). „*Мы горюдох еядов многоимыих много,*“ — გადმოგვცემს ბესიკის დროინდელ ბალებზე რუსეთის წარმომადგენელი¹. ევროპელ მოგზაურს აკად. გჟულდენშტეტსაც მოხსენებული აქვს თბილისის გარშემო „*ვრცელი ვენახები და ხეხილის ბალები*“². ამ ბალებში ჰყვავდა ბესიკის ეშხი, აქ მღეროდნენ ბესიკის მუხამბაზებს, აქ იფურჩქნებოდა ბესიკის „სევდის ბალი“.

შენახულა გადმოცემა, რომ გალაღებული ჰაბუკი ბესიკი „მოქალაქეებს ერეკლე მეფესთან დაუბეზღებიათ: ბესიკმა თავისი სიმღერებით მთელი ტფილისი გარყვნაო, აღარავინ გაუშვა, რომ მათზე ლექსები არ გამოეღოვო. მთელი ტფილისის ვაჟები გალაზღანდარდნენო. ყოველ კვირაობით სოლოლაკისა და ორთაქალის ბალებში განუწყვეტელი ქეიფები აქვსო. მეფეს დაუბარებია ბესიკი და დამუქრებია, თუ არ დაწყნარდები, შენც მამაშენსავეთ გაგაძევებ ქართლიდამაო. ბესიკს პირობა მიუცია დაწყნარებაზე, მაგრამ შემდეგ ისევ მიუყვია ქეიფებისათვის ხელი. მოქალაქეთა შვილებს ხელმეორედ დაახლოებია და ამაზე მრავალნიც ისევ ატეხილანო“³.

ზ. კიკინაძის სიტყვითვე, როცა მოქალაქეებმა უჩივლეს ბესიკს სატრფიალო ლექსებისთვის, „ბესიკი მცირე ხანს დაუპატიმრებიათ კიდევ“⁴. მაგრამ ეს კიკინაძის პირადი აზრი უნდა იყოს. ცნობისათვის — პოეტის დაპატიმრების შესახებ — იგი დასძენს: „რაზედაც თვით (ბესიკი. — გ. ლ.) მოწმობს თავის ლექსებშიო“. ასეთი ლექსი კი ბესიკის შემოქმედებაში ჩვენ არ გვგვულება. ეჭვი არაა, კიკინაძე გულისხმობს ლექსის — „*ცრემლთა ისარნი*“ ბიბლიოგრაფიულ მიწაწერებს, სადაც პოეტის ექსორიობაზეა ლაპარაკი.

ზემოთ ჩვენ ვლაპარაკობდით ბესიკის მკიდრო კავშირის შესახებ ჩვენს მესამე წოდებასთან. „მოქალაქეთა შვილები“, „მდაბიო კაცნი“ ბესიკთან მეგობრობით დაახლოებულნი ყოფილან.

ეს ფაქტი ჩვენთვის საკმაოდ დადასტურებულია. აზნაურ გაბაშვილისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო ეს წრე, მით უფრო, როგორც მგოსნისათვის. ბესიკი, ბუნებრივია, საყვარელი უნდა ყოფილიყო თბილისის ქალაქური ელემენტებისათვის.

¹ Грамоты, I, 188.

² ეს იყო ბალები დირსიქალისა, ორთაქალისა, კრწანისისა, სეიდაბადისა, გარეთუნისა ვერისა.

³ „ბესიკი“, ზ. კიკინაძის წინასიტყვაობა, 1885 წ., გვ. 7; ზ. მთაწმინდელი, „ბესიკი, ალექსანდრე ჰავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი“, გვ. 8.

⁴ „ბესიკი“, გვ. 7.

ბესიკის ბიოგრაფიის მეორე არედ უსათუოდ თბილური მესამე წოდება უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც სწორედ ამ დროს, თუმცა ძალიან უსუსურად, გამოდიოდა ისტორიულ არენაზე. ამ დაჯგუფების განვითარება ფეოდალური დაქსაქსულობისა და პროვინციული განქვეითების გამო საკმაოდ იყო შეზღუდული. მაინც საქალაქო ელემენტები თავის როლს თამაშობდნენ. ვაჭრები, ზარაფები, „ბაზაზიანი სომხები“ ქვეყნის ცხოვრებაში უკვე საკმაოდ ძალას წარმოადგენდნენ თვით სახელმწიფო საქმიანობაში. ეს „საპატიო მოქალაქენი“, „მოქალაქენი დარბაიხელნი“, რომელთა სტუმარი ბესიკი ხშირად ყოფილა, გადმოცემათა მიხედვით, როგორც ფინანსური ტუზები, თავისი ნივთიერი სახსრით მეტად საჭირონი ხდებოდნენ არა მარტო ფეოდალებისათვის, თვით სასახლისთვისაც. ისინი აუცილებელი კრედიტორები ხდებიან¹. „უამათოთ არა რასა საქმესა საქვეყნოსა არა იკერდენ მეფენი, რაეცა ფეოდალთ მთავარნი“².

„მოქალაქეთა შვილებთან“ დაახლოებული ბესიკი, როგორც ამბობს გადმოცემა, ზოგჯერ მათთან კონფლიქტშიც ყოფილა, რასაკვირველია, სასიყვარულო ლექსებისა და ექსპრომტების გამო, რომლებითაც მგზნებარე მგოსანი ამკობდა ამ წოდების მზეთუნახავებს. ეს ფაქტივე უნდა ყოფილიყო მიზეზი ბესიკის არაჩვეულებრივი პოპულარობისა თბილისის უბნებში.

ამ კონფლიქტების მიზეზითაც ხომ არ არის გამოწვეული აზნაური პოეტის სტრიქონები:

ქურდო ვაჭარო, ერთს ყიდი სამად, არ ღირდეს დრამად,
ყანდებრ გვაგემებ, თუ გვნახე ხამად, ბოლოდ ხარ შხამად.

ყოველ შემთხვევაში, ბესიკის დამოკიდებულება მესამე წოდებასთან კარგად ჩანს მისი პოემა „რძალდედამთილიანიდან“.

ბესიკის რომანი. მათა ერისთავის ქაღი.

ბესიკის განდევნა თბილისიდან

სასახლეში გალადებულ ქაბუკ პოეტს მოულოდნელად მოუხდა საყვარელი თბილისის, მისი პოეზიის და სიკაბუკის არეოპაგის—ბრწყინვალე კარის დატოვება და იმერეთში გადახვეწა.

ბესიკი „ეგრეკლე მეფემ საქართველოდამ დაითხოვა“, „გააგლო“.

¹ Крестьянские Грамоты №№ 39, 44, 46, 49, 50, 78.

² პლატონ იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 140.

პოეტის განდევნის შესახებ ზეპირგადმოცემებთან ერთად ლალადებენ ბიბლიოგრაფიული მინაწერები ბესიკის ცნობილი ლექსის „ცრემლთა ისარნი“-სა. რომელიც სწორედ პოეტის განდევნის ხანებში არის დაწერილი:

...„ბესარიონ გაბაშვილისაგან თქმული, როდესაც კურთხეულნან მეფემ ერეკლემ საქართველოდამ დაითხოვა. იმერეთს ყოფაში მისწერა ქართველთა“¹.

...„ბესარიონის მიერ თქმული, ოდეს განიდევნა ქართლიდამ და წარვიდა იმერეთს, მუნ დასწერა სანწუხაროდ“².

...„ოდეს მეფის ირაკლისაგან ტფილისით განდევნილ იქნა იმერეთად“³.

...„ბესარიონ რომ გააგდო ბატონმა, რუსეთს წავიდა“⁴.

...„ბესარიონისაგან ექსორიობის ეამს მუსტაზადი“⁵.

...„ბესარიონ გაბაშვილის მიწერილი საქართველოში, თავის სწორთა და ამხანაგთა თანა, ოდეს სოფლის ვითარებისაგან უცხოობა და მწირობა შეეკმნა“⁶.

თავისი რეზინიაცია პოეტმა გამოიტერა შესანიშნავ ლექსში „ცრემლთა ისარნი“:

1

ცრემლთა ისარნი მოსისხარნი ჩვენდა არენით,
იღმენით გულნი ჭირნახულნი, შეგვიწყნარენით!
უცხონი თემით, სოფლის ცემით გავიგარენით.
უქნობნი ვარდნი, ესგვარ დარდნი, დავიბძარენით,
არ ითქმის ენით, არცა სმენით, ეს იკმარენით!

2

როს გვაგონდებით, შევლონდებით, ლომნო ყმა-ძმანო.
თანხრდილნო, სწორნო, განაშორნო, საყვარლად კმანო!
ვა კიდევანთა, ესდენ თქმათა გლოვისა ზმანო,
ატადის კალოს, სავალალოს, სადა ზართ, თქმანო!
დაგვებრნა ქარმან, დაუწყნარმან, ზღვად ვიფარენით!

3

დაბერდა ყური, სევდის ჭური რა ჰპოვა სოფლით,
დაბინდნა თვალნი შეუმკრთალნი ცრემლით და ოფლით,

¹ S 1534, S 537, გვ. 54-55.

² S 5374.

³ S 1512.

⁴ H 3146.

⁵ S 3686.

დადგესცა ხელნი მარჯვედ წრფელნი შორნი საყოფლით,
ხელმწიფე, გული ცეცხლდაგული, სულით გამყოფლით,
კირსამცა თქვენსა, თუ გალხენსა. მოიხმარენით!

4

დღე ვნატრით მზესა, სიამესა, დილა თქვენს გარებს,
ღამე მთოვარე. ქველ მოარე, ხასიათ გვარებს,
ცისკარ-მთიები, სხვა ციები პირველ გვახარებს
და მერმე ჩრდილოს სასიკვდილოს ღრუბელს დაჭვარებს!
ამ დღე-ღამითა და ჟამითა დავმწარენით!

5

სიხმარს ვემონვით ძილშეკონვით. ნუთუმცა გნახეთ.
სახე უსახო, სავანებახო ეს განვიზრახეთ,
სხვამცა პატრონი, ანუ დრონი, ვერლა დავსახეთ,
ყოიბთა ბანი, გზის საბანი, ეკლით შევსჩმახეთ,
მოყვასთა ცრემლნი სწვიმეთ ცხელნი, მტერთ იხარენით!..

რა უნდა ყოფილიყო მიზეზი პოეტის შეუბრალებელი განდევ-
ნისა? რამ აიძულა ერეკლე თავისი კარიდან გაეგდო სახელოვანი
მგოსანი, რა მოტივს უნდა ჰქონოდა ბესიკის ექსპორიობაში გადა-
მწყვეტი მნიშვნელობა?

ბესიკის განდევნის მიზეზად ასახელებენ პოეტის რომანს სამეფო
ოჯახის ერთ-ერთ წევრთან, რაც ერეკლესათვის შეურაცხმყოფელი
უნდა ყოფილიყო¹.

* *

ტრადიციული ცნობა ბესიკის შესახებ ასეთია:

„1772 წელს დაქვრივდა თეიმურაზ მეფის ასული ანა ბატონი-
შვილი, რომელიც დიმიტრი ორბელიანზე იყო გათხოვილი. ახალ-
გაზრდა ქვრივი თავისი ძმის ირაკლი მეფის სასახლეში დაბინავდა.
ბავშვობიდან ზაქარია მოძღვრის შვილებთან შეზრდილი, იგი სულ
ადვილად დაუახლოვდა ბესარიონ გაბაშვილს და მათ შორის გაიბა
საიდუმლო გრძნობის ქსელი. რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონიშვი-
ლამდე მიულწევია ხმას, ვითომც ბესიკს სხვა ქალი შეჰყვარებოდეს,

¹ 1904 წელს სასოებაძეს [კათალიკოზი კირონი] სოფ. ტირძინისში, მენამულე
სულხანიშვილის ოჯახში, უნაახეს ვრცელი ხელნაწერი კრებული, მონღერალ-
მგოსნის ასლან ზურდაყულიშვილის მიერ შედგენილი. კრებულის 158 გვერდზე
ყოფილა ნაამბობი, თუ რად გავწყრა მეფე ერეკლე ბესარიონ გაბაშვილს და რამ
აიძულა იგი დაეტოვებინა სამშობლო მზარე და სხვაგან გადაბეჭვილიყო: „იკვ-
რია“, № 123, 1904 წ.) საწყუხაროდ, ეს ხელნაწერი დღემდე არა ჩანს.

ეს რომ ანა ბატონიშვილს შეუტყვია, ბესიკი სახლში აღარ მიუღია. უკანასკნელი გრინობით აღსაფხველ ლექსებში თავს იმართლებს, მოციქულებსაც აახლებს ანა ბატონიშვილს, მაგრამ ამჟამად, ერთხელ დახშული სამოთხის კარი მას აღარ გაუღეს. ამ რომანის ამბავმა ირაკლი მეფემდინაც მიაღწია: განრისხებულმა მეფემ ქვრივი და მონასტერში გაგზავნა, ხოლო ბესიკს სასტიკად აღუქრძალა ამიერიდან ამ საგანზე ხმის ამოღება: წინააღმდეგ შემთხვევაში წინაშე მამაშენივით გაგაძევებ ქართლიდაშაო, მაგრამ სიგიჟედ მისული ახალგაზრდა მგოსანი არა ცხრებოდა; ამბობენ: ერთხელ ბესიკმა სასახლისკენ ჩაიარა და აივანზე ორი შავით მოსილი (სამოლოზნო ტანსაცმელი) ქალი დაინახა, რომელთაგან ერთი ანა ბატონიშვილი იყო. ამ შემთხვევის გამო მას გამოუთქვამს ახალი ლექსი „შავნი შაშინი“, რომელიც მალე გავრცელებულა მთელ ქალაქში და მეფემდინაც მიუღწევია. განრისხებულ მეფეს უბრძანებია მსაჯულები-სათვის: ჩემი ოჯახის შეურაცხყოფელი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, მეტეხის ციხიდან გადაადგეთო, მაგრამ სასახლის ერთ-ერთ წვერისაგან ბესიკს მეფის გადაწყვეტილება შეუტყვია და იმერიეთში გაქცევით უშველნია თავის თავისათვის¹.

ამგვარად, ბესიკის მიჯნურად ჩვენს წყროლობაში დღემდის აღიარებულია ანა დედოფალი. იგი უკვე კანონიზებულია, როგორც ბესიკის სატრფო, ერთადერთი შთამომარებელი მისი შესანიშნავი „სეფიდის ბაღის“ ლირიკისა და, ბოლოს, როგორც მიზეზი პოეტის განდევნისა და მისი ცხოვრების ტრაგიკული დასასრულისა.

ეს ანა ჩვენს მკვლევრებს ჯერ ერეკლეს და ეგონათ, მაგრამ უბრალო არითმეტიკული მოსაზრებით (ანა დაიბადა 1722 წ., ბესიკი—1750 წელს) მისი კანდიდატურა უარყოფილ იქნა. ბოლოს პოეტის მუზად გამოვლენილ იქნა ანა ინერთა დედოფალი (მამუკა ორბელიანის ასული). უკანასკნელი კანდიდატურა დღეს თითქმის საყოველთაოდ გახიარებულია (კეკელიძე, გორგაძე, ნაწილობრივ ბარამიძე).

მაგრამ ჩვენ უარყოფთ ანა დედოფალს, როგორც ბესიკის სატრფოს და პოეტის მუზას.

* * *

ლექსი „ანა დედოფალზედ“ შეუქმლებელია დაწერილიყო 1784 წლამდე, როდესაც ანა გადედოფლდა. ამ დროისათვის კი ბესიკი კარგა ხნის განდევნილი იყო თბილისიდან. დედოფლობის დროს

¹ „ბესიკი“, გორგაძის რედ. გვ. 10-11.

კი დავით მეფის ხელში კარისკაცი ბესიკი ასეთ ფამილარულ ლექსს ანაზე ვერ დაწერდა. ჩანს, იგი ბესიკს ანას ახალგაზრდობაში დაუწერია. მაგრამ 1772—1776 წლებში, როცა გათამაშდა ბესიკის რომანი, ანა თითქმის ბავშვი იყო (დაბადებულია 1765 წელს). მაშასადამე, თუ ერეკლეს მოხუცი და შეუფერებელი ობიექტი იყო ქაბუკი ბესიკის რომანისთვის, ანა ორბელიანიც არა ნაკლებ მიუღებელია თავისი შვირე ასაკოვნობის გამო.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არაფათარი სხვა ცნობა, სხვა საბუთი ბესიკის სახელის შეერთებისათვის ანასთან, არ არსებობს, გარდა ერთადერთი ლექსისა („დედოფალს ანაზედ“), რომელშიც ანას სახელი რამდენჯერმე ნახსენებია. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ხსენებული ლექსი ამოღებულია მე-19 საუკუნის ორი ხელნაწერიდან (S 1088—„ბესარიონისაგან თქმული „დედოფალს ანაზედ“; S 6367—„დედოფლის ანასის“). არც ერთი ამ გვიანდელი ხელნაწერებისა, ცხადია, ავტოგრაფს არ წარმოადგენს, ამიტომ, ჩვენ არ ვიცით, ვის ეკუთვნის სათაური „დედოფალს ანაზედ“, პოეტს თუ გადამწერლებს? ამის გამო, ჩვენ ვერ გავიზიარებთ მკვლევართა კატეგორიულ მტკიცებას, თითქოს ამ ლექსში მოხსენებული ანა უსათუოდ ორბელიანის ქალს გულისხმობდეს.

მაგრამ საკითხს ანას შესახებ ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით, სადაც უფრო ნათლად გამოჩნდება ანა ორბელიანის სრული შეუსაბამობა იმ როლთან, რომელიც მას ჩვენმა მკვლევარებმა განუკითხავად მიაკუთვნეს. რაც შეეხება ანას ნამდვილ ვინაობას, საკითხს ღიად ვტოვებთ.

* *

მაშ ვინ არის ბესიკის ტრფიალების საგანი? მივმართოთ უფრო ძველ ლიტერატურულ ცნობებს, რომელთაც ბესიკის მკვლევარები შესაფერ ყურადღებას არ აქცევენ.

ყველაზე უძველესი ცნობა პოეტის ახლო მეგობრის, დავით რექტორისა, ასე გადმოგვცემს ბესიკის რომანტიულ ისტორიას, მისივე ერთი ლექსის („მე მივხვდი მაგა შენსა ბრალებსა“) მინაწერში:

„ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან არის თქმული მუხამბაზი. ბესარიონს ვარდად და იად თქმული უყვარდა და იმასაც ბესარიონ უყვარდა. როდესაც ბესარიონ მოტყუვდა სხვის შეყვარებით, იამ შეუტყო და თავისთან აღარ გაატარა, მაშინ ჰსთქვა:

სევდის ბაღს შეველ.

შემდგომად ბესარიონ თავის დანაშაულს და იას ხადუმთაგან საყვედურს ახლა კიდევ ამ ხუთს მუხამბაზში ამბობს. მსმენელო,

თქვენ იგულისხმეთ, ია ვინ არის და ან მეორე ბესარიონისაგან შეყვარებული. მე სახელები არ დავწერე, არა ჰსჯობდა“ (ა 1164, გვ. 194).

ამავე ცნობას იმეორებს დავითი მეორე ხელნაწერში (S 1512, გვ. 155), რომელსაც ასე ათავენ: „მსმენელნო, თქვენ იგულისხმეთ: ვარდი ვინ არის, თორემ ბესარიონ რომ ვარდს ეძახის, ის ვარდი თავის თავს იას უწოდდა. და ან მეორე—ბესარიონისაგან შეყვარებული ვინ არის. მე სახელები არ დავწერე. არა ჰსჯობდა, თქვენ გამოჰსცანით“ (S 1512, გვ. 155).

ორივე ცნობაში ხაზგასმით ნათქვამია, რომ ბესარიონს უყვარდა „ვარდად და იად თქმული“ და რომ „ბესარიონ რომ ვარდს ეძახდა, ის ვარდი თავის თავს იას უწოდდა“.

ბესიკის სიყვარულის საგანზე ლაპარაკია კიდევ ერთგან (S 1512, გვ. 127), მაგრამ მისი ვინაობა განზრახ არის დაფარული: „ესეც ბესარიონ გაბაონისაგან არის ნათქვამი [...] ახედ სიკვდილს შემდგომად, საწყალობელი [...] თავის თავს [...] ეძახდა და ბესარიონ მისი მეგობარი იყო და ეს შიირი კრემენჩუკს ეთქვა“. და მხოლოდ ერთს ხელნაწერში (ა 1164, გვ. 49) იმავე დავით რექტორის მიერ გაშიფრულია ბესიკის მიჯნურის ვინაობა: ლექსის „ჰაერი ცივან-მიანის“ ქვეშ, გადაწერილი ასეთ შენიშვნას უკვებებს: „ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან მგონია ნათქვამად ყულარალასის ქალს მიაზედ, სიკვდილს შემდგომად. ჰაზრი იმას ჰგავს, და საბრალობელი თავის თავს მია—იას ეძახდა და ბესარიონ მისი მეგობარი იყო. და ეს ერთი შიირი კრემენჩუკს ეთქვა“¹.

¹ საყურადღებოა აგრეთვე ცნობა თეიმურაზ ბატონიშვილისა ბესიკის რომანის შესახებ: „ბესარიონ თავის სიკაბუქეში ერთი მშვენიერის ქალის ტრფიალი თურმე იყო. იმ ქალმა ბესარიონს სხვის კეკლუცის მიჯნურება შესწამა და ამისთვის განრისხებული ბესარიონ გამოსდევნა და თავისი მოწყალე გული დაუქირა, მას ქალს წითელი ტანისამოსი უყვარდა და აჰას ორნი ქალნი ჰყვნენ მეგობარნი: ერთი იისფერი ტანისამოსით იმოსებოდა და მეორე ნარგიზის ფერთა. ბესარიონ თავის ლექსში პირველს ვარდად უწოდებს, მეორეს—იად, მესამეს—ნარგიზად“ (S 3725). თეიმურაზის ცნობა თვით ბესიკის „სვედის ბალის“ პერიფრაზას უნდა წარმოადგენდეს, ისევე როგორც დავით ჩუბინაშვილისა (იხ. მისი „ქართული ლარამატიკა“, 1887 წ. გამოც., გვ. XXXIX).

დაახლოებით თეიმურაზის ცნობას იმეორებს მისი მოწაფე აკად. მარი ბროსე, ოღონდ მცირე გადასხვაფერებით: „Гонорят, он (ე. ი. ბესიკი.—გ. ლ.) был любил в своей молодости в одну прекрасную девушку, которая отпирала его любовь под предлогом, что ее сердце отдано уже другому. Чтобы преклонить ее к себе, он обращается к двум молодым ее подругам, и вот, эти три особы, из которых, одна чрезвычайно любила розовый цвет.“
23. გ. ლეონიძე

მაგრამ დავით რექტორის მეტად კომპენტენტური ცნობის გარდა, ჩვენდა სასიხარულოდ, არსებობს მეორე არა ნაკლებ ძვირფასე საბუთი, ბესიკისა და მაიას მიჯნურობის დამადასტურებელი. S 1088-ის ანონიმი პოეტი—პანგეირიკი გვიამბობს რა ბესიკის დიდ სიყვარულს, „მიჯნურობით დამწვარ“ პოეტზე და მის „გაპკრაზე“:

საწყალსა ბესარიონსა,	აშულსა მართებს ხმობანი,
კვლა ეთჳვა სიტყვა მკვლელისა,	ბულბულთ ყეფანი ყელისა;
მიჯნურობითა დამწვარი,	რიგი არს მიჯნურისათვის,
ცეცხლთა გულმონაველისა.	გაიკრებოდეს ველისა. (sic)

პირდაპირ გვისახელებს ბესიკის სიყვარულის საგანს—მაიას:

ბესარიონ მელექსეთაში	საყვარელთან მუდამ ყოფნა
ქებას გეძღვნიდა [ჩვენ] იმ დარებს,	კაცსა მეტად გაამწარებს.
რუსთელისაებრ ხმა-ტკბილობით	და მაიას წერის გამო
არ აკლებდა არც ერთს გვარებს.	რათ იკვირებ შენ ამ გვარებს? ¹

ვენ არის ბესიკის „მკვლელი“ მიჯნური მაია?

როგორც ვიცით, ბესიკის ლექსის („პაერი ციე ნაზიანი“) კომენტარში, დავით რექტორი, რომელსაც მშენიანად უნდა სცოდნოდა ბესიკის რომანტიკული ისტორია, გადმოგვცემს, რომ მაია ყულარალასის ქალი ყოფილა (იხ. ზენოთ, A 1664, 46).

а другая две, илет фиалки и нарцисса, так что она шробирали под эт цветы и свою одежду,—наобретены в следующей шьесо, каждая под названием своего любимого цвота“ (იხ.—„Взгляд на историю и литературу Грузии“ 1835 წ.).

S 1088 გვ. 1-2; „ბესიკი“, ს. გორგაძის რედ., გვ. 30-31. რადგან „მაია“ ხელნაწერში მკრთალად არის დაწერილი, გორგაძე კითხულობს ასე: „მაიას (?)“. ეტყობა, ძნელი გასარჩევი სიტყვა ჰგავნებია.

¹ კ. კეკელიძე, ეხმაურება რა ჩემს მოხსენებას მაია-ბესიკის რომანის შესახებ (1916 წ.), დასძენს: „გ. ლეონიძის ცნობით, ეს მაია თითქოს ერეკლეს ქვრივი რძალი—მაია ერისთავის ასული ყოფილა. მაგრამ დავით რექტორი კატეგორიულად ამბობს, რომ ბესიკის მეორე (?) სატრფო იყო ყულარალასის ქალი მაია“. შემდეგ მოჰქაეს რა ალ. ბარამიძის ცნობა, „ჩვენ ვიცნობთ ერთ ყულარალასს, რომლის სახელი ბესიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. ესაა ელიზბარ ქსნის ერისთავის შვილი, ქართლიდან გაძევებული და იმერეთის სამეფო კარის უპირველესი მრჩეველი ბესარიონ გაბაშვილთან ერთადო“-ო, კ. კეკელიძე ასკვნის: „ეს თუ ასეა, მაია ირაკლის რძალი ვერ იქნებოდა და მისი ტრფობა ბესიკის გაძევების მიზეზად ვერ გახდებოდა“ (ლიტ. ისტ., II, 1924, 615). ეტყობა, პროფ. ალ. ბარამიძეს გამორჩენია მხედველობიდან არსებობა საქმოდ ცნობილი პიროვნების გიორგი ყულარალასისა.

დასასრულ, გიორგი ყულარალასი ცნობილია კიდევ იმით, რომ 1767 წელს მან საყუთარი ხელით მოჰკვეთა თავი ერეკლესაგან სიყვდილიმისჯილ პაატა ბატონიშვილს.

და ბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ გიორგი ყულარალასი არის მამა ელიზბარ ყულარალასისა, რომელზედაც ლაპარაკობს პროფ. ალ. ბარამიძე.

ყულარალასი ნიშნავდა საკელოს— მონათუხუცესის ანუ ფარეშთ-უხუცესი თანამდებობას, XVIII ს. დასაწყისის ყულარალასობა ორბელიანებიდან ქსნის ერისთავებზე გადავიდა, ხოლო ბესიკის ჰაბუკობის დროს ყულარალასად იწოდებოდა გიორგი ქსნის ერისთავი, ცნობილი მეფისადმი ურჩობითა და ორგულობით. 1777 წელს მან ჩაიდინა მორიგი მუხანათობა, „უკუუღდა“ ერეკლეს, მოიწვია ლეკები, გაამაგრა თავისი ციხე ლიახვზე და წინააღმდეგობა დაიწყო. ერეკლემ შემუსრა ურჩი ფეოდალი, სამუდამოდ ჩამოართვა საერისთავო, მაგრამ სიცოცხლე აპატია და „ყულარალასი გიორგი დაშთა“ ტფილისსა შინა უპატიოდ, ვითარცა ტუსალი“.

სწორედ ამ გიორგის ასული ყოფილა მათა, რომელიც თავის თავს ბეჰედის წარწერაშიც „იას“ ეძახდა (იხ. ქვემოთ).

ტრადიციული გადმოცემა დაჟინებით გვეუბნება, რომ ბესიკის მიჯნური სასახლის წევრი იყო, ბატონიშვილთაგანი, მათა კი მხოლოდ ერისთვის ქალია, და არა ბატონიშვილი. აქ თითქოს ერთგვარი დაბრკოლება გველობება წინ. მაგრამ ჩვენ გამოვარკვევით, რომ მათა ქსნის ერისთავის ასული, იმავე დროს სასახლის ახლობელი წევრია, როგორც ერეკლეს დისწულის— მამუკა ორბელიანის მეუღლე.

მამუკა ძე „ქართლის ჯანიშინის“, დიდად გავლენიანის და წარჩინებულის დიმიტრი ორბელიანისა და ერეკლე მეორის დის ანასი, თვით სასახლეში შობილა და აღზრდილა: „ბატონიშვილის ანანას შვილი მამუკა, რომელიც თვით მის (ერეკლეს დედის თამარის— გ. ლ.) პალატაში შობილიყო და შვილს უწოდებდა“¹. მას ანებიერებდნენ სასახლეში და განსაკუთრებულთ სიყვარულთ ჰყვარებია ერეკლეს, როგორც დისწული. ერთს წერილში იგი მამუკას „საყვარელსა და სასურველს“ უწოდებს².

ასეთივე ნაზი სიყვარულთ ერეკლეს მხრივ სარგებლობდა მათა, რომელიც ქმრითურთ სასახლეში ცხოვრობდა. შენახულა ერეკლეს ერთი წერილი, რომელშიც იგი გულმტკივნეულად კითხულობს მათას ავადმყოფობის აშბავს: „ჩვენის შვილის, ერისთვის ქალის მათას ავანტყაფობა გავიგონეთ. ღვთის გულისათვის, მოგვიკითხე და ამის ამბავი შეგვატყობინე“-ო³.

¹ „თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა“, 12-13. --

² Грехоты, II, I, 68;

³ „ივერია“, 1890, № 235. გაზეთში „ერისთავის“- ნაცულად დაბეჭდილია „თარის“, რაც კორექტურულ შეცდომას უნდა წარმოადგენდეს. წერილი დაპირილებულია 1772 წლის 28 ნოემბრით.

1766 წელს მაიას ეყოლა ანა (შემდეგში იმერთა დედოფალი), ხოლო 1768 წ. ვაეი თამაზი.

1764 წელს გათხოვილი ზაია 1770 წ. დაქვრივდა. ამ წლის ოქტომბერ-ნოემბერში გარდაიცვალა „ყმაწვილი კაცი“ მამუკა ორბელიანი. 1770 წლის დეკემბრის 2-ს შეწუხებული ერეკლეს ასე ატყობინებს მამუკას სიკვდილს მის ბიძას ზაალ ორბელიანს რუსეთში: „პირველად არ გვინდოდა ამისთანა სამწუხარო ამბის მოწერა და შენი შეწუხება, მაგრამ სხუათა წიგნებისაგან შეიტყობდი და ჩვენც იმისთვის მოგწერეთ. ლთმან შენს მტერს მისცეს, რომ ჩვენ მწუხარება მოგვევლინა. ჩემი საყვარელი და ჩემი სასურველი მამუკა მიმტაცა სოფელმან და ჩემი გული უთმინოს და გამოუთქმელ მწუხარებას მისცა“¹.

დაქვრივებული ზაია დარჩენილა სასახლეში...

ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს ბესიკის ერთ-ერთი პირველად ნათქვამი მაიაზე:

განვკრთი, რა ვნახე, რომელს მდიდრად ჰშვენიან თალხნი.
მისთვის შეუცავ აწ სევდასა, მაქვს სულთქმა—ახნი;
მას ვევედრები: ვებრალოდე, მცეს მუფარახნი!

ვეტრფი სურვილით, ვის შვიდნივე არა ჰყავს სწორნი—
ოდეს ვიხილე, მყის გაცუდდნეს მნათობნი ორნი!
ამად ვსტირ, მისნი ვერარა ვსცან საქმენი სწორნი!
უნიხოდ მყოფსა აწ მომძულდეს მიდამო ს რ ა თ ნ ი.

(ე. ი. სასახლის)

ფარული სიყვარულით არის გამოწვეული ბესიკის ნათქვამი:

„შენი ტრფობა საიდუმლოდ მესახა“.
„სიყვარულს ჰგონებ გულდანამალად,
მაგრამ ნთებულად გამოჰკრთის აღად“...

აღბათ ამ პერიოდისაა ქართული პოეზიის მომხიბლავი შედეგ-რი—„შენი შაშენი“, რომელშიც ასახული უნდა იყოს ქვრივი მაიას ხილვა სამგლოვიარო შაგებში¹.

¹ Гримоу, II, I, 68.

² კ. კეკელიძის აზრით, ლექსი „შენი შაშენი“ უნდა წარმოადგენდეს სიმბოლურ აღწერილობას და ქებას, სატრფოს ორის („მრჩობლად მზედნი“) შავის, შავის წამწამებით, შავხავედით მოსილს თვალებისას“ (ლიტ. ისტ. II, 475-476) ანუ ფიქრობდა თეიმურაზ ბატონიშვილიც, რომელიც „შენი შაშენის“ გენეზისისთვის ამბობს: „ეს სტიხი ბესარიონს, ერთის მშვენიერის თვალები მოსწონებია და იმაზე უთქვამს“ (S 3723). აღბათ, თეიმურაზის გავლენით, ხსენებულ ლექსს ან კომენტარს უკეთებს დავით ჩუბინიშვილიც: „ბესარიონ გაბაშვილს უთქვამს ეს-

გადმოცემით, „მშვენიებით სავსე“ ბესიკი მაიას დაახლოებია, მიუწევდომეღ ოცნებას, მშვენიერ ქვრივს და მისთვის მრავალი ლექსი და სიმღერა მიუძღვნია, რასაც ბესიკისთვის „დიდი სახელი მოუხვეჭია“. ალბათ ამ უიმედო სიყვარულის დროს ეკუთვნის „ტანო ტატანო“.

მასში უკვე ცნობილია მაია-ბესიკის რომანის ვითარება:

ამაყად მწყალი ვნახე ლამაზი;
მანცა განმაგლო გარეგან გახი!
შენგან გვაჩნია გულგება ხაზი!
სიხარულიდამ დაბლა კერძ დახი!
შენს გულსა ჰკითხე, მიაპყარ გახი!
შენის გონებით იქნები რაზი:
ჩვენ დაგვთმეო და სხვას ემონები!
ვარდი მით არის გულდაკლებითა,
რომ შენი იყო თავდადებითა—

შენ რისთვის დასამე სხვისა ხლებითა?
თავი მოსწონდა, ჰყვანდი ნებითა—
რად გიკვირს, გასწყურეს ცეცხლმოდებითა?
ნაცვალ მთავხვდა დანახსოვნები!“
რად მიჰყვე სხვათა ჰუამთვრალგება?
ნებით მოშორდი ვარდის კვალგება!
არ შეგიბრალებ შეუბრალგება,
თურცა უყვარდი მისსა თვალგება!

მაგრამ ულმობელი იყო „შემომწყალი ია“ ანუ მაია, რომელიც ამ შემთხვევაში იცავდა თავის ქალურ ღირსებას:

თუ სამართალი არის სადმე. გეზიანების.
ყელი გამოძებერ, პირი დამრჩა შენის დანების!

ბეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრჭყალები:
ბესიკი სიკვდილს არ ვემალები,
თავი მაქვს მისთვის შენაწონები!...

„თუცა შენ დაგვთმო, ვინლა ეპოვო, სად გავიხარდო?
უშენოდ ხილვა არავისი მსურს, შევიხარებო!

შაირი მშვენიერის ორს შავს თვალზედ“ (იხ. „ქართული ლრამატიკა“, გვ. XXXIX 1887 წ.).

ჩვენ არ ვიზიარებთ ასეთ განმარტებას. თუ „შენი შაშენი“ მართლაც თვალების სიმბოლური გამოხატულებაა, მაშინ ლექსში უხეობულობას ქმნის შემდეგი სტრიქონი: „საშირად შარას თვალშემაკვირნი“. ამის გარდა, თვით ლექსიც მშვენიერად ადასტურებს ზეპირგადმოცემის უპირატესობას, რომ აქ იგულისხმება ორი შოასანი, ტრაჯედიკი გამოწყობილი ქალი („შე-მოსვით“, „შეხვედ მოსილნი“), რომელიც გაზაფხულის პირზე მღერიან „ხმა-ყარობად“ („სუფთად მხმობნი“, „მსტინანნი“, „არ მოწყენით მომღერალნი“). ამ ლექსის განმარტებაში ზეპირგადმოცემის ახსნა ჩვენ უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია და ვფიქრობთ, ბესიკის ხსენებულ ლექსში ნაგულისხმევია შვეებში ჩაცმული მაია, ქვრივობის მეორე პერიოდში, თავის ტოლ ნათესავ ანუ მეგობარ ლამაზ ქალთან ერთად.

დასასრულ. უნდა შევნიშნოთ, რომ ლექსში მოხსენებული „ხვედი“ („შეხვედით მოსილნი“) ნიშნავს არა ხვერდს, როგორც ჩვენს მწერლობაში მიღებულია დღემდე, არამედ ყვავილს. თეიმურაზ ბატონიშვილის განმარტებით: „ხვედი ერთგვარი ყვავილია, გრძელი და წვრილ ფურცლებიანი, შავი და სურნელი“ (S 3723).

მე შენმა ფიქრმან მიმარინდნა, ჩაველ ჳირებსა,
ანდამატისებრ მიმიზიდავ, ვჰგავ ნამჳირებსა.
ვარდის ბაგენი შევნიერად სხივ მამპირებსა,
ჩემებრ უწყალოდ მოაყიენებ გასაკვირებსა!
როდეს იქნება შემომხედო გულსა მწირებსა?

„ეტლ-შევიერად მოარული გამსგავსე მთვარეს,
შენის ეშჳითა მასა შეესტრფი, ღამე ველი გარეს:
უტხო შევიქენ ცნობისაგან, ვარ ჳირსა მწარეს
უსამართლობამ, მიკვირს, როგორ ვერ შეგადარეს
არ ვიცი, ვისსა გასწყობიხარ რჯულსა, ფირებსა?“

რით უჰასუბა მაიამ „გულნამტკინარე“ მგოსანს, რომელიც
„შერიგებას“ სთხოვდა „შუა შემოსულ“ მოციქულების (მაიას მე-
გობარი ქალები) შუაზღვომლობით, არა ჩანს, თუმცა ერთი ლექსი-
სიდან („მიწურვილობდა ზანთრისა ჳამი“) ირკვევა, რომ მაიას
გულში რაღაც გარდატეხა უნდა მომხდარიყო ბესიკის სასარგებ-
ლოდ:

მაშ არ ვარ სრულად ბედბმულად,

ამბობს იმედმოცემული პოეტი, როდესაც „მეწალკოტემ“ ახარა:

ვარდისას იტყვი თავს ნამდურალოდ,
მისთვისავე ხარ გულშენამჳეკალოდ,
აჰა, ეშჳის ტყვევ, მჩან შესაბრალოდ,
მე ძალმიძს შენი სალბუნი მალად,
მაგრამ მაყენებს სხვა ვინმე გვამი!

ვინ იყო „ვინმე“ რომელმაც ხელი შეუშალა პოეტს? ვისგან
იყო „ბრკმული“ ბესიკის სიყვარულის საქჳე, არა ჩანს.

საყურადღებოა, რომ ლექსში—„მე მივხდი მაგა შენსა ბრალებ-
სა“, პოეტი რაღაც ბრალსა სდებს „მანტორს“ (მენტორი—აღმზრ-
დელი):

მანტორ, გაბრალებ ფესვით ჰრჳალებსა!

ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ აქ მაიას აღმზრდელი?

ყოველ შემთხვევაში, ლექსიდან — „მიწურვილობდა“ უნდა ჩან-
დეს, რომ მაიას წყრომა მხოლოდ დროებითი ამბავი უნდა ყოფი-
ლიყო პოეტისათვის და მათი სიყვარული ამაჳე არ უნდა დასრუ-
ლებულიყო.

* *

აკრძალული სიყვარული გამომეტყველებულა სასახლეში... შემდეგ ხომ ცნობილია ბესიკის სიყვარულის თავგადასავალი... აქ დაევთმით ადგილი ჭიკინაძის მიერ ჩაწერილ გადმოცემას: „ბესიკსა და მზეთახათუნის (რგულისხმე მიაა—გ. ლ.) სიყვარული ბოლოს გამოჩნდა... მეფე ერეკლემ და დედოფალმა შეიტყვეს და დიდად განარისხდნენ. ბესიკი დაუბარებიათ და საზეფო დარბაზში დიდი საყვედურიც გამოუცხადებიათ, ბესიკს ალთქმა დაუდგია მეფის წინაშე და იმ დღიდან სამეფო სახლსაც განშორებია. მზეთახათუნისთვის კი გამოუცხადებიათ, რომ მოლოზნათ უნდა წახვიდეთ და ცოდვები გაირეცხო. ქალი ჯერ ჯარზე მდგარა და ბოლოს კი დასთანხმებია. სამეფო სახლშივე შეუქოსათ შავს მახარაში და სამოლოზნოთ დაუწყვიათ მზადება. საქმე ისე დატრიალებულა, რომ ბოლოს ქალი სხვაზე გაუთხოვებიათ. ეს ამბავი რომ ბესიკს შეუტყვია, ალთქმა დაუდგია, რომ მე ჩემს სიცოცხლეში ცოლს არ წევითამო, ასეც მოხდა თურმე“. ...ერთხელ ბესიკს ნეტის სასახლის წინ ჩაუვლია და აივანზე უნახავს რამდენიმე შავთ ნოსილი მოლოზანი. იქვე ყოფილა მზეთახათუნი მოლოზნის (?) სამოსით. ბესიკს მათხედ განოუთქვამს „შავნი შაშვნი“... ამ ლექსის შემდეგ ისევე განახლებულა ბესიკში სიყვარული, ისევე მიუყვია ქვიფებისათვის ხელი. მოქალაქეთა შეილებს ხელმეორედ დაახლოვებია და ამაზე მრავალნიც ისევე ასტეხიან. რამდენიმე ხნის შემდეგ ლექსი „შავნი შაშვნიც“ გავრცელებულა ხალხში და დაუწყვიათ მღერა... მოქალაქენი მისულან მეფესთან და განუცხადებიათ: ახლა თქვენ ქალზე (რძალზე.—გ. ლ.) დასწერა ლექსიო! მეფე დიდათ გამწყრალა, მსაჯულნი დაუბარებია და გამოუცხადებია, ბესიკი მეტეხის კლდიდამ ან ნარიყალის კლდიდამ უნდა გადაადლოთო. ეს გარდაწყვეტილება ერთს ბატონიშვილს შეუტყვია, იგი მაშინათვე მისულა ბესიკთან და ყველაფერი შეუტყობინებია. ბესიკი გაოცებულა... იმ ღამესვე გაქცეულა და მით გადაურჩენია თავი“.

* *

თუ გავითვალისწინებთ ერეკლეს სიყვარულს მამუქასადრე. მის გულისტყენას მამუქას უდროო გარდაცვალებით, წარმოსადგენია მისი აღშფოთება ბესიკის რომანით. მეფის რისხვა იმ ფაქტსაც უნდა გაემწვაებინა, რომ, როგორც გადმოცემა ამბობს, ბესიკის ლექსები მათზე „ხალხში გავრცელებულა“. ჩვენ ვიცით, რომ ერეკლე მკაცრი ზნეობის ადანიანი იყო და სასტიკ მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა მთელი სასახლე, ოჯახთან ერთად სასახლის მსახურთა ზნეო-

აც, რის შესახებ არა ერთი ფაქტია ცნობილი. მაგრამ თავი რომ დავანებოთ მეფის ხასიათსა და შეხედულებას, თვით მაშინდელი მალალი საზოგადოების ოფიციალური ზნეობისთვისაც ბესიკის გაბედული გამიჯნურების გამქლავება თითქმის მკრეხელობას უდრიდა. წარმოსადგენია, თუ რა წყრომა უნდა გამოეწვია მეფისა და სასახლის საზოგადოებისა ბატონის რძალ მიაზზე საჯაროდ გამოტანილსა და ნამღერალ ბესიკის ლექსებს.

* *

ასეთი იყო მია-ბესიკის სიყვარულის ტრაგიკული ისტორია. ახლა, როდესაც ვიცით, რომ ბესიკის სატრფო მეფის რძალი მია ყოფილა, გასაგები ხდება პოეტის მიმართვა სატრფოსადმი:

ანთებულ ცეცხლსა შესაწველად ხელი შეგახე...
რად არ ვიცოდი, არა გყვანდი შენი საფერი.

* *

ქმრის, მამუკას სიკვდილისა და ბესიკთან უბედური რომანის შემდეგ ახალგაზრდა მია მეორედ გათხოვილა, როგორც ამბობს ცნობა, მოცემული მისი ბეჭდის წარწერაში: „მია ყულალარაზის ასულის ბეჟედზედ, კნენა ორბელიანისა, რომ დაქვრივდა იგი:

სოფელმა იავრობითა,
დამცა ყვაილი ზრობითა.

და როს მეორედ გათხოვდა, დასწერა ესრეთ:

სოფელო, შენმა იამა
შენიფე ნახვა მიამა¹.

შემდეგ მია იარგება წყვდიადში. დაქვრივების შემდეგ მიას დიდხანს აღარ უცოცხლია და ბესიკის კრემენჩუკში ყოფნის დროს, 1787-1788 წლებში გარდაცვლილა.

¹ „დროება“, 1875 წ., № 105. № 105 ერთ მოვლიანდელთა ხანის ბელნაწერს (S 1635/ბ) ბეჭდის პატრონი მია შეცდომით მუხრანის ბატონის ასულად მიუჩნევია: „მია ერისთავი ჯერ გათხოვდა ბეგლარ ერისთავზე, მერმე გივი ჩოლოყაშვილზედ. ყოფილა დაი ივანე მუხრანბატონისა“, ცხადია, აქ ლაპარაკია სხვა მიაზე და არა „კნენა ორბელიანზედ“.

საყურადღებოა, რომ მიას ბეჭდის ლექსები, სწორედ ერისთავების ოჯახში შენახულა მემკვიდრეობით. გაზეთი „დროება“ აქვეყნებს რა ამ „ბეჭდის ლექსებს“, დასძენს: „ეს ლექსები [დავით] გიორგის-ძე ერისთავმა გადმოგვცა დასაბეჭდათა“ (1875 წ., № 105).

მაიას სიკვდილზე ბესიკს კრემენჩუქშივე უთქვანს შაირი „ჰაერ-რი ცინამიანი“ (A 1164, გვ. 49):

ჰაერი ცინამიანი,
ჩემთვის აღარა დლიანი,
მას ვშორავ გულსევედანი,
ვის მოლოდნა მაქვს გვიანი.
ქუფრხვევით თვალტრემლიანი,—
აღარასადა ხმიანი,
თავმოხრით იყო იანი,
სხივნი ჰკლებოდეს მხიანი.

* *

ბესიკის მაიასთან რომანის პერიპეტეები მოცემულია „სევდის ბალის“ რკალის ლექსებში:

1. „სევდის ბალს შეველ“, 2. „ბულბულო, მოდი მწუხარებით“, 3. „მე მივხვდი მავა შენსა ბრალებსა“, 4. „მე შენმა ფიქრმან მიმარინდა“, 5. „ტანო ტატანო“, 6. „ბულბულის შურსა“, 7. „მე შენი მგონე“, 8. „ვარდო სასურო, მაისურო“, 9. „მიწურვილობდა ზამთრისა ჟამი“, 10. „შავნი შაშვნი“, 11. „შეყრილან ერთად მკრთოლვარენი“.

აქედან ხუთი ლექსი ეკუთვნის იმ მომენტს, როდესაც პოეტი „სხვის შეყვარებით“ მოტყუება: „იამ შეუტუო და თავისთან აღარ გაატარა, მაშინ სთქვა: „სევდის ბალს შეველ“, შემდგომად ბესარიონ თავის დანაშაულს და იას ხადუმთაგან სიყვარულს, ახლა კიდევ ამ ხუთს მუხამბაზში ამბობსო“¹. გადმოგვცემს პოეტის მეგობარი დავით ალექსი მესხიშვილი.

მაშასადამე, ბესიკის განთქმული „სევდის ბალი“ შთაგონებულია მხოლოდ მაიას სიყვარულით, რომელმაც ბესიკის პოეზიას უკვდავების ბეჭედი დაასვა.

ბესიკის ლირიკის გრანდიოზული ვნება გამოწვეულია მაიას მიერ.

* *

ისევ მაიაზე და ანა დედოფალზე.

ამიერიდან უკვე შეუძლებელი ხდება ლაპარაკი ანას რომანზე ბესიკთან. სხვანაირად ანომალიასთან გვექნებოდა საქმე. ახლა ჩვენ უკვე ვიცით, რომ ანა დედოფლის დედა--მაიაა. ისიც გასაგები ხდება, თუ რა მოტივით უნდა მიეძღვნა ხსენებული ლექსი ბესიკს

¹ A 1164, გვ. 184.

თავისი სატროფოს ქალიშვილისადმი (თუ ამ ლექსში მართლაც ანა დედოფალი—ორბელიანის ქალი—იგულისხმება).

საყურადღებოა, აგრეთვე, ამ ლექსის შემდეგი ადგილი:

შემოსა ხელი,
ითნო სახელი
მისმან გუანმან პაწაწანამან.

შესაძლოა აქ ლაპარაკი იყოს „პაწაწა ანაზე“, რომელიც მისი „გუანია“, ე. ი. მგვანი დედის—მამისი თავისი მშვენიერებით. ჩვენი დაკვირვებით, ნაწარმოები „დედოფალ ანაზედ“ უნდა შედგებოდეს ორი სხვადასხვა დროის დაწერილი ლექსისაგან. პირველი ლექსი უნდა შეიცავდეს 1—5 სტროფს და, ჩვენი ფიქრით, დაყვირილი უნდა იყოს ანას ახალგაზრდობაში, სატროფოს ქალიშვილზე მეგობრულ-საალერსოდ.

ლექსის მეორე ნაწილი, უკეთ, მეორე ლექსი ნათქვამი უნდა იყოს ანას დედოფლობისას. ეს ლექსი უკვე მიმართვია „ხელმწიფისადმი“ ერთგული კარისკაცისა, და ჩვენ ვიცით, რომ ბესიკი დავითის და ანას კარის „მდივანთუხუცესი“ და დესპანი იყო.

ამ ლექსში უკვე აღარა ჩანს ფამილარული კილო აღრესატიისადმი; აქ უკვე მოკრძალებული ქვეშევრდომი ერთგულებას ეფიციება „ხელმწიფეს“:

ხელმწიფევე, გული
შენთანა ბმული
წყალობიანად მომცემო შვების!

თუცაღა გცოდნე,
ვიყო შემცოდე,
შენგან წყალობით ნუ მელხინების! და სხვ.

ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სათაურქვეშ: „დედოფალს ანაზედ“ გაერთიანებული უნდა იყოს ორი ლექსი ანუ ექსპრომტი ერთი და იგივე აღრესატიისადმი.

და, ბოლოს, სწორედ დედის სიყვარული უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ მამას შვილი ანა დედოფალი, უკვე რუსეთში მყოფი გადასახლებაში, დიდი გულმოდგინებით აგროვებს ბესიკის ლექსებს. ასე, ბესიკის ძმის ოსეს წერილებში დედოფალ ანასადმი ხშირად შეხედებით ლაპარაკს ბესიკის ლექსების შეგროვების შესახებ: „...რომელიც თქვენ წიგნები ან ლექსები ძმისა ბესარიონისა გეთხოვათ, ყოველივე ერთად წარმოგიგზავნე — სწერს ანე ანა დედოფალს—გებძანათ ლექსი ძმისა ბესარიონისა თქეულნი, მაშინ საჩქაროდ ველარ მოვასწარ, არა მაქუნდა დაწერილი შ'დ ვიფიქრე და-

ვიწყებული და გავიხსენე რომელიმე“. 1821 წელს, ბესიკის გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ, ოსე სწერს დედოფალს: „ლექსები რომ გებძანათ ბესარიონისა. აქ არ მამყოლია, და თუ რამ ზეპირ ვიცი, გავიხსენებ, დაეწერ და მოგართმევ ხელმწიფეო“, და შემდეგ: „ჩემის ძმის ბესარიონის თქმული ლექსები, რაც გამახსენდა, დაგიწერეთ. ესენი ერთიანად დანუსხვილი, აკინძული მიახლებია“. ...„გებრძანა, გზაზე წამხდარიყო რვეული ლექსთა ჩემ მიერ მორთმეული, ამისთვის ნუ შესწუხდები. უჯობესად განგიახლებთ“ და სხვ.

* *

გადმოცემა ბესიკის რომანის შესახებ: ბესიკის მიერ სასახლის ქალის ტრფიალი, ქალის დაქვრივება, სიყვარულის გამეღავენება.

სასახლეში, მეფის რისხვა პოეტზე — ემთხვევა ზაია ერისთავის ქალის რეალურ ამბავს. გადმოცემას მშვენიერად მოუღწევია ჩვენამდე, მხოლოდ პოეტის სატრფოს სახელი არ შემოუნახავს და „დედოფალს ანაზედ“ დაწერილი ლექსის წყალობით, ზაიას სახელი სრულ დავიწყებას მისცემია...

ახლა გასაგები ხდება, თუ რატომ იყო დღემდის ბესიკის ტრფიალის ვინაობა სასტიკი საიდუმლოების ქვეშ. ბესიკის გამიჯნურება მაიასთან ხომ ერთგვარ კომპრომენტაკიას აყენებდა, როგორც სამეფო სახლს, ისე ორბელიანთა და მათ მონათესავე დიდ ფეოდალურ ოჯახებს. ამიტომაც გადაწერილები ვერ ბედადნენ ბესიკის სატრფოს ვინაობის საჯარო გამჟღავნებას. უნთავრესად, ამის ნიშნით, ზოგ ხელნაწერში სრულიადაც ამოფხეკილია მაიას სახელი. მაგ., S 1512 ხელნაწერი ასე მუნჯურად მოგვითხრობს მაიას შესახებ: „ესეც ბესარიონ გაბაონისგან არის ნათქვამი [ყულარალასის ქალს მაიაზე] სიკვდილს შემდგომად. საბრალობელი თავის თავს [მაია იას] ეძახდა და ბესარიონ მისი მეგობარი იყო“, და სხვ. ამატომ იყო იძულებული დავით რექტორი გაეფრთხილებინა მკითხველი: „მე სახელები არ დავწერე, არა სჯობდაო“ (იქვე), თუმცა ბესიკის რომანი იმდენად პოპულარული უნდა ყოფილიყო, რომ დავითის მოუხსენებლადაც იცოდნენ პოეტის სატრფოს ვინაობა. ამიტომ მიმართავს დავითი მკითხველებს: „თქვენ გამოჰსცანიეთ“.

* *

ამგვარად, ბესიკის ტრაგიკული სიყვარულის მიზეზი ყოფილა მაია ერისთავი, რომლის ძვირფასი სახე დღემდის დავიწყების ბუ-

რუსით იყო მოცული¹. ჩვენმა მკვლევარებმა მაიას როლი ბესიკის ცხოვრებასა და პოეზიაში, გაუგებრობით, მაიას ქალიშვილს ანას მიაკუთვნეს.

ამიერიდან მაიას ძვირფასი აჩრდილი განუშორებლად იდგება ბესიკის გვერდით.

* *

გვრჩება გამოსარკვევი ბესიკის „მეორე შეყვარებულის“ ვინაობა. სამწუხაროდ, სრულიად უცნობი რჩება სახე იმ ქალისა, რომელმაც ასეთი საბედისწერო როლი ითამაშა ბესიკის ბიოგრაფიაში.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ბესიკის ლექსს: „რა გული დავაგე შენად სარებლად“:

რა გული დავაგე შენად სარებლად,
მუნთგან ვარდს გიჟენ მით ამარებით,
ვიცი, დღენი მიხსენ შენდა მარებლად,
მისთვის თავს შეგწირავ მით ამარებით.

როს ვარდი მიშალე და მანდარია,
მით მოჰკალ ბულბული და მანდ არია,
კვლავ ჩემი სალბუნი და მან დარია,
თუ მწყლავ, ნუ გამაგდებ მითა მარებით.

მე იგი ვარ, დღეს ამ არეს არა,
არ იდრიდი მთენთა ამარეს არა,
აწ არლა მოზხედე ამარეს არა,
მე სხვას გიცნობ, სხვისად მითამარებით.

აწ არ მნახო მრხეო დაიარედა,
ვინ უწყალოდ გული დაიარედა!
შენთვის მკვდარს ბესიკხედ და იარ ედა.
ნუ თუ კვლავ მაცოცხლო მით ამა რებით!

ლექსის თითოეულ სტრიქონში გამომკლავნებულა ზმით სახელი თამარ. ვინ არის ამ ლექსის ადრესატი თამარ, არ ვიცი, მაგრამ

¹ მაიას სახელს, ალბათ, მისი პატივისცემით, ატარებდა მისივე შვილიშვილი შაია თამაზის ასული თუმანიშვილისა—ბრწყინვალე სილამაზით განთქმული, გრი-გლო ორბელიანის სიკაბუჯის მუზა, რომელსაც შემდგომი ალექსანდრე ჭავჭავაძემ უძღვნა ლექსი:

არა ერთხელ სიკაბუჯე დაუჩაგრავს სიბერესა.

არა ერთხელ ბედის დილა დაუბინდავს შავს ღამესა (S 1635).

მაიას ახლო ნათესავია (ბიძაშვილის ასული) ცნობილი მანანა ორბელიანი—ქართველი რომანტიკოსების უკვდავი მუზა, ზოლოქიას პირდაპირი ჩამომავალი დინო ორბელიანი—ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი სიყვარული,

ვფიქრობთ, რომ ამ ღრმა განცდის მატარებელი ლექსის შთამავგონებელი ვერ იქნებოდა ის ქალი, რომელთანაც ბესიკს მსუბუქი მიჯნურობა მალე სანანურად გაუხდა¹.

რაც შეეხება მზე ხათუნს, მზეთახათუნს, რომელსაც ბესიკის მკვლევრები ხშირად პოეტის მუზასთან აიგივებენ, ისიც გაუგებრობის ნსხვერპლია. მზეხათუნს არაფერი საერთო ბესიკის რომანთან არა აქვს. ეს გაუგებრობა უნდა გამოეწვია ბესიკის ორ ლექსს („ვართ კარგის მგონე“, „აღვახვამ ქებად ბაგესა“), რომელთაც ხელნაწერში სათაურად უწერიათ მეფის „ასულის მზეხათუნისთვის თქმული“. მზეხათუნი კი ანა დედოფლის ქალიშვილია, დავით იმერთა მეფის ასული (მზეხათუნისადმი უნდა იყოს აგრეთვე მიძღვნილი ლექსი: „მე სული ჩემი ფეშქაშად“ თუ მართლა ბესიკს ეკუთვნის, როგორც გვამცნებს ზოგი ხელნაწერი). ბესიკის დროს მზეხათუნი სულ ბავშვი იყო. იგი 1803 წელს გათხოვდა ზურაბ წერეთლის ვაჟზე—სვიმონზე. დავით მეფის სიკვდილის შემდეგ მზეხათუნი სოლომონ II თავის პალატში აღუზრდევინებია, როგორც მისივე ნაწყალობევი სიგელი გვიამბობს².

* *

ბესიკის რომანტიული ისტორია უნდა ყოფილიყო მთავარი ნიჟეზი ბესიკის განდევნისა.

მაგრამ, ვფიქრობთ, ბესიკის განდევნას, რომანთან ერთად, სხვა ამბავიც უნდა სდებოდა სარჩულად. მაიას ტრაგიკული სიყვარულის გარდა სხვა შემავალი მომენტებიც უნდა გავითვალისწინოთ.

მაგალითად, ისეთი კომპეტენტური პიროვნება, როგორც იყო ბესიკის თითქმის თანამედროვე—დავით ბატონიშვილი, გარკვეულად გვეუბნება, რომ ბესიკი იყო „ექსორია ქმნილი მამითურთ თვისით იმერეთს, ანტაჰასა გამო ქათალიკოზისა“³. დავითის ცნობას ისევ ზაქარიასთან მივყავართ.

1771 წელს რუსეთიდან დაბრუნებული ზაქარია, ცხადია, არ დასცხრებოდა ერეკლესა და ანტონის წინააღმდეგ. ნაშობღერალის ახალი ინტრიგები კი იმერეთის მეფის სოლომონის ინტერესებში შედიოდა. ცნობილია, რომ ერეკლე მეორე და სოლომონ პირველი

¹ თუ ამ ლექსშიც, ისე, როგორც „მზეხათუნისადმი“ მიძღვნილს ლექსში, „მეგობრული“ სიყვარული იფლისხმება, მაშინ ამ ლექსის ადრესატად შესაძლოა მივიჩნიოთ ანა დედოფლის მეორე ასული, მზეხათუნის და თამარ, შემდეგში გურიის ერისთავზე გათხოვილი.

² №1 9666.

³ მასალები... მ. ჯანაშვილის გამოც., გვ. 26.

დინასტიურ მტრობაში იყვნენ. და თუმცა 1773 წ. 23 ივნისს მათ შორის დადებულ საგარანტიო ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო: „დღეის იქით დამნაშავე ჩვენზედ, რაც უნდა რიგი კაცი იყოს, ჩვენი ყმანი, თავადნი თუ აზნაურნი, ერთიერთმანერთ, თვინიერთებით გარდასახლებული ორსავე მხრიდამ, გლახნი ანუ სხვა, დაუყონებლივ მივსცეთ“¹ მაინც, ამის მიუხედავად, სოლომონიც და ერეკლეც სისტემატურად იყვანდნენ თავის მფარველობაში ერთ-მეორის უკმაყოფილოთ, განდგომილთა და აჯანყებულთ.

ასე მიიღო ერეკლემ სოლომონის შემკვიდრე ალექსანდრე, რომელიც მამას გამოერიდა, აგრეთვე სოლომონის ძმა არჩილი და ძმისწული დავით (შემდეგში მეფე)—სოლომონით უკმაყოფილონი. სამაგიეროდ, სოლომონმა სიამოვნებით მიიღო ერეკლესაგან განდგომილი ელიზბარ ქანის ერისთავი, შეთქმული ალექსანდრე ამილახვარი, და ბოლოს ზაქარია გაბაშვილი, რომელიც: ვახტანგ VI მემკვიდრეების—(ქართლის ტახტის პრეტენდენტების) დავალებით, ერეკლეს საწინააღმდეგოდ უნდა ჩამოსულიყო იმერეთს.

რამდენიმე წლის უნახაოზის მერე მოხუცი მამის დაბრუნება რუსეთიდან, ცხადია, აატოკებდა ბესიკის გულს. ეწვი არაა, ბესიკი ფარულად მაინც მოახერხებდა ჰშობელთან კავშირის გაბნას. ზაქარიაც ხომ შესძლებდა გაფანტული შვილების მონახვას და, მართლაც, ჯერ კიდევ ბესიკის განდევნაზე უადრეს, ზაქარიას შვილებს უკვე ვხვდავთ იმერეთის კარზე. ასე, 1776 წ. ზაქარიას უფროსი შვილი ოსე უკვე ჩანს სოლომონ I საბლთუხუცესად.² ანტონი—მდივანად. სოლომონს უზვად დაუსაჩუქრებია გაბაშვილები, მაგ., ოსესთვის უწყალობებია სოფელი კვაცხუთი³. ასევე ნიკოლოზს ჰქონია „პატივი მეფისაგან“.

ეწვი არაა, მათი მოწყობა სოლომონის კარზე ზაქარიას მონაწილეობის გარეშე არ იქნებოდა. ამ შემთხვევაში საყურადღებოა ქაბუა ორბელიანის პასკვილის ადგილი ბესიკზე. იქ ზაქარიაზე ნათქვამია:

შენგნებით შეკურვილმა, შეაძულა შვილნი შუაით-ო⁴.

აქ ლაპარაკი უნდა იყოს ნამოძღვრალი ზაქარიას ინტრიგებზე და მისი ზეობებით და მიზნებით ერეკლესაგან ზაქარიას შვილების

¹ Грамоты, II, I, 68.

² დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, გვ. 51, ს. კაკაბაძის გამოცემა.

³ 56. ს. იქვე, ქართლის ცხოვრება, კვ. გამოც. 260, სქოლიო („შენიშნულება გაბაშვილისა“).

⁴ S 16128. ვარიანტი: „შეიძულა შვილნი შორით“. II 2:30.

შეძლებს. შეძლება მეფის მხრივ კი გამოიწვიოს, ალბათ, მათმა ჩაბნამ ზაქარიას მტრულ საქმიანობაში ერეკლესა და ანტონის მიმართ.

მამისა და ძმების იმერეთში ყოფნის დროს თბილისში დარჩენილი ბესიკის მდგომარეობა საგრძნობლად უნდა შერყეულიყო. შეიძლება ამ მომენტს დაემთხვა ბესიკის რომანტიკული ისტორია, რითაც ისარგებლა ანტონ კათალიკოსმა და მოსახლეს მტრის შვილი ბესიკი, რომელიც ახლა უკვე საშიში ხდებოდა, მეფეს საბოლოოდ გააწირვინა. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეკლესიის მეთაური ისედაც უკმაყოფილო უნდა ყოფილიყო ბესიკის სატრფიალო ლეკებისა და სიმღერების პოპულარობით.

რა ბრალდება შეეძლო მოეხვია ანტონ კათალიკოსს ბესიკისათვის?

უპირველესად, მამასთან კავშირის გაბმა, ზაქარიას რაიმე დავების შესრულება.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ანტონის და ანა ბატონიშვილის (მაიას დედაპთილის) შესაძლებელი შეკავშირებაც უსათუოდ ანტონთან ერთობირზე ზაქარიას და ბესიკის მიმართ იქნებოდა ბესიკის რომანით აღწვთებული მაშუკას დედა — ანა, ზაქარიას ძველი მტერი და ანტონის თანაზრახველი. ცნობილია, რომ ანტონის დამხობის დროს ანა ბატონიშვილია საკმაოდ გამოაშფოთებული მოპირეობა, რისთვისაც იგი საჯაროდ გაიციბა კიდევ ზაქარიამ (იხ. ზემოთ) ¹. ისიც ცნობილია, რომ რუსეთიდან ანტონის დაბრუნების საქმეში ანა ბატონიშვილმა დიდი როლი ითამაშა. და თუ პლატონ იოსელიანს დავუჯერებთ, კათალიკოსის რეაბილიტაცია და მისი რუსეთიდან გამოწვევა „ანას მიზეზით“ მოხდა (S 3181).

¹ ზაქარია გაბაშვილი ანტონის განდევნის შემდეგაც არ ინდობდა ანა ბატონიშვილს და თვით ექსორიაკნილ ანტონისადმი მიმართულ წერილებშიც კი ქირდავდა, რაზედაც აღწვთებული ანტონი რუსეთიდან ასე უპასუხებდა: „ანასთვის მეფის ასულისა... სხვა და სხვა ტიტლოები მივცე და ისე კარგ კმაყოფილად გაგვლანაწა. მაგათს აგრე შეურაცხად ხსენებხუდ შენს სინდისსა ჰკითხვე, ნაშუსთა ჩემგან, რომ ბევრი ვიცინო... თუ მაგ ქვეყანაში დიდნი ვინმე ხართ, მიფეთაგანნი, თუ არ ეგენი და მათგანი სხვანი, არავინა ხართ და მაგათ ჩემის დაკარგვისათვის თავიანთი თავები აგრე სალანძლავად თქვენ და თქვენს მეგობრებს მოუყაროს და მე მაგაზედ, ნუ გეწყინება. ბევრს ვერ ვიცინებ. ეს კი ვიცი, ანა ჩემი და არის. ისე არ არის, რომ ჩემს მეტი არა ჰყვანდეს რა, ვინც მანდ მეფობენ, იმათი ქალია და და არის... და ეს ვიცი. რომ ვგ გივი არ არის. და ნაცილადაც გიბრძანებით, ბევრი მოვიდნენ მანდედამ და ვიკოხე და ფიცით დამარწმუნეს, რომ არ გაგერებულაო. და თუნდა აგრეც იყოს, სწულვებაზედ ვინ აიგდებს და აგინებს გონიერთაგანი მაგისთანა პერსონასა“. H 2510.

ზაქარას რუსეთიდან დაბრუნებისა და ბესიკის რომანის გამოკათალიკოსის ინტერესები უფრო მჭიდროდ იქნებოდა გადაბმული და მათ შეერთებულ ძალას არ გაუჭირდებოდა ისეთი პატარა პიროვნების მოსპობა, როგორც იყო მათთვის აზნაური მგოსანი ბესიკ გაბაშვილი.

* *

ბუნებრივი იქნებოდა, დაგვეცა ერთი კითხვა: ხომ არ ჩაიღინა ბესიკა რაიმე სახელმწიფო დანაშაული და ნებით და უნებურად ხომ არ მიიღო მონაწილეობა ერეკლეს წინააღმდეგ რაიმე პოლიტიკურ საქმიანობაში?

ამ ექვს გვიძლიერებს ორი ფაქტი:

ა) ბესიკის შემდეგდროინდელი გარკვეული პოლიტიკური მუშაობა იმერეთის კარზე ერეკლეს სამტროდ, და

ბ) ერეკლეს პიროვნების სრული იზოლაცია ბესიკის პოეზიაში.

* *

მართლაც, განა აშკარა არაა ის ფაქტი, რომ მაშინ, როცა თვით უბრალო აშული სომეხი საათნავა ასე აღტაცებით უმღერის ერეკლეს და აპოთეტიურ სიმბოლოდ ჰყავს წარმოდგენილი („ნეტავი არ დაღამდე, რა კაი დღე ხარ“), სასახლესთან დაახლოებული ბესიკი სრულიად დუშს სახელგანთქმულ გმირ მეფეზე. იქაც კი, სადაც ის, როგორც პოეტი-პატრიოტი, აღტაცებით უნდა გამოხმაურებოდა ერეკლეს ვაჟკაცობას და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. თვით ის ერთადერთი ლექსი ერეკლეზე, რომელიც აქამდის ბესიკისად იყო ცნობილი, ნამდვილად ეკუთვნის არა ბესიკს, არამედ მირიან ბატონიშვილს¹.

ერეკლეს პიროვნების იზოლაცია ბესიკის შემოქმედებაში განსაკუთრებით აშკარა შესამჩნევია პოემაში „ასპინძის ომზედ“. საყოველთაოდ ცნობილია ერეკლეს გმირული და სტრატეგიული დამსახურება ასპინძის ომში. სახელოვანმა მეფემ „გასწირა თავისი თავი და ეკვეთა [მტერს] ფიცხლად, ვიდრე სიკვდილამდე“, მან თავისი ხელით მოჰკლა ბრძოლაში „დალისტინის წარჩინებული და მხნე ბელადი კოხტა“ (ქ. ცხ., 265). პოეტი კი შეგნებით ძალავეს ერეკლეს პიროვნებას, მის სარღლობას, გმირობას, თავგანწირვას და, სამაგიეროდ, ასპინძის გმირის შარავანდედით მოსავეს მხოლოდ დავით სარდალს, რომლის პირად ვაჟკაცობასა და მხნეობას ხსენებულ

¹ როგორც გამოარკვია პროფ. ალ. ბარამიძემ: „ბესიკი“, გვ. 175.

ომში მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ ბესიკის მიერ განზრახ ერეკლეს დამდაბლება ჩვენთვის გასაგებია. „ასპინძის“ წერის დროს ბესიკი უკვე აქტიური მტერი იყო ირაკლისა (ჩემი გამოკრეფით, ხსენებული ნაწარმოები დაწერილია 1780 წლების მეორე ნახევარში, როდესაც ბედმა პოეტს „უშორეს ვლა“ მისცა რუსეთში). ასევე უნდა ითქვას ლევან ბატონიშვილის სიკვდილის გამო დაწერილ „სამძიმარზე“ (დაწერილი უნდა იყოს 1781 წელს): ერეკლესთან სხვაგვარ ნორმალურ დამოკიდებულებაში მყოფ ბესიკს ხომ საბაბი ეძლეოდა პირდაპირ მიემართა უბედური მამისათვის და მიეტირებინა დიდებული შვილის ასე უაზროდ დაკარგვა. „სამძიმარში“ კი პოეტი, პირიქით, არათუ გვერდს უხვევს ერეკლეს, არამედ შეგნებულადაც კი არ ასახელებს, და თუ ახსენებს ორგან, ისიც სიმბოლურად. ეს ნაწარმოებიც დაწერილია ბესიკის განდევნის შემდეგ იმერეთში და, ცხადია, ბესიკი, რომელიც ამავე წელს ერეკლეს მტრის ალექსანდრე ბაქარის ძის „ერთგულ აზნაურად“ იხსენიება და რომელიც ერეკლეს მხოლოდ „ქახბატონობით“¹ ახსენებს, როგორც ქართლის ტახტის უზურპატორს, სხვანაირად ვერც მოიქცეოდა.

მაგრამ ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ თვით თბილისის პერიოდში, როცა ბესიკი სასახლეში ტრიალებდა (და რომ დაახლოებული იყო სასახლესთან, ეს მისი რომანიტაც დასტურდება) და როცა არა ერთი შემთხვევა ჰქონდა სახელოვანი მეფის დამსახურებული დიდებისა, ჩვენ არ ვიცით ბესიკის არც ერთი სიტყვა, თუნდაც უბრალოდ წამოცდენილი ერეკლეზე (ელაპარაკობთ, რასაკვირველია, ბესიკის ჩვენამდე მოღწეული მემკვიდრეობის მიხედვით). ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ერეკლესაგან მიყენებული ქრილობა მისი ოჯახის დანახობისა, მამის და ძმის დასჯის და გაძევების გამო ბესიკს არ გამართლებია.

ამის შემდეგ ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას ორი მოპენტისადმი.

საქართველოს გაერთიანებისა და ერთმთავრობის მიზნით ერეკლეს გადაწყვეტილი ჰქონდა იმერეთის შემოერთება და სოლომონ მეფის მაგიერ იმერეთის მმართველად თავისი ნიჭიერი შვილის ლევანის დანიშვნა. ეს განზრახვა სოლომონმა დროზე შეიტყო და ჩაშალა. ალ. ორბელიანი ერთ თავის მოგონებაში ასე ათქმევინებს ერეკლეს: „როდესაც მე პირველად იმერთა მეფის სოლომონის გადაგდება განვიძრახე, მაშინ იმერეთისათვის მყავდა ჩემი შვილი

¹ Hd აუწერელი სიგელი 1781 წლისა.

ლევან, დიდი ანტონი ქათალიკოზის თანხმობითა, არა მეფობისათვის, — იმერეთის მოსაყვლათ, რომ ბოლოს დროს ჩუენი ძველი საქართველო სამეფოდ ყოფილიყო, მაგრამ მეფე სოლომონმა შეგვიტყო და თავისი მეფობის ძალი გაამაგრა“¹. ალ. ორბელიანმა თითქოს უნდა იცოდეს კიდევ ამ საიდუმლოს გამომჟღავნებელის ვინაობა, მაგრამ დასახელებისაგან თავს იკავებს პლ. იოსელიანი-სადმი მიცემულ შეკითხვაში².

ყოველივე ამის შემდეგ გვებადება კითხვა: ერეკლეს ხსენებული საიდუმლოს გამჟღავნებაში ხომ არ შეიძლებოდა რაიმე წილი სდებოდა ლევან ბატონიშვილის ახლობელ კარისკაცს და გულითად მეგობარს ბესიკს, რომლის ყოფნით ლევანის კარზე შეეძლო ესარგებლა სოლომონთან ჩასაფრებულ ზაქარიას? ამით ხომ არ უნდა აიხსნებოდეს ის ამბავი, რომ განდევნილმა პოეტმა მიაშურა პირდაპირ იმერეთს, სადაც სოლომონმა არათუ ალერსით მიიღო იგი, არამედ სანდო კარისკაცადაც კი მიიჩნია და მალე დიდი დავალებაც მიანდო ერეკლეს სამტროდ, მის წინააღმდეგ ახალი ინტრიგის და შეთქმულების მოსაწყობად.

ამრიგად, ხომ არ შებღალა ბესიკმა თუნდაც უნებურად, „ბატონის საიდუმლო, ვითაც აღსარება“. და საერთოდ, „ბატონის დასაკლები“ რამ ხომ არ შედიოდა ბესიკის ბრალდებაში? მით უმეტეს, იმერეთს გადასული ბესიკი მაშინვე ებმება ერეკლეს წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ საქმიანობაში.

გასათვალისწინებელია მეორე მომენტიც. დაახლოებით ბესიკის განდევნის ხანებში ერეკლეს წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდა ქსნის ერისთავების ჯგუფი, რომელსაც გარკვეული გეგმა ჰქონდა დასახული — ერეკლეს დამხობა. შეთქმულებს ყოველნაირად ხელს უწყობდა მეფე სოლომონი. ერისთავების ჯგუფს მაშინ მეთაურობდა სწორედ ბესიკის სატრფოს მათას მამა გიორგი ყულარაღასი; რომელმაც ერეკლეს არა ერთხელ უმუხანათა, სწორედ ამ დროს მათზე შეყვარებულ ბესიკს დაახლოება უნდა ჰქონოდა ერისთავებთან. ხომ არ ჩაითრიეს ერისთავებმა თავის შეთქმაში მათას მეგობარი ბესიკი, ისევე როგორც ჩათრეული ჰყავდათ თავისი სიძეები —

¹ S 1664/გ. გვ. 28: „მეფე ირაკლის. იმერთა დიდი მეფის სოლომონის გადადგმა განუძრავა იმერეთის და ქართლ-კახეთის შესაერთებლად. მეფე სოლომონს ეს ამბავი შეეტყო და შემოუთვლია: მეფე ირაკლიო, შენ გინდა ხლინკი გამოიკეთო და მე უფრო ადრე მოგვჯერდზე წამოგაყვანო“ (იქვე).

² „იქნება პლატონმა იცოდეს, ვინც შეატყობინა მეფე სოლომონს მეფის ირაკლის განხრახევა?“ (იქვე, გვ. 23).

ზაალ ორბელიანი¹ და ზაქარია ციციშვილი? ა ხომ არ გამოიყენეს ერისთავებმა ისეთი პოპულარული პიროვნება, როგორც იყო ბესიკი, ბრმა იარაღად თავის შეთქმულებაში?

და ბოლოს, იმ ხანაში, როდესაც კარის უმაღლესი საზოგადოება ინტრიგებისა და შეთქმულებათა ქსელში იყო გახვეული, სულ ადვილად უნდა ყოფილიყო შესაძლებელი ბესიკის მოხვედრა არასასურველ სიტუაციაში, მით უფრო, ბესიკი „შეჩვენებულის“ და „უკეთურის“ ზაქარიას შვილი იყო და ისიც—ერეკლესადმი მტრული განწყობილების ატმოსფეროში აღზრდილი ანახანუმის კარზე.

მაგრამ ყოველივე ამის შემდეგ უნდა გავიხსენოთ თვით განდევნილი ბესიკის სიტყვებიც, ახლობელ პატრონისადმი მიმართული:

ხელმწიფე, გული ცეცხლ დაგული სულით გამყოფლით,
კირსამცა თქვენსა, თუ გალხენსა. მოიხმარენით!

• • • • •
სხვამცა პატრონი, ანუ დრონი ვერა დაგსახეთ...

აქედან ჩანს, რომ გულდაწყვეტილი ბესიკი უდანაშაულოდ თვლიდა თავს. და თუ ამ სიტყვებს დავუჯერებთ, უფლება არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ ამ მდულარე ლექსის გრძნობაში, და საბუთი გვეძლევა ვიფიქროთ, რომ ბესიკი უფრო ინტრიგის და მეფის გადაშტებული წყრომის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო.

* *

ბესიკის განდევნაში, ალბათ, სასახლის კამარილისაც უნდა შეეწყო ხელი.

ერეკლეს კარზე, განსაკუთრებით მისი მეფობის მეორე ნახევარში, არაჩვეულებრივი ინტრიგები, „ბეზღობა“, „ენაობა“ იყო გამეფებული, რისი მსხვერპლი არა ერთი კარისკაცი და სახელმწიფო მოღვაწე შეიქნა. ტყუილად კი არა ჩიოდა ამბროსი ნეკრესელი:

ღმერთმან იცის, ბატონები კარგი გვეყანან და მარგები,
მაგრა, ზოგნი შინაყმანი, მტყუანნი, ცრუ, არ ვარგები,
ამყრულნი, სახლის დამტყუენი, ჩემნი იქნენ დამკარგები!

¹ ზაალ ორბელიანი—ერთგული კაცი ირაკლისა, მოღალატე შეიქმნა დავით ქსნის ერისთავის მოწყალებით (იმის და ჰყავდა ზაალს ცოლად), ქართლში მეფე დასონ და ქართლი გააცალკეონ“ (ალ. ორბელიანი, S 1654).

² „ქსნის ერისთავის შეილება და ზაქარიამ [ციციშვილმა] ჩვენ გვიმუხანათა ახალციხეს გაიქცნენ და იქიღამ ლეკის და ოსმლოა ჯარი ჩამოიყვანეს და ქართლის ოხრება და ტყვევნა დაუწყეს“... ციციშვილი ზაქარია ახალციხეს გარდვიდა და უარპყო თვისი კელმწიფე მეფე ირაკლი“—გვიამბობს იულონ ბატონიშვილი (Hd 18:8).

სასახლის კარისკაცთა თითოეულ დაჯგუფებას თავისი ინტერესები ჰქონდა და თვით სასახლის „გამზდელთა“ შტატიც კი ერთგვარი გავლენით სარგებლობდა, ასე, სასახლის შინამოსამსახურთაგან—„მეფისეული და დედოფლისეული სასახლისა გამდელნი ესრეთ იყვნენ ძლიერნი, რომელ მეფესა და დედოფალსა ჰხადოდნენ ტყვედ მათ ხელთ შინა. თვით მეფის ძენი და მეფის ასულნი და მეფის რძალნი ძრწოლადნენ მათგან, მღვდელმთავართა ეშინოდათ მათი“². როდესაც ბესიკი საყვედურით მიმართავს „მანტორს“— აღმზრდელს („მანტორ, გაბრალებ ფესვით ბრჰყალებსა“) მხედველობაში ხომ არ უნდა ვიყოლიოთ ისეთი პიროვნებანიც, როგორნიც იყვნენ „მეფისეული“ და „დედოფლისეული“?

ყოველ შემთხვევაში, ბესიკს რომ განუცდია ინტრიგის სიმწარე, ამას ადასტურებს დავით რექტორის წერილიც პოეტისადმი. მოთქვამს რა დავითი ინტრიგების შესახებ: „ვიცი, სავსედ უხანოზა მიყოლათა, უზენარობა თავთა, უსწორობა პირთა, მაცთურება სიტყვათა, გატეხა ფიცთა და მოყვრობისა მოკლეობა...—მე ოდესცა მუხთალისა კაცისა პირსაცა შევესწარ“, მიმართავს ბესიკს: „შენცა იყავ ოდესმე, რომელ ურვისა მიწათა გლოვისა მოლთა აღმოამწვანებდიო“³.

თვითონ ბესიკიც მწარედ ჩივის „ენით მკვლელ გველზე“ (მიმართვაში დავით სარდლისადმი);

ნუ—თუმცა გველმან,
ენითა მკვლელმან,
გმირაა ქედასა
დაგდვა საცილო?
ვამე, თუ ხმითა,
შენცა ამითა

...აწ გიცან, გველო,
სამოთხის განმაძყო,
გულურთ შემკვრელო.
გამყრელო, მამაძყო!

• • • • •

¹ ტ. არქ. ხელნაწერი № 201. ასევე მოთქვამს ბესიკის მეგობარი დავით რექტორი: „მეფე ირაკლი გამიწყრა, მტერთ უბრალოდ შემასმინეს“-ო (S 105); „სოფელსა არ ვემდურგოდი, მარა უბრალოთ დასჯასა ჩემსა ვკვირი“-ო („მოამბე“, № 12, 1898). სასახლის ინტრიგებმა დაამხეს თვით ისეთი გავლენიანი ადამიანი როგორც იყო ბესიკის მეორე გულითადი მეგობარი დავით ორბელიანი „საქართველოსა შინა წარჩინებული ამირსპასპეტი და სამეფოსა პალატის სახლთუხუცესი“. „მეფეცა ირაკლი მიიყვანეს მას მდგომარეობასა, რომელ „უამსა ერთსა ბრძანებითა მეფისა ირაკლისა მიუღეს [დავითს] სარდლობა და სახლთუხუცესობა და რაოდენიმე ჟამამდე უპატიოდ იყო და განდევნილ სასახლიდამ“ (A 3057).

² H 1193; პლ. იოსელიანისავე სიტყვით, მათ შეაძულეს ერეკლეს ანახანუმის დები მახია და ანსტასია (იქვე).

³ S 105.

შეგართო სევდასა,
ჰსცნა საწადი ლო!

ლექსში „გამტყორცნა სოფელმან“ პოეტი ლალადებს:

მომესიენენ მტერნი მკვლელად და მკვლელად!

ხოლო ლექსში „ცრემლთა ისარნი“ დასძენს:

მოყვასთა ცრემლნი, სწვიმეთ ცხელნი, მტერთ იხარენით!

ვინ უნდა იყვნენ ბესიკის მტრები, რომელთაც მას „დასდევს საცილო“?

ჩვენ გვგონია, ისინი უმთავრესად მაიას ოჯახში უნდა მოეძებნოთ.

უპირველესად უნდა ვახსენოთ მაიას დედამთილი (მამუკას დედა) ანა ბატონიშვილი, შეუტრაცხყოფილი მაიას და ბესიკის რომანით, უსათუოდ ბესიკის სასტიკ მტრად უნდა მივიჩნიოთ მწეკაბუკი ანუ ჭაბუა ორბელიანი, როგორც მაიას მამამთილი, მანუკას ბიძა, მაშასადამე, ისიც აღშფოთებული ბესიკის რომანტიკული ისტორიით.

ჭაბუას პასუხში ბესიკისადმი ნათქვამი—„დაკრილია დიაცურად, დასწყულულდების, დასწვავს დაგით“—ხომ არ გულისხმობს ბესიკის უბედურ რომანს?

ყოველ შემთხვევაში, საყურადღებოა ჭაბუას მწარე ნათქვამი ბესიკზე, რომ ის „ოროგინობს“ (ოროგინე—ალექსანდრიელი მღვდელი, რომელმაც თავისი თავი გამოისაქურისა). ვფიქრობთ, ჭაბუას ჩარევით ბესიკის რომანში უნდა იყოს გამოწვეული პოეტის ნათქვამი ჭაბუაზე:

სამართალია, არ ღირს—იყო მაგ სახელისა,
რადგან გიწვრთნია სცრუე და ქცევა მელისა;
შენნი მიჯნურნი ველად რბიან ბროლის ყელისა!
შენმა გახეთქამ, ეჰნი მოჰკლავთ შენის წელისა,
რა იქნება, რომ შენის პირით ნზეს უდარაო!
უპირო ვინმე ჰყოფილხარ, მუხთალი, მეტად ლადარი,
სიყვარულისა მკვეხარი, მეშურნეობის სადარი.

ამ სტრიქონებს უწერს ბესიკი ჭაბუას, რომელიც პოეტს გადა-
მეტებულ სამიჯნურო თვისებებს აბრალებდა.

მაგრამ თვით ჭაბუა ბესიკს რალაც მძიმე ბრალდებას უყენებს,
როცა მასზე დაწერილ პასკვილში ამბობს: „ღვარძლიანობს, ღმერთს
ლაღატობსო“, და შექმნილ უფრო კონკრეტულად პოლიტიკურ სარ-
ჩულს უდებს ამ ბრალდებას: „ფიქრიანობს ფაშის ფარმნითო“. ექ-
ვი არაა. აქ ლაპარაკია ახალციხის ფაშასთან რალაც კავშირზე. ცნო-
ბილია, რომ ახალციხის საფაშო საქართველოს მტრების ბუნაგი
იყო, ხოლო ფაშა, როგორც ოსმალეთის შემოჩენილი აგენტი, ორ-
განიზატორი, აშკარა თავდასხმების გარდა ქართლ-კახეთსა და იმე-
რეთზე, აგრეთვე ინტრიგებისა და შეთქმულებებისა ერეკლეს წი-
ნალმდევ. და აქ ამ სიტყვებში ჭაბუა პოეტს აბრალებს რალაც საქ-
მიანობას, კავშირს ახალციხის ფაშასთან, რომელიც ყოველთვის
აღერსით ხედებოდა ერეკლესაგან გაქცეულ უკმაყოფილო ელეგენ-
ტებს. ჩვენი ფიქრით, აქ ჭაბუას გადაკვრით აქვს ნათქვამი, რომ
პოეტი ოცნებობს ფაშის ფირმანის შოვნაზე, ე. ი. თბილისიდან გაქ-
ცევაზე. ეს კი ჭაბუას მართლაც შეეძლო ეთქვა სწორედ 1776 წელს,
როცა ბესიკის საქმე ირჩეოდა რომანის შემდეგ.

ამ შემთხვევაში საყურადღებოა ბესიკის პასუხში ის, რომ პოე-
ტი ხაზგასმით უკიჟინებს ჭაბუას „სიცრუეს“:

„ვინც კარგად გიცნობს, გაიღიმებს: „ღიღი ცრუაო!“
...„რასაც იტყვოდი, ცრუ იყო დასაქადარი...“
...„გიწერთნია სიცრუე და ქცევა მელისა“...“

პოეტი მას უწოდებს „შეფლიდებულს“, რომელიც „უკუღმარ-
თობს“ და „მანკით“ ჰგავს „მელას“:

„ეშმაკსა ელაციება,—ეს ედარების ეროდეს,
ვასილისკურად ვაგლაზი“... და სხვ.

დაბოლოს, ჭაბუასაგან მწარედ დაზარალებული ბესიკი აბრა-
ლებს „უპირობას“, „მუხთლობას“ და დასძენს:

გულქვაო, რასაც იტყვოდი—ცრუ იყო დასაქადარი!

მაშასადამე, ჭაბუა ბესიკს ცილისმწამებლად მიაჩნია.

ყოველ შემთხვევაში, ბესიკი რომ ჭაბუასაგან მწარედ ნაწენგვია,
ამას მშვენივრად მოწმობს ბესიკის მეტად გამეტებული და მწარედ
გამოსვლები ჭაბუას წინააღმდეგ.

მაგრამ ბესიკს რომ რალაც დანაშაული ჰქონია კაბუასადმი, ამას ადასტურებს მისივე 1788 წელს კაბუასადმი მიწერილს ეპისტოლე-ში გამომჟღავნებული სინანული:

ავაზაკისა სახით მოსრული სამოთხის კარად განვიძრცვი
ბრალის ძონძთა ნაქმისას.

და რომ ამ „ბრალს“ სხვა სარჩულიც უნდა სდებოდა, ამას უნდა გვიმტკიცებდეს ის ადგილი იმავე ეპისტოლედან, სადაც ბესიკი სთხოვს შუამდგომლობას:

სიტყვითვე გვედრებ, სიტყვითა სამოთხეო, წარმიძღვ
გულის ქალაქად მაშვრალსა, განმისვენე...

და სახელდობრ, ის ადგილიც, სადაც პოეტი ამბობს:

მიჰვალენ, მზეო, მზისად აზით სიმდაბლის ქვაბად
ოქროის ძღვნობით მურ-გუნდრუყების კმეჲად მეფეთ-მეფისად.

„მეფეთ-მეფეში“, ჩვენი აზრით, ერეკლე მეფე უნდა იგულისხმებოდეს.

ამნაირად, ვფიქრობთ, კაბუა ერთი აქტიური მონაწილეთაგანი და ხელის შემწყობი უნდა ყოფილიყო ბესიკის განდევნისა.

* *

ადგილი წარმოსადგენია ერეკლეს განრისხება ბესიკზე.

ბიოგრაფიული მინაწერები გადმოგვცემენ მხოლოდ, რომ ბესიკი მეფემ საქართველოდან „დაითხოვა“, „განდევნა“, „გააგლო“. გაგდება კი, ალბათ, საქმის გარჩევისა და მსჯავრის შემდეგ უნდა მომხდარიყო. საფიქრებელია, რომ ბესიკი შეიპყრეს „საიასაულო სახლში“, როგორც დამნაშავე. და თუ მართალია გადმოცემა მისი თბილისიდან გაპარვის შესახებ, მაშინ ბესიკი ციხიდან უნდა გაპარულიყო, შესაძლოა, ლევან ბატონიშვილისა და დავით სარდლის დახმარებით (უკანასკნელს სარდლობასთან ერთად მაშინ ქალაქის მოურავის თანამდებობაც ეჭირა)¹.

¹ საყურადღებოა, რომ ბუტკოვი და ბუნაშოვი ბესიკს „გაქცეულად“ იხსენიებენ („Материалы“, II, გვ. 183 და Картина „Груши“, გვ. 22). ბესიკის დაპატიმრების საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი შემდეგდროინდელი ცნობა რომელიც შეიძლება ერთგვარ დამოწმებად გამოვიყენოთ.

1832 წ. შეთქმულების მთავარმონაწილეთაგანი ალექსანდრე ორბელიანი, უკვე დაპატიმრებული, ციხიდან ორჯერ ფარულად სწვრს თავის მეუღლეს:... „ბესიკის ნათქვამი „ტრემლთა ისარნი, მოსისხარნი ჩვენდა არენით“,—დამიწერეთ და ჩუ-

საყვარელი და აყვავებული თბილისის დატოვება, სადაც ბესიკს ამდენი მეგობარი, ტოლი და მოყვასი ჰყავდა, ამდენი დამფასებელი და თაყვანისმცემელი, და სამაგიეროდ მაშინდელ უდაბურ ქუთაისში დასახლება, რომელიც 1770 წ. ოსმალთა განდევნის შემდეგ ქოხებს და ნანგრევებს წარმოადგენდა, პოეტისათვის მეტად სამძიმო ხედური უნდა ყოფილიყო.

უფრო მტანჯველი უნდა ყოფილიყო მაიასთან სამუდამო განშორება, რაც, ჩემი აზრით, პოეტს უნდა გამოეტირებინოს შესანიშნავ, ბაირონისებური პათოსის ლექსში— „გამტყორცნა სოფელმა“:

გამტყორცნა სოფელმა, მოეშორდი მხესა,
 დღენი ჩემნი წარვლენ ბნელად და ბნელად;
 რაყიფად შემექმნა ბედივე ჩემი;
 სიცოცხლეს და ვჰპოებ ძნელად და ძნელად!

ვინ ჰპოვა სოფლისგან ბედნიერება?
 ვინცა სცნობს წყუულსა—დაეკრძალებს,
 უნუგეშოს მართებს მართლად ვება,
 სტიროდეს და რბოდეს ველად და ველად!

მიჯურთაგან რა გსურს, წუთისოფელო,
 ყოველთ მელექსეთა დამდუმებელო!
 ჩემებრ ბედწარსულზედ გინდა ისახელო?
 დამსვი გულმდელარედ, მწველად და მწველად!

ესტირი, მაქვს მე სავე ცრემლითა კალთა,
 მე ჩემს ღონეს ესტირი სინათლის თვალთა;
 მე, ბესიკს, მესიხმრა საწუთრო ვალთა,
 მომესივნენ მტერნი მკვლელად და ძველელად!

მათ გამომიგზავნეთ“;...;ბესიკის ლექსი „ცრემლთა ისარი“ (sic) დამიწერე და გამომიგზავნე“ (ლიტერატ. მუზეუმის ხელნაწერი № 2702).

როგორც ვიცი, „ცრემლთა ისარნი“ დაწერილია ბესიკის განდევნის დღეებში. იგი პოეტის ტრაგიკული დღეების სახსოვარია. სწორედ ამ ლექსს თხოულობს ციხეში ა. ორბელიანი. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა პატიმარ რომანტიკოსისთვის ამ ლექსს? შეგვიძლია ვიფიქროთ, მას ბესიკის დაპატიმრების ანალოგია გაახსენდა.

¹ თუმცა ეს ლექსი დღეს სადავოდ არის მიჩნეული (ალ. ბარამიძე), ალბათ იმ დროდღე, ვიდრე ბესიკის ავტოგრაფი არ აღმოჩნდებოდა.

შემთხვევით უნდა ვისარგებლოთ და ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ, რომ ბესიკის ტექსტების დადგენის საქმე დღემდის ვერ არის მოწესრიგებული. რასაც კი ჩვენამდის მოუღწევია და სამუდამო დაღუპვას გადაარჩენილა, ისიც ხშირად დამახინჯებულია გადამწერლებისაგან და მომღერლებისაგან. სამწუხაროდ, ვერც ბესიკის რედაქტორ-გამომცემლებმა შეძლეს ამ საქმის საბოლოო მოგვარება, მაგ., ავიღოთ ბესიკის 1932 წ. გამოცემა ალ. ბარამიძის რედაქციით. მიუხედავად დიდი შრომისა და საყურადღებო შესწორებებისა, რაც მკვლევარს შეუტანია, ეს გამოცემაც არ არის აცილებული ზოგ დეფექტს. ასე, ბარამიძესაც (კიკინაძისა და გორგაძის მსგავსად) ბესიკის თხზულებებში ზოგი ისეთი ლექსი შეუტანია,

გარდახვეწილ ბესიკს სრული უფლება ჰქონდა, ეთქვა:

რაც მიიწერა სოფელმან, ველარ დაეთვალე ამრითა
მისი სიმწარე ყოველნი, გულს გარდამბრთმინა კამრითა!

რომლებიც ბესიკს არ ეკუთვნის. მაგ., ლექსები: „ენახე პირიმზე“, „ვაშა მას დღეს“, „სვედის ლაშქარი“, ბესიკის ეპიგონის დიმიტრი თუმანიშვილის შემოქმედებაა, როგორც თვით თუმანიშვილიც გვიდასტურებს: „რაც ჩემგან ნათქვამი ლექსებია ამის ქვემოდ დაიწერება“:—ამბობს იგი მოხსენებული ლექსების შესახებ (S 1534).

ბესიკის „სადავო“ განყოფილებაში შეტანილი ლექსები—„ალალებს ბაგეს“ და „ათენს ბელსს გულსა“ უდავოდ ვახტანგ ორბელიანს ეკუთვნის.

არა გვგონია, ბესიკს ეკუთვნოდეს თუნდაც ექვით, ისეთი ლექსები, რომლებიც ალ. ბარამიძეს იმავე განყოფილებაში შეუტანია, მაგ. „მოით მიჯნურნო“, „როს განვიცადე ბედკრულმან“ „დილის მთიებს“, „შეგკრთი, როს ენახე“, „უწყლავსა კირსა“, „ჩხვეით ნახო“.

შეუძლებელია ბესიკის ნათქვამად მივიჩნიოთ, მაგ., ისეთი ბანალური ლექსი, რომელიც შესანიშნავ ლექსს—„გამტყორცნა სოფელმა“ ხოცმეტად აქვს მიკერებული:

მე მონად შეექმნილვარ ერთისა მხისა,
იგი ჩემთვის კვდება და მეც მისთვისა (!)
არ იქნა, არ შემხვდა ქამი შეყრისა,
ორთავ სიციცხლე გვჩანს მწარედ და მწარედ!
არც დღეა ჩემთვის, არც ღამე—ღამე,
მოდით, მეგობარნო, მიშველეთ რამე!
ჩემს საყვარელთან წასვლა მინდა მე (!)
მეც მას თავს ეუძლენი მარად და მარად (!)

ალ. ბარამიძეს კი ეს კაკაფონია შეაქვს „სადავო“ განყოფილებაში, თითქოს რაიმე საბუთი არსებობდეს, რომ იგი ბესიკს მიეკუთვნება. ს. გორჯაძეს კი ლექსი „გამტყორცნა სოფელმან“ სამართლიანად მიჩნეული აქვს ბესიკისად და დაბეჭდილიც აქვს უამხროცხეტოდ (გვ. 27).

ლექსი „რაც მიიწერა სოფელმან“ ალ. ბარამიძეს ცალკე ლექსად აქვს დაბეჭდილი, მაშინ როდესაც იგი წარმოადგენს პოემის—„ასპინძის ომის“ ორგანულ ნაწილს—პროლოგს, შესავალს, წინასიტყვას, რომელშიც პოეტი განმარტავს, თუ რა მიზეზით დაწერა მან პოემა და რატომ მიუძღვნა იგი დავით სარდალს. ამიტომ შეუძლებელია ამ ლექსის ჩამოთლა ძირითადი ტექსტისაგან და მისი ცალკე დაბეჭდვა.

უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი წერილმანი შეცდომა, რომლებიც გადაწერალებს მოსვლიათ და რედაქტორებს კი დაუკანონებიათ. მაგ., ერთი ადგილი ლექსისა შორიან ბატონიშვილზე დღემდის ყველა გამოცემაში, და ალ. ბარამიძის გამოცემაშიც, ასე იკითხება:

„გიორგი, გრიგოლ.
ერთად თავლიგოლ“ (გვ. 79), რაც სრული უახრობაა.

უნდა იყოს: „გიორგი, გრიგოლ,
ერთად თავლი-გოლ“.

ბესიკის ეპისტოლის ერთი ადგილი მხეკაბუკ ორბელიანისადმი ალ. ბარამიძეს ასე აქვს დაბეჭდილი:

...„და მქისესა მდელოსა შევნიერნი ფერხნი დასტკებებთან“ (გვ. 83). უნდა იყოს:
...„მდელოსა შევნიერნი ფერხნი დასტკებანენ“, და სხვ.

რომელ წელში უნდა მომხდარიყო ბესიკის განდევნა?
როგორც ირკვევა, ბესიკისა და ჭაბუას ინკინდენტი 1776 წელს მომხდარა¹.

ამ დროისთვის ბესიკი ისევ თბილისში ყოფილა².

თბილისშივე ჩანს ბესიკი თვით 1777 წლის „იანვრის დამღეგს“, ლევან ბატონიშვილის კარზე.

ხოლო 1778 წელს (დაახლოებით ივლისში) სოლომონ იმერთა მეფე მას გზავნის სპარსეთში, ქარიმხანთან ალექსანდრე ბატონიშვილის ჩამოსაყვანად.

ბესიკის სპარსეთში გაგზავნას ჩვენს ლიტერატურაში 1779 წლით ათარიღებენ (ბროსე, Histoire de la Georgie, II, წ. 2, გვ. 247; ს. გორგაძე „ბესიკი“, XII; კ. კეკელიძე, ლიტ. ისტ., II, 464, აღ. ბარამიძე, „ბესიკი“, გვ. 36 და სხვ.) რაც შეცდომაა.

თვით ბესიკი გვიამბობს თავის დღიურში, რომ იმერეთიდან რაჭით და ოსეთით გამგზავრებულია, ის ჯერ კიდევ აგვისტოს 28-ს მოზღვოში იმყოფებოდა. იქიდან ყიზლარზე გავლით „ათცხრამეტოდეს“ დღე ასტრახანს გაჩერებულია. მაშასადამე, ასტრახანიდან სექტემბრის ბოლო რიცხვებში გავიდოდა, ასტრახანიდან რეშტამდე ზღვით მოგზაურობას „ოცდამეათცხრამეტი“ დღე მონდომია; რეშტიდან მეექვსე დღეს ყაზმინს ჩასულა და ასე, ერანის სხვადასხვა ქალაქზე გავლით გაუგრძელებია გზა შირაზისაკენ. ამრიგად, ბესიკს უნდა ჩაეღწია შირაზში არა უადრეს ნოემბრის მიწურულისა ანუ დეკემბრის პირველი რიცხვებისა.

ცხადია, თუნდაც მეორე დღესვე გამობრუნებულიყო შირაზიდან ასეთი ძნელი და გრძელი გზით, ბესიკი იმავე დეკემბერში იმერეთს ლევან დაბრუნდებოდა. უსათუოდ ბესიკი იმ ზამთარს სპარსეთში დარჩა, მოელაპარაკა ალექსანდრე ბატონიშვილს, სოლომონის დავალებით წარუდგა ქარიმხანს და 1779 წლის გაზაფხულზე (დაახლოებით აპრილს) ალექსანდრესთან ერთად შირაზიდან წამოსული, იმავე წელს აგვისტოს მობრუნდა იმერეთს.³ ამნაირად, 1779 წელს მობრუნებული ბესიკი 1778 წელს გამგზავრებულია სპარსეთში⁴.

¹ ბესიკის შესარიგებელი ეპისტოლიდან მზეკბაბუე ორბელიანისადმი (აღ. ბარამიძე, გვ. 82—87), რომელიც დაწერილია 1788 წელს, ირკვევა, რომ ეს ინკინდენტი, ზუსტად 1776 წელს მომხდარა.

² იმ დროს ჭაბუას მიერ ბესიკზე დაწერილ პასკვილში ნათქვამია:

„ჩვენი ჩემპა ჩახეოდა, ჩხარს ჩავიდა, ჩავლო ჩოლით“.

აქედან შეგვეძლოს დაგვესვენა, რომ ბესიკი 1776 წელს უკვე იმერეთს ჩასულა, მაგრამ როგორც წინა სტრიქონიდან ჩანს, აქ ლაპარაკია ბესიკის მამის ზაქარიას რუსეთიდან იმერეთში ჩამოსვლაზე.

³ მასალები საქ. ისტორიისათვის, გამოც. ნ. ბერძენიშვილისა, I, გვ. 57-58.

⁴ 1779 წ. 11 სექტემბერს ახალციხელ მღვდელს, ხოჯავანთ იოვანეს თავის დღიურში შეუტანია: „ბაქარის შვილის ალექსანდრეს მოსვლა თქვენს იმერეთს სპარსეთიდან რომ გამოიპარა“ (H 2782, გვ. 37).

მაშასადამე, ბესიკის თბილისიდან განდევნა 1777 წლის იანვრისა და 1778 წლის ივლისს შუა უნდა მომხდარიყო. მაგრამ იმერეთში ჩასულ ბესიკს ხომ დაუყოვნებლივ არ გაგზავნიდა სოლომონ მეფე სპარსეთში, ისიც საპასუხისმგებლო დავალებით? თბილისიდან ჩასვლის დღიდან სპარსეთში გამგზავრებამდე რაინე დროს ხომ უნდა გაევიღო? ამიტომ ბესიკის განდევნას უფრო 1777 წელს მივაკუთვნებთ (იანვრის შემდეგ). მართლაც, ამ წლიდან ბესიკი თბილისში მყოფად აღარც ერთ საბუთში აღარ იხსენიება.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას: ბესიკის რომანი, რომელიც დაახლოებით 1772-3 წელს უნდა დაწყებულიყო, გამომქლავებულია 1776 წელს, რასაც მოჰყოლია ერეკლეს წყრომა და მამუკას ნათესაობის წარმომადგენლებთან ერთად ქაბუა ორბელიანის გადაკიდება და მისი პასკვილი ბესიკზე. ზედმიყოლებით, მოკლე ხანში უნდა მომხდარიყო ერეკლეს მსჯავრი ბესიკზე, გამოწვეული „ბატონის რძლის“ მიახთან გამიჯნურებით. რომანტიკულ თავგადასავალთან ერთად, აგრეთვე რაღაც პოლიტიკური, ნებისითი თუ უნებლიეთი დანაშაულის გამო, ბესიკი გაქცეულა, გაპარულა იმერეთს.

პოეტის განდევნა რომანის გამომქლავებას უნდა მოჰყოლოდა, და ეს კიდევ საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბესიკის მთავარი ბრალდება მაინც მაიას სიყვარული უნდა ყოფილიყო. ანონიმი პოეტიც ხომ გადმოგვცემს, რომ ბესიკი მაიას გამო „გაიქრა?“

თუმცა ბავშვობიდანვე ერეკლეს მიერ დაჩაგრული ბესიკი შესაძლოა მართლაც ჩარეულიყო, თუნდაც უნებურად, ჩისი ოჯახის დამამხობელი მეფისა და კათალიკოსის საწინააღმდეგო საქმიანობაში, მით უმეტეს, იგი, როგორც პოეტი და როგორც მოქალაქე, არა ყოფილა ალტაცებული ერეკლეს პიროვნებით, ცხადია, ოჯახური მიზეზების გამო. მაგრამ თვით ბესიკი არა თვლიდა თავს მეფისთან დამნაშავედ და, შესაძლოა, ის მიზეზები, რაც „მტრებს“, და თუნდაც ანტონ კათალიკოსს და ქაბუა ორბელიანს, უნდა მოეკრიფათ, რამდენადმე ხელოვნური ყოფილიყო.

ოცდაშვიდი წლის ბესიკმა თბილისი დატოვა სამუდამოდ.

ბესიკი, მარმონტელი და ლესაჟი¹

(ვეროპის მხატვრული ლიტერატურის ძეგლები მე-18 საუკუნის ქართულ მწერლობაში).

ქართველ განმანათლებელთა მეშვეობიდან აღსანიშნავია XVIII საუკუნის ვეროპის ახალი მხატვრული ძეგლების თარგმანები, ე. ი. მწერლობა თავისუფალი აზროვნებისა, რომელიც ქართველ მკითხველამდე აღწევდა რუსეთის გზით. ამ ლიტერატურიდან ჯერჯერობით შეგვიძლია დავასახელოთ ორი-სამი ძეგლი, ასე თუ ისე ცნობილი, მაშინდელ ქართველ საზოგადოებაში.

მაგ., საინტერესო ფაქტია, რომ თავისი დროის მოწინავე ინტელიგენტი ბესიკი იცნობდა ერთ-ერთი ენციკლოპედისტის მარმონტელის (1423—1499) განთქმულ რომანს „ველიზარიანს („Belisaire“). ეს მეტად დამახასიათებელი ძეგლი თვით მწერლის სამშობლოშივე იდევნებოდა, როგორც რელიგიური შემწყნარებლობის, თავისუფალი აზროვნების მატარებელი ნაწარმოები. იგი მეტად საშიშარ თხზულებად იყო აღიარებული რუსეთის კონსერვატორულ წრეებშიც, როგორც მანე და კანონის დამრღვევი ნაწარმოები. მიუხედავად იმისა, რომ „ველიზარიანი“ რუსულად ეკატერინე მეორის წინადადებით ითარგმნა, მას ისეთსავე მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორც ვოლტერის ნაწერებს. ტყუილად კი არ ასახელებს ვოლტერის „მავნებლურ“ წიგნებთან ერთად „ველიზარიანს“ ეკატერინე მეორის ისტორიოგრაფი გ. შჩერბატოვი თავის პუბლიცისტურ ტრაქტატში—О поврежденный нравов в России, სდებს რა ბრალს „ველიზარიანს“ სინდისის, სათნოებისა და კეთილ ზნეთა დარღვევაში, შჩერბატოვი წერს:

„Многия книги Вольтеровы, разрушающия закон... и Беллизер Мормонтелев, неполагающия никакой разности между добродетелем язычником и добродетели христианской (1908 წ. გმც. 84)“.

¹ „ლიტერატურული საქართველო“, 1938, № 24.

რასაკვირველია, მარმონტელის წიგნს ქართულ კონსერვატორულ-კლერიკალურს წრეებშიც ასეთი რეპუტაცია უნდა ჰქონოდა დანსახურებული. მიუხედავად ამისა, „ველიზარიანი“ ქართულად ითარგმნა 1787 წ. (დაიწყო 1782 წ.) ქ. კრემენჩუგში, სწორედ ბესიკის იქ ყოფნის დროს არქ. გაიოზის მიერ.

„წიგნი ველიზარიანი, ღირსი ხსოვისა საქმენი და შემთხვეულბანი რუსულიდამ თარგმნილი“.

ველიზარიანი ქმნილი უფლისა მარმონტელისაგან, რომელიცა იყო წევრი ფრანკუზის აკადემიისა.

თარგმნილი რუსულად იმისის იმპერატორების დიდებულებისა ეკატერინა მეორისა იმპერატრიცასი და თვითმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა სხვათა ვოლგასა ზედა.

ხოლო რუსულით ქართულისა ზედა ვიწყე თარგმნად არქიმანდრიტმან გაიოს¹) წელსა 1782, ოქტომბერს 24, კრემენჩუგს.

სრულ ვჰყავ წელსა, 1787, თთუესა დეკემბერს 14, კრემენჩუგს. გაიოს (ს. ს. ხელნაწერი, № 2372). წ.-ქ. საზ. ხელნაწერების 172-ე ნომერში ნათქვამია: „ვოლგასა ზედა თარგმნილი იმპერატრიცა ეკატერინას მიერ“.

ბიბლიოგრაფიული ცნობა მირიან ბატონიშვილისა: „არქიელმან გაიოზმან თარგმნა ველიზარიანის ცხოვრება რუსულიდამ ქართულსა ზედა ენასა, წელსა 1782, თვესა ოქტომბერისა 24, კრემენჩუგსა“ (წ.-ქ. ხელნაწერი, № 1543).

მაგრამ, რაც მთავარია, „ველიზარიანის“ თარგმნის ფაქტი აღასტურებს, თუ რამდენად იყო მომზადებული ნიადაგი ახალი იდეებისთვის ქართულ მოწინავე ინტელიგენციაში.

რომ მარმონტელის წიგნი მეტად პოპულარული და საყვარელი

¹ გაიოზის მიერ მარმონტელის თარგმნის ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ თვით გაიოზი, ევროპულად მომზადებული პიროვნება, ფარულად ემზრობოდა განმანათლებელთა ფილოსოფიას, კერძოდ მის ლოზუნგს—რწმენის შეუწყნარებლობას. ფაქტი გაიოზის გინდაც პასიური თანაგრძნობისა ფრანგ განმანათლებლობისადმი უცნაურად არ უნდა ჩაითვალოს. გაიოზი მოწინავე პიროვნებად ითვლებოდა იგი იყო ფილოსოფოსი, „ძნელთა განმმარტებელი“, მთარგმნელი, პედაგოგი და რიტორი, მცოდნე ფრანგულის, გერმანულის, რუსულისა და თათრულისა. მან 1776 წ. დაასრულა მოსკოვის სასულიერო აკადემია, ასწავლიდა ერეკლე I-ის შვილებს ფილოსოფიას, იყო ორგანიზატორი და პირველი რექტორი თელავის სემინარიისა, სადაც „განასწავა მრავალი“, „სთარგმნა სამასამდინ წიგნი“—საეკლესიო, სამოქალაქო, საისტორიო (მასალები, გვ. 31). ქართველი მემატიანე ახლად მიცვალებულ გაიოზს ასეთ მაღალ შეფასებას აძლევდა: „ესე ქაშხა ამას ძვირფასობდა ქვეყანასა ხაქართველოსასა და ამის შემდგომად ღმერთმან უწყის. დაშთება და მხვავები ამისი მეცნიერი ქვეყანასა ჩვენსა“ (მასალები, გვ. 58).

წიგნი ყოფილა ქართველ მკითხველთა წრეში, ამას მისი ხელნაწერების სიმრავლეც გვიმტკიცებს. 18 ს-ის არც ერთს უცხო მხატვრულ ნაწარმოებს ნუსხების იმდენი სიმრავლით არ მოუღწევია ჩვენამდის, როგორც „ველისარიანს“ (იხ. ყოფ. საეკ. მუზ., ხელნაწერი 607; წ.-კ. ხელნაწერები № № 1112, 1195, 4733, 4811; საისტ. საეთ. ხელნაწერები № № 233, 353, 1007, 1232, 2146, 2372, 2545, 2816. არ ვიღებთ მხედველობაში არც ქუთაისის მუზეუმის, არც ლენინგრადის სააზიო მუზეუმის, საჯარო ბიბლ. სხვა საცავების ხელნაწერებს).

თვით ბესიკი იმდენად გატაცებული ყოფილა მარმონტელის რომანით, რომ მარმონტელის გმირის სახელი პოეტს ლიტერატურულ ფსევდონიმადაც კი ამოურჩევია: ბესიკის „წმ. გიორგის შესხმა“—იამბიკოს დაზიანებული კიდურწერილობა იკითხება:

„გიორგის ვაქებდეთ,—თქმული ველისარიანის მიერ“ (ბესიკი, ს. გორგაძის რედ. გვ. 85).

„ველისარიანი“-ს სახელი მეორედ გვხვდება ბესიკის ლექსში: „ან-ზე სით მიხვალ?“

ვარამს ვესურვე, მიწოდდა,
ველისარიონს ჰკვიანად¹.

ალბათ, ამ გატაცების მიზეზით, პოეტის მეგობრები გარდაცვალებული ბესიკის დატირებისას წარმოთქმულს ლექსებში მას „ქკუით ველისარიონს“ უწოდებენ, რაც იმ ფაქტს უნდა ადასტურებდეს, რომ ბესიკი მიმდევარი ყოფილა რომანში გამოთქმული იდეის—რწმენის თავისუფლებისა, მაშასადამე, იგი იდეურად ფრანგ განმანათლებელთა ფილოსოფიასთან და ქართველ ვოლტერიანებთან მდგარა, რომელთა წრეში პოეტი არა ერთ პირად მეგობარს ითვლიდა.

დასასრულ, ბესიკის უდიდეს სიმპათიას მარმონტელის რომანისადმი ერთი საგულისხმო ფაქტიც გვიდასტურებს: სიძველეთა საცავებში (კერძოდ, წერა-კითხვისეულ და საისტორიო-საეთნოგრაფიოსეულ) ხელნაწერებზე მუშაობის დროს ჩვენ შეგვხვდა „ველისარიონის“ ორი ნუსხა (წ.-კ. № 172; ს.-ს. № 2372 მათი გადამწერლის ხელი ძალიან მიაგავს ბესიკის ხელს).

თუ ეს სწორი გამოდგა, მაშინ საყურადღებო ფაქტთან ვვაქვს საქმე: პოეტს, რომელიც ცნობილია მხოლოდ ლირიკული სიმღერებით და მცირე ფორმის პოემებით და არასოდეს სხვისი წიგნების

¹ „მას ბესარიონს, ჰკუით ველისარიონს,
მე ამით ვაქებ, არ ცუდათ დავიბაქებ:
გონება სრულსა, ცოდნით შენასრულსა,
დიდთა და მცირთა, ყოველთაგან სატირთა,
ვა, მის მკარავსა...“ („ჩვენი მეცნიერება“, 1924, № 1).

გადამწერლობით, მაინც არ დაუზოგავს დრო და მოცალეობა ამ დიდტანიანი რომანის გადაწერისათვის.

ცხადია, ბესიკის მიერ „ველიზარიანის“ გადაწერას ერთი მიზანი ჰქონდა—მისი გავრცელება საქართველოში, ქართული ინტელიგენციის იმ წრეებში, რომელთაც რომანის მორალი აღელვებდათ.

ბესიკისათვის, როგორც მაღალი გემოვნების მკითხველისათვის, ცნობილი ყოფილა აგრეთვე შესანიშნავი სოციალური სატირა—ლესაეის (1668—1747) რეალისტური რომანი „ვილ-ბლაზი“ ჩვენში ბესიკის არც ერთ რედაქტორ-გამომცემელს დღემდე არ შეუნიშნავს ის ფაქტი, რომ რომანის მთავარ გმირს პოეტი ორჯერ იხსენიებს ლექსში:

„ვილ-ბლაზ მარქვა
უცხოვს სჯულთა გარდამსახავად“...

(ბესიკი, ს. გორგაძის რედ., 141 16/9).

„ვილ-ბლაზი ერის მეტ ლიხვით
დამხედ არ იყო ჰხსნიოთა...“

(იქვე, 212).

საიდან გაიცნო ბესიკმა ლესაეის რომანი?

თუ პოეტმა მარმონტელის რომანი ქართულ თარგმანში წაიკითხა, მე ვფიქრობ, რომ „ვილ-ბლაზი“ ბესიკმა ქართული თარგმანით გაიცნო, მაგრამ ამ თარგმანს, ალბათ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

„ვილ-ბლაზს“ დიდი პოპულარობა ჰქონდა მოხვეჭილი რუსეთშიც. ლესაეის რომანი ბესიკმა უსათუოდ რუსეთში გაიცნო, ვაიოზისა და მირიან ბატონიშვილის წრეში. მით უფრო სიმართლესთან ახლოა ჩვენი მოსაზრება, რომ ბესიკის ლექსი „ან-ზე სით მიხვალ“, რომელშიაც ვილ-ბლაზი იხსენიება, რეალიების მიხედვით დაწერილია რუსეთში, პოეტის რუსეთში პირველი ყოფნის შეპდევ (1788 წ.).

„ველიზარიანისა“ და „ვილ-ბლაზის“ (ამ უკანასკნელის თარგმანი ჩვენ დაკარგულად მიგვაჩნია) გარდა, როკლებიც ვოლტერიანობის ტალღას უნდა შემოეტანა ფრანგულიდან და რუსულიდან გადმოუღლიათ აგრეთვე დასავლეთ ევროპის რამდენიმე სხვა ძეგლი, სახელდობრ:

1) „ფეილენია“ რასინისა, თარგმნილი ფრანგულიდან დავით ჯიმშერიის-ძე ჩოლოყაშვილის მიერ 1795 წელს (წ. ქ. № 1499, 2445, ს. ს. № 389):

2) „თელემაკი“ ფენელონისა: „გარდასავალი თელემაკისა, ძისა

ულისესი“, არტილერიის, კაპიტანის სარდიან ჩოლოყაშვილის მიერ თარგმნილი 1780-იან წლებში (ს. ს. ხელნაწერები №№ 128, 237, 448, 2319, 2699; წ. კ. ხელნაწერი № 377 და სხვ.). იგივე ნაწარმოები სთარგმნა რუსულიდან იესე გარსევანიშვილმა;

3) „ზადიდ ანუ ბედი“, ფილოსოფიური რომანი ვოლტერისა;

4) ამბავი აღმოსავლეთისა: „ქუეყანა ვითარცა არს“, მოთხრობა ვოლტერისა.

5) „ხილუაჲ ბაბუკასი. თვით მის მიერ დაწერილი“, ქმნილი უფლისა ვოლტერისა.

ვოლტერის ეს სამი ნაწარმოები რუსულიდან უთარგმნია გიორგი ავალიშვილს (1815-1816 წ.):—„როსიისა ენით ქართულსა ზედა გადმოღებად წყებული სტატისკის სოვეტნიკის თავადის გიორგი ავალოვის მიერ ჩყიზ (1817) წელსა, თებერვლის ივ (16), სანკტ-პეტერბურლსა შინა“ (ს. ს. № 1196).

დაცულია აგრეთვე რასინის პოემა „მადლი“ (წ.-კ. ხელნაწერი № 274), მაგრამ არ ვიცით, როდისაა ნათარგმნი, მე-18 ს. უკანასკნელ წლებში, თუ მე-19 ს. პირველ მეოთხედში?

ბროსეს სიტყვით, პეტრე ლარაძეს უთარგმნია ვოლტერის „აღათოკლე“.

შემდეგ ალექსანდრე ქავჭავაძე, მესამე თაობის ქართველი ვოლტერიანი (1783—1846), გადმოაქართულებს ვოლტერის, რასინისა და კორნელის კლასიკურ რეპერტუარს და, ამრიგად, მე-19 ს.-ის პირველ მეოთხედშივე ქართული მკითხველისათვის ცნობილი ხდება:

1) ვოლტერის „ზაირა“ (წ. კ. ხელნაწერი №№ 1724, 1742, ს.-ს.—№№ 193, 1733).

2) „აღზირა ანუ ამერიკელნი“ (წ. კ. ხელნაწერები №№ 1673, 5142, ს. ს.— №№ 389, 567, 1383, მწერალთა მუზეუმი № 17).

3) „სიდი“ კორნელისა;

4) „პერიკლე“ კორნელისა (წ. კ. ხელნაწერი № 2480);

5) „სინა“ (წ. კ. №№ 4910, 4914; ს. ს. № 1491);

6) „ედიპი“ (წ. კ. № 3164);

7) „ესთერი“ რასინისა (წ. კ. 2440);

8) „ფედრა“ (ს. ს. № 1492).

ცხადია, ამ თხზულებათა გარდა, უნდა ყოფილიყო სხვა თარგმანებიც ფრანგულიდან და რუსულიდან, რაც ჯერჯერობით შეუსწავლელია.

ამრიგად, 1780—1790 წლებიდან ქართულ მწერლობაში ჩნდება დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ძეგლთა თარგმანები, ცდი-

ლომენ ევროპის ახალი მხატვრული ლიტერატურისა და ზოგჯერ თავისუფალი აზროვნების მწერლობის გადმონერგვასაც ქართულს ნიადაგზე.

მე-19 ს. პირველ მეოთხედში თარგმანების რიცხვი საკმაოდ იზრდება. სხვა საკითხავია, თუ რამდენად აქტიური როლი ითამაშეს ამ თარგმანებმა ჩვენი ძველი მწერლობის სტილის გარდაქმნის საქმეში.

სამწუხაროდ, სრულიად შეუსწავლელია მე-18 საუკუნისა და მე-19 საუკუნის დამდეგის ქართული თარგმნილი ლიტერატურა. მისი სათანადო გაცნობა კი ბევრ რამეს მოგვცემდა ჩვენი საკითხის გაშუქებისათვის და იმის გამოსარკვევად, თუ რა როლს თამაშობდა ჩვენი ვოლტერიანების თაობა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ესთეტიკური და კულტურის ათვისების საქმეში. თარგმნილი ლიტერატურა ხომ მშვენიერი საზომია კულტურული გაელენისა?

ქართველ ვოლტერიანებს დიდი ღვაწლი მიუძღვით იმ მხრივ, რომ მათ ხელში ქართულმა წიგნმა დაკარგა გასართობის, „შემაქვევრობის“ ტრადიციული როლი, ანუ, როგორც იტყოდა მე-18 ს-ის დასაწყისის მგოსანი თავის წიგნის შესახებ:

... აამე სმენთა, კარგ ღვიინის მსმელთა.

აწე შენ, წიგნო, ბაქარიანო,

კარგად შეექცენენ, არსად გაექცენენ,

ვინც სუფრაზე ზის, აქ არიანო!

მე-18 ს. წიგნი ხშირად იწერებოდა „ნაღლის რასმე საქარვებლად“, „გასაძლებად“, „სევდისა მოსათმინობით“ ანუ „სალხინოდ და სალალობოდ“. აღნიშნულ ეპოქაში კი წიგნი აზროვნების იარაღად, პრაქტიკულ სახმარებლად გადაიქცა და, რაც მთავარია, ამიერიდან იგი პოლიტიკური აზროვნების მატარებლად გახდა. ქართველი ვოლტერიანების დამსახურებლად ისიც ჩათვლება, რომ ისინი ევროპის თავისუფალი აზროვნების ლიტერატურის შემოტანით რამდენადმე ქართული მწერლობის ევროპეიზაციას ახდენდნენ. სწორედ ამ „ახალ ფილოსოფოსთა“ ზეგავლენით და პირადი მონაწილეობით ითარგმნა ქართულად ვოლტერი, მარმონტელი, მონტესკიე, რასინი, ანსილონი, კონდილიაკი და სხვ.

ეს თარგმანები ზოგჯერ გამოწვეული იყო ქართველი პოლემისტების ჯგუფის ორგანიზაციული მიზნებით და მათ ყოველთვის შემთხვევითი ხასიათი არ უნდა ჰქონოდა.

ბესიკ გაგაშვილი იასში¹

(დღურიდან „მოგზაურობა რუმინეთში“)

იანერის მზიანი დილაა. ყინვის სუსხი სახეს გვწვავს. თებქვეშ ყინული ჭახჭახებს. მატარებელი დაიძრა. დაეჭოვეთ ჩვენი სასაზღვრო სადგური უნგენი. აჰა, მდ. პრუტსაც გადავცდით, რუმინეთი დაიწყო... მთები და გორები, გაშიშვლებული ბაღები და ვენახები, რუპინული სახლები, სასიმიინდეები – ჩვენებური ძარები. წოწოლა-ქუდებიანი რუმინელი გლეხები დაზამთრებულ საქონელს მიეუყვებიან. მატარებელი მიჰქრის. ქ. იასს ვუახლოვდებით. ვლელავ. რამდენიმე წუთში უნდა ვინახულო ქ. იასი, უნდა ასრულდეს ჩემი ბავშვობის ოცნება. იასში ხომ უკანასკნელად ცხოვრობდა ჩვენი ბესიკი, ქართული ლექსის დიდი ოსტატი. აქ, იასში, გაატარა ბესიკმა უკანასკნელი დღენი ცხოვრებისა, აქვე მარხია.

რა უნდოდა აქ ბესიკს. რამ მოიყვანა? „სადაურსა სად წაიყვან“...

გამტყორცნა სოფელმან,
მოგშორდი მხესა,
დღენი ჩემნი წარვლენ
ბნელად და ბნელად!
რაყრფათ შემექინა
ჩემივე ბედი,
სიცოცხლესდა ვპოვებ
მნელ-დ და ძნელად!

ბესიკის სულაქითი სიტყვები ზედ გამოჰკრილია ბესიკის დროინდელ საქართველოზე, ბესიკის დროის ქართველობაზე და თვით ბესიკზე.

გადახვეწილ პოეტს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

რაც მიიწერა სოფელმა,
ველარ დაეთვალე ამრითა,
მისი სიმწარე ყოველი
გულს გარდამთმობა კამრითა.

აგერ, გამოჩნდა კოოპეს მალალ ბორცვებზე ქალაქი იასი, ზამთრის დილის მხით გაჩაღებული. დაღძალი გუქბათები მოჩანს შო-

¹ „ლიტერატურული გაზეთი,“ 1956, № 26.

რიდან. მატარებელი ჩამოდგა... პერონზე იგრილა ტაშმა. ეს ჩვენ ვეხედებიან. საბჭოთა დელეგაციას, რომელსაც მე და პოეტი შჩიპაჩევი წარმოვადგენთ. ჩამოველით ვაგონიდან. გვეგებება ქ. იასის საზოგადოებრიობა, 40-ზე მეტი კაცი—ადგილობრივი მწერლები, ნეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი, ქალაქის წარმომადგენლები. გავეცანით, ჩვეულებრივი მოკითხვა, ღიმილი, გულითადობა, რამდენიმე თავისუფალი საათი გვაქვს იასის დასათვალიერებლად, ბუქარესტში გამგზავრებამდე. მასპინძლებს უპირველესად საუზმეზე მივუყვართ, მაგრამ, როდისღა დავათვალიეროთ ქალაქი? როდისღა მოვიცალო ბესიკის საფლავის მოსანახავად? მე დიდი თხოვნით ვთხოვ ჩემს რუმინელ მეგობრებს, რათა ჯერ ქალაქი გვიჩვენონ. ისინიც და ჩემი თანამგზავრი სტ. შჩიპაჩევი დაჰყენენ ჩენს ნებას.

იასი ანუ იაში, როგორც თვით რუმინელები ეძახიან, მოლდავეთის ძველი ნატახტარი ქალაქია. XVIII საუკუნის ქართველი მოგზაური იონა გედევანიშვილი აღნიშნავდა: „იასისა ქალაქი არს დიდი“. დღეს იასი ერთი მთავარი ქალაქთაგანია, რუმინეთის დიდი კულტურული ცენტრი. იასში არის უნივერსიტეტი სახელგანთქმული ბიბლიოთეკით. რითაც ამაყობენ იასელები, აგრეთვე სასწავლებლები. მუზეუმები, მშვენიერი პარკები—მწერალ-მოღვაწეთა ძეგლებით შემკული (მარტო მთავარ პარკში 25-ზე მეტი ძეგლი და ბიუსტი დავთვალე). იასი განთქმულია ვენახებით, ღვინით, ბაღებით, ლამაზი სანახებით. აქედან 50 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს „კოტნარი“, საზაფხულო სამყოფელი პოტიომკინისა (აღბათ დესპანი ბესიკიც აქ ცხოვრობდა ზაფხულობით), იგი დღესაც ავარაკია. განთქმული გეროკეთილი ღვინით.

ქალაქი იასი საგონიბლოდ დაზიანებულია ჰიტლერელებისაგან. ახლა იქ ცხოველი აღმშენებლობითი მუშაობა მიმდინარეობს. გავვეცვენენ იასის ქალაქის საბჭოს თავჯდომარე, ყოფილი მუშა ანტონი (გვარი ველარ მოვგონე), მეტად ენერგიული კაცი და მისი შობადგილე მუშა ქალი, ფხიანი, მოკაძალებული. მათ ბევრი რამ გვიამბეს იასის აღორძინების გეგმებს შესახებ.

იასში არსებობს რუმინეთის წერალთა კავშირის განყოფილება, ოროცდაათამდე მწერალია კავშირის მუშაობაში ჩაბმული, მათ შორის, არა ერთი ცნობილი და სახელიანი.

* *

იასის დათვალიერების დროს მომაგონდა აქ ორი გადახვეწილი ქართველი მწერალ-მოღვაწეა გაიოზ ბარათაშვილისა და იონა გედევანიშვილის შეხვედრა 1790 წელს. უკანასკნელი გვიამბობს: „დი-

დად მიამა რა მოვიდა გაიოზ და ვნახეთ ერთმანეთი; გადავხვივე-
ნით, იტირა გაიოზმა და ვკითხე—რაისთვის სტირი, მამაო და
ძმაო? მიპასუხა: საიდან ვართო და სად შევიყარენითო! სადაობა
და ვინაობა სულთ-ითქნა და მეცა მასულ-თქმა“.

ეს ამბავი სწორედ ბესიკის იასში ყოფნის დროს მოხდა და ქართ-
ველი კაცის დანახვა ბესიკსაც, ცხადია, არანაკლებ გაუხარდებოდა.

სხვათა შორის, ბესიკის იასში ყოფნისას, გაიოზისა და იონას
გარდა, ქართველებიდან კიდევ იყვნენ: ერეკლე მეორის წარმომად-
გენლები: სულხან მდივანი თუმანიშვილი და მისი თანამშრომელი
და მსახურნი; იმერთა მეფის დავითისა,—ბესიკის ბიძაშვილი სიმონ
გაბაშვილი; რუსეთის ატაშე — სერგეი ბიბილური-ლაშქარაშვილი
და სხვ.

ვინახულე ცნობილი ტრისიარხის ტაძარი, რომლის ეზოშიც
ცხოვრობდა ზემორე მოხსენებული ქართველი მოგზაური იონა გე-
დევანიშვილი. იონა გადმოგვცემს თავის „მოგზაურობაში“: „მოველ
ქალაქსა იასში და დავსდევ მონსტერსა ტრისიარხის სახლს... სახლი
ვეთილი და უცხოთ მოფენილი“.

ტრისიარხის ტაძარი XVI საუკუნეშია აშენებული. გარედან თა-
ვით ბოლომდე სრულიად მოჩუქურთმებულია ანუ აშენებულია მი-
ლიანი ჩუქურთმებით. აკად. პეტრე კონსტანტინ—იაშმა (იასელი)
გადმომცა: რუმინულ მეცნიერულ წიგნებში მიღებულია შეხედულე-
ბა, რომ ტრისიარხის ჩუქურთმებში მრავლად ურევია ქართული
ელემენტები.

ასე თუ ისე, რაც ჩვენს მცირე დროს შეეფერებოდა, ერთი თვა-
ლის მოვლებით დავათვალიერეთ ქალაქი, მისი ღირსშესანიშნავი
ადგილები, ვიყავით უნივერსიტეტშიც, რომლის სამკითხველოს დარ-
ბაზში პროფესორებსა და სტუდენტებს მცირე საუბარი ჩავუტარე
ბესიკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, განსაკუთრებით
შეგჩერდი ბესიკის იასში ყოფნის პერიოდზე და იმ მიზეზებზე, რა-
მაც ბესიკი იქ ჩაიყვანა. საუბარს ხალისით დაესწრნენ უნივერსი-
ტეტის რექტორი, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე
და სხვ.

განსაკუთრებული ინტერესით მოეკიდა ბესიკს ქალაქის მესვე-
ური, იგი გვპირდებოდა ქალაქში ბესიკის ბიუსტის დადგმას—მე ყვე-
ლაფერს გადაკეთებ ბესიკისათვის, ოღონდ დაგვეხმარეთ საქართვე-
ლოდან ბესიკის პოპულარიზაციის საქმეში შესაფერი მასალებითო.

მე გამოვთქვი აზრი: კარგი იქნება, იასში ბესიკის პატარა მუ-
ზეუმი მოეწყოს, ექსპონატებით ჩვენ დაგეხმარებით. ეს აზრი გულ-
წრფელად იქნა გაზიარებული.

ქალაქის დათვალიერებაში დრო გავიდა, მე მოუთმენლად მოვე-
ლი ბესიკის საფლავის ფიქალის ნახვას, რომელიც შარშან აკად.
5. ბერძენიშვილმა და ო. გიგინეიშვილმა ინახულეს, მაგრამ უცნა-
ურია, რომ ჩემს სათხოვარზე მასპინძლები კრინტსაც არ სძრავენ.
მე მიკვირდა მათი მღუმბარება. ბოლოს გამოიკრევა, რომ ჩემს პეგო-
პარ მწერლებს გაგონებითაც კი არ გაუგონიათ ბესიკის ვინაობა
და სახელი, მით უმეტეს, ბესიკის ქ. იასში დამარხვის ამბავი. რა
გაიგეს, დაფაცურდნენ, ტელეფონით აცნობეს გოლიას მუზეუმის
დირექტორს, ავტოთი წაგვიყვანეს. მივედით გოლიას ტაძარში.
იგი დიდი ისტორიული ძეგლია. აქ უყვარდა პოტიომკინს
გამარჯვებათა პარაკლისების გადახდა დიდი ცერემონიებით, რასაც
ბესიკიც უნდა დასწრებოდა, როგორც ოფიციალური პირი--
დესპანი.

შევედით ეზოში. ვიღრე დირექტორს მოუხმობდნენ, რუმინელმა
პეგობრებმა მიმიყვანეს ტაძრის უკან პატარა სახლის სანახავედ,
სადაც თურმე ერთ ხანს ცხოვრობდა მე-19 საუკუნის რუმინელი სა-
ხალხო მწერალი ივანე კრიანგა. იგი დიაჩოქი იყო. საეკლესიო სამ-
სახურიდან დაითხოვეს თავისუფალი აზროვნებისათვის და კიდევ
იმისთვის, რომ სწორედ ამ სახლის დერეფნიდან სანადირო თოფი
ესროლა გოლიას ტაძრის გუმბათზე მჯდარ ყვავებს.

სიყვარულით გვიამბობენ ხალხის საყვარელ მწერალ კრიანგას
შესახებ. მისი საკუთარი ქოხიც ვნახეთ ქალაქში,—პატარა ფიცრუ-
ლია, მაღალი კაცი ვერ გაიმართება, ისე დაბალი ჰერი აქვს. აქ.
ამ პატარა ქოხში დაიარებოდა მასთან სტუმრად პოეტი მინაი ემი-
ნესკუ (რომლის იუბილეზე დასასწრებლად ჩამოვედით შჩიპაჩევი და
მე). მთელი დღე ჩაკეტილები საუბრობდნენ სამშობლოს ბედზე.
ლიტერატურაზე, კაპათობდნენ, ლექსებს კითხულობდნენ. ორივენი
დიდ სიღარიბეში დაიხოცნენ. კრიანგა განთქმული საბავშვო მწე-
რალიც არის. საუბარში მწერალთა დიდმა ჯგუფმა სურათი გადა-
ვიღეთ. და როცა ფოტოგრაფმა გვერდზე გაჩინმო ცალკე ჩემ
გადასაღებად და „პოზაში“ დამაყენა, შეგვადე შეცარიე ჩემს გვერ-
დით, კრიანგას სახლზე აყუდებულ ფიქალს ქართული ასოებით.
დავარღვიე პოზა და გახარებული მივეარდი ბესიკის ფიქალს. მიე-
ხედი, რომ ბესიკისა იყო.

ფიქალი შემკობილია თავიდან ბოლომდე ყვავილოვანი ჩუქურ-
თმით, თავში გაბაანთ საგვარეულო ღერბია ამოკრილი, მას მოს-
დევს ბერძნული წარწერა. ბესიკის ეპიტაფია ბერძნულად ხეულის
ხელით არის შესრულებული და ამიტომ არც ისე ადვილია
ვისი ამოკითხვა. პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა ჩემი თხოვნით ეპიტა-

ფის დიდი ნაწილი ამოიკითხა და მითარგმნა, რისთვისაც დიდად ემადლობ, აი თარგმანიც:

„როგორც საფლავიდან... კაცი იბერიელი, წარმოშობით კეთილშობილი, ბრწყინვალე შვილი ზაქარიასი, სახელად ბესარიონი, კეთილ-სათნო ბუნებით, გაბაონთა გვარიდან, ჩამოვიდა ელჩობასთან ერთად კოლხიდიდან. მაშინ გადაუხადა მან ვალი უფალს. იცოცხლა რა ორმოცი (წელი), გარდაიცვალა წელსა ღვთისშობიდან 1791-ს, იანვრის“...

შემდეგ მოსდევს ქართული: „საფლავსა ამას შინა მდებარე არს თავადი ბესარიონ ზაქარიას-ძე იობიან გაბაშვილი, რომელიცა წარმოგზავნილ იყო იმერთა მეფისა დავითისაგან დესპანად რუსეთისა დიდებულებისა საიმპერატოროსა კარისადმი და მიიცვალა აქა იასსა წელსა—ჩღეთ, იანვარს კდ. ნხილველთაგან შენდობის მთხოველი“. ამას მოყვება ქვემოთ ჩუქურთმა-ყვავილის დიდი ბუტკო, ნაყოფ-დასხმული.

სხვათა შორის, ფიქალის თავში ამოღარულია ორი პატარა ჯამი. ვიკითხე მათი წნიშვნელობა, ნითხრეს, ჩიტებისთვის არისო, ნაწვიმარზე წყალი ჩადგება, ჩიტები სვამენო.

ბესიკის საფლავის ქვა ძვირფასი მარმარილოა. სწორედ ამ სიძვირფასემ გადაარჩინა იგი დაღუპვას. მისი ისტორია ასე იია: პოტიომკინის ბრძანებით ბესიკი დამარხულ იქნა „ვიენერის“ ანუ პარასკევას ძველ ტაძარში, რომელიც სიეველისა გამო აიღეს 1879-1880 წლებში. მაშინ ზოგი მიცვალებული გადაიტანეს, ვისაც კი კირისუფალი ჰყავდა. ზოგის ნეშტი ღამით ტომრებით უზიდნიათ აეტერნიტეს სასაფლაოზე და იქ დაუკრძალნიათ, ზოგი კი უპატრონო საფლავები ისე დაუტოვებიათ. ვფიქრობთ, ბესიკი არ გადაიტანეს უპირისუფლობის გამო. ქვა კი გადაუტანიათ, დიდხანს აქეთ-იქით უმოგზაურია, ჩერე ქალაქის სასაკლაოზე აღმოჩენილა. აქედან კი სხვა ქვებთან ერთად შერჩევით, აქ, გოლიას მონასტერში, გადმოუტანიათ 1922 წელს.

მაგრამ ცარიელი ფიქალი რას გვეტყვის? სად არის საფლავი, როგორ ვიპოვოთ ბესიკის სამარე? მე ვეუბნები რუმინელ მეგობრებს და კერძოდ მუხეუის დირექტორს. პოვნა შესაძლებელი უნდა იყოს და აი როგორ: ვიენერის ტაძარი, სადაც ბესიკი იყო დაკრძალული, 1879-1880 წლებში დაანგრიეს. ქალაქის ხელმძღვანელობა უკვალოდ არ მოსთბდა უძველეს ისტორიულ ძეგლს, რომელსაც ანგრევდნენ მხოლოდ მისი სიძველით განოწვეული მოსალოდნელი ხიფათის გამო. ტაძრის დანგრევამდის ხომ აღრიცხავდნენ ცნობილ პიროვნებათა საფლავებს ტაძარში და ბოლოს აქ ხომ „ლეკიანობა“

არ ყოფილა და ქალაქის არქივში ხომ ინახება „საქმე“ ტაძრის დანგრევის გარშემო?

— ნე გთხოვთ, ყოველივე ეს გამოიძიოთ, გამოჩხრიკოთ, ვიდრე აქა ვარ, ამ ორ კვირაში. სანამ ბუქარესტიდან დაებრუნდები საქართველოში. და ბოლოს გამოიგეთ, თუ რას ნიშნავს ეს ბეიკის ქვაზე ამოქრილი არაბული ციფრი „6“? ხომ არ არის რაიმე ნიშანი? ეს უალაგო ალაგას დასწული ციფრი ბესიკის ქვაზე, ცხადია, შერეა ამოქრილი, იგი რაინე ნიშანი უნდა იყოს! — არა ვცხრებოდი მე და ყოველივე ამის გაგებას ვთხოვლობდი, ვაწუხებდი მეგობრებს'.

როცა ბესიკის საფლავის ქვას ვუყურებდი, უცებ გამიელვა აზრმა: ანა დედოფლის მიერ ხომ არ არის დადგმულა? სხვა ვინ შესძლებდა, მაშინდელს ვითარებაში, თუ არა ჩეფე ან დედოფალი, ასეთი მხრუნველობის გამოჩენას ბესიკის ხსოვნისადმი?

თუმცა ქვის დადება შეიძლო ბესიკის შემდეგ იასში დესპანად მყოფს მის ბიძაშვილს სიმონ გაბაშვილს (თუ ეს ასეა, მაშინ ქვა უნდა იყოს დადებული ქართული წესის მიხედვით წლისთავზე. ე. ი. 1792 წელს). მაგრამ როდესაც საფლავის ქვის ბერძნული წარწერა ვათარგმნიე, გამოიჩქვა, რომ ქვის დადგმულად იხსენიება იოსები, ბესიკის ძმა (ცნობილი კალიგრაფი „ოსე“-დ წოდებული). როგორ უნდა მოეხერხებინა საქართველოში ჩუფ ოსეს ბესიკისთვის ქვის დადგმა? ინელია ამის თქვა. ხოლო მას შემდეგ, რაც ოსე გადასახლებულ იქნა ჯერ ყიზლარში, შემდეგ ბელგოროდში, იგი მხოლოდ ანა დედოფლის ხარჯით საზრდოობდა როგორც სრულიად უპოვარი. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ოსეს სახელქვეშ ანა დედოფალი უნდა იყოს ამოქარებული. ეპიტაფის ასოთა მოყვანილობაც, ჩემი დაკვირვებით, უფრო მე-19 საუკუნის დასაწყისის

¹ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბესიკის ფაქალი და სამარის ადგილი ჩემამდე ნახეს აკად. ნ. ზერქანი ჯიღა და თ. გიგ'ნეშვილმა (იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949 წ. № 40, ნ. ბერქანიშვილი, „ძლევა“, 1949 წ. გვ 64—68). უკანასკნელი ჩემსობას ჯერ არ იყო გამოსული და არც მენახა, რაც შეეხება ო. გიგ'ნეშვილის წერილს. იგიც თან არ მქონდა, ისე ნაუცბადედად მომიხდა რუმინეთში გამგზავრება. ხსენებულ წერილში ნათქვამია: „ქვაზე ამოკვეთილი იყო ციფრი 6; როგორც აკვირსნეს, ეს რუმინელი პროფესორის იორგას მიერ არის დანომრილი და ნიშნავს, რომ ის შეტანილია მის წიგნში „წარწერები იასის ეკლესიებთან“. მისი ეს წიგნიც მოგვიტანეს. იქ მე-6 ნომრის ქვეშ აღნიშნულია იყო: ქვა ქართული წარწერით. მაგრამ წარწერის შინაარსზე კი არაფერი იყო ნათქვამი“.

საერთოდ, რააკვირრეელია, ჩემი და ხსენებული ავტორების ინფორმაცია ქობანეთს შეესაბამება.

დამწერლობის იერისაა, იმ დროისა, როცა ანაც და ოსეც რუსეთში ცხოვრობდნენ.

რით მოკვდა 40 წლის ბესარიონ გაბაშვილი?

ბესიკი რომ წინათ ავადმყოფობდა (მაგალითად, 1788 წელს), ეს ჩანს მისივე დღიურიდან. ერთგან ჩაწერილი აქვს: „ჩვენს ექიმს ჰქვია მინაილუ გრიგორიევი სინ ბორისევიჩი, რომელიც არის ფრიად ლეკარი. და ეს არის ღვთის მოცემული იმედი და მრავლად იღვწა ჩვენთვის“.

ბესიკმა მრავალჯერ ძნელი სახითათო მოგზაურობანი გამოიარა. ტყუილად კი არ ჩივის ერთგან:

მთა-ველ-წყალი სულ დაელახე,
მიკვირს, შემრჩა კაცის სახე.

„ანბანთა ქებაშიც“ გვიამბობს, რომ იგი არის:

დიგორას გადმომრებელი...
ზღვით ვრანს გაველ ცურვითა...
ქირმანს მხარხა ჩაუარე.
ქოისტისა ეძებნე გზანი...
ყოზლარს მიველ...

შირვანით მრები,
ზღვით მონამხრები, შირახს ჩამქრები,
შა-სა მხლები...
ვლახეთი მოვლე ყარიბმან... და სხვ.

ბესიკი ჯერ თბილისიდან გაპარვით გარდაიხვეწა, შემდეგ, იმერეთიდან ასტრახანს გადახვეწილმა მოიარა ირანი, რეჰტი, გილანი, შირაზი, ყაზვინი, ახლა უკან დაბრუნება განსაცდელიანი გზებით იმერეთში, შემდეგ რუხის ბრძოლაში მონაწილეობა და დაქრილობა (ერთს სიგელში დავით იმერთა მეფე ბესიკს უწოდებს „სისხლთა ვიდრემდე ნამსახურს“. ცენტ. არქ. სიგ. № 3296), შემდეგ რუსეთს მგზავრობა—მოსკოვს, პეტერბურგს, ბოლოს—კრემენჩუგს, კიშინიოვს, და ბოლოს აქ, იასში ჩასვლა. ამ საძნელო მოგზაურობებს და ათასნაირ განსაცდელს საკმაოდ უნდა შეერყია ბესიკის ჯანმრთელობა.

ისიც უნდა დავძინოთ, რომ იასი, სადაც ბესიკი ბოლო ხანებში ცხოვრობდა, განთქმული იყო მაღარიით, მაშინ იასში მცხოვრები იონა გედევანიშვილიც ხომ გადმოგვცემს: „იასი ესე ქალაქი, თითქმის ქაობიან-გაუშრობელი“, „იასი ჰავითა არ არის კარგი. ციებ-ცხელება იცის. ვიტყვი, სახლსა შინა არ დაავდებს ერთსაცა... გარდა ამისა, არს მდინარე ქალაქისა ამის წინამდებარე მცირე,

ღამბალი. რომელსაცა უწოდებდნენ პახლო. წურბელითა საესე... და ამის გამო არაკეთილსა ჰაეასა და არა შემრგოსა იტყვიან“ („მინოსელა“, გვ. 133). შესაძლოა ბესიკი ფელდმარშალ პოტიომკინით (1791 წლის 5 ოქტომბერს) გახდა მსხვერპლი მალარიისა. მაგრამ არის კიდევ ერთი ექვი, რომელიც უნდა გავუზიარო მკითხველს:

პოეტის ძმა ოსე გაბაშვილი წერს, რომ ბესიკს „შემთხვა უბედურება და გარდაიცვალა“. რა შემთხვა, უცაბედურად მოკვდა თუ არა, გამოურკვეველია, და ბესიკის სიკვდილის ამბავი დღესაც საიდუმლოებით არის მოცული. ნხოლოდ ერთი ექვი ბესიკის სიკვდილის შესახებ მოულოდნელად წამოიჭრა ჩემთვის მწერალ ქალ ოლგა ფორშთან შემთხვევით საუბარში.

როცა ბესიკზე ვწერდი მონოგრაფიას, ერთ შეხვედრისას ოლგა ფორშთან, როცა მან მკითხა, თუ რაზე ვმუშაობ, ჩამოვაგდე ბეიკზე საუბარი; ვუამბე მისი თავგადასავალი, განდევნა, ყოფნა პოტიომკინთან, იმერეთის საჩეფოს დესპანად. იასში მისი სიკვდილი და სხვ. უცბად ფორშს წამოაგონდა, რომ მას სადღაც აქვს წაკითხული რომელიღაც ფრანგი დიპლომატის (პოტიომკინის კარზე ნამყოფის) მემუარები, სადაც ნათქვამია, რომ პოტიომკინის კარზე ვინმე წაბუკი ქართველი დესპანი მოწაჟღეს რომანულ ნიადაგზეო (თითქოს ეკატერინე მეორის თუ პოტიომკინის კარის ინტრიგების წყალობით). ფორშმა ვერ მოიგონა მემუარების ავტორის ვინაობა. შეპირებით კი შემპირდა ამ მემუარების მოძებნას. ფორშის მიერ მოწოდებულმა ცნობამ ჩემზე ისე იმოქმედა, რომ უკვე დასაბეჭდად გამზადებული ჩემი მონოგრაფია „ბესიკი“ დადი ხნით გადავდე. ხოლო მისი მეორე ნაწილი ამ მასალის ძიებასა და მოლოდინში დღესაც დაუბეჭდავად მაქვს დარჩენილი.

ვინ უნდა ყოფილიყო წაბუკი ქართველი დიპლომატი პოტიომკინის კარზე, თუ არა ბესიკი გაბაშვილი?

ერეკლეს დესპანი სულხან თუშანიშვილი. რომელიც არც ისე ახალგაზრდა იყო, ჯანმრთელად დაბრუნდა საქართველოში, ასევე დაბრუნდა ბესიკის მოზაგიერე—სიმონ გაბაშვილი. სხვა ქართველი დესპანი კი პოტიომკინთან არა ყოფილა.

ბესიკის მოწამელა რომანულ ნიადაგზე იქნებ დასაჯერებელი იყოს, მაგრამ პოეტის სიკვდილი, იმ შემთხვევაში თუ მემუარისტის ცნობა მართალია, შესაძლოა პოლიტიკური მიზეზითაც იყოს გამოწვეული. ბესიკი ხომ მართო პოეტი არ იყო? იგი აქტიურ სახელმწიფო მოღვაწედ ითვლებოდა და იმერეთის დესპანის სიკვდილში ხომ არ ურევია ხელი სტამბოლისა, რომლისთვისაც,—ბე-

სიკის სიტყვით, — „კეთილმდგომარეობა იმერეთისა იყო მაკვდინებელი წყლული“. ოსე გაბაშვილის წერილიდან ცნობილია, რომ ბესიკმა თავისი დიპლომატიური მისია ნაყოფიერად შეასრულა. პოტიომკინმა უკვე მისცა 12 ათასი მხედარი და დაიმედებული ბესარიონ გაბაშვილი ბრუნდებოდა იმერეთის დასახსნელად თურქების მტარვალობისაგან („მაშინ ებოძებინა შესაწევნელად წინააღმდეგობათა მტერთა ზედ მხედრობა 12 ათასი“ და ერთი გენერალ-მაიორი, რომელსაც „უნდა წაჩოსდლოდა“ ბესიკი და შავი ზღვით აფხაზეთისკენ უნდა გამოსულიყვნენ¹ სწერდა დედოფალ ანას ოსე გაბაშვილი). თურქებმა ალბათ განქვრიტეს იმერეთის ხელიდან წასვლის შესაძლებელი ხიფათი და ამიტომ აზიური ხერხებით თავიდან მოიშორეს აქტიური მოპირდაპირე. იმერეთის დესპანი ბესარიონ გაბაშვილი. შესაძლოა ეს ეპეი დაგვებადოს, ვიმეორებ, თუკი კეშმარიტია ოლგა ფორშის მიერ წაკითხული ფრანგი მემუარისტის ცნობა. ამრიგად, თათქოხ მართლდებოდეს ბესიკის წინასწარმეტყველური სიტყვები:

მე, ბესიკს, მემართა საწუთრო ვალთა.

მომესივნენ მტერნი მკვლელად და მკვლელად.

თუ ბესიკის მოწამელა მართალი გამოდგა, მაშინ პოეტსაც თავისი მეგობარ-მეცენატის ლევან ბატონიშვილის ბედი რგებია. იგიც იომ მოწამლეს. მოიგონეთ ბესიკის დანატირალი სიტყვები ლევანის კუბოზე:

ჰქუხს ღრუბლებრ გული,
დულს შინაგანი წყლული,
სჭრის ღვიძლთა მტრული,
მახვლი ორპირული!

¹ ამას გარდა, წყალობა და ნიშნების სამეფო: აჯორგვინი სამეფო, სკიპტრა სამეფო. პოფორი სამეფო, ლურჯი კავალერია, ღერბი სადავითო სახლისა სამეფო, დროშა სამეფო, ძვირფასი ბეჭედი, საათები ბრილიანტით მოჭედილი სხვადასხვა.

„და თქვენი უმაღლესობისათვის სადედოფლო ნივთები ებოძებინა შესაბანი თქვენისა დიდად მშვენიერებისა. ესენი მახსოვს. რომელიც ამაში აღწერილი არის ნიშნები... და ესენი ყოველივე დიდმან კნიაზმან (პოტიომკინმა) ჩემს ძმას ბესარიონს აჩვენა და ჩააბარა. უნდა წამოხძლოდა ზემოთქმულს გენერალ მაიორს ჩემი ძმა ბესარიონი. და შავი ზღვით აფხაზეთისაკენ უნდა გამოსულიყვნენ. ჩემს ძმას ბესარიონს შეემაზგა უბედურება და გარდაიცვალა იმჟამად... და მუნ დამარბენა დიდმან კნიაზმან სამიტროპოლიტოსა ტაძარსა შინა.

„მერმუო ჩემი ბიძაშვილი სვიმონ მოემზადებინა წამოსასვლელად ბესარიონის ძაგურად და ამის მხედებებში დიდი კნიაზიც გარდაიცვალა და ესრეთ დაშთა ამდენი მოწყალება მისის დიდებულების ხელმწიფის ეკატერინისი“.

დიახ, შესაძლოა მტრის ფარულ მახვილ-სამსალაჲ გააქრო გარ-
დახვეწილი, მწირი პოეტი უცხოეთში, სამშობლოს გარეა...

* *

ამასობაში გამოჩნდა გოლიას მუზეუმის დირექტორი. ინდიფე-
რენტულად უყურებს ბესიკის საკითხს, ემჩნევა, არ ეინტერესება.
ზანტად ლაპარაკობს, თითქოს პირველი გაგონებაა მისთვის. მე გა-
ვახსენე ქართველ მეცნიერთა ყოუნა იასში და მათი ძიება ბესიკის
საფლავისა—ახ! ვიცი, ვიცი! იგი უნდა ემარბოს „ვინერის“ ნასაყდ-
რალზე, ნამდვილად ჰმარბია თუ არა. ამასაც ვერ გეტყვით, თავის
დროზე მრავალი მიცვალებულის ნეშტი გადაუსვენებიათ. მე ჩემს
მუზეუმში მაქვს ვინერის საფლავიდან ამოღებული ერთი ოქროს
ლილი, შესაძლოა სწორედ იმ ქართველი მიცვალებულისაც არი!
თქვენ ხომ ამბობთ, დესპანი იყო, შესაძლოა ლილი მისი სადესპა-
ნო ჩაცმულობისაც იყოს? ამაზე გათავდა ჩენი საუბარი, დავათვა-
ლიერეთ გოლიას ტაძარი, მისი შესანიშნავი ფრესკები, მუზეუმში
და უკვე აგვაჩქარეს მატარებლისაკენ... ნახევარ საათში უკვე გაე-
ქროლეთ ბუქარესტისკენ მიხაი ეპინესკუს იუბილზე დასასწრებლად,
სადაც ორ კვირას დაეყავი.

ბუქარესტში, ოფიციალური საქმიანობის გარდა, თითქმის ყო-
ველ დღე ვმუშაობდი რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიო-
თეკაში, მეორე, დიდ დაკარგულ ქართველ მოღვაწე ანთიმ ივერი-
ელის მასალებზე.

ჩემ მიერ ჩატარებული მუშაობიდან გამოვიტანე დასკვნა: ტრა-
დიციული აზრი, თითქოს ჩვენ. ქართველებს, პირველი ეროვნული
სტამბა (რომლის 250 წლისთავი სრულდება 1959 წელს) მოგვიწყეს
უცხო ოსტატებმა, კერძოდ მიქელ უნგრო-ვლახელმა, შემცდარია.
როლები უნდა შეიცვალოს. ქართული სტამბის ინიციატორი, ვახ-
ტანგთან ერთად, არის ანთიმ ქართველი (ივერიელი), რომელმაც
თავის მხრივ რამდენიმე სტამბა მოუწყო რუმინეთს. ანთიმმა სა-
ქართველოში გამოგზავნა თავისი მოწაფე მიხაილ უნგრო-
ვლახელი, რომელიც ანთიმის დავალებით და დირექტივით მთავარ
მონაწილეობას იღებდა თბილისის სტამბის ორგანიზაციაში.

ბუქარესტშიც ისევე მღელვარებით ვფიქრობდი ბესიკზე. მოსვენ-
ებას არ ვაძლევდი ჩვენს საბჭოთა კავშირის ელჩს რუმინეთში სერ-
ვო ქავთარაძეს, ვთხოვდი, თავისი მხრივ დაევალებინა იასში ჩენი
კონსულისათვის ბესიკის მასალათა მოძებნის საქმეში ჩარევა. ს. ქავ-
თარაძე ყოველგვარ დახმარებას მიწევდა, როგორც ბესიკის. ისე.
ანთიმ ივერიელის საკითხების გამორკვევაში.

დიდად კმაყოფილი ვბრუნდები ბუქარესტიდან, მშვენიერად მიგვიღეს. ემინესკუს იუბილემ დიდებულად ჩაიარა. ანთიმ ივერიელზე ახალი მასალები მოვიპოვე, ბესიკის გარშემოც მუშაობენ იასში. ანთიმისა და ბესიკის შესახებ ვესაუბრე რუმინეთის მუშათა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, კერძოდ ამხ. გეორგიუ-დეეს. როცა მე და შჩიპაჩევი მიგვიწვიეს რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ამხ. გეორგიუ-დეემა დიდი ინტერესითა და ყურადღებით მომისმინა და ყოველგვარი დახმარება აღმითქვა. გეორგიუ-დეეს, პეტრუ გროზას და სხვა ხელმძღვანელებს მივართვი ქართული პოეზიის დიდი ანთოლოგია მოსკოვში გამოცემული რუსულ ენაზე (შვიდი ცალი წავიღე სასაჩუქროდ მოსკოვიდან). ამ ანთოლოგიაში ბესიკის ლექსებიც არის დაბეჭდილი. საქართველოდან წავიღე აგრეთვე ბესიკის ლექსების მცირე გამოცემა და ქალაქ იასის მუზეუმს ვუძღვენი. შემდეგ, როცა მიხაი ემინესკუს იუბილზე გამოველ ბუქარესტში, „ათენეუმის“ დარბაზში, აქაც ჩემს სიტყვაში გაკვირთ ვილაპარაკე ბესიკისა და ანთიმ ივერიელის შესახებ—ორ ქართველ „ძძვეალთა“ შესახებ რუმინეთში. რომელთა აჩრდილებიც ქართულ-რუმინულ ძმობისკენ მოგვიწოდებენ...

სხვათა შორის, ბუქარესტში გამიმართეს საღამო, რომელზედაც ოცზე მეტი ჩემი ლექსი იქნა წაკითხული რუმინულ ენაზე. საღამოზე მონაწილეობა მიიღეს რუმინელმა პოეტებმა.

და აი. ზამთრის დილა უთენიას ბუქარესტიდან გამოგვაცილეს რუმინელმა პოეტებმა და მწერლებმა. ორი მათგანი, გეორგიუ-დეეს განკარგულებით, თან გამოგვაცოლეს იასში, ბესიკის საკითხების მოსაგვარებლად—მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მიხაი ბენიუკი და პოეტი ქალი ბანუში.

უკვე მეორედ ვუახლოვდებით ქ. იასს. დიდი მღელვარებით. ახლა უკვე დასავლეთიდან. თუ პირველად ვოცნებობდი, ბესიკის ფიქალისათვის შემეხედა, ახლა ვოცნებობ, დადასტურდება თუ არა ბესიკის საფლავის ადგილ-ნიშნეულობა? ბენიუკი და ბანუში დიდად მაინებდებიან.

მატარებელი ჩამოდგა იასის სადგურზე... პერონზე მხედებიან უკვე ნაცნობი, დამეგობრებული იასელი პოეტები და მწერლები.

— გილოცავთ, ამხანაგო ლეონიძე, დადასტურდა ბესიკის საფლავის ადგილმდებარეობა. საბუთი ვიპოვეთ!—მომესმის გახარებული ხმა და თითქმის ვაგონის კიბეზე მაწვდიან პატარა ალბომს, რომელშიც სხვა ფოტოებთან ერთად, რომელნიც ამ დღეებში დაუმზადებიათ,

მოთავსებულია „ვინერის“ ტაძრის გეგმა, რომელზედაც საკუთხევე-
ლის წინ ციფრით „6“ აღნიშნულია ბესიკის საფლავი. ბესიკი
დაუმარხავთ საკუთხეველის წინ 6-7 ნაბიჯზე. ხოლო ტაძრის
აღების შემდეგ საკუთხეველის ადგილას ნიში დაუდგამთ. კეგმის!
მიხედვით ნაბიჯების გამოზომვა გვაპოვინებს ბესიკის საფლავს.

ჩემი სიხარული დიდია და სიყვარულისა და მადლობის გრძნო-
ბით ვეხვევი რუმინელ მეგობრებს.

მივედით „ვინერის“ ნასაყდრალზე. ხელთ გეგმა გვიტოვავს „რ-
ნორეკევეშ“ აღნიშნულია ბესიკის საფლავი. საკუთხეველის ობელის-
კიდან გაეზომე რამდენიმე ნაბიჯი და ფეხი დაგვარი—აი, აქ არის
ბესიკი დამარხული,—წამოვიძახე. უეცრივ თავი ველარ შევიკაფე და
მოზღვაგებული გრძნობით ბესიკს ჩაეძახე საკულავში:

მოდით, მიჯნურნო, შემობრალეთ.
მოვლეთ ჩემს არეს,
მკვდარი მიჯნური დამიტირვთ.
დამფალთ სამარეს,
ვაი, სივოცხლო,
უკულმართო, დანაცარებო...
სიკვდილო, მოდი.
მიიბარე ბულბულის სული!
მკვდარი ბესიკი მოდი, მნახე.
ჩამიღვი სული,
თუ გინდ მიწასაც მიმაბარე
მოყვრის ენითა!

აქ მარხია ბესიკი! „ესე არს განსასვენებელი ჩემი, რამეთუ
მთნავს მე“. აქ ჩააწვინეს იანერის გაყინულ მიწაში ქაბუკი ბესიკი,
რომელმაც უკვე დააგვირგვინა თავისი პოლიტიკური საქმიანობა
და ეჩქარებოდა სანშობლოსაკენ, ანა დედოფლისკენ, ალბათ ასე-
თი ყინვა იყო მაშინაც იასში, იქნებ, ასევე ბობოქრობდა ნამჭერი.
როგორც დღეს, როგორც გუშინ—ბუქარესტიდან იასის გზებზე:

მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრკყალები,
ბესიკი სიკვდილს არ ვემაღები,
თავი მაჭს მისთვის შეიწონები!

ყარობთ ბანი, გზის საბანი ეკლით შესჩმახეთა.
მოყვასთა ცრემლნი, სწვიმეთ ცხელნი, მტერთა იხარენით!

ბესიკის სამარესთან ვდგავარ. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ნეშტი
გადატანილია?—ფთქრობ ნე. პოეტის თავგადასავალი დაუსრულე-
ბელია. მე მთლად ოცნებაში ვარ წასული და ვერც ვამჩნევ, სამოც
კაცზე მეტი გარსშემომხვევია: ნწერლები, მეცნიერები, უბრალო

მაყურებლები. გაკვირვებული გაიძახიან — რას ვიფიქრებდით, რომ ჩვენ ქალაქში ქართველი პოეტი ასაფლავია!

— ახ, აღრე რომ გვეცოდნოდა, არაფერს დავზოგავდით, არც სამარის პოენისათვის, არც ბიოგრაფიული მასალების გამოჩნრეკისათვის ჩვენს მუზეუმში, ახლა კი ომმა აგვირია სახლ-კარი!

მოდით, მიჯნურნო, შემებრაღეთ,
მოვლეთ ჩემს არეს,
მკედარი მიჯნური დამიტირეთ,
დამფალ სამარეს!
ვაი, სიცოცხლო,
უკულმართო, დანაცარებო!

ვიმეორებ ჩემთვის.

— რა სთქვით, რა ლექსს კითხულობთ? — მეკითხება იასელი პოეტი გორგი ლენსია, ყოველი სტაჰბის მუშა, პუშკინისა და ლერმონტოვის მთარგნელი. ჰე სიტყვა-სიტყვით ვუთარგმნი. იგი აღტაცებულია: რომ მქონ ღეს ბჭკარედი თარგმანი, დიდი სიყვარულით ვთარგმნიდი ჩენი, იასელების, საამაყო ქართველ პოეტს. მე ველაპარაკე ბესიკის თარგმანის სიძნელეზე, მაგალითისათვის წავუკითხე „ტანო-ტატანო“, მინც დავუტოვე ბესიკის სამი ლექსის ბჭკარედი თარგმანი რუსულად, ჩემ მიერ შესრულებული ბუქარც ტში, მოკლილობის ენს („სევდის ბალი“, „დედოფალ ანაზე“, „ცრემლთა ისარნი“). მასზე ვაჭუქე მოსკოვში გამოცემული ქართული ანთოლოგია რუსულად, რომელშიც ბესიკის ლექსებია მოთავსებული.

— ბესიკი აქ, იასში მოკვდა, მაშასადაე, მისი უკანასკნელი პერიოდის ნაწერები და თვით ბისი პორტრეტიც ხომ აქ, იასში ჩარჩა? იქნებ, რაიე სასწაულით აღმოჩნდეს რაზე, თუ თქვენ მოიწადინებთ! — ზემართავ იასელ პოეტებს. ისინი გაკვირვებულნი რჩებიან: როგორ? პორტრეტიც არა გაქვთ?

— დიახ, აქ. იასში დარჩა ყველაფერი, — უკანასკნელი ამოსუნთქვაც, უკანასკნელი ლექსიც.

* *

აქ, ამ მოედანზე, ამ მოკირწყლული ქეზბის ქვეშ ბესიკია დანაცრებული, მე თითქმის პირველი ქართველი პოეტი ვარ, მდგარი ბესიკის საფლავის წინაშე. ქაოთიე ლი პოეტებიდან ბედნიერ წილად მე მერგო მისი პირველი ხილვა.

მე იასში ვარ ჩამოსული, ბესიკის მშობელი თბილისიდან, რომელიც მან 1777 წელს დატოვა, და ამ წაის მაგონდება, თუ რო-

ნორ ეთხოვება ბესიკი თბილისის მზიან არეს, მტკერის მხიარულ ნაპირებს:

ცრემლთა ისარნი, მოსისხარნი,
ჩენდა არენით,
ილმენით გულნი კირნახულნი
შეგვიწუნარენით!
უცხონი თემით, სოფლის ცემით
გავიგარენით!

მაგონდებდა ის სიტყვები, რომელნიც მოსწერა მან ქუთაისიდან თავის თბილელ მეგობრებს:

როს გაგონდებით, შევეწუხდებით, ლომნო, ყმა-ძმანო,
თან ზრდილნო, სწორნო, განაშორნო, საყვარლად კმანო.
ვაი, კიდევანთა, ესდენ თქმათა, გლოვისა ხმანო,
ატადის კალოს, საველალოს, სადა ხარ თქმანო?
დაგვეურნა ქარამან დაუწუნარმან, ზღვად ვიფარენით!

მართლაც ჭარი აღგა, ქარაშოტი, ღრუბლები შავად შეიკუმშა
და მოხეტიალე ქარში მომესმა ბესიკის მუდარა:

მკედარი ბესიკი, მოდი, მნახე,
ჩამიდგი სული!

* *

გავდივართ იასიდან. ისევე კოცნა, დასალმება. გამომშვიდობება.
უკანასკნელი თხოვნა კიდევ ბესიკის შესახებ.

— ძალიან საწყენა უ დაგვეჩება ჩვენ, ქართველებს, რომ ბესიკის საფლ ვი დაიკაოგოს! კარგი იქნება, უბრალო ნიშით მაინც თუ აღნიშნავთ, — მივპართავ იასელ მწერლებს.

— თქვენც უნდა დაგვეხმაროთ, უთუოდ ჩამოდით, მაისში მოგელით! მაისი ხომ პოეტების თვეა! — სიცილით მოძძახიან რუმინელი მეგობრები, — ჩამოდით, წამოიყვანეთ თან ქართველი პოეტები, — მეპატიეება მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი მიხაი ბენიუკი.

მაჭარებელი დაიძრა... ეტოვებ „ყარობ“ პოეტს, რომელმაც განვლო „გზა იწრო, საძნელო“.

— ბესიკს გაბარებთ! — გადმოვძახე ფანჯრიდან ჩემს გამცილებლებს.

— ამხანაგო ლეონიძე, ბესიკს არ დავივიწყებთ! ბესიკი უკვე ჩვენია! — ეს იყო უკანასკნელი სიტყვები ჩემი მასპინძლებისა. მალე თვალსაც მიეფარნენ.

მაჭარებლის თქრიალში, რუმინეთის დაბინდულ ველებზე ქარის ყვილში თითქოს ქროლვით თან მომღვედა გადაბეწვილი ბესიკის მწუხარე ლანდი და საქართველოსთან მობარებდა:

ერთხელ აღიოსე შენი ბილვა
შენაა მზიორებსა!

ძველ ქართველ მხატვრებზე¹

ამ თემის სპეციალისტი, რასაკვირველია, მე არ გახლავართ. მაგრამ, როცა „ყინწვისის ანგელოსის“ ფრესკას გაოცებული შევცქეროდით მე და ჩემი მეგობარი, არა ერთი საკითხი აღგვეძრა ძველი ქართველი ოსტატების შესახებ, რომელნიც კმნიდნენ მსოფლიო ხელოვნების ასეთ შედევრებს.

მაშინ მე გადავწყვიტე, ჩემი მეგობრისათვის შეშვებოვებინა ყველა ის ცნობა გარდასულ ოსტატებზე, რაც კი ჩემთვის ვიცოდი, რაც ჩემს უბის რვეულში მქონია ოდესმე ამოწერილი ძველი ძეგლებიდან და საბუთებიდან.

აქედან დაიბადა აზრი ამ წერილის შედგენისა.

ვუსრულებ თხოვნას ჩემს მეგობარს და ვბეჭდავ ამ პატარა შენიშვნებს იმ იმედით, რომ სხვისთვისაც, მხატვრული წრეებისათვისაც გულსახედრი იქნება.

* * *

ჩემს ხალხურ პოეზიაში შენახულია ერთი საინტერესო ლექსის ფრაგმენტი:

დადგეს სკამი და დადგეს
გუმბათი კამარიანი,
ზედან დააწყეს ზოდები —
ვერცხლია ანუ ხიანი,
ყვავილი ნარგისს მიუგავს,
ურიცხვი, ვარსკვლავიანი,
გვერდით უსხედან მთვარენი —
ქალნი პირმარხიანი...

როგორც ვხედავთ, ამ ლექსში პოეტურად არის აღწერილი რომელიღაც ტაძრის თუ სასახლის აგება ქართველი ოსტატების მიერ და შემდეგ მისი გამოხატვაც ყვავილებით, ვარსკვლავებით, პირმთვარე ქალებით.

¹ „ლიტერატურული საქართველო“, 1939, № 24.

ძველ საქართველოში მეტად შემჩნეული ყოფილა გატაცება დეკორატიული ხელოვნებით. მეფეები, დიდებულები, არაფერს არ ზოგავდნენ შედევრების შესაქმნელად, ხოლო წაქეზებულ მხატვრებსაც შეეძლოთ ერთმანეთის გამოწვევა შეჯიბრების ანუ „ცილების შესაქმნელად“ ანუ, როგორც იტყვის ისტორიული პოემის „შაჰნავაზიანის“ ერთი გმირი:

ხელოვნება მაქვს უებრად,
დავხატავ ყოვლსა სახესა!

ამგვარ მხატვრებს შეეძლოთ ყოველი „სახის აღება“, ყოველი ძნელი მხატვრობის შესრულება.

საქართველოში ძველადვე შენახულია ლეგენდა, რომ მცხეთაში ორი ტაძარი, „სამთავრო“ და სვეტიცხოველი, ოსტატმა და მისმა მოწაფემ ააგეს ცალ-ცალკე. მოწაფემ სვეტიცხოველი ააგო, ოსტატს შეშურდა მოწაფის გამარჯვება და ნიჭიერ ხელოვანს ხელი მოსკრაო.

ამ ქართული მოცარტისა და სალიერის ლეგენდაში მშვენივრად მოჩანს შეჯიბრების პათოსი ქართველ ხელოვანთა, რომელთა რიცხვი არც ისე მცირე ყოფილა ჩვენს სამშობლოში.

სახლი შევმზადე სალხინოდ
მე, მეფემ თეიმურაზო,
შევაბე კედელ-ყურენი,
ვეპე, თავსაც კარგად ჰბურავსო,
დავხატე ფერად-ფერად დ.
ჭგავს, რომე იყოს მურასო,
ტალახიანის ფეხითა
ნურავინ გამოიმურავსო!—

თავმოწონებით გვიამბობს კახთა მეფე-მგოსანი, თეიმურაზ პირველი, მის მიერ აშენებულ გრემის სასახლეზე.

საყურადღებოა, რომ ერთ ხალხურ ლექსს შემოუნახავს აგრეთვე იასე მეფის (1714—1716) სასახლის დეკორატიული მხატვრობის აღწერილობაც:

იასე ნეფე მოზრძანდა,
დადგა ქალაქის პირსაო,
სასახლეები დამართა—
საჩრდილობელი მზისაო,
ზედნადირი გამოსახა —
ნუკარი, ირემი შვლისაო.

მე-17 ს. რუსი დიპლომატი ტოლიჩანოვი აღნიშნავს, რომ ქუთაისის სასახლეში, რომელიც იმერეთის მეფე გიორგის აუშენებია,

კედლებზე ქართველ მეფეთა ომები ყოფილა გამოხატული. ხოლო იმავე ხნის მეორე უცხოელის, იტალიელი არქანჯელო ლამბერტის სიტყვით, ლევან დადიანის სასახლე ზუგდიდში მოხატული ყოფილა სპარსული სტილის მხატვრობით.

თეიმურაზ II თავის „სასახლის ქებაში“ გადმოგვცემს:

ავაშენებდი სასახლეს,
საწოლსა აივანებით.
შემკული ქვებით, ზევითა
ნახატით, მიჰვრიტანებით.

იგივე პოეტი როსტომ მეფის (1633—1659) სასახლეს ასე აგვიწყვრას:

როსტომ მეფისგან ნაგები
საწოლი სახელიანი;
ნახატი სურათებითა,
ყვავილი ფერადიანი;
თვით როსტომ ფალავანი და
დეენი ეხატნენ რკიანი;
შემკო, დიდად დაედო
სახელად „როსტომიანი“.

მდიდრულად მოხატული ყოფილა აგრეთვე არჩილ მეფის (მე-17 ჯაუკ.) სასახლე თელავში. ამ მხატვრობის ნაშთი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მოჩანდა.

სასახლეების გარდა, ჩვენში მოხატული ყოფილა ფეოდალთა სასახლეები და ჩარდახები. ზოგ ფეოდალს რამდენიმე მოხატული ჩარდახი ჰქონია. ასე, 1460 წ. თაყა ზედგენიძეს სასისხლოდ დაუდგია „ხუთი მოხატული ჩარდახი“.

ეს მაგალითები ეხება სასახლეებს. ვფიქრობ, რომ სასახლეების გარდა თბილისში უნდა ყოფილიყოს მოხატული ბალახანები, თალარები, სალხინო სახლები, რომელთა მოწყობილობა ასე ხიბლავდა ძველ მოგზაურებს:

სახლი ვაჰართა ვით გიქო,
როგორ მორთვით აქეს თალარი.

ცხადია, ფეოდალური ტრადიცია დეკორატიული სამკაულისა შთებისებული ჰქონდა აგრეთვე თბილისის ვაჰრობას და ამ ჩვეულებამ ჩვენამდისაც მოაღწია. ჩვენში სალხინო სახლები ხშირად მოხატული იყო. მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ სალხინო სახლების მხატვრობაში ადგილი არა აქვს სასულიერო სიუჟეტებს, რელიგიურ მოტივებს. აქ საკვირველი არაფერია უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ, რომ პირიქით, „ქართულ საეკლესიო მხატვრობის

ფორმას გადმოცემასა და ტექნიკურს შესრულებაში ეტყობოდა ძლიერი გავლენა მონუმენტალური საერო მხატვრობისა“ (შ. ამირანაშვილი, ქართული საერო მხატვრობის გენეზისისათვის, „ქართული მწერლობა“, № 8, 1927).

რომ საერო მხატვრობა თვით იჭრებოდა ხშირად ეკლესიაში, აი, ამის დამახასიათებელი ფაქტი: თავი რომ დავანებოთ სვეტიცხოვლის და სხვა მრავალი ძეგლის ფრესკებს, სვანეთში, სოფ. ქაშუეთის (ლენჩერის საზოგადოება) დაზიანებული საეკლესიო მხატვრობა წარმოადგენს „ამირანდარეჯანიანი“ დევგმირთა ბრძოლას. აღმოსავლეთით დახატულია ვეშაპი და ამირანი ხუცური ასომთავრული წარწერით:

„ოდეს ამირან ვეშაპმან ჩანთქა, ვეშაპი მოკლა და გამოვიდა“.

ამირანი ხმალგაწვდილი თავს ადგას მომაკვდავ ვეშაპს. შემდეგ დახატულია ამირანის ბრძოლა ბაყბაყ დევთან, რომლისათვის ამირანს ხმლით თავი გაუჩხია და სისხლის ნაკადი თქრიალით გადმოსჩქეფს,

წარწერა:

„ჭომი ამირანისი და ბაყბაყ მდევისა“,

ამირანს გარს უდგანან: ბადრი, უსუფი და სეფედავლა. ყველანი დარახტულ ცხენებზე სხედან და ჩაჩქან-მუხარადში იარაღსხმულნი (პ. კარბელაშვილი, „ორიკვირა სვანეთში“, № 148, 1904 წ.) საერო ელემენტების სიუხვე ძველ საეკლესიო მხატვრობაში შეიძლება დამტკიცდეს მრავალი სხვა ფრესკით (მცხეთის სვეტიცხოვგელო, ალავერდი, წალენჯიხა და სხვ.).

* * *

ჩვენში უდიდესი კულტურა იყო წიგნის მხატვრობის, მანუსკრიპტების შემკობისა. მხატვრობის ცალკე წრეს წარმოადგენენ „წიგნის მხატვრები“.

აქა, მხატვარო, დახატე
ძმათ უმტკიცესნი ძმობილნი,

შესთხოვს პოეტი წიგნის მხატვარს.

ხელნი დამიშრო კალამმან,
თვალნი გაშტერდეს მზერთა,
აწ გაგიჩნდების, მხატვარო,
შემკობა შესაფერითა,

მიმართავს მეორე პოეტი.

ხელნაწერში პოეტები და გადამწერლები ცარიელ ფურცლებს ტოვებდნენ დასახატად და ხშირად წინასწარ მოფიქრებულ სიუჟეტს აღუნიშნავდნენ ხოლმე მხატვარს: „აქა გარდამოხსნა და ხატე“, „ამაზედ მეზვერე და ფარისეველი და ხატე“ და სხვ. ასე უბრძანებდა მეცენატი მხატვარს. ასევე მიმართავდნენ ჩვენს დროში ფიროსმანიშვილს დახლიდრები, მიკიტნები. ფიროსმანის ნახატებს სარდაფების, სასადილოების ოხშივარი ასდით.

* * *

უნდა ვიფიქროთ, რომ მხატვრები ძველად სამხედრო საქმიანობისათვისაც იყვნენ განკუთვნილი. ისინი, მაგ., საიდუმლოდ ხატავდნენ ანუ იღებდნენ მტრის ციხე-სიმაგრეებს, ლაშქრობის დროს ან უწინარეს.

როდესაც სურამის ციხეში გამაგრებულ ფეოდალს—გივი ამილახვარს თეიმურაზ მეორემ და ერეკლემ ყაენის ბრძანებით ალყა შემოარტყეს და დიდხანს გამაგრებული ციხე ვერ აიღეს, მაშინ, პაპუნა ორბელიანის სიტყვით, ყაენმა სპარსეთიდან მხატვარი გამოგზავნა საგანგებო მინდობილობით: „გამოეგზავნა ხელმწიფეს კიდევ კაცი და ეთხოვნა სურამ ციხის სურათი, მხატვარიც აქი-დამ გამოეგზავნა. და ხატეს მაშინვე და გაუგზავნეს“ (ქართლის ცხოვრება, ზ. კიკინაძის გამოც., გვ. 103). მხოლოდ სურამის ციხის სურათის მიღების შემდეგ შეიმუშავა ყაენმა მისი ალების გეგმა.

რა პირობებში უხდებოდათ მუშაობა ჩვენს მხატვრებს, ამაზე ჩვენ ბევრი არა ვიცით რა. ვიცით ერთი, რომ სასახლის მხატვრებისათვის შექმნილი იყო საგანგებო საკელო (თანამდებობა) „მხატვართ უხუცესისა“, რომელსაც, მაგ., მე-13 საუკ. ასრულებდა სამცხის სპასალარი და მხატვართუხუცესი სარგის (პ. ინგოროყვა, რუსთველიანა; ე. თაყაიშვილი, *Археологические раскопки*, ტ. I, გვ. 47). სარგისი, მხატვართა შეფი, მთელი სახით დახატულია ზარზმის ტაძრის კედელზე. ჩვენ აგრეთვე არაფერი ვიცით, რა შედიოდა მხატვართუხუცესის ფუნქციებში, მაგრამ ეს ცხადია, მხატვართუხუცესი, როგორც მეცენატი, განაგებდა სასახლის მხატვრების საქმიანობას, ზრუნავდა აგრეთვე მხატვრების ნივთიერ პირობებზე და, ბოლოს, ეტყობა, ჩვენში მხატვრებს დიდად აფასებდნენ, რომ მათზე ზრუნვას ისე დიდ მოხელეს აბარებდნენ, როგორც იყო სამცხის სპასალარი.

რაც შეეხება ჰონორარს, ვიცით, რომ ჩვენს მხატვრებს მეცენატები ხშირად ნატურითაც უხდიდნენ გასამრჯელოს. მაგ., „დასტურლამალის“ მიხედვით, მე-18 ს. დასაწყისის კარის მხატვრებს დღიურად ეძლეოდათ თითო პური „მადაური“ (მადაური—სქელი პური, საძღნოდ გამომცხვარი. საბას განმარტებით, „პური ბრტყელი და მგრავალი“). სხვა ცნობით, მხატვრებს ეძლეოდათ კიდევ ორ-ორი ხელადა წითელი ღვინო ყოველდღიურად.

ამ წესით ბუშაობდნენ ჩვენი კალიგრაფებიც: „ამ გულანის (წიგნის სახელია. გ. ლ.) წერაზე და შეკერვაზე იონა შარაბიძე იყო მეღვინეთ და ღვინოს არ გვაკლებდაო“,—ამბობს გადამწერელი და ლოცვით შესთხოვს ღმერთს უხვი მერიქიფის დღეგრძელობას.

მეთვე საუკუნის უზარმაზარი „სვანური“ ფოლიანტის გადაწერი წიგნის ბოლოსიტყვაში ლოცვით იხსენიებს მგობრებსა და დამკვეთლებს, რომელნიც მძინე შრომას უადვილებდნენ და მათ შორის, ვინმე მეცენატს, „იონანე გაცვეთილს“, რომელმაც „ქუტალითა დღინო მომართვაო“. ბოლო ერთი კალიგრაფი (1505 წ. ასე გადმოგვცემს კათალიკოსის ეფეთიმე საყვარელიძის მეცენატობის შესახებ: „ყოფელ წელიწადსა შინა, ოთხ-ოთხსა, სამსა, ორორსა მწერალთათ გუაწერინებდა და გვაშორომებდა დიდისა პატრივითა და წყალობითა“ (ქრონიკები, II, გვ. 436).

ძველი ქართველი მეცენატები თავის მხატვრებს ჰონორარს მამულების მიცემითაც კი უხდიდნენ.

მე-14 საუკ. ქსნის ერისთავმა ერთ მხატვარს, რომელმაც ქსნის ხეობაში ეკლესია ქაშუეთი დახატა. „მეჯუღის ხეეს, ლომსაურს, საახალშენე მიწას კოტაური უბოძა“. დასახუქრებასთან ერთად ნიკიერ მხატვარს შესაფერი დაწინაურებაც შეეძლო.

ზოგ ხელოვან მხატვარს შეეძლო გამხდარიყო „მოქალაქე ქმნილი“ (საქ. სიძველენი, ტ. II, გვ. 545), ე. ი. მდაბიო კაცს შეეძლო მოქალაქის ღირსება მოეპოვებინა. ზოგი დაწინაურებული სამეფო კარის მხატვარი ისეთ ყურადღებას იმსახურებდა, რომ სასახლეში „მხატვარ“ ანუ „მხატველ უხუცესის“ პოსტს იკავებდა.

უფრო დიდი ნაწილი ჩვენი მხატვრებისა საეკლესიო სარბიელზე ნუშაობდა. მრავალ მათგანს შეეძლო გამხდარიყო „ბატონ კათალიკოსის მხატვარი“, ანუ მხატვარი რომელიმე განთქმული ეკლესიისა. მაგ., იყო „სიონის მხატვარი“. ამ შენთხვევაში მათ ცოლშვილიანად ამაგრებდნენ ეკლესიებზე ანუ სამუდამოდ სწირავდნენ ყმებად.

მხატვრისათვის ესეც ერთგვარი პრივილეგია იყო, რადგან ფეოდალურ საქართველოში ეკლესიის სამსახური ფეოდალის სამსახურ-

თან შედარებით იოლი საქმე იყო. მით უმეტეს, შეწირული მხატვარი არ იყო ჩვეულებრივი ყმა, პირიქით, თვით მას ასაჩუქრებდნენ საეკლესიო ყმებით. მაგ., 1802 წ. იმერეთის მეფე სოლომონ II ბიჰვინთის ღვთისწამობის ეკლესიას სწირავს მხატვარ დავითს დიასამიძეს შეილითა და მამულითა, „რაოდენ ძალგედვას, შენის ხელოვნებით მსახურო“, — ეუბნება მეფე და თან ხუთი კომლი გლეხით ასაჩუქრებს. ჩვენამდის მოღწეულა ზოგიერთი დოკუმენტი მხატვრის თარხნობის ანუ თავისუფლების შესახებ. მაგ., 1712 წლის 23 აპრილს ქართლის მეფე ვახტანგ VI „წყალობისა და სითარხნის წიგნსა და ნიშანს“ აძლევს თავის ლაურეატს, ერთგულსა და ნამსახურს ყმას, სიონის მხატვარს გიორგიას და მის შვილებს: მიქელს და იოვანეს:

„მას ეამნა, ოდეს წყალობას დაგვეაჯენით, ვისვინეთ აჯა და მოხსენება თქვენი... ასე გათარხნეთ და გათავისუფლეთ, რომე არა გეთხოვებოდეს რა, არა ბაჟი და ხარაჯი, არა სატყვეო და სათემო და სათათრო, საძალო სათხოვარი და გამოსაღები, არა საკვამლო და საზოხელი და მდგმური, არა დუქნია და ნუშისა, რა გინდა-რა სათხოვარი და გამოსაღები, არა დიდი და არა მცირე, არათერის-თანა...“

ძველად ქართველ მხატვრებს ჰქონიათ საგანგებო ორგანიზაცია — მხატვართა ანქარი, რომელიც ერთგვარი უფლებებით სარგებლობდა სამოქალაქო ცხოვრებაში. აქქარს ჰყავდა ხელმძღვანელები, რომლებსაც „უსტა მხატვარს“ უწოდებდნენ (უსტა — არაბული სიტყვაა, ნიშნავს ოსტატს. გ. ლ).

საქართველოს მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის დროს, როდესაც მოსახლეობა უღონობელის მტრის ხელით იფლიტებოდა, ცხადია, მხატვართა რიცხვი მეტად მცირდებოდა. ამიტომ ტაძრისა თუ წიგნის მოსახატად მხატვრები უხოეთიდან უნდა გამოეწვიათ. შენახულია ძვირფასი ცნობები იმის შესახებ, რომ თვით წიგნების შესამკობად „თავსამკაულს“ და მინიატურებსაც კი ზოგჯერ საზღვარგარეთიდან იბარებდნენ.

შაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრების დროს მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში თეიმურაზ პირველმა საგანგებოდ მოიწვია მოსკოვიდან რუსი მხატვრების მთელი ჯგუფი. ამ მხატვრებმა დახატეს კაწარეთის სანება, ნინოწმინდა, ნეკრესი, შუამთა, სიონი თბილისში და სხვ.

ეტყობა, შაჰ-აბასმა ისე ააოხრა კახეთი, რომ კახთა მეფეს არც ერთი მხატვარი აღარ შერჩენია. ცხადია, ასეთი ანალოგიები იქნებოდა მონგოლების, თემურ ლენგის და სხვათა შემოსევების დრო-

საც. მრავალი წარჩინებული ქართველი მხატვარი ტყვედაც მიჰყავდათ. შემდეგ ისინი ამშვენებდნენ ოსმალეთის და სპარსეთის სამეფო კარს. გავიხსენოთ მე-17 საუკუნის შესანიშნავი ქართველი მხატვარი ერანში — „გურჯი-სიაოში“, რომელმაც სპარსულ მხატვრობაში საკუთარი სკოლა შექმნა. გავიხსენოთ მე-17 საუკუნის შესანიშნავი უცნობი მხატვარი, რომელსაც ჩვენი მკვლევარები ჯ ა ბ ა დ რ ო ბ ი თ სახელს სდებენ, სპარსეთშივე ცნობილი ისპაჰანის სასახლის ჩეხელსოთუნის გამომხატავი. მას კედლის ფრესკებზე ქართული ასოებითაც კი აღუნიშნავს თავისი ქართველტომობა.

რუსეთშიც გვყოლია ქართველი მხატვარი-ემიგრანტები, მაგ. მფეფ ბაქარს და მის შვილებს - ლევანს და ალექსანდრეს მე-18 საუკ. პირველ ნახევარში მოსკოვში დაუხატვინებიათ „როსტომიანი“. მათ თავის ამალის მხატვრებისათვის განუცხადებიათ „სურვილი როსტომიანთა, დაწერა, თანა ქონათა, დახატვა გმირთა სახეთა, ყოვლთათვის გასაგონათა“...

გვიხსენ მხატვარი — ჩვენივე,
მონანი და ცადებულნი:
სწერეს, დასახეს მსგავსისა,
ვითარცა იყო დებულნი
დიდ რუსეთს, მოსკოვს ქალაქსა,

გვიცხადებენ მეცენატები.

ღარიბია მხატვრებით ჩვენი მეთვრამეტე საუკუნე. ეს ალბათ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური დაქვეითების ბრალია.

მე-18 საუკუნის კარის მხატვართა შორის აღსანიშნავი არიან: მხატვარი გრიგოლ მესხიშვილი — ვახტანგ VI კარის მხატვარი. იგივე უნდა იყოს, სხვათა შორის, შესანიშნავი ხელნაწერის — „ქილილა და დამანას“¹ დამსურათებელი. (ხელნაწერი ინახება ლენინგრადში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში). გრიგოლ მხატვარი, აგრეთვე, ცნობილი გადამწერი, მგალობელი და მესტამბე ყოფილა. იგი მონაწილეობას იღებდა ქართული წიგნების ბეჭდვაში. 1724 წ. გრიგოლი თან გაჰყვა ემიგრაციაში ვახტანგ მეექვსეს და, არ ვიცით, დაბრუნდა რუსეთიდან, თუ არა.

ცნობილ მხატვრად ითვლებოდა აგრეთვე გრიგოლის ძმა —

¹ „ქილილა და დამანას“ ილუსტრაციები 1928 წ. თავისი ხარჯით გადმოაღებინა პროფ. ლევან ლეონიძემ და გადასცა ხელთნების მუზეუმს, „მეტეხს“.

მხატვარი დავით მესხიშვილი, რომელიც მოღვაწეობდა 1729—40 წლებში. იგი, იმავე დროს, აღმზრდელი იყო ვახტანგის შვილებისა (ვახუშტისა და სხვ.). დავითიც ძმასთან ერთად ერთ-ერთი თანამშრომელი ყოფილა ვახტანგის სტამბისა, მაგრამ მისი მთავარი მოღვაწეობა მაინც მხატვრობა იყო. მას თავისი მხატვრობით არა ერთი წიგნი შეუმკია. მხატვრობდა აგრეთვე დავითის შვილი პეტრე, აგრეთვე განთქმული კალიგრაფი გრიგოლის შვილი, ალექსი მესხიშვილი. უკანასკნელს არა ერთი წიგნი გადაუწერია და დაუხატავს თეიმურაზ II და ერეკლე II-ისთვის. მხატვარი ალექსი გარდაცვლილა 1766 წ., დაკრძალულია ანჩისხატის ტაძარში, დასავლეთ კარებთან.

როგორც მესხიშვილების მაგალითიდან ვხედავთ, აქ მხატვრების მთელი მოდგმა მოსდევს ერთიმეორეს,—მამიდან შვილამდე, შვილი-შვილამდე. მესხიშვილებისთვის მხატვრობა საგვარეულო ხელობაა, მხატვრობა მემკვიდრეობით გადადის. ამნაირი ტრადიციული გვარი ერთი და ორი არ იყო ძველ საქართველოში.

მესხიშვილებთანვე აღზრდილი ყოფილა კარის მხატვარი ნიკოლოზ აფხაზი—ანანურის ტაძრის მომხატვათ, რომელსაც არა ერთი წიგნიც შეუმკია „მხატვრობაებითა მშვენიერად ნახატითა, ოქროსა და ვერცხლის ნახატითა“ (პლ. იოსელიანი).

საყურადღებოა, რომ მხატვარი ნიკოლოზ აფხაზი გიორგი XIII დესპანადაც კი გაუგზავნია რუსეთში (დასაფლავებულია სიონის ტაძარში).

აღსანიშნავია აგრეთვე იმერეთის სამეფო კარის უკანასკნელი მხატვარი დავით დიასამიძე, როჰელიც, სხვათა შორის, მუშაობდა ბიქვინთის ტაძრის მოხატვაზე. შენახულია წყალობის სიგელი; ბოძებული მხატვარ დიასამიძისათვის სხვადასხვა წყალობის აღსანიშნავად... როგორც ამ სიგელებიდან ირკვევა, დავით დიასამიძე თავისი დროის განთქმულ ოსტატად ითვლებოდა...

ქალაქის მხატვრებიდან უნდა დავასახელოთ: ნალაშ ოლთანი, ვახტანგ VI კარის მხატვარი (მე-18 საუკ. დასაწყისში). მისი ნახატები თბილისში ყოფილა და 1889 წელს, როგორც გაზეთი „ივერია“ გადმოგვცემს, ერიცოვს ნიკო მარისთვის გაუგზავნია ლენინგრადში. ამ სურათებიდან ყოფილა: 1) „რუსულად დედოფალი სეფე ქალებით“, 2) „კარის მგოსანი კიანურით“, 3) „ორთაქალის ბალები“, 4) „კატის დამარხვა“.

ერეკლეს მეფობაში მოღვაწეობდა მეორე ცნობილი მხატვარი, სომეხი წარმოშობით, იონათამი ანუ ოვნათამი.

შენახულია საინტერესო დოკუმენტი—სიგელი, საიდანაც ირკვე-

ვა ძვირფასი ცნობა მხატვარ იონათამის შესახებ. ერეკლე II ასე მიმართავს წყალობის წიგნში მხატვარს:

„ჩვენსა ერთგულსა და ნამსახურს მხატვარ იონათამს და მომავალსა შენსა... ასე რომე, ჩვენის ბრძანებით შენს სამკუიდროს ქვეყანაზე ხელი აიღე და ჩვენის ერთგულობისათვის ჩვენს ქალაქში. ტფილისს დასახლდი. მოხველ და სათარხნის წყალობას დაგვეაჯგ, ვისძინეთ აჯა და მოხსენება შენი... ასე გათარხნეთ, რომ არაფერი საჩვენო ხარჯი და სათხოვარი არა გეთხოვებოდეს რა, არა მალი, არა ბაეი, არა საქუეყნო ხარჯი არ გეთხოვებოდეს, ეს ჩვენგან წყალობა არაოდეს არ მოგვეშალოს, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა ჩვენს ერთგულობასა შინა“...

მამასადაძმე, მხატვარი იონათამი, როგორც ნიჰიერი და სახელგანთქმული, ერეკლეს მოუწვევია გარედან, ცხადია, შესაფერი ჯილდოს დანიშვნით და იონათამიც სამუდამოდ გადმოსულა საქართველოში და დასახლებულა თბილისში, სადაც ის სასახლეში კარის მხატვრობას ეწეოდა.

რაკი ასეთი დიდი ყურადღება მიუქცევია მეფისა მხატვარ იონათამს, ეზეი არაა, იგა კარგი ოსტატი უნდა ყოფილყო. წინააღმდეგ შენობებში ქართლ-კახეთის მეფე მასთან არც საქმიან მოლაპარაკებას დაიპერდა.

მიუხედავად დიდი ზრუნვისა, მე-18 საუკუნეში მაინც არა გვეყოლია დიდი მხატვარი. თვით ერეკლემ იმ მიზეზით, რომ საქართველოში რიგიანი მხატვრები არ იბოვებოდნენ, თელავის კარის ეკლესიისათვის კანკელი იტალიიდან გამოიწერა. სწორედ ერეკლეს დროს გაძლიერდა რუსული ხატების იმპორტი ქართული ეკლესიისთვის. „რუსული ხატი“ უკვე დიდ ხმარებაში არის ეკლესიებში და ფეოდალურ ოჯახებში.

თუ ოდესღაც, ძველ საუკუნეებში, მხატვართა მთელი ამხანაგობები არსებობდნენ, შემდეგი დროის ტერმინით, „თ ა ბ უ ნ ი“, „ასნაფი“, XVII—XVIII საუკუნეებში თითო-ოროლა მხატვარსლა ვხედავთ, ისიც ცალ-ცალკე მომუშავეს. საქართველოს სასახლე ცდილობს მხატვრობის აღორძინებას. მაგ., იგი მეზობელი ქვეყნებიდანაც კი იწვევს მხატვრებს, მაგრამ დაცემული მხატვრობის გამოსაბრუნებლად ეს ღონისძიებანი უშედეგოა.

რაც შეეხება XIX საუკუნის პირველ ნახევარს, ამ დროს სრულებით არა გვყავს დანწონი ოსტატები. მაშინ თბილისში მუშაობდა მხატვარი ოენათამოვი, ერეკლეს მიერ მოწვეული იონათამის შვილი თუ შვილიშვილი, ოენათამოვი მთელ თბილისს ემსახურებოდა თავის ფუნჯით, იგი ქალაქს ფოტოგრაფის მაგიერობას უწევდა.

და. ტყუილად კი არ წერს ერთი თბილისელი ლიტერატორი (1846 წ.):

„Нельзя не радоваться большому стечению в Тифлисе всекого рода артистов. Давно ли у нас был один только портретный живописец, известный здесь под именем грузинского Рафаэля?“

Кому пужен был портрет, всякий прибегал к Я. И. Авпатомову и он всегда с успехом удовлетворял всем требованиям: он писал даже с памяти портреты лиц давно уже умерших, которых он печасю видывал.

Ему обязаны мы весьма похожими портретами всех главных начальников бывших в здешнем крае.“

1820-იან წლებში თბილისში დიდძალი დუქნები და სალხინო სახლები აშენდა. დღევანდელი ჰუშკინის ქუჩა მაშინ ამ დუქნების მწკრივის წარმოადგენდა. მაშინდელი ჟურნალისტი ჩივის, რომ ამ რაიონში ყოველ ფეხის გადადგმასე დუქანია განართული და თბილისის ახალგაზრდობა, განსაკუთრებით თავადაცნაურობა, აქ დროებას ატარებს. ზოგი დუქანი მოხატული ყოფილა, მაგრამ მათი დამხატვების შესახებ არა ვიცით რა.

საყურადღებოა ისიც, რომ თბილისის რაიონებში ეკლესიათა კანკელების უმრავლესობა მოხატულია სწორედ XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში¹.

ზოგი ნამუშევარი ყურადღების ღირსია, მაგრამ არც ეს მხატვრობაა შეფასებული და არც მათი ავტორების შესახებ ვიცით რამე.

¹ მწუხარებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანკელთა დაღუპვა მოხდა 1920-ის წლებში, მათგან არა ერთი (მაგ., პატარძელის ღვთისმშობლის ეკლესიისა) იქცევა ყურადღებას.

ქართული გმირები¹

„ჰოი, მომავალნო და წარჩინებულნო
ამა მოკლისა სოფლისანო, ნუ ვინ გაგვი-
ცუდებთ ჭირნახულს ამას ჩვენსა, რამეთუ
აღვესრულენით სამშობლოსა ჩვენისათვის
და დავსთხიეთ სისხლი ჩვენი...“

ძველი წარწერა

1. შაღვა—შავლეგო

ქართველ ხალხს ჰყავს საყვარელი გმირი შაღვა ანუ შავლეგო, რომელიც, ხალხის გადმოცემით, თურქებს ებრძოდა, საქართველოს მთასა და ბარში მასზე ლექსები შენახულა, კერძოდ, კახეთში გავრცელებულია შაღვა—შავლეგოს სიმღერა, რომელიც იმღერებდა ორპირად, ფერხულის ხმაზე:

შაღვა იყო ვაჟიკაცი, შავლეგო,
შავ-შავლეგო,
ლეგო, ლეგო,
შავლეგო!..

მოგეყავს „შავლეგოს“ ორი ვარიანტი:

შავლეგო
და შე შავლეგო,
შავლეგო!
შავლეგო იყო კარგი ბიჭი,
შავლეგო.
კარგი, გორათ აგებული,
შავლეგო.
ჰყავ ბატონი მადრიელი,
შავლეგო.
ანხანაგი მოგებული,
შავლეგო.
შავლეგო ცხენსა მოაფრენდა

¹ ეს პოპულარული ნაშრომი დაწერილია და დაბეჭდილი 1942 წელს, ქართული მეზრძოლებისათვის.

ვიწროსა და ავსა გზასა,
შველევს ცხენი წამოეკცა
ნაკვალევსა გუთნისასა.
თავსა თურქი წამოადგა
გალესილი აღმასითა.
— დამკარ, თურქო, ნუ გებრალვი,
თუ გული გაქვს მამაცისა!
დაჭკრა თურქმა, თავი მოსჭრა.
დაიკიდა უნაგირსა.
შველევს დედა მისტიროდა,
მიიშლიდა გიშრის თმასა:
ჩემი შველევს მომკვლელი
ჩქარა მიჩვენეთ წამხედა...
თუ იმას თავი არ მოეჭრა... და სხვ.

* *

შალვა იყო ვეტიკაცი,
ქმარ-ხანჯლით შეტედილი,
შალვას ჰყვანდა კარგი ცხენი,
კოკმაღალი, გავასქელი,
შალვა ცხენს მოაგოგებდა
ვიწროსა და ავსა ალაგსა,
შალვას ცხენი წამოეკცა
ვიწროსა და ავსა ალაგსა,
თავსა თურქი წამოადგა
ვიწროსა და ავსა ალაგსა.
— დამკარ, თურქო, რასა ჰშიშობ,
თუ გული გაქვს მამაცისა!
დაჭკრა თურქმა, დასჭრა შალვა
თეძოსა და ავსა ალაგსა,
დედას კაცი მოუვიდა:
შენი შველევ მოგიკლესა!
შალვას დედა მოტიროდა,
მიიშლიდა გიშრის თმასა:
— ჩემსა შალვას რა მოჰკლავდა.
თუ არ იყო ბედისწერა?
ას-ორასი მაგისტანა
ხორასნიდან ტყვე მოჰყავდა,—
არცა თოფი, არცა ხმალი,
სულ მათრახით გადმოჰყვანდა...

(დედა მოთქმით ტირის:).

შალვავ, შენი ყაწიმები
გულხადარაზე ვნახეთ;
შველევ, შენი თეთრი ჩოხა
შავად შეგიხამებია...
შველევო!

კიდევ შენახულა შალვაზე შემდეგი ლექსები:

დაიძრა დემურ ყაენი,
დააგდო ხორასანია,
წყალი არ ეყო სასმელად,—
მტკვარი და ალაზანი,
ბალახი საძოვინელად—
თრიალეთისა მთანია.
ავლაბრის ბაზარს ჩამოხდა,
ადგილი უებარია,
დასცა და დასცა კარავი,
სვეტი ოქროსა მყარია;
შიგ დაჯდა დემურ ყაენი,
რა ტურთა სანახავია.
ორი ბიჭი შეიკაზმა—
შალვა, ივანე—ძმანია,
წაეიდენ, გადაიარეს
ის ურჯულოთი მთანია.
შალვას ცხენი წამოეჭცა,
ვიწრო სავლელი გზანია.
სამი ქურთი ზედ მიადგა,
სამნივ ძალიან მთვრალია.
— დამკარ, ქურთო, ნუ გებრალვი,
თუ გული გქონდეს ავია...

* *

შალვა შურისა მძებნელი
მთას ქორებულად ჰკიოდა,
მე მონადირე მეგონა,
მას თურმე გული სტკიოდა,
წაიგდეს ვიწრო ხევშია,
მთა-ბარი სუ ზედ ხეიოდა,
გულს ერქვა თეთრი ისარი,
კილოზე სისხლი სდიოდა,
თავის თავს არა სჯავრობდა,
თავისს სწორებსა სჩიოდა,
ორასი თურქის მომკვლელი
უომრობასა სჩიოდა...

ჩვენს მწერლობაში გმირი შალვა-შავლეგოს ვინაობა ღრემდის ჯერ საკითხადაც კი არ არის აღძრული, არათუ გამოარკვეული. ამიტომ ნებას მივცემ ჩემს თავს, ორიოდ სიტყვა ვთქვა შალვა—შავლეგოს განმარტებისათვის.

ჩვენი აზრით, შალვა—შავლეგოს თქმულების საფუძველი ნამდვილი ისტორიული ფაქტია, იგი დამოწმებულია ჩვენი უძველესი საისტორიო ძეგლის „ქართლის ცხოვრების“ მიერ. „შავლეგო“, სა-

ერთოდ, ესაბამება ისტორიის მონაცემს, განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქას. ამ თქმულებას შვიდასი წლის სიცოცხლე აქვს და მიეყვართ ბრწყინვალე თამარის მეფობამდე.

ვინ არის სახელოვანი გმირი შალვა, რომელსაც ძმა ჰყავს ივანე, რომელიც ძმასთან ერთად დიდ ომში ებრძვის ყაენს, თურქებს. რომელსაც ბრძოლაში ცხენი წამოეჭვა, და მტრისაგან შეპყრობილი ტრაგიკულად ასრულებს სიცოცხლეს?

თუ „ქართლის ცხოვრებას“ გადავხედავთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ შავლეგოს თქმულებაში ხალხის ხსოვნას შეუნახავს მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის გმირი შალვა ახალციხელი და მისი ძმა ივანე, რომელთაც თავისი ქველი გმირობით აღიღეს თამარის მეფობა.

შალვა და მისი ძმა ივანე თორის ხეობის ფეოდალებად იწოდებოდნენ, მაგრამ პირადი ღვაწლისათვის თამარ მეფემ მათ ახალციხე უბოძა და ამის შემდეგ ახალციხელებად იხსენიებოდნენ (ათაბაგობა ახალციხელების გვარის სამკვიდრო უფლებად გადაიქცა გიორგი ბრწყინვალის დროს და თვით სამცხეს საათაბაგო ეწოდა).

განსაკუთრებით განთქმული იყო შალვა, „მხნე და ძლიერი. რაინდობით და მშვილდოსნობით“, შეყვარებული არა მარტო მეფისაგან, რომელმაც მანდატურთუხუცესობა უბოძა, არამედ ყველას მიერ, „ყოველთა თანა“.

შალვა და ივანეს ასეთი ამაღლება მათი პირადი ვაჟკაცობით და სამხედრო დამსახურებით იყო გამოწვეული: „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემით, „შალვა და ივანე, სახელოვანნი იგი მებრძოლნი. ახოვან იყვნენ და წყობათა შინა სახელოვანნი“.

საქართველოს სალაშქრო ტრადიციით, ყოველ ლაშქრობაში მეწინავედ ანუ „წინა-მბრძოლად“ (ავანგარდში) მუდამ იყვნენ თორელები და ახალციხელები. ამრიგად, შალვა და ივანე თამარის ჯარის წინამებრძოლები იყვნენ, და თამარის მეფობაში არ ყოფილა თითქმის არც ერთი განთქმული ბრძოლა, რომ ქართველი მხედრობის ავანგარდში შალვა და ივანე არა ყოფილიყვნენ. „ქართლის ცხოვრებას“ არა ერთხელ აღნიშნავს მათს წინამებრძოლობას. ცხადია, საქართველოს მხედრობის მეწინავე მებრძოლებად ყოფნა. ისიც თამარის ხანში, დიდ ვაჟკაცობას მოითხოვდა და შალვა და ივანეც ამ სახელწოდების ზედმიწევნით ღირსნიც ყოფილან.

1195 წელს, საქართველოს ყმადნაფიც ერანის აზერბაიჯანის დაცვისათვის მომხდარ დიდ შამქორის ომში, რომელშიც მონაწილეობდა თითქმის მთელი ახლო აღმოსავლეთ ქვეყნების მაჰმადიანობა, შალვამ და ივანემ, როგორც წინამბრძოლებმა, დიდი გმირობა

გამოიჩინეს. შალვამ შამქორის ომიდან თამარს შოართვა საკუთარი ხელით წართმეული მაჰმადიანთა ხალიფის დროშა, რომელიც ხალიფამ თავის ურდოებს უწინამძღვრა, როგორც უძლეველობის ნიშანი. დროშა, „რომლისა თავსა იყო ოქრო ათასისა ხალიფაურისა“.

1207 წელს, როდესაც რუმის სულტანმა რუქნადინმა მეზობელ მაჰმადიან მფლობელებთან ერთად გაბედა საქართველოზე წამოსვლა 400-ათასიანი ჯარით, თამარმა ზაქარია ამირსპასალართან ერთად წინაძლოებად დანიშნა „ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე“. სასტიკ კვეთებაში შალვას და ივანეს ცხენები მოუკლეს და ქვეითად დარჩენილებმა გასწირეს თავი სასიკვდილოდ. მტერი დამარცხდა. იგი ისე გარბოდა, თითქოს თვალგადუწდომელი ტყე მიწითურთ მოგლეჯილიყოს. ერთი საბლით ერთი ქართველი მხედარი ოც ტყვეს კრავდაო, ამბობს მნახველი. ამ ომში, რომელსაც ბოლოსტიკეს ომი ეწოდება, ორივე იმამ სახელოვანი გმირობა გადაიხადა.

ხოლო ამაზე ადრე, შალვას და ივანეს დიდი მონაწილეობით, თამარმა დაიპყრო ქ. კარი (ყარსი), რომელიც ამიერიდან საქართველოს სამეფოს მშვიდობიანობას უზრუნველყოფდა სამხრეთიდან. 1206 წ. ქ. კარი საქართველოს ფარგლებში შევიდა.

1213 წელს გარდაიცვალა თამარი და „იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა“. მალე გამოჩნდნენ მონღოლებიც, რომელთაც რისხვა დაატეხეს ქვეყანას, მრავალ მოწინააღმდეგესთან ერთად მათ გააქციეს ხვარაზმის შაჰი ჯალალედინი, რომელმაც ერანში დაიწყო გამაგრება და თავი მაჰმადიანთა მეთაურად გამოაცხადა. ჯალალედინმა საქართველოს დამორჩილება მოსთხოვა და 1225 წელს 140-ათასიანი ჯარით საქართველოს საზღვრების რბევა დაიწყო. ქართველი მხედრობა მას გარნისის მთებზე შეხვდა (გარნისი სომხეთშია). ჯალალედინმა დაასწრო ქართველებს და სასტიკი ომი გაიმართა. ქართველ წინამებრძოლებად ისევ შალვა და ივანე ახალციხელები იყვნენ. პირველ მისვლაზევე მათ შვიტყვეს, რომ მრავალრიცხოვან მტერს ვერას დააკლებდნენ, ამისთვის მაშინვე მოშველგბა სთხოვეს ამირსპასალარს ივანე მხარგრძელს, რომელიც საქართველოს მთავარი ძალებით იღვა მოშორებით. ივანე ათაბაგმა მხარგრძელმა ფეხიც არ მოიცივალა. საქართველოს მხედართმთავარს დიდი ხნის შური ჰქონდა ორივე ძმისა და მათი ვაჟაკობისთვის და ახლა იპოვა დრო. ახალციხელებმა მეორედ და მესამედ მოსთხოვეს შველა, მაგრამ ივანე ათაბაგმა - არაფერი უპასუხა. მაშინ გმირებმა ითაკილეს უკან დახევა, აღარ მოერიდნენ ხვარაზმელების სიმრავლეს და თავგანწირვით მიეტყვენენ.

გაგრძელდა სასტიკი ომი. შემონახულია ამ ბრძოლის აღწერილობის ერთი ნაწყვეტი:

შალვა ჩამოხდა შავსა გრილოსა...
ომი მოგვიხდა, ომი, რა ომი!
ლეშის ნაკუწი ხორათ დგებოდა,
სისხლის ნალვარი ცას ერეოდა,
შუბის ნამტვრევი ცასა ჰხედებოდა...

საქართველოს ლაშქარი ხედავდა თანამომძეთა დალუპვას უთანსწორო ბრძოლაში, მაგრამ ივანე ათაბაგის ბრძანებით ადგილიდან არ იძვროდა და შორიდან უყურებდა გმირთა თავგანწირვას.

შალვასა და ივანეს ცხენები მოუკლეს. გალომებული გმირები ქვეითად იბრძოდნენ. გულადობით მტერი გააკვირვეს, მაგრამ თვითონაც ბევრი დაკარგეს. როცა ომი შენეებოდა, შალვას და ივანეს ხმლები დაემსხვრათ მტრის ჩაბალახებზე, შუბები დაეღწათ მტრის ჩაფხუტებსა და მუზარადებზე, ყოველი საჭურველი შეემუხრათ. მაშინ ივანე, გარნისის კლდეებში შეხევილი, მტერმა ჩააქვავა, შალვა კი შეპყრობილ იქნა მრავალრიცხოვანი მტრის მიერ.

ხალხურ ეპოსს დაწვრილებით შეუნახავს შალვას შეპყრობის ამბავი: „შალვას ცხენი წამოექცა ვიწროსა და ავს ალაგსა“, „შალვას ცხენი წამოექცა ნაკვალევსა გუთნისასა“, რის შემდეგ შალვა „წაიგდეს ვიწრო ხევშია“. შეპყრობილი შალვა ჯალალედინს წარუდგინეს, სულთანი მოხიბლა შალვას ვაჟაკობამ და ახოვანებამ. ჯერ დიდი პატივით მიიღო, მაგრამ მერე ნწარე სატანჯველით მოკლა.

სამწუხაროდ, შალვას თქმულებიდან, რომელიც ძალიან მიაგავს ფრანგთა საშუალო საუკუნეების ეპიკურ პოემას „სიმღერა როლანდზე“, ზემო ნაწყვეტების მეტს ჩვენამდე არ მოუღწევია. ყოველ შემთხვევაში, მეტი ჯერ გამოქვეყნებული არ არის.

ეს ორიოდ ნაწყვეტიც შალვა—შავლეგოს შესახებ, ჩემი აზრით, ჩვენამდე სრულად ვერ მოღწეულ შალვა—შავლეგოს ძველ ქართულ სარაინდო ეპიკური ციკლის ფრაგმენტებს უნდა წარმოადგენდეს. შალვას თქმულება მხედრულ წრეში უნდა იყოს აღმოცენებული. „შავლეგოს“ ფერხული, ჩემი აზრით, უსათუოდ ჯერ ლაშქარში სრულდებოდა, დიდებული გმირი მხედრის—შალვა ახალციხელის ხსოვნის პატივსაცემად, შემდეგ კი ხალხში გადასულა.

რაკი შალვას თქმულებას 700 წლის ისტორია აქვს, ამიტომ თვით შემონახული ვარიანტების ფრაგმენტებიც ჩვენამდე პირვანდელი სახით არ უნდა იყოს მოღწეული. ჩვენ მიერ მოყვანილი ნაწყვეტების მიხედვით უნდა ითქვას, რომ შენახულა მხოლოდ თქმულების რიტმი, სიუჟეტი, ხოლო პირვანდელი პოეტური ტექსტი

ძალზე შემდგრებული უნდა იყოს. უძველესი ეპიკური მოტივი შემდეგ საუკუნეებში შეესებულა უნდა იყოს ახალწარმოებული, შიგ გვიანდელი ელემენტების ჩართვით და აღრევით (მაგ., ჯალალედინ სულთნის მაგიერ, ჩვენს ნაწყვეტებში იხსენიება „დემურ ყაენი“, ე. ი. თემურ ლენგი. აღრეულია აგრეთვე ჩვენი ტექსტის ზოგი ყოფითი ელემენტი).

მაგრამ, რაც მთავარია, ქართველი ხალხის ხსოვნას 700 წლის განმავლობაში შემოუნახავს სახელი თავისი დიდებული გმირისა, რომელიც იყო სამშობლოს ვაჟკაცური რაინდი, გულსრული მებრძოლი, მაგრამ ღალატით იარაღდალეწილი და შურით გაყიდული.

რა უნდა ყოფილიყო მიზანი „შაღლეგოს“ თქმულების შექმნისა და მიზიზი მისი ამდენი ხნით შენახვისა? რატომ განსაკუთრებით უყვარს ხალხს შალვა—შაღლეგო? სახელგანთქმული გმირი სხვაც არა ერთი ჰყოლია საქართველს, როგორც თამარის დროს, ისე შემდეგ საუკუნეებშიც, მაგრამ, ჩანს, რომ დიდი ფეოდალი, დიდი ხელისუფალი-მანდარტურთუხუცესი, სარდალი შალვა ახალციხელი თავისი ადამიანური თვისებებით და რაინდული ზნეობით ხალხთან-მხედრულ მასებთან ყოფილა; „ქარგი ბიჭი იყო“ არა მარტო იმიტომ, რომ ის ახოვანი იყო, „ქარგი გორათ აგებული“, ფიზიკური ძალ-ღონით დაჯილდოებული, „ორასი თურქის მომკვლელი“, რომ „ქიდდე უამრობასა სჩიოდა“, არამედ უმთავრესად იმიტომაც, რომ შალვა ახალციხელი იყო ნამდვილი რაინდი ხალხის გაგებით, რომ მას „ჰყავდა ამხანაგი მოგებული“ და, როდესაც შალვას გულთ ისარი ერჭო და მისი მკერდიდან გადმოდენილი სისხლი ისრის კილოს ღებავდა, მაშინ:

თავის თავს არ სჯავრობდა,
თავის სწორებას სჩიოდა!

ე. ი. იმ თანამებრძოლთ, რომელნიც ივანე მხარგრძელის ღალატით ამოწყდნენ 1225 წ. გარნისის უთანასწორო ბრძოლაში.

შალვასადმი ხალხის სიმპათია კიდევ იმ ფაქტმა გაზარდა, რომ გმირი დაიღუპა ღალატით, რომ შალვას უღალატა ქართული სარდლობის ოლიგარხიამ, რომლის ხელშეწყობით დამარცხდა თამარისეული საქართველო და ამ ღალატის გაპო ქართველი მხედრობის მასებმა, ოპოზიციურად განწყობილმა ხალხმა დაბნეული და უინიციატივო ოლიგარხისადმი თავისი გულისწყრომა გამოთქვა და მით მოახდინა შალვას დამარცხების ჰეროიზაცია.

ამიტომ გასძლო „შველეგოს“ შვიდასწლოვანმა ფერხულ-სიმ-
ღერამ.

ასე ცოცხლობენ გმირები...

2. ზეზვა გაფრინდაული

საქართველოს დაუძინებელმა მტერმა შაჰ-აბასმა 1617 წ. კახეთი ძირფესვიანად ამოაგდო. ასი ათასი კახელი მასთან ბრძოლაში გა-
წყდა. ამდენივე, თუ მეტი არა, მან სამუდამოდ სპარსეთში გადა-
ასახლა. კახეთი დაწვა და გადაბუგა, ვენახები და ხეები ააჩეხვინა
და საქართველოს ულამაზესი კუთხე უდაბნოდ აქცია. მაგრამ
სისხლისაგან დაკლილმა კახეთმა დამპყრობელს ქედი არ მოუხარა,
არა ერთი საოკუპაციო ლაშქარი გაჟლიტეს კახელმა მოლაშქრეებ-
მა, არა ერთმა სახალხო აჯანყებამ იფეთქა უკაცურ კახეთში და
შაჰ-აბასი ისე ჩავიდა საფლავში, რომ კახეთის სიკვდილს ვერ ეღირ-
სა, მისი ჯაგრი თან ჩაიყოლა.

მაგრამ შაჰ-აბასის სიკვდილით არ ეშველა კახეთს, აბასის მე-
მკვიდრენი შაჰსეფი და აბას მეორე განუზრგვალად ახორციელებდნენ
აბას პირველის პოლიტიკას საქართველოსადმი. კერძოდ, სპარსეთს
მეტად აინტერესებდა კახეთი იმიტომაც, რომ უკანასკნელი აქტიურ
მისწრაფებას იჩენდა რუსეთისადმი, უგზავნიდა ელჩებს და შველას
სთხოვდა. ამ მხრივ კახეთი საფრთხეს უქმნიდა სპარსეთს. მაშინ
ხელმეორედ განხორციელდა შაჰ-აბასის გეგმა—კახეთის დასახლება
თურქმენი თათრებით, დაიწყო „სრულიად დაპყრობა თათართაგან“
და „აღხოცვა კახეთსა“. მომთაბარე თურქმენ-თათრები კალიასავით
მოედგნენ კახეთს და 80.000 კომლმა იორსა და ალაზანზე საუკე-
თესო ადგილები დაიჭირა. კახეთი უკვე განწირული იყო. მეფე თეი-
მურაზ პირველი იმერეთს იყო გადახვეწილი და ხალხს მეთაური
ალარა ჰყავდა. მაგრამ მამულის მოყვარული ქართველობა წინ
აღუდგა მტრის ჯოჯოხეთურ გეგმას და 1659 წ. შალვა და ელიზ-
ბარ ერისთავების და ბიძინა ჩოლოყაშვილის მეთაურობით პარტი-
ზანულმა რაზმებმა ამოწყვეტეს ოკუპანტები და გაათავისუფლეს კა-
ხეთი. ბრძოლა მოხდა ალაზანგალმა, ალვანის მინდორზე, სადაც
ქართველებმა დაღწეეს მტრის უმტკიცესი ციხეები ბახტრიონისა
და ალავერდისა.

გაღმორკმით, ბახტრიონის ალებაში თავი ისახელა არა ერთმა
და ორმა სახალხო გმირმა, მაგალითად, ძმებმა საღირთშვილებმა;
ფშაველმა გოგოლაურმა, ხოშარეულმა და თუშების ბელადმა ზეზ-
ვამ. ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ ამ ზეზვაზე, რომელიც ჩვენს მთიე-
ლებს დღესაც წარმოდგენილი ჰყავთ, როგორც უბადლო გმირი.

ზეზვა თუში იყო, ფუნჩაის-ძე, თუშების ბელადი, გვარად გაფრინდაული. ბახტრიონის ომის დროს, 1659 წ., უკვე ჰარმაგი ყოფილა, ქალარაშერთული. ჩანს, იგი სააკაძის თაობის კაცი ყოფილა, შეიძლება მისი თანამებრძოლიც. ზეზვას ამკობდა ნამდვილი გმირის ყველა თვისება: ღონე, სიღინჯე, პატიოსნება, ხალხისადმი სიყვარული. ყველა საქმეში თუშები მას ირჩევდნენ წინამძღვრად:

შენ, ზეზვა, გაფრინდაული,
მოკლე ხარ, თუშო, ენითა,
თუშებს რო გაუჭირდებათ,
შენ დაგარჩევენ ხელითა...

თავისუფლებისა და მამულის მოყვარული გმირი ვერ ითმენდა კახეთის აკლებას და ალევანში თურქმენების ჩასახლებას.

კახეთში ფუნჩაიშვილი
ათეთრებს შუბის წვერსაო,
თბილის წყლით ფაფარს გადაჰბანს,
ლიტრა ქერს აკმევს ცხენსაო.
სპარსეთში ერთი თათარი
ენას აუბნებს ძნელსაო:
— „ბახტრიონს გაეჭრი ვენახსა,
ზედ დავასახლებ ფლსაო.
არც თუშებს შევეპუები,
და არც ზეზვაის ცბენსაო“.
ეს რომ გაიგო ზეზვამა,
ცხენს შაუმატებს ქერსაო:
— „ჩქარა გასუქდი, ლურჯაო“,—
გავაზედ უსომს ხელსაო,
— „დავეწყემსები სულთანსა,
როგორც მიმინო მწყერსაო,
თოფს დავკრავ. ხმალსაც შემოვკრავ,
დღეს დავაყენებ ცხელსაო,
თავსაც იქ დავდებ ჰალარსა,
ადგილს არ მივცემ ჩვენსაო!“

ზეზვასთან ერთად სხვებიც იყვნენ შეფიცულები, რომელთა გულში წვეთ-წვეთად გროვდებოდა შურისძიების ცეცხლი; მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდათ შეემუსრათ თათრები და მათი მტარვალობის ბუდე ბახტრიონი:

ბიჭი ვარ გოგოლაური...
ნუ შშინჯავ ტალავარზედა;
ხელს დავკრავ, გადავფრინდები
ბახტრიონ გალავანზედა!—

არა ერთი გმირი ფიქრობდა გულში ამ სიტყვებს. ქართლ-კახეთი უკვე განადგურებული იყო. ქართლ-კახელი ვაჭრები ზოგი შაჰ-აბასთან უთანასწორო ბრძოლაში ამოწყდა, ზოგი სპარსეთში იყო გადასახლებული.

ამიტომ მხოლოდ მთაში გადარჩენილ ქართველობასლა შეეძლო მტერთან გამკლავება. მთა ამ დროს აქტიობას იჩენდა, რადგან „ზურგი აღარსაით ჰქონდათ“, თუმცა ხევსურთ შიგნით მტერებთან ყრბობა იგრძობდა, 1657 და 58 წლებში თავისი ხევისბერები გაუგზავნა ელჩებად მოსკოვის მეფეს და შემწეობა სთხოვა: „ამდენი ხანი არის საქართველოს ყაენი ებრძვის და ჩვენ არც შემოგვიშვია ყაენის კაცი და, სადაც მოგვიხელებია, მოგვიკლავს და მისი სარდალი გაგვიქცევია და ლაშქარი გაგვიწყვეტია... გვიმსახურე და გვალაშქრე. ამ დღეისით შენი ყმანი შეგქნილვართ“.

სანატრელმა წამმა დაჰკრა... სამშობლოს სიყვარულმა აშალა ხალხი, ზოგი ქართველი ფეოდალიც შეერთდა, სამშობლოს დასახსნელად ხალხმა შეთურები იშოვნა. სახელოვანმა მამულიშვილებმა—შალვა და ელიზბარ ერისთავებმა იკისრეს ხალხის მეთავეობა. მათ ფარულად მიემხრო ზაალ არაგვის ერისთავი. „შემოიფიცეს საყმონი თვისნი და ფშავ-ხევსურ-თუშნი“, წამოიყვანეს ქსნელ-არაგველები, დაფანტული კახელი პარტიზანები და მიუძღვნენ მტერზე აღსდგა მთელი ქართველობა... მტრის მთავარი ძალები გამაგრებული იყო ალავერდის და ბახტრიონის ციხეებში. ბახტრიონში იჯდა არდალანელი სულთანი, რომელმაც ეს ციხე ააგო კახეთის მოსათოკად (ბახტრიონი ალაზნის აღმოსავლეთის ნაპირზე იყო, უტოს ხევის შესართავის პირდაპირ). კახეთის მმართველი სელიმ-ხანი კი ქიზიყის ბოლოს, ყარაღაჯში იყო დაბინავებული და იქიდან არბევდა კახეთს. არაგველები და ქსნელები საიდუმლოდ თიანეთით ახმეტაში ჩავიდნენ, ფშაველები ლაშარის ჯარიდან წამოემართნენ, თუშები კი ორ წყებად წამოვიდნენ: ერთი პანკისის ხეობაზე, მეორე—ნაქერალაზე, აღვანზე გავლით ბახტრიონში. ზეზვა იმ წყებას ბელადობდა, რომელიც პანკისის გზით გამოემართა.

თუშური გადმოცემით, გზად ზეზვამ გააკეთა პალოები და ჩოხის კალთაში ჩაალაგა. როცა მიუდგომელ ბახტრიონის ციხეს ქართველთა შეერთებული ლაშქარი მიადგა, ზეზვა მიეპარა ციხეს, ზედზედ პალოები ჩაასო ციხის კედელზე, შედგა ფეხი, გადაფრინდა ციხეში, ამოხოცა ციხის დარაჯები და გაალო ციხის კარები. გათენებისას ქართველები იერიშით დაესხნენ თავს თათრებს:

ფშაველნი, უკან ხევსურნი,
ბახტრიონს გადადიანო;

დალიეს თათრის ლაშქარი,
თავეებს უკანა ჰყრიანო...
ბახტრიონს სულთნის ციხეო,
ცამდინ აგიშვეს ალია;
კარხედ გამოდი. სულთანო,
ჩვენი დიდ გგმართებს ვალია;
ამ თეჟიანმა თუშებმა
არ შეგარჩინეს ჯავრია...

ფშავლები გალავანს გადადიოდნენ, ხევსურები მტრის კარგებს სჭრიდნენ, ზეზვა ამართული ხმლით აქეზებდა ლაშქარს.

ხმალდახმალ შვიდ თუ ვერ მოვკლა,
გამცვალეთ თათრის ქალხედა!..

მტერი გათქერეს, დანდობა აღარ იყო. თათრები მხოლოდ იმას-
ღა ფიქრობდნენ, როგორმე თავი დაეღწიათ ამ საშინელი რისხვი-
საგან და თავის შესათარებლად ალავერდის ციხისკენ გარბოდნენ,
უკან თუშ-ფშავ-ხევსურები ქლექით მისდევდნენ, მაგრამ აჯანყე-
ბულთა ერთ რაზმს ალავერდის ციხე უკვე აეღო და იქაური თათ-
რები გადარჩენის იმედით ბახტრიონის ციხისაკენ გარბოდნენ. ამ-
გვარად, მტერი მოემწყვდა ალვანის მინდორზე, ბახტრიონისა და
ალავერდს შუა, შეიქნა საშინელი მუსგრა. ხალხის თქმით, „იმდენი
ეხოცათ თათრები, სანამ ერთი თათრის გვამი ყირამალა არ დამ-
დგარიყო“. მაშინ ზეზვას შეეჩერებინა მტრის ხოცვა, რადგან გვა-
მის ყირამალა დადგომა ცოდვად მიაჩნდათ. იმ ადგილს, სადაც
თათრები ამოწყვიტეს, თუშები ახლაც „გაწყვეტილას“ ეძახიან.

ზეზვას გმირობა იმ დღეს შესანიშნავი იყო:

გალავანს ირგვლივ ურბენდა
გამალღებულის შუბითა.

გამარჯვებულ ზეზვაზე ხალხური ლექსი ამბობს:

ხმალს ზვერავს გაფრინდაული,
თორმეტი მოვკალ ამითა,
დიდი ალვანის მინდორი
ავავსე თათრის ძვალითა,
მგელს დავაცვითე კბილები,
ტურას ლოყები ჰამითა...

* *

ენასა, გაფრინდაულო,
თუშო, გაჯობებ ენითა,
განა შაჰყარე ლაშქარი,
ბახტრიონს დაეც ლამითა,

გასტეზე დიდი ბახტარი
თეთრის რემის ცხენითა,
სრულად აავსე მინდორი
თათრის ხოჯაის ძვლებითა...

გამარჯვებული ქართველები ახლა კახეთის კუთხეებში დაერივნენ თათრებს. ხალხური გადმოცემით, ულუსების „ღიატ-ყმაწვილის კალოს ლეწვედიანო“, ხოლო მატიანეს სიტყვით, ძუძუთა ბავშვიც კი არ გაუშვესო. „არცალა თუ დაუტევეს აკვანთა შინა მწოვარნი“, „იყო სრვა, ხოცვა სრულიად მოსპობამდე, აოტეს პირითა მახვილისათა“, ასწყვიტეს, იავარჰყვეს, მოსპეს, გააბნიეს მტერი და გაათავისუფლეს კახეთი. თვითონ ბახტარიონის სულთანი ძლივს შესწრა ცხენსა და გადაიხვეწა. მისი ცოლ-შვილი ქართველებს დარჩათ.

არც შიგნი და აღარც გარე-კახეთში¹, ალაზნისა და იორის პირებზე არც ერთი თათარი აღარ იყო, თავისუფლების მოყვარულმა ხალხმა თავისი სისხლით დაიხსნა სამშობლო.

ბახტარიონის აღების ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სპარსეთში, „დიდად სირცხვრლად მიიჩნიეს ასეთი დამარცხება და, თუმცა კიდევ გამოგზავნეს ახალი ხანი კახეთში, მაგრამ დაწინებულნი სპარსელი ხელისუფალი ქიზიყის ბოლოს დადგა, ველარ გაბედა შესვლა „ზემოკახეთად“ და იქიდან „იპყრობდა კახეთსა“.

განვლო დრომ და, მართალია, სპარსელებმა ბახტარიონის ამბის შემდეგ ძალაუნებურად უარყვეს პოლიტიკა კახეთში სპარსელების ჩასახლებისა, მაგრამ ნელ-ნელა საქმის გამოსწორებას შეუდგნენ. ნაწილი აჯანყების მეთაურებისა შეიპყრეს, ზოგი ლაღატით მოაკვლევინეს, ზოგი დანებდა, მაგრამ პარტიზანების ყველაზე მედგარი რაზმები გალმა კახეთში, შტორის ხევზე მიუდგომელ თორღვის ციხეში გამაგრდნენ ზეზვას მეთაურობით.

ზეზვამ შეკრიბა ამოწყვეტას გადარჩენილი კახეთის მოსახლეობა და თორღვაში დახიზნა:

თორღვასა გაფრინდაული
ამაგრებს ქვიტკირსავითა,
კარზე მოსულსა მოძალეს
აბრუნებს ნახირსავითა,
გულსა უმაგრებს ხიზანსა...

¹ გარე-კახეთში ახლაც არის დარჩენილი კვალი მაშინდელი „თათრული“ მოსრგობისა. დღემდია შენახული სახელწოდებანი „ყ ა რ ა ბ უ ლ ა ხ ი“ (ხაშმთან); „ყ ა რ ა დ ა ლ ი“ (პატარძელში), „დ ე მ უ ო-დ ა ლ ი“, „ყ ა ზ ა ნ ი ა ნ ი“ (პატარძელის გალმა) და სხვ.

ზეზვას არა ერთხელ გაუბრუნებია იერიშით წამოსული „მოძალე“ და გაუმხნევებია თანამებრძოლნი, მაგრამ ერთ ბრძოლაში თორღვასთან სპარსელებს ზეზვა დაუქრიათ:

თოფ დაჰკრეს გაფრინდაულსა,
თორღვ დარჩა ოხერივითა,
თორღვას წვეს გაფრინდაული...

დაქრილი ზეზვა მტერს მაინც არ დანებდა, მაგრამ მტერმა ბოლოს მოტყუებით, „დაბალითებით“ ჩაიგდო ხელთ სახალხო გმირი-ხალხური ლექსი ამბობს, რომ ზეზვა „ლალატით დაქერილია“. ხალხი აფრთხილებს ზეზვას:

თათრებს ნუ ენდობი, ზეზვაო,
დაგბალითებენ ენითა,
პურ-ღვინოს მაგათს ნუ ენდობი,
გილალატებენ მაგითა,
კარად არ გამოიყვანონ.

გამართლდა ხალხის შიშით:

გამოიყვანეს ზეზვაი
დააბალითეს ენითა...

ზეზვას დაქერამ სპარსელებში დიდი აღტაცება გამოიწვია. გასაგებიც იყო მტრის ზეიმი. მან ხელთ იგდო ხალხის სარდალი, თავდადებული მამულიშვილი, რომელმაც სხეებთან ერთად სასიკვდილო ლახვარი ჩასცა სპარსეთის პოლიტიკას კახეთში. საამაყო ტყვე ზეზვა დიდი პატივით წამოიყვანეს თორღვას ციხიდან, ძუაშელებილ ცხენზე შესვეს და მთელი გზა ილუმინაციით, „სანთლითა და მაშხალით“, „დაფაზურნის“ ყიჟინით ჩამოატარეს:

ცივგომბორ გადაავლიან
ძუაშელებილ ცხენითა,
ქალაქში ჩაიყვანაან
დაფა-ზურნითა, ლხენითა.

თბილისის თათრობა ზეიმით შეეგება ზეზვას ტყვეობას. ხელშეკრულ ზეზვას ჯერ ქალაქი შემოატარეს:

ბახარი შამაველიეს
დაფ-ნალარითა, სტვირითა...

და მერე ხალხის დასანახად დასვეს ქალაქის „შუაუბანში“, „მოედანზე“ და დააბინავეს „ქარვასლაში“. მთელი თათრობა მოზღვავებულა ზეზვას სანახავად—ჯარის უფროსობა, ალლარები, თათრის ქალები:

მოდინ თათრის ალღარნი,
ზეზვა გვიჩვენეთ თვალითა,
ზედაზედ შადგნენ თათრები,
„ზეზვა გვიჩვენეთ“,—იმითა.
ზეზვა რათ გინდათ, ძალღებო,
მკვდარია თქვენის ხელითა,
უნდა გენახათ. ბახტრონს
ბრუნავდა ლურჯის ცხენითა,
უკან მოგდევდათ ზეზვაი,
მოგახვლევდათ შუბის წვერითა.

მოტყუებულ ზეზვას, ხელ-ფეხშეკრულს და საჯაროდ მოედანზე
გამოყვანილს, მტერი დასცინოდა და შეურაცხყოფას აყენებდა:

ზეზვას ნუ სცინით, თათრებო,
კიდევ აგავსებთ კირითა...

ზეზვა სასტიკ პირობებში ჰყავდათ, წყალსაც კი არ აწვდიდნენ:

უწყლობით შეწუხებული
ნამს მოლოკავდა დილითა...

ზეზვას მეტი რა დარჩენოდა, „კბილთ იღერავდა“, „ბაგეს მო-
სკამდა კბილითა“.

შემდეგ ზეზვა ცხეში ჩაუშვედღევიათ, როგორც ლექსიდან ჩანს:

ზეზვის ცხენო. ამ ზამთარ
ბაგა გამოზარ კბილითა,
ქალაქს დაგიბეს პატრონი,
ღამეს გითენებს გმინითა...

რანაირი იყო ზეზვას ბოლო, არა ჩანს. ცხადია, რომ ზეზვამ
„ველარ აავსო მტერი კირითა“. ჩვენ ვიცით, რომ აჯანყებული
ქართველების მეთაურები—შალვა, ელიზბარ, ბიძინა მტერს დანებ-
დნენ და ეწამნენ სპარსეთში. მატიანის სიტყვით, ყენნმა ისინი მის-
ცა „მესისხლებს“—კახეთში ამოწვეტილი თათრების პატრონებსა
და ნათესაებს. ბრბო საშინლად გაუსწორდა ქართველ გმირებს.
ჯერ ასო-ასო აკუწეს, თავები წაკვეთეს და მერე ცხელი შამფურე-
ბით დახვრიტეს. ექვი არაა, ზეზვამაც წამებულთა ბედი გაიზიარა,
როგორც სახალხო აჯანყების ერთმა მეთაურთაგანმა.

მატიანე ზეზვას შესახებ არას ამბობს, ისევე როგორც სხვა სა-
ხალხო გმირებზე, მაგრამ ხალხის ხსოვნას კი სიყვარულით შეუნა-
ხავს მისი გმირობის ამბები და მრავალი ლექსითაც შეუმკია. დღე-
საც გაიგონებთ თუშ-ფშავ-ხევსურეთში ზეზვას კებას:

კირსამც მოვპარავ ზეზვასა,
გაფრინდაულის შვილსაო,

საც ომში დეეტანების,
მარცხენ-მარჯვენა სკრისაო,
სადაც არ სტანავ ზეზვი,
ლაშქარი ცუდად დისაო...

ზეზვასთან ერთად ხალხს ახსოვს „ზეზვის ცხენი“, რომელმაც ასე სახელოვნად ატარა თავისი პატრონი ბახტრიონის ბრძოლაში. ხალხმა ისიც კი იცის, სად არის ზეზვას ცხენის საფლავი. აღვანსა და ალავერდს შუა უჩვენებენ ამ საფლავს და აქ თუმ-ფშავ-ხევსური ისე არ ჩაივლის, რომ „შენდობა“ არ უთხრას, შესანდობარი არ დალიოს ზეზვას ცხენისა და მისი გმირი პატრონის ზეზვისი. ცხენიდან ჩამოხტებიან ხოლმე და ფეხით გაივლიან ამ ადგილს.

* * *

გმირები ყოველთვის ცოცხალი არიან. მათი ჯილდო უკვდავებაა. მაგრამ სამშობლოს ძნელბედობის დღეებში ისინი განსაკუთრებული შარავანდელით წარმოდგებიან ჩვენ თვალწინ, შთაგებებრვენ ვაჟკაცურ სულს და სამშობლოს დაცვისათვის მოგვიწოდებენ.

დღეს ვერანი მტრის შესაპუსრად ამდგარმა სამშობლომ გამოავლინა არა ერთი და ორი გმირი, რომლებიც შეუპოვარი თავდადებით სპობენ ფაშისტურ ურდოებს. ჩვენი ხალხის გმირული ტრადიციები ცოცხლობენ და ბოლოს უღებენ თავხედ მტერს.

3. ქართველი ქალი

ამ ქალის ვინაობა და მისი გმირული ამბავი მატთანეში არ არის მოხსენებული, მაგრამ მის შესახებ ალტაცებით გვიამბობენ მომსწრენი—პოლონელი კ რ უ ზ ი ნ ს კ ი და ინგლისელი ჰ ა ნ ვ ე ი .

ჩვენი მატთანე უმეტესად ოფიციალურ სახელმწიფო მოღვაწეთა მოქმედებას აგვიწერს. რაც შეეხება ხალხის ამბავს, მოკლედ იცის მოკრა: სიგრძისათვის დავიდუშებო, ამ დუმილში კი იმალება საქმენი და ღვაწლი ქართველი სახალხო გმირებისა, ვაჟკაცებისა, ქალებისა, დედებისა, მათი შეუდრეკელობა, კეთილშობილება, თავდადება, სამშობლოსადმი უზომო სიყვარული, ის, რამაც საქართველო ისტორიულ ქარიშხლებში გადაარჩინა განადგურებას და ალგვას დედამიწის პირიდან.

ერთი ასეთი უცნობი გმირთაგანია ვინმე ქართველი ქალი, რომლის სახელი და გვარი დღემდის არ ვიცით.

* * *

მეთვარამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ღონემიხდილ ირანს წეწვა დაუწყეს აჯანყებულმა ავღანელებმა. 1721 წლიდან ავღანთა საფრთხე დალუპვას უქადდა ირანს, ხოლო 1722 წელს ავღანთა გაძლიერებული ბელადი მირ-მაჰმუდი (იმ მირვეისის შვილი, რომელმაც 1709 წელს ლალათით მოკლა ქართლის მეფე გიორგი IX და გაელიტა მისი სახელოვანი ამაღალა ყანდაარში) თვით ირანის სატახტო ქალაქის ისფაჰანის დასაპყრობად გამოეწვართა. რადგან მაშინდელი ქართლი ირანთან ვასალურ დამოკიდებულებაში იყო, ქართლის მეფე იძულებული გახდა ირანისთვის სამხედრო ძალა მიეშველებინა, ავღანებს ქართული ხმლისა მეტისნეტად ეშინოდათ. მათ კარგად ახსოვდათ ქართველების არა ერთი და ორი გამირობა ავღანებთან ბრძოლაში. ისფაჰანში იცოდნენ, რომ, თუ ქართველი ლაშქარი გამოჩნდებოდა, შეშინებული ავღანები მაშინვე ალყას მოჰხსნიდნენ ირანის სატახტო ქალაქს.

ქართლის დარჩეული ვაჟკაცები გაემართნენ შორეული ირანი-საკენ, სადაც წინა წლებში ქართველების არა ერთი და ორი რაზ-ში გაწყვეტილა უთანასწორო ბრძოლაში.

1722 წლის 8 მარტს ირანელები სასტიკად დამარცხდნენ გულ-ნაბადში, ისფაჰანის მახლობლად. ამ ბრძოლაში დაიღუპა ქართველი მხედართმთავარი, ირანის გვარდიის უფროსი, ბატონიშვილი როსტომი, მასთან ერთად — 400 ქართველი.

როცა თვით ირანელებმა თავი მიანებეს წინააღმდეგობას და ავღანები ისფაჰანში შეუშვეს, ქართველები გააფთრებით ებრძოდნენ ავღანებს ისფაჰანის ქუჩებში. განსაკუთრებით ისახელა თავი ერთმა ქართველმა კაბუჯმა, რომელმაც სხვებთან ერთად გამირულად შეაკლა თავი ავღანებს ისფაჰანის ხიდზე, მაშინ როცა ქალაქის მთელი ნახევარი მტერს უკვე დაქერილი ჰქონდა.

* * *

კაბუჯ მხედარს ულამაზესი ქალი ჰყავდა ცოლად. მისი მშვენიე-რიბა მთელ ქართლში იყო განთქმული.

შეიტყო რა ქალმა ქმრის სიკვდილი, დიდ გლოვას მიეცა, მაგრამ სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა, საშინელმა შურისძიებამ შეიპყრო, ნათესაეებს გაანდო, ქმრის სისხლი უნდა ავილოო. ყველამ დაუშალა, როგორც უაზრობა, მით უმეტეს, რომ ორი ობ-ლად დარჩენილი ბავშვი დიდ დაბრკოლებას უქმნიდა, თავი რომ დავანებოთ მის ქალურ უმწეობას და გზის სიშორეს. მაგრამ შურის-ძიებით შეპყრობილი ქალი ვერაფერმა შეაჩერა, ერთ დღეს ორივე ბავშვი თავის ძმას ჩააბარა და გაუდგა საძნელო გზას.

* * *

1724 წელს მირ-მაჰმუდი დიდებით შედიოდა ისფაჰანში. უეცრად საიდანლაც გამოქანდა ცხენზე მჯდომი შუბოსანი მხედარი, მედგრად ეკვეთა მაჰმუდის ლაშქარს და ოცი ავლანი იქვე დააწვინა. მაჰმუდის ამაღა დაიბნა. როცა გონს მოვიდნენ, გაშმაგებული მხედარი შეიპყრეს. იგი, დაქრილი და დასახიჩრებული, მიჰგვარეს მაჰმუდს.

მირ-მაჰმუდი განცვიფრდა, რომ მამაცი მხედარი ქალი იყო, რომ ქალმა შური იძია ქმრის სიკვდილისათვის. ბრძანება გასცა— შეენდოს ყოველივე: ამ ქალმა მამაცობით დაიმსახურა, შესაფერი პატივით მოვექცეთო. (იხ. ენიშქის მოამბე, V-VI, გვ. 258, 1940; მ. ხუბუა—„ქართულ-ირანული ურთიერთობიდან“).

* * *

ინგლისელ ჰანეის გარდა, პოლონელი კრუზინსკი გადმოგვეცემს, „1725 წელს ერთი დედაკაცი, რომლის ქმარი მოკლათ გულნაბადის ომში, მოიქრა საქართველოდგან ისფაჰანს შურის საძიებლად, ავლანთ ძვირად დაუჯდათ იმისი ქმრის სიკვდილი; ამან მოკლა სხვადასხვა დროს ოთხმოცდაათი კაცი და მაშინ იცნეს, რომ დედაკაცთაგანი იყო, როდესაც დაატყვევეს; მაგრამ პატივი სცეს იმის გმირულს განწირულებას და გაანთავისუფლეს“. (იხ. დიმიტრი ბაქრაძე, „ქართველი ქალები“, 1891 წ. გვ., 13).

4. გმირი გლეხის ქალი

მეთვრამეტე საუკუნის 40-50-იან წლებში საქართველო მეტად განწირულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. „საპარალო, უხელფეხო და გათავებული ხალხი“,—მტრის მიერ ნათქვამი ეს სიტყვები სწორედ ზედგამოჭრილი იყო მაშინდელ ქართლ-კახეთზე, რომელიც, სპარსეთისა და ოსმალეთის მუდმივ რბევათაგან დასუსტებული, ახლა დალისტინის მტაცებელი ბრბოების სათარეშო ასპარეზად ხდებოდა. ხან წვრილ-წვრილი რაზმებით, ხან პატარა გუნდებით, ხან ძლიერი ჯარებით დალისტინის ბელადები თავს ესხმოდნენ ქართლ-კახეთს და მოსვენებას არ აძლევდნენ. ბოლოს, მათი სითამამე იქამდის მივიდა, რომ 1755 წელს გადაწყვიტეს ქართლ-კახეთის ერთი მაგარი დაკვრით მოსპობა და მისი საბოლოოდ განადგურება. ეს გეგმა მტკიცედ დაისახა ავარიის ხანმა ხუნძახის ბატონმა (ხუნძახი—ავარიის ცენტრია) ნურსალ-ბეგმა ანუ მუცალმა, როგორც ქართველები ეძახდნენ მას.

მართალია, მუცალი მხოლოდ ავარიის ბატონი იყო, მაგრამ მან შეძლო თავისი ბოროტი გეგმის გარშემო გაეამხანაგებინა, „რაც დალისტანში ბელადები და უფროსი ჯარისკაცები იყვნენ“. გარდა ამისა, მას საიდუმლო პირობებით შეეცვრნენ ქარის, კაცის სულთნები და შაქის, შირვანის და განჯის ხანები, რომელნიც ხუნძახის ბატონთან შეთანხმებით ქართლ-კახეთზე მაგარი დარტყმით წამოვიდნენ.

ნურსალ ბეგმა 1755 წ. ზაფხულს ძლიერი ჯარები შემოიყარა და დიდი მუქარით ქართლ-კახეთზე წამოვიდა. ქართული სამხედრო ძალების სიმცირის გამო კახთბატონი ერეკლე თავისი ძალებით კახეთს დარჩენილიყო, ხოლო მამამისი, თეიმურაზ მეორე, ქართლში გამაგრებულიყო და რომელ მხარესაც გაუჭიჭდებოდა, ერთმანეთს მიეშველებოდნენ. ერეკლემ მთელი კახეთი აყარა, ციხე-სიმაგრეებში შეიყვანა და თვითონ კახეთის ლაშქრით თელავში დაღვა. ქართლიც სიმაგრეებში გაიხიზნა. რაკი მტერი ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო, მეფეებმა მთაში და ჩრდილო კავკასიაში კაცები გაგზავნეს ჩერქეზის, ოსის, კალმუხის და მთის ჯარების დასაჭირაგებლად. ამასობაში მტერმა დაწვა გაღმა მხარი, გადმოლახა ალაზანი და რამდენიმე სოფელი აიკლო. მალე მტერმა თავი ანება კახეთს და ქართლისკენ გამოისწრაფა. მისი მიზანი იყო, საჩქაროდ აეღო გორის ციხე, რის შემდეგ მთელ ქართლს შემოეჭიდებოდა, ხოლო ქართლის დაპყრობის შემდეგ კახეთის დამორჩილებაც ადვილი გახდებოდა. ერეკლემ მცირე ჯარით შებრძოლება ვერ გაბედა და მტერს უკან დაედევნა. მტერი გამოვიდა არაგვზე, აიკლო არაგვის სოფლები, გადაწვა ღუშეთი და, გორის ციხის ასაღებად წამოსული, გზად მქადიჯვრის მაგარს ციხეს შემოადგა. „ჩამოხდა თითონ ხუნძახის ბატონი ციხის ბოლოს, ქალაში, გააქეთებინა სანგარი მაგარი, დაადგენინა კარავი, დადგა შიგ და აბრძოლა ციხეს ჯარი. იყო დღე და ღამ ბრძოლა და ომი გაუწყვეტელი. არ ავად იყვნენ მყოფნი ციხისანი, მრავალი ლეკი მოკლეს და დიდათაც გულმაჰაცად იყვნენ ციხის კაცნი“, — ამბობს პაპუნა ორბელიანი. განსაკუთრებით თავი ისახელა ერთმა მქადიჯვრელმა ხნიერმა დედაკაცმა, რომელიც მეციხოვნეებს პირადი მაგალითით ანხნევებდა. დედაბერი მოკლულებს პატრონობდა, დაჭრილებს წყლულებს უხვევდა და თვითონაც მედგრად იბრძოდა ციხის სათოფურებიდან. გაეწყდეთ და მტერს ციხე არ დავანებოთო. — თმაჩამოშლილი, ხელშუბიანი. მკახედ დასძახოდა გარემოცულ მეციხოვნეებს.

გადმოცემით, ახალგაზრდობაში იგი განთქმული ცხენოსანი და მარჯვედ მსროლელი იყო, თუმცა ამხანად დროს უკვე მოეძაბუ-

ნება, თვალადი და ტანადი, ომახიანი დედაკაცი საერთო პატივისცემას იწვევდა ხალხში. ჩვეულებრივ შუბით დადიოდა, მხნეობდა თავის ბოსტანში, ხან ჯარას უჯდა, ხან შინაურ წამლებს ამზადებდა. მარტო იყო, არავეინ ჰყავდა, კმარ-შვილი ომში დახოცოდა, მაგრამ მთელი სოფლის გულშემატკივრობა თავზე ჰქონდა მოხეული. მეფის მოხელეებსაც კი მისი რიდი ჰქონდათ, რადგან უსამართლობას არავის შეარჩენდა.

როდესაც მტერმა ციხე მეტად შეაღონა, ამ დედაკაცმა მიმართა ხალხს: ჩემი სიცოცხლე მუდამ სოფელს ეკუთვნოდა, და ახლაც თქვენთვის მინდა თავი გაფწირო. ვეცდები, მტერი ისე დაეზარალო, რომ ჯერხნობით ციხე ველარ აიღოსო, მხოლოდ პირობად უნდა დაგიდოთო, როგორც უშვილძირო, უთავისო, არ დამივიწყოთ და ქელები და მოხსენება მთელმა სოფელმა გადამიხადოსო. ხალხმა პირობა მისცა.

მაშინ იარაღში ჩამჯდარი დედაკაცი ციხიდან გამოვიდა, გადმოდგა ციხის ბურჯზე და მტრის ერთი ბელადი მიზანში აძოილო. მტერმა ყიჟინა და სიცილი დააყარა, მაგრამ ქალის მაჟარმა უსულოდ დასცა მტრის ბელადი. მტერი გაპარა და წამოვიდა ქალის ცოცხლივ ხელში ჩასაგდებად, მაგრამ მან გამოუმიზნა და მეორე ბელადიც მიწას გაართხო. მაშინ გამოქანდა ხმალამოწვდილი მტრის ცხენოსანი დასცა, მაგრამ დედაკაცის გამქრიახმა თვალმა არც მესამე წინამძღვარს დააცდინა და ტყვია შუაძვალში გაართყა. თავზარდაცემული მტრის დასცა სირცხვილითა და მოულოდნელობით შეკრთა და დაიბნა. დედაკაცმა თავს უშველა და ციხეს შეეუარა. მკადიჯვრელებმა მტერს მედგრად შეუტიეს და საკმაო მანიილზე დროებით უკან დაახვეინეს.

გმირმა ქალმა ეს არ იკმარა. ის შუაღამისას ფარულად ჩავიდა მტრის ბანაკში და ზედიზედ შვიდი ხის საფარი დაუწვა, მაგრამ გააფთოებული მტრის მღვეარი უკან დაედევნა და ხმალდახმალ აკუსა.

ასეთმა გმირობამ ალყაშემორტყმულ მეციხოვნეთა სულიერი განწყობილება ასწია და ააფრთოვანა ისინი.

მაღე თეიმურაზ და ერეკლე თავისი ჯარებით შეიყარნენ, ერეკლემ მტერი დაზვერა და გამოარკვია, რომ დიდად მეტი იყო ქართლისა და კახეთის ჯარზე. შელონდნენ ქართველები, თითქმის შებრძოლებაც ვერ გაბედეს. მეფეები ჩერქეზის, კალმუხის, ლლიღვის, ნოლის და ოსის მამულ ჯარებს უცდიდნენ, მაგრამ შეწუხებული ციხიდან ყოველდღე კაცი მისდიოდათ,—თუ არ მოგვეშველებით, ამის მეტი ღონე არა გვაქვსო. მაშინ გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ შებრძოლება.

დუშეთიდან წამოსული ქართველი მხედრობა კილურტის მხარეს გადმოვიდა, ზევიდან ჩამოვიდა და ფიცხელ ომს მოუსწრო გარემოცულთა და სააღყო ჯარებს შორის. ციხეში მყოფნი თითქმის ციხის დანებებას აპირებდნენ, მაგრამ მაშველი ჯარის მისვლა რომ შეიტყვეს, გაძლიერდნენ და ბრძოლა გააჩაღეს. ქართველმა სარდლობამ ჯარი ორ ნაწილად გაჰყო. ქართლელები ცალკე და კახელებიც კიდევ ცალკე დააყენა. აგრეთვე ამიერ და იმიერ ქვეითობის ჯარი მიიმძღვარეს. თოფხანა ზედ მიაყოლეს, ხოლო თოფხანას ზედ მრავალი ურემი, მსხვილი ძეძვით ავსებული, უკან მიადევნეს. ჯარს საფარად ბრძოლის დაწყებისთანავე ლეკის ქვეითობამ ქართველების ქვეითობას შემოუტია, ხოლო ცხენოსანი ცხენოსანზე წამოვიდა.

ომში დამსწრე გვიამბობს: „ლეკის ცხენოსანი სამათ გაყოფილი იყო და ყოვლის მხრიდან მოვიდნენ, ქართველი ჯარები დიად თვალში ეცოტავათ და დიდათ ამაყად მოინდომეს ომი. შეიქნა ომი ფიცხელი, რომ უფიცხე აღარ ეგებოდა, მოვიდნენ ასე, რომ ლეკის ქვეითობას ცოტალა უკლდათ ხმალდახმალ ჩვენს ჯარში შემოსვლა. რა გაჭირდა ომი, ბრძანა ბატონმა დაქვეითება ჯარისა. გადმოხტა თვით მეფე ერეკლე ცხენიდან და უბრძანა ჩამოხტომა ყოველთა: „ეს არის დღე ვაგაკობისაო!“ დაიქვეითეს ქართლელთა და კახთა. შეიქნა სროლა თოფთა, რომ კომლისაგან კაცი აღარა ჩნდა. მეფე ერეკლე ხან იქით და ხან აქეთ აძლიერებდა ჯარს, ჰპირდებოდა წყალობასა. შეუტოვებს ქართველთა და კახთა გულსრულად, დაუშინეს ზამბურაკნი და ზარბაზნნი, გააქცივეს ერთი დასი ჯარი ლეკისა, ჰკრეს ეს გაქცეული ჯარი მეორე ჯარსა, აირივა ეს საშინელი ჯარი ლეკისა, გაიქცნენ, შეუტოვებს ხმალდახმალ, დაერივნენ შიგ, რომ ვითა კატა, ეგრე ხოცდენ. თითონ მეფე ერეკლემ ჩამოკაფა ლეკი ხმალდახმალ, მიჰყვნენ ხოცვით არაგვამდის, რომ მათის მძოვრით აღივსო ტყე და ველი...“

მტერი საშინლად დაზარალდა. ქართველებმა მრავალი დახოცეს, დაატყვევეს, უმეტესობა თვითონ კლდეზე გადაცვენით დაიღუპა. ხუნძახის ბატონს მოუკლეს ბიძა და ბიძაშვილი. ბრძოლის ველზე მას დარჩა კარვები, ცხენი, იარაღი და ყოველივე დიდება. დამარცხებული მუცალის ჯარის ნარჩენებს უკან გაქცევისას დახვდნენ კახელები და გაანადგურეს.

ასე ჩაეშალა შერცხვენილ მუცალს ანუ ნურსალ ბეგს ქართლ-კახეთის ერთი დაკვრით დაპყრობის გეგმა.

ამის უმთავრესი მიზეზი კი ქართველი ხალხის ერთსულოვანი გამირობა იყო.

ღამარცხებულ ხუნძახის ბატონზე შემდეგი ლექსი გამოუთქვათ:

ხუნძახა ცხენსა მიჰმართა,
მუხლი ვერ გაიტანაო,
კუდქვეშა სდებდა ლაგ-მსა—
თავი სად დამემალაო.
ისე შეშინდა ხუნძახი,
ველარ ჩააცვა ჩუსტური,
მე . ქეთ აღარ წამოვალ,
ქართველთ სცოდნიათ ხუსტური.
რას მომდეგ. გჯჯო ვერკლევ,
რა მიმაქე შენისთანაო,
სულაც ხომ მანდ დაგიყარე
თოფხ-ნა, ბარგიხანაო!

მქადიჯერის ომში ბევრმა ქართველმა ვაეყაცვა, მრავალმა სიხე-ლოვანმა გმირმა ისახელა თავი. არა ერთი და ორივე მათგანი ჰყავს ჩაწერილი მატთანეს, მაგრამ ხალხმა მათ შორის ყველაზე მაღლა დააყენა თავისი გმირი გლეხის დედაკაცი, რომლის თავგანწირვა განსაკუთრებით აღნიშნა.

ამ უსახელო გმირს ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია იმ დროის ქართულ საზოგადოებაში, რომ თვით მემატთანესაც კი საჭიროდ უცვნია, იგი საგანგებოდ აღენიშნა. მეფის ძე ბაგრატ თავის მოკლე ისტორიაში, ეხება რა მქადიჯერის ბრძოლას, დასძენს:

„ჰოი, საკვირველი! ერთმა მოხუცმა დედათავანმან მქადისჯვრელმა, იხმარა სული მამაცობისა, გამოვიდა ციხით, რაოდენიმე ლეკნი მოკლა ხელითა თვისითა და რაოდენიმე დაუწვა ხის შვიდი საფარი ლეკთა, ხოლო უქანასკნელ მოჰკლეს იგიცა, რომელსაც დღეს ეუბასა მოუთხრობენ მესტიერენი“ (იხ. ბაგრატ ბატონიშვილი, „საქართველოს ცხოვრება“, საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი).

მესტიერეების ერთ ლექსს ჩვენამდისაც მოუღწევია:

ხუნძახმა სთქვა: სარდალი ვარ,
თუ რომ ჩემი გაიგება.
შვიდი დღე და შვიდი ღამე
დაჯდა, წვერი შაილება.
თუ გორის ციხე ავიღოთ,
ქართლი ჩვენი შაიქნება,
მქადისჯვარს რომ მივტანეთ,
საქმე მაშინ გაჰიროდება...
იქ რომ ბებურმა საქმე ჰქნა,
ის არ უქნია სხვასაო,
ორი ბელადი მოგვიკლა

მთელ შევრილ დაღისტანაო.
ნესამე რომ გამოვიდა,—
დახე, იმ კჳამცდარსაო,
ესროლა თავის მანარი,
გაართუა შუა ძელსაო,
იმისი კამა ქელეხი
მჳადისჯუარს ედოს თავსაო;
ლმერთო, აცხონე ბებერი,
წავიდა თავის გზასაო.

როგორც ბოლო დროს გამოირკვა, ეს გმირი ბებერი ქრისტიანა ცქირია შვილი ყოფილა.*

* იონა ხელაშვილის მიერ შედგენილ სალოცავ წიგნში „მოხსენება შესვენებით“ (ც. არქივის ხელნაწერი № 444) სწერია: „მოიხსენე უფალო, ქრისტიანა მოხუცებულა, რომელმან მჳადის ჯუარს, გარემოდგომილთა ბეერ რიციხეთა ლექთა, შვიდგზის აღმები მიკადა და იქმნენ დამარცხებულ“ (გვ. 20).

ს ა რ ჩ ე ვ ი

„შაჰნავაზიანი“	5
1. „შაჰნავაზიანის“ შინაარსი	5
2. „შაჰნავაზიანის“ ხელნაწერის აღწერილობა	7
3. „შაჰნავაზიანის“ ავტორი	9
4. „როდის დაიწერა „შაჰნავაზიანი?“	29
5. პოემისათვის	31
იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოუტრავიანი“	65
პოემის შინაარსი	68
„დიდმოუტრავიანის“ ხელნაწერისათვის	71
სათაურები წერა-კითხვისეული № 123 ხელნაწერისა	77
სათაურები წერა-კითხვისეული № 469 ⁹ ხელნაწერისა	78
ავტორის ბიოგრაფიისათვის	81
პოემის დათარიღებისათვის	93
პოემისათვის	96
სულხან-საბა ორბელიანი	128
ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი	187
ხელნაწერის თავგადასავალი	187
ლიტერატურა	190
ხელნაწერის აღწერილობა	191
სარდარ სახლთუხუცეს ზაზა ციციშვილს	193
ხელნაწერის პირველი მუბატრონე	194
ზაზა ციციშვილი	196
ხელნაწერის დათარიღებისათვის	201
ხელნაწერის მნიშვნელობისათვის	205
Жизнь гениальной поэмы	209
ვახტანგ მეექვსე	214
ცხოვრება დავით გურამიშვილისა	223
დავით გურამიშვილის პორტრეტისათვის	262
Жизнь и творчество Давида Гурамишвили	267
ბესიკი	285
შესავალი	285
გაბაშვილები	289
ბესიკის გენეალოგიური შტო	291
ზაქარია გაბაშვილი, თავგების და კატის ომი	292
ბესიკის ყრმობა და სიკვამლე	305

ორბელიანთა წრე	311
ბესიკი ანა ხანუმ დედოფლის კარზე. ლევან ბატონიშვილი	314
„ცოცხალი ბესიკი“	325
პოეტი კარისკაცი	329
თბილისის ბაღებში. ბესიკი და მოქალაქენი	346
ბესიკის რომანი. შაია ერისთავის ქალი. ბესიკის განდევნა თბი- ლისიდან	348
ბესიკი, მარმონტელი და ლესაუი	380
ბესიკ გაბაშვილი იასში	386
ძველ ქართველ მხატვრებზე	401
ქართველი გმირები	412
1. შალვა — შველეგო	412
2. ზეზვა გაფრინდაული	419
3. ქართველი ქალი	426
4. გმირი გლეხის ქალი	428

ГЕОРГИЙ НИКОЛАЕВИЧ ЛЕОНИДЗЕ

Исследования и очерки

(На грузинском языке)

Изд-во „Сабчота Мцрალი“

* *

Типография изд-ва „Сабчота Мцрალი“

19 Тбилиси 89

Плехановский 181

* *

რედაქტორი შ. ძიძიგური

გამ-ბის რედაქტორი ნ. ხომერიკი

მხატვარი ი. ჯანაშვილი

ტექნორედაქტორი შ. დემეტრაძე

კორექტორი თ. მაჩაბელი

* *

ბელმოწერილია დასაბეჭდად 15/VIII-

1959 წ., საავტორო ფ. რაოდენობა 24,07,

სამონაბეჭდო ფ. რაოდენობა 24,57,

ტირაჟი 10.000, შეკვეთის № 1, უფ 07383.

* *

გამ-ბა „საბჭოთა მწერალის“ სტამბა,

თბილისი, პლენანოვის, 181

ფახო 13 მან. 10 კაპ.